# საბედისწერო ფაქტები გამოჩენილ ადამიანებში, მოძღვრება ბედისწერაზე

## მისტიკა და ცნობილი მისტიკოსები

## გენიოსები განსაკუთრებულ შტრიხებში

შეიცან თავი შენი და შენ შეიცნობ ღმერთებს და სამყაროს

დელფოს ტაძრის წარწერა»

საქართველოს მაცნე»

თბილისი 1999 წ.

საქართველოს ინდექსი
133:159.961
თ 414
რეცენზენტები: კოტე მიქაძე, ნუკრი გიორგაძე, ლალი სულაშვილი.
რედაქტორი: მარინა მჟავანაძე-გიორგაძე
კორექტორები: ნათელა კლაპტრიშვილი-თეზელიშვილი, ნანა კრესელიძე
ტექ. რედაქტორი: ნუნუ კვანტალიანი. ცირა სირბილაძე, მარინა მიქაძე
მხატვარი: ავთანდილ პოპიაშვილი

ავტორი ს. თეზელიშვილი

წიგნი ეძღვნება ომარ კლაპტრიშვილის ნათელ ხსოვნას

## ანოტაცია

წიგნი წარმოადგენს ქართულ ისტორიოგრაფიაში მისტიკის და გამოჩენილ ადამიანთა საბედისწერო ფაქტების და თეორიული მასალის შეკრების პირველ ცდას. თუ როგორი გამოვიდა იგი, დროის-დისტანციის განზომილებაში უნდა შეფასდეს.

ეპიგრაფი - მე ვიღებ წყლიან ჭურჭელს, ვდებ მასში სარკეს და გამომაქვს მზეზე. მზე აფრქვევს სარკეზე თავის სხივებს და მაინც არაფერი არ აკლდება მას. სარკის ანარეკლი მზეში-ეს არის მზე მზეში, სარკე კი მაინც სარკედ რჩება. ასევეა ღმერთი. თავისი ბუნებით, თავისი არსით, თავისი ღმერთებით ღმერთი იმყოფება სულში, მაგრამ იგი არ არის სული, ხოლო სულის ანარეკლი ღმერთში-ეს არის ღმერთი ღმერთში, სული კი მაინც სულად რჩება.

*მაისტერ ეკჰარტი.*

მაისტერ ეკჰარტის ეს პატარა მისტიკა არის, ერთგვარი ანოტაცია ან თუ გნებავთ ეპიგრაფი იმ მასალისა რაც ამ წიგნშია თავმოყრილი.

წიგნი გამოდის ქალბატონ ინგა ჭუმბურიძის მატერიალური და მორალური თანადგომით. რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ.

©- С. Тезелишвили 1998 г.

ISBN GRPPENNR 99928
VERLAGSNR 28
99928 28-02-1

გამოყენებული ლიტერატურის სია ბიბლიურ წიგნებში განივთებული საიდუმლო მამუკა ჭლარკავა

ვახტანგ ერქომაიშვილი-ბედისწერის რწმენა და მისი უარყოფითი შედეგები

ნაირა გელაშვილი-ნოვალისი

დალი სულაშვილი-გურჯიევი

მარტინ ჰაიდეგერი-შიშის ძრწოლის და სიკვდილის რაობის შესახებ. თარგმანი მანანა ქუმსიაშვილის

კოლინ უილსონი-ოკულტიზმი

მენლი პელმერ ჰოლმი-ენციკლოპედიური დალაგება, მასონიები, ჰერმეტიზმი, კაბალისტიკა, როზენკრეიცერები, სიმბოლისტური ფილოსოფია

## შესავალი (ზოგადი ხასიათის)

ადამიანთა ყოფა ისეა მოწყობილი, რომ ჩვენ გაცილებით მეტს ვეძებთ მიწიერ სფეროში, ვიდრე ზეცაში, წესით კი უფრო მეტი უნდა ვიცოდეთ ზეცის შესახებ, რადგან მას ჩვენი მარადიული სასუფეველი ეწოდება. რელიგია და მისტიკა ერთხმად აღიარებს, რომ ადამიანებმა ახ.წ.-დან სულიერი განვითარებათ მოიკლო.

ეს წიგნი ზეცისა და მიწის, ღმერთისა და ადამიანის კავშირია. ამ ნაშრომში მოცემულია მასალები ადამიანის გონების იდუმალ შესაძლებლობებზე.

გონება ეს არის უზენაესის, უდიდესი საჩუქარი ადამიანის მიმართ. არც ერთ სულიერს არ მისცა ღმერთმა ეს შესაძლებლობა, მას ჩვენ კიდევ ტვინს ვეძახით, რომელშიც ჩადებული შესაძლებლობების ორ მესამედს როგორც ამბობენ, ვერ იყენებენ ადამიანები, აი სწორედ ამ იდუმალ ძალაზეა ამ წიგნში ლაპარაკი.

ყრმობა და სიჭაბუკე უმეტესად ყველას გაოცებული და უდარდელი აქვს, სიბერე ფიქრიანი და სევდიანი, სიჭაბუკეში ჰვრეტა სჭარბობს, სიბერეში განსჯა, პირველი პოეზიის პერიოდია, მეორე ფილოსოფიის. ასაკის და დროის ასეთ კომბინაციაში შეიქმნა ეს ნაშრომი, რომელსაც პრეტენზია ექნება თავისთავადობაზე და ორიგინალურობაზე. ეს განცხადება ჩემთვის უფრო მეტია, ვიდრე ღირსება კაცისთვის და კდემამოსილება ქალისთვის. და კიდევ რა მინდა ვთქვა, ერთი სენტენცია გამიგია მწერლებზე, რომ კომერსანტებს შორის ყველაზე დიდი გაიძვერები წიგნის გამომცემლებია, ვინაიდან გარიგებისას ღრუბლებში მფრინავ მწარმოებლებთან აქვს საქმე, მაშინ, როცა ნებისმიერი სხვა კომერსანტები მასავით ჰკვიან და მიწიერ ადამიანებს უკავშირდება. ამიტომ ყველა წიგნის ბედი ჰაერშია გამოკიდული. აი ასეთი სიფრთხილით იქმნებოდა და გამოდის ეს წიგნი ამ მეტად ეკონომიურად და პოლიტიკურად ძნელ დროში.

ბედნიერებაა ზმანება, რეალურია მხოლოდ ტანჯვა-ამბობდა ვოლტერი. არისტოტელესთან კი ჭეშმარიტი ტანჯვა განწმენდისკენ მიმავალი ბედნიერების გზაა და მას კათარზისს უწოდებს, რომლის საშუალებით ადამიანი მაღლდება. ძნელია იმ ტანჯვის გადმოცემა, რასაც მე განვიცდიდი ამ მასალაზე მუშაობისას, შეიძლება მასზე არც ლაპარაკია დიდი ტაქტიანობა, მაგრამ არც სრულიად ხმის ამოუღებლობა ვარგა, რადგან ეს იყო მეტად რთული და აზრის ძნელად გამოსათქმელი მასალა. პირველად ჩემი მიზანი ბედისწერის ირგვლივ მასალის შეგროვებას წარმოადგენდა, ხოლო გენიოსთა და მისტიკურ საგანთა აღწერა შემდეგ თვითონ ბედისწერის თემამ მოითხოვა. აქ არის ჩემეული კვლევები, კომენტარები, მაგრამ კატეგორიული დასკვნებისა და შეფასებების საბოლოო სადგურისგან თავი შევიკავეთ, რადგან ამ დარგებს ჯერ კიდევ შორი გზა ელით საძიებო სივრცეში, და დღეს აუთვისებელ ყამირად ითვლება. ჩვენ ყველაფერში ბოლშევიკების 70 წლიან რეჟიმს ვადანაშაულებთ, მაგრამ არც მე-19 საუკუნე

და მე-20 საუკუნის დასაწყისში გამოირჩევა ქართული აზროვნება მისტიკით, სამაგიეროდ უხვადაა პოლიტიკური მწერლობა წარმოდგენილი, სადაც ყოველთვის მოიკოპლებდა საქართველო, ამ პროექტების და ტრაქტატების პრაქტიკული განხორციელებისას. ეს მასალა ქართული სიტყვის პირველი ცდაა მისტიკის სფეროში, ამიტომ ყველა ღირსეული შენიშვნა ჩემთვის მისაღები იქნება.

როგორი მაკეტიც არ უნდა ჰქონდეს მშენებელს, მას მაინც სრული წარმოდგენა არა აქვს, როგორი გამოვა მისი შენობა, მისი ჩანაფიქრის პრაქტიკული განხორციელების შემდეგ, ამასვე განვიცდი მეც.

## შესავალი

1) შესავალი ბედისწერის შესახებ.
2) შესავალი რა და ვინ არის გენიოსი.
3) რა ფიზიოლოგიური პროცესით ხდება ადამიანში, გენიალური აზრის დაბადება
4) შესავალი და საუბარი მისტიკის შესახებ.

## შესავალი ბედისწერის შესახებ

თუ აზროვნებას ავამაღლებთ აბსოლუტამდე, რომელიც წარმოადგენს საერთო საფუძველს თავისუფლებასა და გონებას შორის არსებული ჰარმონიისა,-ჩვენს წინაშე აღმოცენდება სისტემა განგებისა ანუ რელიგიისა, ამ სიტყვის ერთადერთი და ჭეშმარიტი მნიშვნელობით.

ძველი მსოფლიოს ალეგორიული კულტების საიდუმლო მოძღვრებამ ასწავლა კაცობრიობას, რომ ადამიანი გრძნობად სამყაროში ჩამოქვეითდა ჭვრეტის გარკვეული საფეხურიდან, რომელზედაც იდგა მანამდის და რომ მხოლოდ საპირისპირო მსვლელობით ძალუძს მას კვლავ დაიბრუნოს ძველი ნათელის სრულყოფილება.

აი სწორედ ამან ამაღებინა ხელში კალამი რათა მომეძია ყველაზე საინტერესოდ მიჩნეული მასალა ბედისწერის, მისტიკის, სულის, ტვინის, რეინკარნაციის და გენიოსთა უჩვეულო თვისებების გაუვალ ტყეში. ამისათვის შეგროვილი იქნა გენიოსთა და გამოჩენილ ადამიანთა საბედისწერო და საინტერესო შემთხვევები: სხვადასხვა ოკულტისტური საგნები, შენობები, მოვლენები, რომელთა ახსნისათვის გამოყენებული იქნა 1) თეორიული საფუძვლები 2) ჰიპოთეზები პრაქტიკულ ფაქტებზე დაყრდნობით 3) გრძნობადი ხასიათის ცხადში ახდენილი მოვლენები 4) ფილოსოფოსთა და გენიოსთა შეხედულებები ამ საკითხებზე და დასკვნები. არამც და არამც არ უნდა გავიგოთ ის, რომ ეს არის რომელიმე საკითხის აპოლოგია ან უარყოფა. მაგ. არსებობს თუ არა ბედისწერა? აქ მოტანილია მასზე ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები და შემდეგ დე ადამიანებმა იმსჯელონ აქ შეჯახებული არგუმენტების ფონზე.

ადამიანის უმშვენიერესი და უღრმესი განცდაა იდუმალების განცდა. იგი საფუძვლად უდევს რელიგიას და აგრეთვე ყველა უღრმეს ტენდენციებს, როგორც ხელოვნებაში, ასევე მეცნიერებაში. ეს არის უნარი, რომელსაც ადამიანი სულის გამუდმებული წრთვნით, ჩვენი გონებისათვის იმხანად მიუწვდომელ და დაფარულ განცდებს ეზიარება. რისი მშვენება და სრულყოფილება ჩვენამდე მკრთალი ანარეკლის სახით აღწევს. ეს არის იგივე რელიგიურობა და ამ გაგებით ვართ რელიგიური.

ღმერთმა რომ შემოგვთავაზოს ასეთი არჩევანი: მარჯვენა ხელში ჰქონდეს მთელი ჭეშმარიტება, ხოლო მარცხენაში მარადიული ლტოლვა ჭეშმარიტებისაკენ,- რაც დაკავშირებული იქნება უდიდეს სიძნელეებთან, ჩვენ უნდა გავუწოდოთ ხელი მარადიულ ლტოლვას ჭეშმარიტებისაკენ, რადგან ჭეშმარიტება არსებობს მხოლოდ ღვთისათვის, ხოლო ჩვენთვის მარადიული ცდა და შეცნობა ჭეშმარიტებისა,

ამ ღვთიურ წვაშია, ადამიანის შეცნობის მარადიული ბედნიერება.

როდესაც ადამიანის გრძნობა ერწყმის ღვთაებრივ პირველწყაროს სამყაროისას, მაშინ ჰქრება ყოველგვარი შიში და ეგოიზმი. ამ დროს მიღწეული სულიერი სიმშვიდე ყოველ წამს ახალ შესაძლებლობას აძლევს ადამიანს ბედნიერებისას, ყველა კარგი თითქოს და იხსნება მის წინაშე, ყველა გზა ფიანდაზად ეფინება მას ფეხქვეშ. სამყარო მისთვის ყოველთვის ახალი, შეუცნობი და მშვენიერია და ყოველივე ეს ფიქრითი ლოცვის შედეგია. ამ დროს რელიგია ჩვენთვის გადაიქცევა პრაქტიკულ პოეზიად, და პირიქით, როგორც ანტიკური დროის ხალხთათვის. სამყაროს საფუძველი განუყოფელი უნდა იყოს სამყაროს შინაარსისგან... ღმერთი უნდა გავიგოთ, როგორც მსოფლიო ნება, ხოლო სამყაროს განვითარება, როგორც ღვთაებრივი ნების განვითარება. ამგვარად უნდა შევთანხმდეთ აქ თავმოყრილი მასალა მიზნობრივად არის ბედისწერის, მისტიკის და გენიოსის უფრო მეტი შეცნობა ანუ ნაბიჯი ცოდნის სიღრმეში. ეს სამი ფენომენი უერთმანეთოდ ვერ ძლებენ თუ ერთ-ერთი არსებობს, მეორე და მესამეც მაშინვე ჩნდებიან, აი ამან მაიძულა გამეერთიანებინა ეს მასალა ერთ წიგნად.

სამყარო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ არის რეზულტატი რაღაც კანონზომიერების, მაგრამ არის შემთხვევითობის მომენტებიც. ალბათობის თეორიის თანახმად უზარმაზარი კლდის ქანი რომ ათასჯერ ააფეთქო, მისი ნამსხვრევებიდან სავსებით შესაძლებელია ამოვიღოთ ქანდაკების შედევრად ცნობილი ვენერა, მაგრამ კმარა კი ბედისწერის და შემთხვევითობის შესაცნობად ეს ერთი მაგალითი? რა თქმა უნდა არ კმარა. თუმცა ბუნების სტიქიას იგივე შეეძლო, რაც გენიოსს გონების ღრმა ხარჯვის შედეგად შეუძლია.

მეცნიერნი და ფილოსოფოსნი დღემდე ჩხრეკენ გაარკვიონ შემთხვევითობასა და წინასწარგანზრახულობაში სად გადის ზღვარი და მის ამოსაცნობად დღემდე ისვრიან კამათლებს, ამჯერადაც ეს წიგნიც ერთ-ერთი ასეთი შედეგია. ასეთი საკითხის განხილვისას არ არსებობს ზომიერება, რადგან ღვთაებრივის განზომილებისათვის მიწიერი სარბიელი ძალზედ პატარაა. ბედისწერის აპოლოგეტები ხშირად მიმართავენ იმ მაგალითს თევზმა ზღვაში გადაგდებული ბეჭედი ათასი კილომეტრის იქით თავის პატრონს რომ მიართვა, რომელიც ბადეში მოჰყვა. ანტიკურმა ლიტერატურამ ბედისწერის თემას ბრწყინვალე ძეგლები დაუდგა ოიდიპოსის მეფის, ანტიგონეს, მედეას და სხვა ქმნილებათა სახით, მაგრამ ბედისწერის იდეის შეპყრობილ გონებას არც ეს შედევრები აძლევენ ამომწურავ პასუხს. შეიძლება ითქვას, რომ ხშირად ბედისწერის მკვლევარები ვერის საამო ჭნევით არიან გართული, ვიდრე ჭეშმარიტად ღრმა ძიება. ამ სტრიქონების ავტორისთვის ამ ეტაპზე ბედისწერა კი ასე შეიცნობა, იგი არსებობს, ვარსკვლავთა განლაგების მიხედვით, თუმცა შეიძლება მისი გადავადება ლოცვით, გონების მობილიზებით, ენერგიის კონცენტრირებით, მაგრამ არასოდეს არ შეიძლება არსებობდეს ადამიანის, ან ერის აბსოლუტური ბედისწერა, რადგან ეს კლავს ადამიანში ნებისყოფის და შრომის ძალას. ადამიანსა და საზოგადოებას შეუძლია მხოლოდ შეიცნოს დადებითი და უარყოფითი ველის ზეგავლენა მასზე, იგი უნდა ეძიებდეს მას გამუდმებით და დღენიადაგ გათვლილი უნდა იყოს მასზე. ჩვენ თავს მთლიანად ვერასოდეს შევიმცნებთ, მაგრამ უნდა ვეცადოთ ეს შეგრძნება რაც შეიძლება მაღალ დონეზე გვქონდეს, რაც ეს ხანდახან ასეც ხდება: ფლეიტაზე სხვადასხვა ბგერა რომ გამოსცეს, მუსიკოსი ხან ერთ ნასვრეტს აჭერს თითს, ხან მეორეს და ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს ყრუ და მჟღერი ბგერები მისი ნება-სურვილით ერწყმოდნენ ერთმანეთს-ასევე უსასრულოდ უნდა ხდებოდეს ბედისწერის შეცნობა, სხვადასხვა განზომილებით.

გოეთეს საოცარი თავისებურება იმაში იგრძნობა, როგორ უკავშირებს იგი

ერთმანეთს პატარა, უმნიშვნელო ამბავსა და მნიშვნელოვან შემთხვევას-ამასთან, ჩანს,-ის მხოლოდ ერთ მიზანს ისახავს-წარმოსახვის ძალით შექმნას პოეტური, მისტიკური თამაშის მსგავსი რამ და ბუნების ჭვრეტით აგნებს შეუმცდარ კვალს.

ყოველდღიური ცხოვრება სავსეა ანალოგიური შემთხვევებით. ისინი ქმნიან თამაშს, რომელიც, როგორც ყველა თამაში, სასიმოვნოა მოულოდნელობამდე და სიცრუემდე დადის.

უბრალო ცხოვრების უმეტესი მაგალითი ამ აბსურდული ურთიერთდამოკიდებულების დაკვირვებას ეფუძნება, ასე მაგალითად საშინელი სიზმრები ბედნიერებას ნიშნავს, სიკვდილი დიდხანს სიცოცხლეს, კურდღელი რომელიც გზაზე გარბის-უბედურებას და ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ არავითარი სასწაული არ არსებობს ბუნების გარეშე და პირიქით. ამ ჰარმონიის ხვეულებში დაკვირვება მიგვიყვანს აზროვნების სიღრმის უზენაეს ბედნიერებამდე.

## შესავალი რა და ვინ არის გენიოსი?

გენიოსის წარმოსახვისას ჩვენი გონება ატარებს ასეთ აზრს, გენია არის ძალზე წამახვილებული აზროვნება, რაღაც ხაზით ან დარგით, რომლის მგრძნობიარე და ნაზი ტვინი ძლიერ იმპულსურია, როგორც პოზიციური, ასევე ნეგატიური აზროვნების მიმართ. გენიოსი მეორის მხრივ არის ადამიანი, რომელმაც გამოიწვია რევოლუციური პროგრესი ცხოვრების ამა თუ იმ დარგში. თუმცა ამ ნაშრომში სიტყვა გენია, გენიოსი რამდენადმე პირობითია, რადგან ბევრი სახელმწიფოს პირველი პირი უბრალოდ შეურაცხადიც კი იყო. ჰიტლერს ან ნაპოლეონს, რომლებიც სამყაროს დამანგრეველად გვევლინებიან, როგორ შეიძლება ვუწოდოთ გენიოსი, მაგრამ მათ მიაღწიეს ომების წარმოებაში და იმპერიის შენებაში ძალზე დიდ სიმაღლეს და დღემდე ამ საქმეთა მაღალი ჭნადობა გენიალურობის ნიშნით განისაზღვრება. ძალზე საინტერესო განსაზღვრება აქვს გენიოსთან დაკავშირებით ნოვალისს:

გენია არის უნარი, გაიაზრო წარმოსახვაში შექმნილი საგანი ისე, როგორც არსებული და მიეპყრო მას როგორც არსებულს. ასახვის, ზუსტად დაკვირვების და ამ დაკვირვების ჭეროვნად აღწერის ტალანტი გენიისგან განსხვავდება. ამ ტალანტის გარეშე მხოლოდ ნახევრად გენიოსები ვართ და მხოლოდ ნახევარს ვხედავთ. შეიძლება გენიალური თანდაყოლილი ნიჭი გვქონდეს, რომელიც ამ ტალანტის უკმარისობის გამო ვერასოდეს განვითარდეს.

ამგვარად გენიოსებში შევიდა მხოლოდ გამოჩენილი და პოპულარული ადამიანები, სამწუხაროა, რომ მსოფლიოს არ გააჩნია გენიოსის იურიდიული ან მეცნიერული განსაზღვრება, სადაც მკაცრად ან მიახლოებით მკვეთრად განსაზღვრული იქნებოდა გენიოსის აუცილებელი ნიშნები და მიღწევები. კაცობრიობა თავისი არსებობის მანძილზე სხვადასხვა მონაცემებით სხვადასხვა რაოდენობას ითვლის, ზოგიერთი ინფორმაციით 1200 კაცი, ზოგიერთით კი-4000, ძნელია გაერკვე რომელი უფრო სწორე ციფრია, ამ საკითხს ჩიხიდან გამოიყვანს მათი დაყოფა იერარქიული საფეხურის მიხედვით. ზოგადად კი გვაწვდიან, რომ დედამიწის სტუმარი სხვადასხვა დროს 40 000 განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი იყო.

რა ხდება ადამიანის ორგანიზმში გენიალური აზრის დაბადებისას?

ადამიანი გენიალურობის გამოვლენისას, ფიზიოლოგიურად განიცდის სისხლის მოწოლას სხეულის ყველა არეში, ხოლო ტვინს იგი მიეწოდება იდეალური მოცულობით, (მეტისმეტი სისხლის მოწოდებაც არ იქნება კარგი) ეს ისეთივე ბალანსით, როგორც მიწის მორწყვა, მისთვის გვალვაც უკიდურესობაა და წყალდიდობაც. ამჯერადაც ბუნებისა და ადამიანის ჰარმონიულობასთან გვაქვს საქმე. ამ ფიზიოლოგიური პროცესის დროს ხდება, ლეთაებრივი ნაპერწკალი ანუ

იგივე ნიჭით დატვირთული მუხტი ინთება და შედეგიც სახეზეა, იდეალური პროდუქტის სახით. ამ წიგნში მოცემულია ფსიქოლოგიური ასპექტები ფარდობითობის თეორიის შექმნისას, სადაც უდავოა, რომ შთაგონების წყარო გენიალურ აინშტაინში იყო მუსიკა, იგი მუსიკით იღებდა საკვებს ამ თეორიის შექმნისათვის, მისი ტვინი ამ დროს იკვებებოდა სისხლძარღვების იშვიათი მუშაობით და ტვინის ის ადგილები, რომლებიც მუშაობდნენ ამ შემოქმედების განსხვავებისათვის გაჯერებული იყო მუდმივად ძალზედ გაწონასწორებული და ბალანსირებული სისხლის ნიწოდებით. აქვე მინდა დავძინო, რომ სოკრატე თვლიდა, რომ ჭეშმარიტი ხელოვნება იქმნება არა მონდომების შედეგად, არამედ გარკვეული ინსტიქტების წყალობით.

ამ ნაშრომში მოცემულია ინფორმაციები ტვინთა საწყობიდან, კერძოდ კი აინშტაინის და ლენინის ტვინის კვლევის შედეგები, რაც კიდევ უფრო სრულყოფილ წარმოდგენას შეგიქმნით ადამიანისამ მეტად უჩვეულო და შეუღწევად ორგანოზე. ამ სტრიქონების ავტორს კი სჯერა, რომ ტვინის სრული ამოცნობა არ მოხერხდება არავითარი მეცნიერული ექსპერიმენტების და ფილოსოფიის ხარჯზე, რადგან თუ ამას მიაღწევს კაცობრიობა მაშინ ძლიერნი ამა ქვეყნისა ანუ შეძლებულნი კონვეირზე გამოსცემენ და გამოუშვებენ გენიოსებს ისევე, როგორც ფორდის ტიპის ავტომანქანებს. გენიოსი კი თუ გამოცალკავებული არ იქნა საზოგადოებისგან, ისე ის ვერ იქნება გენია. ამერიკაში გამოსული წიგნი (გენიოსთა შესახებ–უოლტერი), რომელიც 1000 გენიოს-ექსპონატით არის წარმოდგენილი, კონტინენტებს ჰყოფს შემდეგნაირად: ჩინეთი, ინდოეთი, სპარსეთი, მცირე აზია, არაბული ქვეყნები, ეგვიპტის ჩათვლით და აფრიკის კონტინენტი-37, საბერძნეთი-44, დასავლეთ ევროპა-259, რუსეთი, პოლონეთი-26, დიდი ბრიტანეთი-397, აშშ, კანადა-112. სპეციალობის მიხედვით ასე განაწილდნენ პოლიტიკოსები და დიპლომატები-222, სწავლულნი- 178, ხელოვნების მოღვაწენი-79, სამხედრო მოღვაწენი-76, ექიმები-8, ამ უკანასკნელზე ნაკლებია გენიოსი პედაგოგები და ორატორები. გენიოსთა სიცოცხლე ჩვენს ერაში დაბადებულთათვის არის-65,3. ჩვენს ერამდე-60,4.

გენიოსთა სიცოცხლეზე მოქმედებს მათი პროფესიაც, უფრო დიდხანს ცხოვრობდნენ სწავლულები- 71,5, სახელმწიფო მოღვაწენი 66,9, მხატვრები და მოქანდაკეები-65,2, სამხედროები და მოგზაურები-63,4, დრამატურგები და მსახიობები-61,5, კომპოზიტორები-60, პოეტები-59,9.

ჩვენი ერის გენიოსები ასე განაწილდნენ საუკუნეების მიხედვით-პირველი ასწლეული 13, მეორე-8, მესამე-8, მეოთხე-10, მეხუთე-4, მეექვსე-4, მეშვიდე-4, მერვე-4, მეცხრე-4, მეათე-4, მეთერთმეტე-3, მეთორმეტე-9, მეცამეტე-13, მეთოთხმეტე-22, მეთხუთმეტე-66, მეთექვსმეტე-113, მეჩვიდმეტე-106, მეთვრამეტე-258, მეცხრამეტე-290.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ მოცემული სტატისტიკა არის ძალზედ პირობითი, რადგან პატარა და პოლიტიკურად და ეკონომიურად სუსტი ბერკეტების მქონე ქვეყნები ვერასოდეს ვერ ახერხებდნენ საკუთარ გენიოსთა გამოჩენებას მსოფლიო საზოგადოებრიობაში. ამიტომ არავინ იცის მეხუთე და მეთორმეტე საუკუნეებში ამერიკელმა უოლტერმა გენიოსთა შორის გაითვალისწინა თუ არა პეტრე იბერი და რუსთაველი. ამდენად სტალინის და ირაკლი აბაშიძის მხრიდან დიდ ეროვნულ საქმედ უნდა ჩაითვალოს რუსთაველის 750 და 800 წლის იუბილეს გადახდა. ასევე უნდა დადგინდეს რა კრიტერიუმებით უნდა შეფასდეს გენიოსთა გენიალურობა. რუსეთმა ბოლო ათწლეულში გამოსცა სწავლულთა და ფილოსოფოსთა სხვადასხვა სერიალი, სადაც თავმოყრილია ყველა მხარის და კონტინენტის საუკეთესო შვილები, იქ შეიძლება ითქვას, რომ ქართველის ჭაჭანება არ არის.

ჩემის მხრივ შემიძლია ასეთი დასკვნა გავაკეთო, მსოფლიოში შუა საუკუნეების აზროვნებას რენესანსი კავკასიაში და მცირე აზიაში იწყება გადადის სამხრეთ ევროპაში, შემდეგ კი ნელ-ნელა ჩრდილოეთისკენ მიცოცავს. ეს გენეალოგიური ხე ასე გამოიყურება: რუსთაველი, ხაიამი, ნიზამი განჯელი, ჰაფეზი მე-12, მე-13 საუკუნე, შემდეგ გადადის იტალიაში პეტრარკა, დანტე, მაკიაველი ჯორდანო ბრუნო, გალილეი, ფერწერის გამოჩენილი ოსტატები, მუსიკოსები, და მე-16, მე-17, მე-18, მე-19 საუკუნეში სარბიელზე შემოდიან საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიის დიადი სულნი. ჩვენ არ ვამბობთ ამ დროს აზიის სწავლულთა თვალი სრულიად დახშულია, მაგრამ ბალანსი აქ ევროპაში გაცილებით მეტია, ისინი ფაქტიურად აზრის მქადაგებლად და დამკანონებლად გვევლინებიან. აქ უტყუარია რომ ბუნებამ, ვარსკვლავებმა და მზემ თავის სიტყვა თქვეს. ერთ-ერთი საგაზეთო წერილი ტვინის შემოქმედებით პოტენციალზე ასეთ ცნობას გვაწვდის რომ ნიჭის ზრდაზე დიდად მოქმედებს მაგალითად ნიკრისის ქარის დაავადება. ეს ავადმყოფობა უტევდა როგორც ძველ ტიტანებს, ასევე დღევანდელ გენიოსებსაც. საქმე ის გახლავთ, რომ შარდმჟავა, რომლის სიჭარბეც სისხლში იწვევს სწორედ ნიკრისის ქარს, თავისი ბუნებით კოფეინსა და თებრომინს უახლოვდება. ეს ნივთიერებები აქტიურად ეხმარება ტვინის უჯრედებს მოღვაწეობისას. სასქესო ჰორმონების სიმრავლეც ერთ-ერთი მასტიმულირებელია გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებაში. ჩემის აზრით გენიალურობის განცდის წამს ტვინის უჯრედებში შედის განსაკუთრებული ელემენტების შემცველობის სისხლის სითხე, რაც იწვევს სწორედ ღვთაებრივ მუხტს, ღვთაებრივ ნაპერწკალს. გენიალურობის შესწავლას დიდი დრო და ენერგია მოახმარა ჩეზარე ლომბრეზომ, მაგრამ ვერც მისი კვლევები იქცა ამ სფეროში სახელმძღვანელოდ.

ლათინური ანდაზა ამბობდა გენიალურ ადამიანზე "ან შეშლილია ან მელექსე" და ეს ბოდვა სრულებითაც არ არის ავადმყოფობა, ეს ღმერთების მადლია, რადგან ბოდვის ზეგავლენით დელფოსის და დოდონის მისანი ქალები ათასნაირ სამსახურს უწევდნენ საბერძნეთის მოქალაქეებს, მაშინ როდესაც ჩვეულებრივ მდგომარეობაში, მათზე წინასწარმეტყველების განსაზღვრა ბევრად რთულია.

გენიალურობა ეს ტანჯვაა და მე ვწერ ლექსებს იმის გამო, რომ გავთავისუფლდე ამ ტანჯვისაგან. ჭეშმარიტი პოეტი არ შეიძლება სრულ ჭკუაზე იყო-ამბობდა დემოკრიტე.

კონსტანტინე გამსახურდია კი შემოქმედებას ფეხმძიმე ქალის მშობიარობას ადარებდა, ისევე როგორც ფეხმძიმე ქალი, რომელიც მტანჯველი სიტკბოს ბურანში იძირება მისი გონება, შემოქმედებითად დაორსულებული ადამიანიც ერთადერთ უზენაესობას ამ ნაყოფის შვით ბედნიერდება, თავისუფლდება მისგან და ეზიარება უზენაეს ალტაცებას. ასევე შვილივით საყვარელი და სათუთია შემოქმედებითი ნაყოფიც.

მართლმადიდებლური რელიგია ნიჭს განიხილავს როგორც ღვთისგან ცხებულ მადლს, სწორედ აქ ვლინდება ადამიანის თავისუფლება ღმერთისგან, ღმერთი ანიჭებს მას ძალას და შემდეგ ყველაფერი დამოკიდებულია მის ნებისყოფაზე, შრომაზე და არა ბრმა ბედისწერაზე. ნიჭი კი როგორც "საზოძვარი კეთილი" მომდინარეობს ღვთის მადლისგან და წარმოადგენს ქრისტეს მოცემულობას და მოქმედებს ადამიანის სულში, როგორც ადამიანისადმი ღმერთის სიყვარულის მოწმობა. "რამეთუ სიყვარული ღმრთისაი, განფენილ არს გულთა შინა, ჩუენთა სულითა წმიდითა, რომელ იგი მოცემულ არს ჩუენდა" ამიტომ ბრძანებს მოციქული "განყოფანი მადლთანი არიან, და იგივე სული არს", ნიჭთა სხვადასხვაობა მადლისგანაა, მადლი კი იგივე სულია.

ნიჭიერების მინიჭების ფენომენი მოიცავს და მსჭვალავს ყოველივეს როგორც ცოცხალ, ისე არაცოცხალ ბუნებას. არსებობს ნიჭი, რომელიც შთამომავლობას გადაეცემა და არსებობს ნიჭი, რომელიც მხოლოდ ინდივიდს ებოძება, ამ ინდივიდის სხვებისგან გამოყოფის მიზნით.

ნიჭი ადამიანს ებოძება არა როგორც ბედისწერა, არამედ როგორც თავისუფალი არჩევის საშუალება. მას შეუძლია ნიჭს მოუაროს, განავრცოს და ჩაკლას იგი.

ნიჭზე და გენიალურობაზე წერა ისევე დაუსრულებლივ შეიძლება, როგორც ფილოსოფიაში რომ ეძიო საგანთა მიზეზთა-მიზეზი, და ვერმოძებნა აბსოლიტური კატეგორიისა შედეგია იმისა, რომლის ირგვლივ ფიქრისას გგონია, რომ გაიარე ვრცელი გზა და ისევ იმ ადგილას დგახარ, ოღონდ ცოტა სახეშეცვლილი აზრის გამომხატველი ფორმით.

ასეთია გენიოსის და გენიალურობის გამოვლენის მეტად მტანჯველი და საოცარი თავგადასავალი და პარადოქსია რომ, ჩვეულებრივ ადამიანებს, ისინი ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულად მიაჩნიათ.

## შესავალი და საუბარი მისტიკის შესახებ.

ცოდნის სამყაროში მისტიკის სფეროში აზროვნება იგივეა რაც ალპინისტისთვის ალპური ზონა, (ნამდვილი მთასვლელობა) საიდანაც იწყება მიახლოება ნათელხილვასთან. ამიტომ ყველა დიდი ტილო, რომელიც დატვირთული .არ არის მისტიკური აზროვნებით სიდიადეს მოკლებულია, ამ შემეცნებითი სახის ნაშრომით კი გვინდა მოგაწოდოთ ინფორმაციები სხვადასხვა ოკულტისტური და მისტიკური საგნების და მოვლენების დანიშნულებისა, რომლითაც ესოდენ მდიდარია ძველი მსოფლიო.

ფილოსოფიას აქვს თავისი ყვავილები, ესენი არიან იდეები: ჩვენ ყოველთვის როდი ვიცით, რა ვუწოდოთ მათ, სასაცილო თუ მშვენიერი. ასევე მისტიკას აქვს თავისი ყვავილები ეს მისი მისტერიებია, რომელთა ინიციაციის ახსნის ფონზე შევდივართ მის იდუმალ და ზეგრძნობად სამყაროში. იყო მისტიკოსი ნიშნავს, რომ მზად იყო სიკვდილისთვის.

"ადამიანები, რომლებიც ატარებენ ცხოვრებას ღვთაებრივი არსის წიაღში, არ იცვლებიან, როდესაც სული შორდება სხეულს, ისინი კვლავ რჩებიან ღვთაებრივ არსში, რამდენადაც მათ შეიცნეს და შეიყვარეს ღმერთი, ხოლო საშინელი სამსჯავროს შემდეგ, როდესაც მოისპობა ყველა საგნები, სულის არსი შეუერთდება სხეულის არსს ღვთის არსებაში"-ამბობს მაისტერ ეკჰასტი.

ჩვენი გარდაცვალება ჩვენი კავშირია მარადიულ სასუფეველთან, ხოლო დაბადება წყლის შესმაა დავიწყების ჭიდან. აქედან გამომდინარე ჩვენ უფრო მეტი უნდა ვიცოდეთ საიქიოზე ვიდრე სააქაოზე. აზროვნების სამყაროს თუ ჩვენ იერარქიულ საფეხურებად დავყოფთ, რელიგიის და ბიბლიის შემდეგ (რომელიც ადამიანის გონების ბაზაა) უმაღლეს საფეხურს იკავებს-მისტიკაა.

ჭეშმარიტი მისტიკოსი ჰქვია ისეთ კაცს, რომელიც სავსებით ეუფლება თავის შინაგან ცხოვრებას და ქვეცნობიერის გააზრებით კონცენტრირებული მედიტაციისა და მკაცრი დისციპლინის შედეგად პოულობს მისტიკაში ახალ ცოდნას და განათლებას, რითაც იგი სწვდება შინაგან ბუნებას თავისი სულისას, თავის მიმართებას იმ შეუმუსვრელ სუბსტანციისადმი, რომელიც საფუძვლად უდევს ყველაფერს, იმ უზენაესი და მარადიული რეალობისადმი, რელიგია უწოდებს ღმერთს, ხოლო პოეზია ღვთაებრიობას.

ოკულტისტი ისევე ჰგავს მისტიკოსს, როგორც უმცროსი ძმა უფროსს. იგი ინტუიციის და სინთეზის უნარით დაჯილდოებული ადამიანია, რომელიც ცდილობს ჩასწვდეს ფარულ საძირკველს ბუნებისას მეცნიერული და ფილოსოფიური მეთოდებით, უკეთ რომ ვთქვათ დაკვირვებისა და შემეცნების გზით. ეს

მეთოდები პრინციპულად უცვლელნი არიან, მაგრამ განიცდიან მოდიფიკაციას გამოყენებისას, ხდება მათი მისადაგება სულის ქვედამავალ ან ბუნების ზეაღმავალ საუფლოებისადმი, არსთა უსასრულო იერარქიისა და შემოქმედი ლოგოსის ალქიმიისადმი.

მისტიკოსი არის ადამიანი, რომელიც დაეძებს ღვთიურ ჭეშმარიტებას საკუთარ თავში, თავისი უმაღლესი სულობის თანდათანობით გამოვლენისა და აღმოცენების გზით, და მიაღწევს რა ამას ხანგრძლივი ცდის შემდეგ, იჭრება საკუთარი სხივმოსილების ცენტრში, შემდეგ აზავებს და ათანაბრებს საკუთარ მე-ს პირველარსის ცხოველ ოკეანესთან. ოკულტისტი დაეძებს, სწავლობს და სჭვრეტს იმავე დინებას ღვთაებრიობისას, განსხვავებული სახით მოცემულს, განსხვავებული ძალით მომაღლებულს და უსასრულობამდე გამრავლებულს ბუნებასა და კაცობრიობაზე. პარაცელსის სენტენციის თანახმად: ოკულტისტი ხედავს ყოველ არსებაში ასონიშნებს დიადი ალფაბეტისა, რომელნიც ერთდებიან ადამიანში და ჰქმნიან მთლიანსა და ცნობიერ სიტყვას ცხოვრებისას.

დეტალური ანალიზები, რომელთაც იგი უქვემდებარებს ყოველივე ამას, სინთეზები ჰქვია და აფუძნებს იმის მეშვეობით, რომ წარმოადგენენ ხატებსა და გამოცხადებებს, რომლებშიაც ვლინდება ცენტრალური ღვთაება, ჭეშმარიტების, მშვენიერებისა და სიცოცხლის უხილავი მზე, რომელიც ირეკლება და ციმციმებს მისი თვალთახედვის წინაშე უთვალავ სარკეში.

მისტიკოსისათვის იარაღია კონცენტრაცია და შინაგანი ხედვა, ოკულტისტისათვის- ინტუიცია და სინთეზი. ერთი უკავშირდება მეორეს, ერთი ავსებს და გულისხმობს მეორეს.

ადამიანის ამ ორგვარ ტიპს შეიცავს ადეპტი, უმაღლესი ხელდასხმული. ეჭვგარეშეა, რომ ერთი ან მეორე, ხშირად ორივე უნარი გვხვდება დიდი რელიგიებისა და ზემხედველი ფილოსოფიური სისტემების დამფუძნებელ ადამიანებში. ნაკლები, მაგრამ მაინც აღსანიშნავი დოზით გვხვდებიან ეს უნარნი იმ პიროვნებებში, რომელთაც შეასრულეს დიდი როლი ისტორიაში. ესენი არიან დიდი რეფორმატორები, მოაზროვნენი, დიდი პოეტები, ხელოვანნი და სახელმწიფო მოღვაწენი.

ჩვენი დროის ადამიანებს არასწორად ესმით ჭეშმარიტი მისტიკოსის და ოკულტისტის რაობა, რადგან ამ ორ დარგის მუშაკებს იცნობენ მხოლოდ და მხოლოდ მათი არასრულყოფილი და გადაგვარებული წარმომადგენლობის მიხედვით, რომელნიც საკმაოდ მომრავლდნენ უკანასკნელ ხანებში.

დღევანდელი ინტელიგენტისათვის მისტიკოსი არის ერთგვარი ჭკუანაკლული ვიზიონერი, რომელსაც თავისი ზმანებები ფაქტებად მიაჩნია. ოკულტისტი- მეოცნებეა ან შარლატანი, რომელიც ბოროტად იყენებს ხალხის ნდობას, რათა დაიკვეხოს არარსებულ მეცნიერებაში განსწავლულობა და მოჩვენებითი ძალების ქონა. ამ წიგნის ერთ-ერთი მიზანი ამ აზრების ნეიტრალიზებაც არის.

პოეზიის შეგრძნებას ბევრი რამ აქვს საერთო მისტიციზმის შეგრძნებასთან. ეს არის შეგრძნება თავისებურის, პიროვნულის, გამოუცნობის, იდუმალის, რომელიც უნდა გამოცხადდეს როგორც შეგრძნება ყოველივე შემთხვევითი აუცილებლობისა. იგი სჭვრეტს უხილავს, მიუწვდომელს, იგი წარმოადგენს ნამდვილ სუბიექტ-ობიექტს: სულსა და სამყაროს ერთდროულად. პოეზიის გრძნობა ახლო დგას რელიგიური წინასწარმეტყველების გრძნობასთან. ვერავინ უარყოფს დღეს აგრეთვე თეოსოფიისა და ოკულტიზმის დამსახურებას, რომელთაც დააყენეს პრობლემა რელიგიის და შემეცნების ურთიერთდამოკიდებულებისა, რითაც დამტკიცდა რელიგიური ხელდასხმის დიდმნიშვნელობა და სიბრძნე. ანტიკურობის ერთ-ერთი უდიდესი სიბრძნე იყო ის რომ, რელიგიის შესწავლა დაიწყო რელიგიურად.

ჭეშმარიტი მისტიკოსი არის ის ტყე, რომელიც გამოვიდა კონსერვატული აზროვნების გამოქვაბულიდან. ამჟამად ბუნებისმეტყველთა წრეებში შეინიშნება აწრაფვა იმისა, რათა აღდგენილი იქნენ ძაფები, რომლებიც აერთებენ ამ მეცნიერებებს ადამიანური ცხოვრების უზენაეს საგანძურებთან ღმერთთან, სულთან, ნების თავისუფლებასთან და ა.შ. ეს ძაფები ერთ პერიოდში ლამის დაწყდნენ და ზემოთხსენებული ლტოლვები თითქმის სრულიად გაქრნენ ბოლშევიკების 70 წლის განმავლობაში

ჩვენ უნდა მივესალმოთ იმ გაბედულ მკვლევარ-რეფორმატორებს, რომელთაც პოზიტიური მეცნიერების საშუალებანი მიუსადაგეს ჰიპერფიზიკურ სამყაროს და მით ჩაუყარეს საფუძველი ძეგლს, ადამიანური ცოდნისა, დასდეს რა პირველი ქვა იმ დიადი ტაძრისა, რომელშიაც ახლო მომავალში მოხდება საზეიმო შერიგება ორი დამდურებული დისა-რწმენისა და მეცნიერებისა. ეს მოხდება ისევე, როგორც მეტაფიზიკასა და ასტრონომიაში, სადაც მზე იგივეა ასტრონომიაში, რაც ღმერთი მეტაფიზიკაში. თავისუფლება და უკვდავება ჰგვანან სინათლესა და სითბოს. ღმერთის თავისუფლება და უკვდავება ოდესმე გადაიქცევიან სულიერი ფიზიკის საფუძვლად, ისევე როგორც მიწიერი ფიზიკის საფუძველია მზე, სინათლე და სითბო.

გრძნობადი აღქმა საფუძვლად უდევს დაკვირვებით ასტრონომიას, რომელიც სწავლობს ვარსკვლავთა მიერ შემოხაზულ რთულ ტეხილებს... გეომეტრიული მსჯელობით კი გონება ჰქმნის ასტრონომიას, რომელსაც ხელეწიფება დადგენა ზუსტი ფიგურებისა და მუდმივი მიმართებისა. ეს ჭეშმარიტი "ასტრონომია" სცვლის არამყარ ტრაექტორიებს, რომელთაც "დაკვირვებითი" ასტრონომია მიაწერდა ვარსკვლავებს, უბრალო და მუდმივი ორბიტებით... წმინდა გონება კი სწვდება მესამე, უმაღლეს ასტრონომიას-თეოლოგიურს ანუ ფილოსოფიურს. ზეციურ მოძრაობათა უქცევადობაში ეს ასტრონომია ხედავს დამამტკიცებელ საბუთს ღვთაებრივი სულების არსებობისას, რომელნიც ერწყმიან ციურ სხეულებს ზოდიაქალური ნიშნების ზემოქმედებით.

უსასრულობას რომ ერთი მივუმატოთ, იგი არც მოიმატებს, არც მოიკლებს. ასევე ყოველგვარი სასრულობა ჰქრება უსასრულობის პირისპირ, და იქცევა წმინდა არარაობად. ასევე უძლური და უაზრო მგონია ჩემი გონების ქროლვა მისტიკის საუფლოში, (რადგან ჩვენ ვიცით, რომ არსებობს უსასრულობა და არ ვიცით მისი ბუნება. ჩვენ ვიცით, რომ სიცრუეა იმის მტკიცება, თითქოს რიცხვთა რიგი სასრული იყოს, ე.ი. ვიცით, რომ არსებობს უსასრულო რიცხვი, მაგრამ ჩვენ არ ვსცნობთ მას, რადგან არ ვიცით რიცხვი კენტია თუ ლუწი, ასე რომ ამ ერთი შრომის მიმატებით ვერ ვცვლით მის ბუნებას. ასევე ვთვლი ამ შრომის არსებობას მისტიკის უკიდეგანო სივრცეში, მაგრამ მის გონებაში ვერდატევამ მაიძულა გამომეტანა ფიქრები სამზეოზე. როგორც ბევრჯერ ვახსენეთ მისტიკის, ბედისწერის და გენიოსის აბსოლუტს ადამიანი ვერასოდეს ვერ ჩაწვდება, აბსოლუტური კატეგორიებით ეს არის მიახლოება და განსჯა იდუმალთა და საღმრთო საგანთა შესახებ. "ფილოსოფოსები მსოფლიო სულის გამოღვიძებისას მისივე ტაძრის სიღრმეში იმყოფებოდნენ, როგორც კაცობრიობის ცხოვრების დამწყებნი და ამ პირველადი აქტის დამსწრენი"- ამბობს ჰეგელი.

მეცნიერება და რელიგია, რომელნიც ვიღაცის პოლიტიკური ახირებების გამო უბრად არიან ხოლმე ერთმანეთთან, ფილოსოფიის საშუალებით და ენით იწყებენ ხოლმე საუბარს შერიგებისას და მათი სინთეზით იწყება გადასვლა მისტიციზმში რელიგიურ მოძღვრებათა ფარულ დედაარსში. ამიტომ მეცნიერების და რელიგიის ქორწინებით ვიღებთ ნაყოფს მისტიკის სახით. ფილოსოფოსის უნარიანობა მდგომარეობს იმაში, რომ პლატონის თქმით, შეიმცნო მრავლობითობაში

ერთიანობა, და ერთიანობაში მრავლობითობა. ფილოსოფოსნი კი უმეტესად ცხოვრობდნენ მარტოობაში, განმარტოებულ მთასავით და სჭვრეტდნენ საგნებს მწვერვალის მსგავსად, რადგან მისი შუბლი ზეცას მისწვდენოდა.

ყოველივე ამ შესავალში თქმული შემოქმედებითი ცეცხლის ანგელოზი არის სიტყვა ღვთისა. ღვთის სიტყვამ შექმნა დედამიწაზე ყოველი სიცოცხლე და იმ აზრის მცხუნვარება, რომელიც ასულდგმულებს დედამიწაზე არსებულ სულიერს და უსულოს და ამავე დროს შემოქმედის სიტყვა იგივე შემოქმედებაა და ამავე დროს მისივე მხოლოდშობილი ძე. ისევე როგორც ეს ნაშრომი ჩემთვის.

## გენიოსთა და გამოჩენილ ადამიანთა საბედისწერო შემთხვევები, გამოჩენილი წინასწარმეტყველები, მისტიკოსები, მაგები, მკითხავები.

*1) მამა აბელის დევნა წინასწარმეტყველების გამო*
*2) როგორ იქმნებოდა აინშტაინის ფარდობითობის თეორია*
*3) ალბერტი (ალბერტ ფონ ბოლშტედტი) სწავლული და თეოლოგი*
*4) ალექსანდრე II (რუსეთის იმპერატორი)*
*5) მადამ ბლავატსკაია*
*6) დავით აღმაშენებლის სიკვდილთან დაკავშირებული მოვლენები*
*7) 65 წლის გოლუმბიევსკის სიკვდილისწინა ხილვა*
*8) ისრაელის მეფე დავით წინასწარმეტყველი და ფსალმუნების ავტორი*
*9) შეხედულებები ფსალმუნებზე*
*10) გიორგი გურჯიევი*
*11) პარი გუდინის საიდუმლოება*
*12) ვანგა*
*13) ჟიულ ვერნი და მისი ლიტერატურული წინასწარმეტყველება*
*14) მარინა ვლადი და ვლადიმირ ვისოცკი*
*15) ეკატერინე II*
*16) ჩარლი ჩაპლინი*
*17) მაისტერ ეკჰარტი*
*18) პრეზიდენტ რეიგანის მმართველობის პერიოდი და ასტროლოგი ჯონ კუიმლი*
*19) ასტორლოგი რენო ნერო*
*20) ემანუილ სვედენბორგი-შვედი ფილოსოფოსი და ნათელმხილველი*
*21) იუნგის სიზმარი*
*22) ერთ-ერთი ყველაზე საოცარი წინასწარმეტყველება მომავლის შეცნობის ისტორიაში-ჟაკ კაზოტი*
*23) გრაფი კალიოსტრო*
*24) იმანუილ კანტი*
*25) კენედების ოჯახის ბედისწერა*
*26) ართურ კლარკის წინასწარმეტყველება*
*27) ჯონ ლენონი*
*28) ლუდოვიკოს XVI და მარია ანტუანეტას ვაჟიშვილის ბედი*
*29) მარია ლენორმანის წინასწარმეტყველება*
*30) ვატერლოოს ბრძოლა*
*31) ალ. მაკედონელი და მასთან დაკავშირებული წინასწარმეტყველებანი*
*32) ნოვალისის ბედისწერა*
*33) მიშელ ნოსტრადამუსი*
*34) პითაგორა მაგი, მედიუმი ფილოსოფოსი*

*35) ალ. პუშკინის და მიხ. ლერმონტოვის მკითხავი*
*36) გრაფი სენ-ჟერმენი*
*37) სტალინი, წინასწარმეტყველება და მაგიური რიცხვი*
*38) რა ბედის იყოს ის მანქანა, რომელშიც ააფეთქეს ავსტრია-უნგრეთის ერცჰერცოგი ფრანც-ფერდინანდი, რომლის მკვლელობა შეიქმნა პირველი მსოფლიო ომის საბაბი*
*39) ძველი შუმერები და წინასწარმეტყველება*
*40) ჰემინგუეების ბედისწერა*
*41) რობინ ჰუდის საფლავი*
*42) ჰერმესი (ტრისმეგისტოსი)*
*43) სიზმარში დათქმული შეხვედრის ცხადში ახდენა*
*44) ერთი უცნაური წინასწარმეტყველება*
*45) ედგარ კეისი*
*46) ჯინ დიქსონი*
*47) შამპოლიონი*
*48) ჰერბერტ უელსი*
*49) ნატო ვაჩნაძე*
*50) რობერტ ვუდი*
*51) გალაქტიონ ტაბიძე*
*52) გურამ რჩეულიშვილი*
*53) ილია ჭავჭავაძე*
*54) იოსებ ჟორდანია*

## მამა აბელის დევნა წინასწარმეტყველების გამო

*ნათელმხილველი ბერი აბელი*, ერისკაცობაში ვასილ ვასილიევი დაიბადა 1757 წელს სოფელ აკულოვოში, გლეხის ოჯახში. ახალგაზრდობიდანვე ღვთის სამსახური იტაცებდა. 19 წლის აღიკვეცა ბერად და აბელი ეწოდა. 9 წელი მოღვაწეობდა ვლადიმირის მონასტერში, ლადოგის ტბაზე. სწორედ აქ 1787 წელს ღვთიური ხილვისას მიევლინა ორი ანგელოზი, რომელთაც აუწყეს, რომ ღმერთის მიერ ნათელმხილველის მადლი აქვს მინიჭებული. აბელი გადადის კოსტრომის მონასტერში და წერს წიგნს, სადაც ნაწინასწარმეტყველებია სამეფო ოჯახის მომავალი. წიგნში ნათქვამი იყო, რომ ეკატერინე II-ეს რვა თვის სიცოცხლე აქვს დარჩენილი და იგი მოულოდნელად მოკვდება. ეკატერინე II-ემ ამისათვის იგი ჩაამწყვდია შლისელბურგის ციხეში და წიგნის საიდუმლოდ დაცვა ბრძანა. წინასწარმეტყველება ახდა. პავლე I-მა ბერი აბელი გაანთავისუფლა და ალექსანდრე ნეველის ლავრიაში გაამწესა. აბელიმ გააგრძელა წიგნის წერა და პავლე I-ს ტრაგიკული მომავალი უწინასწარმეტყველა რისთვისაც იგი კვლავ ციხეში მოხვდა ამჯერად პეტრე-პავლეს ციხეში. პავლე I-ის სიკვდილის შემდეგ აბელი ალექსანდრე I-მა გაათავისუფლა და სოლოვეცკის მონასტერში გადაიყვანეს. მკაცრი მეთვალყურეობა დაუნიშნეს და მონასტრიდან გასვლა აუკრძალეს. აქ მან დაწერა მესამე წიგნი, სადაც აღწერა თუ როდის და როგორ აიღებენ მოსკოვს. როცა ეს წინასწარმეტყველებაც ახდა, ალექსანდრე I-მა აბელს მოუხსნა მეთვალყურეობა და სრული თავისუფლება მიანიჭა, რელიგიურ საქმეთა მინისტრს თავად ა. ნ. გოლიცინს მისი პეტერბურგში ჩაყვანა უბრძანა. ამის შემდეგ მან წინასწარმეტყველებაზე ხელი აიღო და მოიარა წმინდა ადგილები ათონი, იერუსალიმი, სტამბოლი... დაწერა წიგნი "მამა აბელის ცხოვრება და მოწამეობა", რომელშიც თავის შესახებ წერს: "მამა აბელის ცხოვრებისათვის ღვთის მიერ დაწესებულია 83 წელი და 4 თვე" აქ იგი შეცდა ნახევარი წლით.

გატჩინოს სამეფო სასახლის ერთ მომცრო ოთახში კვარცხლბეკზე იდგა

ძეირფასად მოოჭვილი ზარდახშა (ყუთი პავლე I-ის მეუღლის მარია ფეოდოროვნას მიერ იყო დადგმული) ანდერძით მისი გახსნა შეიძლებოდა, პავლე I-ის გარდაცვალებიდან 100 წლის შემდეგ, გახსნიდა ვინც იქნებოდა მეფე. და აი ერთ დღეს ნიკოლოზ II და დედოფალი მხიარულნი გაემგზავრნენ გატჩინოში, იქიდან კი ძალზე დამწუხრებული და შეწუხებულნი დაბრუნდნენ. არავინ იცოდა რა ნახეს ზარდახშაში. ამ ამბავს მცირეოდენ ნათელს ჰფენს 1920 წელს ხარბინში გამოცემული ემიგრანტული ჟურნალის ("ციური ბანანა") პუბლიკაცია- "წინასწარმეტყველება სამეფო ოჯახის შესახებ", რომელიც ეკუთვნის ალ. ნეველის ლავრის ბერს აბელს. პუბლიკაციაში ვკითხულობთ: "ნიკოლოზ II წმინდა იობის მსგავსი მეფე სამეფო გვირგვინს გადასცემს ხალხს. იქნება დიდი სამამულო ომი... ჰაერში ადამიანები ჩიტებივით იფრენენ, წყალში კი თევზებივით იცურავებენ. იქნება დიდი ღალატი. დაეცემა სამეფო ტახტი. სისხლითა და ცოდვით გაიჟღინთება ცოდვილი დედამიწა". გაოცებას იწვევს მოსაზრება "მრავალტანჯული იობის მსგავსი მეფე". ნიკოლოზ II დაიბადა 1868 წლის 6 მაისს, წმინდა იობის დღეს. ამჟამად არაფერია ცნობილი წინასწარმეტყველ აბელის წიგნების შესახებ. შესაძლოა იგი რომანოვების დინასტიის არქივში იყოს. მათ არავინ ეძებს, არადა, იქ ხომ მხოლოდ რუსეთის მეფეების ამბავი არ არის ნაწინასწარმეტყველები.

### *როგორ იქმნებოდა აინშტაინის ფარდობითობის თეორია*

ჩარლი ჩაპლინი იგონებს: "ერთ დღეს იუნივერსალის სტუდიიდან დამირეკეს და მითხრეს, პროფესორ აინშტაინს სურს შენი გაცნობაო. ძალიან გამიხარდა და ავღელდი" აი ამ შეხვედრაზე აინშტაინის მეუღლემ უამბო ჩარლის თუ როგორ იბადებოდა ფარდობითობის თეორია.

"პროფესორი ჩვეულებრივ ჩამოვიდა სასაუზმოდ, ხალათი ეცვა მაგრამ არაფრისთვის ხელი არ უხლია. ავად ხომ არ არის მეთქი, ვიფიქრე და ვკითხე, ხომ არაფერი აწუხებდა".

ჩემო ძვირფასო-მითხრა მან-დიდებული აზრი დამებადა, მან ყავა დალია და როიალს მიუჯდა, დაკვრა დაიწყო. უცებ შეჩერდებოდა, რაღაცას ჩაინიშნავდა და იმეორებდა: დიდებული აზრი დამებადა, ბრწყინვალე აზრი.

მე ვთხოვე უფრო კონკრეტულად ეთქვა რამე. ძნელია ჯერ არ ჩამოყალიბებიაო, მიპასუხა და მთელი. ნახევარი საათი ასე უკრავდა, რაღაცეების ჩანიშნებით. მერე თავის კაბინეტში ავიდა ზემოთ, მთხოვა, ნუ შემაწუხებთო და მთელი ორი კვირა იქ გაატარა.

საჭმელს იქ ვუგზავნიდი. საღამოთი ცოტას გაივლიდა, მუხლს გამართავდა და ისევ სამუშაოს უბრუნდებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ ერთიანად გაფითრებული ჩამოვიდა თავისი ოთახიდან და თქვა: "აჰა"-ეს იყო მისი ფარდობითობის თეორია.

საინტერესო გარეგნული აღწერა აქვს ჩაპლინს აინშტაინის, როგორი იყო ის ფსიქოლოგიური გამომეტყველებით. "რომ შეხედავდი, ნამდვილად ალპების გერმანელი იყო. გულმხიარული და კარგი სამეგობრო კაცი, ამ სიტყვების კარგი გაგებით, მაგრამ მე ვგრძნობდი, რომ ამ გარეგნული სიმშვიდის მიღმა მაღალი ემოციები და ტემპერამენტი იმალებოდა. მისი არაჩვეულებრივი ინტელექტუალური ენერგიაც სწორედ ამ წყაროთი იკვებებოდა".

### *აინშტაინის საბედისწერო შემთხვევები და საიდუმლო*

1955 წლის 18 აპრილს შუაღამისას 1-ლ საათზე გაჩერდა უდიდესი მეცნიერის ფარდობითობის თეორიის ავტორის გული. ნიუ-ჯერსის შტატში, ტრენტონის მახლობლად, მხოლოდ ძალიან ახლობლები დაესწრნენ მისი ფერფლის დაკრძალვას. აინშტაინის ანდერძის თანახმად ურნა საიდუმლოდ დაიკრძალა. ამბობენ ფერფლთან ურნაში აინშტაინის ხელნაწერთა ფერფლიც იყო, რომელსაც თვითონ მეცნიერმა წაუკიდა ცეცხლი. რა იყო ამ ხელნაწერებში? დიდმა

მეცნიერმა ამის პასუხი საფლავში ჩაიყოლია. უკანასკნელ ხანს ალბერტ აინშტაინი აქტიურად ეწინააღმდეგებოდა ბირთვული იარაღის შექმნას. თავად მუშაობდა თეორიაზე, რომლის მიხედვით, ერთადერთი განტოლების დახმარებით შესაძლებელი გახდებოდა სამი ფუნდამენტური ძალის-ელექტრომაგნიტურის, გრავიტაციულის და ბირთვულის ურთიერთმოქმედების აღწერა. სავარაუდოა, რომ სწორედ ამ დარგში მოულოდნელად აღმოაჩინა რაღაც, რამაც აიძულა, თავისი ნაშრომი გაენადგურებინა. ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ ამერიკის სამხედრო უწყებამ მოასწრო დიდი ფიზიკოსის თეორიული ნაშრომის ნაწილით სარგებლობა მანამ, ვიდრე მეცნიერი ბოლომდე გაიაზრებდა აღმოჩენილს. თავიდან მოულოდნელად თითქოს არაფერი იყო, ომი მიმდინარეობდა და სამხედრო სპეციალისტები ყოველნაირად ცდილობდნენ, თავიანთი ხომალდები და თვითმფრინავები მოწინააღმდეგის ლოკატორებისათვის გაეუჩინარებინათ. გაჩნდა იდეა ისეთი ელექტრომაგნიტური ძაბვის ველის შექმნისა, რომლის დროსაც მზის სხივები ისე გადაიხლართებოდა, რომ ობიექტს ვერც ადამიანი შეამჩნევდა და ვერც ხელსაწყო. აინშტაინს დაევალა იდეის განხორციელება. ამას მოჰყვა მოვლენა, რომელიც მე-20 საუკუნის გამოცანათა შორის ერთ-ერთი ყველაზე იდუმალია. 1943 წელს ფილადელფიაში, გემი, რომელზეც ვარაუდის თანახმად იდგა უხილავობის გენერატორი, საერთოდ გაქრა ეკრანიდან, რის გამოც ეკიპაჟი ნახევრად შეშლილს დაემგვანა. ასევე აორთქლდა ბევრი მეზღვაური. 1943-1944 წლებში აინშტაინი ვაშინგტონში საზღვაო სამინისტროში მუშაობდა. გემი "ელდრიჯის" გაქრობის ცოცხალი მოწმეებიც ბევრი იყო, ბევრი რაიმეს მოყოლა შეეძლოთ გემის ჟურნალებსაც, მაგრამ ისინიც გაქრა. მკვლევარები ფიქრობენ, რომ ერთადერთი აინშტაინი იყო ვისაც შეეძლო აეხსნა ეს უცნაური მოვლენა.

*ალბერტ დიდი (ალბერტ ფონ ბოლშტედტი)*-სწავლული, თეოლოგი, ასტროლოგი. დაიბადა 1193 წელს გერმანიაში. მომავალმა დომინიკანელმა ბერმა დაიწყო კათოლიკური ღვთისმეტყველების ენციკლოპედიური სისტემატიზაცია, რომელიც შემდეგ დაასრულა მისმა მოწაფემ თომა აქვინელმა. ალბერტ დიდს მიიჩნევენ, როგორც მეცნიერების დამაარსებლად. არის ასეთი გადმოცემა, რომ მისი მოწაფე ერთხელ მისგან გაიქცა შეშინებული იმის გამო, რომ მოძღვრის ერთ-ერთმა თოჯინამ მას გაუწოდა ხელი და დაელაპარაკა. ის ატარებდა ექსპერიმენტებს თოჯინებზე, იკვლევდა და წერდა ტრაქტატებს მინერალებზე, მცენარეებზე, ცხოველებზე. მას უდიდესი მიღწევები ჰქონდა ასტროლოგიაში და წინასწარმეტყველებაში. მისი თქმით გერმანია არასოდეს არ იქნება ერთიანი ხალხი, რადგან 455 წელს, როდესაც გერმანელებმა რომი გადაწვეს, (წაბილწეს რომაული ღვთაებები, მათ გერმანელ ხალხს გათიშულობის წყევლა გამოუგზავნეს). გერმანია ასევე 700 წლის განმავლობაში თითქმის სამჯერ დაიპყრობს მსოფლიოს. მართლაც XVI საუკუნეში მისი წინასწარმერტყველებით საღვთო რომის იმპერიის ტახტზე კარლ V გაბსბურგია, რომელიც ახლოს იყო ამ მიზანთან. მე-19 საუკუნეში ფრიდრიხ დიდი და ბისმარკი გადადგამენ ამ მიზნისკენ ნაბიჯს, მე-20 საუკუნეში კი ჰიტლერს მსოფლიო დაპყრობის იდეამ, გერმანია კრახამდე მიიყვანა, თავისი თავი კი თვითმკვლელობამდე. ამერიკის აღმოჩენა მან ასე იწინასწარმეტყველა ჰერკულესის (გიბრალტარი) სრუტის იქით აღმოაჩენენ მიწას. იქ დასახლდებიან ჩრდილოელები, რომლებიც უხელმძღვანელებენ ჯვარს. მართლაც აღმოჩენილ ამერიკაში გავრცელდა ქრისტიანობა. ალბერტ დიდმა ასევე განსაზღვრა ტექნიკის მიღწევები-გამოიგონებენ მოსიარულე მანქანას, ხოლო შემდეგ მას შორს მოისვრიან. ასევე ოდნავი შეცდომით (1969) ალბერტს ჰქონდა გათვლილი მთვარის ათვისება. ხოლო აქედან 100 წლის შემდეგ ზეციდან ჩამოვლენ ანგელოზები, მოხდება განკითხვა და შემდეგ დაისადგურებს ოქროს ხანა.

ისლამი იარსებებს 2080 წლამდე. სატანას აუგებენ ტაძრებს, წყლიდან ამოიწევს უძველესი სახელმწიფო (მხედველობაშია ალბათ ატლანტიდა) კაცობრიობა გაიყოფა სამ ნაწილად და ღმერთი ჩაერევა მათ მორიგეობაში.

*ალექსანდრე II*

როგორც გადმოგვცემენ მკითხავი ერთი უწიგნური ქალი იყო, მან არც ის იცოდა, რომ მის წინაშე რუსეთის მომავალი მეფე იყო. ქალმა ჩურჩულით წარმოთქვა შირე (ფრანგულად მეფე). მამაკაცმა შეაწყვეტინა ასე რატომ მომმართავთ? ქალმა ამ კითხვაზე არაფერი უპასუხა, არც ფული აიღო მისგან, მხოლოდ ეს უთხრა ბოლოს: თქვენს მოკვლას შვიდჯერ ამაოდ შეეცდებიან, ხოლო მერვე თავდასხმის დროს აუცილებლად დაიღუპებით.

რუსეთში ამ წინასწარმეტყველების შესახებ იცოდნენ მის ასრულებამდე გაცილებით ადრე... არც ერთ რუს იმპერატორზე არ ყოფილა ამდენი უაზრო და სისხლიანი თავდასხმა. ამავე დროს იგი იყო ჭკვიანი და ჰუმანური მმართველი უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე. მან ჩააწყნარა კავკასია, აკრძალა შპიცრუტენებით ცემა, შემოიღო მართლმსაჯულთა სასამართლო, აკრძალა ბატონყმობა, მონობა და ა. შ. მეფეს უკვე დათვლილი ჰქონდა 5 თავდასხმა, რომ 1880 წლის 5 თებერვალს ზამთრის სასახლე საშინელი ძალის აფეთქებამ შეაზანზარა, რომლის შედეგად დაიღუპა 11 კაცი და 56 დაიჭრა. 1881 წლის 1 მარტს კი მისი ეტლი კვლავ აფეთქების კვამლში გაეხვია. იგი პირველი მიიჭრა ტერორისტთან და ჰკითხა: "შენ ისროლე ბომბი"-"მე ვისროლე" "ვინ ხარ შენ"- "მდაბიო გლაზოვი, იცრუა რისაკოვმა. მეფე ცოტა ხანს სდუმდა და შემდეგ აფეთქების შედეგად დაჭრილ სულთმობრძავ პატარა ბიჭუნასთან დაიხარა, სანამ მივიდოდა გულში ჩაილაპარაკა ესეც მეშვიდე. ამ დროს მეორე ტერორისტმა გრინევეცკიმ თავისი ფუთა (ბომბი) ესროლა იმპერატორს. ეს უკვე მერვე იყო. გრინევეცკი შემთხვევით ჩათვალეს აფეთქების მსხვერპლად, იგი სასახლის საავადმყოფოში გარდაიცვალა. სხვები დააპატიმრეს და გაასამართლეს. სასამართლოს პროცესზე ჟელიაბიოვმა პარიზელი მკითხავის წინასწარმეტყველებაც გაიხსენა. ბედის ირონია სწორედ. კონსტიტუცია, რომლისთვისაც იბრძოდა "ნაროდნაია ვოლია" და რისთვისაც შეიწირეს იმპერატორი წინადღით იყო უკვე დამტკიცებული. ტახტზე ავიდა ალექსანდრე III-ე, და ყველა რეფორმა და პრივილეგია გააუქმა, რაც ხალხს ასე ძალიან სურდა.

*მადამ ბლავატსკაია*

ოკულტიზმის ისტორია წარმოუდგენელია პოპულარული რუსი ქალბატონის ელენე პავლოვნა ბლავატსკაიას გარეშე, ჩვენც ასე მივმართავთ მის პიროვნებას, რადგან მას მთელი მსოფლიო რუსული კალკით მიმართავდა და წერის დროს მისი სახელის, მამის სახელის და გვარის ინიციალებს ხმარობდნენ. ე.პ.ბ. იგი დაიბადა 1831 წელს რუსი პოლკოვნიკის ხანის ოჯახში. მას ახლო მეგობრობა ჰქონდა იმ დროის რუსეთის სამეფო კარის უმთავრეს ფავორიტებთან და მათ შორის გრიგოლ რასპუტინთან. 16 წლის ასაკში გათხოვდა 24 წლით მასზე უფროს მაღალჩინოსან გენერალ ბლავატსკაიაზე, რომელსაც მალე გაეყარა, მის გვარს კი არასოდეს აღარ დაშორებია, თუმცა, მას ჰქონდა შემდგომ ქორწინება მასზე შვიდი წლით უმცროს ქართველზე მიხეილ ბეთანელზე, რომელიც ასევე ძალიან მალე დატოვა. არსად ისე კარგად არ იხატება მისი აბნეული ცხოვრების გზა, როგორც მისი ცხოვრების ხეტიალში, და სამსახურეობრივი მოღვაწეობის სფეროში. იგი მუშაობდა ცხენების მომვლელად და მოჯირითედ ცირკში, სწავლობდა ფორტეპიანოს პარიზსა და ლონდონში. ხელმძღვანელობდა თბილისის ხელოვნური ყვავილების ფაბრიკას, ასისტენტებდა მედიუმ დანიელ დუნგლას ნოუმეს. ქალიშვილობას რომ გასცდა ზომაზე მეტი წონა აკრიფა, მაგრამ

მიუხედავად ამისა მომხიბვლელობა არ დაუკარგავს მის ცისფერ თვალებს, გარეგნულად მგრძნობიარე ბაგეებს, თეთრად გადაპენტილ სახეს და შავად მბზინავ თმებს ის ბევრს მოგზაურობდა და მისი დაკვირვების საგნებს წარმოადგენდა ქვეყნები მეხიკო, ტეხასი, ინდოეთი, კანადა და განსაკუთრებით ტიბეტი და რომ არა ეს უკანასკნელი, შეიძლება იგი ვერ ყოფილიყო ე.პ.ბ. ან მადამ ბლავატსკაია. ერთხელ გემით საბერძნეთიდან იტალიაში ბრუნდებოდა. კატასტროფის შედეგად ხომალდი ფსკერისკენ წავიდა, გემზე მყოფი 400 მგზავრიდან 16 გადარჩა მათ შორის მადამ ბლავატსკაია. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი კატასტროფების დროს მსხვერპლის დიდი შედეგი მოდის პანიკის და ფსიქოლოგიური სტრესის ხარჯზე, ამ დროს ერთადერთი მხსნელია ენერგიის კონცენტრირება და მისი ფსიქოლოგიური წონასწორობის დაცვა. 1873 წელს ის გაემგზავრა ამერიკაში, ეს ქვეყანა ამ დროს სპირიტუალიზმით იყო გატაცებული და ისეთ დონეზე, რომ მოსახლეობის მესამედი საყვარელი საგნებიანად ჰაერში დაცურავდა. ამ პერიოდში მადამ ბლავატსკაია ეცნობა გალანტური გარეგნობის იურისტს ჰენრი სტილ ოლკოტს და მისი ზემოქმედებით ხელს მოჰკიდებს მედიუმობას. არის იმდენად ლამაზი, რომ გაზეთის მესვეურები ხშირად მას გარეგნობის გარეკანზე ათავსებენ. ეწევა მარიხუანას, არის უხეში, ტემპერამენტიანი და ნერვიული. მას იქაურ კოლეგებთან შედარებით აქვს ერთი უპირატესობა, მან ტიბეტიდან წამოიღო მისტიკური საიდუმლოება მაჰათმას შესახებ, რის საშუალებითაც სულიერ ადეპტებს შეუძლიათ გარდაქმნან სამყარო. ამ პერიოდში პოლკოვნიკი ოლკოტი მიატოვებს თავის ოჯახს და გადადის რუს ქალბატონთან საცხოვრებლად, მაგრამ არც ეს ქორწინება გამოდგა სრულად ბედნიერი, რადგან როგორც ყოველთვის ხდება, ქორწილის უმთავრესი პირები ეძებენ სულ სხვას და შეუღლების შემდეგ ხვდებიან სულ სხვა სფეროს გარემოცვაში.

ე.პ.ბ. დიდება 1875 წლის 7 სექტემბერს დაიწყო შემდეგი წინაპირობით. ვინმე მისტერ ფელტი კითხულობდა ლექციას პირამიდების მშენებლობის საიდუმლოებაზე. მან თქვა პროპორციათა კანონის საიდუმლოს თანახმად, შეიძლება ასევე სულთა გამოძახება. ამასთან დაკავშირებით პოლკოვნიკი ოლკოტი იძლევა წინადადებას დააარსონ საზოგადოება. ეს სახელწოდება ათეული წლებით გაიგივებული იყო მისტიციზმის იდეებთან. ამ პერიოდში მას მოუვიდა სახელი და დიდება და ისიც მაქსიმალურად იყენებს და როგორ? მან გამოსცა წიგნი "ისიდა საფარველის გარეშე", სადაც განხილული იყო მიზეზები წინარე რასები ატლანტიდელების, ლემურიები და სხვათა გადაშენების მიზეზები, წიგნში მოხსენიებული იყო კაბალისტური მოძღვრების საფუძვლები, პრინციპები, და ეხებოდა აზროვნების ისეთ რეფორმატორებს, როგორიც იყო ბუდა, კონფუცი, პითაგორა, ლაოძი და სხვებს. აღსანიშნავია, რომ ყველა ეს პიროვნება ერთ ასწლეულში ცხოვრობდა და იმ დროის მსოფლიოს დიდ ფუფუნებად უნდა ჩაითვალოს, რაშიც ალბათ ვარსკვლავების როლიც უნდა იღებდეს მონაწილეობას. წიგნი საზოგადოებაში ბესტსელერის თვისებით გამობრწყინდა და წარმოუდგენელი სახელი მოუტანა მის ავტორს ე.პ.ბ.

ამის შემდეგ იგი პოლკოვნიკთან ერთად მიემგზავრება დიბეტში და დროებით ჩერდება ბომბეიში, სადაც მოხდება ასეთი შემთხვევა-ერთი ხანდაზმული კაცი მასთან სტუმრობისას წარადგენს ათ წელს გადაცილებულ გოგონას, როგორც მის მეუღლეს და ამაზე განრისხებული მადამ ბლავატსკაია უხეშად მიახლის "თქვენ გაცვეთილ მხეცს, უნდა გრცხვენოდეთ ამის. ამ პერიოდში მისი მისტიკური ძალა გაიზარდა. მას თავისუფლად შეეძლო მისი მოწაფეების თავიდან აელო ვარდები, ჩაექრო ან აენთო ლამფა. გარდა წარმატებისა თავისი დიდი წონის გამო, მას მუდამ თან სდევდა ავადმყოფობა და ადამიან[illegible]რობა, ამ

საქმეში კი დიდად გამოიჩინა თავი ვინმე მადამ კულონმა, რომელიც მას მუდმივად სდევდა უკან და ყალბი-შარლატანის ეტიკეტის მიკერებას ცდილობდა.

მისი სიცოცხლის ბოლო წლების შესახებ გვიამბობენ ასეთ ფაქტს, მან მადამ ბლავატსკაიამ ჩააქრო ლამფა მაგიური ძალით და დაიძინა, მაგრამ ლამფა რამდენჯერმე აინთო თავისით და მას ისევ მოუხდა თავის ძალის გამოყენება, მეოთხე ჯერზე კი მისმა მოწაფე და მეგობარმა ქალმა დაინახა ყავისფერი ხელი, რომელიც კვლავ უკიდებდა ლამფას, შეშინებულმა სასწრაფოდ გააღვიძა ელენე პაველოვნა, რაზეც მან მიუგო, რომ ეს ჩემი ასტრალური სხეული იყო, და მან ახსნა, რომ ეს მისთვის სახიფათოა, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს მისი გულის გაჩერება. ბოლო წლებში მან გამოსცა წიგნი "საიდუმლოებათა დოქტრინა", რომელიც იყო ეკლექტურად შერწყმული სტატიების კრებული, რომელმაც კიდევ უფრო ხმაური გამოიწვია მის ირგვლივ.

ე.პ.ბ. სიცოცხლის ბოლო ექვსი წელი გამოირჩეოდა სერიოზული ავადმყოფობით, რაც გამოიხატებოდა გულის უკმარისობით, თირკმელებით და რევმატიული ხასიათის დაავადებებით, მაგრამ მიუხედავად ამისა მისი ძლიერი ენერგია მზად იყო აენთო შემოქმედებითი მუხტის ნაპერწკალი და როგორც ყოველთვის ყველაფერს აქვს ბოლო, ისიც 1891 წელს 60 წლის ასაკში გადასახლდა იმ მხარეში, სადაც მიწიერი არსებობის დროსაც არ ტოვებდა, იმ სამყაროს.

მისი ბიოგრაფი ჯონ სიმონდსი მის შესახებ წერდა: "იგი ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი პიროვნებაა ქალთა შორის, და თუ ვინმე ყოფილა აქომამდე, მათ შორის მისმა სხეულმა დაიტია გაცილებით მეტი, ვიდრე ჩვეულებრივ ადამიანს სიცოცხლეს შეუძლია დაიტიოს.

*დავით აღმაშენებლის სიკვდილთან დაკავშირებული მოვლენები, ლეგენდები*

დავითი სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე აივანზე იყო გამოსული, რომ მოსყიდულმა ტერორისტმა ისარი სტყორცნა მას, ჩანს, რომ ტერორისტი თავის საქმის დიდი ოსტატი იყო და ისარი მიზნისკენ კარგად წავიდა, მაგრამ ტერორისტს არ გაუმართლა იმით, რომ ისარი მოხვდა გულზე ჩამოკიდებულ ღვთისმშობლის ხატ-მედალიონს და მეფეზე არავითარი ზიანი არ მიუყენებია.

*დავითის ავადმყოფობასთან დაკავშირებული ლეგენდა.*

ერთხელ დავითი მშენებარე გელათის ტაძრის სანახავად მივიდა. ჭაბუკი მეფე სიმკვირცხლით ავიდა უკანასკნელ ხარაჩოზე. ასვლის დროს ფეხი დაუცდა, ძირს ჩამოვარდა და გული შეუღონდა. მშენებლებმა მეფე მოაბრუნეს, მაგრამ ძალზე დამტვრეული აღმოჩნდა. ექიმებმა დაზიანებებთან ვერაფერი გააწყეს. ამ დროს ერთი ვინმე მოხუცი კაცი მოვიდა და სთქვა: მეფეს მხოლოდ ირმის რძეში ბანაობა მოარჩენსო.

ბევრი იფიქრეს, თუ სად შეიძლებოდა ირმის რძის შოვნა და ისიც იმ რაოდენობით, რომ აბაზანა მოეწყოთ. იქვე იმერეთის ერთ მივარდნილ სოფელში, ლიხის მთის ძირში, გლეხს გვარად ავშანდაძეს თორმეტი ფურ-ირემი ჰყავდა, ეს ფურ-ირმები ყოველდღიურად ერთ დიდ ქვაბ რძეს იწველიდნენ. გლეხმა რძე მეფეს მიართვა.

დავით მეფე ყოველ დილა-საღამოს ირმის რძის აბაზანაში ბანაობდა და მალე განიკურნა.

მეფემ არც ავშანდაძე დაივიწყა და არც ღარიბი მოხუცი. ავშანდაძეს ლიხის მთის სახელმწიფო ტყის მცველის თანამდებობა უბოძა, მოხუცი კაცი კი, რომლის რჩევითაც მეფე განიკურნა, ბევრი ეძებეს, მაგრამ მის კვალს ვერსად მიაგნეს.

*დავით აღმაშენებლის რაში.*

დავითი როცა სამეფო ტახტზე ავიდა გელათის, მცხეთისა და მარტვილის ტაძრის აშენება განიზრახა. მეფემ ხუროთმოძღვრები მოიწვია და პირველად მათ გელათის ტაძრის აშენება მიანდო.

ხუროთმოძღვრებმა ტაძრის გეგმა შეადგინეს. მუშებმა ქვები დათვალეს და საძირკველიც ჩადგეს. სამწუხაროდ, როცა მუშები მეორე დღეს მივიდნენ, საძირკველი დანგრეული დახვდათ. ოსტატები ხელმეორედ შეუდგნენ საძირკვლის ამოყვანას. ამოიყვანეს კიდეც, მაგრამ ღამით ვიღაცამ კვლავ დაანგრია. ბოლოს ეს ამბავი მეფეს აცნობეს. მეფემ საძირკველთან გუშაგები დააყენა, მაგრამ საძირკველი კვლავ დაინგრა.

მაშინ დავითმა სათათბიროდ უხუცესთა და ვაზირთა მოწვევა ბრძანა. ბევრი იმსჯელეს, მაგრამ ერთ აზრს ვერ დაადგნენ. ბოლოს წამოდგა ერთი უხუცესი და თათბირს მოახსენა: ვინც ტაძრის საძირკველს ანგრევს, ის უსათაოდ მავნე სული იქნება და მისი დაჭერა მხოლოდ ამნაირად შეიძლება: გავავსოთ ორი გობი, ერთი თაფლით, მეორე კი არყით. მავნე სული სუნით თაფლს მიეძალება და ჭამას დაუწყებს. თაფლი ძლიერ მოაწყურებს წყალს და არაყს მიეძალება, დათვრება, შორს ველარსად წავა და ხელში ჩაგვივარდება. მოხუცის რჩევა მოიწონეს და ესეც მოიქცნენ. მეორე დილით ოსტატები და გუშაგები მართლაც თავს წაადგნენ ბალნით შემოსილ უცნაურ ცხოველს, რომელსაც საძირკვლის მახლობლად ჩასძინებოდა.

ამ დროს მეფეც მოვიდა, და დაინახეს ეს ვეებერთელა მხეცი. გუშაგებს უნდოდათ ცხოველი შუბით განეგმირათ, მაგრამ ოსტატებმა შეაჩერეს. მეფემ ბრძანა: მოეტანათ ჯაჭვი და მძინარე ცხოველი დაებათ, თან ჯვარი გადასახა. მხეცი მაშინვე თვინიერ რაშად გადაიქცა.

მეფე ამის შემდეგ სულ ამ რაშით დადიოდა. ისეთი სწრაფი გამოდგა ეს რაში, მეფე დილით რომ მცხეთის ტაძრის საძირკველზე ერთ დიდ ქვას დადებდა და ისაუზმებდა, შუადღისას გელათს მივიდოდა, ერთ ქვას იქ დადებდა და იქიდან მარტვილისაკენ გაემართებოდა, შემდეგ კი ისევ მცხეთაში ბრუნდებოდა.

მეფემ დარუბანდის რკინის ალაყაფის კარებიც გელათის ტაძარში ამ რაშით ჩამოიტანა.

დიდხანს ემსახურებოდა მეფეს რაშად გადაქცეული ცხოველი. ერთხელ მეფემ თბილისში ყოფნისას, სადაც არაბებისა და თურქების დამარცხების შემდეგ ქუთაისიდან სამეფო ტახტი გადაიტანა, გელათის ტაძრის ნახვა მოისურვა. სამხრობის ჟამი იქმნებოდა, როცა დავითი თავისი რაშით გელათში მივიდა. რაშიდან მკვირცხლად ჩამოხტა, აღვირი მეჯინიბეს გადასცა, თვითონ კი პირდაპირ ტაძარში შევიდა.

რაში მეჯინიბემ მდინარე წყალწითელასთან მიიყვანა და აღვირი წაჰყარა. რაში მდინარეში შევიდა და თვალის დახამხამებაში გაქრა. მეჯინიბე სახტად დარჩა, შეშინებული მიიჭრა ტაძრის გალავანში და მეფის ამალას უამბო ეს ამბავი. როდესაც მეფეს მოახსენეს, მან თქვა: ეს იმის ნიშანია, რომ მე დიდხანს ვეღარ ვიცოცხლებო. მართლაც ამის შემდეგ დავით აღმაშენებელი მალე გარდაიცვალა. დაკრძალეს მის მიერ აშენებულ გელათის დიდებული ტაძრის კარიბჭესთან იმ მიზნით, ყველა შემსვლელ ქართველს მის გულზე ევლო. საფლავის ქვას თვით მეფის მიერ დანატოვარი ეპიტაფია ამოკვეთეს: "ესე არს განსასვენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე. ამას დავემკვიდრე, რამე თუ მთნავს ესე".

ლეგენდა: "მეფე რძის აბაზანაში" დაცული აღმოჩნდა XV საუკუნის სამეფო სიგელში, რომელიც გაცემულია არჩევან ავშანდაძის სახელზე 1475 წელს მეფე კონსტანტინე მესამის მიერ. სიგელში წერია: "ოდეს დარუბანდით გამოვიდა

ავშანდაძის გვარის კაცი დიდად ნამსახური მეფისა, ოდეს აღმაშენებელი გელათს აშენებდა და გალავნიდან გადმოვარდა, სამასდა ხუთი აქიმი მოასხეს და ვერა უშველეს, მაშინ სხვა ერთი აქიმი მოვიდა ყველაზე ბოლოსა, მან ასრე თქვა: ''თუ არ ირმის რძეშთაგან დავაწვეინოთ, არა უშველის, რაო''. იქნეს მოკითხული, შეღონდეს. წამოდგა კაცი, ისრე თქვა: ''ავშანდაძესა ჰყავსო თორმეტი ფური ირმის, მეწველიო''. სხვა ქვეყნასა ზედან არ იშოვებოდა. მიიღო ავშანდაძემან, იპრიანა ღმერთმან, დარჩა აღმაშენებელი''.

თუ ამ ლეგენდამ სიგელში მცირე ნაწილით მოაღწია, სამაგიეროდ ხალხმა შედარებით უფრო ფართო სახით შემოგვინახა ზეპირსიტყვიერებაში.

ლეგენდა ''დავით აღმაშენებლის რაში'' ჩაწერილია მე-20 საუკუნის 20-იან წლებში.

*სიკვდილის წინა ხილვა*

65 წლის ენდი გოლემბიევსკის სხეულს სული ტოვებდა. დაკარგული ჰქონდა ყველანაირი სიცოცხლისუნარიანი შეგრძნება. სიკვდილთან ამაზე ახლო არ შეიძლება იყოს ადამიანი. უეცრად მომაკვდავი გონს მოეგო და ჩურჩულით წარმოთქვა ეველინ...დაიმახსოვრე...აკრიფე 16-95 დაიწერე სანამ გვიან არ არის. არ დაგავიწყდეს'' და სულიც განუტევა.

ეველინმა მისი დანაბარები მექანიკურად შეასრულა და ჩანთაში ჩადო ფურცელი. შემდგომ აღმოჩნდა, რომ ენდის ბევრი ვალიც ჰქონდა, რაც მის მეუღლემ ძლივს-ძლივობით გაისტუმრა.

მეუღლის დასაფლავებიდან ორი კვირის შემდეგ ეველინს საუზმის დროს ქალიშვილმა კეტლინმა ჰკითხა მას: ''დედა რა რიცხვები გიწერია ფურცელზე, ეს შენ ჩანთაში ვიპოვნე''. ეველინმა ვერ აღადგინა ციფრების მნიშვნელობა, მაგრამ ამიტომ ციფრებს ასეთი ფუნქცია მიანიჭა, გაზეთში მოთავსებულ ლატარიის ოთხნიშნა ფურცლებზე მიუჩინა ადგილი და რიგ-რიგობით შემოხაზა 1-6-9-5. ამ ბილეთით ეველინმა 23500 დოლარი მოიგო.

გამოდის, რომ მომაკვდავს სიკვდილის წინ ეზმანა მოსაგები ციფრები. ეს იყო გარდაცვლილის ბოლო საჩუქარი ოჯახისათვის.

*ისრაელის მეფე დავით წინასწარმეტყველი,-ფსალმუნების ავტორი*

ისრაელის მეფე დავით წინასწარმეტყველი ერთი იმათთაგანია ებრაულ ერში, რომლის სახელს და ღვაწლს დრომ ჯერ-ჯერობით ვერაფერი დააკლო. ბიბლიურ დავითად წოდებული და უბადლო ფსალმუნების ავტორი ცხოვრობდა ჩვენს ერამდე მე-10 საუკუნეში, თავისი ქნარი სამეფო სასახლის გალავანთან ჰქონია ჩამოკიდებული და შუაღამისას, როცა იერუსალიმის ციხე- ტაძრებში ჩრდილოეთის მაცოცხლებელი ნიავი დაბერავდა, თორმეტსიმიანი ქნარი შეირხეოდა და თვითონვე იწყებდა გალობას. მის ჰანგებზე პოეტი და წინასწარმეტყველი მეფე იღვიძებდა და განთიადამდე თხზავდა უკვდავ ფსალმუნ-საგალობლებს. ფსალმუნები ღვთიური შთაგონებითაა შექმნილი და უზენაესის ნებას გამოხატავდა. მეორე ლეგენდით, ძველი აღთქმის წიგნების (ფსალმუნები მათი შემადგენელი ნაწილია) პირველ ბერძნულ თარგმანს, ე.წ. სეპტუგუანტას უკავშირდება: სამოცდათორმეტმა ალექსანდრიელმა ებრაელმა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად დაასრულა ''თანახის'' (ძველი აღთქმის ებრაული სახელწოდება) თარგმნა, თარგმანები ერთმანეთთან შეაჯერეს და ყველა მათგანის ტექსტი ერთმანეთის იგივეობრივი აღმოჩნდა, აშკარა გახდა, რომ ყველა თარგმანის აზროვნების ძალა იმდენად ახლო იდგა ერთმანეთთან, რომ ზეგარდმო ძალებთან იყვნენ წილნაყარი და უფლის კარნახით მოქმედებდნენ. მისი ქართული ვარიანტი სეპტეგუანტიდან არის თარგმნილი.

ქართველთა სამეფო დინასტია ბაგრატიონები თავიანთ ტიტულატურაში კვარს სოლომონიან- დავითიანის სახელწოდებით მოიხსენიებდნენ, რაც ნიშნავდა,

რომ ისინი, როგორც იესო ქრისტე მაცხოვარი და მარიამ ღვთისმშობელი, დავითის გვარიდან იყვნენ გამოსული.

დავით წინასწარმეტყველი იყო ბეთლემში მცხოვრები იესეს უმცროსი ვაჟი. ყმაწვილობისას მწყემსავდა მამის ცხვრებს და მისი გონებრივი და ფიზიკური ძალა ლაღი ბუნების გარემოცვაში იზრდებოდა. მეფეებს და განსაკუთრებით მღვდელმთავრებს ხშირად ირჩევდნენ მწყემსი ადამიანებიდან და მათ ისტორიაში მწყემსს, ხალხს კი მათ სამწყსოს უწოდებენ. როგორც ვთქვით, დავითის მეფედ ცხებაში გამოვლენილი იქნა ღმერთის ნება. როგორ მოხდა ეს?

დავითის ჭაბუკობაში ისრაელში ცხოვრობდა წინასწარმეტყველი სამოელი და აი, სამოელს ერთ დღეს მოესმა ხმა უხილავი უფლისა: "ვიდრემდის იმწუხარებ შენ საულისთვის! მე უარვყავ ისრაელში მისი მეფობა, აავსე რქა შენი მეფისა და გაგზავნე იესესთან ბეთლემში, რადგან იმის ძეთა შორის მე დავინახე ჩემთვის მეფედ".

და უთხრა სამოელმა უფალს: "რომ გაიგოს საულმა ჩემი წასვლა და მომკლას მე?

უფალმა მიუგო: "წაიყვანე დეკეული შესაწირავად და თქვი: მოვედი, რომ მოვუწოდო იესესა და მის ძეთა მსხვერპლის შეწირვაზე დასასწრებად. მოვლენ ისინი და მე გიჩვენებ შენ, რომელსაც უნდა სცხო".

გააკეთა სამოელმა ყველაფერი და როდესაც იესემ წარუდგინა შვიდივე შვილი, იესეს ჰკითხა სამოელმა, გყავს კიდევ შვილი? არის კიდევ უმცროსი, ცხვარს მწყემსავს საძოვარზე, მოიყვანეს დავითი მშვენიერი სახითა და შესახედაობით და მოესმა სამოელს უფლის ხმა: "ადექი და სცხე მეფედ დავითს, ვინაიდან ადამიანებისას თქვენ ხედავთ სახეს და გარეგნობას, ღმერთი კი ხედავს გულს, ის დავითი კარგი არის". ამ ცხებას კარგახანს ინახავდნენ საიდუმლოდ და მაინც ბედს მიჰყავდა დავითი სახელმწიფო ცხოვრების შუაგულში. სულიწმიდა განეშორა საულისგან და გადმოვიდა დავითზე.

ბოროტმა სულმა დაამწუხრა მეფე საული. უბადლო მეფსალმუნე მიიწვიეს სასახლეში, რომ მუსიკით განექარვებინა საულის მწუხარება. სწორედ ამ პერიოდში დავითმა მოჰკლა ისრაელთა მოსისხლე მტერი, ფილისტიმელი გმირი გოლიათი, მისგანვე წარტაცებული ხმალით. ამისთვის იგი აღიარეს სახალხო გმირად.

ეჭვიანი საულის გული უფრო მეტი შურით გაივსო ამის მერე, მაგრამ საბოლოოდ საული და მისი შვილები ფილისტიმელებთან ბრძოლაში დაეცა და მეფედ დავითი მიიწვიეს სასახლეში. დავითმა იერუსალიმში გადმოიტანა აღთქმის კიდობანი და დაამყარა ღვთის წესიერი მსახურება. სამოქალაქო მართვის საქმეში მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია უფლებრივი სამართლის აღდგენას. მისი პირადი თავჯდომარეობით იკრიბებოდა საბჭო, რომელშიც შედიოდნენ მისი ერთგული ჯარის უფროსი იოავა, მღვდელმთავრები სადოკი, აბიმელექი, სუსა და პისცა.

მალე დავითმა გადაიხადა მთელი რიგი ძლევამოსილი ომები და საბოლოოდ გასტეხა მათი დაუძინებელი მტრები ფილისტიმელები. დამარცხებული იქნენ მოაბელები, სირიელები და იდუმელები. ისრაელთა სამეფო გაფართოვდა მდინარე ევფრატამდე აღმოსავლეთით, და მეწამულ ზღვამდე სამხრეთით. ამ პერიოდში დავითმა განიზრახა აეშენებინა ღვთის ტაძარი, რომელიც მან დაიწყო, დაამთავრა სოლომონმა და სოლომონის ტაძრის სახელით არის ცნობილი. დავით მეფე სიკეთესთან ერთად ცოდვის გზაზეც იყო ნასიარულები, მან ისრაელის ერთგულ მხედარს წაართვა ცოლი, ხოლო მისი გმირი მეუღლე შეგნებულად გაუშვა იმ მხარეს საბრძოლველად, სადაც მას აშკარა სიკვდილი ელოდა, ამ ქალისგან მას

შეეძინა შვილი აბესალომი, რომელიც მამას აუჯანყდა და ბრძოლაში იგი მოკლული იქნა. ეს ავი ბედისწერა თავად დავით წინასწარმეტყველს, ნათან ბრძენისგან ჰქონდა ნაწინასწარმეტყველები, ასეთი სიტყვებით "უფალმა მოგიტევა ცოდვა, არ მოკვდები, ოღონდ რაკი ამ საქციელით ალანძღვინე უფალი მის მტრებს, შვილი მოგიკვდება, რომელიც შეგეძინება"

აბესალომს (აბ შალომ "მამა მშვიდობისა") ასე აღწერს ებრაელთა ისტორია: "არავინ იყო მთელს ისრაელში ისეთი ნაქები კაცი თავის სილამაზით, როგორც აბესალომი: თხემით ტერფამდე უნაკლო იყო, როცა თავს მოიკრეჭდა ხოლმე (წლიდან წლამდე იკრეჭდა თმებს, რადგან ამძიმებდა), თმის მონაკრეჭი ორ შეკელს იწონიდა სამეფო საწონით". ასეთი იყო აბესალომი, რომელიც გამორჩევით უყვარდა მეფეს, მსგავსი უფლის წინაშე მდგარი იმ ანგელოზისა. სწორედ ამ ხშირი და კულულებიანი თმებით ჩამოეკიდა დევნილი აბესალომი მუხის ხეს, ხოლო მისი ჯორი კი წავიდა და ჰაერში ჩამოკიდებულს მდევარმა სამი ისარი გაუწონა მკერდში.

ისევ ნათან წინასწარმეტყველის რჩევით,-რომ ღმერთმა შეიყვარა სოლომონ უფლისწული, დავითმა გადაწყვიტა ტახტზე არ აეყვანა კანონიერი მემკვიდრე ადონი და მეფედ აკურთხა ბერსაბესთან შეძენილი მეორე შვილი სოლომონი, რომელიც ებრაულ ისტორიაში სოლომონ ბრძენად და 915 იგავის შემქმნელად არის ცნობილი და რომლის სახელის თანაჟღერადობა არის შალომი- მშვიდობა.

შეხედულებები ფსალმუნებზე და მის ავტორზე.

მოციქული პეტრე ამბობს, დღენი ჩვენი ცხოვრებისა ათასი წელი და ათასი წელი ვითარცა ერთი დღე ამ სამყაროში დაუდგრომელია, რადგან დღევანდელ მზეს და ნათელს სხვა წვიმა და სიბნელე მოსდევს, შვებასა და განცხრომასვაება და ჭმუნვა. ყოველივე ფუჭია და ამაო შრომის გარდა. თუ სულის ცხონებისთვის გაირჯები და ღვთის მცნებებს ისწავლი, მსწრაფლ აგეხილება გონების თვალი და შეიმეცნებ, თუ როგორია საოცრებანი ღვთის სახიერებისა.

ერთხელ დიდ იოანე ოქროპირს ერთ-ერთმა ძმამ ჰკითხა: რამდენად გამართლებულია ფსალმუნთა კითხვის მიტოვებაო. მან უპასუხა: "უმჯობესია, მზემ დაკარგოს თავის ბრწყინვალება ვიდრე ის, რომ ფსალმუნების კითხვას თავი დავანებოთო".

*ნეტარი ავგუსტინე:* ფსალმუნების გალობა შემამკობელია სულისა ზეციური ძალების მომხმობია შემწეობისათვის, განმწმენდელია ცოდვისა და ეშმაკთა სიბოროტისა, შესამოსელია სიწმინდისა და სიხარულისა, ბიწიერების აღმომფხვრელია, რისხვის განმდევნი, მომნიჭებელი სიყვარულისა. დამამტკიცებელი სჯულისა, სიბნელის გამფანტველი და შემმოსველი ბრწყინვალებისა. სიძულვილის სიყვარულით შემცვლელი ვითარცა მზე ნათელს ჰფენს, წყალი წმენდს, ცეცხლი აწრთობს და მიწა ნაყოფს იღებს, ასევე ფსალმუნი ღმერთთან გვაახლოებს და ეშმაკს არცხვენს, ხორციელ ვნებებს დაშრეტს და მოწყალების წყალს აპკურებს. იგია ხე ნაყოფიერების და მომცემი სიტკბოების, რომელიც მრისხანებას აქრობს და ღმობიერებას გვანიჭებს, ბოროტ სიფიცხეს აწყნარებს და ქედმაღლობას ამდაბლებს. იგი დაუცხრომელი ქებაა ღვთისა, დიდება-სამებელი უფლისათვის, თაფლზე უტკბესი, ღვთისათვის კეთილად მოსასმენი, იგი წარხოცავს ცოდვათა სიმრავლეს, ამტკიცებს სიყვარულს, წინამძღვრობს შეცდომილებს და უსწორ-მასწორო გზაზე მავალთ სწორ გზაზე აყენებს. იგი საიდუმლოთა განმარტებელია და ყოველთა დაფარულთა წარმომჩენი, რადგან სულს ადიდებს, გულს წმენდს, გონებას ახარებს, სხეულს განაბრწყინებს, ბოროტს შეამცირებს და კეთილს გაამრავლებს. მისი წყალობით მოიპოვება შიში ღვთისა, არ იკარგება ვედრება ღვთის წინაშე. გონების დამამშვიდებელი ფსალმუნი ევედრება ღმერთს მომავლისათვის, ზრუნავს

აწმყოსათვის, ინანიებს წარსულს, რადგანაც ფსალმუნთა გულისხმიერი კითხვა ამარცხებს ეშმაკთა ძლიერებას. მისი მკითხველი ეძიებს სიმართლეს, რათა წინ აღუდგეს ეშმაკთა ძალას და ნათელი ჭეშმარიტების გამოაჩინოს. იგი მოხუცებულთათვის ბუგეშის მცემელია, ჭაბუკთათვის სამკაული და სიბრძნე.

სულ 150 ფსალმუნია და იწერებოდა სული წმიდის შთაგონებით იმ კაცისგან, რომელიც ცხვართა მწყემსობიდან, ადამიანთ მწყემსობამდე და წინასწარმეტყველობამდე ამაღლდა, ღმერთმა ჯერ მიწა გააჩინა, შემდეგ კი მთანი ბორცვნი ამოზიდნა. ღმერთმა ამით ადამიანებს ამცნო, რომ არც დედამიწა გაჩენილა სიცარიელეში და არც მთები და ბორცვები იყვნენ დასაბამიდან, ყველაფერი ცვალებადია და მუდმივია მხოლოდ ჭეშმარიტება-ღმერთი.

ფსალმუნები უმეტესწილად დილა და საღამოს იკითხება, ისინი შედიან ღვთისმსახურების თითქმის ყველა სახეობაში.

ფსალმუნები იკითხება ტაძარში ყოველწლიურად, დილასა და საღამოს ღვთისმსახურებისას. მთლიანად წაიკითხება ყოველი კვირის განმავლობაში, ხოლო დიდმარხვების დროს კვირაში ორჯერ.

გარდა ღვთისმსახურებისა ფსალმუნების კითხვას მიმართავდნენ ავადმყოფებს, განსაკუთრებით რომლებსაც ავი სულები დაეუფლებოდნენ. მიცვალებულთან დაკავშირებით ფსალმუნები იკითხება განუწყვეტლივ, ვიდრე ის სახლში ასვენია, ხოლო დასაფლავების შემდეგ ორმოცი დღის განმავლობაში.

წმინდა მღვდელმთავარი მთავარეპისკოპოსი კონსტანტინოპოლისა, იოანე ოქროპირი ამბობს:

"ფსალმუნებიდან თქვენ გაიგებთ იესო ქრისტეზე, იმქვეყნიურ ნეტარებაზე, ნაცვალგებაზე, მორალის სწავლებაზე. თუ ჩავარდებით განსაცდელში, მონახავთ აქ საკმარის იმედს, თუ შესცოდავთ, აქვე მონახავთ ათასგვარ წამალს, თუ ჩავარდებით გაჭირვებასა და რაიმე უბედურებაში, ის გიჩვენებთ თქვენ ბევრ ნავთსაყუდელს, თუ მართალი იქნებით, მაშინაც მიიღებთ მისგან უდიდეს სიკეთეს"

არის გადმოცემა, რომ ფსალმუნების წერის დროს მეფის სასახლის ახლოს ჭაობში, ბაყაყი ყიყინებდა, გაიცა ბრძანება განედევნათ იგი, მაგრამ ამის შემდეგ მეფემ სამგზის ნახა თავის ნაწერებში დიდი ბაყაყი, რომელმაც უთხრა მას: "არ დაგანებებ შენ, რომ ადიდო ღმერთი, როგორც შენ არ დამანებე მე ვადიდო ის". მაშინ დავითმა შესწყვიტა დევნა და სთქვა: "ყოველი სული აქებდით უფალსა".

*გრიგორი რასპუტინი*

არ შეიძლება მასზე ითქვას, რომ ის იყო ნათელმხილველი, მაგრამ მას ჰქონდა წინასწარმეტყველის ნათება და შეგრძნებები გონებაში, მაგრამ იგი უმეტესად იყო მექალთანე და ავანტურისტი, მან უდიდესი ნდობა მოიპოვა რუსეთის მეფის კარზე და ძირითადი მიზეზი ავტორიტეტისა იყო ის, რომ პრინცი ალექსი, რომელიც დაავადებული იყო გულყრებით და ხშირად ჰქონდა სისხლის პირიდან ღებინება, რასპუტინმა შეძლო შეეჩერებინა სისხლის დენა და დროებითი გამოჯანმრთელება. მისი ნაწინასწარმეტყველებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო დეპეშა ციმბირიდან, სადაც ის მეფეს ატყობინებდა: "დე მამამთავარი (მეფე) ნუ შექმნის საომარ ვითარებას ქვეყანაში. ომი იქნება დასასრული თქვენი და შეიძლება მთელი კაცობრიობის". ეს ხდება 1914 წელს პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში. 1915 წლის დეკემბერში რასპუტინი წერდა მეფეს: "მე ვგრძნობ, რომ დავცილდები სიცოცხლეს შემდეგი წლის 1-ელ იანვარს. რუსთა ხმელეთის ხელმწიფეო, თუ შენ მოისმენ ისეთი ზარების რეკვას, რაც ჩემს სიკვდილს გაუწყებენ, და თუ ეს იქნება თქვენი ნათესავი, არავინ თქვენი ოჯახის წევრები

ცოცხალი არ დარჩება. გაიელის ორი წელიწადი და ისინიც იქნებიან მოკლულები.

რასპუტინი მოკლეს მართლაც ისეთ სიტუაციაში, სადაც მონაწილეობას იღებდა მეფის ნათესავი- იუსუპოვი და პურიშკევიჩი. რასპუტინის მკვლელობა გამორჩეულია იმით, რომ მას ტორტში შეაჰამეს საწამლავის დიდი დოზა, ესროლეს რამდენჯერმე ტყვია, თავში ჩაარტყეს ბლაგვი საგანი და ბოლოს ნევის ყინულქრილში ჩააგდეს.

მეორე დღეს პოლიციამ იპოვა ის ფეხსაცმელი (კალოში) იმ ადგილას, სადაც რასპუტინი ყინულქრილში ჩააგდეს და ასე მიაგნეს მის გვამს, ექსპერტებმა დაადგინეს, რომ მე-20 საუკუნის რუსეთის ყველაზე პოპულარული პიროვნება მოგუდვით იყო მკვდარი.

აღსანიშნავია, რომ რასპუტინი ვარაუდობდა საუკუნის დასასრულს ატმოსფეროს ძლიერ დაბინძურებას და ეკოლოგიის განადგურებას.

*გიორგი გურჯიევი*

მაგების უმრავლესობა მხოლოდ თავისი ბუნებრივი მონაცემებით სარგებლობდა და არაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ აემუშავებინათ მთვლებარე ძალები. ყველაზე ძლიერი ენერგია კი სწორედ იქ არის ჩადებული. გიორგი გურჯიევი ერთ-ერთი იშვიათთაგანია, ვისაც მიზნად ეს ჰქონდა დასახული და მთელი ცხოვრება ანვითარებდა მას. არავითარი ეჭვი არ არსებობს, რომ მან შესძლო ელ-უნარის (ადამიანის ფარული სულიერი შესაძლებლობები) ამოქმედება.

გურჯიევის მოძღვრების გასაღები დევს ისეთ მუშაობაში, რომელიც ადამიანს ყველაზე მეტად ეძნელება. ამ აზრის გაშიფვრაში დაგვეხმარება ლონდონელი "ნიუ ეიჯის" გამომცემელი ლიტერატორი ა. ორეიჯი. 1914 წელს მან გაყიდა თავისი გაზეთი და გაემგზავრა ფონტენბლოში გურჯიევის "ადამიანის ჰარმონიული განვითარების ინსტიტუტში". გურჯიევმა მას ნიჩაბი მისცა და ბოლოს დაბარვა დაავალა. ორეიჯმა ბარვა არ იცოდა და ისე დაიქანცა, რომ თავის ოთახში რომ დაბრუნდებოდა, ცრემლები სცვიოდა დაღლილობისა და საკუთარი თავის სიბრალულისგან. ეჩვენებოდა, რომ საშინელი შეცდომა დაუშვა. მაშინ გადაწყვიტა დამატებითი ძალისხმევა გამოეყენებინა და მოულოდნელად სიამოვნება იგრძნო ბარვის პროცესში. ეს იგივეა, სპორტსმენებს ყველაზე უფრო დაძაბულ მომენტში მეორე სუნთქვა რომ ეხსნებათ. ასეთ დროს ქვეცნობიერის "რობოტი", მზადაა ყოველგვარი უსიამოვნებების ასატანად, ამგვარად, შინაგანი ცხოვრებაც ხდება ისეთივე ჩვეულებრივი და ადვილად ამოსაცნობი, როგორც გარეგანი. ჩვენი ამოცანაა, ვაიძულოთ "რობოტი" რაიმე სიახლით გამოაცოცხლოს ცნობიერება. ამ ცნობიერების გამოცოცხლების საშუალებად გურჯიევი იყენებს დისკომფორტს, რომლით გამოწვეული პირველი რეაქცია ტანჯვა და ტკივილია. "რობოტი" დამატებითი ძალისხმევით გაარღვევს ამ კედელს, იმარჯვებს დისკომფორტზე და შინაგანი სულიერება ხდება-მდიდარი, სული ყვავილობს. აქ უკვე აშკარაა, რომ წმინდანთა ასკეტური ცხოვრება სწორედ ამ პრინციპით მიედინება და მათი ნეტარების არსი ტანჯვაშია ჩამარხული.

ჩვენ ვიზრდებით ოცდაერთ წლამდე. ცვლილებები ჩვენს შიგნით ჩვენი ნებისგან დამოუკიდებლად ხდება. შემდეგ ეს პროცესი წყდება. ჩვენ იმდენად ვართ შეჩვეული იმას, რომ ცვლილებები ჩვენს შიგნით მექანიკურად მიმდინარეობს, რომ შემდეგ გვიძნელდება ამ პროცესის გაცნობიერება და იმის შეგრძნება, რომ ავტომატური განვითარება დამთავრდა. მაგრამ იგი ნამდვილად დამთავრებულია და ადამიანთა დიდი ნაწილი იწყებს გაძვალების ნელ პროცესს. თუ გვსურს გავაგრძელოთ ზრდა, არაჩვეულებრივი ძალისხმევაა საჭირო იმისთვის, რომ "რობოტს" მივცეთ მუდმივი განახლების სტიმული. სწორედ ესაა მთლიანობაში

გურჯიევის მუშაობის საფუძველი, რომლის პირველი მიზანია გადაილახოს ადამიანის ზებუნებრივი სიზარმაცე, მიდრეკილება მოდუნებისა და გათიშულობისაკენ. ორეიჯის განცდის აღწერით კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ მან მიაგნო მთავარ საიდუმლოს: შინაგანი განვითარების გზაზე არავითარი დაბრკოლება არ არსებობს, როცა რაღაც ყოველდღიურად იცვლება.

გურჯიევი დაიბადა ალექსანდრეპოლში (ამიერკავკასია) 1873 წელს. თავის წიგნში "შეხვედრები შესანიშნავ ადამიანებთან" იგი იხსენებს ბავშვობას. მამა "ბარდი" იყო. მისმა სიმღერებმა გილგამეშზე (შუმერული ეპოსის მთავარი გმირი) დიდი ზეგავლენა იქონია. გურჯიევმა სადღაც ამოიკითხა, რომ ამ პოემის შემცველი თიხის ფირფიტები ნინევიაშია (ძველი ასურეთის დედაქალაქი) ნაპოვნი, განიცადა უჩვეულო აღგზნება იმ აზრისაგან, რომ პოემა, რომელსაც მამამისი მღეროდა, ათასწლეულობის განმავლობაში გადადიოდა ხელიდან ხელში. ამან დაბადა ვარაუდი: შესაძლოა ცოდნის სხვა ფორმებიც ასე გადაეცემოდა საუკუნიდან საუკუნეს და ეს იყო საიდუმლო მოძღვრებანი. ყოველივე ეს მასში ბადებდა აზრს, რომ უნდა არსებობდეს საიდუმლო სწავლებანი. ოკულტიზმის სფეროში გურჯიევმა წაიკითხა ყველაფერი, რისი შოვნაც კი შეძლო, რათა ეს ფენომენი აეხსნა. მან მოინახულა მონასტრები და ერთ-ერთი წმინდა სავანის მონახულების დროს ნახა ახალგაზრდა, რომელსაც სხეულის ერთი მხარე პარალიზებული ჰქონდა და მიწაზე მიხოხავდა. იგი მიხოხდა წმინდა ადგილთან, სადაც დაწვა და დაიძინა და როდესაც გაიღვიძა, სრულიად ჯანმრთელი იყო. მან ასევე ნახა როგორ განიკურნა ფილტვების ანთებისგან მომაკვდავი გოგონა ასკილის რძიანი ნახარშით. შემდეგ, როცა ქალწული მარიამი სიზმარში შეპირდა, რომ გადაარჩენდა. მან საკუთარი თვალით იხილა როგორ წამოვიდა წვიმა იმის შემდეგ, როცა ქალაქის ყველა ეკლესიაში სათანადო ლოცვა აღავლინეს.

გურჯიევმა მუშაობა დაიწყო ცეცხლფარეშად რკინიგზაზე და ფულის დასაგროვებლად საეჭვო გზებსაც არ ერიდებოდა, რის შესახებაც ასე სიამოვნებით ჰყვება თავის წიგნებში. ეს თანხა კი იმისთვის გამოიყენა, რომ თავის მეგობარ სარქის პოღოსიანთან ერთად წავიდა ძველი სარმოუნგების ძმობის დარჩენილ წევრთა საძებნელად. ეს ძმობა, გურჯიევის თქმით, შეიქმნა ბაბილონში 2500 წელს ჩვენს ერამდე.

გურჯიევი ბევრს მოგზაურობდა. თავისი ცხოვრების პირველი ორმოცი წლის მანძილზე (თავიდან იერუსალიმს გაემგზავრა), მოიარა ევროპისა და აზიის მონასტრები, ტიბეტი. ერთხელ კი იგი შეუერთდა ექსპედიციას, რომელიც გობის უდაბნოში უძველესი ქალაქის შესასწავლად მიდიოდა.

იგი ერთხანს ტიბეტში დალაი-ლამას მეგობარი და მრჩეველი გახლდათ და იქ შეძენილი ცოდნა მწყობრ სისტემად ჩამოაყალიბა, ხოლო პრაქტიკული მეთოდები გამოიყენა მუშაობაში ჯგუფებთან, რომელთა მიზანი ადამიანის ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარება იყო.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე გურჯიევი მოსკოვში შეხვდა პეტერ უსპენსკის, რომელიც აგრეთვე მოგზაურობდა ცოდნის შესაძენად, როგორც გურჯიევი. უსპენსკიმ იგრძნო, რომ მისი ძიება ჩიხში შევიდა. მის შეკითხვაზე შესაძლებელია თუ არა იმ ძალების გამოღვიძება, რომლებიც შეძლებენ დაეუფლონ ადამიანის ფარული ძალების, ფარული ცოდნის გამოვლენას? გურჯიევმა უპასუხა:-"შესაძლებელია, მაგრამ ძნელია. თვისება, რომლისგანაც გვინდა გავთავისუფლდეთ, ჰგავს ძლიერ დინებას, რამდენიმე მცდელობის შემდეგ ჩვენ ძალას ვკარგავთ და ვნებდებით მას. ადამიანი მანქანაა და თუ სურს თავი დააღწიოს ამ მექანიკურობას, კარგად უნდა შეისწავლოს ეს მანქანა.

აქედან გამომდინარე, გურჯიევის მთავარი იდეა განსაცვიფრებელია. ადამიანი

იმდენად წარმოადგენს იმპულსების და ემოციების ნაზავს, რომ ძნელია ილაპარაკო მასზე, როგორც რაღაც მყარზე. იგი იცვლება ყოველ წუთს, იგი უმწეო მსხვერპლია მოვლენებისა, რომლებსაც მდინარესავით მიაქვთ. იგი დახეტიალობს, ჰიპნოზური მდგომარეობით შეპყრობილი. ფაქტიურად მას, პირდაპირი გაგებით, სძინავს. აქვს გამოღვიძების იშვიათი მომენტები, ცნობიერების გამობრწყინებები, შეგნება იმისა, როგორი შეიძლება იყოს, შეგრძნება თავისუფალი, რომელსაც იგი პოტენციურად ფლობს. მაგრამ მისი ტვინი მაშინვე უბრუნდება თვლემის მდგომარეობას და კვლავ იწყებს ჩვეულ რუტინულ ცხოვრებას. ტვინი სავსეა წვრილმანებით, რომლებსაც სრულიად დაუმსახურებლად უთმობს ყურადღებას.

გურჯიევის დოქტრინის არსი შეიძლება წარმოვადგინოთ დევიდ ლინდრეის წიგნის "დაჰერილ ქალის" პარალელის გავლებით: ქალი მიდის, რათა იყიდოს სახლი მამაკაცისგან, რომელიც არასოდეს უნახავს. ისინი სრულიად გულგრილნი არიან ერთმანეთის მიმართ და ძალიან ცოტა აქვთ საერთო. მაგრამ როდესაც ქალი გაივლის ოთახს, დაინახავს სინათლეს კიბის მხრიდან, რომელიც ზედა სართულში ადის. იგი აივლის კიბეს და აღმოჩნდება სახლის იმ ნაწილში, რომელიც დიდი ხანია აღარ არსებობს. ფანჯრის მიღმა სრულიად სხვა ხედი ჩანს, როდესაც სარკეში ჩაიხედა, დაინახა, რომ თვითონაც შეცვლილა, უფრო მომწიფებული და განვითარებული გამხდარა. მან შეიცნო თავისი თავი. გამოსახულება სარკეში იყო ის, ვინც უნდა გამხდარიყო, უფრო მეტი ხელშემწყობი პირობები რომ ჰქონოდა თავისი შინაგანი თვისებების განვითარებისათვის.

სახლის პატრონი (კაცი) ადის კიბეზე და იხილავს ქალს ახალი სახით, იცვლება კაციც და ეს ორი ადამიანი, რომლებმაც "შეიცნეს თავი თვისი", შეიყვარებს ერთმანეთს. მაგრამ ქვედა სართულში რომ ჩამოვლენ, მათ მთლიანად ავიწყდებათ რა იყო ზემოთ, იმ სართულზე, რომელიც აღარ არსებობს. შემდეგ ისინი შემთხვევით კვლავ ერთად მოხვდებიან ზედა სართულზე, რაღაც მეთოდის საშუალებით გადალახავენ ამნეზიის მდგომარეობას და ყველაფერს გაიხსენებენ სახლის ყველა დანარჩენ ნაწილზე...

უმაღლესი ცხოვრების დროს ყველაფერი ნათელი და გასაგები ხდება. ცხოვრება აზრით ივსება, მერე კი ყველაფერი ქრება. ე.წ. ნორმალური ცნობიერება ძილზე უკეთესი არაფრითაა, სწორედ ძილის მსგავსად. იგი აშორებს ადამიანს რეალობას.

ადამიანს აქვს უნარი შეიგრძნოს რეალობა, მან იცის, რომ ქვეყნად არაფერია ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც ამის შენარჩუნება, მაგრამ იგი თითქმის ყოველთვის ეშვება ქვედა სართულში და ჩავლილი განცდიდან მხოლოდ ბუნდოვანი მოგონება რჩება.

"გაღვიძებული ცნობიერების ან ფარული ძალის ამუშავების არსი იმაში მდგომარეობს, რომ ჩნდება მიზანი, მხოლოდ მისი დანახვაა საჭირო, ყველაფერი დანარჩენი აუცილებლად მოვა.

გერჯიევმა გააკეთა უბრალო აღმოჩენა: ყოველგვარი არაჩვეულებრივად ძლიერი ძალისხმევა აღვიძებს ცნობიერებას ისევე, როგორც ახალი წამოწყება. ჩვეულებრივ მდგომარეობაში მე საკმაოდ შორს ვარ რეალობისგან, თითქმის ისევე, როგორც . ძილის ან ოცნების დროს. ვუყურებ ამ ხეს, მაგრამ სინამდვილეში ვერ ვხედავ მას ან ვერ შევიგრძნობ მის არსებობას...

მაგრამ ნებისმიერი კრიზისი ან ექსტაზის მდგომარეობა მაიძულებს, გავამახვილო ყურადღება და რასაც ვუყურებ, მოულოდნელად ხვდება ფოკუსში, თითქოს მიკროსკოპში ან ჰოგრიტში ვუყურებდე.

მაგრამ ყოველდღიურობა რუტინაა. ჩვენ არ გვაქვს საშუალება, ყოველდღიურად მოვუწყოთ ჩვენს თავს შთაბეჭდილებებით აღსავსე მოგზაურობები ან გავიცნოთ

მშვენიერი ელენე ტროადან... ჩვენში რეალობის შეგრძნებებს ზოგჯერ მუსიკა ან პოეზია აღვიძებს, აფართოებს ჩვენს შინაგან ჰორიზონტებს, მაგრამ არც ეს არის მუდმივი.

ჩვენ გვჭირდება საიმედო მაღვიძარა...როგორ უნდა ავამუშაოთ იგი? პასუხი ძალიან უბრალოა: ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ვაიძულოთ ჩვენი შინაგანი "რობოტი" გამოიმუშავოს ჩვეულებრივზე მეტი ენერგია.

გურჯიევის მეთოდის საფუძველი "მუშაობაა"-მის სტუდენტებს გაჰყავდათ გზები, ჭრიდნენ ხეებს, ტეხდნენ ქვას, გაჰყავდათ ნაკადულები, წველიდნენ ძროხას. გურჯიევის ჟურნალის ანონიმურ ავტორსაც გაუვლია ყოველივე ეს, იგი ჰყვება, რომ კარგად მუშაობდა, მაგრამ გულში წყენა ჰქონდა. გურჯიევმა მასთან ერთ-ერთი მისი თანაშემწე გაგზავნა, რომელმაც გადასცა, რომ წყენის გამო იგი ეკონომიურად ვერ იყენებდა თავის ენერგიას, მას კი უნდა ემუშავა არა როგორც მანქანას, არამედ გაცნობიერებულად, როგორც მშობელს. გურჯიევმა ურჩია მას შეედგინა უცხო სიტყვების სია და მუშაობის დროს ესწავლა ისინი, გარდა ამისა, იგი უნდა შეეცადოს მთლიანად იგრძნოს თავისი სხეული, რათა უკეთ გაუგოს მას...და როგორც კი მან შეწყვიტა ნეგატიური განწყობილებით მუშაობა, მისგან სიამოვნება მიიღო. ამ დროს იგი მთლიანად იყო ჩართული სამუშაოში.

გურჯიევის ამ მეთოდს შეიძლება გამოყენებითი დაოიზმი ვუწოდოთ. იგი ხაზს უსვამდა შრომის სწავლების დიდ მნიშვნელობას. გურჯიევს უსპენსკისათვის უთქვამს, რომ ადამიანი, რომელსაც შეუძლია წყვილი ფეხსაცმლის შეკერვა, მისთვის უკეთესი სტუდენტი იქნება, ვიდრე მრავალი წიგნის დამწერი ინტელექტუალი. სწორედ ასეთი რამ უთხრა გურჯიევმა ერთ რომანისტ ქალს, რომელმაც თქვა, რომ მისი ცნობიერება ილვიძებს, როცა წერს, მან კი უპასუხა: "თქვენ ოცნებით ცხოვრობთ და აღწერთ კიდეც ოცნებებს, ბევრად უკეთესი იქნებოდა გაცნობიერებულად გაერეცხათ იატაკი, ვიდრე გაუცნობიერებლად გეწერათ ასობით წიგნი". აქ მაშინვე გაგონდება წინააღმდეგობა ლაო ძისა და კონფუცის დაოსურ ხელნაწერებს შორის.

გურჯიევი თავის ინსტიტუტში დაღლილ, ეგოისტურ, შეცბუნებულ ადამიანებს კარგად ბალანსირებულ მანქანებად აქცევდა. ისინი მეტისმეტად დატვირთულნი იყვნენ იმისთვის, რომ საკუთარ თავზე ფიქრის საშუალება ჰქონოდათ. მათი ფიზიკური ქმედება აღვიძებდა მათ ბუნებრივ შესაძლებლობებს. იგი ლაპარაკობდა ადამიანის სამ "ცენტრზე": ინტელექტუალურ, ემოციონალურ და "მოძრაობის" (ანუ ფიზიოლოგიურ) ცენტრებზე და ამტკიცებდა, რომ თითოეული მათგანი მუშაობს თავისი ტიპის ენერგიით. როცა ადამიანი მუშაობს მაქსიმალური თვითგაცემით, ყოველი ცენტრი ჰარმონიულ მდგომარეობაშია ერთმანეთთან. თუ ადამიანი გაუწონასწორებელია, რაც თანამედროვე ცივილიზაციის დამახასიათებელი ნიშანია, ცენტრები ერთმანეთისგან მოწყვეტით მუშაობენ და ამის გამო ძლიერ გადაღლას განიცდიან.

მაგრამ მხოლოდ ცივილიზაცია არაა დამნაშავე იმაში, რომ ადამიანები გაუწონასწორებელნი და არაჰარმონიულნი არიან. მათ თვითონ აქვთ ეს თვისება, აღაგზნონ თავის თავში უარყოფითი ემოციები, რაც ისეთსავე ზიანს აყენებს მათ, როგორც ცეცხლი შენობას. თვით გურჯიევის ერთ-ერთი უმთავრესი თვისება იყო თავისუფლება ნეგატიური ემოციებისაგან. ამას მოწმობს სიბრუკის მიერ მოყოლილი ერთ-ერთი ისტორია. 20-იან წლებში გურჯიევმა გადაწყვიტა თავისი იდეები გადმოეცა მოზრდილ წიგნში, რომელსაც უწოდა "ყველა და ყველა ისტორია ბელზებელისა და მისი შვილიშვილისათვის". მან გადაწყვიტა თავისი მუშაობის პრინციპი ამ წიგნში გამოეყენებინა და განზრახ დაწერა იგი წარმოუდგენლად

აბურდული, რთული სტილით, რათა იძულებული გაეხადა მკითხველი წიგნის გასაგებად უჩვეულოდ დაეძაბა გონება.

სიბრუკმა დაპატიჟა ვახშმად რამდენიმე ინტელიგენტი, რათა მათ მოესმინათ ნაწყვეტები ამ "ოპუსიდან" ესენი იყვნენ ლინკოლნ სტეფენსი, ორი კოლუმბიელი ფილოსოფოს-პრაგმატიკოსი, და ჯ. უოტსონი-ქცევის ფილოსოფიის შემქმნელი, რომელიც ასევე ამბობდა, რომ ადამიანი მანქანაა, მაგრამ კატეგორიულად უარყოფდა მის სხვა რამედ გადაქცევის შესაძლებლობას. გურჯიევის მოწაფეებს დავალებული ჰქონდათ, ეკითხათ ადგილები მისი წიგნიდან. სიბრუკი წერს: "მალე მისტერ სტეფენსმა და ჯონ უოტსონმა ჩურჩული დაიწყეს. შემდეგ კი მისტერ უოტსონმა თქვა: ეს ან კარგად მოფიქრებული და დახვეწილი ხუმრობაა, რომლის მიზანი გაუგებარია ან თავიდან ბოლომდე სისულელეა. ნებისმიერ შემთხვევაში, ვფიქრობ, რომ კითხვის გაგრძელება საჭირო არაა. ჩემი წინადადებაა, თუ მისტერ გურჯიევი წინააღმდეგი არ იქნება, უბრალოდ ვისაუბროთ".

მართლაც ასე მოხდა. მისტერ გურჯიევი უფრო გასაგები და განებამახვილი იყო, ვიდრე მისი მანუსკრიპტი. იგი იმდენად სასიამოვნო, გამჭრიახი და თავაზიანი იყო, რომ ყველა საოცარი ნდობით განეწყო მის მიმართ.

გურჯიევის სურვილი-ხმამაღლა წაეკითხა თავისი წიგნი ამერიკული ინტელექტუალებისათვის, იყო ალბათ მკითხველთან მიახლოების სურვილი, აქ პატივმოყვარეობას ადგილი არ ჰქონია. მსმენელთა უარყოფამ იგი მხოლოდ ჩვეულებრივზე ენამოსწრებული და კეთილგანწყობილი გახადა.

ფიზიკური მუშაობა მხოლოდ დასაწყისი იყო საქმისა. ნამდვილი მუშაობა ცეკვებთან იყო დაკავშირებული, რომელიც მას ტიბეტში დერვიშებთან ჰქონდა ნასწავლი. 1924 წელს გურჯიევმა თავისი ორმოცი მოწაფე წაიყვანა ნიუ-იორკში, სადაც ისინი გამოსვლებს აწყობდნენ.

მაყურებელი ყველაზე მეტად მოხიბლა და დააინტერესა საოცარმა, თვალისმომჭრელმა, ავტომატურმა, არაადამიანურმა და თითქმის დაუჯერებელმა მორჩილებამ, რასაც მოწაფეები, რობოტების მსგავსად, ავლენდნენ დემონსტრაციის იმ ნაწილში, რომელიც "მოძრაობის" პრინციპს ეხებოდა: ისინი თითქოს გაწვრთნილი ზომბები ან ცირკის ცხოველები იყვნენ, რომლებიც ცეცხლმოკიდებულ რგოლებში ხტებოდნენ. ისინი ისე, რომ შესამჩნევად არ დაშავებულან, ვარდებოდნენ კლდიდან, რაც უდავოდ, უფრო სახიფათოა, ვიდრე ცეცხლოვან რგოლებში ხტომები.

ჯგუფი შედგებოდა ახალგაზრდა და სრულიად ნორჩი ქალებისაგან, რომელთაგან უმეტესობა მიმზიდველი და მშვენიერი იყო და მამაკაცებისაგან, რომლებიც ევროპის საუკეთესო ოჯახის შვილებს მიაგავდნენ (ალბათ მართლაც ასე იყო). მათი გამოსვლები იყო ჩვენება იმისა, თუ რამდენად შეძლო გურჯიევის ინსტიტუტს განევითარებინა მათში ფიზიკური კონტროლის, კოორდინაციის, რელაქსაციისა და სხვა უნარები. მაგრამ მე ვიცოდი, მათი გამოსვლები უფრო მეტს გვიჩვენებდნენ, ვიდრე საკუთარი თავის კონტროლია. გურჯიევის ბრძანებით ისინი კისრისტეხით აწყდებოდნენ ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ, მომდევნო ბრძანებაზე კი ისინი იყინებოდნენ ფრენის პროცესში, როგორც ფოტოზე. ერთხელ შევნიშნე, როგორ უბიძგა გურჯიევმა მისი ბრძანებით გაშეშებულ ერთ-ერთ მოცეკვავეს. მან წონასწორობა დაკარგა, რამდენჯერმე გადაკოტრიალდა და კვლავ გაშეშდა საწყის პოზაში.

თავად გიორგი გურჯიევი მშვიდი, ძალოვანი მამაკაცი იყო, რკინის კუნთები ჰქონდა. ეცვა უზადო სმოკინგი. პრუსიელი ოფიცერივით გადაპარსული თავი და ხშირი შავი ულვაშები ჰქონდა. ჩვეულებრივ, ძვირფას ეგვიპტურ სიგარას ეწეოდა, უგულისყუროდ იდგა ქუდით, დარბაზში, პიანინოსთან ახლოს. იგი

მაშინაც გულგრილად გამოიყურებოდა, როცა ბრძანებებს იძლეოდა. სხვა ღირსებებთან ერთად მას ჰქონდა კიდევ ერთი: კარგად ესმოდა სანახაობის არსი და ერთ საღამოს, გამოსვლის კულმინაციურ მომენტში, მოხდა ასეთი რამ: ჯგუფი შეჰოტრიალდა სცენის უკანა ნაწილში და მის ბრძანებაზე წელში მოხრილნი გამოექანენ რამპის სინათლეებისაკენ. ჩვენ ველოდით უცებ შეჩერებულის მოძრაობის მშვენიერ მომენტს, მაგრამ გურჯიევი მშვიდად შეტრიალდა და გააბოლა. მეორე წამს ადამიანთა ლავა გადმოევლო ორკესტრს და უკვე დაცარიელებულ სკამებზე დაეცა, რადგან პირველი რიგებიდან მაყურებლებმა წამოხტომა მოასწრეს. ერთმანეთში იყო არეული ადამიანთა კიდურები, სხეულები, შემდეგ კი ისინი გაქვავდნენ სრულ სიჩუმეში. როდესაც გურჯიევის ბრძანებით წამოდგნენ, აღმოჩნდა, რომ არავის დაზიანებია ხელი, ფეხი, თუ კისერი, განაკაწრი ან სილურჯეც კი არ ეტყობოდათ. გაისმა აპლოდისმენტების ქუხილი... შემდეგ სიბრუკი ახდენს გურჯიევის ციტირებას: თუ მშვიდად ვცხოვრობთ, მონოტონურად ვატარებთ დღეებს და მშვიდად ვართ ღამით, სულელურად გამოვიყურებით. უმჯობესია ვაწამოთ ჩვენი სული, რომელიც იტანჯება სიმშვიდის უაზრობისაგან...სიბრუკი უმატებს: "იგი ღამით აღვიძებდა მოწაფეებს და ასწავლიდა მათ, დარჩენილიყვნენ "გაყინულები",-როგორ პოზაშიც არ უნდა ყოფილიყვნენ-ფეხზე იდგებოდნენ თუ დაეცემოდნენ ლოგინიდან წამოხტომის მომენტში.

ფიზიკური ვარჯიშების გარდა იყო "ტრიუკები, ნახევრადტრიუკები, და ნამდვილი ჯადოქრობა". იგი ახვეული თვალებით დადიოდა ოთახში, ხელზე ხელს ჰკიდებდა ვინმეს და კითხულობდა მათ აზრებს; იგი ამბობდა, მძაფრად გრძნობს მათ შეხებას, რაც კუნთების უნებლიე მოძრაობას იწვევს და სწორედ ეს აძლევს ინფორმაციას. ადგილი ჰქონდა ჭეშმარიტ ტელეპათიურ მოვლენებს. ნებისმიერ მაყურებელს შეეძლო გადაეცა პიანისტ ჰარტმანისათვის რომელიმე ოპერის დასახელება ტელეპათიურად და იგი იწყებდა დაკვრას ამ ოპერიდან. სცენაზე ხატავდნენ იმას, რასაც მაყურებელი ტელეპათიურად კარნახობდა. სიბრუკის გადმოცემით, ცეკვები ძალიან რთული იყო. მათი შესრულებისთვის ისეთივე დაძაბული ვარჯიშები იყო საჭირო, როგორც იოგებს აქვთ. გურჯიევი ამბობდა, რომ ეს ცეკვები აიღო დერვიშებისგან, ესეებისგან და ბუდისტებისგან.

მოგვიანებით შეიქმნა გურჯიევის და უსპენსკის საზოგადოებები ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში. გადმოცემით გურჯიევი სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში სტალინთან ერთად. ზოგიერთი წყაროს მითითებით, დედით იგი ერთ-ერთი წარჩინებული ქართული გვარის შთამომავალი იყო. ოფიციალური მონაცემებით იგი დედითაც და მამითაც ბერძენი იყო. გურჯიევის გვარს ატარებდნენ საქართველოში მცხოვრები ბერძნები, თუმცა სიტყვა "გურჯი" სპარსულში მარადიულად და არაორაზროვნად ქართველის სინონიმი იყო.

*ჰარი გუდინის საიდუმლოებანი*

ამოუცნობი ილუზიონისტი ჰარი გუდინი 70 წლის წინათ გარდაიცვალა, მაგრამ კამათი მის წარმოუდგენელ ილუზიებზე დღესაც არ ცხრება.

ბევრი თვლის, რომ იგი ზებუნებრივი თვისებებით იყო დაჯილდოებული. სიკვდილის წინ გუდინიმ მეგობრებსა და კოლეგებს სთხოვა ყველაზე მნიშვნელოვანი და შესაძლოა, ყველაზე სახიფათო საიდუმლოებანი ჩემთან ერთად სასაფლაოზე მდებარე საიდუმლო საცავში დაფლეთო.

ხმები საცავის შესახებ მომდევნო ხანის ბევრ მის კოლეგასა და უნივერსიტეტელ პროფესორსაც დაუკარგა მოსვენება. მათ დაშიფრული მინიშნების ამოხსნა სცადეს-ის გუდინიმ დატოვა, რათა საცავისთვის მიეგნოთ, მაგრამ ვერავინ ვერაფერს გახდა.

ახლა ბევრი მიიჩნევს, რომ საცავს ვერავინ მიაგნებს, ვიდრე გუდინი

შეპირებისამებრ, იმ ქვეყნიდან დაბრუნდება და თავად უჩვენებს სწორ გზას.

იგივე ხალხის მტკიცებით ისეთი წარმოუდგენელი ოსტატობით თავისუფლდება ჯაჭვების, ბორკილების, გალიებიდან, და თვით საბანკო სეიფიდანაც რომ იგი უცილოდ ზებუნებრივ ძალას ფლობდა.

სიკვდილის წინ გუდინიმ დაიფიცა სიკვდილს დავუსხლტები და დედამიწაზე დავბრუნდებიო.

ყოველ ოქტომბერს მისი გარდაცვალების დღეს, თაყვანისმცემლების ზღვა აწყდება ილუზიონისტის საფლავს და მის გამოცხადებას ელის. ჯერჯერობით არ უმართლებთ, მაგრამ მაინც სჯერათ, რომ ერთხელაც იქნება, გუდინი გამოჩნდება და მაშინ კი ახდის ფარდას თავის საიდუმლოებას.

იგი იყო და არის დღევანდელი დევიდ კოპერფილდის (ილუზიონისტი) ანალოგია, მაგრამ რომელი უფრო ძლიერ ფლობდა ამ პროფესიას არავინ იცის. საინტერესოა რეინკარნაციას ხომ არა აქვს ადგილი?

*ვანგა*

ვანგა ჭეშმარიტად შეუძლია თქვას, რომ იგი იყო ჩვენი უახლესი ისტორიის პითია (დელფოს მიზანი). მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში არცერთი ნათელმხილველის სახელი არ ყოფილა ესოდენ პოპულარული, როგორც ევანგელია დიმიტროვასი იგივე ვანგასი. მისი ძმისშვილი კრასიმირა სტოიანოვა შეიქნა მის მებიოგრაფედ, რომელმაც გამოაქვეყნა წიგნი "ვანგა ნათელმხილველი და მკურნალი", რომლის მიხედვით მოგაწვდით მის შესახებ მცირეს და შედარებით საინტერესოს.

ვანგა დაიბადა 1911 წლის 31 იანვარს იუგოსლავიაში ქალაქ სტრუმიცეში, გლეხის ოჯახში. ძალიან მალე მათი ოჯახი საცხოვრებლად გადმოდის ბულგარეთში. დედა სამი წლისას გარდაეცვალა და ისედაც ღარიბ და უსახსრო ოჯახს კიდევ უფრო მეტად გაუჭირდა. მამამ მეორე ცოლი მოიყვანა. ცოტა ხნით ოჯახმა მოიკეთა, მაგრამ ეს გაგრძელდა მცირე ხნით, მოვიდა ახალი მთავრობა, მიწები ჩამოართვეს და ამ ოჯახს სამუდამოდ დაუმეგობრდა სიღარიბე.

12 წლის ასაკში ვანგამ ვილაცას ხელით, რომელიც მას თავზე მიეკარა, განიცადა ნათელხილვის ძალა, მცირე ხნით იავადმყოფა და სამუდამოდ დაბრმავდა სრულიად. ამის შემდეგ იგი გადაიყვანეს უსინათლოთა თავშესაფარში, მაგრამ მალე დედინაცვალი გარდაიცვალა და ვანგა კვლავ სახლში დაბრუნდა მამის დასახმარებლად. კრასიმირა სტოიანოვა აი რა ცნობებს გვაწვდის პირველ ნათელხილვებზე: მეზობელი ქალბატონი, ოთხი შვილის დედა მილანა პარტენევი ტიროდა, რომ მისი ქმარი დიდი ხანია ომში დაკარგული და არ ჩანს. ვანგამ გააფრთხილა, რომ ის მოვიდოდა ამაღამ სახლში აუცილებლად საცვლებისამარა. ამ წუთას კი ის იმალება.

1942 წლის 8 აპრილს ვანგასთან მივიდა მოხუცი მოხუცი ქალბატონი თინა და უთხრა, რომ მისი ნახვა უნდოდა ერთ სტუმარს, შეკითხვაზე, თუ ვინ სტუმარი? უპასუხეს, რომ ეს იყო ბულგარეთის მეფე ბორის III. ვანგამ მეფეს უთხრა, შენი სამფლობელო გაიზრდება, მაგრამ იცოდე, იყო მზად ჩაეტიო კაკლის ნაჭუჭში და კვლავ გაუმეორა იყო მზად ყოფილიყო და დაუმატა, დაიმახსოვრე 28 აგვისტო.

მეფე ბორის III გარდაიცვალა 1943 წლის 28 აგვისტოს. ერთს მოსტაცეს ბავშვი, მას ვანგამ მიასწავლა როგორ უნდა მიეგნო, ხოლო სხვას უთხრა: შენ დაკარგულ შვილს მიაგნებ მაშინ, როდესაც ის უკვე გათხოვილი და ქმარშვილიანი იქნება. იგი ასევე გაბედულად ეუბნებოდა ზოგს, რომ მისი შვილი მკვდარია, და მოჩანს მისი მიწიდან ამოწეული ხელი. 1976 წელს ვანგამ მიიღო 102000 ადამიანი, საშუალოდ დღეში იღებდა 120 კაცს. ყველა ასეთ სტუმარს მასთან უნდა მიეტანათ შაქრის ნატეხი ან კვარცის საათი, კიდევ უფრო

ასაურველი იყო, რომ საათი რუბინით ყოფილიყო გაწყობილი. ყველაზე კარგად ინფორმაცია იწესებოდა მათზე.

კრასიმირა სტოიანოვას ვანგასთან აქვს ასეთი სახის ინტერვიუ აღებული: ხედავს თუ არა კონკრეტულ სახეებს, გარეგნობას, სურათს, მდგომარეობას?!

-კი.

-დროის რომელ პერიოდს ხედავ?

-ყველას, სამივეს.

-კითხულობ თუ არა სახეზე აზრებს?

-კი.

-რა მანძილზე?

-მნიშვნელობა არა აქვს.

-შეიძლება თუ არა ადამიანმა თავისი ინდივიდუალობის წყალობით შეცვალოს ცხოვრების გზა

-არა.

-შეიძლება თუ არა წაიკითხოს აზრი, ინფორმაცია უცხოელის სახეზე?

-კი.

-გარდაცვლილი ადამიანი კონტაქტში შესვლისას ამჟღავნებს თუ არა ინტერესს მისდამი?

-იგი პასუხობს კიდევაც და შეკითხვასაც იძლევა.

-როგორ მიიღება სიკვდილი?

-როგორც მისი ფიზიკური არსებობის დასასრული.

-არსებობს თუ არა ხელახლა დაბადება

-ვანგას ამ კითხვაზე პასუხი არ გაუცია.

-არსებობს თუ არა გონის უფრო მაღალი წესრიგი სამყაროში, ვიდრე დედამიწაზე?

-კი.

-საიდან მოდის ეს გონი?

-კოსმოსიდან.

-არსებობდა თუ არა ადრეულ დროში უფრო მაღალი ცივილიზაციები?

-კი.

-არსებობს თუ არა მფრინავი თეფშები?

-კი.

-საიდან მოდიან ისინი?

-პლანეტა ვამფიდან (მე ასე მომესმა ეს სიტყვა) ის მესამე პლანეტაა მიწიდან თუ გადავითვლით.

ვანგა ხშირად ამბობდა, რომ ადამიანებს თან დაჰყვება დიდი თვალი, რომლისგანაც დამალვა არავის ძალუძს.

ერთხელ კრასიმირამ უთხრა ვანგას, როგორ შეიძლება ცისარტყელა იყოს ასე დაკიდებული ცაში? რას ნიშნავს ეს სილამაზე? ვანგამ უპასუხა: ცისარტყელა პირველად გამოჩნდა ბიბლიური წარღვნის დასასრულის შემდეგ, როცა გადარჩა ნოეს კიდობანი.

1979 წელს რუს მსახიობს ვიაჩესლავ ტიხონოვს ვანგამ უთხრა: რატომ არ შეასრულე თხოვნა შენი უახლოესი მეგობრის იური გაგარინის, როცა ის მიდიოდა უკანასკნელად თვითმფრინავის გამოსაცდელად, მან გითხრა შენ: მე არ მაქვს დრო, ამიტომ ძალიან გთხოვ, იყიდე მაღვიძარა და დადგი მაგიდაზე, რომ ამ საათმა მოგაგონოს ჩემი თავი.

ტიხონოვი იმდენად შეაძრწუნა ასეთმა ზუსტმა ნათელხილვამ, რომ გახდა ცუდად და ძლივს მოაბრუნეს.

ერთ-ერთი საუბრისას კრასიმირამ ჰკითხა ვანგას:

-რა არის ადამიანი, რას წარმოადგენს იგი სამყაროში?

ვანგამ გაიცინა და თქვა: ადამიანი ეს არის დაბნეული არსება, რომელიც ყველაფერს აკვირდება, ყველაფერს ეძებს და ვერ პოულობს. მაგრამ იცოდე, მე ამას ვამბობ ხუმრობით. მაგრამ, თუ ადამიანს შეხედავ სიმაღლიდან და როგორც ნაწილს სამყაროსი, მაშინ ადამიანი წარმოგიდგება როგორც არარაობა, როგორც მტვრის ნაწილაკი, რომელიც ჩაკარგულია უსასრულობაში და ანთებულია ღვთაებრივი ნაპერწკლით. ამ მუხტის ძალით იგი ხშირად ჯობნის თავის თავს და გამუდმებით ხატავს, წერს, ხსნის საიდუმლოებებს ჩვენი ყოფიერებისა და ახდენს დაუჯერებელ აღმოჩენებს.

200 წლის შემდეგ ადამიანები დაამყარებენ კავშირს კოსმოსელებთან (უცხოპლანეტელები). უნგრული აპარატურა პირველი დაიჭერს კოსმოსელების სიგნალს...სიმართლე კი მათზე უძველეს წმინდა წიგნებში უნდა ეძიოთ. (საუბრის ჩაწერა მოხდა 1979 წელს) ვანგამ ასევე იწინასწარმეტყველა დიდი ცვლილებები და კატაკლიზმები 1980 წლიდან.

1996 წელს 86 წლის ასაკში სიმსივნის შედეგად გარდაიცვალა ვანგა. მას შესთავაზეს ოპერაცია, მაგრამ მან უარი განაცხადა. ასეთი არაორდინალური და მისტიკური იყო თვით სიკვდილის პირას მისული ნათელმხილველი.

*ჟიულ ვერნი და მისი ლიტერატურული წინასწარმეტყველებანი.*

ჟიულ ვერნი ცხოვრობდა ძირითადად მე-19 საუკუნეში და იგი ამ საუკუნის მოღვაწეთა რიგს მიეკუთვნება, რადგან იგი დაიბადა 1828 წელს და გარდაიცვალა 1905 წელს. თარიღს იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ იმ პერიოდში უკვე იყო მკრთალი წანაძღვრები მეცნიერებისა, რომ მსოფლიო მალე იხილავდა ტექნიკის დიდ მიღწევებს. ჟიულ ვერნის გმირებმა გამოიგონეს ელექტრობა, ტელეფონი, ტელევიზორი, რადიოკავშირი, მთვარეზე გაფრენა, წყალქვეშა ნავი და ბევრი სხვა. იგი გვევლინება ფანტასტიკური ჟანრის ერთ-ერთ საფუძვლის ჩამყრელად. ჟიულ ვერნის შემოქმედების ბევრი უწვრილმანესი დეტალი საოცრად ემთხვევა დღევანდელობას. მაგ. თანამედროვე კოსმონავტების და საფრენი აპარატის ასაფრენ ადგილად ფლორიდის შტატში მდებარე კანავერალის კონცხი მიიჩნია, საიდანაც ახლა ამერიკული "შატლები" აფრინდებიან. ვერნი თავის გმირებს უწონადობის გრძნობას განაცდევინებს, ისინი მთარეს გარს უვლიან და ვულკანის ამოფრქვევასაც დაინახავენ, რაც ნახევარი საუკუნის შემდეგ აღწერა საბჭოთა ასტრონომმა კოზირევმა. საინტერესოა, რომ ჟიულ ვერნის გმირები დედამიწაზე ბრუნდებიან და წყნარ ოკეანეში ნაპირიდან 400 კმ დაშორებით ეცემიან, სადაც მათ ამერიკული კორვეტი წააწყდება.

ნახევარი საუკუნის შემდეგ აპოლონ-9-ის კოსმონავტებმა შემჩნიეს, რომ მათი დამშვები აპარატი, რომელიც ზომა-წონით ძალიან ჰგავდა ჟიულ-ვერნისას, მწერლის მიერ აღწერილი ადგილიდან 4 კმ-ის დაშორებით დაეცა. ვერნის ვარაუდით, ჩრდილო პოლუსის ქვეშ იმყოფება მატერიკი, რომლის სიღრმეში აურება წიაღისეულია. ეს აზრი ახლა რეალურობიდან შორს აღარ არის. ჩრდილო ყინულოვან ოკეანეს უკვე მუშტრის თვალით უყურებენ ნავთობის მომპოვებელი კომპანიები.

კაცობრიობის არსებობის პრაქტიკა გვაუწყებს, რომ ყველა დიადი მოვლენის ცხადად ასრულებას, წინ უძღოდა მსგავსი სამწერლო და საპუბლიკაციო გამოსვლები. ასევე მიდის ახლა ლაპარაკი უცხო პლანეტელებზე, ჩანს, რომ ესეც მსგავსივე და პარალელური მომენტია სამყაროს განვითარებისა. ხალხი ჯერ იდეოლოგიურად მზადდება, შემდეგ კი ცხადად სრულდება. გონებაში აზრის

მომწიფება კი ღმერთის ნებით ხდება.

*მარინა ვლადი და ვლადიმერ ვისოცკი*

მარინა და ვალოდია სტუმრად მივიდნენ საერთო მეგობართან. სვამდნენ, ხუმრობდნენ და უკვე დამშვიდობებისას ორივეს მისცა კარტის დასტა და შესთავაზეს ჩაეთქვათ კითხვა და ამოეღოთ ერთი კარტი. "რა გველოდება"?- სიცილით შეეკითხნენ და მარინამ მაშინვე ამოაძრო კარტი (გულის ტუზი). მასპინძელს სახეზე ჩრდილმა გადაუარა. ვისოცკიმ და მარინამ ერთმანეთს გადახედეს. "სიყვარული და სიკვდილი", ახსნა კარტის მნიშვნელობა მათმა მეგობარმა, მაგრამ ტრაგიკულ დასასრულამდე ისე დიდი დრო იყო, რომ შეყვარებულებმა გადაწყვიტეს წინასწარმეტყველება ცრუა. თუმცა ყველაფერი ზუსტი გამოდგა.

*ეკატერინე II*

ეკატერინა II-ის დედა ანჰალტ-ცერბსტი (პრინცესა)-ფრიდრიხ II-ის საიდუმლო დავალებებს დიდი გულმოდგინებით ასრულებდა. ერთხელ დედა-შვილი ასეთი დავალების შესრულების დროს ბრაუნშვაიგში იმყოფებოდნენ. იქ ეკატერინე შეხვდა კანონიკოს, რომელმაც წარმოთქვა ახალგაზრდა გოგონას შესახებ იდუმალი და ციური სიტყვები "მე ვხედავ-შენს თავზე სამი ალმასის გვირგვინის ციალებს". ეკატერინეს დიდგვაროვნობა აშკარად იძლეოდა იმის საბაბს, რომ იგი გვირგვინოსანი გამხდარიყო, მაგრამ სიტყვა "სამი" რაღაც გაურკვევლობის ბინდში ძირავდა წინასწარმეტყველებას. დიდხანს, თითქმის 30 წელი მიდიოდა ქალი წინასწარმეტყველური სიტყვები ასრულებისაკენ, სანამ ბოლოს და ბოლოს 1762 წელს არ მიიღო სახელწოდება დიდი, მცირე და თეთრი რუსეთის იმპერატორისა.

*ჩარლი ჩაპლინი*

ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველი ტურნეს დროს, რომდესაც ჯერ კიდევ პურის ფულს ძლივს შოულობდა უდიდესი კომიკოსი, სან-ფრანცისკოს დარაბებიან ჯიხურთან განცხადება იყო გამოკრული: "გიმკითხავებთ ბანქოზე და ხელზე, ერთ დოლარად". ჩაპლინი ჯიხურში შევიდა. ორმოციოდე წლის მსუქანმა ქალმა კარტი სამჯერ ააჭრევინა და შემდეგ ხელისგულები ზევით მაგიდაზე დააწყობინა.

მან ბანქო გაშალა, ყურადღებით დაათვალიერა, შემდეგ ხელებს დახედა და უთხრა-თქვენ მალე აქედან გაემგზავრებით, შემდეგ ისევ უკან დაბრუნდებით და ახალ საქმეს მოჰკიდებთ ხელს. თითქმის იგივე საქმეა, რასაც ეხლა საქმიანობთ, მაგრამ მაინც სხვა და ამ ახალ საქმეში ძალიან დიდი წარმატება გელით. სამჯერ დაქორწინდებით, პირველ ორ ქორწინებაში არ გაგიმართლებთ, ბოლო ქორწინებას კი ბედნიერად გაატარებთ, გეყოლებათ სამი შვილი. შემდეგ ისევ ყურადღებით დახედა ხელს და შესამჩნევი აღგზნებით წამოიძახა-ო, თქვენ დიდ სიმდიდრეს შეიძენთ,-ასეთ ხელს ფულის კეთება შეუძლია. და საბოლოოდ მისნობა ასე დაამთავრა, 82 წლის ასაკში დაიღუპებით ფილტვების ანთებით. წინასწარმეტყველება გამართლდა დაახლოებით 90%-ით. იგი ოთხჯერ დაქორწინდა და ათი შვილი ჰყავდა, გარდაიცვალა 88 წლის ასაკში ფილტვების ანთებით.

*მაისტერ ეკჰარტი (1260-1327)*

მე რომ ღმერთად გადავქცეულიყავი და ღმერთს ჩემთვის თავისთან ერთობა ებოძებინა, ანუ მე რომ ღვთიურად და ღვთაებრივად მეცხოვრა, მაშინ ჩვენ შორის განსხვავება აღარ იარსებებდა...ზოგიერთ ადამიანს ჰგონია, რომ ღმერთს დაინახავს ისე, თითქოს ღმერთი იქვე, მის შორიახლოს იდგეს, მაგრამ ეს შეუძლებელია. "ღმერთი და მე: ჩვენ ერთნი ვართ. შევიმეცნებ რა ღმერთს, მე მას ჩემში ვღებულობ. შევიყვარებ რა ღმერთს, მე შევაღწევ მასში".-ამბობდა გერმანული მისტიციზმის ფუძემდებელი მაისტერ ეკჰარტი. იგი დაიბადა დაახლოებით

1260 წელს საქსონიაში. ერთხანს ლექციებს კითხულობდა პარიზში. შემდეგ საქსონიაში დომინიკანელთა ორდენის პროვინციალი იყო, ცხოვრობდა კიოლნსა და სტრასბურგში. თავისი ქადაგებებით მაისტერ ეკჰარტი ცდილობდა, უწინარეს ყოვლისა მასებზე მოეხდინა ზემოქმედება, რათა ისინი მისტიური ცხოვრების სიღრმისათვის ეზიარებინა.

მაისტერ ეკჰარტის თანახმად, ღმერთის აზრები საგნებზე არიან ის პირველსახეები, რომელთა მიხედვით საგნები იქმნებიან. ღმერთი თავისი თვითმყოფობით ყველა არსის ერთობლიობაა და ყველა არსი ღმერთია, რადგანაც ისინი ღმერთში არიან. ღმერთში ყველა არსს ერთი არსი შთანთქავს და არც ერთი არსი არ არსებობს განცალკევებით. თუ მამა თვითშემეცნებისას თავის "მარადიულ სიტყვას" წარმოთქვამს, ე.ი. ძეს ბადებს, ამ სიტყვით ის წარმოთქვამს ყველა საგანსაც. ღვთაებრივი სიტყვა, ამასთანავე ყოველი საგნის ერთიანი იდეაცაა.

"სამყაროს შექმნა ეკჰარტის აზრით, განპირობებულია ღმერთის სიკეთით, აუცილებლობის ძალით რომ ქმნის ყველაფერს. ამით ღმერთმა თავისი თავი უნდა გვაჩვენოს, მისივე ბუნებრივი სიკეთე გარკვეულწილად აიძულებს ასე მოიქცეს, რადგან თავის თავს ასე რომ არ გვაჩვენებდეს, ღმერთიც აღარ იქნებოდა. მისი ღვთაებრიობის ცნებაში იგულისხმება, რომ მან თავისი თავი უნდა გამოასხივოს იმის სასიკეთოდ, რასაც შეუძლია მისი სიკეთის მიღება"

"ღვთიური არსება-ამბობს ეკჰარტი,-ყველა ქმნილებაში იღვრება, რამდენადაც თითოეულ მათგანს შეუძლია მიიღოს იგი. ამრიგად, ყოველივე შექმნილში არის ღმერთი. საგნებს რომ ღმერთი არ ავსებდეს, ისინი არარაობად იქცეოდნენ", რადგანაც ყველა არსება თავისთავად არარაა და ღმერთისაგან დამოუკიდებლად არსი არ გააჩნიათ. ყველა ქმნილება ამბობს, ეკჰარტი არარაობაა და არარაა ის, რაც უარსოა. ხოლო ყველა ქმნილება თავისთავად უარსოა, რადგანაც მათი არსი არის ღმერთი. ღმერთმა რომ თუნდაც წამით ზურგი აქციოს მათ, ისინი არარაობად იქცევიან". მაგრამ ამავე დროს, ღმერთი უსასრულოდ მაღლა დგას ყოველივე შექმნილზე. "ღმერთი იღვრება ყველა ქმნილებაში, მაგრამ უსასრულოდ შორს დგას მათგან, მსგავსად იმისა, როგორც ცა მოიცავს ყველაფერს, მაგრამ კი მოუცველი რჩება".

ადამიანის სული ეკჰარტის მოძღვრების მიხედვით, მარტივი არსია. ის სხეულის ფორმად გვევლინება და ამიტომ ყველგანაა მასში. სულში უნდა განვასხვაოთ ორი ასპექტი: სულის ნაპერწკალი და მისი ძალები. ნაპერწკალი სულის ინტიმური არსია. ის თავისთავად ისე წმინდაა ამაღლებული და კეთილშობილი, რომ მასში ადგილი აღარ რჩება ქმნილებისათვის, ესაა სულის ჭეშმარიტი პირველსაფუძველი, ღმერთის პირველსაფუძვლის მსგავსი, გარეგნულში დაფარული ჭეშმარიტად შინაგანი ადამიანი. სწორედ მასშია აღბეჭდილი ღმერთის ხატი. ეკჰარტი ამბობს, რომ "არის სულში რაღაც ისეთი, რაც იმდენად ენათესავება ღმერთს, რომ არა მარტო ღმერთთან შერწყმულად გვევლინება, არამედ მასთან ურღვევი ერთობაც არის შეკრული", მაგრამ ადამიანი რომ მთლიანად ამ "ნაპერწკლის" მსგავსი იყოს, მაშინ ის აღარ იქნებოდა შექმნილი. სული-ღვთაებრიობის საწყისი, ეკჰარტის თანახმად, მისტიური ჭვრეტის ორგანოა. ადამიანს არ შეუძლია თავისი ბუნებრივი შემეცნების წყალობით ამაღლდეს ღმერთის ჭვრეტამდე, რადგან შემეცნება სულიერ ძალთა საქმეა. ღმერთის ჭვრეტა ადამიანს შეუძლია მხოლოდ ნათელში, ანუ იმავე ღმერთში, და ეს ნათელი სულის ნაპერწკალში ბრწყინავს, რადგან აქ უშუალოდ ბინადრობს ღმერთი. აქ, ამ თავისივე საფუძველში, სული დაეძებს ღმერთს, რათა უყვარდეს იგი სხვა რაიმეს მეშვეობით და ყოველგვარი საზღვრის გარეშე. "აქ ჩემი თვალი და ღმერთის თვალი ერთი თვალია. და ერთი სახე, ვჭვრეტ ღმერთს

და ის თვითონ მჭვრეტს". ერთი და იგივეა ხედავდე ღმერთს და გხედავდეს ღმერთი.

მისტიური ჭვრეტის მისაღწევად აუცილებელია ადამიანი განიწმინდოს ცოდვებისაგან და აღივსოს ჭეშმარიტი და გულწრფელი სინანულით. ამასთანავე, ღმერთი უნდა განუდგეს ყოველივე გარეგნულს, ჩაუღრმავდეს საკუთარ თავს და ეზიაროს სიმარტოვეს. ის უნდა განუდგეს თავის თავსაც და მოექცეს სულის საფუძველში, როცა ყოველივე ამას მიაღწევს, შემდეგ მთელი თავისი შინაგანი არსის განცდა უნდა მიუძღვნას ღმერთს. ავსილი უნდა იყოს უაღრესი თვინიერებით ღმერთისადმი და მასში მხოლოდ ღმერთი უნდა მოქმედებდეს. მთლიანად უნდა დათრგუნოს თავისი ნება და პასიურად დაუსაკუთროს თავი შემოქმედს. ესაა სრული სიმშვიდე და აუმღვრელობა.

როდესაც ღმერთს მინდობილი ადამიანი სავსებით ჩუმი და უმოქმედო გახდება, მაშინ მისი სულის საფუძველში იღვრება ციური შუქი, ამ ნათელში ღმერთი კაცს უვლენს თავისი ღვთაებრიობის საფუძველს, ღმერთის მთელი არსება კაცისთვის მისაწვდომი ხდება. სული თითქოს ითქვიფება ღმერთში, ადამიანი უერთდება ღმერთს და განღმრთობილი ხდება. ადამიანი იბადება ღმერთის ძეში, რაც სულის მისტიური ცხოვრების მიზანია, მაშინ "არ არსებობს არავითარი განსხვავება ადამიანის სულსა და ღმერთის ძეს შორის, ზუსტად ისევე, როგორც მამის ბუნება არ განსხვავდება ძის ბუნებისგან. როგორც ევქარიისტიის პური იქცევა უფლის სხეულად, ისე ადამიანიც ამ დაბადებით ღვთის ძედ იქცევა. ადამიანის ეს დაბადება ძეში, იმავდროულად ღმერთის ძის დაბადებაც არის ადამიანში.

ღმერთის ძის ეს დაბადება ადამიანში მისტიური ექსტაზის მდგომარეობაში ხდება და თუ ადამიანი ღვთისადმი ჭეშმარიტი სიყვარულით თავის სულში ადგილს უმზადებს მას, მაშინ ღმერთმა აუცილებლად უნდა გამოავლინოს თავისი მოქმედება მასში.

ამგვარი თეორიით ადამიანი ღმერთის სრულ დაბადების ორგანოდ გვევლინება. ადამიანი მხოლოდ იმისთვის იბადება ღმერთის ძეში, რომ ღმერთის ძე ადამიანურად დაიბადოს მასში... ამ დროს ადამიანი ფლობს ყველაფერ იმას, რაც შემოქმედმა მიანიჭა ღმერთკაც ქრისტეს. თუ ჩვენ ვესწრაფვით სიწმინდეს, ისეთივე ღმერთკაცებად ვიქცევით, როგორიც იყო ქრისტე... ადამს რომ არ შეეცოდა, ღმერთი მაინც განკაცდებოდა, ადამიანის ხვედრის განღმრთობა, ცოდვითი დაცემის გარეშეც მოხდებოდა და მის სწრაფვას განღმრთობისადმი თავისი იდეალი უნდა მოევლინოდა ქრისტეს-განკაცებული ღმერთის სახით.

იმის წყალობით, რომ ადამიანი მისტიური ცხოვრების მწვერვალამდე მაღლდება, ის ჭეშმარიტ თავისუფლებას აღწევს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მას შეუძლია სურდეს მარტოდენ სიკეთე, რადგანაც ადამიანში მხოლოდ ღმერთი მოქმედებს. "ღმერთი ძალას არ ატანს ნებას,-ამბობს ეკჰარტი,-არამედ თავისუფლებას ანიჭებს და სულსაც შეუძლებელია სხვა რამე სურდეს, გარდა იმისა, რაც ნებავს ღმერთს. ეს თავისუფლების დაკარგვა კი არა, არამედ ნების ჭეშმარიტი თავისუფლებაა, რადგანაც თავისუფლება ისაა, რომ ხელ-ფეხშეკრულნი კი არა, ისევე თავისუფალნი, წმინდანი და შეუბღალავი ვართ, როგორც ამ ქვეყნად ჩვენი მოვლინების წამს".

ადამიანი მისტიურ ცხოვრებას რომ ეზიარება, ამას შედეგად მოსდევს ცოდვისგან მისი სრული განთავისუფლება, რამდენადაც ადამიანი ემსგავსება ღმერთს,- ამბობს ეკჰარტი,- რადგანაც მას უყვარს ღმერთი, რამდენადაც განუდგება საკუთარ თავს და თავისას აღარ დაეძებს აღარც დროში და აღარც მარადისობაში, იმდენადვე თავისუფლდება ცოდვისგან, თუნდაც ყველა ადამიანური

ცოდვით შეცოდოს. კაცთა მოდგმის მთელი ცოდვა მხოლოდ წვეთია ზღვაში, ღმერთის უსასრულო სიკეთესთან შედარებით.

მისტიური ცხოვრებისთვის ცოდვასაც თავისი მიზანი აქვს. ღმერთი ცოდვაში ადგმევინებს ფეხს ადამიანს და, ასე განსაჯეთ, უპირატესად სწორად იმას, ვისაც დიადი საქმისთვის ირჩევს...ცოდვა თვინიერების აღმზრდელია, ხოლო მისი მიტევება ადამიანს უფრო მჭიდროდ აკავშირებს ღმერთთან...გარე საქმიანობა მხოლოდ იმისთვისაა საჭირო, რომ თავის თავსა და ღმერთში კონცენტრაციისათვის მოამზადოს და ყოველივე მიწიერს განარიდოს სული. მაგრამ ჭეშმარიტი ქმედითობა მხოლოდ სულის შინაგანი ქმედითობაა, ღმერთისგან რომ იღებს ნეტარებას, მართალთა სიმშვიდე მათ მიერ აღსრულებულ ყველა საქმეზე არსებითია.

ადამიანს ღმერთი თვით ღმერთობისათვის უნდა უყვარდეს და არ ეძებდეს თავისი საქმის საზღაურს, ისევე სიკეთეს, სიკეთის გულისთვის უნდა იქმოდეს და არ ეძებდეს ღმერთისგან წყალობას, და არც საუკუნის ნეტარებას. ვინც საზღაურის გულისთვის მოქმედებს, ის სცოდავს.

ადამიანში ღმერთის დაბადების მიზანი ის არის, რომ ყველა ქმნილება კვლავ დაუბრუნდეს დასაბამს-ღმერთს. ეკჰარტის მოძღვრების თანახმად, ღმერთის მოქმედების მიზანი ადამიანში მისი დავანებაა, ხოლო ადამიანის უზენაეს მიზნად ღმერთში დავანება გვევლინება. ორივე მიზანი სულში ღმერთის ძის დაბადებით ხორციელდება და სწორედ ესაა მისტიური ცხოვრების არსი. ამ დაბადებით ადამიანი ნეტარებას განიცდის, ღმერთი კი უსაზღვრო სიხარულს და ამგვარად, ორივეს ნეტარება ერთია, მაგრამ ეს ნეტარება ადამიანისთვის მხოლოდ მომავალ ცხოვრებაში გასრულდება. სული არ გაქრება ღმერთში, არამედ სხეულის სიკვდილის შემდეგაც შეინარჩუნებს არსებობას. სული უკვდავია თავისი ღვთაებრივი საფუძვლით, რომლითაც იგი ღმერთის საფუძველს ერწყმის, რათა სამუდამოდ დარჩეს მასში და ამრიგად ეზიაროს საკუნო ნეტარებასაც. აი ამას ჰქვია სწორედ უკვდავება.

როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, თუმცა შუა საუკუნეების ინკვიზატორებისგან არაფერი არაა გასაკვირი, ამით კი ის გვინდა ვთქვათ, რომ ბევრი ეკჰარტის მოწაფე კოცონზე დაწვეს, ხოლო თვითონ უდიდესი მოძღვარი, სიკვდილიდან ორი წლის შემდეგ ერეტიკოსად შერაცხეს.

***პრეზიდენტ რეიგანის მმართველობის პერიოდი და ასტროლოგი ჯოან კუიგლი***

ჯოან კუიგლის პოლიტიკური რჩევები ასტროლოგიის ფონზე

1980 წელს ახალგაზრდა ასტროლოგმა ელიზაბეტ ტეისნერმა უწინასწარმეტყველა რეიგანს, რომ 1981 წლის მარტში ის მოხვდება კრიტიკულ სიტუაციაში. 1980 წლის 30 მარტს მართლაც მოხდა პრეზიდენტზე თავდასხმა და მსუბუქად დაიჭრა, ამის შემდეგ პრეზიდენტის მეუღლემ ნენსიმ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად მეუღლეს ურჩია ჰყოლოდა ასტროლოგად ჯოან კუიგლი, რომელმაც 1990 წელს გამოსცა წიგნი "ჩემი შვიდი წელი ასტროლოგად ყოფნის პერიოდი ნენსი და რონალდ რეიგანებთან თეთრ სახლში". თვითონ რონალდ რეიგანი მაინცდამაინც არ იზიარებდა ასტროლოგიის კეთილგაელენიანობას, თუმცა ყველაზე მომგებიანი შეთანხმება ამერიკას და საბჭოთა კავშირს შორის დაიდო 1980 წლის 8 დეკემბერს 14 საათზე. რაც ჯოან კუიგლის გათვლით იყო გამოანგარიშებული.

საპრეზიდენტო ვადის გასვლის შემდეგ რონალდმა და ნენსიმ 2,5 მილიონ დოლარად, ლოს-ანჯელოს პრესტიჟულ კვარტალში ბელ ერში იყიდა ბინა (ელიზაბეტ ტეილორის გვერდით) მაგრამ ასტროლოგებმა ქუჩის ნომერი 668

მისთვის მისაღებად არ მიიჩნიეს და რეიგანის თხოვნით ბინის მისამართი 666 შეიცვალა, რაც ანტიქრისტეს ციფრია.

*ასტროლოგი - რენო ნერო*

ასტროლოგი და წინასწარმეტყველი რენო ნერო სახელი რომ თარგმნო, შავ ობობას ნიშნავს და იყო ფრანცისკანელი ბერი. ცხოვრობდა მე-17 საუკუნეში ფლორენციაში. მასზე არავინ არაფერი იცოდა 1972 წლამდე, სანამ ერთ-ერთ მონასტერში არ აღმოაჩინეს მისი ხელნაწერები. მასში აღწერილია სამყაროს ყითარება 6323 წლამდე.

ბევრი მოვლენა გადმოცემულია უზუსტესი მონაცემებით. რომის პაპ იოანე-პავლეზე გვაუწყებს, რომ მოედანზე მას დაჭრიან ორი გასროლით, მსროლელი იქნება ულმერთო თურქი. ორიდან ერთ-ერთ დამნაშავეს დაიჭერენ. მასთან არცთუ მცირე ადგილი უკავია სტალინს, მას იგი მოიხსენიებს მთიდან ჩამოსულად, რომლის პირიდან კვამლი ამოდის.

პროგნოზირებს სამი რელიგიის ქრისტიანობის, ისლამის და ზოროასტრიზმის (ცეცხლი და მზე) დაპირისპირებაზე. ისლამი აღარ იქნება, გამოჩნდება ახალი რელიგია (1925) სატანის სახით. მართლაც 1925 წლის 31 იანვარს დაფუძნდება სატანის ტაძარი. მან იწინასწარმეტყველა ატომური აფეთქებები (სულ 7). მე-20 საუკუნის ბოლო წლებში აღმოსავლეთში მოჩანს შავი ღრუბელი (ვარაუდობენ, რომ ესაა ჩერნობილი). ამავე პერიოდში გაჩნდება საოცარი ავადმყოფობა (შიდსი). XXI საუკუნეში ადამიანებს შეაწუხებს მწერები. შინაური ცხოველები არ დაემორჩილებიან ადამიანებს.

ადამიანებს შემოესევიან ჯუჯები, რომელთა თავი უფრო დიდი იქნება, ვიდრე ტანი.

*ემანუილ სვედენბორგი* (1688-1772) შვედი ფილოსოფოსი და ნათელმხილველი

მის ნათელმხილველობას იმანუილ კანტი ასე აღწერს წერილში, რომელიც შარლოტა ფონ კნობლოხის მისამართით არის გაგზავნილი:

"...შაბათს დღის ოთხ საათზე სვედენბორგი გამოცხადდა გოტენბურგში. იგი ინგლისიდან იყო ჩამოსული. ბატონმა უილიამ კასტელმა მოიწვია ის თავის სახლში სხვებთან ერთად. სულ თავი მოიყარა 15-მა ადამიანმა.

დაახლოებით ექვს საათზე იგი გამოვიდა გარეთ და როდესაც დაბრუნდა, მისმა გაფითრებულმა სახემ გვაუწყა, რომ სტოკოლმი იწვის ზიუდენმალმის რაიონში, იგი ამ დროს სტოკოლმისგან იყო დაახლოებით სამასი ინგლისური მილით დაშორებული. სვედენბორგი ადგილს ვერ პოულობდა და გარეთ ხშირად გამოდიოდა. მან დაასახელა, რომ ერთ-ერთი მისი მეგობრის სახლი დაიწვა და მთლიანად ფერფლად იქცა. იგი ნერვიულობდა და ამბობდა, რომ მისი საკუთარი სახლიც საფრთხის ქვეშ იყო. 8 საათზე მან თქვა მადლობა ღმერთს, ცეცხლი ჩააქრეს სამი სადარბაზოთ მოცილებულ ჩემს სახლთან. ამ წინასწარმეტყველებამ დიდი აურზაური გამოიწვია ქალაქში. ამავე საღამოს ყოველივე შეატყობინეს გუბერნატორს, რომელთანაც დილით იქნა მიწვეული და დეტალური ამ წინასწარმეტყველებასთან დაკავშირებით დაკითხული. სვედენბორგმა დეტალურად აღწერა ხანძარი, როდის დაიწყო, როგორ ჩააქრეს და რამდენ ხანს გაგრძელდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ქალაქში შემოვიდნენ სამეფო კურიერები, ისინი, ვინც პირადად ესწრებოდნენ ხანძარს. რაც ამათმა მოყვეს, მთლიანად ემთხვეოდა სვედენბორგის მონათხრობს".

1762 წელს ამსტერდამში საუბრისას იგი უეცრად გაჩერდა და ვერ შეძლო საუბრის გაგრძელება. ენერგიის კონცენტრირების შემდეგ მან თქვა: "ამ წუთას მოკლეს რუსეთის იმპერატორი პეტრე III. რამდენიმე დღის შემდეგ გაზეთებმა

გამოაქვეყნეს ცნობა პეტრე III-ის სიკვდილის შესახებ.

*იუნგის სიზმარი*

კარლ გუსტავ იუნგი ცხოვრობდა 1875-1961 წლებში. მისი სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა იუნგის ავტობიოგრაფია "მოგონებები, სიზმრები" აზრები", რითაც ბევრი მისი მეგობარი გაოცებული დარჩა. წიგნიდან ჩანდა, რომ იუნგი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე საგულდაგულოდ მალავდა ფაქტებს, რომლებიც სიღრმისეულად ეხებოდა მის საკუთარ შინაგან სამყაროს. მისმა ახლობლებმა იცოდნენ მისი რელიგიურობა და მიაჩნდათ, რომ ეს იყო მისი შთაგონების წყარო. ამით ხსნიდნენ იუნგის დაუცხრომელ ინტერესს მითების, სიზმრებისა და სხვა შინაგანი გამოცდილებების მიმართ, რასაც იგი იყენებდა თავის საექიმო პრაქტიკასა და სამეცნიერო პუბლიკაციებში. მაგრამ თითქმის არავინ იცოდა, რომ იუნგის ცხოვრების გარკვეული პერიოდი მოიცავდა ისეთ ინტენსიურ შინაგან განცდებს, რომლებიც ყველაფერს თავდაყირა აყენებდნენ და იგი, გარკვეულწილად, უმწეოდაც კი გრძნობდა თავს მათ წინაშე. ამ განცდებს გამაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი მისი ცხოვრებისათვის.

შინაგანი გამოცდილების შესახებ, რომელსაც როგორც ჩანს, ყველაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის განვითარებაში, იგი წერს: "1944 წლის დასაწყისში ფეხი მოვიტეხე, ამას მოჰყვა ინფარქტი. არაცნობიერ მდგომარეობაში მქონდა ბოდვები და ხილვები. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან სიკვდილის შიშის გამო ჟანგბადი და ქანგბადი შემიყვანეს" მაგრამ ეს განცდები გრძელდებოდა დიდი ხნის განმავლობაში, ამდენად დასახელებული მიზეზი არ შეიძლება ყოფილიყო ჰალუცინაციების თუ ილუზიების გამომწვევი.

"სახეები იმდენად ძლიერი იყო, რომ თვითონვე მივხვდი, სიკვდილი ახლოს იყო. მოგვიანებით ჩემმა მომვლელმა მითხრა: ირგვლივ თითქოს ნათელი გედგათ!". ასეთი რამ მას უნახავს სხვა მომაკვდავებთან. მე ზღვართან ვიყავი და არ ვიცოდი სიზმარი იყო ეს თუ ექსტაზი. ყოველ შემთხვევაში მოხდა სრულიად განსაცვიფრებელი რამ: მეჩვენებოდა, რომ ვიყავი ძალიან მაღლა. სადღაც შორს, ქვემოთ ვხედავდი დედამიწის სფეროს, რომელიც არაჩვეულებრივ ცისფერში ტივტივებდა, ვხედავდი ლურჯ-ცისფერ ზღვარს და კონტინენტებს, სადღაც ჩემი ფეხების გასწვრივ იყო ცეილონი, წინ კი სუბკონტინენტური ინდოეთი"

ამას მოჰყვება პანორამის აშკარად სწორი დეტალური აღწერილობა.

"მოგვიანებით მე დავაზუსტე რა სიმაღლეზე უნდა იყო სივრცეში, რომ ასე ფართოდ ხედავდე. ეს არის დაახლოებით 1500 კმ სიმაღლეზე".

იუნგი შემდეგ აღწერს, როგორ შებრუნდა სიზმარში სამხრეთისაკენ და დაინახა მუქი ფერის უზარმაზარი ქვის ლოდი, რომელიც სამყაროში მოტივტივე უზარმაზარ მეტეორიტს წააგავდა. ქვა მას ტაძრად მოეჩვენა. "კარი პატარა წინკარში შედიოდა. მარჯვნივ ქვის სკამზე ლოტოსის პოზაში იჯდა შავი ინდუსი, იგი ჩუმად მელოდა.

როდესაც მივუახლოვდი საფეხურებს, რომლებსაც კლდის შესასვლელთან მივყავდით, რაღაც უჩვეულო დამემართა: მქონდა გრძნობა, რომ ყველაფერი, რაც აქამდე იყო, ერთბაშად მომწყდა. ყველაფერი, რასაც ვესწრაფვოდი, რაც მსურდა ან რაზეც მიფიქრია,-მიწიერი ცხოვრების მთელი ფანტასმაგორია მომცილდა თუ წამართვეს,-ეს განსაკუთრებით მტკივნეული პროცესია. მაგრამ რაღაც მაინც დარჩა-თითქოს თან მქონდა ყველაფერი, რაც გავაკეთე ან განვიცადე, ყველაფერი რაც ადრე ჩემს ირგვლივ ხდებოდა, და ამ დროს შემეძლო მეთქვა: ეს ყველაფერი ჩემს თავს იყო და ეს ვიყავი "მე".

იუნგი დარწმუნდა (სიზმარში), რომ ტაძრის შიგნით შეეძლო შეხვედროდა ყველას, ვისთანაც ოდესმე ღრმა ურთიერთობა აკავშირებდა. მან ასევე იცოდა,

რომ იქვე მიიღებდა პასუხს ყველა კითხვაზე, თავისი ცხოვრების ჭეშმარიტი აზრის შესახებ და ადამიანის არსებობაზე დაბადებამდე და სიკვდილის შემდეგ.

როდესაც ყოველივე ამაზე ვფიქრობდი, მოხდა რაღაც, რამაც ჩემი ყურადღება მიიპყრო: ქვემოდან იმ ადგილიდან, სადაც ევროპა მდებარეობდა, ზემოთ მოიწევდა ხატება. ეს იყო ჩემი ექიმი, უფრო ზუსტად, მისი ხატი. გარს ოქროს ჯაჭვი თუ ოქროს დაფნის გვირგვინი ჰქონდა შემოვლებული. მე მაშინვე მივხვდი,-ეს ხომ ჩემი ექიმია, რომელიც მმკურნალობდა, მაგრამ ახლა ის მიდის თავისი პირველსახით-ბასილი კოსელის სახით (კუნძულ კოსზე იყო ანტიკურობის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ტაძარი-ასკლეპიოსის ტაძარი,-სადაც სიზმრების საშუალებით იკურნებოდნენ. "ბასილი" ბერძნული სიტყვაა და "მეფეს" ნიშნავს. ცხოვრებაში იგი იყო ბასილის ავათარა,-უადრესი პირველსახის დროებითი გარდასახვა და ახლა მან თავისი პირველსახე მიიღო (სიტყვა "ავათარა" სანსკრიტიდან მოდის და ნიშნავს ზეციურ ინკარნაციას, გარდასახვის ფორმით).

როდესაც იგი რომელიღაც სიღრმიდან გამოსული სახის მსგავსად მომიახლოვდა და ჩემს წინ გაჩერდა, ჩვენ შორის მოხდა აზრების გაცვლა სიტყვების გარეშე. ჩემი ექიმი დედამიწიდან იმისთვის იყო გამოგზავნილი, რომ ჩემთვის ეთქვა: ჩემი წასვლა არ არის სასურველი, მე არ უნდა დავტოვო მიწა და უკან უნდა დავბრუნდე. როდესაც ეს სიტყვები მოვისმინე, ხილვა შეწყდა.

*იუნგის გამოჯანმრთელება.*

იუნგის მონათხრობი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. იგი აღნიშნავს, რომ არ სურდა ცხოვრებაში დაბრუნება. მას აღარ შეეძლო ჭამა, რადგან ყველანაირი საჭმელი ზიზღს ჰგვრიდა. იმ დროს, როდესაც მისი ნებისგან დამოუკიდებლად, ნელ-ნელა ჯანსაღდებოდა, ხილვები ძილის დროს ყოველღიურად გრძელდებოდა.

"ძნელი წარმოსადგენია, რამდენად მშვენიერი და ინტენსიური გრძნობები მქონდა ხილვების დროს. ისინი იყო ყველაზე არაჩვეულებრივი, რაც კი ოდესმე განმიცდია. შემდეგ კი ეს კონტრასტი, ეს დღე!...დავიტანჯე, ნერვები საშინელ დღეში მქონდა, ყველაფერი მაღიზიანებდა, ყველაფერი მატერიალური, ძალიან უხეში და ტლანქი იყო"...

მისი ნებელობა ეწინააღმდეგებოდა ექიმს, რომელიც მოთმინებით ცდილობდა განეკურნა მისი სხეული, იუნგს კი სურდა დაეტოვებინა ეს სხეული. ასეთ ცხოვრებისგან განდგომილ მდგომარეობაში იუნგი ცდილობდა დაეინტერესებინა კოლეგა ექიმი თავისი ხილვებით და ძალიან გაღიზიანდა, როდესაც დარწმუნდა, რომ კოლეგას არ სურდა ამის გაგება.

"მე პირიქით, მასზე ვზრუნავდი: ღმერთო ჩემო, მას ხომ საშიშროება ელის! ის ხომ თავისი პირველსახით გამომეცხადა! თუ ვინმე ასეთ სახეს მიიღებს, ეს ნიშნავს, რომ იგი უნდა მოკვდეს. მოულოდნელად შემაშფოთებელი აზრი მომივიდა, რომ იგი ჩემს მაგივრად უნდა მოკვდეს"

იუნგი უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ მისი ექიმი უნდა მომკვდარიყო. ასეც მოხდა:

"1944 წლის 4 აპრილს-მე ზუსტი თარიღიც ვიცოდი,-პირველად მომეცა ნება წამოვმჯდარიყავი. ამავე დღეს იგი ლოგინად ჩავარდა და აღარც ამდგარა. მალე იგი გარდაიცვალა სისხლის მოწამლვით. იგი კარგი ექიმი იყო, რაღაცით გენიალურიც. სხვანაირად კოსის თავადის სახით ვერ მომევლინებოდა"

იუნგი გამოჯანმრთელდა, როდესაც იგრძნო, რომ სიცოცხლისაკენ ბრუნდებოდა, ხილვები შეწყდა.

ავადმყოფობის შემდეგ ჩემთვის ნაყოფიერი სამუშაო პერიოდი დადგა: ბევრი ჩემი ძირითადი ნაწარმოები სწორედ მაშინ დაიბადა.

*ერთ-ერთი ყველაზე საოცარი წინასწარმეტყველება, მომავლის შეცნობის ისტორიაში.*

*ჟაკ კაზოტი*-საკუთარი სიკვდილით დასჯის წინასწრმეტყველება, ყველა დეტალის აბსოლუტური სიზუსტით.

მე-18 საუკუნის საფრანგეთი მსოფლიო ისტორიის ფოკუსშია მოქცეული. აქ ხდება ახლის დანერგვა დაწყებული ელემენტალური მოდიდან დამთავრებული პოლიტიკური დოქტრინებით. მაგრამ ყველაფერი ახალი მოდის დიდი რყევით, წვალებით, ამ მტანჯველ გზაზე მას ელობება, ბურბონთა სამეფო დინასტია და იმჟამინდელი მონარქი ლუდოვიკო XVI. ამგვარად ბებერი ქალბატონი-საფრანგეთი გაურკვეველ მდგომარეობაშია. ეპოქებს თავის შესაფერისი შვილები ჰყავთ, ერთ-ერთი ასეთი იყო მაგი და წინასწარმეტყველი ჟაკ კაზოტი. ამბობენ ასეთ ადამიანებს ხედვის არეები ხან ეხსნებათ და ხან ბუნდოვანი აქვთ, იმ მშვენიერ საღამოს კი, რაც ჟაკ კაზოტიმ იწინასწარსმეტყველა ჰერცოგის ასულის დე გრამონის სალონში, ყველაფერს აჭარბებს.

გულმოდგინე ალქიმიკოსი ნაყოფიერი მწერალი, მკაცრი მისტიკოსი და რაც ყველაზე მომადლებულად ჰქონდა ნათელმხილველი ჟაკ კაზოტი დაიბადა 1719 წლის 7 ოქტომბერს დიჟონში, ბურჟუას ოჯახში და აღზრდა იეზუიტების კოლეჯში მიიღო. ჩინებული მოფარიკავე იყო ახალგაზრდობაში, იგი დიდხანს ცხოვრობდა სანტო-დომინგოში და მარტინიკაზე საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ მოეკიდა ალქიმიას, ასტროლოგიას, ბიომანტიას და პარალელურად ლიტერატურასაც მოჰკიდა ხელი. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში გაიტაცეს მისტიციზმის იდეებმა და საიდუმლო ორდენის "ილუმინატების" (გაცისკროვნებულნი) საიდუმლო ორდენის წევრი გახდა, რომელთა რიტუალები, საიქიო ძალებთან, სულთა სამყაროსთან და ამ ძალებთან ადამიანების დამორჩილებით გამოირჩეოდა.

ჟაკ კაზიოტიმ ჰერცოგის ასულის ოჯახში ყველას უწინასწარმეტყველა თავის წილი ბედი და მათ შორის საკუთარ თავს-რომ მას 1792 წლის 25 სექტემბერს სიკვდილის ეშაფოტზე ბასრი დანის ქვეშ დაამთავრებდა (ამ დროს ჯერ კიდევ არ არსებობდა ფრანგი ინჟინრის გილიოტინის სასიკვდილო მანქანა-კონვეირი გილიოტინა). მაშ ასე, ფრანგული ეტიკეტისთვის დამახასიათებელი გალანტური სტუმრები უზადო მაგიდას უსხედან ირგვლივ, თავს საფრანგეთის გამოჩენილ შვილთა ვოლტერის, მონტესკიეს, რუსოს და სხვათა ციტატებით იქცევენ და საზეიმო განწყობით გაჟღენთილია სინათლე, სასმისები და გონება. ასეთ ვითარებაში ფეხზე წამოდგება ქალთა სქესის სახელგანთქმული ფავორიტი გიომ დე მალერბომი და იწყებს:

-ქალბატონებო და ბატონებო! ნება მომეცით შემოგთავაზოთ გონების და თავისუფლების სადღეგრძელო, თუმცა პირადად მე ამას ვერ მოვესწრები.

ყველანი ფეხზე დგებიან. მხოლოდ კაზიოტი ზის. იგი დინჯად დგება და კოჭლობით მიუახლოვდება მინისტრს, დარბაზს გამჭოლ მზერას მიაპყრობს და აგრძელებს მინისტრის სიტყვებს:

თქვენ ცდებით, ბატონო! თქვენ მოესწრებით იმ დღეს, რომელიც არაუგვიანეს ხუთი-ექსი წლის შემდეგ დადგება და ყველა აქ დამსწრე გახდება იმ საშინელი უბედურების მომსწრე.

ღიმილმორეულმა კონდორსემ სიტყვის შეწყვეტინება მოინდომა, მაგრამ კაზიოტიმ მრავალმნიშვნელოვნად გადახედა და პირველად მას უთხრა:-თქვენ ბატონო კონდორსე, თავს მოიწამლავთ, რათა ჯალათის ხელით სიკვდილს ასე ამჯობინებთ.

გაფითრებული კარის მინისტრი დე მალერბომი, რათა როგორმე ეხსნა ამ წინასწარმეტყველების მრისხანება, საკუთარი ბედით დაინტერესდა.

-თქვენ გილიოტინაზე დაასრულებთ სიცოცხლეს, ბრბოს საზარელი შეძახილების ქვეშ, რომელშიც ბევრი აქ დამსწრეც იქნება.

შემკრთალი დარბაზი გაოგნებული უყურებდა ერთმანეთს. მაშინ კაზიოტის დაუცხრომელმა არაკეთილმოსურნემ, ფანატიკოსმა-ათეისტმა ლაგარპმ შესძახა:

-ჩემზე, ჩემზე რაღას იტყვით. თქვენ მე შეურაცხოფას მაყენებთ, როცა ყველა მათ ეშაფოტზე გზავნით. მეც მათთან მინდა ყოფნა.

-მე სიამოვნებით გაგაგზავნიდი ეშაფოტზე, რადგან ხართ საშინლად მოშურნე ადამიანი და ჩემი დაუცხრომელი მტერი, მაგრამ სამწუხაროდ ჩემი სულები სხვას მეუბნებიან. თქვენ წამება გელით, მაგრამ ჯალათის ხელს გადაურჩებით და ამის შემდეგ ბობოქარი ათეისტიდან გადაიქცევით სამაგალითო ქრისტიანად.

ამის შემდეგ კი მინისტრმა დე მალერბომმა შვებით ამოისუნთქა და თქვა:

-თუ ისეთ ურწმუნოს, როგორიც ლაგარპია, თავის რწმენას შეიცვლის, მაშინ ყველა ეს წინასწარმეტყველება ხუმრობა ყოფილა.

-ჩვენი სქესი ხომ მაინც იქნება დაცული თავისი სისუსტის გამო-უთხრა აღელვებულმა ჰერცოგის ასულმა.

კაზიოტს ამ დროს ნერვიული ოფლის წვეთები უფარავდა სახეს და ხმაში კანკალი ჰქონდა შეპარული.

-თქვენი სქესი, რომელთა შორის იქნება ყველაზე მაღალი წოდებისანი, ძონძებში გამოხვეულებს, ხელებშეკრულებს და ბინძურ ურემზე დაგდებულებს ეშაფოტზე მიიყვანენ და ბრბოს ყიჟინის ქვეშ სიკვდილით დასჯიან, ხოლო ყველაზე მაღალი ჩინი სიკვდილით დასჯილთა შორის იქნება მეფე ლუდოვიკო XVI-ე. ამ წინასწარმეტყველებამ კი ისეთი დაუჯერებლობა წარმოშვა სტუმრებში, რომ ყველანი ერთიანად წამოიშალნენ და ახმაურდნენ. მხოლოდ არ ცხრებოდა ქალბატონი დე გრამონი, რომელიც ისტერიკამდე მისული ემუდარებოდა ეთქვა, რას უწინასწარმეტყველებდა საკუთარ თავს?

-მადამ, საკუთარი თავის შესახებ ყველაზე მეტი ვიცი, ვიდრე ყველა დანარჩენზე. მე გამასამართლებენ, როგორც სახელმწიფო ბოროტმოქმედს და სიკვდილით დამსჯიან. თავს მომკვეთენ ეშაფოტზე.

კაზიოტის დაცინვის ქინით შეპყრობილმა ლაგარპმა სახლში რომ მივიდა, ჩაიწერა დღიურში. ხუთი წლის შემდეგ კი ამ საღამოს თქმული შეუდარებელი სიზუსტით ახდა.

კაზიოტი მიემხრო კონტრ-რევოლუციურ ფრაქციას და საბატოს საპყრობილეში ჩააგდეს. მოისმინა თავის განაჩენი, თქვა, რომ "მართალია იგი მკაცრია, მაგრამ სამართლიანი და დამსახურებული".

როდესაც გამძვინვარებულმა პარიზელთა ბრბომ თვითნებურად დაიწყო ტუსაღებთან ანგარიშების სწორება-ისინი ეზოში გამოათრიეს და ზოგიერთი ხიშტებზე წამოაგეს, რამდენიმე და მათ შორის ჟაკ კაზიოტიც ელოდა თავის რიგს, მაგრამ სჯეროდა თავის წინასწარმეტყველების და იცოდა, რომ მისი რიგი ორი კვირის შემდეგ იქნებოდა. სწორედ ამ ფიქრის დროს ჟაკს კისერზე შემოეხვია თავის ქალიშვილი და მიმართა ჯალათებს: "მამამდე რომ მიაღწიოთ, თქვენ ჩემს გვამს უნდა გადააბიჯოთ!" ამ გულის ამაჩუყებელმა გენიალურმა მხატვრის ფუნჯის ღირსმა სცენამ აჯობა მკვლელთა სისასტიკეს. ხალხმა მისი გათავისუფლება ისურვა და ჟაკ კაზოტი გაათავისუფლეს.

დაახლოებით ორი კვირის შემდეგ იგი კვლავ დააპატიმრეს და 1792 წლის 25 სექტემბერს, იცოდა რა თავის ბედისწერის აუცდენლობის, უშიშრად ავიდა სასიკვდილო ეშაფოტზე და წინასწარმეტყველებაში დამხმარე სულებს შეუერთა თავისი სულიც.

ასე დასრულდა სიცოცხლე კაცისა, რომელმაც აბსოლუტური სიზუსტით იწინასწარმეტყველა თავისი და იქ დამსწრე საზოგადოების მრისხანე ბედი.

*გრაფი კალიოსტრო*-წარმოშობით სიცილიელი, ღარიბი ვაჭრის შვილი, თავისუფალ ქვისმთლელთა ორდენის წინამძღოლი, მასონი მისტიკოსი, ოკულტისტი. მასზე უამრავი წიგნებია შექმნილი, ერთ-ერთ ყველაზე გახმაურებული ჰაგი. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე შემთხვევას მოვიყვანთ მისი ცხოვრებიდან.

მან იწინასწარმეტყველა: 1789 წლის 14 ივლისს ბასტილიას ალყას შემოარტყამენ, და მიწასთან გაასწორებენ. ამავე პერიოდში დააკავებენ მას და ციხეში სვამენ. ციხეში დაწერა მემუარები, რომლისადმი ინტერესი დღემდე არ ნელდება. რამდენიმე თვის შემდეგ იგი ციხიდან გამოუშვეს და გაამართლეს.

1789 წლის 27 დეკემბერს დააპატიმრეს როგორც ულმერთო, ჯადოქარი და მასონი. მაგრამ პაპის წყალობით სიკვდილის განაჩენი თავისუფლებით შეუცვალეს. ციხის საკანში მან სისხლით დაწერა წიგნი, რომელიც იმ დროს ბესტსელერს წარმოადგენდა. მისი ასევე გახმაურებული წიგნია "უწმინდესი ტრინოსოფია", სადაც იგი ეხება ალქიმიას და ჰერმეტიზმის საიდუმლოებებს. იგი ატარებდა ფსევდონიმად დიადი კოპტის სახელს.

1795 წელს კალიოსტრო გარდაიცვალა და დაასაფლავეს უზიარებლად. არსებობს მეორე ვერსიაც, რომ წიგნის დამთავრების შემდეგ, კალიოსტრომ აღსარება მოინდომა და მღვდელი მოაყვანინა. მღვდელმა აღსარება მიიღო და წავიდა, რამდენიმე ხნის შემდეგ საკანში შესულმა ზედამხედველმა დაინახა კალიოსტროს ტანსაცმელში გამოწყობილი, დამხრჩვალი ადამიანი. ის მღვდელი კი გაქრა. მხოლოდ შემდეგ გაიხსენეს, რომ აღნაგობით მღვდელი და კალიოსტრო ერთმანეთის მსგავსნი იყვნენ.

*იმანუილ კანტი*

ამ ფაქტში რაც უნდა აღვწეროთ წინასწარმეტყველური არაფერია, მაგრამ ბედისწერასთან რაღაც კავშირშია. უფრო კონკრეტულად კი ის იყო, რომ იგი ეწეოდა საერთოდ განდეგილის კარჩაკეტილ ცხოვრებას. საზოგადოებაში იშვიათად ჩნდებოდა და მაშინაც ქალებს ელდანაკრავივით გაურბოდა. ერთადერთი თემა, რაზედაც ის საუბრობდა მშვენიერ ნახევართან კულინარია იყო. მის მიწიერ ვნებებში ორი რამ შედიოდა: საჭმელი და მეგობრობა (ფილოსოფია რა თქმა უნდა მისთვის ზეციდან მოსული ციური მანანა იყო). იგი ენდობოდა თავის მეგობრებს და ყველაფერს უჯერებდა მათ. ზოგჯერ ამას კურიოზებამდე მიჰყავდა. მაგალითად "წმინდა გონების კრიტიკაზე" მუშაობისას იგი განსაკუთრებით ძვირფასად მიიჩნევდა თავის მეგობარ გრინის რჩევებს, რომელიც საშუალო დონის ვაჭარი იყო. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ კანტი გრინის აზრებს ან განაგრძობდა ან ფილოსოფიურ განზომილებებში გადაჰყავდა, ან კიდევ მისგან იღებდა შთაგონების აურას. საერთოდ კი არიან ძალზე იშვიათად ადამიანები, რომლებიც საგნებს და მოვლენებს უფრო ღრმად ხედავენ, ვიდრე თვით კანტები და ჰეგელები. მაგრამ მათ ეს არ იციან, რადგან აკლიათ განათლება და მათ გონებაში შედარების მეთოდი არ მუშაობს, რომლის გარეშე ძნელია დაადგინო, რა არის გენიალური და რა არა.

*კენედების ოჯახის ბედისწერა*

მათ გვარს `ერთნაირად სდევს დიდება და ტრაგედია. კენედების გვარი გამორჩეულია პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წრეებში. ჯონ კენედი ა.შ.შ. პრეზიდენტი და პირველი პირი მოკლეს ქალაქ დალასში 1963 წელს. მისი ძმა რობერტ კენედი, რომელიც ძმის დიდებას იმეორებდა და უმაღლეს საფეხურებამდე ორიოდე ნაბიჯი რომ აკლდა, მოკლეს 1968 წელს, კალიფორნიის შტატში, დიდებულად ჩატარებული საარჩევნო კომპანიის შემდეგ.

რობერტ კენედის შვილი მაიკლი, საავტომობილო კატასტროფაში დაიღუპა. ახალი წლის დადგომამდე 8 საათით ადრე მანქანით ხეს შეეჯახა. მის სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, ნარკოტიკების დიდი დოზის გამო გარდაიცვალა მისი ძმა დევიდი. კენედების გვარს საოცარი წარმატება გააჩნიათ პოლიტიკის კაბადონზე ნომერ პირველ ქვეყანაში ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაგრამ მსგავსი ტრაგედიები, რაც აქ არის ჩამოთვლილი, და ვფიქრობ, რომ სრული სია არ არის. კენედების გვარი უნდა ჩაწვდნენ, რაში მდგომარეობს სიკვდილის ასე ხშირი, ნაადრევი სტუმრობის მიზეზი მათ გვარში.

*საფლავის პოზიციის მნიშვნელობა შთამომავლობაში*

ათასწლეულების მანძილზე ჩინელი, იმპერატორობიდან დაწყებული უბრალო მოკვდავით დამთავრებული, საფლავის ადგილის შესარჩევად დიდ ძალასა და დროს უთმობდნენ. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, თუ საფლავის ადგილს სწორად შეარჩევდნენ, ამის გამო შთამომავლობას წარმატებული ცხოვრება ჰქონოდათ. ყოფილა შემთხვევები, რომ საუკეთესო ადგილის შერჩევისთვისაც დაკრძალვა თვეობით გადაუწევიათ. ამ რიტუალის დაცვას ჩინურად ფენ-შუი ჰქვია, რაც ორი სიტყვით კომპოზიციის ხელოვნებას ნიშნავს. ეს არის რაღაც შუალედური მეცნიერებასა და ხელოვნებას, კოსმოლოგიასა და ასტროლოგიას, ორიენტაციასა და ფსიქოლოგიას შორის.

ფენ-შუის ჰონკონგელი დიდი სპეციალისტი ჩენ თო სანი, ჯონ და რობერტ კენედების მკვლელობის მიზეზად მათი ბაბუის საფლავის არახელსაყრელ მდგომარეობას ასახელებს.

ფენ-შუის ამერიკელმა მიმდევრებმა, ამ ქვეყნის ზოგიერთ შემთხვევაში წარუმატებლობის მიზეზად ამ ქვეყნის პირველი პრეზიდენტის ჯორჯ ვაშინგტონის საფლავის არასწორი პოზიცია დაასახელა. აღმოჩნდა, რომ ვერნონის მთის ძირში არსებობს ის სამარე, რომელსაც რამდენიმე ფუტზე აღმართული ხე ჩრდილავს. ამის გამო საფლავი მზის სხივს არის მოკლებული და ნაკლებ სინათლიანი, რაც პირდაპირ კავშირშია სახელმწიფო უიღბლობასთან. ამ მასალის მოძიება და აღწერა არ ნიშნავს, რომ გამოთქმული მოსაზრებები და შენიშვნები ამა თუ იმ საკითხზე არის კატეგორიული, ისინი უბრალოდ ყურადღების ღირსნია, და თუ ვინმე ღრმა კვლევის დროს დაინახავს ამ დაშვებული ხარვეზების გამოსწორების აუცილებლობას, აი მაშინ ხდება აუცილებელი. არის მესამე ვარაუდიც ინდიელ ბელადთა წყევლა.

*ართურ კლარკის წინასწარმეტყველება*

ამ რამდენიმე წლის წინ გამოქვეყნდა ამ საუკუნის დასაწყისში ნავარაუდევი წინასწარმეტყველება, ამ დროს უკვე ახალი ფეხადგმული იყო კავშირგაბმულობის სისტემები, გამოგონილი იყო მანქანა და ბევრი სხვა. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ შესაძლოა ამ მიღწევებზე დაყრდნობით მეცნიერებმა წმინდა მეცნიერების პერსპექტივის ჰორიზონტების ხედვით ივარაუდეს, რომ გაჩნდებოდა ტელევიზორი, გაფრინდებოდნენ მთვარეზე და ბევრი სხვა. ამჯერად გთავაზობთ გაზეთ "ტაიმაია ულასტ N21 -ში" გამოქვეყნებულ მწერალ ართურ კლარკის წინასწარმეტყველებას. იგი ამჟამად 80 წლისაა და მრავალი ფანტასტიკის ჟანრში შექმნილი რომანის ავტორია. მან სულ ახლახანს გამოსცა წიგნი "3001 წლის უკანასკნელი ოდისეა". მასში აღწერილია ცვლილებები, რომლებიც მსოფლიოს მომავალში ელის. აი რას მოგვითხრობს იგი ამ გამოცემაში: კაცობრიობას აღარ დასჭირდება სკოლა, ინსტიტუტი ან სწავლების რაიმე სახეობა. სურვილის შემთხვევაში საკმარისი იქნება ადამიანმა სპეციალური ქუდი დაიხუროს, შიგ ჩამონტაჟებული კომპიუტერის საშუალებით. ტვინი მიიღებს მისთვის საჭირო ამომწურავ ინფორმაციას.

მეცნიერება იპოვის ყველა ემოციას-იქნება ეს დანაშაულის გრძნობა,

სირცხვილი, სასოწარკვეთა, ნაღველი თუ სხვა, წაშლის საშუალებას, რომლის განცდა არ გვსურს.

მომავალში კაცობრიობა დაახლოებით მილიარდი ადამიანი, გიგანტურ ორბიტულ სადგურებზე იცხოვრებს, რომლებიც პლანეტის ზედაპირთან ამწევ-დამწევი მოწყობილობებით იქნება დაკავშირებული.

ხორცის ჭამაზე ყველა უარს იტყვის, რადგან კაცობრიობა ვეგეტარიანელი გახდება.

მომავლის ადამიანი შეძლებს წარსულში მოგზაურობას. მაგალითად თუ მოუნდება, მეორე მსოფლიოს ომს ნახავს, შექსპირის ტრაგედიის პრემიერას ან საკუთარი მშობლების ქორწილს დაესწრება.

ადამიანებს კვლავაც ექნებათ ღმერთის რწმენა, მაგრამ რელიგიური ორგანიზაციები აღარ იარსებებს, ყველას თავის გულში ექნება ტაძარი.

მსგავსი პროგნოზები რამდენიმე პიროვნებამ გამოსთქვა და გამოაქვეყნა, მათ შორის უტყუარია, რომ ბევრი გაამართლებს, ბევრი კი ენახოთ...

*ჯონ ლენონი*

1980 წლის 8 დეკემბერს მარკ ჩემპენმა ნიუ-იორკში მოკლა ჯონ ლენონი. დამნაშავე გაასამართლეს და ციხეში ჩასვეს. რამდენიმე წლის შემდეგ მან ინტერვიუში განაცხადა: "როცა ჯონ ლენონმა გვერდით ჩამიარა, მომესმა ხმა: "იმოქმედე, იმოქმედე", არ მახსოვს, თუ როგორ დავუმიზნე, ნიშანში ამოვიღე, მე მხოლოდ ხელს ვაჭერდი ჩახმახს". ამან ძალზე დააინტერესა ადვოკატი ფენტონ ბრესლერი. მან რვა წელი მოანდომა ძიებას. ბრესლერმა დაადგინა, რომ ამერიკის მმართველ წრეებში ლენონს ბევრი მტერი ჰყავდა. იგი ამერიკული ცხოვრების წესის დამრღვევად მიაჩნდათ. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ ქვეყანაში არსებობდა "ლენონის პრობლემა" და მასზე დაწესდა მეთვალყურეობა. მასზე დოსიე 300 გვერდს შეიცავდა. ბრესლერმა ისიც შეიტყო, რომ ლენონს მოსალოდნელი საფრთხისა ეშინოდა და ვილაცასთვის უთქვამს "თუ რამე მომივიდა იცოდე, შემთხვევითი არ იქნებაო". ბრესლერის აზრით, აშშ-ის სპეცსამსახურებში დამუშავებულია პიროვნებაზე ზემოქმედების მეთოდები, რითაც იგი ბრძანების მორჩილ შემსრულებლად იქცევა. ასეთი ცენტრი ბეირუთშიც არსებობს. სწორედ იქ (ამერიკელი ახალგაზრდა ქრისტიანები) ერთ-ერთ ბანაკში დიდხანს იმყოფებოდა მკვლელი მანიაკი მარკ ჩემპენი. მის გონებაში გამუდმებით ხმიანობდა ლენონის გვარი. უთუოდ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ერთხელ სასტუმროში, რეგისტრაციის დროს, მან მოაწერა "ჯონ ლენონი", შემდეგ გადახაზა და თავისი გვარით და სახელით შეცვალა. ბესლერის აზრით, ამ ვერსიით აიხსნება ჩემპენის უცნაური საქციელი, კერძოდ ის, რომ მან ძიების პროცესში უარი თქვა დამცველზე. აღნიშნა, რომ ჩაესმა მამაკაცის ხმა, რომელმაც უბრძანა უარი ეთქვა დამცველზე. ჩემპენის ღრმა რწმენით ეს არამიწიერი ხმა იყო.

*ლუდოვიკო XIV და მარია ანტუანეტას ვაჟიშვილი* 10 წლის განმავლობაში ტყვედ ჰყავდათ ციხეში, საფრანგეთის რესპუბლიკურ მთავრობას. ბოლო ექვსი თვე სიბნელეში იჯდა და საჭმელს მხოლოდ ფანჯრიდან აწვდიდნენ. იგი გარდაიცვალა ციხეში. დასაფლავების შემდეგ მისი ცხედარი საფლავიდან გაქრა. (წყარო ოკულტიზმი კოლინ უილსონი 138 გვ).

*მარია ლენორმანის წინასწარმეტყველება*

ჟოზეფინა, ნაპოლეონი, რილეევი, და მურავიოვ-აპოსტოლოვი, რობერსპიერი, სენ-ჟიუსტი, მარატი

1772 წელს პარიზთან ახლოს პროვინციულ ქალაქ ალანსონში დაიბადა გოგონა მარია ანნა ადელაიდე ლენორმანი. ახალშობილს თმები, ფრჩხილები და

კბილები ჰქონდა. ბებიაქალთა აზრით, იგი განსაკუთრებული ბედით უნდა ყოფილიყო დაჯილდოებული, კერძოდ რით, არავინ იცოდა. მისი ბედი კი ასეთი გამოდგა. მას წილად ხვდა იმდროინდელი საფრანგეთის და მსოფლიოს გამორჩენილი ადამიანებისათვის ბედი ემკითხავა, და ისიც უხვად ურიგებდა სასტიკ განაჩენებს მსოფლიო ელიტის უმაღლეს პირებს.

1793 წელს მას მიაკითხავენ ძლიერნი საფრანგეთისა მარატი, სენ-ჟიუსტი და რობერსპიერი, ისინი დიდების მწვერვალზე იმყოფებიან. მკითხავი პირდაპირი და შეუვალია, სამივეს ძალდატანებითი სიკვდილი უწინასწარმეტყველა, არცერთმა არ მისცა მნიშვნელობა ამ ნათქვამს. მაგრამ ყველაზე გულგრილობით მაინც მარატი გამოირჩეოდა, მაშინ მარიამ სთხოვა მისთვის თვალებში ჩაეხედა. თვალების სიძლიერით დამფრთხალი ჟან პოლი უკუგდებული იქნა მაგიური ძალით. როგორც ვიცით, მარატი მოკლული იქნება შარლოტა კორდეს მიერ, ხოლო რობერსპიერი და სენ-ჟიუსტი გილიოტინის ნადაელი გახდებიან.

მარიას სალონს მიაკითხეს ორმა სანდომიანმა ქალმა, რომელთაც საშუალო ფენაშიც არა აქვთ ადგილი დამკვიდრებული, ორივეს იშვიათ მომავალს სთავაზობს. ესენი ტერეზა ტალენი და ჟოზეფინა ბოგარნე არიან, პირველი ძალზე მდიდარი კაცის მეუღლე უნდა გახდეს, ხოლო მეორე საფრანგეთის პირველი ლედი, მაგრამ ეს ისეთი სასაცილოა, როგორც ღარიბესი სტალინის მშობლებისთვის რომ ეთქვა ვინმეს, თქვენი შვილი უზარმაზარი იმპერიის მმართველი შეიქმნებაო. ორივე ქალი ქალური კეკლუცობით იცინის. რაც შემდეგ მოხდა, ისტორიის ყველაზე უბრალო მცოდნესათვისაც კია ცნობილი. მის ხელში აღმოჩნდება დაბალი ტანის ახალგაზრდა კაპრალი, რომლის გარეგნობის არცერთ შტრიხში არ იგრძნობა დიდი მხედართმთავრის მომავალი. მას კი ახალგაზრდა მკითხავი დიდების სხივებში ბანაობას ჰპირდება 40 წლამდე და თვით საფრანგეთის სამეფოს გვირგვინიც მისი საკუთრება იქნება, მაგრამ სიკვდილის ჟამს ექნება მარტოსულობის განცდა და წვალება. ეს მომავალი ნაპოლეონია. მისთვის ბედისწერის მეორე ნაწილი უფრო მისაღებია, ვიდრე პირველი, მაგრამ არ იცის რა ქნას, და თავის თავზე უფრო ბრაზდება "რამ მოიყვანა ამ ბოგანო მკითხავთან".

1814 წელს რუსეთის ჯარები შევიდნენ საფრანგეთში და ოფიცრები მიხეილ ბუნინი, კონდრატე რილეევი, და მურავიოვ-აპორტოლოვი მიაკითხავენ სახელგანთქმულ მარიას. სამივეს სახრჩობელას ჰპირდება, აქ კი მცირედით ცდება, მიხეილ ბუნინს სხვა ბედი ეწერა. რილეევში და მურავიოვ-აპორტოლოვში კი უზუსტესად მოარტყა სათქმელი.

მას საკუთარ თავზეც აქვს ნაწინასწარმეტყველები, რომ უნდა დაიღუპოს უცნობი მამაკაცის ხელით. მართლაც 1843 წლის არეულობის დროს მარია ანნა ადელაიდე ლენორმანს მოახრჩობს ვიღაც ქუჩის ბოგანო და ასე თავდება მისი სიცოცხლე.

მთელი სიცოცხლის განმავლობაში მარია აღწერდა დღიურში თავის კლიენტებს, ესენი კი ის ხალხია, რომელიც მსოფლიო ისტორიას ქმნიდა, ამდენად ეს მემუარები ატარებენ კაცობრიობის ისტორიისთვის ფასდაუდებელ ღირებულებას.

*ვატერლოოს ბრძოლა*

*<u>ვულკანი-ღრუბლის წარმოქმნა ვატერლოოს თავზე-ძლიერი წვიმა-ტალახი და მისგან წაგებული ომი</u>*

ვატერლოოს ბრძოლასთან ერთი მეტად უცნაური, მაგრამ მაინც ანგარიშგასაწევი გარემოებაა დაკავშირებული, არ შეიძლება ბრძოლის ბედის მასზე გადაბრალება, მაგრამ ეს ისტორიამ უნდა იცოდეს, ვიდრე მასზე აქვთ წარმოდგენა, ამ ბრძნული მეცნიერების—ისტორიის წარმომადგენლებმა.

ახალ ზელანდიაში თუ ავსტრალიაში ამ ბრძოლამდე რამდენიმე დღით ადრე მოხდა ვულკანის ამოფრქვევა, ეს აფეთქება იმდენად მძლავრი იყო, რომ გამოიწვია სქელი ღრუბლის წარმოქმნა, რომელმაც იარა და საბოლოოდ ევროპის, უფრო კონკრეტულად ბელგიურ სოფელ ვატერლოოს თავზე გაჩერდა, რომელმაც გამოიწვია ძლიერი წვიმა და ტალახი. ნაპოლეონს ბრძოლა აგებული ჰქონდა სწრაფ მანევრირებაზე, რაშიც გადამწყვეტი და ცუდი როლი ითამაშა ვატერლოოს თიხოვანმა და ძლიერმა ტალახმა, ამას დაერთო გრუშეს დაგვიანება და ბრძოლა წააგო. ამ ტექსტის მოყვანით არავინ ამკვიდრებს აზრს, რომ ნაპოლეონი საბოლოოდ ადრე თუ გვიან ევროპაზე გაბატონდებოდა, რადგან მის წინააღმდეგ უფრო-უფრო ახალი ძალით იკვრებოდა კოალიციური მთავრობები, მაგრამ ფაქტი ფაქტია, ნაპოლეონის ძლიერი ხელისშემშლელი პირობა ომის წაგებაში იყო ვულკანი, მიღებული ღრუბელი და მისგან წამოსული წვიმა და შემდეგ ტალახი.

*ალექსანდრე მაკედონელი და მასთან დაკავშირებული წინასწარმეტყველებანი*

მსგავსი წარმატებისთვის არავის მიუღწევია სამხედრო სარბიელზე კაცობრიობის არსებობის ისტორიაში. მან დაიპყრო მთელი მსოფლიო, არ წაუგია არცერთი ბრძოლა და უფრო მეტიც, მისთვის სერიოზული წინააღმდეგობა არ გაუწევია არავის დაპყრობითი ომების დროს.

ალექსანდრე მაკედონელი დაიბადა იმ ღამეს, როდესაც სახელის მაძიებელმა თუ განძის მოპარვით და შემდეგ ხანძრით კვალის დაფარვით ჰეროსტრატემ გადაწვა არტემიდას დიდებული ტაძარი. ოკულტისტურ მეცნიერებაში მიღებულია როგორც ერთი საოცრების (არტემიდას ტაძარი) მეორეთი (ალ. მაკედონელი) შეცვლა. ძველ სამყარში მიღებული იყო მცნება, რომ მეფედ ხელდასხმა ხდებოდა ღმერთის შემწეობით და მისი მირონცხებით.

მისი ლაშქრობების შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ძალიან დიდ ყურადღებას უთმობდა წინასწარმეტყველების სფეროს თავის საქმეში, ამიტომ ის გამუდმებით შეპყრობილი იყო რას აუწყებდნენ მას მისნები. იგი თვლიდა, რომ მისი გონება იყო ის ადგილი, სადაც მთელ მსოფლიოს თავი უნდა მოეყარა, (ერთ წერტილში) ეს იყო მისი გონება, მისი ტვინი. მან შემდეგ მოინდომა, რომ ბერძნული და სპარსული კულტურის შერწყმა მოეხდინა, ამიტომ თვითონაც და მისი ჯარისკაცებიც, რა თქმა უნდა სარდლებიც დაქორწინდნენ სპარს ქალებზე. სპარსეთის კულტურის ზეგავლენა ისეთი იყო, რომ მის არმიაში ამან ერთგვარი უკმაყოფილება გამოიწვია. ბედისწერის მონაწილეობა განსაკუთრებით დიდია მაშინ, როცა საქმე დიდ ამბავს ეხება, მისი მოვლენა და დაპყრობები კი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია მისტიკური თვალსაზრისით მსოფლიო ისტორიაში.

მისი ზებუნებრივობის შესახებ ავტორები სხვადასხვა ცნობას გვაწვდიან, იმდროინდელ მსოფლიოში რომ მოასფალტებული გზები არ იჯნებოდა, ამაზე არავინ არ დავობს, მაგრამ ის, რომ ბუნება იყო გაცილებით ველური, საშიში და მოუთვინიერებელი, ეს ფაქტია. ლაშქრობების დროს ხშირად უხდებოდათ ჭაობიანი და ეპიდემიებით სავსე გზების გავლა, მის ჯარს ამ დროს მხსნელად ჰყავდათ ყვავების გუნდი, რომლებიც მთელი გზა, გზის მაჩვენებლად მოევლინენ ალ. მაკედონელს და მის 32 ათასიან ჯარს. იმ შემთხვევებში, როცა ძალიან ბნელდებოდა და ადამიანის თვალი მოკლებული იყო ცის კაბადონზე ხედვას, მაშინ ჩხავილით აგებინებდნენ გზის სისწორეს და გეზს. ალ. მაკედონელი გარდაიცვალა 32 წლის და 8 თვის ასაკში 11, 12 ან 13 ივნისს. ჩვენი მაცხოვარის იესო ქრისტეს მიწიერი დასასრულიც 32 წელი და 6 თვე. ზოგიერთი მისტიკური წყარო თვლის, რომ იგი იყო ქრისტეს მიწიერი

წინამორბედი მოვლენა.

*ნოვალისის ბედისწერა.*

ნოვალისმა დაგვიტოვა ყველაზე უფრო განსაცვიფრებელი და საიდუმლოებით მოცული შემოქმედება, რაც კი ოდესმე სცოდნია გერმანული სულის ისტორიას...ამ ქმნილების საიდუმლო დამწერლობა არტისტულ-აღტკინებული, ყვავილოვან საფარქვეშ გვიჩენს სულის ყველა უფსკრულს...საკუთარი ბედისწერა ნოვალისმა ცნობიერად და რწმენით ატარა, საკუთარი ტრაგედიაც გაიაზრა და დასძლია, რადგან შემოქმედებითი ღვთისმოსობა ანიჭებდა ძალას, არად ჩაეგდო სიკვდილი.

ღვთაება რომ გენიოსს რომელიმე ფერში გამოეცხადებინა, ეს აუცილებლად ცისფერი იქნებოდა, ეს მისტიურად მაინც ესეა, მაგრამ მე ვიტყოდი ღვთაება, გარდა იმისა, რომ უზენაესია, ის ერთ-ერთი უმთავრესი თვისება რაც აქვს ეს სინაზეა. ამიტომაც ნოვალისის ყვავილი, რომელიც იდუმალის და მისტიურის უმთავრესი საშუალებაა, ცისფერია. მას ცისფერი ყვავილი ასტრალური სულის დახასიათებისათვის სჭირდება, რათა ღვთაებრივი დაგვანახოს მიწიერში. ცისფერი ყვავილი ეს ის გასაღებია, რომლითაც მას სურს გააღოს მისტიური საუფლოს კარები.

იგი მთელი თავის მოკლე შემოქმედების მანძილზე, (მან 25 წლიდან დაიწყო შემოქმედებითი ცხოვრება და 28 წლის ასაკში ცაში გადასახლდა) ქმნიდა უიშვიათეს პოეტურ ხელოვნებას და იყო ბედისწერის ამოცნობაში. არავინ მასსავით არ მიახლოვებია ბედისწერას, არავის არსებობაში თავის სულს ღმერთი ისე არავის ატყობს, როგორც ნოვალისს. მისი დედა და ათი და-ძმა ყვავილის დაავადებამ გაანადგურა და თვითონ ცისფერ ყვავილს უძღვნა მისი სულის და გონების უძვირფასესი ნაყოფი, რათა ჩაწვდომოდა მისტიკის სივრცეს.

ნოვალისი ანუ ფრიდრიხ ფონ ჰარდენბერგი დაიბადა 1772 წლის 2 მაისს გერმანიაში (ობერვიდერშტეტში) ბარონ ერაზმ ჰარდენბერგისა და ბარონესა ბერნარდინე ფონ ბიოლციგის ოჯახში, რომელთა უფროსი შვილი გახლდათ თავად.

მისი გვარი ჰარდენბერგები უძველესი ქვემოსაქსონური წარმოშობის გახლდათ და XII-XIII საუკუნეებში სახელმწიფოში მაღალი სახელოები უკავიათ. მისი წინაპრები ხშირად იღებდნენ მონაწილეობას რაინდ-მგოსანთა შეჯიბრებებში ვარტბურგის ციხე-კოშკში. მის ერთ-ერთ წინაპარს მამული მიუღია ჰანოვერას ჩრდილოეთით როდეში და თავის-თავს უწოდებდა ასე ნოვალისები როდედან, რაც პირველ მოსახლის აზრით იყო თქმული. ნოვალისსაც ახალი გზის გამკაფავად წარმოუდგენია თავი და ამიტომ უწოდა თავის თავს ნოვალისი.

ჰარდენბერგის ერთი განშტოება შემდეგ შუა გერმანიაში გადასახლებულა დანგრეული მონასტრის ძველ სასახლეში. ამ პირქუშ სასახლეს კოშკებიანი გოთური გალავანი ერტყა ირგვლივ, რომელსაც მწკრივად მიყვებოდა ბებერ ხეთა სქელი ჩრდილები. ამ სასახლიდან იწყება ნოვალისების ბედისწერაც. მის შემოგარენში ერთხელ ყვავილის ეპიდემია გავრცელებულა. ნოვალისის მამა ბარონი ერაზმ ფონ ჰარდენბერგს მისი თანამეცხედრე, რომელიც დიდი გულმოდგინებით უვლიდა ავადმყოფებს და თვითონ კი მას დაავადება არ ეკარებოდა, სასწრაფოდ მოუცილებია ამ სნეულთა გარემოსათვის იმის შიშით, რომ დაავადება არ შეჰყროდა, მაგრამ სამშვიდობოს გასულ ქალს იქ შეჰყრია ყვავილი და ისე გარდაცვლილა. აი ეს ყოფილა ბედისწერის პირველი გამოჩენა. ნოვალისის მამას მეუღლის სიკვდილი ღვთის რისხვად ჩაუთვლია, სასახლეში ჩაკეტილა, ღვთისმოსაობა დაუწყია და მხოლოდ მოგვიანებით შეურთავს ნოვალისის დედა ბერნარდინე ფონ ბიოლციგი, კეთილშობილი წარმოშობის ღარიბი, ადრე დაობლებული ქალიშვილი, რომელიც ჰარდენბერგების ოჯახში იზრდებოდა,

რომელმაც თერთმეტი შვილი შესძინა ნოვალისების ოჯახს, მან ჯერ კიდევ არ იცის, რომ მას კიდევ უფრო მწარე ბედი ელის, ვიდრე მას აქამდე ჰქონდა, იგი მოესწრება ათი შვილის სიკვდილს, რომელთა უმრავლესობა კაცობრიობის დაუპატიჟებელი სტუმრის იმ დროის ახალი სენის ტუბერკულოზის მეშვეობით ხდებოდა, ხოლო 69 წლის ასაკში ისიც თავის შვილებს შეუერთდა.

ბარონი ერაზმი თავს არ ზოგავს, რათა ნოვალისმა სამართალი შეისწავლოს რაც შეიძლება კარგად და საბოლოოდ 20 წლის ასაკში იგი თავის შვილთან ერაზმთან აგზავნის, სადაც მამას ჰგონია ძმების ერთმანეთის წამხედურობით უფრო უკეთ ისწავლიან მამის საყვარელ საგანს. მაგრამ მამის □საუბედუროდ" ნოვალისმა აქ გაიცნო გერმანული ლიტერატურის ერთ- ერთი დიდი ვარსკვლავი ფრიდრიხ შლეგელი. ამ უკანასკნელმა კი ნოვალისის ანგელოზურ სულს შეაგება, დემონური იმპულსები, აზიარა დიონისურ ღამეს და ქაოსს. მისი ენერგორესურსები ახალი საწვავეით აავსო და მის ხედვას მეტი უნივერსალობა შეჰმატა. ფრიდრიხ შლეგელი თავის ძმას ვილჰელმს სწერდა ნოვალისზე: "ბედისწერამ ერთი ახალგაზრდა კაცი მომაყენა კარს...აშოლტილი კარგი აღნაგობისა; უაღრესად ნატიფი სახე და შავი თვალები აქვს, რომლებიც დიდებულ გამომეტყველებას იძენენ, როდესაც ის მშვენიერ საგნებზე ლაპარაკობს. ერთ საღამოს ველური ცეცხლოვანებით მამცნო თავისი აზრი: სამყაროში არაფერია ბოროტი და ყველაფერი თანდათან ოქროს საუკუნეს უახლოვდებაო". შემდეგ იგი აგრძელებს, ნოვალისი ველურობამდე, სწრაფია. სამჯერ უფრო მეტს და ჩქარა ლაპარაკობს, ვიდრე ჩვენ ყველანი". "მუდამ ქმედითი, მოუსვენარი სიხარულითაა სავსე". და მერე მანვე შლეგელმა იწინასწარმეტყველა ნოვალისში დიდი ლირიკული პოეტი. ამის შემდეგ ნოვალისი შლეგელს წერს: "შენ ჩემთვის ელადის მთავარქურუმი იყავი. შენი წყალობით შევიცანი ცა და ქვესკნელი და ვიგემე ნაყოფი ცნობადის ხისა.

21 წლის ასაკში ნოვალისმა გიტენბერგში დაასრულა სამართლის კურსი და ამასთანავე ეს ის პერიოდია, როცა იგი ინთქმება რელიგიასა და ფილოსოფიაში, მაგრამ მთელი ეს ცოდნა ჯერ არ გაჯერებულა ნივთიერად მასში და როგორც თვითონ წერს, იგი ზის და ელოდება ამას, "ელოდება ბედისწერის ძახილს". მაგრამ ამავე დროს შეიძინა უმძლავრესი თვისება იმისა, რომ თუ ჰოლდერლინს ყველაფერი თრგუნავდა რაც კი პოეზია არ იყო, ის პირიქით ყველაფერს პოეზიად აქცევდა.

საინტერესოა მასში სიყვარულის აღმოცენების ფაქტი. 1794 წლის 17 ნოემბერს სტუმრად იმყოფება ვინმე ფონ როკენშტაინის კარმიდამოში, გრიუნინგენის მხარეში. "მეოთხედ საათში გადავწყვიტე ჩემი ბედი"-სწერს ნოვალისი თავის ძმას ერაზმს. იგი ამ ბედში გულისხმობს 12 წლის სოფია ფონ კიუნის (როკენშტაინის გერი)

დღემდე თავს იმტვრევენ მკვლევარები, რა მოეწონაო ნოვალისს ამ უწიგნური გოგონასიო და ხანდახან მისი გრამატიკული შეცდომებით აჭრელებულ წერილებსაც კი აქვეყნებენ, მაგრამ რაც მაშინ ნოვალისის სულში მოხდა, დღემდე საიდუმლოა და თავად შეალია მთელი ცხოვრება ამ საიდუმლოს ამოხსნას (ეს ელვისებური შეყვარება ძალიან ჰგავს დანტეს შეხვედრას 9 წლის ბეატრიჩე პორტინართან და სამუდამო სიყვარულს მისდამი). სოფია ნოვალისის ძმებსაც ძალიან მოსწონდათ და მოფერებით "შაკუნტალას" ეძახდნენ. როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, სოფიაში ყველაზე მომხიბლავი ბავშვობიდან ქალიშვილობაში გარდამავალი პერიოდი იყო, რომელსაც რილკე ღვთაებრივს უწოდებს და ალბათ ყველაზე მომხიბლავი ეს იყო მასში.

17 მარტს სოფიას თოთხმეტი წელი შეუსრულდა და მათი დანიშვნა მოხდა

ოფიციალურად, მაგრამ რამდენიმე თვეში ცოტა ხნის წინ მოხდილი დაავადება შეუბრუნდა და უკვე საბოლოოდ. 1797 წლის 1 მარტს სოფიამ მოინდომა ნოვალისის სასწრაფოდ ნახვა. იგი ჩავიდა ავადმყოფ საცოლესთან და 10 უმძიმესი დღე დაჰყო მასთან. 17 მარტს მას თხუთმეტი წელი შეუსრულდა და ორი დღის შემდეგ გარდაიცვალა.

ერთი თვის შემდეგ კი ნოვალისმა ახალი დარტყმა მიიღო, მისი უსაყვარლესი ძმაც ერაზმიც გარდაიცვალა. სწორედ ამ დროს ხდება მის მიერ სულიერი და გონებრივი ძალების კონცეტრაცია და წვდომა მისტიკაში. იგი ამ უბედურებებით კი არ ეცემა, არამედ მაღლდება. იგი ნელ-ნელა ხვდება თავის თავის ბედს და მორწმუნის მოლოდინით ელოდება ღვთაებრივი სხივის შემოსვლას სულში.

სოფიას სიკვდილის დღეს ნოვალისი იქ არ ყოფილა, არც დაკრძალვაზე ჩასულა, მხოლოდ ერთი თვის შემდეგ აღდგომის კვირაძალზე შეძლო სოფიას საფლავზე წასვლა და მთელი დღე იქ გაატარა. "საღამოს შინ დამშვიდებული დაბრუნდაო"-წერს იუსტი.

სოფიას სიკვდილის შემდეგ ნოვალისი წერს: "ის იყო პიროვნება, ვინც მე ამ სამყაროსთან მაკავშირებდა, ამიტომ მეც მალე მოვწყდები ყველაფერს, მეც მალე დავიღუპები" "მე სიყვარულით უნდა მოვკვდე, როგორც ახალგაზრდა პოეტს შეშვენის" "ჩემი სიკვდილი უნდა იყოს არა გაქცევა, არა გაჭირვებიდან თავის დაღწევა, არამედ ჭეშმარიტი მსხვერპლშეწირვა". "მე ახლა ვსწავლობ და ვეცნობი ჩემს თავს, ამიტომაც უნდა წავიდე სიცოცხლიდან. მე დედამიწაზე არ მიწერია დასრულება". ეს არის ფრაგმენტები მისი წერილებიდან.

ნოვალისმა გადაწყვიტა იმ ქვეყანას ზიარებოდა, მაგრამ არა თვითმკვლელობით. აი ასე წერს შემდეგ თავის თავზე და ამშვიდებს თავის სულს..."დამშვიდდი ჩემო კეთილო...მე არც საწამლავი დამაქვს და არც ხანჯალი, ჩემი სანუკვარი მიზნის ასრულება შობას არ გადასცდება"-სწერს იგი სოფიას გამზრდელს. მისი სხეულის წიაღი სავსეა ამ მოლოდინით და აი იგი ისე აღტაცებით ელოდება მისი სხეულის და სულის დაცილებას, როგორც კარნავალის მოლოდინში მყოფი ჟონგლიორი და მასკარადი. ნოვალისისთვის სიკვდილი ის საშუალებაა, რომლითაც მას ძალუძს მიიღეს ძალიან ახლოს მის ახლობლებთან, სიკვდილი მისთვის ღმერთის შეცნობაა და ამიტომაც ესწრაფვის ასეთი ტემპერამენტით მიწიერების აღსასრულს. სიკვდილი ეს სულის განთავისუფლებაა გვამის საკნიდან ან საპატიმროდან და სიკვდილის შემდეგ იგი განიცდის უზენაეს თავისუფლებას.

ამ პერიოდში იბადება ორტერფიანი იამბი, (ჰ-რიტერი) და სულის სიმები, რომლებიც გზნებით ანთებული სინოქრონულად ირხევიან მის პოეტურ სტრიქონებში. ამავე დროს ჩნდება ფსევდონიმი ნოვალისი, რომელიც ცხოვრების ახალ მეკვლეს, ან ახალმოსახლეობას ნიშნავს უცხო მხარეში.

9 თვის შემდეგ ჩადის ვერცხლის საბადოებით განთქმულ ფრაიმერგის მხარეში და ეწაფება ზუსტ მეცნიერებებს ალქიმია, მედიცინა, ფილოსოფიას. ხოლო აქედან 3 თვის მანძილზე მან გამოუგზავნა ლექსების ციკლი შლეგელის "ყვავილთა მტვერის" სახელწოდებით. აქედან იწყება მისი ოჯახის უპირველესი მტრის და მესაფლავის ყვავილას გააზრება მისტიკურ განზომილებებში, რაც საბოლოოდ კულიმინაციას აღწევს "ცისფერი ყვავილის" მიუწვდომელ სიმბოლიკაში. და კვლავ ფრაგმენტები მისი წერილებიდან "ადამიანი ყოველ წუთს შეუძლია ზემიწიერ არსებად იქცეს, უმისოდ ის არ იქნებოდა სამყაროს მოქალაქე, ის იქნებოდა ცხოველი. ჭეშმარიტი პოეტი ყოველთვის ქურუმია, ისევე როგორც ჭეშმარიტი ქურუმი მუდამ პოეტი იყო".

"ჩვენ ყველანი ერთი მისიით ვართ მოვლინებულნი, დედამიწის გარდაქმნაა ჩვენი მიზანი" და ა.შ. იგი ყოველთვის ხელმძღვანელობდა ასეთი პრინციპით

"სამყარო უნდა გარომანტიულდეს, ამგვარად ვიპოვით მის ხელახლა თავდაპირველ აზრს".

მაგია ნოვალისს მიაჩნდა იმ საუფლოდ, სადაც პრაქტიკულად შეიძლებოდა გადაჭრილიყო ადამიანისა და სამყაროს ურთიერთმიმართების პრობლემა. ასე ჩაეყარა საფუძველი მის გახმაურებულ მოძღვრებას "მაგიური იდეალიზმი" და მას უწოდებს პრაქტიკულ იდეას. მისი ხედვები მაგიაზე შემდეგნაირად გამოისახება "მაგია არის გრძნობათა სამყაროს საკუთარი ნება-სურვილით გამოყენების ხელოვნება", "მაგიის ეპოქაში სხეული სულს ან სულთა სამყაროს ემსახურება"- წერს იგი.

მაგრამ ეს პიროვნება უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ქრისტესთან ლოცვით შემოსილი პოეტი- ქერუბი. იგი თვლის, რომ ლოცვა ყველაფრის უპირველესი წამალია. ლოცვის საშუალებით ყველაფრის მიღწევა შეიძლება. მას სწამდა, რომ რაც ადამიანებს უზენაესმა მისცა, ეს საუბარია. და ამ სამყაროს ერთი ენა გააჩნია და ეს ენა საიდუმლო ენაა. ასევე სწამდა ჰოლდერლინს, რომელიც ამბობს, რომ "ჩვენ ვართ საუბარი", ბარათაშვილი კი ამ ფენომენს ასე ხსნის "მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უსასკოთაც და უსულთ შორის და უცხოვლეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათი საუბრის".

ვერცხლის საბადოების პერიოდში ნოვალისი დაუახლოვდა პროფესორ ფონ შარპანტიეს ოჯახს და იქ გაიცნო 22 წლის იული ფონ შარპანტიე. ეს გაცნობაც სიყვარულში გადაიზარდა და ისიც რეაქტიული აღმოჩნდა. ახლობლები მის ამ ქცევას ღალატად აღიქვავენ და კიცხავენ. თავად ეს კავშირი კი რაღაც კეთილი მაგიით არის სავსე. სოფია ნოვალისისთვის ზეციური საპატარძლოა, ხოლო იული მიწიერი. იული შარპანტიეს საქმრო ნოვალისი კი თავის დღიურში წერს: "როცა სოფია და ერაზმი ფხიზლობენ, მე შემიძლია მშვიდად ვიყო". "მე სოფიას მიმართ სიყვარული კი არა, რელიგია მაქვს გულის ცვალებადობისგან დამოუკიდებელი, რწმენაზე დაფუძნებული, აბსოლუტური სიყვარული-არის რელიგია".

ფრ. შლეგელისადმი მიწერილ წერილში იგი სიკვდილს უაღრესი ხარისხის ბედნიერებას ანიჭებს, იგი სიცოცხლესაც ბედნიერებად თვლის, ოღონდ უფრო ნაკლები ხარისხით. აი რას წერენ მისი გამოჩენილი მეგობრები ამ პერიოდზე. დოროთეა შლეგელი: "რამდენიმე დღეა ჰარდენბერგი აქ იმყოფება...მას ნათელმხილველის სახე აქვს".

ლუდვიგ ტიკი: "მოხაზულობა და გამომეტყველება მისი სახისა ძალზე მოგვაგონებს იოანე მახარობელს, როგორსაც დიურერის ნახატზე ვხედავთ.

ამ პერიოდში ორი წლის მანძილზე იქმნება მისი ყველაზე დიდი ძალმოსილების შედევრები: "სასულიერო სიმღერები", პროზა-პოეზიის სინთეზი "ღამის ჰიმნები", ფილოსოფიური-მისტიური თხზულება "საისელი მოწაფეები", რელიგიურ ფილოსოფიური ესე "ქრისტიანობა ანუ ევროპა", და დაუმთავრებელი რომანი "ჰაინრიხ ფონ ოფტერდინგი"-რომანტიზმის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტილო, უნივერსალური რომანტიკული რომანი, რომელსაც სხვაგვარად (მისი უმთავრესი სიმბოლოს მიხედვით) "ცისფერ ყვავილსაც" უწოდებენ.

ღამის ჰიმნებში გაცხადებული სოფიას სიკვდილით გამოწვეული ტრაგიზმით მიღწეული მისტიკის შეცნობა, ყოველივე იმისა, რაც სიმბოლოებით იმზირება მისი დღიურებიდან. აქ თანმიმდევრულად მიყვება საცოლის სიკვდილით გადატანილი შიში და მწუხარება, მისი სული ამ ტრაგიზმში მაღლდება და შეიცნობს ქრისტეს და ბედისწერას. მისთვის ტანჯვა სამყაროს შეცნობის საშუალებაა, იგი ნავით მიირწევა ამ სივრცეში, კუნთები ელლება, მაგრამ სული ამ ნათელხილვებით ბედნიერია და სხეულს მოსვენების საშუალებას არ აძლევს.

"სასულიერო სიმღერები"-ეს მისი სულის თავგადასავალია, რომელშიც მოგვითხრობს,

თუ რა ქარტეხილებით იშვა მესა. იგი მღერის საკუთარი სულის სასწაულებრივ ამბებს თუ როგორ გადაეზარდა უახლოეს ადამიანთა სიკვდილით, წარმავალობის სიმწრით ნაკვები სული-გასხივოსნებულ რწმენის ზეიმში. რადგან შეიცნო სიკვდილის აზრი და მაცხოვრის კოსმიური ძალა, ქრისტეს ნათელი ასხივოსნებს დედურ-ქალწულებრივ წიაღს და აქედან გამომდინარე აქვს სამყაროს გადარჩენის იმედი.

ამ სიმღერებზე შეიქმნა გერმანიის უდიდესი მუსიკალური ნაწარმოებები. "ეს სიმღერები იცოცხლებენ ისევე, როგორც თავად ქრისტიანობა"-წერს ცნობილი ფილოსოფოსი ვ. დილთაი. ნოვალისის აზრით, სიყვარული და პოეზია მართავს კოსმოსს და იგი თავს ახალი ქვეყნის იერუსალიმის ახალ მოსახლედ მიითვლის. 1800 წელს დაგეგმილია მისი ქორწილი იული ფონ შარპანტიესთან. ვაისენფელსის სახლში უკვე მოწყობილია ერთი ოთახი, რომელმაც მეფე- პატარძალი უნდა მიიღოს, მაგრამ ბედისწერა მას უჩუმრად ელოდება, ამავე წლის შემოდგომაზე მას მემკვიდრეობითი სენი ეძალება, 13 ივლისს კი მისი ძმა იხრჩობა მდინარეში, ეს ყველაფერი ბედისგან დაწერილ სცენარს გავს, ამიტომ ამ უბედურებებს პანიკით არ ხვდება. მას ბოლოდროინდელ ჩანაწერებში ვკითხულობთ: "თუკი ახლა ავად გავხდები...მაშინ ეს საათები ზნეობისა და რელიგიურობის განმტკიცებას უნდა მოვანდომო", "შიში არის მერყეობა, გაურკვევლობა უპირატესად სხეულებრივი წარმოშობისა", "განა მე თვითონ არ ვირჩევ ჩემს ბედისწერას უკუნითი უკუნისამდე?" "ყოველი მწუხარე ფიქრი მიწიერი, წარმავალი ფიქრია შიშისა. ყოველი ნაღვლიანი განწყობა ილუზიაა". "ვიდრე მე მწამს, რომ სოფია ჩემთან არის და მეცხადება კიდეც, სწორედ იქ სადაც არ ველი: ჩემში, როგორც ჩემი სული".

სიკვდილის დღეს ნოვალისს უთხოვია ძმისთვის ფორტეპიანოზე დაკვრა, ვიდრე კარლ ჰარდენბერგი უკრავდა, ნოვალისს ჩასთვლიმა. ფრ. შლეგელსა და ნოვალისის ძმას ჰგონებიათ, სძინავსო. ასე გარდაცვლილა "ცისფერი ყვავილის" პოეტი მუსიკის ჰანგებში.

პოეტის არქივში მოგვიანებით აღმოჩნდა ერთი უცნაური დოკუმენტი: სოფია ფონ კიუნისა და ნოვალისის მიერ მათი ერთადყოფნის ბედნიერ ხანაში ხუმრობით შედგენილი მოსაწვევი ბარათი: "ჩვენს ნათესავებს და მეგობრებს ვატყობინებთ, რომ 19 მარტს მოხდა ჩვენი შეუღლება და ვიმედოვნებთ გაიზიარებენ ჩვენს სიხარულს. სოფია და ფრიდრიხ ფონ ჰარდენბერგები. 1798 წლის 25 მარტი, ეს თარიღი რა თქმა უნდა გამოგონილია. სოფია გარდაიცვალა 19 მარტს, ხოლო 3 წლის შემდეგ 25 მარტს ნოვალისი იმ ოთახში, მისი მეორე საცოლესათვის რომ იყო მოწყობილი. მიწაზე არშემდგარი ქორწინება განხორციელდა ორფეულ სიტყვასა და პოეტის საყვარელ მამის სახლში "შინ, როგორც სულთა შეუღლება". (უნიო საკრას რომ უწოდებენ წინასწარმეტყველები)

ნოვალისი სხეული იყო სათავსი, ყველაზე იდუმალი სულისა, რომელიც საოცარი დაძაბვით ცდილობდა ჩაწვდომოდა მარადისობის ელემენტებს. შეიცნო რა სიკვდილის არსი, იგი იმდენად აღფრთოვანდა, რომ ცდილობდა მალე გაცლოდა მიწას, მაგრამ მას არ უნდოდა ეს მომხდარიყო ძალდატანებით, მასში ისევე აღფრთოვანებას იწვევდა მიწიერი სამყარო, იგი გამუდმებით ცდილობდა აეხსნა მოვლენები პოეზიის ხერხებით და შეექმნა ქვეყანა ამით უფრო კეთილშობილი, რადგან სამყაროს გადარჩენის მისიას ამაში ხედავდა. კაცობრიობის არც ერთი ადამიანი არასოდეს არ შეხვედრია სიკვდილს ისე მზად, როგორც ის. ამიტომაც მისი სული, რომელიც ისწრაფვოდა ყოფილიყო თავისუფალი, ამ ყოფას სამ წელიწადს გაუძლო 25-დან 28-წლამდე, საბოლოოდ სხეულიდან გამოსხლტა, ადამიანებს კი დაუტოვა მის მოსაგონებლად უმაღლესი პოეზიის

სიმბოლო "ცისფერი ყვავილი". როდესაც ეპოქის ქარიშხლები ამ ყვავილს წალეკვით ემუქრებიან, მაშინ გაისმის დიდ პოეტთა გოდება მის გადასარჩენად.

ქართველ პოეტთაგან ნოვალისთან ძალზედ ახლო დგას შემოქმედებით და ცხოვრებით გალაქტიონი და ტერენტი. მათი პარალელური შესწავლა უნდა იქცეს მკვლევართა დაკვირვების საგნად (გამოყენებულია ჟურნალ "საუნჯის" 1987 წლის №5 წერილი ნოვალისი. ავტორი ნაირა გელაშვილი).

*მიშელ ნოსტრადამუსი* შუა საუკუნეების ყველაზე გამოჩენილი წინასწარმეტყველი, ახ. წელთაღრიცხვიდან არავინ ყოფილა ნათელხილვის სფეროში ასეთი ძლიერი ენერგიით აღჭურვილი. პროფესიით ექიმი. ებრაული წარმოშობის ქრისტიანი. ნათელხილვა დაეწყო ცოლისა და შვილის გარდაცვალების შემდეგ. მისი ხილვები მოიცავენ 2240 წლიან პერიოდს, 1557 წლიდან 3797 წლამდე.

მისი წინასწარმეტყველების არეალში შედიოდა მთელი ევროპა და ეხებოდა ცხოვრების ყველა პროფილს, გამოგონებას, რელიგიას, ასტროლოგიას და ალბათ ყველაფერს. 1980 წელს პარიზში მასზე შარლ დე ფონტბრენის წიგნი, რომელიც ნოსტრადამუსზე გამოსულ წიგნთა შორის ყველაზე ავტორიტეტულია (600 გვერდი). ამ წიგნის განსაკუთრებულობა მდგომარეობდა კიდევ იმაში, რომ ნოსტრადამუსს 1981 წელს ნაწინასწარმეტყველები ჰქონდა პაპზე თავდასხმა, რაც აღსრულდა კიდეც. ნათელმხილველის სიკვდილის შემდეგ ახდა მისი თითქმის ყველა წინასწარმეტყველება, მათ შორის წარმოგიდგენთ ყველაზე მნიშვნელოვანს, როგორც წინასწარმეტყველებაში იყო ნათქვამი, 1582 წელს შემოიღეს გრიგორიანული კალენდარი, 1769 წელს ინგლისში გამოიგონეს ორთქლის მანქანა, 1776 წელს აშშ. გამოაცხადა დამოუკიდებლობა, 1778 წელს გამოიგონეს საჰაერო ბურთი, 1789 წელს მოხდა საფრანგეთის რევოლუცია, 1795 წელს აღმოაჩინეს ელექტრობა, 1812 წელს ნაპოლეონი გაანადგურეს რუსეთში, 1844 წელს გამოიგონეს ტელეგრაფი, 1866 წელს გამოიგონეს დინამიტი, 1869 წელს გათხარეს სუეცის არხი, 1873 წელს გამოიგონეს ელექტრონათურა, 1876 წელს გამოიგონეს ტელეფონი, 1903 წელს ააგეს პირველი თვითმფრინავი, 1914 წელს გაიყვანეს პანამის არხი, 1914 წელს დაიწყო პირველი მსოფლიო ომი, 1917 წელს მოხდა ოქტომბრის რევოლუცია რუსეთში, 1925 წელს დაიბადა ტელეხედვა, 1929 წელს დაიწყო დიდი ეკონომიკური კრიზისი, 1939 წელს დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, 1961 წელს პირველი ადამიანი გადის კოსმოსში, 1969 წელს პირველი ადამიანი ჯდება მთვარეზე, 1998 წლის 2 თებერვალს დაძლეული იქნება სიბერე, 2000 წელს კაცობრიობის არსებობის ისტორიაში პირველად მარსისკენ გაიჭრებიან.

40 წლის ასაკში ნოსტრადამუსი ტოვებს მონასტრის კედლებს, სადაც ის ცოლ-შვილის დაღუპვამ მიიყვანა. 1547 წელს მეორედ ქორწინდება მდიდარ ქვრივ ანა პორსალე ქემალზე. იგი აწყობს კაბინეტს, სადაც არავის არა აქვს შესვლის უფლება, იქ ინახება წიგნები ეგვიპტური ტაძრებიდან. ამ წიგნებს ბიბლიური დროიდან თან დაატარებდნენ ებრაელები, როდესაც ისინი თავს ეგვიპტიდან გაქცევით შველოდნენ. არის გადმოცემები, რომ ნოსტრადამუსმა ზეპირად შეისწავლა ეს წიგნები და შემდეგ ცეცხლს მისცა ისინი. მან იცოდა აგრეთვე ლათინური, ებრაული და იტალიური ენები, იყო მათემატიკოსი, სწავლობდა ძველეგვიპტურ და აღმოსავლურ თქმულებებს. მისი წინასწარმეტყველებები, დაქარაგმებული იყო და ცენტურიები ეწოდებოდა.

ნოსტრადამუსმა თავად აიშენა აკლდამა კორდელის ეკლესიის კედელში, შესასვლელსა და წმ. მარტას საკურთხეველს შორის. მან იცოდა თავისი სიკვდილის ჟამი და ადრევე იხმო ნოტარიუსი, რომელსაც უკარნახა უკანასკნელი სურვილი. მან იცოცხლა 62 წელი 6 თვე და 12 დღე. მისი სურვილის თანახმად, იგი დაკრძალეს ფეხზე მდგომარე. 1791 წელს, როგორც პროფესორი

ი. ისაევი წერს, რევოლუციის გვარდიელებმა (საფრანგეთის პირველი რევოლუცია) მინისტრის კოშკიდან ამოთხარეს ნოსტრადამუსის ძვლები და მინდვრად მიმოფანტეს. მალე ყველა მათგანი დაიღუპა ამ მკრეხელობის გამო. მისი საფლავის ეპიტაფიაში, ისევე როგორც ბევრი გამოჩენილი პიროვნების ეპიტაფიაში, (შექსპირი, კიროსი) გაფრთხილებაა ამ მკრეხელობის შესახებ. ეპიტაფია ასე გამოიყურება: აქ განისვენებს ძვლები მიშელ ნოსტრადამუსისა, რომლის თითქმის ღვთიური კალამი ღირსად იყო ცნობილი, ადამიანებისთვის ეუწყებინა და შეეტყობინებინა ვარსკვლავთა გავლენა მომავალზე, რომელიც მთელი დედამიწის მიმართ იყო წინასწარგანზრახული... ო, შთამომავლობავ, ხელი არ ახლოთ ამ ნეშტს და ნურც შეგშურდებათ აქ განსვენებულის სიმშვიდე".

საბედისწერო წლის ივნისის ბოლოს, მან თვითონ მიაწერა ჟან სტადიუსის ეფემერიდებს (კალენდარს) შემდეგი ლათინური სიტყვები: "ჰიკ პროპე, მორს ესტ" ე.ი. ახლოვდება სიკვდილი, ხოლო იმ დღეს, როცა სააქაო ცხოვრება საიქიოზე შეცვალა, მან ჩაილაპარაკა- "მზის ამოსვლისას ცოცხალს ვეღარ მნახავთ".

## ნოსტრადამუსის 15 წინასწარმეტყველება მე-20 საუკუნეში და 1998 წელს.

1. 1998 წლის ზაფხულში შეერთებული შტატების აღმოსავლეთ სანაპიროს სამი ძლიერი ქარიშხალი დაატყდება თავს, რომელიც მიწისაგან პირისაგან აღგვის ათასობით სახლს, დაიღუპება მილიონობით ადამიანი.

2. ევროპის ცენტრში ერთ-ერთ კათოლიკე კარდინალს ამხელენ, როგორც სატანის მიმდევარს, მისი 1000 მიმდევარი კარდინალის მიბაძვით მოიკლავს თავს.

3. აშშ, 1998 წელს გველები შეესევიან, მათი კბენის შედეგად ასიათასობით ადამიანი დაიღუპება.

4. ახალი მრავალმასშტაბიანი ინციდენტი მოხდება რუსეთის ერთ-ერთ ატომურ სადგურში, უზარმაზარ ტერიტორიაზე წყალი და ჰაერი მოიწამლება

5. პოლონელი ექიმი გამოიგონებს სიმსივნის ყველა ფორმის საწინააღმდეგო ვაქცინას, ახალი წამალი უმძიმეს ავადმყოფებსაც განკურნავს.

6. ისტორიაში პირველად ნეპალელი 54 წლის ბუდისტი ბერი სპორტის 4 სახეობაში ჩემპიონი გახდება.

7. მეცნიერები გააცოცხლებენ ეგვიპტელ ქალს, რომელმაც დაბალზამებული მუმიის სახით მიწის ქვეშ 1500 წელი გაატარა, იგი მსოფლიოს მოუთხრობს ეგვიპტური ცივილიზაციის საიდუმლოებებს.

8. ამობრწყინდება არაჩვეულებრივი მევიოლინე ვარსკვლავი, რომლის მუსიკა სნეულებს განკურნავს.

9. ინდოელი გურუ ძალიან ბევრ ხალხს ასწავლის საკუთარი გონებრივი შესაძლებლობების გამოყენებით ფრენას.

10. მთელი მსოფლიო იხილავს სატელევიზიო შოუს, რომლის მთავარი გმირი მოლაპარაკე ძაღლი იქნება.

11. გამოჩნდება ახალი ვირუსი, რომელიც დაავადებული ბაქტერიების მოქმედებას გაანეიტრალებს.

12. ჩინეთში სიკვდილის წვიმა ორ მილიონზე მეტ ადამიანს გაანადგურებს.

13. საფრანგეთის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე ცოლს მიატოვებს და ჩვეულებრივ მებუფეტე ქალს მოიყვანს ცოლად.

*14. გიგანტური კომეტა ჩამოვარდება აშშ-ში, დიდი კანიონის ტერიტორიაზე და შეცვლის იქაურობას.*

*15. დეკემბერში, უფრო სწორად, 1998 წლის 13 დეკემბერს დედამიწაზე მცხოვრებთა უდიდესი ნაწილი ძალიან მცირე ხნით დაინახავს იესო ქრისტეს, რომელიც მათ მისცემს უკანასკნელ შანსს, 2000 წლის 6 მაისს დედამიწაზე მის დაბრუნებამდე.*

***პითაგორა მაგი, მედიუმი, ფილოსოფოსი...***

ძველი ალთქმის მიხედვით, პითაგორა მიჩნეულია უდიდეს წმინდანად, მისი ფილოსოფია იმდენად შთამბეჭდავია, რომ იგი ღვთაებრივს უახლოვდება. ზოგიერთი ოკულტისტური მეცნიერება მას უდიდესი და უშორესი მაგის ჰერმეს ტრისმეგესტის შთამომავლად მიიჩნევს (ტრისმეგესტი სამჯერ ჰერმერსაც ნიშნავდა.) მას ზოგი წყარო მიიჩნევს ეგვიპტელად და ზოგი კი ატლანტიდელად. ეგვიპტეში მას აიგივებდნენ ღვთაება ტოტემთან (თოთთან), რომელმაც კაცობრიობას დამწერლობა მისცა.

პითაგორა დაიბადა ძვ. წ. 580-570 წელს კუნძულ სამოსზე. მისი მამა მნესარქე ტირელი პელასგების არისტოკრატიულ გვარს ეკუთვნოდა. მნესარქოს მამამ დატოვა ქალაქი ფლიუნტი (პელოპენესი) და კუნძულ სამოსზე გადასახლდა. პითაგორას ეპოქაში მოღვაწეობდნენ ისეთი ღვთაებრივი პიროვნებები, როგორიც იყვნენ ბუდა ინდოეთში, ლაო ძი და კონფუცი ჩინეთში. ეს ღმერთების წყალობაა დროის მიმართ და ამ დროს არც ვარსკვლავთ განლაგება უნდა დავივიწყოთ. პითაგორას მასწავლებლები იყვნენ ფილოსოფოსები მილეთელი, ანაქსიმანდრე და ცნობილი კოსმოგონიის ავტორი ფერეკიდი.

პითაგორამ მდიდარი ვაჭარი მამის წყალობით და კუნძულის მფლობელ პოლიკრატეს დახმარებით იმოგზაურა ეგვიპტეში და გაეცნო მათ რელიგიას. აქედან იწყება პითაგორას მოგზაურობა იმ დროის ცნობილ ქვეყნებში: ფინიკიაში, არაბეთში, სპარსეთში, ტიბეტსა და ქალდეაში (ძველი კოლხეთი). უნდა ითქვას, რომ ძველი ქალდეველები, შემდგომ კოლხები დახელოვნებული ჯადოქრები და წინასწარმეტყველები იყვნენ.

პითაგორელებმა შექმნეს მთელი რიგი შეხედულებები სამყაროზე, სულზე და მისტიკის სხვა სახეობებზე. მათი შეხედულებით, ყველა ნივთი ბუნებაში ორი საწყისისგან შედგება შეზღუდულის და შეუზღუდავის ანუ საზღვრულისა და განუსაზღვრელის. მაგ. მატერია და ყველა მიწიერი და არამიწიერი მოვლენა შეიძლება წაიკითხო და შეიმცნო რიცხვის სახით.

ერთადერთი უდიდესი რაც პითაგორამ შექმნა თავისი სიცოცხლის მანძილზე არის რიცხვთა თეორია, რომელიც იყო აუარებელი დაფარული ცოდნის გასაღები. მის ირგვლივ არსებული უამრავ ლეგენდათაგან, ერთ-ერთი მოგვითხრობს, რომ ერთხელ, როდესაც მან სამჭედლოს ჩაუარა, ოთხი მჭედელი ურტყამდა უროს, სხვადასხვა სიდიდის გრდემლებს, რომლებიც სხვადასხვა ხმებს გამოსცემდნენ, პითაგორამ აწონა გრდემლები და ჯაჭვები, რაზეც ისინი იყვნენ ჩამოკიდული და მიიღო პროპორციულად შემდეგი წონის შესაბამისი ციფრები: 6:8:9: 12. ამის შემდეგ მან გაამაგრა სიმები ჰერზე და მიაბა მათ სხვადასხვა ზომის ტვირთი. შერხევისას, სიმები გამოსცემდნენ ბგერებს ტვირთის სიმძიმის შესაბამისად.

პითაგორამ ამ აღმოჩენაზე დააფუძნა რიცხვთა მისტიკა. იმ ლარის სიმებზე, სადაც პროპორციები იყო 3, 4 და 6, შეიძლებოდა აგვეღო ნოტები 1:2 (ოქტავის) პროპორციებში, 3:2 დიატონური გამმის მეხუთე საფეხური და 4:3 (მეოთხე საფეხური). ამგვარად, ოთხი ციფრი 1:2:3:4 იძლევა ჯამში წმინდა ციფრს 10-ს. და მას ჰარმონიის ფუნქცია ეკისრება. ყველაფრის შექმნა იწყება ერთიდან, ეს ციფრი მიღებული იყო მასთან, როგორც ყველაზე წმინდა და ღვთაებრივი.

ციფრი ერთი შემდეგ წმინდა ოთხიანში ვითარდება. პითაგორა ციფრებს აძლევდა მეგობრობის ფუნქციასაც ამგვარი სახით: იღებდა ორ ციფრს 220, 284. ამ ციფრების ქვეშ გულისხმობდა, რომ 284 შეიძლება გაიყოს უნაშთოდ 1, 2, 4, 5, 10, 11, 20, 44, 45, 110 თუ ამ ციფრებს დავაჯამებთ, მივიღებთ ციფრს 220-ს. ამდენად 220 და 284 მეგობარი ციფრებია. პითაგორელების აზრით, ეს იყო მაგიურობის ერთ-ერთი საფუძველი. ყველა ასეთი ფაქტები ჩასვეს სამყაროს ლოგიკურობის აზროვნების ჯაჭვში და სამყარო ისე აირეკლება თითოეულ ფაქტში, როგორც ერთ წვეთ წყალში.

ფარაონ ამაზისის და კუნძულ სამოსის მფლობელის პოლიკრიტას დროს მოხდა ასეთი შემთხვევა, რომლითაც ისინი ხაზს უსვამენ ბედის გარდაუვალობას. პოლიკრიტა ცნობილი იყო როგორც არაჩვეულებრივად იღბლიანი ადამიანი. ამაზისი გრძნობდა, რომ ბედნიერება უსასრულოდ არ შეიძლება გაგრძელდეს, რადგან ასეთია ღმერთების ნება. ამაზისმა ურჩია პოლიკრატეს საკუთარი თავისთვის მსუბუქი ტანჯვისა და გაჭირვების პირობები შეექმნა, იმის მსგავსად, როგორც აპოპლექსიკური დარტყმის დროს ვენიდან სისხლს უშვებენ. პოლიკრიტამ აიღო ძვირფასი ბეჭედი და ზღვაში გადააგდო, რამდენიმე დღის შემდეგ მეთევზემ ამაზისს თევზი აჩუქა, რომელსაც მუცელში ნაჩუქარი და შემდეგ ზღვაში გადაგდებული ბეჭედი უპოვეს. მათთვის ეს ფაქტი იყო იმ დასკვნის არგუმენტი, რომ არავის შეუძლია ბედისწერის აცილება. ამ პერიოდში წინასწარმეტყველების, და ბედისწერის შეცნობით გამოირჩეოდნენ ქალდეველები (კოლხები), მათ პირველებმა შექმნეს ზოდიაქალური სისტემა და რიცხვი 12-ს მიანიჭეს ღვთაების უმაღლესი ძალა. ცნობილი პითაგორას თეორემა-ჰიპოტენუზის კვადრატი უდრის კათეტების კვადრატების ჯამს, მან ეგვიპტურ სიბრძნეზე დაყრდნობით შექმნა.

ტერმინი "ფილოსოფია" ფაქტიურად მან შემოიტანა, გადმოცემის მიხედვით მან მიაღწია მაგიურობის ისეთ დონეს, რომ მოსმენილი ჰქონდა სფეროს ხმა. იგი ერთადერთია კაცობრიობის არსებობის მანძილზე, ვისზეც ამას ამბობენ. თუმცა ბევრი ოკულტიზმის ისტორიკოსი სფეროს მოსმენის ხმას პითაგორას მხრიდან, წმინდა წყლის სიცრუედ მიიჩნევს. მისი მაგიურობის ერთ-ერთი საკვები პირამიდა ყოფილა, სადაც მან გაატარა სამი დღე, მარტოდმარტო და უჭმელ — უსმელმა. ლეგენდის და მისტიკური აზროვნების თანახმად, პირამიდა აღჭურვავდა მათ ასეთი ენერგიით. პითაგორელებისათვის აკრძალული იყო მატყლისაგან მიღებული ტანსაცმლის ტარება და ხორცის ჭამა. მათი აზრით, სხეული სულის საპყრობილეა და საფლავი. პითაგორას საზოგადოების ყოველი წევრი ვალდებული იყო უხმად დამორჩილებოდა მოძღვარს, ეს იყო უმკაცრესი დისციპლინა, რაც იყო მათი წარმატების ძირითადი საწინდარი. უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთივე მკაცრი რეჟიმი იყო გიორგი გურჯიევის ჰარმონიის სკოლაში. პითაგორას სკოლაზე და მის იდეოლოგიურ პრინციპებზე ლაპარაკობს. სკოლაში დანერგილი სენტენცია-დარიგებები: "სასწორს ნუ გადააბიჯებ" (უსამართლოდ ნუ მოიქცევი), "დანით ცეცხლს ნუ გააღვივებ" (?) "თაიგულს ნუ დაარღვევ" (ნუ შეეხები სახელმწიფო წყობას) "შარაგზაზე ნუ დადიხარ" (სწორ გზაზე იარე), "ქოთნის კვალს ნაცარში ნუ დატოვებ", "გულს ნუ სჭამ" (ნუ დაღონდები), "მერცხალს ჭერქვეშ ნუ დაინდობ" - (?).

ყველა პითაგორელი ვალდებული იყო ღრმა განათლება ჰქონოდა მუსიკის სფეროში, რადგან ისინი მთელი რიგი საგნების ახსნის დროს ფართოდ იყენებდნენ მუსიკიდან გამომდინარე მოვლენებს. პითაგორამ პირველმა შემოიტანა აზროვნებაში მეტაპსიქოზის პრობლემა, რომელსაც პითაგორიზმის მოძღვრებაში ცენტრალური ადგილი უკავია. ამ თეორიის მიხედვით სათნოებას, სიყვარულს,

მეგობრობას აქვს როგორც თავისი ციფრი, აგრეთვე ფორმა. მაგ. სათნოება არის კვადრატი და საერთოდ მათ მოძღვრებაში კვადრატს განსაკუთრებული ადგილი უკავია. ჩვენის აზრით, აქედან უნდა მოდიოდეს სამყაროს ოთხი ძირითადი საწყისი: ცეცხლი, ჰაერი, მიწა, წყალი და ალბათ თითოეული წარმოადგენს კვადრატის ოთხ ტოლ ნაწილს. მათი აზრით ქალი ლუწია, კაცი კი კენტი. ისინი ღრმად ეუფლებოდნენ რელიგიებს, ოკულტისტურ დარგებს, მისტიკურ აზროვნებას, მისტერიებს, რიტუალებს და ყველა საგნის და მოვლენის არსებობაში ეძებდნენ კავშირებს. ამ ჰარმონიის ძაფზე ხელიხელ ჩაკიდებული დადიოდნენ სამყაროს საიდუმლო კულუარებში.

გადმოცემების თანახმად, პითაგორას ჰქონდა შამანის ბუნებაც, მან მიიჩვია დათვი, რომელიც აიძულა, რომ მისთვის ყურში ეჩურჩულებინა, გაწვრთნა არწივი ისე, რომ ეჭამა მისი ხელიდან. ქართული ხალხური სიბრძნის თანახმად კი სამი რამ არ გაიწვრთნების: მგელი, არწივი, კაი ყმა, მან, პითაგორამ კი ერთის არწივს აჯობა. მისი ცხოვრების შესახებ ყვებიან, რომ მან ნაპირს მოახლოებულ გემზე თქვა, რომ "გემზე არის ორი მიცვალებული, რაც რა თქმა უნდა ცხადში დასტურდებოდა. არავისზე არ ყოფილა იმდენი ლეგენდა და თქმულება, რამდენიც მასზე. ზემოთ ჩამოთვლილ სამყაროს ბრძენ-გენიოსთა გარდა, მისი თანამედროვენი იყვნენ თალესი, ჰერაკლიტე, პარმენიდე, რომლებიც ხშირად მას უნდობლად ეკიდებოდნენ, მაგრამ საბოლოოდ მაინც აღიარებდნენ მის მოძღვრებას და სიდიადეს. პითაგორამ იცოცხლა დაახლოებით 80 წელიწადი და გადაწია კაცობრიობის აზროვნების ჰორიზონტები უფრო შორს, ვიდრე ვინმე სხვამ მანამდე და მას შემდეგ. მასზე იმასაც ამბობენ, რომ მის შემდეგ რიცხვთა თეორიაში არავინ აღმოჩნდა ისეთი, ვინც შეძლებდა ამ ყველა დროის უდიდესი აღმოჩენის გაგრძელებას.

*ალ. პუშკინის და მიხეილ ლერმონტოვის მკითხავი*

დუელამდე 12 წლით ადრე მან ა.ს. პუშკინს უწინასწარმეტყველა სიკვდილი.

ამ გულთმისანს ზოგიერთი წყარო შარლოტა თევდორეს-ასულს უწოდებს, მეორენი ალექსანდრა ფილიპის-ასულს, მისი გვარია კირხჰოფი. სახელი იმდენად პოპულარული ჰქონია, რომ აკითხავდნენ რუსეთის ყველაზე მაღალი პირები: ალექსანდრე I, ალექსანდრე გრიბოედოვი და სხვები.

ქალბატონი კირხჰოფი გერმანიიდან 1810 წელს ჩამოვიდა და იგი პასტორის ქვრივი ყოფილა. მუდმივად ატარებდა შავ შარფს, შავ სამოსელს და გარეგნულად უფრო რემბრანდტის ხანშიშესულ ქალებს ჰგავდა, ვიდრე მისანსა და გულთამხილავს.

1811 წლის დამლევს ქალბატონ კირხჰოფს ესტუმრა იმპერატორი ალექსანდრე I და მისი გენერალ-ადიუტანტი უვაროვი. ორივეს ჩვეულებრივი სამოქალაქო პირის ტანსაცმელი ეცვა, რათა იქ არავის ეცნო. ახლოვდებოდა 1812 წლის ომი ნაპოლეონთან და ვიზიტის მიზანიც ამ ომის ბედი იყო. მკითხავის პასუხი ასეთი იყო: "თქვენ ის არა ხართ, ვინც ჩანხართ, მაგრამ კარტის საშუალებით არ შემიძლია გამოვიცნო ვინ ხართ, თქვენ ორაზროვან, ძალზე რთულ მდგომარეობაში იმყოფებით. საშიშროებაც კი გემუქრებათ, არ იცით რა გზას დაადგეთ. თქვენი საქმე ბრწყინვალედ წავა, თუ გამბედავად და ენერგიულად იმოქმედებთ. თავიდან დიდ უბედურებას გადაიტანთ. მაგრამ შეუვალობითა და სიმამაცით აღჭურვილი გადალახავთ მას. თქვენ ბრწყინვალე მომავალი გელით".

უცნობი (ალექსანდრე I) იჯდა. თავი ხელებზე დაეყრდნო და თვალმოუშორებლად უცქერდა წინასწარმეტყველის კარტს. ქვრივის ბოლო სიტყვებზე იგი წამოხტა ასეთი სიტყვებით "წავიდეთ ძმაო", რათა ხაზი ერთხელ კიდევ გაესვა მის უბრალო მოქალაქობისათვის და უვაროვთან ერთად ქარბუქიან თოვლში

გაუჩინარდა.

ჭრივ მკითხავს რამდენიმე წლის შემდეგ ჯერ კიდევ უცნობი პოეტი ალ. პუშკინი ჰყავდა სტუმრად.

წინასწარმეტყველების განვითარება ასეთი იყო: საფოსტო ყუთში ფულის გზავნილი დაუხვდა. მისი ლიცეუმელი მეგობარი კორსაკოვი, იტალიაში მიემგზავრებოდა და იმ ვალს უბრუნებდა, რომელიც არც კი ახსოვდა. ეს იყო პირველი, რაც ასრულდა წინასწარმეტყველებიდან. მეორე, იმავე საღამოს პოეტმა თეატრში გენერალი ორლოვი ნახა, რომელმაც მას საკუთარ პოლკში სამსახური შესთავაზა. მოვლენების ასეთმა განვითარებამ პოეტი დაძაბა და მოუთმენლად ელოდა შემდეგს. ექვსი თვის შემდეგ იგი გადაასახლეს.

გადასახლებაში პოეტმა ბერძენი ნათელმხილველი გაიცნო, რომელმაც ჩურჩულით და მორიდებით უთხრა, რომ იგი დაიღუპებოდა თეთრცხენიანი და თეთრთმიანი კაცისგან. უნდა ითქვას ისიც, რომ მთელ პოლკში ერთი ძალზე ქერათმიანი (ალბინოსი) კაცი და ერთი თეთრცხენიანი კაცი იყო. ეს იყო დანტესი. ამ ორ მკითხავმა და წინასწარმეტყველების ასეთმა განვითარებამ აიძულა შეექმნა ნაწარმოები თავად ოლეგზე, რომელიც ბედისწერის თემას ეხება. ლეგენდა, რომელიც თავად ოლეგს უწინასწარმეტყველეს იყო ის, რომ იგი თავისი საყვარელი ცხენისგან მოკვდებოდა. მეხუთე წელს, როცა ეს წინასწარმეტყველება გაიხსენა, მისი ცხენი ცოცხალი აღარ იყო. წინასწარმეტყველების შეუსრულებლობაზე ბევრი იცინა და ცხენის ძვლების ნახვა ისურვა. ძვლების დანახვაზე ფეხით შესდგა და ჩაილაპარაკა, ნუთუ ამის უნდა მეშინოდეს? მაგრამ ქალაში გველი დამალულიყო... მან თავადი დაგესლა და ასე დაიღუპა...

ბოლო წლებში ბედისწერის მიმართ პოეტი ძალზე დაძაბული იყო და ქერათმიან, თეთრცხენიან ადამიანებთან ფრთხილობდა, მიუხედავად ყველაფრისა, არავინ იცის რას ფიქრობდა დანტესთან დუელში გასვლის წინ.

ქალბატონ კირხჰოფის შემდგომი ბედის შესახებ, ცოტა რამ არის ცნობილი. დეკაბრისტების შეთქმულებამდე ერთი წლით ადრე, ერთ-ერთი დეკაბრისტის ი.ი. პუშჩინის უმცროს ძმას კირხჰოფმა უთხრა: "უცნაურად ლაპარაკობს კარტი, თქვენ ჯარისკაცი იქნებით. მართლაც, აჯანყებაში მონაწილეობის გამო, ის ჯარისკაცობაზე ჩამოაქვეითეს. ამ აჯანყებამდე ორი კვირით ადრე კი სიკვდილი უწინასწარმეტყველა ბოროდინოს ომის გმირს მილორადოვიჩს, რაც ასრულდა კიდევაც.

1841 წლის გაზაფხულზე, კირხჰოფს ესტუმრა მიხეილ ლერმონტოვი. იმ პერიოდში პოეტი არმიიდან წასვლაზე და ლიტერატურულ საქმიანობაზე ოცნებობდა. პეტერბურგში შვებულებით იყო და მისი ამ სურვილის განხორციელებისათვის ბევრი გავლენიანი პირი იღწვოდა.

ლერმონტოვმა შაისან ქალბატონს ჰკითხა, მისცემდნენ თუ არა სამსახურიდან გადადგომის უფლებას და დარჩებოდა თუ არა პეტერბურგში. მას უპასუხეს, რომ პეტერბურგში ის აღარასოდეს იქნებოდა, ვერც გადადგომას მოესწრებოდა და საერთოდ, მას ისეთი გადადგომა ელოდა, რის შემდეგ აღარაფრის თხოვნის სურვილი აღარ ექნებოდა". ლერმონტოვმა ამ სიტყვებზე ბევრი იცინა, საღამოს შვებულების გაგრძელების უფლებაც მიიღო და იფიქრა საქმე ჩემი სურვილით მიდის და მკითხავის წინასწარმეტყველებისაკენ. ცოტა ხნის შემდეგ კი მოვიდა ბრძანება, რომ 48 საათში დაეტოვებინა პეტერბურგი და დაბრუნებულიყო კავკასიაში საკუთარ პოლკში. მეორე დღეს კარამზინებთან გამოსამშვიდობებელი ვახშამი შესდგა. ამ საღამოს შესახებ კი პოეტი ქალი როსტოპჩინა ალ. დიუმას სწერდა: "ამ საღამოს ლერმონტოვი მხოლოდ საკუთარ სიკვდილზე ლაპარაკობდა. მე მინდოდა გამეჩუმებინა და მეგობრულად დაცინვა დავუწყე მის უსაფუძვლო

წინათგრძნობას, მაგრამ ის ისეთი განცდით ლაპარაკობდა, რომ ჩემზეც მოქმედებდა და გული მიმძიმდა".

შაოსანი ქრივი ქალბატონი კირხჰოფი კვლავ მართალი აღმოჩნდა, ლერმონტოვი ვეღარ დაბრუნდა პეტერბურგში, იგი დუელში დაიღუპა მიუხედავად იმისა, რომ მას კარგად ახსოვდა მკითხავის წინასწარმეტყველება მაინც არ გაუფრთხილდა ბედისწერის აღსრულებას, უფრო მეტიც მან მის მკვლელ დუელიანტს-მარტინოვს უკეთებდა პროვოცირებას.

პუშკინის და ლერმონტოვის მკვლელობაში პარადოქსულია ის ფაქტიც, რომ ორივეს მკვლელები დანტესიც და მარტინოვიც კავალერგარდის პოლკში მსახურობდნენ.

ასეთი ბედისწერით იყვნენ აღჭურვილი რუსეთის ორი უდიდესი პოეტი.

*გრაფი სენ-ჟერმენი-ფრანგი ოკულტისტი.* მსოფლიოში შექმნილია მისი სახელობის კლუბები და სალონები. "აშშ-ში შექმნილია ბალარდისტების უზარმაზარი სექტა, რომლებიც გრაფს როგორც ღმერთს აღუვლენენ ლოცვებს. ზოგიერთი წყაროები მას რუსადაც აცხადებენ. რამდენიმე წლის განმავლობაში ატარებდა გენერალ სალტიკოვის გვარს. ჩინებულად იცოდა რამდენიმე უცხო ენა, განსაკუთრებით რუსული. შემოვლილი აქვს მთელი ევროპა. ლუდოვიკო XV და მისი ფავორიტი მადამ პომპადური ძალზე მოიხიბლნენ გრაფით, ხოლო როდესაც მან ერთი ხელის შეხებით გააქრო ბზარი მეფის უზარმაზარ ბრილიანტზე, მეფე და მისი ამალა აღტაცებაში მოიყვანა. მეფის თხოვნით იძახებდა მის წინაპართა სულებს და მომავალზე წინასწარმეტყველებდნენ.

მარკიზა დე პომპადურის თხოვნით სენ-ჟერმენმა დაამზადა ენერგიისა და ძალის ელექსირი, რომლის ძალამ აღტაცებაში მოიყვანა მეფის უკვე ხანდაზმული ფავორიტი.

საკუთარი თავის შესახებ არ მალავდა, რომ მისი სახელი იყო ფსევდონიმი, ხოლო ნამდვილი სახელი მას დავიწყებული ჰქონდა, იგი რომელიღაც ზღვის პირას მდებარე ქვეყანაზე დაიბადა. საუბარში მიანიშნებდა მოსესა და აბრაამთან ნაცნობობას, იცნობდა იესო ქრისტეს და ქალწულ მარიამს, პონტოელ პილატეს და სხვა მრავალ რომაელ იმპერატორს. ზოგიერთი წყაროთი გრაფმა ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ეკატერინე II-ეს ტახტზე ასვლაში. 1800 წელს მან თქვა, რომ ევროპაში დაიწყება ომი, მე კი გავემგზავრები ჰიმალაიში, ჩემს სულეთში.

ალ. პუშკინის პიკის ქალის პროტოტიპი იყო თავადის ასული ნატალია გალიცინა, რომელიც თავისი გარეგნობით ხიბლავდა თვით ვერსალსაც კი. ულამაზესი ქალბატონი ბანქოს თამაშისას მოატყუეს ახალგაზრდა პრინცებმა. გრაფმა გამოიხმო თავადის ასული, ასწავლა სამი ბანქოს საიდუმლოება და ნატალია გალიცინამ წაგებული თანხა უკან დაიბრუნა დიდი მოგებით. პეტერბურგში დაბრუნებული ქალბატონი ხშირად იგონებდა გრაფის ამ სამსახურს. სწორედ ეს ამბავი გახდა ალექსანდრე პუშკინის შთაგონების წყარო.

*სტალინი, წინასწარმეტყველება და მაგიური რიცხვი*

საბჭოთა კავშირი გერმანიის ომამდე სულ რამდენიმე თვით ადრე მოსკოვში მცხოვრებმა პოლონელმა ჰიპნოზიორმა, ტელეპატმა და ნათელმხილველმა ვოლფ მესინგმა თქვა, მე ვხედავ წითელვარსკვლავიან ტანკებს ბერლინის ქუჩებში. ეს სიტყვები წარმოთქვა 1940 წელს, როცა მოქმედებდა მოლოტოვ-რიბენტროპის ფაქტი, ორ სახელმწიფოს შორის მეგობრობისა და თავდაუსხმელობის შესახებ.

ამ წინასწარმეტყველების შესახებ სტალინმაც გაიგო, როცა გერმანიამ ხელი მოაწერა კაპიტულაციას. სტალინმა მესინგს მისალოცი დეპეშა გაუგზავნა, სადაც ულოცავდა გამარჯვების თარიღის წინასწარმეტყველებას.

1943 წელს მესინგს ნოვოსიბირსკის თეატრში სცენაზე ბარათი აუტანეს: "როდის დამთავრდება ომი?" მისი პასუხი იყო 8 მაისი. მესინგი სულ ერთ დღეს

შეცდა, მაგრამ სტალინმა მისი წინასწარმეტყველება მაინც გამარჯვებად ჩათვალა.

სტალინი დაბადებული იყო 21 დეკემბერს. ამ პერიოდში დაბადებულები იმპერიის ამშენებლები უნდა ყოფილიყნენ. ასეთი ადამიანების დაბადება გარდა რიცხვისა, მთვარის დღეებს უნდა დამთხვეოდა, სტალინი დაიბადა მთვარის მესამე დღეს. დაიბადა 21-ში: 2+1=3. ამ შემთხვევაში ორმაგი დამთხვევა და სტალინის მაგიური ციფრი სამია, ოღონდ ეს მაგიურობა არის ძლიერი გამოხატულება. ახლა ვნახოთ სტალინის დამოკიდებულება რიცხვ სამთან. გერმანიასთან ომის დაწყების დროს იგი არ ეკარებოდა საინფორმაციო წყაროებს და მხოლოდ 3 ივლისს გამოვიდა რადიოთი. ფინეთთან ომი მან 30 ნოემბერს დაიწყო: 3+0=3. მაგრამ ამჯერად ეს რიცხვი მთვარის დღეს არ დაემთხვა და შედეგიც არასასურველი იყო.

სტალინი გარდაიცვალა 1953 წლის 5 მარტს. ეს ოფიციალურად, მაგრამ მაგიური რიცხვის მცოდნენი თვლიან, რომ იგი გარდაიცვალა 3 მარტს ან აპოპლექსიკური შეტევა მასზე განხორციელდა 3 მარტს. ყველა შემთხვევაში ასე გამოდის 1953 1+9+5+3=18 1+8=9. 9 რიცხვი 3-ის ჯერადია. პითაგორას მიხედვით 9 და 3 მეგობარი ციფრებია.

**რა ბედის იყო ის მანქანა, რომელშიც ააფეთქეს ავსტრია-უნგრეთის ერცჰერცოგი ფრანც ფერდინანდი, რომლის მკვლელობა შეიქმნა პირველი მსოფლიო ომის საბაბად.**

მანქანას გრძელი და სისხლიანი ისტორია აქვს. 1914 წელს მანქანა ეკუთვნოდა სატრანსპორტო ჯარების პოდპოლკოვნიკს, გრაფ ფრანც ჰარახს. ეს ღია მწვანე ფერის კაბრიოლიტი სპეცდაკვეთით იქნა დამზადებული ვენის საავტომობილო ქარხანაში.

გრაფ ჰარახის კაბრიოლიტი ისევე, როგორც ყველა სხვა მანქანა მობილიზებული იქნა და არმიის მე-5 ჯგუფის მეთაურს, გენერალ პოტორეკს გადაეცა. ავსტრი-უნგრეთის არმია ზედიზედ მარცხდებოდა...გენერალი თადარიგში გაუშვეს. მანქანა ვინმე შტაბ-კაპიტნის მფლობელობაში გადავიდა. 9 დღის შემდეგ მანქანა ხეს დაეჯახა და მხოლოდ მაშუქის მინა გაებზარა, თავად კაპიტანი გარდაიცვალა.

მის შემდეგ პატრონი ავსტრიის გუბერნატორი გახლდათ, რამდენიმე თვის განმავლობაში ოთხჯერ მოხვდა კატასტროფაში და საბოლოოდ ხელიც დაკარგა და მანქანის მართვაც.

მანქანა იყიდა ვინმე ექიმმა სერკისმა, რომელიც ერთი წლის განმავლობაში ავარიაში დაიღუპა. მისმა ქვრივმა კაბრიოლიტი ნაცნობ იუველირს აჩუქა. რამდენიმე თვის შემდეგ იუველირი გაკოტრდა და თავი მოიკლა.

მორიგი მფლობელი შვეიცარელი ავტომრბოლელი იყო, რომელიც კლდეს დაეჯახა.

ამის შემდგომ კაბრიოლიტი მეღვინე ბიზნესმენის ხელში გადავიდა. ერთ დღეს მანქანის ძრავა მოულოდნელად ჩაუქრა და იძულებული გახდა მანქანა სახლში ცხენებით წაეყვანა, მაგრამ გზაში მოულოდნელად ამუშავდა და მეღვინე მფლობელი გაჭყლიტა, რომლის შემდეგ მანქანა ავტოფარეხის პატრონის ხელში გადავიდა. ეს უკანასკნელი ერთხელ ქორწილში მიდიოდა, ხეს დაეჯახა და ყველანი დაიხოცნენ.

აქ, კი დაფრთხნენ მანქანის შეძენის მოყვარულები და რამდენიმე ხანს მის დაპატრონებას ვერავინ ბედავდა.

30-იან წლებში კაბრიოლიტი ვენის საქალაქო მუზეუმში მოათავსეს. 1944 წელს ამერიკული თვითმფრინავიდან გადმოგდებულმა ბომბამ მუზეუმი ნაცარტუტად აქცია. უვნებელი გადარჩა მხოლოდ ერთი ექსპონატი და ეს იყო ცოდვილი კაბრიოლიტი. მუზეუმის ხელმძღვანელობამ მანქანა სასწრაფოდ აუქციონზე გაყიდა.

მანქანა "სასწაულების გამოფენის" მფლობელებმა შეიძინეს. სულ მალე ერთი მოკლეს, მეორე კი მისი მემკვიდრე ბნედის შეტევით გარდაიცვალა. ყველა ექსპონატი საჯარო ვაჭრობით გაყიდეს.

60-იან წლებში მანქანის მფლობელი უნგრელი მოქალაქე, რომელიც ავტოკატასტროფაში დაიღუპა, მაგიური კაბრიოლეტი კვლავ საღ-სალამათი გადარჩა.

70-იან წლებში მანქანა მორიგი ავარიის ავტორი გახდა, ამჯერად მძღოლი და მგზავრები მანქანიდან გადმოცვივდნენ და მსუბუქად დაზიანდნენ. თვითონ ავტომობილი კი ხრამში გადაიჩეხა და იქ ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი ცოდვით სავსე ტექნიკამ.

*ჩერჩილი*

ჩერჩილს ციფრების ისევე სჯეროდა, როგორც წინასწარმეტყველების ან მაგიის სჯერათ ხოლმე ამ საქმის მიმდევარ ადამიანებს. მას განსაკუთრებით აინტერესებდა ინდოელების ნუმეროლოგიის სისტემა. მან საკუთარი ხელით გამოთვალა ბედის ციფრი. ჩერჩილი დაიბადა 30.11.1874 წელს 3+1+1+1+8+7+4=25 2+5=7. ჩერჩილის ბედის ციფრი 7-ია. ყველაზე ძლიერი ციფრი 1-ია. სიძლიერით მეორე ციფრი 7-ია. ადამიანები, რომელთა ბედის ციფრი 7-ია მწერლები და საზოგადო მოღვაწეები გამოდიან. თუ ბედის ციფრი 7-ია და თანაც დაბადების თარიღში ერთიანები, ხუთიანები ან ცხრიანებია, ასეთი ადამიანები აუცილებლად სალიდერო პოზიციებს დაიკავებენ ცხოვრებაში, გამორიცხული არ არის, რომ მსოფლიო მნიშვნელობის პოლიტიკოსი გახდეს. უნდა ითქვას, რომ ბედის ციფრები უახლოეს ნათესაობაში და მისგან გამომდინარე ბედის აღსრულებაში არიან დიდ უინსტონთან. ჩერჩილი გატაცებული იყო ფერწერით, ნოველების წერით და პოლიტიკით ისე, რომ არც ერთი სხვა მისი მსგავსი. ამდენად ბედის ციფრებთან აბსოლუტურ თანხვდომაშია დიდი ინგლისელი და მეოცე საუკუნის პოლიტიკის ცათამბჯენი. მის განსაცდელთა ასეთი რიგი მოვიძიეთ: 1934 წლის 13 იანვარს ნიუ-იორკში მიმავალ ჩერჩილს ავტომანქანა შეეჯახა, ამ ავარიის შედეგად ხუთი მოტეხილობა ჰქონდა. ამის შემდეგ ჩერჩილი ისე სწრაფად წამოდგა ფეხზე, რომ ექიმებიც ვერ ფარავდნენ გაოცებას. სამ თვეში იგი უკვე ინგლისში იყო.

ერთხელ ამერიკის შეერთებულ შტატებიდან შინ ბრუნდებოდა. უზარმაზარი ჰიდროთვითმფრინავის პილოტს საჭის მართვა სთხოვა. ჩერჩილს მოეწონა ღრუბლებს შორის ცურვა და შესთავაზა პილოტს ბერმუდის კუნძულების ნაცვლად პირდაპირ ინგლისში გაფრენილიყვნენ. ამ ფრენის დროს ჩერჩილმა უეცრად აღმოაჩინა, რომ ღრუბლებს შორის დაიბნა. კიდევ 5-6 წუთი და უზარმაზარი თვითმფრინავი გერმანიის მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე აღმოჩნდებოდა. ჩერჩილმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღო, რომ პლიმუტში ჩაფრენილიყო. ინგლისის თვითმფრინავებმა ჩერჩილის ხომალდი გერმანელების ბომბდამშენად მიიჩნიეს და აეროდრომიდან მის ჩამოსაგდებად ერთდროულად ექვსი თვითმფრინავი აფრინდა, რომლის შემდეგ ჩერჩილი პილოტთან ხუმრობდა, მათ ჩვენი ჩამოგდება განიზრახეს, მაგრამ ვერ შეძლეს. ამ შემთხვევაში რომ იტყვიან ბედი მასთან მეგობრობდა, ინდობდა. ლეგენდარული პიროვნების ძეგლი დღეს ლონდონში დგას პირდაპირ პარლამენტის შესასვლელში. გარშემო მტრედების გუნდი დაფრინავს, ყველაფერი მოსვრილია, მხოლოდ ჩერჩილის ძეგლი დგას სუფთად. ამბობენ, რომ მის ძეგლს პატარა და შეუმჩნეველი ნემსები აქვთ გატარებული, რაც მტრედების მათზე დაჯდომას ხელს უშლის და რა თქმა უნდა დასვრასაც.

*ძველი შუმერების მკითხაობა ვარსკვლავებზე*

შუმერები-ეს უძველესი ცივილიზაციის წარმომადგენლები ასტროლოგიის მამამთავრებად ითვლებიან. შუმერებმა მშვენივრად იცოდნენ ვარსკვლავთა საიდუმლოებები

და მათი გავლენა ადამიანზე. ქართველები მათ უშორეს წინაპრებად მიიჩნევენ. ამ ხალხის ცოდნის დიდი ნაწილი დღეს დაკარგულია. ისინი კი კაცობრიობის ცივილიზაციის პირველი მერცხლები არიან.

წინასწარმეტყველების მრავალი სახეა დამოკიდებული ვარსკვლავებზე. საერთოდ ითვლება, რომ სიზმარში ვარსკვლავების ნახვა ბედნიერი მომავლის მაუწყებელია. ვარსკვლავეთა საშუალებით წინასწარმეტყველების უმარტივესი მეთოდებია.

აირჩიეთ მშვიდი, უქარო საღამო, როდესაც ვარსკვლავებით იქნება მოჭედილი ზეცა. უკეთესია, თუ ამგვარი წინასწარმეტყველებისათვის აირჩევთ სოფელს (რადგან ქალაქი ამ მხრივ გაჯერებულია მტერით) უცქირეთ ვარსკვლავებს ერთი, ორი წუთის განმავლობაში. ამის შემდეგ თქვენ იგრძნობთ რაღაცნაირ კავშირს ვარსკვლავებთან. ამის შემდეგ დაუსვით ვარსკვლავებს თქვენთვის საინტერესო კითხვა, რომლის პასუხით შეიძლება იყოს დიახ ან არა. თუ კითხვის შემდეგ მოგეჩვენათ, რომ ეს ვარსკვლავები უფრო აკიაფდნენ, ან მათ სხივებში რაიმე განსაკუთრებული ციალი შეამჩნიეთ, პასუხი უნდა მიიჩნიოთ როგორც თანხმობა ანუ დიახ. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება შინაგან გრძნობას, თქვენ უფრო შინაგანი ხედვით დაინახავთ ვარსკვლავებს. თუ დაახლოებით 15-20 წუთის მანძილზე ვერავითარ ცვლილებებს ვერ იგრძნობთ ან ვარსკვლავებს რაიმე დაბინდავს, პასუხი უარყოფითია ანუ არა.

ვარსკვლავებს შეუძლიათ თქვენი მომავალი სიზმარშიც მოგაწოდონ. ამისათვის ძილის წინ გამოდით სახლიდან, უცქირეთ ვარსკვლავებს და დაახლოებით ასეთი შინაარსის ტექსტი წარმოთქვით: "ვარსკვლავებო, ვარსკვლავებო, მამცნეთ ჩემი მომავალი ან ბედი". ის თუ რა გელოდებათ, შეიძლება სიზმარში იხილოთ. დაახლოებით ამგვარივე მეთოდებს ჩინელი ბრძენნიც იყენებდნენ. ისინი იძინებდნენ და ამის შემდეგ იძლეოდნენ პასუხს კითხვებზე.

შუმერებიდან მოდის ამჟამად ფართოდ გავრცელებული ჩვეულება ვარსკვლავებისთვის სურვილების ჩათქმა. გამოდით გარეთ, უცქირეთ ვარსკვლავებით მოჭედილ ცას და ეძებეთ ვარსკვლავი, რომელიც ძალიან მოგეწონებათ, რომლის შუქისგანაც განსაკუთრებულ სითბოს და სიამოვნებას იგრძნობთ. აღმოაჩინეთ ამგვარი ვარსკვლავი და ჩაუთქვით მას სურვილი. ამის შემდეგ დაახლოებით ხუთი წამით დახუჭეთ თვალები. თუ თქვენს ვარსკვლავს გახელისთანავე მოძებნით? სურვილი აგისრულდებათ და თუ ვერ აღმოაჩინეთ, სურვილი არ აგისრულდებათ.

შუმერი გათხოვილი ქალები, რომელთაც შვილი არ ჰყავდათ, ხარბად იცქირებოდნენ ზეცის სარკეში და მოწყვეტილ ვარსკვლავს ეძებდნენ. თუ ისინი ამგვარ ვარსკვლავებს იხილავდნენ ცაზე, ეს მათი ორსულობის მაუწყებელი იყო. ამგვარ მეთოდს შუა საუკუნეების ინგლისშიც დიდი წარმატებით იყენებდნენ ქალები.

და რაღა თქმა უნდა,-მთვარეს როგორც შუმერები, ისე სხვა ხალხები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ წინასწარმეტყველების თვალსაზრისით. მთვარე მჭიდროდაა დაკავშირებული სიზმრებთან. ჩვენამდე მოღწეულია რამდენიმე უმარტივესი მეთოდი მთვარის საშუალებით წინასწარმეტყველებისა.

ახალმთვარიანობის დროს, როდესაც მთვარე პირველად გამოჩნდება ცაზე, გამოდით სახლიდან, მთვარეს ვერცხლისფერი ბლაგვი დანა მიუშვირეთ და წარმოთქვით შემდეგი სახის ტექსტი: "ახალო მთვარევ, იყავი ჩემთან გულახდილი. მამცნე ჩემი მომავალი მე". ამის შემდეგ არავის დაელაპარაკოთ, დაიდეთ დანა ბალიშის ქვეშ და დაიძინეთ. დილით გაიხსენეთ თქვენი სიზმარი, მან შესაძლოა ბევრი რამე გამცნოთ, თქვენი მომავლის შესახებ.

დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა დილაობით ცაზე მთვარის მდებარეობას. თუ

დილით ახალ მთვარეს თქვენს ზემოთ ან მარჯვნივ დაინახავთ, ეს თვე თქვენთვის ძალიან კარგი იქნება, ხოლო თუ მთვარე მარცხენა მხარესაა, ან მის დასანახად მობრუნება დაგჭირდათ, ამ თვიდან კარგს არაფერს ელოდეთ.

თქვენს ფინანსურ საქმეებზე შეგიძლიათ შეეკითხოთ მთვარეს სავსემთვარიანობის დროს. როდესაც სავსე მთვარე პირველად გამოჩნდება ცაზე, დაანახეთ მას ვერცხლის ნატეხი და სთხოვეთ, გამცნოთ როგორ წავა თქვენი ფინანსური საქმეები ამ თვეში. შემდეგ არავის დაელაპარაკოთ და ვერცხლი ბალიშის ქვეშ დაიდეთ. მთვარე პასუხს სიზმარში გამცნობთ. ასეთნი იყვნენ ძველი შუმერები.

*ძვ. შუმერი და ნათელხილვა.*

მე-20 საუკუნის 40-იან წლებში, გერმანელი მეცნიერი ოტო გორანო კუნძულ დილმენზე (სპარსეთის ყურე) გათხრებს აწარმოებდა. გათხრების დროს მან იპოვა თიხის პაპირუსები ლურსმული დამწერლობით. ვინაიდან ხელნაწერები დაქარაგმულია, ღრმად ყველა ხელნაწერის გაშიფვრა ვერ მოხერხდა. ერთი რამ ღრმა რწმენით დადგინდა, რომ კუნძული წარმოადგენდა მთვარის ღმერთს ნანრის ტაძარს და იყო ნათელმხილველთა თავშეყრის ადგილი. ამ სკოლის წარმომადგენლებმა იწინასწარმეტყველეს ეგვიპტის დაპყრობა ჰიქსოსების მიერ. ასევე ზუსტად გამოთვალეს ასურეთის ბატონობა იმ მხარეში, რაც 1000 წლის მერე მოხდა. ამ გათხრებში შეხვდნენ ბიოგრაფიული ხასიათის ნაწერებს ქურუმ ენკიზე, რომელიც ღმერთ ერიდუს შვილად ითვლება. ენკი ითვლებოდა ქალაქ ურის მთავარ ქურუმად. მისი წინასწარმეტყველებანი ინახებოდა ქალაქ ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში, რომელიც ხანძარმა შთანთქა. ენკის მონაცემებით ისრაელი წარმოდგენილია წმინდა მიწად, სადაც სასწაულები უნდა მოხდეს. შვედმა აღმოსავლეთმცოდნემ კნუდ ლიხეინენმა ცოტა უფრო გვიან ტექსტებში იპოვა ქურუმთა ნათელხილვის პროგნოზი, რომელიც 400 წლის შემდეგ ახდა-ქალაქ ურში, სადაც დაიბადა პატრიარქი აბრაამი. ქურუმებმა იწინასწარმეტყველეს ბაბილონის აღზევება და დაცემა, ტიგროსის და ევფრატის კალაპოტის გადანაცვლება, რამაც გამოიწვია ადგილობრივი მასშტაბის წარღვნები.

ავანის დინასტიის მეფეთა მმართველობის პერიოდში (ძვ.წ. 2615-2500) უმაღლესმა ქურუმმა აკურგალმა უაღრესი სიზუსტით გამოითვალა ავანის დინასტიის დაცემის და ქიშის დინასტიის დაარსების თარიღები, რისთვისაც იგი სიკვდილით დასაჯეს.

არსებობს მოსაზრება შუმერებში ნათელხილვის გრძნობა მოსულიყო ცოდნის და გონების წრთვნის სახით. ისინი ფლობდნენ ოკულტისტურ-ფსიქოლოგიურ ხერხებს და იმუშავებდნენ მედიტაციის უნარს მომავლის ამოსაცნობად. ფრანგი ნატურალისტის და ბიოლოგის ბერჯეს აზრით, მთვარის ღმერთის ნანარას ტაძრის ქურუმები ფლობდნენ მაგიის ძალასაც და არსებობს მოსაზრება, ეგვიპტელმა ქურუმებმა შავი მაგიის ანბანი შუმერებისგან ისწავლეს.

*ძველი ხუბების ცხრილები*

ძვ.წ. IV-III ათასწლეულში სამხრეთ ერაყის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ მსოფლიო ცივილიზაციის პირველი შემოქმედნი შუმერები, ისტორია მათ ასე ახასიათებს გარეგნულად, მაღალი სემიტები, კარგად ნაკვეთნი, შავგვრემანნი... შუმერთა ქვეყანაში ცხოვრობდნენ აგრეთვე ხუბების ტომები ყვითელკანიანები, წვერს იპარსავენ, ატარებენ ე.წ. შალვარებს (ქალის შალვარის მსგავსი), თაყვანს სცემენ ღმერთ ხანეშუს. იუწყება 1878 წელს ნაპოვნი თიხის ფირფიტა.

ხუბები ცხოვრობდნენ მონასტრული წესით, რომელთა ცენტრები იყო ტაძრები და არასოდეს აწარმოებდნენ ომებს. არ ჰყავდათ მეფეები. ხუბები ქურუმთა დახმარებით გულმოდგინედ ადგენდნენ ჰოროსკოპებს ადამიანთა ბედზე და თქვენ წარმოიდგინეთ მომავალი წლის ხორბლის ფასსაც იგებდნენ. ლაგაშის

და უმის მაღალი საზოგადოება ხშირად აწუხებდა ხუბელების ქვეყანას (გუედინა). თიხის ფირფიტები გვამცნობენ, რომ ლაგაშელი თავადი ურნანშე ეკითხება ხუბ ქურუმს ტახანორუს: მსურს ვილაშქრო მესილიმას სამფლობელოზე, მელის იქ წარმატება? ყოველივე ამაზე ხუბელი ქურუმი პასუხს იღებდა ღვთაების მეოხებით.

გერმანელი მკვლევარი ერიხ ფონ დენიკენი ხუბელებს უცხოპლანეტიდან მოსულად თვლიდა. თავადი ურნანშე კარგი მომავლის წინასწარმეტყველების იმედით ლაშქრობს და იმარჯვებს კიდევაც. ამ გაუთავებელ ბრძოლებში ხუბელები ნელ-ნელა ნადგურდებიან და წამყვან სახელმწიფოს როლს ლაგაში იკავებს.

ხუბების მარჩიელობა ძალზე გავს ტაროს კარტს, სადაც სიმბოლოების სახით ხდებოდა მკითხაობა. ხუბი ქურუმი ანთებდა განსაკუთრებულ სანთელს ქონიან ფინჯანში და ალაგებდა თიხის ცხრილებს საკურთხევლის ქვაზე და შემდეგ უკვე ხდებოდა მომავლის ახსნა სიმბოლოების საშუალებით.

*ჰემინგუების ბედისწერა.*

თვითმკვლელობის ბედისწერა ჰემინგუების გვარის სენს მიეკუთვნება. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ეს ყველაფერი ხდება უცხო ძალის ზემოქმედებით მათ გენეტიკურ კოდზე.

მარგო ჰემინგუელი მწერლის ქალიშვილი რიგით მეოთხე იყო ოთხ თაობაში. მისმა ცნობილმა ბაბუამ 35 წლის წინ დაიხალა ტყვია. ასევე თავი მოიკლეს მამამ, ძმამ და დამ.

თვითმკვლელობის მკვლევარები ასაბუთებენ, რომ არასოდეს გვარში არ არის ასეთი ერთი და ორი შემთხვევა. ეს სურვილი მათ ტვინშია ჩადებული, მაგრამ როდის ამუშავდა არავინ იცის, ამიტომ როცა ეს პიროვნებას ეხება, მას აუცილებლად ნათესაობაში ჰყავს ასეთი წინამორბედები. აშშ ეს ერთგვარი სოციალური პრობლემა ყოველი 8 მკვლელობიდან 1 თვითმკვლელობაა, ეს ქვეყნის მკვლელობათა 1% შეადგენს, რაც ძალზე მაღალი მაჩვენებელია. მედიკოსები ფრთხილად იკვლევენ თვითმკვლელობის მექანიზმებს და ჯერჯერობით მხოლოდ იქამდე მივიდნენ, რომ თვითმკვლელობის ალბათობა 10-ჯერ უფრო მაღალია იმ ხალხებში, რომელთაც მეტაბოლიტების ერთ-ერთი კომპონენტის დაბალი დონე აქვთ. ეს გახლავთ სეროტონინი, რომელიც ადამიანის ორგანიზმში აგრესიულ იმპულსებს აკონტროლებს.

*რობინ ჰუდის საფლავი*-ალბათ მსოფლიოს არც ერთ ყაჩაღს არ იცნობს იმდენი ადამიანი, რამდენიც ამ კეთილშობილ ყაჩაღს, რომელიც ძლიერ წააგავს ქართველების არსენა ოძელაშვილს, ორივეს ცხოვრების კრედო იყო ლოზუნგი, მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს. ინგლისური ბალადების გმირი, დასაფლავებულია ნახევრად დაშლილი ეკლესიის ეზოში, იორკშირის საგრაფოს ტყეში. როგორც ლეგენდა გადმოგვცემს, იგი გარდაიცვალა ელიზავეტა დე სტრაიონტონის ალერსის გარემოცვაში. ამ ქალზე გადმოგვცემენ, რომ იყო ვამპირი და მოკლა ადგილობრივმა მოსახლეობამ. ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხი რობინის საფლავის ნახვის მსურველებს ნებას არ აძლევდა ენახათ მდაბიოთა საყვარელი გმირის საფლავი, ამიტომ ყველანი შუაღამეს მიდიოდნენ, და ისინი ხედებოდნენ ქალის მოჩვენებას, რომელსაც ეცვა თეთრი გრძელი კაბა, შავი ქუდით.

ბოლო დროს ცნობილმა ბრიტანელმა ექსტრასენსმა და ვამპირებზე მონადირე შონ მანჩესტერმა გადაწყვიტა, ამ ადგილზე ექსპედიცია ჩაეტარებინა. მიუხედავად შონის გამოცდილებისა ამ საქმეში, ქალის მოჩვენება მაინც გამოცხადდა. შონის ლოცვები და ხერხები უშედეგო აღმოჩნდა, რათა გამქრალიყო ქალის მოჩვენება, უფრო მეტიც, საშიში მოჩვენება უფრო უახლოვდებოდა. ამის შემდეგ მანჩესტერმა

გამოაღწია გზამდე და პოლიციას მიმართა.

*ჰერმესი (ტრისმეგისტოსი)*

ჰერმეს ტრისმეგისტოს რუსი მისტიკოსი ქალი, ნიუ-იორკში თეოსოფიური საზოგადოების დამაარსებელი ელენე ბლავატსკაი (რადაბაი) ატლანტიდის შორეული ცივილიზაციიდან მოსულ ღვთაებრივ მოციქულად მიიჩნევდა, რომლის მისიაც გადაშენებული ეპოქის წითელი რასის სიბრძნის შენარჩუნებასა და შემდგომი, თეთრი რასის ხალხთა დამოძღვრებაში მდგომარეობდა.

ატლანტიდის ცივილიზაციას პლატონი იხსენიებს თავის "ფედრაში", რომლის ცნობით ეგვიპტელებს ჩვენს წელთაღრიცხვამდე ცხრა ათასზე მეტი ხნის წინათ გამოეცათ უცნობი მატერიკის მკვიდრთა სიბრძნე, არსებობს სხვა ვერსიაც, რომელიც სამ ჰერმესის არსებობის შესახებ. ამ ვერსიის თანახმად პირველია თოტჰერმესი, ანუ აგატოდაიმონდი მკვდარი წითელი რასის უკანასკნელი წარმომადგენელია და სწორედ ის წარმოადგენს სიბრძნისა და საიდუმლო ცოდნის ღმერთ თოტის ჭეშმარიტ სახეს. აგატოდაიმონდი თავიდან ერთი ჩვეულებრივი მოკვდავი ყოფილა, მაგრამ შემდეგ მოხდა მისი ღვთაებრივი ხელდასმა და მიეცა მოძღვრის ნიჭი. ამის შემდეგ ხდება ქადაგება ეგვიპტეში. ჰერმეს აგატოდაიმონდის მოძღვრება წმინდა ენაზე იყო დაწერილი. მეორე ჰერმესმა (ტრისმეგისტოსმა), რომლის სახელითაც იხსენიებდა დღეს ძველი ეგვიპტური ფილოსოფიის გავრცელება, უკვე ძველ ეგვიპტურ ენაზე განავრცო თავისი სიბრძნე. ბერძნულად კი ეს ფილოსოფია ტრისმეგისტოსის შვილის ტატის მემკვიდრეობიდან ითარგმნა. ჰერმეტიზმის მსგავსად მაზდეანიზმიც რამდენიმე შვიდ ზარატუსტრას აღიარებს, რომელთაგან მხოლოდ ერთი ითვლება ჩვენამდე მოღწეული მოძღვრების ავტორად. ამასთან დაკავშირებით გაჩნდა ასეთი ვერსია, რომ სამი ჰერმესი და შვიდი ზარატუსტრა ისტორიულ პერიოდებს აღნიშნავს და სახელი ჰერმესი ან ზარატუსტრა იყო ქურუმთა წოდება, რომლებიც ამ სახელით ავრცელებდნენ რელიგიურ, ალქიმიურ და ასტროლოგიურ ტრაქტატებს. ქურუმთა ასეთი კონსპირაცია ეზოთერული სწავლების პრინციპიდან გამომდინარეობდა. ასეთი მნიშვნელობის შემცველია სიტყვა ფარისევლის ეტიმოლოგია, რომლის მიხედვით ებრაელმა სწავლულებმა სწორედ სპარსელი მაგებისგან ისწავლეს ეზოტერიზმი და ამიტომაც უწოდეს ფარისევლები.

ჰერმესის მოძღვრების ეზოთერულმა ხასიათმა სათავე დაუდო მთელ რიგ ოკულტისტურ- ფილოსოფიურ და რელიგიურ სისტემებს. მაგ. კაბალას მეორე ნაწილში, ზოჰარში მრავალი ადგილი პირდაპირ კავშირში თოტის წმინდა წიგნთან. საერთოდ უნდა ითქვას, რომ კაბალისტური წიგნის ზოჰარის თავის მიხედვით შესაძლებელია აიხსნას ბევრი სამყაროს წარმოშობის საკითხი. დიონისე არეოპაგელი, პლატონი, ნეოპლატონიკოსები, დერვიშები თავიანთ მოძღვრებებში თოტის ეზოტერიზმს ეყრდნობიან.

მითის თანახმად ჰერმესმა თავის მოძღვრება გადასცა საექიმო ხელოვნების ბერძნულ ღმერთს ასკლეპიოსს და თავის შვილ ტატს, ხოლო მისი "ზურმუხტის ტაბულა", ალქიმიკოსთა ძირითადი პრაქტიკული სახელმძღვანელო გახდა ფილოსოფიური ქვის, სიცოცხლის ელექსირის, ალქიმიური ხელდასხმის მისაღები.

ჰერმეს ტრისმეგისტოსის სრული თხზულებები უკვლოდაა დაკარგული. ეგვიპტელი იეროფანტები დიდი ხნის მანძილზე საიდუმლოდ ინახავდნენ ჰერმესის (თოტის) 42 უძვირფასეს წიგნს, მაგრამ დღეს მათი სახელებიც კი არ არის შემორჩენილი.

ჰერმესის ფრაგმენტების ყველაზე სრული გამოცემა გასული საუკუნის ფრანგ მკვლევარს ლუი მენარს ეკუთვნის. კაცობრიობამ უფრო ზეპირად შემოინახა ეგვიპტური პანთეონის ღმერთ თოტთან გაიგივებული დიადი ხელდასხმულის

ჰერმესის სწავლება. მიუთითებენ აგრეთვე ჰერმეს ტრისმეგისტოსის 14 სრულად შემონახულ ტრაქტატს. მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ოკულტიზმის სათავეები ჰერმესს ტრისმეგისტოსის მოძღვრებაში უნდა ვეძიოთ, რომლის სიბრძნე ღვთაებრივი ჰიმნებიდან და ხელოვნებიდან მოყოლებული, ფიზიოლოგიამდე და მედიცინამდე ყველა ადამიანურ პრობლემათა ჯაჭვს მოიცავს.

*სიზმარში დათქმული შეხვედრის ცხადში ახდენა.*

ახალგაზრდა ქალმა სიზმარი ნახა, სადაც მისი 20 წლის გარდაცვლილი ქალიშვილი შეხვედრის ადგილს უნიშნავდა, ერთ-ერთ კინო-თეატრთან; დღის 1-ელ საათზე. გამოიღვიძა, იქვე მაგიდაზე შვილის სურათს დახედა, იცრემლა, იქვითინა და ამ ფიქრებში კვლავ ჩაეძინა. მეორე დღეს იყიდა ყვავილები და წავიდა შვილთან სიმბოლურ შეხვედრაზე. გზაში ყველაფერი ეს ტაქსის შოფერს უამბო. კინო-თეატრს რომ მიუახლოვდა, მანქანების საცობი იყო, ტაქსით აუცილებლად დააგვიანებდა, მძღოლმა შემოვლითი გზა შესთავაზა, მაგრამ ესეც უკუაგდო, რადგან არც ეს მოესწრებოდა, პირველს უკვე ორი თუ სამი წუთი უკლდა. იგი ჩამოვიდა მანქანიდან და გაითვალა, რომ ორ წუთში ზუსტად დანიშნულ ადგილას იქნებოდა. მძღოლი შეჩერდა და ძალზე ნელი სვლით მიიწევდა მანქანების საცობში. ქალმა გადაჭრა ყველა გადასასვლელი, უკვე მივიდა კინო-თეატრთან და როცა უკვე ტროტუარზე ფეხი უნდა აედგა, ამ დროს გაისმა მანქანის მუხრუჭების ხმა, და მანქანა დაეჯახა. ქალი იქვე ყვავილებით ხელში დაეცა და გარდაიცვალა. ტაქსის მძღოლმა დახედა საათს და ნახა, რომ საათის ისრები ზუსტ 1-ელ საათს უჩვენებდა.

*ერთი უცნაური წინასწარმეტყველების ახდენა.*

25 წლის ვიყავი ახალგაზრდა ლამაზმა ქალმა სიზმარი ნახა-"ერთი დიდი თვალი", რომელმაც ასეთი რაღაც უთხრა: "ცოლად გაჰყვები სეროჟს, იცხოვრებ 4 წელი და 4 თვე". უამრავი თაყვანისმცემელი ეხვია, მაგრამ მათ შორის არავინ მოწონდა, 30 წლის ასაკში კი გაჰყვა გვარად ანდრეევს. გავიდა 4 თვე, 4 წელი და თქვენ წარმოიდგინეთ 40 წელიც.

მეგობრებთან ერთ-ერთი თავყრილობის დროს გავიხსენეთ წარსული და ჩვენი სკოლისდროინდელი ზედმეტი სახელებიც. ჩემმა ქმარმა სთქვა, რომ სკოლაში სერის მეძახდნენ, იმიტომ, რომ სერგეი მქვიაო. 40 წლის შემდეგ პირველად მივხვდი, რომ ჩემი სიზმარი ძალაში იყო შესული. ერთი თვის მერე ჩემს ქმარს თვალებში სიყვითლე გაუჩნდა, დაუსვეს დიაგნოზი სიმსივნე... სამი თვის შემდეგ გარდაიცვალა...

ამ პატარა ამბავის გადმოცემით ის გვინდა ვთქვათ, რომ სიზმარში არის ქარაგმებიც, რომელსაც ამოხსნა უნდა.

*ედგარ კეისი-მძინარე ნათელმხილველი*

წინასწარმეტყველი ედგარ კეისი მე-20 საუკუნის ნათელმხილველთა გალერეის, ერთ-ერთი ვარსკვლავია. იგი დაიბადა 1877 წელს შტატ კენტუკში აშშ. და გარდაიცვალა 1945 წელს.

წინასწარმეტყველების ნიჭი აღმოაჩნდა 21 წლის ასაკში, იგი წვებოდა ტახტზე, ხელებს გულზე იწყობდა, თვალებს ხუჭავდა და იწყებდა ღრმა სუნთქვას. ამ დროს იკრებდა იგი ნათელმხილველის ძალას, რისთვისაც მას შეარქვეს მძინარე ნათელმხილველი. მას შეეძლო როგორც პიროვნების, ასევე პლანეტის მომავალი ეწინასწარმეტყველა. ნათელხილვის ტრანსის დროს იგი იწვა გარინდებული და აძლევდა რჩევებს გაჭირვებულ ხალხს, მას შეეძლო მიეთითებინა ნავთობის და სხვა წიაღისეულის საბადოებისათვის, იყო ღრმად მორწმუნე და მუშაობდა სოფლის მასწავლებლად. შემორჩენილია მისი 14256 ჩანაწერი. რომელთა დიდი უმრავლესობა გაშიფრული არ არის. მისი ხილვით გარდაცვლილი

ცივილიზაცია ატლანტიდა (კონტინენტი) არსებობდა მექსიკასა და ხმელთაშუა ზღვას შორის 15000 და 10000 წლების წინ. მისი ოკეანეში ჩაძირვის მიზეზი იყო კატასტროფები, ატლანტიდაში მოიპოვებოდა უძვირფასესი კრისტალები, ცნცხლოვანი ქვები. კეისის მიხედვით ამ ქვების დაუდევარმა მოპყრობამ გამოიწვია ატლანტიდის დაშლა და ჩაძირვა. ატლანტიდის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა, რომლებმაც შეიტყვეს მოსალოდნელი უბედურება, დატოვეს კონტინენტი და გადასახლდნენ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში პირინეიზე, მაროკოში, ამერიკის სხვა რაიონებში, განსაკუთრებით გოლფსტრიმის მახლობლად. კეისის თანახმად ატლანტიდის არსებობაზე მასალები მოიძებნება ბაჰამის კუნძულებზე და ეგვიპტეში. 1968 წელს მეთევზეებმა ზაფხულში წყლის ქვეშ აღმოაჩინეს სიმეტრიულად ნაგები უცნაური შენობა. კეისმა იწინასწარმეტყველა მე-20 საუკუნის მე-2 ნახევარში, დიდი ბრიტანეთს ეყოლება ქალი პრემიერ-მინისტრი, მეორე მსოფლიო ომის დასასრული. მისი ცხოვრების პრინციპი იყო, "იცოცხლო სხვისთვის და არა შენთვის". კეისის თანახმად, მე-20 საუკუნის ბოლოს პირამიდების საშუალებით უნდა გაიხსნას მსოფლიოს უდიდესი საიდუმლო. ეს ძალიან მალე უნდა მოხდეს.

*ჯინ დიქსონი*

მე-20 საუკუნის ამერიკაში ჯინ დიქსონი, ედგარ კეისთან ერთად იყო ერთ-ერთი ცნობილი ნათელმხილველი. მას აქვს თავის ნათელხილვასთან დაკავშირებით ერთი მეტად მოსწრებული აზრი გამოთქმული: "როცა მეუბნებიან, რომ ავხსნა ჩემი ნიჭი, ან ის, როგორ ვხედავ მომავალს, მაშინ მე მეცინება, რადგან ამის ახსნა ისევე შეუძლებელია, როგორც სიყვარულის".

1944 წელს იგი ფრანკლინ რუზველტმა თეთრ სახლში მიიწვია და ჰკითხა: "რამდენი დრო დამრჩა იმისათვის, რომ ჩემი სამსახურის საქმეები ბოლომდე მივიყვანო?" პასუხს არ დაუყოვნებია, "ექვსი თვე, თუ უფრო ცოტა არა". ეს სამწუხარო წინასწარმეტყველება ასრულდა 1945 წლის 12 აპრილს.

1944 წელს ჯინ დიქსონმა უთხრა უინსტონ ჩერჩილს, რომ მომავალ არჩევნებზე მისი კონსერვატების პარტია დამარცხდება და იგი პრემიერ-მინისტრი აღარ იქნება. მაგრამ გაივლის წლები და კვლავ ხელისუფლების სათავეში გიხილავთ". ჩერჩილმა ასეთ პასუხს, ასე უპასუხა-"ინგლისი აღარასოდეს გამყიდის მე. მიუხედავად ამის ჩერჩილი ინგლისმა "გაყიდა".

დიქსონმა იწინასწარმეტყველა ჩინეთში კომუნისტური პარტიის მოსვლა. 1946 წელს მან დაასახელა წელი, თვე და დღე, როდესაც ინდოეთი მიიღებდა დამოუკიდებლობას — 1947 წლის 20 თებერვალი. მან დაინახა ნათელხილვაში მაჰატმა განდის და მარტინ ლუთერ კინგის სიკვდილი, იწინასწარმეტყველა მერლინ მონროს ნაადრევი სიკვდილი, როცა ის დიდების ზენიტში იყო. 1953 წლის 14 მაისს ჯინ დიქსონმა ტელევიზიაში გამოსვლისას თქვა: "კოსმოსში გაგზავნილი გემი მოივლის მთელ ქვეყანას და რუსეთში დაბრუნდება". 1957 წელს საბჭოთა კავშირმა ორბიტაზე გაუშვა პირველი თანამგზავრი. 1952 წელს მან გააკეთა მისი შემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი განცხადება, რომ ახალგაზრდა ჯონ კენედი გახდებოდა ამერიკის პრეზიდენტი, რომელსაც საპრეზიდენტო ვადის დამთავრებამდე მოკლავდნენ. კენედის მკვლელობის საბედისწერო დღეს იგი ადგილიდან ადგილს აწყდებოდა, ცდილობდა, რომ ნათესავები მაინც ჩაეყენებინა საქმის კურსში, მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა. 1963 წლის 22 ნოემბერს ტეხასის შტატის ქალაქ დალასში მოხდა მე-20 საუკუნის ყველაზე გახმაურებული ტერორისტული აქტი, მოკლეს ჯონ კენედი.

*წინასწარმეტყველება ჟან ფრანსუა შამპოლიონის ნიჭზე*

ერთხელ სახელგანთქმულ ფრენოლოგს პარიზის ერთ საზოგადოებაში წარუდგინეს სრულიად ახალგაზრდა სტუდენტი. დახედა თუ არა სტუდენტის თავის ფორმას,

მან შესძახა: "აი გენიალური ლინგვისტი!" მართლაც თექვსმეტი წლის სტუდენტმა ბერძნულისა და ლათინურის გარდა იცოდა 10-მდე სხვა ენა, მათ შორის მკვდარი ენებიც.

ჟან ფრანსუა შამპოლიონი ჯერ ჩასახულიც კი არ იყო, როცა მისი ბედისწერა ფარაონისდროინდელ ეგვიპტეს დაუკავშირდა. მას უნდა ეპოვნა იეროგლიფების ამოსახსნელი გასაღები, და განა მარტო იეროგლიფებისა? არა, ამ გასაღებს უნდა გაეხსნა ძველი ეგვიპტის ყველა საიდუმლო.

1790 წელს სამხრეთ-აღმოსავლეთ საფრანგეთში, "შვიდი საოცრების პროვინცია" დოფინეში, პატარა დაბა ფიჟაკის მცხოვრებმა წიგნით მოვაჭრე ჟაკ შამპოლიონმა თავის მთლად დადამბლავებულ ცოლთან მიიყვანა ადგილობრივი მისანი ჟაკუ, რადგან ექიმებს ვერაფერი ეშველათ ავადმყოფისათვის. მისანმა ავადმყოფი გამთბარ ბალახზე დააწვინა და ცხელი ღვინო დაალევინა. შემდეგ გამოაცხადა (ყოველივე ამას რამდენიმე მოწმე ადასტურებს), რომ ავადმყოფი მალე უნდა გამოჯანმრთელებულიყო და უწინასწარმეტყველა მას ბიჭის დაბადება, რომელსაც მომავალში უდიდესი სახელი უნდა მოეხვეჭა. ოჯახი ყველაზე მეტად წინასწარმეტყველებამ აღელვა. მესამე დღეს ავადმყოფი წამოდგა, ხოლო იმავე წლის ბოლოს, 1790 წლის 23 დეკემბერს მას შეეძინა ჟაკ-ჟან ფრანსუა შამპოლიონი, რომელმაც შემდგომში შეძლო ამოეხსნა ეგვიპტური იეროგლიფები, ასე ასრულდა ორივე წინასწარმეტყველება. ყველაზე საოცარი კი ის იყო, რომ როდესაც ექიმი პატარა ფრანსუას სინჯავდა, მან გაოცებით შენიშნა, რომ ბავშვს თვალებში ყვითელი რქოვანა ჰქონდა, რაც დამახასიათებელია აღმოსავლეთის მცხოვრებლებისათვის და მეტად იშვიათია ევროპელებში. ამასთან ერთად, ბავშვს არაჩვეულებრივად მუქი, თითქმის ყავისფერი კანი და სახის აღმოსავლური იერი დაჰყვა, ოცი წლის შემდეგ მას ყველა ეგვიპტელს ეძახდა.

1828 წლის ივნისიდან 1829 წლის დეკემბრამდე შამპოლიონი ექსპედიციაში წავიდა ეგვიპტეში. იგი აღმოჩენას აღმოჩენაზე აკეთებდა, მემფისში მან ერთი შეხედვით განსაზღვრა ეპოქა და დააჯგუფა ქვის სამტეხლოების კარიერები; მით-რაჰინში აღმოაჩინა ორი ტაძარი და მკვდარი ქალაქი, ტელ-ამარნაში გაარკვია, რომ უზარმაზარი შენობა, რომელიც მანამდე მარცვლეულის საცავად მიაჩნდათ, სინამდვილეში ამ ქალაქის დიდი ტაძარი იყო. მისი აღმოჩენები და მიგნებები არ იყო მხოლოდ მეცნიერული აზროვნებიდან მოსული, მასში იყო რაღაც მისტიკური და წინასწარმეტყველური.

იეროგლიფების ამოხსნა კაცობრიობის სამიათასწლიანი ოცნებაა, მაგრამ ბედისწერამ მისი გაშიფვრის რეცეპტი მხოლოდ შამპოლიონს გაუგზავნა, იგი ასევე პირწავარდნილი ეგვიპტელი იყო გარეგნული თუ ფიზიოლოგიური შემადგენლობით, შემდეგ უეცრად დაიფიტა, თუმცა კი მას კაცობრიობის არსებობის ისტორიაში სწორუპოვარი ნიჭი ჰქონდა, თუმცა ხუთი წლის მოცარტი სიმფონიებს წერდა, მაგრამ ეს გრძნობა ინტუიცია იყო და ამ ასაკის გონებისთვის დასაშვებია, მაგრამ 10 წლის ასაკში სწავლობდე და აღადგენდე მკვდარ ენებს-ეს ყველა ფანტაზიისთვის ჩემი აზრით მიუწვდომელია. შემდეგ როგორც ვთქვით, უეცრად დაიფიტა, თითქოს ღმერთმა და ბედისწერამ თავისი მიწიერი არია შეასრულებინა ენათმეცნიერებაში და გაურკვეველი ავადმყოფობით მიიცვალა 42 წლის ასაკში.

*ჰერბერტ უელსი*

მომავლის ისტორიკოსი-ასე ეძახდა მას მისი თანამედროვე ჟოზეფ კონრადი. უელსმა იწინასწარმეტყველა ატომური ენერგიის უბორბლებო ტრანსპორტის, ზეცის ათვისება და დღევანდელი ცივილიზაციის სხვა მიღწევები.

სიცოცხლის ბოლო 13 წელი უელსმა გაატარა მაქსიმ გორკის ყოფილ ცოლთან. ამ ქალბატონმა 5 ენა იცოდა, თუმცა ბევრს სვამდა და მოსკოვში

იცნობდნენ როგორც საიდუმლო აგენტს და ჯაშუშს.

უელსი ორჯერ იყო ნამყოფი რუსეთში, შეხვდა ლენინს. 14 წლის შემდეგ სტალინს.

1946 წლის 13 აგვისტოს იგი გარდაიცვალა. მისი ფერფლი ლა-მანშის თავზე მიმოფანტეს.

*ნატო ვაჩნაძე – (3.IV-1904–14.VI-1953)* დიდი ქართველი კინომსახიობი გარდაცვალების ავბედით დღეს გამოჩენილ მსახიობს ბილეთი დაუთმო უცნობმა სამხედრო პირმა. ნატო ვაჩნაძეს ძალიან სურდა, რომ ამ დღეს, რომელიც მისი დაბადების დღე იყო, ყოფილიყო თავის შვილებთან თბილისში. როგორც ცნობილია, თვითმფრინავმა სოფელ ცაიშთან კატასტროფა განიცადა. ბილეთის ასეთი შეძენა მეტყველებს იმაზე, რომ მას ადრე გადაწყვეტილი არ ჰქონდა ყოფილიყო ამ დღეს თბილისში, თორემ მას ბილეთის შოვნა არ გაუჭირდებოდა ერთი დღით ადრე, სავარაუდოა, რომ ეს სურვილი მას გაუჩნდა რამდენიმე საათით ადრე, რაც მისი მხრიდან არის მისტიკური სწრაფვა სიკვდილისაკენ.

მათემატიკოსის და ფსიქიკური ფენომენების მკვლევარის ვ. კოქსის მიერ ჩატარებული სტატისტიკური კვლევები გვიჩვენებენ, რომ ამა თუ იმ სხვადასხვა სახის ტრანსპორტში კატასტროფების დღეს მგზავრთა რაოდენობა პიკს უახლოვდება, როცა წინა დღეებში, იგივე რეისები მგზავრებით არ იყო გადატვირთული, ყოველივე ეს მეტყველებს იმაზე, რომ სიკვდილის სამეფოში ადამიანებს რაღაც ძალა ეძახის.

*რობერტ ვუდი*

ამერიკელი ფიზიკოსი რობერტ ვუდი ტყისკენ აპირებდა გასეირნებას, ამ დროს მას ქალიშვილმა დაუძახა, იგი შეჩერდა მასთან სალაპარაკოდ ათი წამით, ის იყო ნაბიჯი გადადგა, რომ ათიოდე მეტრში იმ გზაზე, სადაც მას უნდა გაევლო მეხი ჩამოვარდა, რომ არა გაჩერება, იგი აუცილებლად მეხის მსხვერპლი გახდებოდა.

*გალაქტიონის მამამ* გარდაცვალების ღამეს გაიგო, რომ მისი მეუღლე ფეხმძიმე იყო მომავალ გენიოსზე. ფეხმძიმე ქალმა მწუხარე აუწყა ყოველივე ეს მას, რადგან ორი შვილის ამარა რჩებოდა მეუღლის გარეშე. ქმარმა დაამშვიდა და უთხრა, რომ მისი ძმა იუსტინე (ტიციანის მამა) კეთილი კაცია და მიეხმარებოდა.

გალაქტიონის მამამ გარდაცვალებამდე რამდენიმე წუთით ადრე ჭიქა ღვინო მოითხოვა და ასე დალოცა მომავალი გენიოსი ,,რამდენიმე თვის მერე პაწია, რომ დაიბადება ისეთი კაცი გამოსულ იყოს, რომ თავის ქვეყნისთვის დიდად გაეთქვას სახელი''

ვერ გეტყვით ეს უფრო სურვილი იყო თუ წინათგრძნობა მაგრამ ფაქტია, რომ ნათქვამი გამართლდა გადაჭარბებით. ნების მიერ ქვეყანას გაუჭირდება, რომ ასწლეულის განმავლობაში შვას ერთი ასეთი გენიოსი

*გურამ რჩეულიშვილი*-ყველა სიკვდილი უცნაურია თავის შინაარსით და ფორმით, მაგრამ გურამის სიკვდილი რაღაც განსაკუთრებულობით გამოირჩევა. ჯერ იყო და თავის დედას აფრთხილებდა წერილში, რომ ზღვა საშიშია არ ჩამოხვიდე, დაიხრჩები და ა.შ. თვითონ სიკვდილის სცენა ასე წარიმართა. ზღვა განსაკუთრებით ღელავდა გაისმა პანიკა, რომ იხრჩობა რუსი გოგონა. გურამი შევიდა და სხვებთან ერთად შესძლო მისი გამოყვანა ნაპირზე. ამის შემდეგ იჯდა ბეტონის კიბეზე და ისვენებდა, უეცრად უზარმაზარი ტალღა დაასხრა თავს და კვლავ ზღვაში შეათრია, ამ დროს მოვიდა ვერტმფრენი, რომელმაც ზღვაში მყოფთათვის თოკის კიბეზე ჩაუშვა, გურამმა აუშვა ოთხი ადამიანი და ყველაზე

ბოლოს თვითონ მოეკიდა კიბეს, ამ დროს თოკი გაწყდა და იგი კვლავ ზღვაში აღმოჩნდა. ვერტმფრენი ზღვას უფრო მოკლე მანძილზე ველარ მიუახლოვდა, რადგან თოკის კიბე დაპატარავდა, და ზღვამ კიდევ უფრო მოუმატა ღელვას. ასე შერჩნენ ერთმანეთს სასიკვდილოდ აჭოჩრილი და ყალყზე შემდგარი ზღვა და გურამი. ყველა შეურიგდა მის სიკვდილს, რადგან გურამის მშველელი აღარავინ აღარ იყო. იგი იპოვეს ორი დღის მერე განთიადთან, კატასტროფა კი გაგრაში მოხდა. მისთვის ზღვას მხარი მოეტეხა და ისე დაემორჩილებინა. გურამის სიკვდილში არის რაღაც წინათგრძნობის და გარდუვალობის ელემენტები.

*ილია ჭავჭავაძე*-ილიას გარდაცვალების წინა დღეს მეუღლე ოლღა და ნათესავებიც ურჩევდნენ არ წასულიყო საგურამოში, მაგრამ იგი ჯიუტად იჟინებდა იქ გამგზავრებას. ილიას ეტლი როდესაც დღევანდელ გმირთა მოედანს მიუახლოვდა მეუღლე ოლღას ქარმა წაჰგლიჯა თავსაფარი, ქარის ამოვარდნა მოხდა ძალზე სწრაფად, რადგან იყო ძალზე ცხელი დღე (30 აგვისტო) ზედაზენთან წყაროსთან გაჩერდნენ, წყურვილი მოიკლეს ყველა გაემზადა გასამგზავრებლად, მხოლოდ ილია აყოვნებდა და როგორც იქნა ჩაჯდა ეტლში. მკვლელობის ადგილს, რომ მიუახლოვდნენ, ჯალათები უკვე შარაგზაზე იდგნენ, მათ ნიშანი უკვე მიღებული ჰქონდათ, რომ მოდიოდა ილია და უნდა შემზადებულიყვნენ მის მოსაკლავად, ილიას ეგონა, რომ ესენი ჩვეულებრივი შარაგზის ყაჩაღები იყვნენ და შეეცადა აეხსნა, რომ ის ილია იყო, მაგრამ სწორედ ამ დროს იქუხა მკვლელების თოფებმა და ილია და მისი მამულის გამგებელი იაკობ ბითარიშვილი უსულოდ დაიცნენ. ილიამ არ იცოდა, რომ კლავდნენ იმიტომ, რომ ის ილია იყო.

მწერალ აკ. ბაქრაძეს ილიაზე მოთხრობილი აქვს ასეთი ამბავი: ერთხელ ილია და მისი მეგობარი ილია წინამძღვრიშვილი სანადიროდ ყოფილან წასული. ილია ჭავჭავაძე თავის ნომერში მდგარა და უცდიდა მიზნის ობიექტს, ამ დროს ძალიან მარჯვე ადგილას ილიას სამიზნედ გამოსულა თეთრი ირემი, ყველას ეგონა, რომ იგი ილიას ლუკმა გახდებოდა, მაგრამ მას არ უსვრია. როდესაც შეეკითხნენ რატომ არ ესროლეთო, ილიას მიუგია: "რა ვქნა, ისეთი თვალებით მიყურებდა, ვერ გავიმეტეო". ილიას სიკვდილის შემდეგ თეთრი ირემი დაუჭრია საგურამოელ გლეხს, რომელსაც ღამე ზედაზნის მონასტერში გაუთენებია. ღამით სიზმარი უნახავს, ილია დასიზმრებია და უთქვამს, ეს რა ჰქენი, რატომ დასჭერი ირემიო. შეშინებულს გაღვიძებია, მონასტრისთვის ერთი მანეთი შეუწირავს, სანთელი დაუნთია და შუაღამისას წასულა თეთრი ირემის მოსაძებნად. არცთუ დიდი ძებნის შემდეგ მიუგნიათ, რომ დაჭრილ თეთრ ირემს უვლია და ბოლოს მისულა იმ ნიშანთან, სადაც ილიას მკვლელობის ადგილას ჯვარი იყო დასმული და გარშემო ქვა-ღორღის გროვით იყო გამაგრებული და სწორედ ამ ქვა-ღორღში ჩაურგია რქები და სული ისე დაულევია. მწერალი აკ. ბაქრაძე ასეთ კითხვას სვამს: ნუთუ ეს ილიას პარციალური სული იყო? პარციალური სულის თანახმად ადამიანები და ცხოველები ატარებენ ერთი და იგივე სულს.

*იოსებ ჟორდანია*–ქართველი ექიმი სამეცნიერო კონფერენციიდან სამშობლოში მოფრინავდა, ატლანტიკის ოკეანეზე გადაფრენისას, გამოცხადდა, რომ თვითმფრინავი იღუპება და იოსებ ჟორდანიას მაშველი რგოლი გადასცეს, მან კი მაშველი რგოლი მის გვერდით მჯდომ თოთხმეტი წლის გოგონას გადასცა, ეს ფაქტი ერთ-ერთი შთამბეჭდავია ქართველი ერის მე-20 საუკუნის ისტორიაში

## ბედისწერის ადგილი ფილოსოფიურ მოძღვრებაში

1) სტოიკოსები: ძენონი, კლეანთე, ქრისიპე...
2) მოკლე ლექსიკონი ბედისწერის შესახებ.

*ბედისწერის ადგილი ფილოსოფიურ მოძღვრებებში*

ფილოსოფიაში ბედისწერის წარმოშობის მიზეზად განიხილავენ შიშის და განსაკუთრებით სიკვდილის შიშის განცდას, რომელმაც განაპირობა ბედისწერის რწმენის წარმოშობა. პირველყოფილ საზოგადოებაში ადამიანი ბევრად იყო დამოკიდებული ბუნებრივ და სოციალურ ძალებზე. მას არ შეეძლო მათზე ბატონობა, პირიქით, ისინი ანუ ავი ბედისწერა (სტიქიური უბედურებები და სხვა) იმორჩილებდნენ და ანადგურებდნენ ადამიანებს. აგრეთვე ადამიანთა ერთი ტომის მიერ სხვა ტომის განადგურება ადამიანში ბადებდა შიშსა და ძრწოლას. ამიტომ ადამიანი იძულებული იქნა ელოცა ბედისწერაზე და მას ზიანი არ მიეყენებინა მისთვის. ადამიანი ხედავდა სამყაროში მკაცრ წესრიგს: მზის ამოსვლა-ჩასვლას, დღე-ღამის მონაცვლეობას, წელიწადის დროთა ცვლილებას, სიცოცხლის სიკვდილით დასრულების გარდაუვალობას, რაც აიძულებდა ადამიანს, რომ ეფიქრა იმაზე, რომ ყოველივე კარგი და ცუდი შემთხვევები, ღმერთების მიერ წინასწარ იყო განპირობებული.

ბედისწერის რწმენის გავლენის სფერო საზოგადოებაში ისტორიულად იცვლებოდა: ანტიკურ ხანაში მას გაბატონებული მდგომარეობა ჰქონდა, რადგან იგი წარმოადგენდა ამ ეპოქის ადამიანის მსოფლმხედველობის საფუძველს; შუა საუკუნეებში გაბატონდა ღმერთის რწმენა, ამიტომ ბედისწერის რწმენა მას დაექვემდებარა. ახალ დროში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების კვალობაზე თანდათან შესუსტდა ზებუნებრივი ძალების და მათ შორის ბედისწერის რწმენა; დღეს მეცნიერულ ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში ბედისწერის რწმენა არა თუ განაგრძობს არსებობას, არამედ ერთგვარად გამოცოცხლდა და გარკვეული ქღერადობაც მოიპოვა.

ბედისწერის მცნება ადამიანისთვის ყოველთვის წარმოადგენდა დაფარულ და მისტიკით მოცულ შეუცნობლობას. ამისათვის ადამიანი ყოველთვის მიმართავდა წინასწარმეტყველს, მკითხავს, სიზმრებს და სხვადასხვა საგნებზე და ფრინველთა ფრენაზე დაკვირვებას, სადაც წინასწარ შეცნობილი ხერხებით ადგენდა ადამიანისთვის წარმატებული არსებობის და ავი მოსალოდნელი შემთხვევის შეცნობის, განსაკუთრებით იძალა ასეთმა დაკვირვებამ ბედისწერაზე ძველი საბერძნეთის და რომის ცხოვრებაში.

ბედისწერის საკითხზე აზროვნებისას მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მისი პორტულატებია:

1) ზებუნებრივი ძალების არსებობა.
2) სამყაროს სტრუქტურის წინასწარი განსაზღვრულობა.
3) გარდაუვალობა, რომელმაც არ იცის არავითარი გამონაკლისი.

ამასთანავე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბედისწერის რწმენის დამკვიდრება უარყოფს ადამიანის თავისუფლებას და იგი ბუნებრივად ემორჩილება მოსალოდნელ წარუმატებლობას. აი ძირითადად ამ სქემაზე იშლება ბედისწერის რწმენის არსებობა-არარსებობის აზროვნების სივრცე.

ძველი ბერძნული მითოლოგიის თანახმად, არსებობს ბედისწერის ქალღმერთები: მოირები, კლოთი, ლაქესისი და ატროპოსი.

კლოთი მრთველია, რომელიც ართავს სიცოცხლის ძაფს და ამით განსაზღვრავს ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობის, ლაქსის არც კი უყურებს, ისე ამოიღებს ამ წილს რომელიც ადამიანს უნდა შეხვდეს-იგი წილისმყრელია და განსაზღვრავს ადამიანის ხვედრს. ატროპოსი მაკრატლით გადაჭრის სიცოცხლის ძაფს და ამით ამთავრებს ადამიანის სიცოცხლეს.

გარდა ამ სამი მოირისა, რომლებიც ბედისწერას განაგებენ, არის ქალღმერთი ანანკე. იგი განასახიერებს გარდაუვალობას.

ბერძნული საზოგადოების განვითარების ელინისტურ ხანაში, მოირების

ნაცვლად გვხვდება ქალღმერთი ტიხე (სიტყვა ტიხე ბერძნულია და ნიშნავს მოხვედრებას) იგი არის შემთხვევისა და იღბლის ქალღმერთი. მისი იგივებრივია რომაული ქალღმერთი ფორტუნა, რაც ნიშნავს ბედნიერ შემთხვევას. ტიხეც და ფორტუნაც გააზრებულია, რომ ადამიანს ხვდება არა ყველთვის, არამედ როცა უქირს, მშველელად.

ბერძნული მითოლოგიის თანახმად, ოლიმპოს ღმერთები უფრო მაღლა დგანან, ვიდრე ბედისწერის ქალღმერთები. ამის მაგალითია ათენა-პალადის დაბადება. მოირებმა ზევსს გაანდეს, რომ გონიერების ქალღმერთს თეტიდას შეეძინებოდა ორი შვილი: ასული ათენა და დიდი ძალისა და სიბრძნის ვაჟიშვილი, რომელიც ბოლოს მოუღებდა მის მეუფებას და ძალაუფლებას წაართმევდა. ზევსმა, თავიდან რომ აეცილებინა ბედისწერის გარდაუვალი განაჩენი, ქალღმერთი მოფერებით ჩააძინა და გადაყლაპა ისე, რომ თეტიდამ ვერ მოასწრო შვილების დაბადება. რამდენიმე ხნის შემდეგ ზევსმა იგრძნო საშინელი თავის ტკივილი. მან მოიხმო თავის შვილი ჰეფესტო და უბრძანა, მისთვის თავი ორად გაეპო, რათა გაეთავისუფლებინა იგი ამ ტკივილისაგან. ჰეფესტომ ნაჯახის ძლიერი დაკვრით ზევსს თავი ორად გაუპო, საიდანაც ამოფრინდა ქალღმერთი ათენა-პალადი სრული საბრძოლო აღჭურვილობით.

ასე აიცდინა ზევსმა ბედისწერა, ამის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ღმერთები ბედისწერაზე მაღლა დგანან და იმორჩილებენ მას.

არსებობს ბედისწერისადმი ღმერთების მორჩილების ფაქტებიც, მაგრამ ამ შემთხვევაში ბედისწერა სხვაგვარადაა გაგებული-იგი უპიროვნოა, ღმერთებზე მაღლა მდგომი ძალაა. ქრისტიანული წარმოდგენა ღმერთზე განსხვავდება მითოლოგიურისგან. მითოლოგიური გაგებით, ღმერთი პიროვნებაა, ქრისტიანული რელიგიის თანახმად კი უპიროვნო ძალაა. ბედისწერის არსებობას მსოფლმხედველობას ამ ორ რელიგიურ ასპექტში ჰეგელმა ასეთი ინტერპრეტაცია გაუკეთა: "ძველი ღმერთების (მითოლოგია) ამ ნაკლს და უძლურებას ჩვენ ვპოულობთ აგრეთვე ძველთა რელიგიურ ცნობიერებაშიც. ვინაიდან მათ მიაჩნდათ, რომ არა მარტო ადამიანები, არამედ თვით ღმერთებიც ბედისწერას ემორჩილებიანო, ხოლო ეს ბედისწერა წარმოდგენილი ჰქონდათ როგორც აუხსნელი აუცილებლობა, როგორც სრულიად უპიროვნო და ბრმა".

ძველმა ბერძნულმა მწერლობამ უხვად გადაუხადა ხარკი ბედისწერის არსებობის ინსტიტუტს. ამ მხრივ აღსანიშნავია ჰომეროსის და სოფოკლეს შემოქმედება. ჰომეროსი თავის პოემებში "ილიადასა" და "ოდისეაში" გვიხატავს ადამიანთა ცხოვრების ტრაგიკული პასაჟის გარდაუვალობას. ადამიანი მუდმივ წვალებასა და ბრძოლაშია, რომლის ბოლო სიკვდილია. იგი არარაობაა სიკვდილის წინაშე. ადამიანი შედარებულია ხის ფოთლებს, რომლებიც ცვივიან და დავიწყებას ეძლევიან. მათი ხვედრი გარდაუვალია და იგი ბედისწერით არის განპირობებული.

ძვ.წ. IV-III ს. ათენში დაარსდა ფილოსოფიური სკოლი, რომელთა მიერ შექმნილი მოძღვრება სტოიციზმის და სტოიკოსების სახელწოდებითაა ცნობილი. მათ ბერძნულ მითოლოგიაზე დაყრდნობით ბედისწერა მიიღო სამყაროს საფუძვლად. სტოიციზმი შეიქმნა ერთ-ერთ პოპულარულ ფილოსოფიურ მიმდინარეობად, რომლის მიხედვით სამყაროში არსებული მკაცრი წესრიგი და კანონზომიერებებით განსაზღვრულია ბედისწერით. ისინი ყოველგვარ კატასტროფას და მწუხარებას ესთეტიკის თვალსაწიერიდან განიხილავდნენ, რადგან ეს ღმერთების ნებით იყო განპირობებული. სტოიციზმი ელინისტური კულტურის ერთ-ერთი წამყვანი დარგი გახდა. იგივე მიმდინარეობა მოგვიანებით ახ.წ.აღ. I-II საუკუნეებში ძალზედ გავრცელდა რომში, სადაც მიიღო სახელწოდება ფატალიზმი.

სტოიციზმის ფუძემდებელია კუნძულ კვიპროსის (ქ. ქიტიონი) მცხოვრები ძენონი (336-264 ძვ.წ.). აგრეთვე კლეანთე (331-232 ძვ.წ.), ქრისიპე (277-208 ძვ.წ.). ქრისიპემ დაასრულა და სისტემური სახე მისცა ამ მოძღვრებას.

სტოიციზმის საშუალო პერიოდის წარმომადგენლებია: პანეციუსი (185-110 ძვ.წ.), პოსიდონიუსი (135-51)

სტოიციზმის ახალ პერიოდს მიეკუთვნება ძველი რომის ფილოსოფოსები: სენეკა (4-65), ეპიქტეტე (50-138) და მარკუს ავრელიუსი (121-180)

სტოიციზმმა ფილოსოფიიდან აიღო სამი ნაწილი: ლოგიკა, ფიზიკა და ეთიკა. ამათგან უმთავრესის ტიტული მიანიჭა ეთიკას, ლოგიკას მეთოდის, და ფიზიკის საფუძვლის. ფილოსოფიის ამ ნაწილს სტოიკოსები ასე განმარტავენ: ფილოსოფია არის მოსავლიანი მინდორი, ღობე ლოგიკაა, ნიადაგი და ხეები ფიზიკა, ხოლო ნაყოფი-ეთიკა. ისინი ფილოსოფიას განმარტავენ როგორც სათნოების მართვას, რომლის მიზანია ზნეობრივი ცხოვრების დაფუძნება.

სტოიციზმა მოგვცა მოძღვრება, რომელიც აერთიანებს ჰერაკლიტეს მატერიალისტურ ელემენტებს, პლატონის და არისტოტელეს ტელეოლოგიურ იდეებს და კინიკოსების ეთიკურ შეხედულებებს და წარმოადგენს ამ თეორიათა სინთეზს. სტოიციმზში დასმული პრობლემები ემსახურება ბუნების ძალთა კვლევას და მათ დამოკიდებულებას ადამიანის მორალურ-ეთიკურ ნორმებთან.

სტოიკოსების აზრით, ფიზიკა არის მოძღვრება სამყაროს, საწყისების და სტიქიონების შესახებ.

სტიქიონები არის ის პირველადი, რისგანაც ყველაფერი წარმოიქმნება და რაზეც ყველაფერი დაიშლება. არსებობს ოთხი სტიქიონი: ცეცხლი, ჰაერი, წყალი და / მიწა, რომლებიც ერთად ქმნიან ერთ მთელს-მატერიას. საწყისი ორი სახისაა: პასიური (ჰაერი, ცეცხლი, მიწა, წყალი) და აქტიური-მატერიაში არსებული გონება (ღმერთი.)

სამყაროს ცნებას სტოელები ასე განიხილავენ:

1) ეს არის ღმერთი, რომელიც არ ისპობა და არ იქმნება. იგი ქმნის სამყაროს წესრიგს, გარკვეული დროის შუალედის შემდეგ შთანთქავს მთელ არსებულს და შემდეგ ხელახლა ბადებს თავიდან.

2) სამყარო არის ვარსკვლავების განლაგება.

3) სამყარო არის ერთისა და მეორის ერთიანობა.

მაშასადამე ღმერთი სამყაროშია, სამყარო გამსჭვალულია ღმერთით. ამიტომ მათი აზრით მთელი სამყარო არის ცეცხლი, განსულიერებული და დაჯილდოებული გონებით.

სამყარო შედგება სხეულებისაგან. ყოველი ნივთი სხეულია, მათ შორის ადამიანიც და ღმერთიც. ყოველი ნივთი შეიცავს სულს. იგი არის სხეულისთვის თანდაყოლილი პნევმა, რომელიც მსჭვალავს მას. სულიც სხეულია. არსებობს ოთხი სახის სული. არაორგანულ საგნებში სული არსებობს როგორც უბრალო მდგომარეობა; მცენარეების სული არის მაფორმირებელი ბუნებრივი ძალა; ცხოველებში სული არის სურვილების მქონე, ადამიანში კი არსებობს გონიერი სული. სამყაროს, როგორც მთელს გააჩნია თავისი სული-ეს არის ღმერთი. იგი ვრცელდება მთელ სამყაროზე, მსჭვალავს მას როგორც თაფლი ფიჭას.

სამყარო როგორც მთელი, არის სხეული. იგი ერთიანია, შემოსაზღვრულია სიცარიელით, რომელიც არ არის სხეული. სამყარო სასრულია, სიცარიელე კი უსასრულო. სამყაროსა და სიცარიელეს ერთიანობას ეწოდება მსოფლიო.

სულები განაგრძობენ არსებობას ადამიანის სიკვდილის შემდეგაც. მაგრამ ისინი არსებობენ მსოფლიო ხანძრამდე. ხანძრის შემდეგ იგი ყველაფერი უბრუნდება ღმერთს, გარკვეული დროის შემდეგ კი ისევ წარმოიქმნება. და ეს

ხდება უსასრულოდ. აქ არსებობს მკაცრი წესრიგი ყველაფერი მეორდება, მათ შორის ადამიანები, დეტალებიც კი.

ღმერთი სამყაროს გონებაა, კეთილი და ბრძენია. იგი ყველაფრის შემოქმედია, ასე ვთქვათ ყველაფრის მამა. ღმერთი სრულყოფილია ყველა მხრივ. არც ერთი საგანი სრულყოფილი არ არის, მთელი სამყარო კი სრულყოფილია, ამიტომ ყოველი საგანი სრულყოფილების ნაწილია.

სტოელთა მიხედვით ღმერთი-ბედისწერაა,-"ღმერთი გონება ბედისწერაა, ზევსი-ეს ერთია, და მას სხვა მრავალ სახელსაც უწოდებენ. ბედისწერა არის გონება, რომელიც ბრძნულად მართავს სამყაროს. მასზეა დამოკიდებული სამყაროში არსებული მკაცრი წესრიგი: ბედისწერა ეს არის არსებულის მიზეზთა განუწყვეტელი (ჯაჭვი) ან გონება, რომელიც მართავს სამყაროს. ამასთან დაკავშირებით ქრისიპე ამბობს: "ბედისწერა-ეს არის პნევმისათვის დამახასიათებელი ძალა, რომელიც მართავს სამყაროს წესრიგს. დეფინიციების შესახებ შრომაში კი იგი ამტკიცებს, რომ ბედისწერა-ეს არის სამყაროს გონება ან სამყაროში არსებული ყოველი კანონი, რომელსაც მართავს განგება ან გონება და რომლის თანახმად მომხდარი მოხდა, ქმნადი იქმნება და მოსახდენი მოხდება".

ბედისწერა გაიგივებულია სამყაროში არსებულ ურღვევ წესრიგსა და კავშირთან: "სტოელები ამბობენ, რომ ბედისწერა ეს არის მიზეზთა ჯაჭვი ე.ი. ურყევი წესრიგი, ურყევი კავშირი".

სამყაროს კანონზომიერების ახსნის საკითხში სტოიციზმის ამოსავალი დებულებაა მითოლოგია. იგი დაუპირისპირდა ეპიკურიზს და ამით იმდროინდელ მეცნიერულ მსოფლმხედველობას. მეცნიერების საწყისებსა და ელემენტებს მაშინ შეიცავდა ატომისტური ფილოსოფია, რომლის წამყვან ძალას ეპიკურიზმი წარმოადგენდა. ეპიკურიზმი და სტოიციზმი წარმოიშვნენ თითქმის ერთდროულად და ვითარდებოდა პარალელურად. პირველის საყრდენ ბერკეტს წმინდა მეცნიერული მსოფლმხედველობა წარმოადგენდა, მეორისას კი მითოლოგიური ცნობიერება.

სტოიციზმმა უარი თქვა სამყაროს კანონზომიერების მეცნიერულ ახსნაზე და იგი იძულებული იყო მითოლოგიას დაყრდნობოდა. სამყაროს კანონზომიერების საფუძვლად კი მან ბედისწერა მიიჩნია. მათ მითოლოგიურ ასპექტებშიც ცვლილებები შეიტანეს. ბერძნული მითოლოგიის თანახმად არსებობს მრავალი ღმერთი, სტოიკოსების მიხედვით კი ერთი ღმერთია, სამყაროს წესრიგის შემოქმედი. მეორე მითოლოგიური ღმერთები პიროვნებანია, სტოელთა ღმერთი კი უპიროვნოა. იგი გონებაა, ძალა, მსოფლიო სული, რომელიც სამყაროს მართავს.

მესამე მითოლოგიური გაგებით ბედისწერა ხან ღმერთებზე მაღლა დგას, ხან პირიქით. სტოიკოსების მიხედვით კი არ არსებობს მათ შორის განსხვავება. ბედისწერა და ღმერთი იგივეა.

მეოთხე მითოლოგიური ბედისწერა უპიროვნოა, გონებას მოკლებული, ამიტომ იგი ბრმა აუცილებლობით განაგებს ყოველივეს. სტოიკოსების მიხედვით, მართალია ბედისწერა უპიროვნოა, მაგრამ იგი გონებაა, რომელიც ღვთიური სიბრძნით წარმართავს ყოველივეს.

მითოლოგიური ბედისწერა ბრმაა, მას ერთნაირად მოაქვს ბედნიერებაც და უბედურებაც. სტოიკოსების მიხედვით კი კეთილი წყაროა.

სტოიკოსების და მითოლოგიის ერთი საერთო ნიშანთვისება ისაა, რომ: ბედისწერა არის სამყაროს უზენაესი ძალა.

სტოელთა ეთიკის ამოსავილი ორი პრინციპია:

1) ყველაფერი გარდაუვალია, რადგან განსაზღვრულია ბედისწერის მიერ.

2) სამყარო მოწყობილია მიზანდასახულად. ყოველ საგანს თავისი

მიზანი აქვს დასახული, თავის ფუნქცია აქვს დაკისრებული.

ამ პრინციპების საფუძველზე გაგებულია ადამიანის ხვედრი სამყაროში და მისი მისწრაფებები.

ადამიანს არაფრის შეცვლა არ შეუძლია სამყაროში, იგი უნდა დაემორჩილოს ბედისწერას. ეს შესაძლებელია, თუ იგი იცხოვრებს ბუნების შესაბამისად. ადამიანი იგი ღმერთის ნაყოფია, იმ განსხვავებით, რომ ადამიანს გააჩნია გონება და სხვა არც ერთს ამ სამყაროში.

ბედისწერის რწმენისადმი საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებული დამოკიდებულება იყო. თანამედროვეთა შორის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესოა ა. შუტცეს შეხედულებები (წიგნი-ბედისწერის საზრისის შესახებ), სადაც ის ბედისწერის საკითხს მთლიანად მიაკუთვნებს ეგზისტენციალურ მეცნიერებას.

ეგზისტენციალური მეცნიერების ფუძემდებელი მ. ჰაიდეგერი ერთმანეთისგან განასხვავებს ორი ტიპის ყოფიერს, არსებულს

1) არსებული, როგორც სახეზე მოცემული, რომელსაც აქვს გარკვეული თვისებები. ასეთია ბუნების საგნები-ქვა, ხე, მცენარე, ცხოველი და ა.შ.

2) არსებული, როგორიც ვართ ჩვენ თვითონ, ე.ი. ადამიანი ამ ყოფიერის თავისებურება იმაშია, რომ ის მიმართებაშია, თავის ყოფიერებასთან და საკუთარი ყოფიერებისათვის აგებს პასუხს. ამ ტიპის ყოფიერს ჰაიდეგერი აღნიშნავდა ტერმინით მუნყოფიერება (ასეინ), ხოლო მის ყოფიერებას ტერმინით-ეგზისტენცი ე.ი. ეგზისტენცი მუნყოფიერების ყოფიერებაა. იგი არ ახასიათებს იმ არსებულს, რომელიც მუნყოფიერებისდაგვარი არაა ე.ი. სახეზე მოცემულს-ქვას ან ხეს,-იგი მხოლოდ ადამიანს ახასიათებს.

"მუნყოფიერების არსება" მის ეგზისტენციში დევს, ამიტომ მუნყოფიერების ანალიზი მისი ეგზისტენციის ანალიზია, ეგზისტენციის სტრუქტურის გარკვევით უნდა დახასიათდეს მუნყოფიერების ბუნება. "ყველა ექსპლიკატი, რომლებიც მუნყოფიერების ანალიტიკიდან მომდინარეობს, მოპოვებულია მისი ეგზისტენცსტრუქტურის მიმართ".

მუნყოფიერების იმ მახასიათებლებს, რომლებიც მისი სტრუქტურიდან გამომდინარეობენ, ჰაიდეგერი უწოდებს ეგზისტენციალებს. მათ შესახებ იგი წერს: "იმიტომ, რომ ისინი, ეგზისტენციალიდან განისაზღვრებიან, ჩვენ მათ მუნყოფიერების ყოფიერების მახასიათებელ ეგზისტენციალებს ვუწოდებთ".

ეგზისტენციალები არსებითად განსხვავდებიან კატეგორიებისაგან. ეს უკანასკნელნი გამოხატავენ სახეზე მოცემული ყოფიერების, ე.ი. არამუნყოფიერებისდაგვარი ყოფიერის თვისებებს. ეგზისტენციალების შესახებ ჰაიდეგერი წერს: "ისინი მკაცრად უნდა გამოვყოთ არამუნყოფიერებისდაგვარი ყოფიერების გარკვეულობებიდან, რომელთაც ჩვენ კატეგორიებს ვუწოდებთ".

მაშასადამე ეგზისტენციალი მუნყოფიერების, ანუ ადამიანის არსებაა, ხოლო ეგზისტენციალი- ეგზისტენცსტრუქტურის მახასიათებელი, ანუ ადამიანის ყოფიერების არსებითი სტრუქტურის გამომხატველი ეგზისტენციალებია ზრუნვა, სამყაროში ყოფნა, შიში, სიკვდილი და ა. შ.

## მოკლე ლექსიკონი ბედისწერის შესახებ.

აგამედე*-ორქომენის მეფე, ერგინოსის ვაჟი, გმირი, ლეგენდარული მშენებელი, რომელმაც თავის ძმა ტროფინიოსთან ერთად მრავალი დიდებული და საოცარი შენობა ააგო (დელფოს ტაძარი, ავგეას და ჰირიევსის საგანძურთსაცავები და სხვა)*

*ავგურები* (ლათ. აუგურ, ავის-და ფრინველი, კელტ-გურ ჭმარი) რომაელი ქურუმები, რომლებიც წინასწარმეტყველებდნენ მომავალ ბედზე, ფრინველის ფრენის, ქიკქიკისა და წმინდა ქათმების კენკვის მიხედვით.

*ავტომატია*-(ბერძ.) შემთხვევითობის, მოულოდნელობისა და მოულოდნელი ბედნიერების მფარველი ქალღმერთი ძველ საბერძნეთში.

*ამოსი*-ებრაელთა წინასწარმეტყველი (ძვ.წ. VIII ს.)

ანვაროსი (საბერძ) ლეგენდის მიხედვით მდინარის სახელწოდება, რომელშიც დაკარგა იასონმა ცალი სანდალი, დედაბრის სახით მოვლენილი ქალღმერთ ათენას ზურგით გადაყვანის დროს-ეს ლეგენდა-მითი უშუალოდ დაკავშირებულია ბედისწერის არსებობასთან.

*ბედისწერა განგება*-

1. წინასწარგანგება, სვე, ხვედრი, ბედი.

2. ქრისტიანული სარწმუნოებით ბედისწერას ცვლის განგება, უზენაესის ნება, ბედისწერის მწერლები, ბედის გამგებელნი.

გირომანტია (ბერძ. გუროს-დან-წრე და მანტეია-მკითხაობა) მკითხაობა, რომლის დროსაც მკითხავი დადის დახაზულ წრეებზე.

*გოგი და მაგოგი*-

1. წინასწარმეტყველი ეეზიკილიის წიგნის მიხედვით; მძვინვარე მეფე გოგი და მისი ხალხი მაგოგი, რომელიც უნდა მოსულიყო ჩრდილოეთიდან იზრაელი ხალხის დასახოცად; იგივე სახელწოდება გვხვდება არაბი გეოგრაფების ნაწერებში და აპოკალიპსში.

2. ითქმის ყოვლისშემძლე ან შიშისმომგვრელ თავზარდამცემ ვინმეზე ან რამეზე.

დაქტილომანტია-(ბერძნ. დაკტილოს-დან და მანტეია მკითხაობა) მკითხაობა თითების მიხედვით, თვალებდახუჭული საჩვენებელ თითებს ერთმანეთს უახლოვებენ, თუ შეხვდებიან- წარმატების ნიშანია, თუ არა-წარუმატებლობის.

*დელფო* (ბერძნ)-ბერძნული რელიგიის ცენტრი ფოკიდაში, პარნასის მთის ძირას. დელფოს სამისნოს, რომელიც აპოლონის ტაძრის გარემომცველობაში იმყოფებოდა, აღმოაჩინეს XX საუკუნეში არქეოლოგიური გათხრების შედეგად.

*მენე, მენე, ფაკელ, ფარეს* (ქალდ. მენეჰ, მენეჰ, ტაკელ, უპჰაზსიონ-გამოთ-გამოიანგარიშა, ასწონა, გაანაწილა) ბიბლიური გადმოცემის მიხედვით ეს სიტყვები დაწერილი იქნა კედელზე ბაბილონის მეფის ბალთაზარის მკრეხელური ღრეობის დროს, ამ ღამესვე მოკლული იქნა ბალთაზარი. ეს სიტყვები ახსნა და განმარტა მაშინვე დანიელ წინასწარმეტყველმა.

*მერები,* მოირები-ბერძნებში ბედის ქალღმერთები

*მიომანტია*-მკითხაობა კუნთების მიხედვით.

*მუსაიოსი*-(ბერძ.) მითიური ბერძენი მომღერალი, წინასწარმეტყველი, ორფევსის საყვარელი მოწაფე (ზოგი ვარიანტით ვაჟი)

*ნამი* (ებრ) წინასწარმეტყველი

*ოონისტი* (ბერძნ)-წინასწარმეტყველი ფრინველთა ფრენის მიხედვით.

*პითია* (ბერძნ. პიტპიოს-აპოლონის მეტსახელი)-აპოლონ დელფიელის წინასწარმეტყველი ქურუმი, ირჩევდნენ დაბალი ხალხის ფენიდან.

*პითონისა*-(პითია-დან) მკითხავი, მარჩიელი

პროვინდენციალიზმი (ლათ. პროვიდენტინ-განგება, ბედისწერა) რელიგიურ

იდეალისტური შეხედულება, რომელიც ცდილობს ისტორიულ მოვლენათა კანონზომიერება ახსნას არა შიდა კანონზომიერებით, ყოფიერებით და მატერიალისტური შეხედულებით, არამედ განგების, ბედისწერის ნებით.

*ფეია* (ფრანგ. ფეე, ფატუს-ბედისწერა განგება) ფანტასტიკური არსება, გამოსახავდნენ კეთილისმყოფელ ქალის ან ბოროტის სახით, ფლობდა ზებუნებრივ ძალას.

*ფატუმი*-ბედისწერის ღვთაება რომაელებში.

დიდი ხუთშაბათი-ქრისტეს უკანასკნელი სერობის (ვახშმობის სამხრობის) დღე, როცა სუფრა გააწყო, სუფრასთან 12-ვე მოციქული დაჯდა, მოძღვარმა ჯერ სათითაოდ განბანა ფეხი და შემდეგ თქვა, ერთი თქვენგანი გამცემსო. ყველა შეძრწუნდა და თვით იუდამ იკითხა ნუთუ მე ვარო? სწორედ შენ, უთხრა ქრისტემ და წასჩურჩულა, "რომელ გეგულების საქმედ ჰყავ ადრე". იუდა ადგა, მღვდელმთავრებთან გაეშურა, ქრისტემ კი პური გაუტეხა მოციქულებს, მიაწოდა და უთხრა: "ესე არს ხორცი ჩემი, თქვენთვის გატეხილი". შემდეგ ღვინო დაუსხა: "ესე არს სისხლი ჩემი, თქვენთვის და მრავალთათვის დანთხეული". ასე აღსრულდა პირველი ზიარება. სერობის სახსოვარია დიდი ხუთშაბათი.

*დრუდები (კელტურიდან)*

1. მკითხავები;

2. გერმანული მითოლოგიის მიხედვით ისინი ღამით აწამებდნენ ადამიანებსა და ცხოველებს.

*დრუდების ნიშანი*-შუა საუკუნეებში ხუთი ხაზისაგან შემდგარი ფიგურა, რომლებსაც გამოსახავდნენ ფარეხებისა და ბოსლების შესასვლელებში, როგორც მაგიურ ნიშანს.

*დრუიდიზმი*-დრუიდების მოძღვრება, რელიგია

*დრუიდები* (ლათინურიდან-კელტ. დრუიგეს ირლანდ-დან დრაია, დრაიოდჰ, დრუიდჰ) გალების, კელტების, ირლანდიის, ბრიტანეთის ქურუმები, რომლებიც საიდუმლოდ ინახავდნენ თავიანთ მეცნიერებას.

*ედიპი* (ოიდიპოსი)-თებეს მეფე, რომელმაც წარმატებით გადასჭრა სფინქსის გამოცანები. ეს მითი უშუალოდ დაკავშირებული არის ბედისწერის პრობლემასთან, რომ ადამიანს ძალუძს გამოიცნოს გამოცანის საშუალებით ბედისწერა.

ეზეკიელი-ძველ ებრაელთა ერთ-ერთი წინასწარმეტყველი (ძვ.წ. IV ს)

*კრანიომანტია* (ბერძნ. რანიონ-ქალა და მანტეია მკითხაობა) მომავლის წინასწარმეტყველება თავის ქალის სხვადასხვა ნიშნის მიხედვით.

*მაადი*-წინასწარმეტყველი, რომელსაც ელოდებიან მუსლიმანები.

*ფორტუნა*-ბედისწერის რომაული ქალღმერთები.

*წინასწარმეტყველება*-რელიგიური მისნობა, მომავლის განჭვრეტა, ზებუნებრივი ნიჭი, ღვთაებრივი ძალის გამოცხადებით, ზეშთაგონების ნიშნის მეშვეობით. ამ მოძღვრებათა საფუძველზე საგანთა და მოვლენათა ბუნებრივი განვითარება უზენაესის ნებაზეა დამოკიდებული.

*წინასწარმეტყველი*-მისანი, ბრძენკაცი, რომელიც ხალხთა რწმენით ჭვრეტს მომავალს, ამბებს. ქადაგებს და აფრთხილებს ხალხს მოსალოდნელ მოვლენათა შესახებ. ბიბლიის ძველ აღთქმაში შეტანილია დიდი და მცირე წინასწარმეტყველი, რომელთა ნათქვამ-ნააზრევი შეტანილია

მათივე სახელობის წიგნებში (ესაია, ერემია, ეზეკელი, დანიელი, ის ნავე (უფროსი), ოსია, იოველი, ამოსი, ავდია, იონა, მიქია, ნაუმი, აბაკუმი, საფონია, აგეი, ზაქარია, მალაქია (უმცროსი), ელია და სხვა. ცნობილია აგრეთვე ქალწულები-სიბილების სახით ძველ რომში.

*ჰარუსპიკები*-(ლათ. ჰარუსპეხ) გულთმისანი ქურუმები ძველ რომში, რომლებიც ცხოველთა შიგნეულის მიხედვით მკურნალობდნენ.

*ჰიერომანტია* (ბერძნ. ჰიეროს-წმინდანი მანტეია მკითხაობა) მკითხაობა, შეწირული ცხოველების შიგნეულის მიხედვით.

*ფერი, ფერები*-საბედისწერო დაღუპვის ქალღმერთები, ხოლო მოროსი და მოიარები ხვედრით განსაზღვრული ავი სიკვდილი.

• *მოიარები*-ბედისწერის ქალღმერთები, მათგან პირველი ძაფს რთავს, ლაქესისი ყველას თავის წილს მიაგებს, ხოლო აუცდენელი ატროპოსი კი აახლოვებს განსაზღვრულ მომავალს და წყვეტს ხვედრის შესაბამისად.

*ტირესიასი*-ბრმა წინასწარმეტყველი. ანტიკური სახის ავტორი გადმოგვცემს (აპოლოდოროსი III, 6, 7, ჰიგინიური მითები 75, ოვიდიუსი "გარდასახვანი" III 320; ცეცე "ლიკოფრონის" სქოლიონები 682) ახალგაზრდობისას მას დაუნახავს ორი გველი და ერთ-ერთი მოუკლავს, რომელიც თურმე მდედრი იყო და ტირესიასი ქალად ქცეულა. შვიდი წლის შემდეგ მას მოუკლავს მეორე გველი, ამჯერად მამრი და ახლა ისევ მამაკაცად გარდასახულა. ამიტომ მითოგრაფოსი აღნიშნავს, რომ იგი წყვეტდა ყოველგვარ დავას, რადგან ორივე სქესის თვისებები მან კარგად იცოდა. ტირესიასი დააბრმავა ათენამ, რომლის სიშიშვლეს მან თვალი ჰკიდა. მეორე ვერსიის თანახმად ტირესიასი ღმერთებმა იმიტომ დააბრმავეს, რომ იგი ადამიანებს საიდუმლოს განუცხადებდა ხოლმე.

*აგლავროსი*-მისნის წინასწარმეტყველების ახდენის მიზნით იგი აკროპოლისიდან გადაეშვა უფსკრულში, იმავდროულად ახდა სხვა მისნობაც. სწორედ ამიტომ მოდიან აგლავროსის ტაძარში ახალგაზრდა ათენელები, რომლებიც პირველად იღებენ ხელში იარაღს და საკუთარ ცხოვრებას ქალაქს უძღვნიან.

*კასანდრა*-პრიამოსისა და ჰეკუბას ქალიშვილი, ტროელი. მას აპოლონმა მიანიჭა წინასწარმეტყველის ნიჭი, მაგრამ როდესაც ქალწულმა მისი სიყვარული უარყო, იმით დასაჯა, რომ მისი წინასწარმეტყველებისადმი ხალხს ურწმუნოება ჩაუნერგა. აპოლონის ჩამომავალთა შორის ასახელებენ სხვა ნათელმხილველებსაც (ბრანქოსი, სიბილა, მოფსოსი, იდმონი). კასანდრამ იწინასწარმეტყველა მისი სამშობლოს დაქცევა ტროას ომში, ამიტომ იგი მოუწოდებდა, რომ არ მოეტაცათ მშვენიერი ელენე, ან დაებრუნებინათ იგი, მაგრამ ხალხს მისი რწმენის ძალა გამოცლილი ჰქონდათ.

*ზაქიქუ აქად*-"ნიავქარი" სიზმრის ღვთაება, რომლის საშუალებითაც ღმერთები მოუვლენენ ადამიანს სიზმარეულ ხატებს. ზაქიქუ ნიავის საშუალებით აღწევს მძინარის საძინებელში და მის ცნობიერებაში გამოდის მაცნედ ღვთაებრივ სამყაროსა და ადამიანს შორის. ამავე დროს მისი სახელი თითქოს გამოხატავს სიზმრის ფენომენის არამატერიალურ და ეფემერულ ხასიათს (საგულისხმოა, რომ მიცვალებულის სულიც ამ ტერმინით არის გამოხატული). სიზმრის შინაარსი უპირატესად მითოლოგიური სიუჟეტი ან მითოლოგემაა, ამიტომაც სიზმარში მომხდარი ამბები სიმბოლური სახეებით., არის გადმოცემული (მაგ. დუმუზის საკუთარი

თავი ესიზმრება ლერწმის სახით, რაც მის გარდაუვალ დაღუპვას მოასწავებს), სიზმრის საშუალებით ღეთაება აცხადებს თავის ნებას, ავალებს სიზმრის სუბიექტს რაიმე საქმის აღსრულებას (საომარ შეტევაზე გადასვლა, ტაძრის აშენება, ეპიკური ტექსტის კარნახი და სხვა)

ღმერთების სიაში ზაქიქუს გარდა დადასტურებულია სიზმრის ღმერთი სხვა სახელწოდებით: მამუდ შუმი "სიზმარი" (პერსონოფიკაცია) უთუს ასული, ზაქიქუს ძმა (წყარო შუამდინარული ლექსიკონი, ზურაბ კიკნაძე)

*ბელით-ცერი* (აქად "უდაბნოს ქალბატონი), ქვესკნელის ქალღვთაება, ბედის მწერალი, რომელსაც ხელთ უპყრია "ბედისწერის დაფები" და კითხულობს მკვდართა სამეფოს დედოფლის, ერეშქიგალის წინაშე. (წყარო შუამდინარული ლექსიკონი ზურაბ კიკნაძე)

*სიბილა*-წინასწარმეტყველი ქალი. მისი წინასწარმეტყველების ბოლო სამი წიგნი კაპიტოლიუმის მთაზე მდებარე იუპიტერის ტაძრის ქვის კიდობანში ინახებოდა, დაიღუპა ხანძრის დროს (ძვ.წ. 84 წ.)

*პითია*-(აპოლონის ტაძრის ქურუმი) დელფოს სამისნოში წმინდა სამფეხზე იჯდა ქურუმი ქალი პითია და ღმერთის ნებას აუწყებდა წინასწარ ამბავთ შემტყობთ. როგორც წესი, მისი უწყება ორაზროვნებით ხასიათდებოდა, რაც მისი ინტერპრეტაციის დიდ შესაძლებლობას ქმნიდა. ამით ქურუმებს საშუალება ეძლეოდათ ზეგავლენა მოეხდინათ მთელი საბერძნეთის პოლიტიკურსა და სოციალურ ცხოვრებაზე.

## გამოჩენილ ადამიანთა შეხედულებები და სენტენციები ბედისწერაზე

1) კონფუცი 2) ვან-ჩუნი 3) ჰერაკლიტე 4) ეპიკურე
5) სენეკა 6) ეპიქტეტე 7) ავრელიუსი 8) თალესი
9) ანაქსიმანდრე 10) პარმენიდე 11) პლატონი
12)არისტოტელე 13) ჰეგელი 14) სულხან-საბა ორბელიანი
15) ჰომეროსი 16) სოფოკლე 17) რუსთაველი

გამოჩენილ ადამიანთა შეხედულებები და სენტენციები ბედისწერაზე.

*ჩინელი ფილოსოფოსი კონფუცი* (554-479 ძვ.წ.)-"ვინც არ აღიარებს ბედისწერას, იგი არც შეიძლება ჩაითვალოს კეთილშობილ კაცად, ყველაფერი დასაბამიდან განსაზღვრულია ბედისწერის მიერ და აქ არაფრის მომატება ან გამოკლება არ შეიძლება".

"სიღარიბეს და სიმდიდრეს, ჯილდოს და სასჯელს, ბედნიერებას და უბედურებას ისეთი ფესვი აქვთ, რომლის შექმნა ადამიანური სიბრძნის ძალას არ შეუძლია".

ჩინელი ფილოსოფოსი *ვან ჩუნი* (27-104)-მატერიალისტი და განმანათლებელი აგრძელებს კონფუცის ხაზს ბედისწერის საკითხში: "ბედისწერა განაპირობებს სიკვდილს, სიცოცხლეს, სიცოცხლის ხანგრძლივობას, წარჩინებულობას, დაბალ მდგომარეობას ადამიანებს შორის, სიმდიდრეს, სიღარიბეს". ყველას მეფეა ის თუ უბრალო ადამიანი, ბრძენი თუ სულელი-ვის ძარღვებშიც ჩქეფს სისხლი-აქვს თავისი ბედი. "თუ ბედისწერა განაკუთვნებს წარჩინებულობას, მაშინ ადამიანი, თუნდაც რომ ეკავოს დაბალი მდგომარეობა თავისთავად ამაღლდება, ხოლო თუ ბედისწერა განაკუთნებს დაბალ მდგომარეობას, მაშინ ადამიანი თავისთავად დაკარგავს თავის მაღალ მდგომარეობას. მაღალი ან დაბალი მდგომარეობა

წინასწარ განსაზღვრულია ბედისწერის მიერ, ხოლო ბედნიერება და სიმდიდრე სულაც არ არის დამოკიდებული სიბრძნესა და გონებაზე". "ბედისწერა ეწოდება .იმას, რასაც ადამიანი შეიძენს დაბადებისას. როდესაც იგი იბადება და იღებს თავის ბუნებას, იქვე ეზიარება ბედსაც. ბუნებას და ბედს ადამიანი იღებს ერთსა და იმავე დროს და არ ხდება ისე, თითქოს ჯერ იძენდნენ ბუნებას და შემდეგ ბედს".

*ჰერაკლიტე* (530-470 ძ.წ.) ძველი საბერძნეთის მატერიალისტი და ფილოსოფოსი.

ჰერაკლიტეს თანახმად სამყაროს საფუძველია ცეცხლი, რომელიც კანონზომიერად აინთება და ჩაქრება: ყველაფერი მკაცრად განსაზღვრულია და დეტერმინერებული. მოვლენა იბადება საწინააღმდეგო ტენდენციებს შორის ბრძოლის შედეგად და აუცილებლობით. სამყაროში ბატონობს მკაცრი წესრიგი და კანონზომიერება. ამ კანონზომიერების ასახსნელად ჰერაკლიტე მიმართავდა მითოლოგიას,-"ყოველი მოვლენა ხდება ბედისწერის განსაზღვრულობის თანახმად, უკანასკნელი კი-აუცილებლობის იგივეობრივია. ჰერაკლიტემ ბედისწერის არსად გამოაცხადა ლოგოსი, რომელიც მსჭვალავს მსოფლიო სუბსტანციას". ჰერაკლიტეს აზრით, ვერც ერთი მოვლენა ამ აუცილებლობას ვერ გაექცევა. და თუ ვინმე ამას ეცდება, მას ღმერთები მკაცრად დასჯიან, ამის გამო ის ამბობს: "...მზე არ სცილდება თავის ზომას, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ერინეები დიკეს დამსჯელები მოძებნიდნენ. მაშასადამე ჰერაკლიტეს თანახმად, მზე ვერ გადალახავს მისთვის მიჩენილ საზღვრებს. ამ აუცილებლობას განსაზღვრავს ბედისწერა და მას იცავენ შურისმაძიებელი ქალღმერთები ერინები, რომლებიც დიკეს მეშვეობით მოდიან მოქმედებაში. ჰერაკლიტეს აზროვნება მისაღებია იმდენად, რამდენადაც იმ პერიოდში აზროვნების საფუძველი იყო მხოლოდ მითოლოგია.

*ეპიკურე:* ადამიანის არსებობის მთავარი მიზანია სიამოვნება, სტოციზმის მიხედვით: სიამოვნება არ არის ცოცხალი ორგანიზმების პირველადი მისწრაფება, იგი შეიძლება მხოლოდ თანმხლები იყოს", ყოველი ცოცხალი ორგანიზმისთვის ძირითადია სწრაფვა თვითშენახვისაკენ, რადგან ბუნება თავიდანვე უნერგავს მას ამ მისწრაფებას...ხომ არაბუნებრივი იქნებოდა, რომ ცოცხალი ორგანიზმი თავისთავს ექცეოდეს როგორც უცხოს და მოქმედებდეს ისე, თითქოს მისი აღნაგობა იყოს მისთვის უცხო და შორეული. ბუნებამ ცხოველი გახადა, ყველაზე მახლობელი თავის თავისთვის: რაზეც მოწმობს ის, რომ იგი დევნის ყოველგვარ მავნებელს და ღებულობს ყოველგვარ გამოსადეგს.

სიკეთის და ბოროტის კრიტერიუმად მიღებულია სარგებლიანობა, ის რასაც სარგებლობა მოაქვს კეთილია, რასაც ბოროტება ზიანია. პირველს მიეკუთვნება სამართლიანობა, სიმამაცე, ზომიერება, კეთილგონიერება და სხვა. მეორეს მიეკუთვნება უსამართლობა, ლაჩრობა, უგუნურება და სხვა. არსებობენ საგნები, რომლებიც არც კეთილია, არც ბოროტი სიმდიდრე, სიღარიბე, სიცოცხლე, ჯანმრთელობა.

ამგვარად სტოიკოსების აზრით, ადამიანი ბუნების მორჩილი უნდა იყვეს და მისდევდეს მის დინებას. ადამიანს შეუძლია მხოლოდ თავის სულის მართვა. აქ იგი თავისუფალია და ამას უნდა აკეთებდეს კეთილგონიერების ხარჯზე.

*სენეკა* აიგივებს ერთმანეთთან ღმერთს, ბედისწერას, განგებას, ბუნებას და სამყაროს: "თუ მოისურვებ ღმერთს უწოდო ბედისწერა, არ შეცდები, ხომ ყველაფერი მასზეა დამოკიდებული სამყაროში. იგი მიზეზთა მიზეზია. გსურს მას უწოდო განგება? სწორი იქნება, ხომ მისი სიბრძნე წარმართავს ყველაფერს, რათა სამყაროში არ იყოს უწესრიგობა და ყველაფერმა მიიღოს გონივრული საზრისი და ახსნა. უწოდებ მას ბუნებას? არ შესცოდავ ჭეშმარიტების წინაშე, რადგან ყველაფერი მისგან იბადება, მისი სუნთქვით ჩვენ ვიცოცხლებთ. უწოდებ

მას სამყაროს? არ მოტყუვდებით, რომ იგი სწორედ ის მთელია, რასაც შენ ხედავ, სრულყოფილია ყოველ შემადგენელ ნაწილში და თავისივე ძალით საკუთარ თავს ინარჩუნებს.

"ბედისწერის კანონი სარგებლობს თავის უფლებით. ...არავითარი ვედრება მას გულს არ აუჩუყებს, ვერც ტანჯვა, ვერც წყალობა ვერ გატეხს, იგი მიდის თავის შეუქცევადი გზით. წინასწარდადგენილი მომდინარეობს ბედისწერიდან. როგორც მდინარის ჩქარი ნაკადი უკუ არ იქცევა და არ შენელდება, რადგან უკანმყოფი წყალი დევნის წინმყოფს, ასევე ემორჩილება მოვლენათა ჯაჭვი ბედის მუდმივ ტრიალს, ხოლო მისი პირველი კანონია დაიცვას გადაწყვეტილი".

*სენეკა* ერთმანეთისგან ასხვავებს აუცილებლობას და იძულებას. აუცილებელია ყველაფერი რაც სამყაროში ხდება, რადგან ბედისწერით არის განსაზღვრული. ადამიანის მოქმედებაც აუცილებელია, მაგრამ იგი არ შეიძლება იყოს იძულებითი ან ნებაყოფლობითი, ხოლო თუ ადამიანი თავის სურვილით მიიღებს ბედისწერის განაჩენს, მაშინ იგი ნებაყოფლობით განახორციელებს მას. ბედისწერა თავის განაჩენს აუცილებლად განახორციელებს, მაგრამ ერთ შემთხვევაში ადამიანის ნების წინააღმდეგ-იძულებით, ხოლო მეორე შემთხვევაში- ნებაყოფლობით-ბედისწერას მიჰყავს მორჩილი და მიათრევს ურჩს.

"მსოფლიო მოიცავს ღვთაებრივ და ადამიანურ სამყაროს მთლიანად, ქმნის ერთიანობას: "ჩვენ ერთიანი სხეულის წევრები ვართ. ბუნებამ შეგვქმნა ერთმანეთისგან ნათესავად, რადგან წარმოგვქმნა ერთი და იგივე მატერიიდან და ერთი და იგივე მიზნებისათვის". ეს ერთიანობა მისი აზრით ვრცელდება მონებზეც, ისინი ჩვენი თანასწორია-"მონა ადამიანია, რომელიც თავისი ბუნებით სხვა ადამიანების თანასწორია". მონების შესახებ შემდეგ აგრძელებს: "...ისინი შენი თანაამხანაგებია მონობის მხრივ, თუ ვიგულისხმებთ, რომ ისინიც და ჩვენც ერთნაირად ვექვემდებარებით ბედისწერის ძალაუფლებას". ასევე მისი აზრით, მონობა ეხება სხეულს და არა სულს. ბატონს შეუძლია მხოლოდ იბატონოს მონის სხეულზე და არა სულზე. ასევე ბედისწერა ვრცელდება სხეულზე და არა სულზე".

"ფიზიკური ძალა ნაკლებ მნიშვნელოვანია ადამიანისთვის, ამიტომ არის, რომ ცხოველი უფრო ძლიერია, ვიდრე ადამიანი, ადამიანს აქვს ორი დიდი უპირატესობა, ეს არის გონება და საზოგადოება". უმაღლესი სიკეთე გონებაში და არა გრძნობებში.

*სენეკა* ეთიკური მოძღვრების მიხედვით ამბობს, რომ: "იცხოვრე ნივთთა ბუნების შესაბამისად. არ გადაუხვიო მას, იხელმძღვანელე მისი კანონით, მაგალითი აიღე მისგან-სწორედ ამაშია სიბრძნე. მაშასადამე ბედნიერია ცხოვრება, თუ იგი შეესატყვისება თავის ბუნებას".

"კაცობრიობის განვითარებაში ჯერ კიდევ არ დამდგარა ისეთი საუკეთესო ვითარება, რომ ჭეშმარიტება მისაწვდომი იყოს უმრავლესობისათვის, ბრბოს მოწონება არის სრული უსაფუძვლობის საბუთი".

*სენეკა* გადაჭრით უარყოფს ეპიკურელთა მთავარ პოსტულატს სიამოვნებას, რომლის მიხედვით ადამიანის მთავარი საზრისი სიამოვნებაა და ამბობს: "სიამოვნება არ არის არც ჯილდო სათნოებისათვის და არც მისი წამქეზებელი მიზეზი. სათნოება მიმზიდველია არა იმიტომ, რომ გვანიჭებს ტკბობას, არამედ პირიქით, იგი გვანიჭებს ტკბობას თავის მიმზიდველობით".

*ეპიკურე* 342/41-271/70 ძვ.წ. ძვ. საბერძნეთის უდიდესი მატერიალისტი. მან უარყო სტოიციზმის ულმობელი აუცილებლობა და ამბობდა: "მე მირჩევნია დავიჯერო მითი ღმერთების არსებობის შესახებ, ვიდრე ვიყო ბედისწერის მონა" "...ღმერთებს შეიძლება პატივისცემის შედეგად გული მოულბეთ და მოწყალების

თვალით გადმოგხედონ, მაშინ, როდესაც ბედისწერასთან ვერაფერს გახდები".

ეპიკურეს ამოსავალი ფილოსოფიაში იყო დემოკრიტეს ატომისტიკა. დემოკრიტეს აზრით კი ყველაფერი აუცილებელია, შემთხვევითობა არ არსებობს, მაგრამ ამ თვალსაზრისში მან გარკვეული ცვლილებები შეიტანა. კერძოდ ატომების გადახვევა სწორი მიმართულებიდან, ეს არაკანონზომიერია ე.ი. ბრმა შემთხვევითობა და თუ ეს არსებობს, მაშინ შეიძლება ბედისწერის არსებობის გამორიცხვა, ამ აზრთან დაკავშირებით იგი ანვითარებს მეტად საინტერესო სენტენციას: "მე მირჩევნია ვიყო ბრმა შემთხვევის მონა, ვიდრე ბედისწერის".

მან ბედისწერის ფილოსოფიაში შემოიტანა ინდეტერმინიზმის პრინციპი, რაც დეტერმინიზმის საპირისპირო მიმართულებაა და უარყოფს სამყაროს წინასწარგანსაზღვრულობას ანუ ობიექტური კანონზომიერების არსებობას. ადამიანის არსებობას განიხილავდა ვოლუნტარიზმის ანუ ნებისყოფის საშუალებით. ამ თეორიით სამყაროში არაფერია დეტერმინერებული. ყოველივე რაც ხდება შემთხვევითი, თვითნებური აუცილებლობა არ არსებობს, ამიტომ ადამიანს ყველაფერი შეუძლია, და მის ნებისყოფას ყველანაირი ბარიერის დაძლევა ექვემდებარება. ვოლუნტარიზმის დიდი წარმომადგენელი იყო რუსი ფილოსოფოსი და სოციოლოგი მიხაილოვსკი.

*ეპიქტეტე.* სტოიციზმის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენელი. მან რელიგიური მომენტი კიდევ უფრო გააძლიერა ბედისწერის ინსტიტუტში. "ნუთუ არის რაიმე იმაზე უკეთესი, რაც ღმერთის მიერ არის დადგენილი".

"არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ ის ჭეშმარიტება, რომ არაფერი კარგი ან ცუდი არ შეიძლება იყოს იმაში, რაც ჩვენ ნებისყოფაზე არ არის დამოკიდებული. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ვმართოთ მოვლენები, არამედ უნდა შევეგუოთ მათ".

"ტანჯვას და სიკვდილს ვერსად გაექცევით. ისინი ჩვენი ხვედრია და ჩვენ სწორედ მათი გვეშინია. ბოროტებაა არა სიკვდილი და ტანჯვა, არამედ ლაჩრული შიში მათ წინაშე".

"ყველაზე წმინდა მანკიერებასთან ბრძოლაა, ეს გაახლოვებს ღმერთთან და მის წარმატებაზეა დამოკიდებული შენი თავისუფლება, შენი ცხოვრების სიმშვიდე და ბედნიერება.

"სიმდიდრე, ძალაუფლება, ჯანმრთელობა, სიცოცხლე ღმერთის საკუთრებაა, ამიტომ მას როცა უნდა, მაშინ წაგვართმევს, ჩვენი სულიერი უნარებია: გონება, სინდისი, ვაჟკაცობა, მორჩილება და ა.შ. ამიტომ ჩვენი ბედნიერება ამ წილზე, ამ ბედისწერაზე მოდის რამდენად გავუმართლებთ ღმერთს".

საბოლოოდ ეპიქტატე ამბობს, რომ: საჭიროა ყველაფრის "მოთმინება და დაათმენა, რადგან ყველაფერი ბედისწერითაა გარდაუვალი".

*მარკუს ავრელიუსი*: "ყველაფერი, რაც ხდება, განგების გარდაუვალი კანონის ძალით ხდება"

"კაცის სიცოცხლე წამია მხოლოდ, მისი არსი მარად მედინი, შეგრძნება ბუნდოვანი, აღნაგობა სხეულისა-ხრწნადი, სული-ცთომილივით მოხეტიალე, ბედი-იდუმალი, დიდება-ფუჭი, ერთი სიტყვით ყველაფერი სხეულისეულ ნაკადს წააგავს, სულისეულ-სიზმარს, ნისლს, კვამლს, ცხოვრება ბრძოლაა და ხეტიალი უცხო მხარეში, სიკვდილის შემდგომი დიდება-დავიწყება" მიუხედავად ამისა მარკუს ავრელიუსის, როგორც სტოიციზმის თვალსაჩინო წარმომადგენლის აზრით, ადამიანმა საკუთარი გონება ღვთაების სიყვარულს უნდა შეუერთოს და იცხოვროს მისგან ნაბოძები ბედისწერის შესაბამისად.

რომის იმპერატორი მარკუს ავრელიუსი (121-180) ცნობილია როგორც თვალსაჩინო ფილოსოფოსი სტოიკური მიმართულებისა. სტოიციზმი კი ეს

ელინისტური ხანის მოძღვრება (აღმოცენდა ათენში ძვ.წ.აღ. IV საუკუნის ბოლოს და იარსება VI საუკუნამდე ჩვ.წ.აღ-ით). სტოიციზმის მამამთავარია ზენონი (ძვ.წ. 336-264) და ეს მოძღვრება იყოფა სამ სანაწილად ძველი, საშუალო, და ახალი. სწორედ ამ მესამე პერიოდის ახალის წარმომადგენელია მარკუს ავრელიუსი, რომლის ნაშრომში "შენთან მარტოდ", დამუშავებულია ეთიკის პრობლემები. ამ ნაშრომით სტოიციზმი საბოლოოდ კარგავს მატერიალისტურ თვისებებს და ღებულობს გამოკვეთილ რელიგიურ- იდეალისტურ ხასიათს, სადაც ავტორის თქმით ყველაფერი ემორჩილება აუცილებლობას. აუცილებლობა კი მისი გაგებით სხვა არა არის რა, თუ არა ბედი. აქედან გამომდინარე ნაშრომის მთავარ ნიშანს წარმოადგენს-"მორჩილება ბედისადმი".

"ყველაფერი რაც შეგემთხვა იმთავითვე შენს შესამთხვევად იყო შექმნილი და შენსავე სვესთან დანათხზული ყოვლის გამრიგე მთელის გაგებით"

"მივიღოთ ჩვენი წილხვდომილი, როგორც წამალი, რომელსაც ასკლეპიოსი უწერს ავადმყოფს, რადგან თუმცა ყველა წამალი თანაბრად როდი მოგვწონს".

"გიყვარდეს შენი წილხვდომილი, რადგან ბუნებამ ის შენთვის შექმნა, ხოლო შენ მისთვის".

*თალესი და ანაქსიმანდრე*-იმ ძალას, რომელიც მოვლენებს ანუ ბედისწერას წარმართავენ ღვთაებრივ მრავალფეროვან იძულებას უწოდებენ.

*პარმენიდე ბედისწერას*-ანანკესა და ჰეიმარმენეს აიგივებს ბედისწერის ქალღმერთთან, ხოლო ატომისტების ლევკიპესა და დემოკრატესათვის ბედისწერა (ანანკე) წარმოადგენს ბუნების იმ ძალას, რომელსაც მაიძულებელი აუცილებლობით მოძრაობაში მოჰყავს ატომები და მაშასადამე ყოველგვარი ქმნადობის მიზეზია. ანანკეს მოაზროვნე ნაწილია ჰეიმარმენე, რომელსაც ამიტომ ისინი უწოდებენ "ნუსს" (გონებას) და ლოგოსს. (ლოგოსი ბერძნულში აღნიშნავდა სიტყვას, ლაპარაკს, ენას. მოგვიანებით მან მიიღო მნიშვნელობა: აზრი, ცნება, საზრისი, გონება, მსოფლიო კანონი. ჰერაკლიტესა და სტოელებთან იგი მსოფლიო კანონია, რომელიც გაიგივებულია ყველაზე მაღლა მდგომ ბედისწერასთან.

*პლატონი* ჰეიმარმენეს შემოსაზღვრავს მხოლოდ ადამიანურ-მიწიერი სფეროებით: სულები დაბადების წინ თვითონ ირჩევენ ბედს (ჰეიმარმანეს) ამით პლატონმა თავის მოძღვრებაში შეიტანა პითაგორელთა და ორფიკოსთა (მისტიკოსთა საზოგადოება) იდეა დაბადებამდე შეცოდების შესახებ და იგი ისე გაიგო, რომ სულის პასუხისმგებლობა და შეცოდება თვითონ მის გადაწყვეტილებაში იმყოფება. ამასთან, თუმცა ინდივიდის სიცოცხლე და მისი მიმდინარეობა, მისი ამქვეყნიური ყოფა წინასწარაა განსაზღვრული იმ ბედით, რომელსაც ადამიანი (სული), როგორღაც ადამიანს თვითონ ირჩევს საკუთარ დაბადებამდე, მაგრამ წინასწარგანსაზღვრულობიდან *პლატონი* მაინც ხედავს გამოსავალს, ნების თავისუფლებას და სიქველეს, ადამიანი შეუძლია ბედისწერით გარეგნულ განსაზღვრულობაზე ამაღლდეს.

*პლატონთანვე* გვხვდება ბედის (ჰეიმარმენეს) სხვაგვარი გაგებაც: იგია მატერიის ბოროტი პრინციპი, რომელიც მოქმედებს სულის, უფრო ზუსტად გონისა და მისი წესრიგის საწინააღმდეგოდ.

არისტოტელეს სულში ბედისწერის ცნებამ უარყოფითობის გავლენა მოიპოვა, რომლის მიხედვით "კაცი ისევეა თავის მოქმედებათა პრინციპი და გამომწვევი, როგორც საკუთარი შვილების". მოსაზრებას, რომ ადამიანს თავისი ბუნებრივი აგებულების გამო არ შეეძლო სხვაგვარად ემოქმედა, არისტოტელე ასე უარყოფს: ადამიანს შეუძლია თავისუფალი ნებისყოფა დაკარგოს მის მიერ ზედიზედ ჩადენილი შეცდომების შედეგად: "ისევე როგორც არავის ძალუძს იმ ქვის უკან მობრუნება, რომელიც მანვე გაისროლა", ასევე აღარ ემორჩილება მას ის ქვა

"და მაინც ძალაუფლებაში იყო, დაეჭირა იგი თუ გაესროლა", ქვის გასროლა მოხდა ნებისყოფის შედეგად, პირადი, მაგრამ მცდარი გადაწყვეტილებით და ეს შეცდომაა ის რაც შემდგომში ნების თავისუფლების შესაძლებლობას გამორიცხავს: ადამიანს აღარ ძალუძს მის მიერ გასროლილი ქვის შეჩერება და უკან დაბრუნება.

*ეპიკურე* (342-271) არსებითად დემოკრატიანელია: უსასრულოა სამყაროთა რაოდენობა, რომლებიც თავისთავად ვითარდებიან და რომლებიც ატომთა შეჯახების და გაყოფის შედეგია. ატომთა გვერდით კი არაფერი არ არსებობს, გარდა ცარიელი სივრცისა. ამ სამყაროთა მოთავსებულ სივრცეში ცხოვრობენ ბედნიერი და უკვდავი ღმერთები, რომლებიც არც სამყაროზე ფიქრობენ და არც ადამიანებზე, მაშასადამე არც რაიმე ბედს უწერენ მათ: "ღმერთები ცხოვრობენ ცათა და ქვეყანათა შუა სივრცეში, მაგრამ არ ერევიან ბუნების განვითარებასა და ადამიანთა საქმიანობაში". ღმერთები მართალია არსებობენ, მაგრამ ისეთნი არ არიან, როგორც ყველას ანუ ბრბოს წარმოუდგენია. ულმერთო ის კი არ არის, ვინც უარყოფს ბრბოს ღმერთებს, არამედ ის, ვინც ღმერთებზე ბრბოს წარმოდგენას იზიარებს: "ცუდს, ბოროტს, უსამართლოს, ჭუიცს ღმერთები არც წინათ და არც ახლა არ უბოძებენ ადამიანებს. ადამიანები თვითონ აყენებენ თავიანთ თავს ზიანს გონებრივი სიბეცისა და უგუნურების გამო".

*ჰეგელის* თანახმად-ადამიანის სიცოცხლე და კაცობრიობის ისტორიული პროცესი კანონზომიერია, რომელიც აბსოლუტური გონის ე.ი. ღმერთის აუცილებლობას გამოხატავს. ადამიანები მოქმედებენ თავიანთი ინტერესების, ვნებების საფუძველზე, თითქოს საკუთარ მიზნებს ანხორციელებენ. მაგრამ ეს ილუზიაა, მოჩვენებაა, რადგან სინამდვილეში მათი საშუალებით აბსოლუტური გონი თავის მიზნებს ანხორციელებს. (აბსოლუტური გონის ანუ ღმერთის ქვეშ იგულისხმება ბედისწერა) ამას ჰეგელი უწოდებს გონების ცნობიერებას. გონი ადამიანის მეშვეობით აკეთებს თავის საქმეს. ადამიანთა კერძო ინტერესების და ვნებების საშუალებით ხორციელდება ობიექტური აუცილებლობა, რომელსაც აბსოლუტური გონი განსაზღვრავს. ისტორია წინასწარ დაგეგმილი პროცესია, რომელიც ადამიანთა მოქმედებების საშუალებით აბსოლუტური გონის მიზნების თანდათანობითი რეალიზაცია ხდება. ამიტომ იგი ფატალურია. (ფატალიზმი წარმოდგება ლათინური სიტყვიდან ფატუმ, რაც ბედისწერას ნიშნავს, აქედანაა ნაწარმოები ფატალის- ბედისწერით განპირობებული)

*სულხან-საბა ორბელიანი*

შუა საუკუნეების ქართველი ღვთისმეტყველი ადამიანის ბედის წინასწარგანსაზღვრულობაზე საუბრობს თავის კატეხიზმოში.

კითხვა: "ვიდრე ცოცხალ არიან კაცნი, დღენი განწესებული აქვთ ღვთისგან თუ არა?

პასუხი: "არავის დღენი არ არიან განწესებულნი".

კითხვა: "ვიეთნიმე იტყვიან ყოველთა კაცთა დღენი აღწერილნი იყვნენ, რომელთამე გრძელი, რომელთამე მოკლე და ოდეს მიიწევიან აღსასრულად, მაშინღა მოკვდნენ და ვერ განერნენ".

პასუხი: "მაგას უმეცარნი იტყვიან, უკეთუ ღმერთმა განაწესნა აღწერნა, მაშა ვისამე 100 წელიწადი აქნდეს სიცოცხლე, და სხვასა 60 და 2 წელი და რომელნიმე მასვე დღესა მოკვდებიან, ვინ შემძლებელ არს ბრძანებისა ღვთისასა შეცვალებად! ვერცა თუ ვინ მოაკვდინა იგი მუნამდე. არცაღა თუ თვით მოკვდენ.

შემდეგ საბა ბრძანებს, თუ ადამიანებს სიცოცხლე განსაზღვრული აქვთ, მაშინ რად ეშინიათ ადამიანებს სტიქიური მოვლენების, რად იცვამენ ჯაჭვის

პერანგს და სხვა. განგებით სიკვდილი უწერიათ იმ ადამიანებს, ვინც ღმერთს სჭირდება, რომლებიც რაიმე დიდი საქმის, ღვთიური მისიის აღსასრულებლად არის მოვლენილი. მაგ. ეკლესიის მსახურმა სვიმონმა იხილა რა 40 დღის იესო, მან მიირქუა იგი მკლავთა თვისთა ზედა" და სთქუა: "აწ განუტევე მონაი შენი, უფალო, სიტყჳსაებრ შენისა მშვიდობით, რამეთუ იხილეს თუალთა ჩემთა მაცხოვრებაი შენი". და აღესრულა.

ასევე შეგვიძლია დავასახელოთ მცხეთელ-აბიათარის დის სიდონიას გარდაცვალება: ქალწულმა სიდონიამ, იხილა რა განგებით ღვთისა მაცხოვრის კვართი, გულში ჩაიკრა და იქვე გარდაიცვალა. მის გულზე დაიმარხა კვართი უფლისა ჩვენისა და. ეს მოხდა იმიტომ, რომ შემდეგ მომხდარიყო სხვა სასწაულები და წინასწარგანზრახულობანი.

ბოროტი ზრახვისა და შეცდომის გამო მოკვდნენ ანანია და მისი ცოლი, რადგან ანანია ეცრუა ღმერთს და პეტრე მოციქულს გაყიდული აგარაკის ფული დაუმალა.

დასასრულს საბა სვამს კითხვას:-"იქმნების კაცის სიკვდილი უღმერთოდ?"

პასუხი: "ჰე იქმნების, რამეთუ უბრალოდ მოჰკლავს კაცი გინა ავაზაკნი მოგზაურთა, ვიენთა ძმა და მამა მოაკვდინეს".

ამგვარად საბა გადაჭრით უარყოფს ბედისწერას და თვითონ იძლევა მის მიერვე დასმულ კითხვაზე პასუხს:

კითხვა: რატომღა ისჯება კაცის მკვლელი ღმერთით და არა ბედისწერით.

პასუხი: "ნუ ვინ ჰგონებთ ბედისთვის, ვითარმედ არსებითი რამე იყოს, რომელსა უმეცარნი იტყჳან და მას მიაჩემებენ ნიჭსა ღმრთისასა (სიტყვის კონა "ბედი"). ნიჭი არის "საბოძვარი კეთილი" და იგი ებოძება ადამიანს ღმერთით და არა ბედით.

*ბედისწერის ცნება ფილოსოფიურ თხზულებებში.*

ძველ ბერძნულ თხზულებებში ილიადა და ოდისეაში (ჰომეროსი) ბედისწერის განაჩენი გარდაუვალია და ხშირად თვით ოლიმპოს უზენაესი ღვთაება ზევსიც კი ემორჩილება მას, მაგრამ არა მარტო მხოლოდ განაჩენს აქვს მნიშვნელობა, არამედ თუ როგორ აღსრულდება ბედისწერის განაჩენი-ძალდატანებით, ნებაყოფლობით, გმირულად, ლაჩრულად და სხვა.

პოემის (ილიადა) მეექვსე ქებაში ჰექტორს სთხოვს მისი მეუღლე ანდრომაქე შეიბრალოს იგი და მისი შვილი და თავი დაანებოს ომს; ჰექტორი მას ასე პასუხობს:

"ბედი თუ მწყალობს, ჰადესს ვერავინ ვერ გამაგზავნის, მაგრამ ბედს ვერც ვინ გაექცევა მიწის შვილთაგან, ქვეყნად შობილი, გინა მხდალი, გინა გულადი".

ჰექტორის მიერ მოკლული პატროკლე კი ასე პასუხობს მის მკვლელ ჰექტორს:

"ქვეყნად სიცოცხლე შენც ხანგრძლივად არ დაგრჩენია, შენ წინაშე დგას სიკვდილი და სასტიკი ხვედრი".

მეცხრამეტე ქებაშია მოთხრობილი, თუ როგორ ამოიდგამს აქილევსის ცხენი ენას და უწინასწარმეტყველებს აქილევსს აღსასრულის მოახლოებას:

"ჩვენ თუნდ ვიფრინოთ, ვით ზეფირო სუნთქავს ქშუილით-ქართუსწრაფესი, ბედისწერას შენც ვერ აგაცდენთ, ძლიერი ღმერთი და მოკვდავი დაგვცემს ვაჟკაცი".

აქილევსი მას პასუხობს:

"რატომ მიქადი სიკვდილს, შენ ეს არ გეკითხება! მეც კარგად ვიცი, რომ დაღუპვა აქ მიწერია, შორს დედ-მამისგან, მაგრამ ბრძოლის ველს არ დავტოვებ".

ოცდამეერთე ქებაში აქილევსი ამბობს, რომ იგი ქალღმერთის შვილია, მაგრამ ბედისწერა მისთვის გარდაუვალია-"მაგრამ მეც სიკვდილს, ბედისწერას ვერ გავექცევი"

ოცდამეორე ქებაში მოცემულია აქილევსის მიერ ჰექტორის მოკვლა. ჰექტორი გრძნობს სიკვდილის მოახლოებას, რასაც ღმერთების მიერ მოვლენილად იღებს:

"ჩემ გვერდით მხოლოდ სიკვდილია! ხსნა არსით უეჭველია, თვით ღმერთებმაც განსაჯეს ასე: ადრე მოწყალეთ! ბევრჯერ მიშველეს და ჰა ბედმა მიწია ბოლოს"

მაგრამ ჰექტორი მკაცრი გარდაუვალობის წინაშე შიშით კი არ არის შეპყრობილი, არამედ სიმამაცით. მას სურს სიცოცხლის ფინალი ასე დასრულდეს. ამიტომ მისი სიკვდილი სილამაზისკენ მსწრაფველი ესთეტიკური სიკვდილია.

ჰომეროსის თანახმად ბედისწერის განაჩენს თვით ზევსიც ემორჩილება. ზევსი ოქროს სასწორზე წონის გამარჯვებას ტროელების და ბერძნების ომში (ქება მერვე), აქილევსის და ჰექტორის ბრძოლაში (ქება ოცდამეორე). ზევსის სურვილია მიეხმაროს ჰექტორს, ამისთვის მიმართავს ღმერთებს, გადაწყვიტონ, თუ ვის მიანიჭონ გამარჯვება ამ სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინებაში.

ზევსი: "ღმერთებო ახლა გადაწყვიტეთ, თქვენს გულსა ჰკითხეთ: ბოლოს და ბოლოს სიკვდილისგან ვიხსნათ ჰექტორი, თუ პელევსის ძეს, გმირ აქილევსს ვარგუნოთ ძლევა?".

რაზეც ათენა უპასუხებს:

"მეხთამცემელო მამავ, რა თქვი შავღრუბლიანო? მოკვდავი კაცი, განწირული ავ ბედისწერით, გნებავთ რომ სიკვდილს ააცდინო ყოველთა მმუსვრელს? ნება ჰყავ! მაგრამ ყველა ღმერთი თავს არ დაგიხრის".

ზევსი ოქროს სასწორზე წონის იმ ნაწილს, რომლის მიხედვით გამარჯვება აქილევსის მხარეზეა. ამის შემდეგ ათენა მიწაზე ეშვება და მონაწილეობს ამ განაჩენის აღსრულებაში.

ტროას ომის შემდეგ იწყება ოდისევსის მოგზაურობა და მისი ხიფათიანი თავგადასავლები, რომელთა დაძლევა მას ღმერთების საშუალებით უხდება, განსაკუთრებით აქტიურობს ამ მხრივ ათენა, რომელიც ოდისევსიდმა დახმარებას ახდენს ზევსის შემწეობით.

ფეაკთა მეფის ასული ნავსიკაია ეუბნება ოდისევსს:

"კაცთა თავის ხვედრს ოლიმპიელი ზევსი მიუზღავს, ავსაც და კარგსაც სურვილისამებრ ანიჭებს ყველას"

ელენე: "ზევსის ხელთა მოკვდავ კაცთა ავიც და კარგიც"

ჰომეროსი ეუბნება კალიფსოს:

"მაგრამ სკიპტროსან ზევსის სურვილს ვინ აღუდგება, ვერცვინ გადავა იმის სიტყვას ვერც ვერვინ შეცვლის". "მაგრამ რადგანაც ზევსის ნება გარდაუვალია, არც ერთ ღმერთთაგანს აღარ ძალუძს იმისი შეცვლა".

ათენა ეუბნება ტელემაქს:

"მაგრამ სიკვდილსა ყველასათვის გარდაუვალსა საყვარელ კაცსაც ვერ ააცდენს ღმერთთა სურვილი, ავმა სიკვდილმა მიუსწრაფოს წუთისოფელი".

ათენა ეუბნება ოდისევსს:

"ახლა კი დროა შვილს გაუტყდე, ნუღარ ემალვი, რომ სასიძოებს ბედით ნაწერ სიკვდილს არგუნებთ".

ძველ ბერძნულ ტრაგედიებში არსად ისე წინა პლანზე არ არის წამოწეული ბედისწერის მცნება, როგორც სოფოკლეს ტრაგედიებში "ოიდიპოს მეფე", "ანტიგონე".

*ანტიგონეში ქორო ბედისწერის შესახებ ამბობს:*

"შენ ბედისწერას ვერ გადაარჩენს ვერცა სიმდიდრე, ვერც ომის ღმერთი, ვერც ციხე- კოშკი ძნელ მისადგომი და ვერც ხომალდი წყალშეუვალი".

განსაკუთრებული სიმაღლით გამოირჩევა სტრიქონები:

"მოკვდავთ ცხოვრებას, ვიდრე იგი არ დასრულდება ჩვენგან არ ეთქმის არც აუგი და არც დიდება, რადგან დღეს ბედი თუ გვამაღლებს, ხვალ იგივ ბედი თანაბრად ამხობს ბედნიერსაც და უბედურსაც, ხოლო წინასწარ გარდაუვალს ვერვინ შეიცნობს".

პირველ ორ სტრიქონში გატარებულია აზრი, რომ სიკვდილამდე არ შეიძლება ადამიანზე ითქვას ავიც და კარგიც, რადგან მათი სიმაღლე და სიმდაბლეც ბედისწერაზეა დამოკიდებული, რომელსაც უზენაესი არათანაბრად აწვდის მოკვდავთ და მისი აღსრულების გარდაუვალობას წინასწარ ვერავინ შეიცნობს.

ბერძნული ფილოსოფიით არის ნაკვები ბერძნული ხელოვნება. ბერძნული ფილოსოფიის თავწყარო კი არის ბერძნული მითოლოგია, ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ ბერძნული მისტერიის შედეგია. ბედისწერის საკითხი კი ყველა ამ დისციპლინაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანია რგოლია.

*ოიდიპოს მეფე (სოფოკლე)*

ბედისწერის იდეა ყველა ეპოქის ფილოსოფიაში და ლიტერატურაში ვხვდებით, მაგრამ კვლევის დიდი სიხშირე ანტიკურ ხანაზე მოდის, ხოლო მწვერვალი დიდი ბერძენი დრამატურგი სოფოკლეს ტრაგედიაა-ოიდიპოს მეფე. აქ ერთმანეთს ებრძვიან პიროვნება და ავი ბედისწერა. აღსანიშნავია, რომ ბედისწერა უკვე სიტყვა, შეიცავს თავის თავში გარდაუვალობას. სოფოკლეს შემოქმედებისათვის დამახასიათებელია და ნიშნობლივია ინდივიდუალიზმის შეერთება პოლისის ფაქტორთან. ფაქტიურად ეს ტრაგედია ბედისწერის იდეისადმი ღითარიმბის მიძღვნაა.

ტრაგედია ასე მიმდინარეობს: თებეს მეფე ლაიოსს და მის მეუღლეს იოკასტეს ორაკულმა უწინასწარმეტყველა, რომ მათი შვილი მოჰკლავს მამას და ცოლად შეირთავს თავის დედას. ამის გამო ლაიოსმა ბრძანა მისი ახლადშობილი ვაჟიშვილი მოეკლათ, მაგრამ მონას, რომელსაც უნდა აესრულებინა სასტიკი განაჩენი, არ შეასრულა და გადასცა კორინთელ მწყემსს. ამ უკანასკნელმა კი ჩვილი გადასცა კორინთოს უძეო მეფეს პოლიბეს. ყრმა გაიზარდა მეფის სასახლეში ოიდიპოსის სახელით.

მაგრამ ერთხელ, როდესაც ლხინის დროს, ერთ-ერთი სტუმარი ოიდიპოსზე განრისხდა და მას ნატყუარა შვილი უწოდა, ამ სიტყვებით აღელვებული და პოლიბეს ახსნა-განმარტებით დაუკმაყოფილებელი ოიდიპოსი მიდის დელფოს ორაკულთან, რათა შეიტყოს სიმართლე ნამდვილი მშობლების შესახებ. ორაკული იმეორებს იგივე წინასწარმეტყველებას, რომ მოჰკლავს ღვიძლ მამას და ცოლად შეირთავს ღვიძლ დედას. ოიდიპოსი ფიქრობს, რომ ეს ეხება კორინთოს მეფეს პოლიბეს, და მის თანამეცხედრეს და მათ მიიჩნევს საკუთარ მშობლებად. ამიტომ ის გარბის კორინთოდან და მიდის სამოგზაუროდ. თებესთან ახლოს გზაჯვარედინზე ის შეხვდება უცნობ ადამიანს, რომელსაც ამალა ჰყავს შემოხვეული. ჩხუბის და შეტაკების დროს მოჰკლავს მას და ყველა მის თანამგზავრს, გარდა ერთი მონისა, რომელმაც მოახერხა გაქცევა. მოკლული იქნა მისი ნამდვილი მამა ლაიოსი-თებეს მეფე. ამრიგად შესრულდა ბედისწერის პირველი ნახევარი.

ამის შემდეგ ოიდიპოსი მივიდა თებეში, რომლის მოსახლეობა იტანჯებოდა სფინქსისგან. სფინქსი იჯდა კლდის თავზე და ყველა მგზავრს ამოცანას აძლევდა- "ვინაა, რომ დილით ოთხ ფეხზე დაიარება, დღისით ორზე, ხოლო საღამოთი სამზე". ვინც ვერ ამოიცნობდა, ყველას სანსლავდა. ოიდიპოსმა პასუხით, რომ

ესაა-ადამიანი, გამოცანა ამოიცნო და პირობის თანახმად სფინქსი კლდიდან გადაიჩეხა.

მადლიერი თებელები ოიდიპოსს სთავაზობენ სამეფო ტახტს და ცოლად მის მშობელ დედას იოკასტეს. ასე მოდის სისრულეში ორაკულისგან ნაწინასწარმეტყველები ავი ბედისწერა.

გადის მრავალი წელი და აპოლონი თებეს მოუვლენს ჭირს. უამრავი მოსახლეობა გაწყდება, აი მაშინ გამჟღავნდება ორაკულის მხრიდან, რომ მსახვრელი სენი თებეს მოევლინა სასჯელად იმის გამო, რომ ოდიპოსის მიერ ჩადენილია უმძიმესი ცოდვა. სასოწარკვეთილი ოიდიპოსი შეიტყობს, რაც მოიმოქმედა თვალებს დაითხრის და ნებაყოფლობით მიდის ექსორიაში, იოკასტე კი თავს იკლავს. უფრო გვიან შექმნილია მეორე ტრაგედია ოიდიპოსზე. აქ სოფოკლემ ნაწილობრივ შეარბილა ოიდიპოსის ტრაგედიის სიმწვავე. ამ პიესაში ყველასაგან მიტოვებულ ოიდიპოს, დაატარებს შვილის ანტიგონეს მზრუნველი ხელი, მიდიან ათინას ტერიტორიაზე და აქ ევმენიდების ტყეში, თეზევსის თანდასწრებით ჰქრება იგი ელვა-გრიგალში. ასეთია დღემდე უბერებელი პიესის თანმიმდევრობა. ახლა კი ავხსნათ პიესის ფრაგმენტები. სფინქსის გამოცანა ეს არის ადამიანის სწრაფი ცვალებადობა და მასთან ერთად დროის, რადგან ეპოქას ადამიანი აყალიბებს. ამგვარად სფინქსი და ადამიანი ამ გამოცანაში ახალ ადამიანს აყალიბებენ.

ადამიანის ახალი განსაზღვრების ძირითადი პრინციპი არის ცვალებადობა. ოიდიპოსის პასუხი პარალელურად არის კაცობრიობის ცვლილებები, რევოლუციები. ყოველივე ახლის შემოტანას ცხოვრებაში კი მოაქვს მსხვერპლი. ასეთია ოიდიპოსის ბედიც. იგი მოაცილებს ხალხს ერთ ჭირს სფინქსს, მაგრამ ამ ქალაქში მშვიდობა დროებით მყარდება, ღმერთები მამის მოკვლის და დედის შერთვის ცოდვის გამო ახალ სასჯელს მიიღებენ ღმერთებისაგან. ასეთია ცოდვა-მადლის ციკლის ტრიალი კაცობრიობის ცხოვრებაში.

ოიდიპოსის ცოდვა გადადის მის ხალხზე, აქ ღმერთები ხალხს და მეფეს აიგივებენ ერთმანეთთან. მათი ცოდვა განუყოფელია ისევე, როგორც სიხარული. ეს მომენტი ისე უნდა გავიგოთ, რომ მეფე უბრალო ადამიანებთან დგას უაღრესად ახლო.

*დანტე ალიგიერი ბედისწერის შესახებ.*

"იქ ბინადარნი ყოველივეს მიაწერთ ცათა, თითქოს ყველაფერს განაგებდეს თქვენსა მიწაზე, რაღაც კანონი გარდაუვალი, წრეშეწერილი"

*(თარგმნა კონსტანტინე გამსახურდიასი)*

"წრეშეწერილ გარდაუვალ კანონში დანტე გულისხმობს ადამიანის წინასწარგანსაზღვრულობას, მისი ბედი ცაშია გადაწყვეტილი ანუ დაწერილი, ასე რომ იყეს "ნებისყოფა ალგეკვეთოდათო"

"არ იქნებოდა ზენარული მართლმსაჯულება, არცა განკითხვა კეთილის და ბოროტისათვის".

მართლაც თუ იარსებებდა გარდაუვალი ბედისწერა, მაშინ აღარ იქნებოდა კეთილისა და ბოროტის გარჩევა, ღვთაებრივი და ადამიანური სამართალი. ადამიანი უფალმა აღჭურვა ცოდვა-მადლის გარჩევის უნარით:

"ცა გაძლევთ ნათელს სიავკარგის გასარჩევად, და ნებისყოფა თავისუფალს და გამძლეობას, ცასთან ჭიდილში უეჭველად იმარჯვებს კაცი, თუ ამ ბრძოლაში მას კვებავდა განზრახვა ქველი"

ცისგანვე (ე.ი. ღმერთისგან) აქვს ადამიანს ჩანერგილი

"გონება თქვენი ზეცის მიმართ თავისუფალი".

"და თუ ქვეყანა ახლანდელი წარხდენილია, ამის მიზეზი თქვენშივეა, იქვე ეძიეთ".

*რუსთაველი*

"განგებასა ვერავინ შეცვლის, არსაქმნელი არ იქნების"

"უგანგებოდ არა კაცი არ მოკვდების"

"არა საქმე არ იქნების რაცა ღმერთსა არა სწადდეს"

შექსპირი: "ბედი სწორედ უნამუსო ქალია, ღარიბი სძაგს, მდიდრის ეშხით მთვრალია".

გამბედავს თვით ბედიც ხელს უმართავს-სიმონიდი.

ხშირად იმათი ბედიც გვშურს, რომელნიც ჩვენზე უბედურნი არიან.-დეტეისი.

## ისტორიის ანალოგიები, პარადოქსები, პარალელები, დამთხვევები

დამთხვევები. არმაგედონი. იაკობის შვილები. ბიბლიური სიმბოლოები, ბიბლიური პარალელები კარლ მარქსი და მზის დაბნელება. შურისძიება თუ შემთხვევითობა. გარეგნული და იდეური დამთხვევები. ჯონ კენედი და აბრამ ლინკოლნი, ნაპოლეონი და ჰიტლერი, თემურ-ლენგის სარკოფაგი, მერლინ მონრო და კლეოპატრა, ლუდოვიკოს XVI და ნიკოლოზ II, დავით აღმაშენებელი და პეტრე დიდი.

*არმაგედონი.*

არმაგედონი ებრაული სიტყვაა "ჰარმგიდდონ", რაც ნიშნავს ქალაქი მეგიდას მთასთან, სადაც ხდებოდა საბრძოლო შეტაკებები. ეს არის ადგილი ჩრდილოეთ პალესტინაში, სადაც იოანეს გამოცხადების მიხედვით უნდა მოხდეს უკანასკნელი დიდი შეტაკება იაჰვეს ან იეჰოვას და სატანას შორის, და დამარცხდეს ბაბილონის მეძავი-დედაკაცი, რომელიც არის მჯდომარე მხეცსა წითელსა ზედა, რომელსა ედგნენ შვიდნი თავნი და ათნი რქანი. და დაემხობა სატანა საბოლოოდ.

ძველსა და ახალ აღთქმაში მრავალი წინასწარმეტყველებაა და არაფერი არის გამონაგონი, მათზე სული წმინდის მეშვეობით ღვთიური ნათელი გადმოვიდა და ისეა თქმული და დაწერილი. ასევეა ქნილი სახარების ოთხთავი. ამ წინასწარმეტყველებათა დიდი ნაწილი ორ მთავარ თემას ეხება ისრაელსა და იერუსალიმს ქრისტეს დაბადებამდე და მას შემდეგ.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე VIII საუკუნეში ესაია წინასწარმეტყველმა ჯერ კიდევ სუსტ სახელმწიფო ბაბილონზე თქვა, რომ იგი გადაიქცევა მსოფლიო იმპერიად, დაიპყრობს იუდეველთა ქვეყანას და ცოცხლად დარჩენილებს ტყვედ წამოიყვანენ ბაბილონში.

ბაბილონელთა შემოჭრამდე 18 წლით ადრე კი იერემია წინასწარმეტყველმა თქვა ბაბილონელთა ქვეყანაზე, რომ გაუკაცურდება ეს ქვეყანა და სამოცდაათი წლის განმავლობაში ბაბილონის მეფის მორჩილებაში იქნება.

ასეც მოხდა, სამოცდაათი წლის შემდეგ მიდიელები და სპარსელები კიროსის წინამძღოლობით დაიპყრობენ ბაბილონს და იუდეველ ტყვეებს გაათავისუფლებენ. ბაბილონი კი ნანგრევებად და უდაბურ ქვეყნად იქცევა. ასე განაგებდა არსთა გამრიგე ქვეყნებს, ჯერ აღაზევებდა, შემდეგ კი მასაც იმ დღეს დააყრიდა, რაც მათ მოუხდენიათ სხვაზე.

ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებმა ქრისტეს დაბადების შესახებ, რამდენიმე საუკუნით ადრე იცოდნენ, რომ ბევრი არ აღიარებდა მესიას, რომ იესო ტრიუმფით შევიდოდა იერუსალიმში, რომ მას ოცდაათ ვერცხლად გაყიდდნენ და შემდეგ ჯვარს აცვავდნენ. ყველა წინასწარმეტყველების გახსენება ძალიან შორს

წაგვიყვანს, მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ რამდენიმე ჩვენი გემოენებით შერჩეული ძველი სამყაროს და ახალი დროის წინასწარმეტყველებაზე, ვცანით აქ მოსატანად.

იეზიკელი ამბობდა, რომ ებრაელები აღადგენენ თავის სამშობლოს და შემდეგ აყვავების ხანა დაუდგებათ. დღევანდელ ისრაელზე ჭეშმარიტად შეიძლება ამ სიტყვების თქმა. მაგრამ შემდეგ ჩრდილოეთიდან დაიძრება გოგის ქვეყანა და მათზე ქარიშხალივით გადაივლის. გოგი სკვითების წინაპრად და იაფეტის შვილად არის ცნობილი ბიბლიაში. დამპყრობელი შემდეგ ეგვიპტის და აფრიკის მხარეს გადაინაცვლებს, მაგრამ როგორც დანიელი ამბობს: "აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან მოსული ხმები შეაძრწუნებს მას და მეტისმეტად განრისხებული გამოენთება მრავალთა ამოსაელეტად და დასაღუპავად. მაგრამ მოხდება საშინელი კატაკლიზმი და გოგის ქვეყანა განადგურდება".

დავსჯი მათ შავი ჭირით, სისხლით, თავსხმას, ქვის სეტყვას, ცეცხლსა და წუმწუმას ვაწვიმებ მათზე. მის ურდოებზე და ურიცხვ ხალხზე, მასთან რომ არიან (იეზეკელი 38. 18-20,22) აქ შეიძლება საუბარია ბირთვულ ომზე, რომელიც ალბათ ყველაზე საშინელი იქნება კაცობრიობის არსებობის მანძილზე არსებულ ომებს შორის.

"გავგზავნი ცეცხლს მაგოგში და უზრუნველ ზღვისპირელებში და მიხვდებიან, რომ უფალი ვარ", მაგრამ ყველაფერი გოგის კატასტროფით არ გათავდება, არმაგედონი გაჩაღდება "აღმოსავლეთის მეფეებს და დასავლეთის ძალებს შორის, რომელსაც უხელმძღვანელებს "მხეცი" ან "ანტიქრისტე". მას უზარმაზარი ძალა ექნება და მისი ბატონობა დედამიწაზე 42 თვეს დაითვლის და მის ბატონობას აღმოსავლეთის მეფე შეარყევს, რომელიც შეკრებს 200 მილიონიანი არმიას და მდინარე ევფრატს გადალახავს. ამხელა არმიის შექმნა მხოლოდ ჩინეთს ძალუძს და ისიც მათთვის დიდ სიძნელეს წარმოადგენს.

მოხდება სამსჯავრო და განიკითხავენ ხალხს და პასუხს აგებენ თავის მოქმედებაზე. მახვილებს სახნისებად, შუბისწვერებს კი ნამგლებად გამოჭედავენ. ხალხი ხალხის წინააღმდეგ აღარ აღმართავს ხელს და ომს აღარასოდეს ისწავლიან და ბოლოს იქნება მშვიდობა.

მაგრამ მანამ ცეცხლით უნდა განვიწმინდოთ, ომებით, მიწისძვრებით, ეპიდემიებით, შიმშილით, ცრუ რელიგიებით, შიშითა და უკანონობის ატმოსფეროთი.

შემდეგ კი...შეაშრობს ღმერთი მათ თვალებზე ყოველგვარ ცრემლს და აღარ იქნება სიკვდილი და აღარც გლოვა, აღარც ტირილი და აღარც ტანჯვა აღარ იქნება, რადგანაც გადაეგო ყოველივე უწინდელი.

აპოკალიფსი 21,4.

*იაკობის შვილები*

იაკობს შვილებიდან ყველაზე მეტად იოსები უყვარდა, რადგან იგი მართალი, მშვიდი და მორჩილი ყმაწვილი იყო. ძმებს ყოველივე ეს შურდათ. ერთხელ იოსებმა ძმებს ასეთი სიზმარი უამბო: "ჩვენ ყველანი სამკალში ვიყავით და ძნებს ვკონავდით. ჩემი ძნა შუაში იდგა, თქვენი ძნები კი გარშემო ეხვივნენ და თაყვანს სცემდნენ და კიდევ მზე, მთვარე და თერთმეტი ვარსკვლავები მე მცემდნენ თაყვანსო! ამის შემდეგ ძმების გული, ნამეტანი შურით აივსო და თან ფიქრობდნენ, რომ იოსები დიდი კაცი გახდებოდა, ძმები კი მათი მორჩილი, ამიტომ მარჯვედ დროს ეძებდნენ მის მოსაკლავად. მაგრამ ამ დროს შემთხვევით გამოიარეს ისმაელიანთა ვაჭრებმა და ძმებმა იგი ოც ვერცხლად გაყიდეს. არ დაგვავიწყდეს, პირველი სისხლი შურის გამო დაიღვარა, კაენმა მოკლა აბელი, რომ ამ უკანასკნელის შესაწირი მიიღო ღმერთმა, კაენის კი არა. იოსებთანაც შურსა აქვს ადგილი. ქრისტე იუდამ გაყიდა 30 ვერცხლად. იოსები 20 ვერცხლად. ეს მომენტი უნდა ავხსნათ ისე, რომ ქრისტეს მოვლენა დედამიწაზე

უფრო დიდი ძალის ღვთაებრივობა იყო. იოსებს ბოროტმა ძმებმა შემოახიეს კვართი- ღვთიური სიბრძნე, და უწყალო ჭაში ჩააგდეს. უფალი იესო უმეცარმა ფარისევლებმა, მწიგნობრებმა და რომაელმა ჯარისკაცებმა ჯვარს აცვეს, მისი ტანისამოსი გაინაწილეს. უფალი იესოს მოსასხამი შეკერილი არ იყო, ამით ნაგულისხმებია მისი უნაკლობა, ღვთიური სიბრძნე, რომელიც გაინაწილეს ჯარისკაცებმა ანუ კაენურმა კაცობრიობამ.

იოსების კვართი შეკერილია, რაც ნიშნავს, რომ იგი შედარებით დაბალი რანგის პატრიარქია, ვიდრე იესო. როდესაც რუბენი ჭასთან მივიდა ნახა, რომ იოსები აღარაა იქ შემოხია სამოსელი ბრაზისგან და ძმებს უთხრა: აღარაა ახლა იქ რა ვქნა, სად წავიდე? ამის შემდეგ აიღეს იოსების კვართი, დაკლეს თხა და მისი სისხლით მოსვარეს კვართი. რაც იმას ნიშნავს, რომ მომავალი პატრიარქი იესო იქნება უფრო მეტი ღვთაებრივი ძალა და დაიბადება თხის რქის ზოდიაქოში. ჯვარცმის წინ უფალ იესოს ჯარისკაცები (ბოროტების სიმბოლო) შემოახევენ ტანისამოსს და აცმევენ ძოწეულის მოსასხამს, რაც არის ბიბლიური კავშირი იოსებსა და იესოს შორის, ამიტომ უწოდებენ იესოს იოსების-ძეს.

იოსების ტყვედ მყოფობის პერიოდში ეგვიპტის ფარაონი ნახულობს სიზმარს: "მდინარეთიდან ამოვიდა ჯერ შვიდი მსუქანი ძროხა და შემდეგ შვიდი მჭლე. მჭლე ძროხებმა შვიდი მსუქანი შეჭამეს და არაფერი დაეტყოთ. მეორე სიზმარი ერთ ღეროზე ჯერ შვიდი ხორბლით სავსე თაველი ამოვიდა და მერმე შვიდი ცარიელი და ცარიელებმა დაჭამეს სავსენი".

იოსებმა ასე აუხსნა მეფეს ეს სიზმრები:

"შვიდი სავსე თაველი და შვიდი მსუქანი ძროხა, შვიდ მოსავლიან წელიწადს მოასწავებს; შვიდი ცარიელი თაველი და შვიდი მჭლე ძროხა-შვიდი წლის მოუსავლიანობას. ღმერთმა ამ ჩვენებით გაუწყათ, რომ შვიდ მოსავლიან წელიწადში იმდენი დააგროვეთ, რომ შვიდ უშემოსავლო წელიწადსაც იკმაროთო. ფარაონმა დაუჯერა იოსებს და მიანდო მას მთავრობა პურის დაუნჯების დროს. ამ დროს იოსები იყო 30 წლის. ქრისტე 30 წლის ასაკში შეუდგა მოღვაწეობას. თორმეტივე წელიწადი ისე განესრულა, როგორც იოსებმა თქვა. ამავე პერიოდში ფარაონის სურვილით იოსებმა ცოლად შეირთო ქურუმის ფოტიფერაყის ასული და მოიარა მთელი ეგვიპტე. ამავე ხანაში იოსების სამშობლოში, ქანაანის მხარეშიც შიმშილი იყო. ამიტომ იაკობმა თავისი შვილები გამოაგზავნა, რათა ეგვიპტეში პური ეყიდათ, ჩამოვიდნენ იოსების ძმები ეგვიპტეში პურის საყიდლად და თაყვანი სცეს იოსებს. ძმებმა ვერ იცნეს იოსები, იოსებმა კი იცნო ძმები და გულში გაიფიქრა, ახდა ძმებთან დაკავშირებული სიზმარი, რისთვისაც გაყიდეს ძმებმა იოსები. იოსები გამოეცნაურა ძმებს და უთხრა, რომ რაც ჩემს თავზე მოხდა, ყველაფერი ღმერთის ნებით იყო და ნუ შეგეშინდებათ ჩემი, ოღონდ წადით და მამაჩემი ჩამომიყვანეთ. იაკობი მთელი თავისი ოჯახით გადასახლდა ეგვიპტეში, ძლიერ გამრავლდა და იაკობის თორმეტი ვაჟის რიცხვისამებრ ისრაელი დაიყო თორმეტ ტომად.

იაკობმა სიკვდილის წინ აკურთხა შვილები, შვილიშვილები და იუდას აუწყა, რომ მისი შთამომავლობიდან წარმოდგებოდა ქვეყნიერების მხსნელი-მესია.

იოსები იყო 30 წლის, როცა წარუდგა ფარაონს. ეს იყო 1696-30=1666.

ადამმაც იცოცხლა 130 წელი და სიკვდილის წინ შეეძინა თავისი მსგავსი ხატი უწოდა შეთი.

იაკობი წარუდგა ფარაონს 1796-130=1666. გამოდის, რომ მამა-შვილი ერთსა და იმავე წელს წარუდგნენ ფარაონს. თუ ჩვენ შემოვაბრუნებთ 666 ციფრს საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით 180 გრადუსით, მივიღებთ 999-ს. ე.ი.




1999 წელს ჩვენი საუკუნის ბოლოს.

იაკობი მოკვდა 147 წელს. ყველაფერი ისე აღუსრულეს შვილებმა იაკობს, როგორც უანდერძა მათ. წაასვენეს იგი შვილებმა ქანაანის ქვეყანაში და დამარხეს მღვიმეში მახფელას მინდორზე, რომელიც საკუთარ სამარხად იყიდა აბრაამმა მინდორთან ერთად ყეთრონ ხეთელისაგან.

ცხოვრობდა იოსები ეგვიპტეში მამამისის მოდგმასთან ერთად და იცოცხლა იოსებმა ას ათი წელი. სიკვდილის წინ კი უთხრა იოსებმა ძმებს, მე ვკვდები, მაგრამ ღმერთი მოგხედავთ და წაგიყვანთ ამ ქვეყნიდან იმ ქვეყანაში, რომელსაც შეპირდა იგი აბრაამს, ისაკს და იაკობს. იოსებმა დააფიცა ისრაელიანები: როცა ღმერთი მოგხედავთ, აქედან წაიღეთ ჩემი ძვლები. მოკვდა იოსები ას ათი წლის, შემურვეს იგი და ჩაასვენეს კიდობანში ეგვიპტეში.

*ბიბლიური წინასწარმეტყველება*

ბიბლიური წინასწარმეტყველება ნიშნავს ძველ აღთქმას დაბადებიდან იოსებამდე, ძველი აღთქმა მოიცავს უამრავ წინასწარმეტყველებას. ჩვენ ვცანით რამდენიმე ნიმუშის მოყვანა აქ.

1. უთხრა უფალმა გველს: “მტრობას ჩამოვაგდებ შენსა და დედაკაცს შორის, შენს თესლსა და დედაკაცის თესლს შორის: ის

თავს გიჭეჭყავდეს, შენ კი ქუსლს უგესლავდე (დაბ. 3,15)

ამ სიტყვებით ღმერთმა აღუთქვა კაცობრიობას მაცხოვარი (მესია ანუ ქრისტე), სოფლის მხსნელი, რომელიც იშვებოდა ქალწულისგან და შემუსრავდა ეშმაკის უფლებას კაცზე.

2. "უთხრა უფალმა აბრაამს, იცოდე მდგუმურად იქნება შენი შთამომავლობა სხვის ქვეყანაში (ნაგულისხმევია ეგვიპტე) დამორჩილებული და დაჩაგრული ეყოლებათ ოთხას წელიწადს (დაბ. 15, 13)

მართლაც იაკობი თავისი ოჯახით ეგვიპტეში დასახლდა 1666 (ძვ.წ.) წელს და მოსეს წინამძღოლობით გამოვიდა 1666-400=1266 (ძვ.წ.) წელს.

3. იოანე ზოსიმეს "ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი"-დან ვიცით, რომ ქართული ენა ოთხი დღის, ანუ ოთხი ათასი წლის მკვდარია, მისი სიკვდილი, დამდაბლება-დაწუნება ოთხი ათას წელს გაგრძელდება.

წიგნი "ბიბლიურ წიგნებში განივთებული საიდუმლო" (მამუკა ჯღარკავა) გვეუბნება, რომ აღდგომა "ლაზარესი" ანუ ქართული ენის დაწყებულია და უნდა დამთავრდეს 2004 წელს.

4. ესაიამ იწინასწარმეტყველა, რომ მაცხოვარი იშვება ქალწულისაგან, დავითის ტომისაგან, ის იქნება ქრისტე, ე.ი. ცხებული ღვთისა; ის ეწვალება, მოკვდება და თავისი წვალებით ყველა მის მორწმუნეს გამოიხსნის, აღსდგება და მის სუფევას არ ექნება დასასრულიო.

5. "იერემიას წინასწარმეტყველება, იუდეველთა ტყვეობა ბაბილონში 70 წლის შემდეგ დამთავრდება და ებრაელები სამშობლოს დაუბრუნდებიანო-აღსრულდა".

ყველა წინასწარმეტყველებაზე გამორჩეულია დანიელის წინასწარმეტყველება, რომელიც ჩვენს საუკუნესაც ეხება, როგორც ახალ აღთქმაში იოანეს გამოცხადება.

*ბიბლიური სიმბოლოები.*

ბიბლიაში სიმბოლოებს მნიშვნელოვანი როლი აკისრია, რომელთა ცოდნა სავალდებულოა ბიბლიის კომენტარებისას. ბიბლიის სიმბოლოების გარკვევაში თვითონ ბიბლიის შემდგენლები გვეხმარებიან, რა თქმა უნდა შეფარულად.

1. გველი-"დაბადებაში" ცბიერი და მატყუარაა ე.ი. ჩაითვლება ბოროტების სიმბოლოდ, ამავე დროს გონიერი და ინტელექტუალურია. "იყავით გონიერნი, როგორც გველნი"-გვეუბნება სახარება.

2. წყალი-სიბრძნის სიმბოლოა; "მდინარე მოედინება ედემიდან ბაღის მოსარწყავად, მერე იტოტება და იქმნება ოთხი ნაკადი".

ეს ასე უნდა გავიგოთ: "ედემი" ღმერთის ადგილსამყოფელი, ე.ი. იქიდან გამომდინარე მდინარე იქნება "სიბრძნით მოცული". იგი მოედინება ოთხი მიმართულებით, ე.ი. დედამიწის ოთხივე მხარეს-სიბრძნის, ჭეშმარიტების გასავრცელებლად.

4. ჭა-თუ მასში წყალია, ნიშნავს, რომ სიბრძნე იქაა, სადაც ჭა მდებარეობს ტერიტორიულად, და თუ ჭაში წყალი არ არის (უწყლოა) ის ადგილი სიბრძნეს მოკლებულია.

მაგ. როცა აგარი (სარას მხევალი) ბერშებას უდაბნოში ხეტიალობდა, გაუთავდა მათარაში წყალი..."აუხილა მას თვალი ღმერთმა და დაინახა ქალმა წყლიანი ჭიქა; წავიდა წყლით აავსო მათარა და ყმაწვილს დაალევინა"

"საყვედურობდა აბრაამი აბიმელექს წყლის ჭის გამო, რომელიც

მიტაცებული ჰქონდა აბიმელექის მორჩილთ". (დაბ. 21, 25)

"დაიძრა იაკობი და წავიდა ედემის ძეთა ქვეყნისაკენ. ხედავს ჭა არის ველზე და ცხვრის ფარა წევს მის მახლობლად, რადგან ამ ჭიდან არწყულებდნენ ფარებს. დიდი ლოდი ახურავს ჭის პირს (დაბ. 29-1,2)

ეს ასე უნდა გავიგოთ: იაკობი სადაც მიდის, არის "ჭა" ანუ სიბრძნე, რადგანაც ამ ჭიდან არწყულებდნენ ფარებს, მაგრამ დიდი ლოდი რომ ახურავს ჭის პირს, ნიშნავს დროებით იმ ქვეყნიდან, ადგილიდან "სიბრძნის" გაცემა არ ხდება, სიბრძნეს ტაბუ ადევს,

"აიღეს და ჭაში ჩააგდეს იოსები; ცარიელი იყო ჭა, წყალი არ იდგა" (დაბ. 37,24)

• ბუნებრივია, რომ ჭაში წყალი არ იდგა"-იოსებს ღვთიური სიბრძნის გამო აგდებენ ჭაში. შეიძულეს ძმებმა, რადგანაც არ უნდათ ჭეშმარიტება ბატონობდეს ცისქვეშეთში.

5. მტრედი-მშვიდობის სიმბოლოა.

6. ყორანი-"ბნელი ცნობიერების" სიმბოლო.

7. სოდომი-ბოროტების და გარყვნილობის სიმბოლო

8. ციფრი 9-იანი-ღმერთის სიმბოლოა-ღმერთი მეცხრე ცაზეაო ვამბობთ.

9. ცოლი-ქალი-ბიბლიაში ძირითადად სიბრძნეს წარმოადგენს. ე.ი. პატრიარქების ცოლები, რომელი ქვეყნიდანაც არიან, იმ ქვეყნის სიბრძნე გააჩნიათ.

<u>ბიბლიური პარალელები.</u>

1. შეცოდების შემდეგ ღმერთმა ადამი განდევნა ედემიდან, აბრაამი თავისი სამშობლოდან, ქალდეველთა ურიდან (ქალდეველები პლუტარქეს მიხედვით, ის კი თავის მხრივ ლექსიკოგრაფ სტეფანე ბიზანტიელის მიხედვით დღევანდელი კოლხებია) გამოვიდა და ქალაქ ხარანში დასახლდა.

იაკობი თავისი საცხოვრებელი ადგილიდან მიდის შუამდინარეთში, მოგვიანებით ბრუნდება უკან და შემდეგ მიდის ეგვიპტეში. ასევე იქცევიან იოსები და ისაკი.

პატრიარქების გადაადგილების მიზეზი ერთი ადგილიდან მეორეში არის, ძირითადად სიბრძნის შეძენა რომელიმე ქვეყანაში და შემდგომ ამ სიბრძნით ჭეშმარიტების ქადაგება ამა თუ იმ ქვეყანაში.

2. ღმერთი ადამს და ევას ტყავის სამოსელით მოსავს.

რახელი ესავის ტანისამოსს აცმევს იაკობს, ხოლო ხელები და უბალნო კისერი კი თიკნის ტყავით დაუფარა".

3. როცა ადამი და ევა შეჭამენ აკრძალულ ხილს (იგულისხმება ცნობადის ხის ვაშლი) შეეძინებათ შვილები.

ლეა და რახელიც ასევე იქცევიან. როცა შეჭამს რახელი მანდრაგორის ვაშლს (იგულისხმება კვლავ ედემის ვაშლი) შეეძინებათ შვილები. აღმოსავლეთში მანდრაგორის სახელის მატარებელ მცენარეს გაახალგაზრდავების თვისება გააჩნიათ.

5. ეგვიპტელი მხევალი ქალი აგარი ბერშებას უდაბნოში ხმამაღლა ტიროდა, "რადგან იფიქრა ბავშვის სიკვდილს ვერ ვუყურებო".

"აკოცა იაკობმა რახელს და ხმამაღლა ატირდა"

"ატირდა იოსები, როცა ეს უთხრეს" (დაბ. 50,17)

6. ადამიდან მეათე თაობაში დაიბადა ნოე.

სემიდან მეათე თაობაში დაიბადა აბრამი.

7. იაკობს 12 შვილი ჰყავდა, ხოლო უფალ იესოს 12 მოწაფე.

8. 600 წლის იყო ნოე, როცა ამ ქვეყნად მოხდა წარღვნა, ხოლო სემიმ წარღვნის შემდეგ იცოცხლა 600 წელი.

9. აბრაამი იყო 100 წლის, როცა შეეძინათ ისაკი, იაკობიც იყო 100 წლის, როცა დაიბადა იოსები.

10. უფალი იესო იყო 33 წლის, როცა იუდეველებმა აცვეს ჯვარს, ხოლო ჯვარცმიდან უფალ იესოს აღდგომამდე გავიდა ზუსტად 33 საათი.

11. ნოეს კიდობანის სიგრძე 300 წყრთა იყო, სიგანე 50 წყრთა, სულ 350 წყრთა. ზუსტად 350 წელი იცოცხლა ნოემ წარღვნის შემდეგ.

12. ნოეს კიდობანი ურთხელისგანაა გაკეთებული, ასევე "ასე უთხრა უფალმა მოსეს: გააკეთონ კიდობანი ურთხელისგან".

13. შიმშილობა იყო ქვეყანაში და წავიდა აბრამი ეგვიპტეში. შიმშილობა იყო ქანაანის ქვეყანაშიც. და იაკობი თავის ოჯახით მიდის ეგვიპტეში.

14. "ვინც ადამიანის სისხლს დაღვრის, ადამიანის მიერვე დაიღვრება მისი სისხლი, რადგან ღვთის ხატად შეიქმნა ადამი".

"ვინც მახვილით ჰკლავს, თვითონაც მახვილით მოჰკვდება. ამაშია წმიდათა მოთმინება და რწმენა. (გამოცხადება 13.10)

15. აკურთხა ღმერთმა ისინი (ადამი და ევა) და უთხრა: ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა, დაეუფლეთ მას (დაბ. 1 28)

ევამ შვილები შობოს და ეს იყოს მისთვის მარადიული განსაცდელი და ადმმა თავისი ოფლით მოიყვანოს პური და იყოს მისი სარჩო.

"აკურთხა ღმერთმა ნოე და მისი შვილები და უთხრა: ინაყოფიერეთ, იმრავლეთ და აავსეთ ქვეყანა".

შეიძლება ითქვას, რომ ბიბლია მთლიანად წინასწარმეტყველთა წმინდა კაცთაგან შედგენილი წიგნია და უამრავია იქ მსგავსი პარალელები, ჩვენ ვცანით, რომ რამდენიმე შეგვერჩია.

ისრაელის მეფე დავით წინასწარმეტყველი (ფსალმუნების ავტორი) არის 33-ე მოძღვარი იესო ქრისტეს მიწიერ წინაპართა გენეალოგიის მიხედვით; ხოლო იესო ქრისტე ჯვარს აცვეს 33 წლის.

ღვთისმეტყველთა თანახმად, ძველი აღთქმა წარმოადგენს მომზადებას და წინასწარმეტყველებას ქრისტეზე. ნაწინასწარმეტყველები იყო ზუსტი დრო და ადგილი მესიის შობისა, მოგვთა თაყვანისცემა, ეგვიპტეში გაქცევა, მაცხოვრის სასწაულები, მესიის უარყოფა იუდეველი ხალხის მიერ, ტანჯვა, ჯვარცმა, აღგომა და ამაღლება.

"უთხრა უფალმა აბრამს, იცოდე მდგურად იქნება შენი შთამომავლობა სხვის ქვეყანაში. დამორჩილებული და დაჩაგრული ეყოლებათ ოთხას წელიწადს და მეოთხე თაობაში მობრუნდებიან, აქ მხოლოდ მაშინ, როცა აივსება ამორეველთა უკეთურებით საწყაული".

აქედან ჩანს, რომ ბიბლიური ერთი თაობა არის 100 წელი. ე.ი. 4 თაობა 400 წელი.

ადამიდან იესო, როგორც ვხედავთ, დაიბადა მე-60-ე თაობაში, მაშასადამე 60X100=6000 წელი.

ზუსტად ამდენი დრო გავიდა ადამიდან უფალ იესოს დაბადებამდე.

ბიბლიური პარალელებიდან გამომდინარე შეიძლება დავუშვათ, რომ ადამი განიდევნა ედემიდან 30 წლის ასაკში, რადგან ქრისტემ მოღვაწეობა დაიწყო 30 წლის ასაკში. სულ იყო ექვსი მოძღვარი:

1. ადამი 2. ნოე 3. აბრამი 4. ისაკი 5. იაკობი 6. იესო.

აბელი ზვარაკად ეწირება ადამის ეპოქას-ეს არის პირველი სისხლი დედამიწაზე. ქრისტე ზვარაკად ეწირება ძვ.წ.აღ. 300 წლის დასასრულს.

დიდი პატრიარქი აბრამი დაიბადა ძვ.წ. 1956 წელს. სიტყვა აბრამი ციფრებში ასეა მოცემული ა-1, ბ-2, რ-100, ა-1, მ-40, იგი იყო ქალდეველი და როგორც ზევით მოგახსენეთ ქალდეა იყო ძველი კოლხების წინარე ქვეყანა. აბრამი იყო თერახის ძე, თერახი ბოლოდან ასე იკითხება იხარეთ. ამდენად აბრამის მოვლენა იყო ღმერთის წყალობა ისევე, როგორც ქრისტეს მოვლენა და ამის უწყება ხარება დღესასწაულით 25 მარტს ხდება.

*კარლ მარქსი და მზის დაბნელება*

ძველმა ეგვიპტელებმა საინტერესო კანონზომიერება აღმოაჩინეს ყოველ 18 წელსა და 10 დღეში მზისა და მთვარის ურთიერთმდებარეობა, აგრეთვე-მზისა და მთვარის გზების გადაკვეთის წერტილების მდებარეობაც (მთვარის კვანძების), ციურ სფეროზე მეორდება. ამიტომ იმ 18 წლისა და 10 დღის განმავლობაში მომხდარი მზის დაბნელება იგივე თანმიმდევრობით მეორდება. ეს საინტერესო მოვლენაა, რომელსაც ეგვიპტეში "საროსი" უწოდეს, რაც განპირობებულია იმით, რომ მთვარის, მზის გარშემო შემოვლის პერიოდსა (სინოდური თვის) და მისი მთვარის კვანძების გარშემოვლის (დრაკონული თვის) პერიოდს შორის არსებობს ძალიან ახლო თანაბარი ზომიერება. იგი შემდეგი თანაფარდობით გამოისახება: 223 სინოდური თვე=242 დრაკონულ თვეს.

ახლა კი მივყვეთ რა ხდებოდა ამ წრიული თუ ციკლური დაბნელების დროს — 1818 წლის 5 მაისს ქალაქ ტრირში დაიბადა კარლ მარქსი, რომელზეც ბირმარკმა ხუმრობით თქვა: "აცალეთ ამ ბუღალტერს და იგი ევროპას ცხარე ცრემლით ატირებს". მან ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში თქვა უარი ეკლესიაზე და ლექსების სახით გუნდრუკს უკმევდა ბნელეთის თავადებს, კერძოდ სატანას. აი მისი ლექსის ფრაგმენტის თხრობითი სახე: "ო, სატანავ, შენი სუნთქვა შთამაგონებს მე ლექსებს, როდესაც სულით უარს ვამბობ ღმერთებზე, თავადებზე, ეკლესიაზე, შენი ელვა შეძრავს გონებას. ო, სწორი გზნებისგან შორს მოგზაურო სულო, სატანა გულმოწყალე და ყოვლისშემძლეა".

ახლა კი მივყვეთ იმას, თუ რა ხდებოდა სხვა წრიული დაბნელების დღეს ანუ საროსის დღეს. 1944 წლის 20 ივლისს ხდება თავდასხმა ადოლფ ჰიტლერზე. შემდეგი ციკლი 1962 წლის ივლისს ხდება კარიბის კრიზისი, რომლის შედეგად ისე გამწვავდა მდგომარეობა, რომ მსოფლიო ომის საშიშროება შეიქმნა.

*შურისძიება თუ შემთხვევითობა.*

ბელობოროდოვიმ ლენინის და სტალინის დროინდელმა ბოლშევიკმა, 1918 წელს ხელი მოაწერა ნიკოლოზ II-ის სასიკვდილო განაჩენს. ბელობოროდოვის წინაპრის, პუგაჩოვის აჯანყების მონაწილის სასიკვდილო განაჩენს ხელი მოაწერა ნიკოლოზ II-ის წინაპარმა ეკატერინე II-ემ. რა არის ეს, ისტორიის შემთხვევითი პარადოქსი თუ ბედისწერის კანონზომიერება?

## რეინკარნაცია თუ ადამიანთა გარეგნული და იდეოლოგიური დამთხვევები

დიდმა რუსმა ანთროპოლოგმა გერასიმოვმა შეიმუშავა მეთოდი, რომლის მიხედვით ადამიანის თავის ქალის შესწავლით შესაძლებელი იყო აღგვედგინა სახის ნაკვეთები.

ყოველივე, რაც ამ თავის სათაურის ქვეშ იქნება მოთხრობილი, შესაძლო

ღვთაებრივი კანონზომიერებაა, ან მინიშნებითი გაფრთხილება-რათა სამყარო ჩვენ უფრო შევიცნოთ, ან უბრალო შემთხვევითობაა. ასეა თუ ისე, ამ მასალამ ერთად თავმოყრილი ბედისწერის ტყეში შესულ მკვლევარს ბილიკი უნდა გაუნათოს მუგუზალით. შემდეგ კი მუგუზალი შეიძლება დიდ სინათლეში გადაიზარდოს. ძველი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი იმპერიაა ბაბილონი, რომელსაც 70 წლის განმაელობაში შიშსა და მორჩილებაში ჰყავდა მაშინდელი სამყაროს კულტურის კერა ისრაელის სამეფო. მე-20 საუკუნეში-საბჭოთა კავშირი, ერთ-ერთი ყველაზე დაუნდობელი იმპერია მორჩილებაში ჰყავდა კაცობრიობის ერთი მეხუთედი, რომელსაც ასევე 70 წელი ჰყავდა მორჩილებაში დაპყრობილ ტერიტორიებზე არსებული ადამიანები.

1. ძველი ბაბილონიც იმპერიის არსებობის 70 წლის მერე მიდიელების და სპარსელების ლუკმა გახდა და გაუდაბურდა. ვნახოთ, რა მოელის საბჭოთა კავშირის ყველაზე დიდ ნამსხვრევს — რუსეთს. რიცხვი 70 იმპერიულობის ნიშნად წარმოგვიდგება ასეთ შემთხვევებში.

2. რუსული იუმორი ერთ-ერთ ყველაზე მახლობელი და ძვირფასია ქართველისთვის და ასევე პირიქით, რადგან ორივე ერი ამ დროს გულის გულში ჩადიან. ამასთან დაკავშირებით უნდა გითხრათ, რომ ერთხელ ცინცხალი გონების რუს ჩინოვნიკს ხუმრობით კაბინეტში დემოკრიტეს ბიუსტი დაუდგამს. ეს ის პერიოდია, როდესაც ლენინის სურათი საყოველთაო ვალდებულებასავით სამუშაო ოთახში კი არა, თვით სამზარეულოში და მოსასვენებელში უნდა ჰქონოდათ ხელისუფლების საშუალო წარმომადგენელსაც. მნახველი ამ ბიუსტს ყველა ლენინად აღიქვამდა, მაგრამ მფლობელი აიძულებდა წაეკითხათ ბიუსტზე მითითებული წარწერა, სადაც ეწერა ბიუსტის ვინაობის დამადასტურებელი წარწერა "დემოკრიტე". მნახველი შტერდებოდა ამ ორი ადამიანის მსგავსებაზე, რომლებიც მთელი 25 საუკუნის დაშორებით ცხოვრობდნენ დედამიწაზე და მათ სულს გარდა გარეგნობისა, ჰქონდათ ერთი ძლიერი მსგავსება. ორივე მგზნებარე მატერიალისტი იყო. რუსი ანთროპოლოგი და სწავლული გერასიმოვი ამტკიცებდა, რომ ადამიანის თავის ქალის ფორმა და სულიერი სამყარო ერთმანეთთან კავშირშია.

3. მეოცე საუკუნის ძალმომრეთა საუკეთესო ექსპონატი მაო-ძე დუნი საოცარ მსგავსებაშია ძვ.წ. XI საუკუნეში მცხოვრებ კულტად ქცეულ ფივიის (ეგვიპტე) ბელადთან მონტუემხეთთან, თუმცა ეს უკანასკნელი ფივიელი კი არა ეთიოპელი იყო და მათ შორის დროის მანძილი 3000 წელია.

4. რომის იმპერიის იმპერატორი მაქსიმილიან თრაკიელი, რომელიც ცხოვრობდა მე-2 და მე-3 საუკუნის მიჯნაზე და თუ მის იდეოლოგიურ და მმართველობით ძალაუფლებას პირობითად დავარქმევთ მესამე რაიხს, საოცარ მსგავსებაშია მე-20 საუკუნის ნამდვილ მესამე რაიხთან ადოლფ ჰიტლერთან და თუ რომაელს ჰიტლერის თავსაბურავს დავახურავთ და ულვაშებს მივაწებებთ, მათი გარჩევა თვით უახლოეს თანამშრომლებსაც გაუჭირდებათ. არ დაგვავიწყდეს, რომ იტალია ფაშიზმის მეორე სამშობლო იყო მსოფლიოში.

5. იმპერატორი ვოლუსიანი (რომი III საუკუნე), რომელიც წარმოშობით ეტრუსკი იყო, არამარტო გარეგნობით, რომელიც მის ბიუსტშია გაცხადებული ეხმიანება თანამედროვეობის დიდ მსახიობს ოლეგ დალს.

6. რომის იმპერატორის კონსტანტინეს დედა ელენე, რომელიც გამოირჩეოდა თავის სულიერებით, პირველი ქრისტიანობით და



# ორეულები საუკუნეების განმავლობაში



დამოუკიდებელი ხასიათით, ადექვატურ მსგავსებას წარმოადგენს ამ საუკუნის პოეტი ქალბატონის ანა ახმატოვასი, რომელთა ხასიათშიც მოიძებნება უამრავი მაგისტრალური ხაზები.

7. მარკ ავრელიუსი (რომის იმპერატორი) და პუშკინი-რუსი პოეტი ერთმანეთის განსახიერებას წარმოადგენენ ფიცხი ნიჭიერებით, დიდების წყურვილით და ხასიათის ბევრი ნიმუშით.

არ დაგვავიწყდეს, რომ ძველი რომი ნოსტრადამუსთან დაქარაგმულია სამთავიან ურჩხულად ისევე, როგორც მეოცე საუკუნის რუსეთი. ამ ორ ურჩხულს შორის არის ძირითადად ეს დამთხვევები.

8. შემთხვევითია თუ არა, არავინ იცის, მაგრამ ჯვაროსნებმა 1096-1099 წელს იერუსალიმი აიღეს 3 საათზე პარასკევს. ეს დღე, საათი ქრისტეს ჯვარცმის დროა.

9. 1805 წლის 2 დეკემბერს ნაპოლეონმა მოიგო ბრძოლა, რომელიც მის სამხედრო ბიოგრაფიის სიამაყს წარმოადგენს-აუსტერლიცი. 1851 წლის 2 დეკემბერს მისმა ძმისშვილმა ლუი ბონაპარტემ მოაწყო გადატრიალება და ზუსტად 2 წლის შემდეგ საკუთარი თავი იმპერატორად გამოაცხადა.

10. 1799 წლის 9 ნოემბერს ნაპოლეონმა მოაწყო გადატრიალება, ოქტომბრის რევოლუცია კი 1917 წლის 7-8 ნოემბერს მოხდა. 1918 წლის 8 ნოემბერს გერმანიაში მოხდა რევოლუცია. 1923 წლის 8 ნოემბერს ჰიტლერმა მიუნხენში მოაწყო ლუდის პუტჩი. 1480 წლის 9-11 ნოემბერს დაიწყო ახმატ-ხანის უკან დახევა, რაც მაუწყებელი იყო მონღოლეთის უღლის შეწყვეტისა რუსეთზე. 1989 წლის 9 ნოემბერს დაინგრა ბერლინის კედელი.

1815 წლის 22 ნოემბერს ნაპოლეონი მეორედ და სამუდამოდ იქნა მოკვეთილი საფრანგეთის ტახტიდან. 1940 წლის 22 ნოემბერს მარშალმა პეტენმა ხელი მოაწერა ჰიტლერთან ზავზე. (ფაქტიურად ეს იყო საფრანგეთის კაპიტულაცია გერმანიის სამხედრო ძალების წინაშე). 1941 წლის 22 ივნისს ჰიტლერი შემოიჭრა საბჭოთა რუსეთში. 1942 წლის 22 ივნისს ჰიტლერმა დაიწყო ყველაზე მძლავრი შეტევა კავკასიაზე.

15-დან 22 აპრილამდე დაბადებულნი არიან ლენინი, ჰიტლერი, ხრუშჩოვი, კიმ ირსენი, 19-დან 26 დეკემბრამდე სტალინი, მაო ძე დუნი, ბრეჟნევი.

ელისაბედ პეტრეს-ასულის დაბადება დაემთხვა პეტრე I-ის მიერ პოლტავის ბრძოლის მოგებას. (რაც გარდამტეხი იყო რუსეთის ომების ისტორიაში.)

ჰეროსტრატეს მიერ არტემიდას დაწვა დაემთხვა ალ. მაკედონელის დაბადებას, რასაც მისტიკაში თვლიან ერთი საოცრების მეორე საოცრებით შეცვლას.

ალ. მაკედონელი გარდაიცვალა 33 წლის ისევე, როგორც ქრისტე ჯვარცმის დროს. მხედართმთავრის იდეოლოგიური საფუძველი იყო, რომ მთელი მსოფლიო უნდა შეკრებილიყო მის გონებაში, ერთ წერტილში, ისევე, როგორც ქრისტემ იტვირთა მთელი კაცობრიობის ცოდვების გამოსყიდვა.

ნაპოლეონი გარდაიცვალა წმინდა ელენეს კუნძულზე 1821 წლის მაისში. ამავე წელს მის დაბადების დღეს 15 აგვისტოს მისმა მეუღლემ მარი ლუიზამ გააჩინა შვილი საყვარლისგან.

1744 წლის 29 ივნისს ჯვარი დაიწერეს თუ დაინიშნენ ეკატერინე II და პეტრე III. ეს დღე პეტრე III-ის დღედ არის ცნობილი. 1762 წლის 28 ივნისს ეკატერინემ პეტრე III-ეს ტახტი წაართვა, ერთი კვირის შემდეგ კი პეტრე III-ე შარფით მოახრჩეს.

1991 წლის 25 დეკემბერს 5 დღით ადრე ვიდრე შესრულდებოდა საბჭოთა

კავშირის 69 წლისთავი დაარსებიდან, გორბაჩოვი გადადგა და საბჭოთა კავშირი დაშლილად გამოცხადდა.

საქართველოს ისტორიკოსები საქართველოს ისტორიის უიღბლო დღეებზე ასეთ ცნობებს გვაწვდიან, რომ წვიმდა ბაზალეთის და კრწანისის ომის დროს, 1989 წლის 9 აპრილსაც ცოტა წამოწვიმა.

რას მივაწეროთ ყოველივე ზემოთაღწერილი ისტორიის ხუმრობებს თუ ზეციურ კაპრიზებს, ვერ ვიტყვით, რომ ყველა ფაქტი იმსახურებს საგანგებო დაკვირვებას, მაგრამ უმეტესობა კი ალბათ აუცილებლად.

*აბრაამ ლინკოლნი და ჯონ კენედი*

იშვიათია ისეთი მასშტაბების დამთხვევები, როგორიც აბრაამ ლინკოლნსა და ჯონ კენედის შორის არის.

ლინკოლნმა არჩევნებში 1860 წელს-კენედიმ 1960 წელს გაიმარჯვეს. ორივე პრეზიდენტი სასიკვდილოდ დაიჭრა თავში. დღე იყო პარასკევი. ორივეს თან ახლდა მეუღლეები. ორივე შეცვალეს ვიცეპრეზიდენტებმა, რომლებიც ადრე სამხრეთის შტატების სენატორები იყვნენ, ორივე დემოკრატიული პარტიიდან. ორივეს გვარი ჯონსონი გახლდათ. ჩვენ აქვე გვინდა კომენტარი გავაკეთოთ ასეთი-ვამბობთ, რომ ორივეს თან ახლდა მეუღლეები, ისინი შეცვალეს ვიცე-პრეზიდენტებმა-ამ ორ ფაქტში უჩვეულო არაფერია, რადგან პრეზიდენტს მეუღლე ხშირად ახლავს თავს და სიკვდილის შემთხვევაში მათ ვიცე-პრეზიდენტები შეცვლის. მაგრამ ჩვენ ხშირად იმდენად გვიტაცებს ამ ფაქტების მოძებნა, ფეხსაცმლის ზონრის სიგრძე და ფერი რომ ემთხვეოდეს ერთმანეთს, ალბათ ამასაც ავღნიშნავდით. ასე რომ შევთანხმდეთ, თქვენ თვითონ შეარჩიეთ ღირებული და ნაკლებად მნიშვნელოვანი დამთხვევები, ანალოგები და პარადოქსები რა არის. აი ეს კი, რასაც ქვევით ავღნიშნავთ, ნამდვილად უნდა იწვევდეს ფიქრს და გაოცებას. ლინკოლნის შემცვლელი ენდრიუ ჯონსონი და კენედის შემცვლელი ლინდონ ჯონსონი 1808 წელს დაიბადნენ.

ლინკოლნის მკვლელმა ჯონ უილის ბუტმა პრეზიდენტს თეატრში ესროლა და შემდეგ საწყობში იმალებოდა. კენედის მკვლელმა კი ლი ჰარვი ოსვალდმა პრეზიდენტს წიგნის საწყობის ფანჯრიდან ესროლა და კინოთეატრში დამალვის დროს დააპატიმრეს. •

ორივე მკვლელი სამხრეთელები იყვნენ, დაიბადნენ შესაბამისად 1839 და 1939 წელს და სასამართლო პროცესის დაწყებამდე დაიღუპნენ.

ლინკოლნის მდივანი ქალი, გვარად კენედი აფრთხილებდა, მომავალი საფრთხის შესახებ და სთხოვდა, არ წასულიყო თეატრში, ასევე კენედის მდივანი ეველინ ლინკოლნი ინტუიციით გრძნობდა საფრთხეს და ცდილობდა, რომ პრეზიდენტს დალასში წასვლა გადაეფიქრებინა. ორივე კონგრესში არჩეული იქნენ შესაბამისად 1847-1947 წელს. ორივემ 24 წლის ქალებზე იქორწინა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა თავდასხმა ა.შ.შ.-ის პრეზიდენტებზე სიკვდილით დასრულდა, რომელთა შორის იშვიათი გამონაკლისია რეიგანზე თავდასხმა, მაგრამ მას ღმერთმა ისეთი იმპერიის დანგრევა მიანდო, როგორიც საბჭოთა კავშირშია და ეს მისია მას ბოლომდე უნდა შეესრულებინა.

*თემურ-ლენგი და ბაიაზეთი*

ბედისწერის არსებობასთან დაკავშირებით მსოფლიო ისტორიას ერთი უნიკალური დიალოგი აქვს, რომელშიც ორმა ტირანმა თემურ-ლენგმა და ბაიაზეთ I-მა მიიღეს მონაწილეობა.

მათ დროს მსოფლიოს ორი უზურპატორი ჰყავდა მათი სახით, ამიტომ იმ დროის მსოფლიო მოუთმენლად ელოდა მათ შეხვედრას ბრძოლის ველზე. მსოფლიომ იცოდა, რომ ეს ორი ერთად დედამიწაზე არ დაეტეოდა. ბრძოლაც

შედგა და თემურმა მისთვის ჩვეული მზაკვრობით რამდენიმე საათში დაასრულა და თვით ბაიაზეთი ტყვედ ჩაიგდო. გამარჯვების საზეიმო ტახტრევანი დაადგმევინა და ბრძანა ძვირფასი ნადავლი მოეყვანათ. ბაიაზეთის დანახვისთანავე თემურს სიცილი აუტყდა. ბაიაზეთმა ეს დაცინვად მიიღო და თემურს არ მოუწონა ვაჟკაცის უღირსი საქციელი და ასე მიმართა: "ნუ იცინი, თემურ ნუ იცინი, იცოდე, რომ ტახტებს და სამფლობელოებს ღმერთი ანაწილებს და ვინ იცის, ხვალ თუ ზეგ იგივე დღე შენ დაგადგეს". მაშინვე თემურს სახე მოეღუშა და ასეთი პასუხი გაუცია:-"მე შენზე უკეთ ვიცი, რომ ყოველივე ამას ღმერთი ანაწილებს, მაგრამ მე იმაზე მეცინება, ორი ამხელა იმპერია მე კოჭლს და შენ ბრმას რომ გვარგო წილად. ეტყობა, რომ ღმერთისგან ეს საჩუქარი მაინცდამაინც დიდად არ უნდა იყოს მიჩნეული, თორემ ჩვენ ასე არ დაგვასაჩუქრებდა. აი ასე ესმოდა ბედის და განგების არსებობა სწორუპოვარ ტირანს.

*ნაპოლეონი და ჰიტლერი*

ეს ერთ-ერთი ასევე იშვიათი ანალოგიაა ორი მსგავსი ტირანის ნაპოლეონი დაიბადა 1760 წელს. ჰიტლერი 1889 წელს სხვაობა 129 წელი. ნაპოლეონი ხელისუფლების სათავეში მოვიდა 1804 წელს. ჰიტლერი 1833 წელს სხვაობა 129 წელი. ნაპოლეონი თავს დაესხა რუსეთს 1812 წელს. ჰიტლერი თავს დაესხა რუსეთს 1941 წელს სხვაობა 129 წელი. ნაპოლეონმა ომი წააგო 1816 წელს. ჰიტლერმა ომი წააგო 1945 წელს სხვაობა 129 წელი. ორივე გახდა მმართველი 44 წლის ასაკში. ორივე თავს დაესხა რუსეთს 52 წლის ასაკში. ორივემ ომი საბოლოოდ წააგო 56 წლის ასაკში.

ნაპოლეონმა გადამწყვეტი ბრძოლა სოფელ ვატერლოოსთან (ბელგია) წააგო ფელდმარშალ ჰერცოგ ველინგტონის ჯარების წინააღმდეგ. აქ ნაპოლეონის წინაშე თითქმის მთელი მსოფლიო იდგა, მოკავშირეთა ჯარებს, რომელსაც ინგლისელი ველინგტონი სარდლობდა. ნაპოლეონს ომის წარმართვა და მისი ბედი სწრაფ გადაადგილებაზე ჰქონდა გათვლილი, რაც ძლიერი წვიმის და ტალახის გამო ვერ შესრულდა. ამავე პერიოდში ახალ ზელანდიაში მოხდა ვულკანის ამოფრქვევა, რამაც გამოიწვია ევროპის თავზე ძლიერი ღრუბელი, ამ ღრუბლებმა დატბორეს ევროპის დიდი ნაწილი და მათ შორის სოფელი ვატერლოოც, სადაც მოხდა გენერალური შეტაკება. ვერ გეტყვით რამდენად სერიოზულად ქლერდეს ბედისწერის არსებობაში ასეთი მაგალითების მოტანა, მაგრამ მსგავს მოვლენებს ისტორია ითვალისწინებს შედეგების შეფასებისას. ამჯერადაც საჭიროდ ვცანი ჩამერთო ეს შემთხვევა ბედისწერის ჯაჭვში.

*თემურ-ლენგი და მისი სარკოფაგი*

1941 წლის 20 ივნისს ჰურ-ემირის მავზოლეუმი პროექტორის შუქით განათდა. კინოქრონიკა საფლავის გახსნას იღებდა. 240 ფუთის წონის მქონე მარმარილოს ფილა გადაწიეს და შავი ოქროს ფარჩიანი სასახლე გამოჩნდა.

სასახლის თავსახურავიდან უზარმაზარი ლურსმნები ძლივს ამოგლიჯეს. ცნობილმა მეცნიერმა გერასიმოვმა თემურ-ლენგის თავი ამოიღო და კამერის წინ დაატრიალა. ფირი მოსკოვში გაგზავნეს სტალინთან. აქვე გვინდა დავსძინოთ, რომ ყურანის სწავლულნი წინააღმდეგნი იყვნენ თემურის სარკოფაგის გახსნის და საერთოდ, არც ერთი რელიგია არ ცნობს მეცნიერების ასეთ მიდგომას გარდაცვლილთა განსასვენებლებთან. მეორე დღეს მეორე მსოფლიო ომი დაიწყო. როდესაც აბედითი სარკოფაგი დაუბრუნეს პირვანდელ მდგომარეობას, სტალინგრადთან საბჭოთა კავშირმა პირველი დიდი გამარჯვება იზეიმეს.

*მერლინ მონრო და კლეოპატრა*

მათ შორის 2000 წელი დევს ზღვარად. მათ ორივეს ორი კაცი უყვარდა გაგიჟებით და ორივესთვის ეს კაცები იყვნენ თავისი დროის ყველა სტანდარტის

მეტრი. მერლინი გატაცებული იყო ძმებით ჯონ და ბობი კენედებით. კლეოპატრა-იულიუს ცეზარით და ანტონიუსით. ოთხივე მამაკაცი ძალისა და ხელისუფლების სიმბოლოს წარმოადგენდა მათი სიცოცხლის პერიოდში. მერლინმა და კლეოპატრამ თავი მოიკლეს, ორივემ წერილი დატოვა. ორივეს ცხვირი ცოტა მოგრძო ჰქონდა, თუმცა მერლინის ცხვირი პლასტიკურმა ოპერაციამ ჩაასწორა. და ბოლოს ყველაზე დიდი მსგავსება ის იყო, რომ მარჯვენა ფეხზე ორივეს ექსი თითი ჰქონდა, თუმცა ეს უკანასკნელი დამთხვევა, საგაზეთო წყაროს საშუალებით არის მიღწეული და ამდენად ბოლომდე სანდო არ არის, რადგან გაზეთს უყვარს სენსაცია. ორივეს სხეულის პარამეტრებად ასახელებენ 94-61-94. კლეოპატრას სარკოფაგს აწერია: "აქ წევს დედოფალი, რომელიც წარუმატებლობას უძლებდა. ორი უდიდესი მამაკაცი ძალიან ბევრს ელოდნენ ჩემგან, მაგრამ მე არ შემეძლო მეცხოვრა მათი სურვილის მიხედვით".

მერლინი სიკვდილამდე რამდენიმე კვირით ადრე წერდა: "როგორც ქალი, მე უბედური ვარ. მამაკაცები ძალიან ბევრს ელოდნენ ჩემგან, მაგრამ მე მათი იმედები ვერ გავამართლე".

ეს ფანტასტიკურად ჟღერს-ამბობს ძველი ეგვიპტის ინსტიტუტის დოქტორი ტომას ჩანგი. ამ ორ ადამინს იმდენი აქვს საერთო, რომ ძნელია უბრალო შემთხვევითობას მიაწერო, ალბათ აქ უფრო რეინკარნაციასთან გვაქვს ადგილი.

*ლუდოვიკო XVI, ასევე ნიკოლოზ II* იყვნენ საუკუნოვანი მონარქიის მემკვიდრენი, მათ ორივეს ჰქონდა სუსტი და უმწეო ხასიათი არეულობის და სახელმწიფო ქაოსის დროს, თუმცა ისინი ორივე მედგრად შეხვდა სიკვდილს და წარბი არ შეუხრიათ. ასევე ორივე იყვნენ კერძო ურთიერთობაში კეთილი და უბრალო. მათ ჰყავდათ ხასიათით საოცრად მსგავსი ცოლები- ქედმაღალნი, პატივმოყვარე, წმინდა არისტოკრატიული წარმოშობის, ორივენი ერეოდნენ პოლიტიკაში გაუნათლებელი გონებით, თუმცა ასევე ორივეს საგანგებო განათლება ჰქონდათ მიღებული. ორივეს მონარქიული ოჯახის სიკვდილი ნაწინასწარმეტყველები იყო. მაშინდელი საფრანგეთის შიდა პოლიტიკა ძალზე წააგავს რუსეთის 1917-18 წლის მდგომარეობას. ორივე ქვეყანა რევოლუციების პერიოდში მიისწრაფოდა რესპუბლიკური წყობისკენ და ამ აჯანყებათა ხელმძღვანელები რობერსპიერი და ლენინი ასევე ძალზე გვანან ერთმანეთს განათლებით, სისასტიკით და პოლიტიკური ხედვებით.

*საქართველოს მეფე დავით IV; აღმაშენებელი* დაიბადა 1073 წელს, ტახტზე ავიდა 1089 წელს, გარდაიცვალა 1125 წელს. რუსეთის ხელმწიფე პეტრე I დაიბადა 1673 წელს (სხვაობა 600 წელი), ტახტზე ავიდა 1689 წელს (სხვაობა 600 წელი), ხოლო გარდაიცვალა 1725 წელს (სხვაობა კვლავ 600 წელი). ამასთან, ამ უკანასკნელმა თავისი უდიდესი ომი შვედებთან დაასრულა 1721 წელს და იმპერატორის ტიტული მიიღო, ხოლო დავით აღმაშენებელმა დიდგორის გადამწყვეტი ბრძოლა 1121 წელს გადაიხადა (სხვაობა კვლავ 600 წელი).

*ეს უბრალო დამთხვევებია? თუ....*

*1664 წლის 5 დეკემბერს* უელსის ჩრდ. სანაპიროს მახლობლად დაიღუპა გემი, სადაც 81 მგზავრიდან გადარჩა ერთი.

*1785 წელს* კვლავ დაიღუპა გემი ამ ადგილას, ამჯერად 60 მგზავრიდან და გადარჩა კვლავ ერთი.

*1860 წელს* ამ ადგილას კვლავ ხდება იგივე ტრაგიკული შემთხვევა და გადარჩენა კიდევ ერთი.

*ნიუ-ჯერსელმა* კლინტონ ბუმმა სანაპიროზე სეირნობის დროს, ტანსაცმლის ჯაგრისი იპოვნა. გასაკვირი ამაში თავისთავად არაფერი იქნებოდა, რომ არა ასეთი შემთხვევა. ჩანთა, რომელშიც ჯაგრისი იპოვა, პირველი ომის დროს

საფრანგეთის სანაპიროებთან ჩაძირულ გემზე ინახებოდა.

*ჯორჯ გორდონ ნოელ ბაირონი* თავის დღიურებში წერდა: 1809 წელს პარნასზე დელფიის წყაროს (კასტრა) გზაზე დავინახე 12 არწივი და ეს მენიშნა. იმ საღამოს პარნას ლექსი მივუძღვენი (ჩაილდ ჰაროლდში). ფრინველების დანახვამ გადამაწყვეტინა, რომ ჩემი ნიჭი სჭირდება აპოლონს. აქვე უნდა ითქვას, რომ ძველ რომში ძალზედ მიღებული იყო ფრინველების რიცხვით და მოძრაობით ბედის კითხვა.

სულას მსგავსად ყოველთვის ვთვლიდი, რომ ყველაფერი ბედისწერაზეა დამოკიდებული და არა ჩვენზე. არ შემიძლია დავასახელო არც ერთი ჩემი სასარგებლო აზრი ან ქცევა, რომელსაც ღმერთქალ ფორტუნას არ უნდა ვუმადლოდე.

*ადმირალ ნახიმოვის* სიკვდილის შესახებ აი რას გვიამბობს ნათელმხილველი: "მის სიკვდილამდე ორი უცნაური რამ მოხდა, თითქოს რაღაცას მიანიშნებდაო 26 ივნისს, ვახშამზე, მის წინ რაღაც წითელი ფერის სითხე დაიღვარა და სუფრაზე საფლავის ჯვარი გამოსახა. იგი ადიუტანსტს მიუბრუნდა და უთხრა:- შეხედეთ ბატონებო, რას უნდა ნიშნავდეს ეს ჯვარი?

28-ში, იმ დროს, როცა ის ბასტიონზე წავიდა, ერთ-ერთი სახლის წინ ადმირალის სახლთან, ვიღაც ახალგაზრდა ბერძენი იდგა.-ვინ იყო?-ჰკითხა ახალგაზრდამ იქვე მდგარ მეზღვაურებს და ღვთის მსახურებს.

-ნახიმოვი-უპასუხეს მათ.

-არ უნდა იაროს,-თქვა ბერძენმა, თორემ პირველივე ტყვია შუბლში მოხვდება.

მართლაც იმავე დღეს 6 სთ-ზე ნახიმოვი დაიღუპა.

28-ში სადილობისას, იგი ძალზედ მხიარული იყო და ადიუტანტებს სხვათა შორის უთხრა:

-ბატონებო არ დაიშალოთ-სამ საათზე ბასტიონებს დავიელი.

სადილის შემდეგ დასასვენებლად წამოწვა. 4 სთ-ზე ადგა და 5 სთ-ზე გავიდა.

როდესაც მთიდან ხიდისკენ ეშვებოდა, ეკლესიის მახლობლად თავზე ყუმბარამ გადაუქროლა.

-ხედავთ გვესალმებიან!

მთელი გზა კარგ ხასიათზე იყო, ადიუტანტებს ესაუბრებოდა. მივიდა მესამე ბასტიონზე, შემოუარა, ახალი ტრანშეები დაათვალიერა და ბალახოვის ყორღანზე წავიდა.

როდესაც ციხე-სიმაგრისკენ მიდიოდა, არავის ტყვია არ გაუსროლია. შემდეგ ციხე-სიმაგრის, ერთ-ერთ გლასისზე (მიწაყრილი) ავიდა და მტრის ტრანშეის თვალიერება დაიწყო.

-მას ეუბნებოდნენ.

-თქვენ უმაღლესობავ, რას აკეთებთ! აქ დგომა არ შეიძლება.

მაგრამ მან როგორც ყოველთვის, არავის დაუჯერა და თავის საყვარელი გამოთქმა მოიშველია,- ყველა ტყვია შუბლს არ ხვდება.

მაგრამ მისთვის ტყვია უკვე გასროლილი იყო და შუბლში მოხვდა.

*კონდრატე რილეევის* მშობლებს, შვილები არ რჩებოდათ და უკვდებოდათ, კონდრატესაც ეს ბედი უნდა სწვეოდა 4 წლის ასაკში, სასოწარკვეთილი დედა უეცრად ტრანსის ბურანში დაინთქა და ანგელოზმა უთხრა, რომ მას სახრჩობელა ელოდა დიდობის ასაკში თუ კი ღმერთი უშველიდა და პატარა კონდრატს გადაარჩენდა. დედა სასომიხდილი ეხვეწებოდა ანგელოზს შვილის სიცოცხლეს, მაშინ ანგელოზმა მოატარა ოთახები და უჩვენა პატარა კონდრატი

მხარდ და მოწიფულ ასაკში, ხოლო როდესაც ბოლო ოთახში შევიდა, იქ ახრჩობელა დახვდათ. კონდრატეს დედამ დაიკივლა და გამოეღვიძა. მისი შვილი "კონიჩკა" მთლიანად ჯანსაღი იყო. ჩვენ დღეს ყველამ ვიცით, რომ დეკაბრისტი კონდრატე რილეევი 1825 წელს მეფის წინააღმდეგ გამოსვლების გამო ჩამოახრჩვეს.

*დამთხვევები და მეზობელი თარიღები ერთნაირ გამოვლენებს შორის.*

პირველი ლაშქრობის დროს ჯვაროსნებმა იერუსალიმი აიღეს პარასკევს დღის 3 საათზე. ეს დღე არის ქრისტეს ჯვარცმის დღე და საათი.

*1805 წლის 2 დეკემბერს* ნაპოლეონმა მოიგო მის ბრძოლათა შორის ყველაზე ღირსეული აუსტერლიცის ბრძოლა.

*1851 წლის 2 დეკემბერს* მის ძმისშვილს ლუი ბონაპარტეს კვლავ დაეხმარა ქალღმერთი ფორტუნა და გადატრიალება მოახდინა სახელმწიფოში, 1852 წელს კი თავი იმპერატორად გამოაცხადა.

რა ხდებოდა ნოემბრის თვეებში?-გადატრიალებები 1799 წლის 18 ბრიუმერს (9 ნოემბერს) გადატრიალება მოახდინა ნაპოლეონმა საფრანგეთში.

*1917 წლის 7-8 ნოემბერს* რუსეთში ბოლშევიკებმა გადატრიალება მოახდინეს.

*1918 წლის 8 ნოემბერს* გერმანიაში მოხდა გადატრიალება.

*1923 წლის 8 ნოემბერს* ჰიტლერმა მიუნხენში მოაწყო ლუდის პუტჩი.

*1480 წლის 9-11 ნოემბერს* მონღოლებმა ხან-ახმეტის მეთაურობით დაიწყეს უკან დახევა.

*1989 წლის 22 ივნისს* დაეცა ბერლინის კედელი

*1815 წლის 22 ივნისს* ნაპოლეონმა მეორედ და უკანასკნელად უარი თქვა ტახტზე.

*1941 წლის 22 ივნისს* ფაშისტური გერმანია (ჰიტლერი) თავს დაესხა საბჭოთა კავშირს.

*1941 წლის 22 ივნისს* ანთროპოლოგმა გერასიმოვმა გახსნა თემურ-ლენგის აკლდამა. რის გაკეთებასაც ყურანის მსახურნი საშიშ ქმედებად თვლიდნენ, ტირანის თავის ქალა დააბრუნეს თავის ადგილას იმ დღეს, როცა მოიხსნა სტალინგრადის ბლოკადა.

*1942 წლის 22 ივნისს* გერმანიამ განახორციელა მძლავრი შეტევა კავკასიონზე.

ალ. *მაკედონელის* დაბადების დღეს 11 თუ 12 ივნისს (356 ძვ.წ) ჰეროსტრატემ დაწვა მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება არტემიდას დიდებული ტაძარი.

*1991 წლის 25 დეკემბერს* სსრკ შექმნის 60 წლისთავის იუბილემდე 5 დღით ადრე, გორბაჩოვი გადადგა, რამაც საბოლოოდ მისცა ინერცია საბჭოთა კავშირის დაშლას.

ყოველივე ზევით თქმული მიუთითებს დედამიწის ბრუნვის ერთი და იმავე ფაზაში არ ხდება მხოლოდ ნეგატიური, იშვიათად პოზიტიურიც მძლავრობს, ანუ ენერგია პიკს აღწევს, შედეგი ხან დადებითია, ხან უარყოფითი.

მსოფლიოს ვერ გააკვირვებ ვერანაირი პარადოქსებით, დამთხვევებით და ანალოგიებით. მაგრამ რადგან ისინი ერთმანეთს გვანან, არის ასეთი გამონაკლისი, რომელიც ერთადერთია. ის არც წინასწარმეტყველებაა და ვერც მოისაზრებ რა დაარქვა, ის არის ის, რომ: 1898 წელს ყოფილმა მეზღვაურმა და უკვე ჟურნალ თაიმსის რეპორთიორმა მორგან რობერთსონმა გამოაქვეყნა ამბავი, რომელიც მხოლოდ მისი ფანტაზიის და შემოქმედებით შთაგონების ნაყოფი იყო. ეს არის გემ ტიტანის ჩაძირვის ამბავი, რომელიც აისბერგს დაეჯახა ჩრდილოეთ

ატლანტიკაში. 14 წლის შემდეგ კი ჩრდილოეთ ატლანტიკაში ჩაიძირება ნამდვილი გემი ტიტანიკი, რომელიც ააგეს ჩრდ. ირლანდიაში და საუთჰემპტონიდან გაიდა. მათი ბევრი მსგავსება უმცირეს სხვაობამდე დადის.

| ნამდვილი | მწერლის ფანტაზია |
| --- | --- |
| ტიტანიკი | ტიტანი |
| ბრიტანული ბაირაღი | ბრიტანული ბაირაღი |
| 14-15 აპრილის ღამე | აპრილის ღამე |
| წყალწყვა 66000 | წყალწყვა 70000 |
| სიგრძე 268 | სიგრძე 260 |
| მაქსიმალური სიჩქარე 25 კვანძი | მაქსიმალური სიჩქარე 25 კვანძი |
| მგზავრები 3000 კაცი | მგზავრები 3000 კაცი |
| სამაშველო ნავები 20 | სამაშველო ნავები 24 |
| შეჯახება მარჯვენა მხრიდან | შეჯახება მარჯვენა მხრიდან |
| ტრაგედიის ადგილი ჩრდ. ატლანტიკა | ტრაგედიის ადგილი ჩრდ. ატლანტიკა |
| კატასტროფის მიზეზი აისბერგი | კატასტროფის მიზეზი აისბერგი |

11 აპრილს ტიტანიკი კვინსტაუნში გაჩერდა ორი საათით, მესამე კლასის მგზავრმა იუჯინ დეილმა მოულოდნელად ირლანდიური სამგლოვიარო სიმღერა დაუკრა. ამის შემდეგ ტიტანიკმა ატლანტიკაში შეცურა და 14 და 15 აპრილის ღამის 2-ის 20 წუთზე, მოხდა შეჯახება. წარმოუდგენელი იყო, რომ საათნახევრის განმავლობაში ამხელა ლაინერი ოკეანის ფსკერზე აღმოჩნდებოდა.

## გამოჩენილი ადამიანები განსაკუთრებულ შტრიხებში

გენიალურობის გამოვლენის ასაკი, სიცოცხლის და მმართველობის პერიოდი

გარეგნობის იშვიათი შტრიხები, ნაკლი, შვილების რაოდენობა, ფიზიკური ძალა

რუსეთის მეფეთა, იმპერატორთა და გენერალ-ერ მდივანთა საოცარი ხვედრი

გადამდგარი პრეზიდენტები, ხელფასები, პენსიები

ასტროლოგია და სახელმწიფოს მმართველნი

გენიოსობა სიგიჟის საზღვრებში

გენიოსთა ადრინდელი პროფესია

გენიოსთა მიდრეკილება ბახუსის ღმერთისაკენ

ატმოსფერული მოვლენების ზეგავლენა გენიალურ ადამიანებზე

სიყვარული და გენიოსები

მემკვიდრეობითობის ზეგავლენა გენიალურობაზე

რომელმა მხარემ მისცა ყველაზე მეტი გენიოსი

გენერალსიმუსები

გენიოსების საფლავთა ისტორია

ცხედართა შურისძიება საფლავთა სიმყუდროვის დარღვევის გამო

გენიოსთა სიკვდილისწინა გადაწყვეტილებები

გენიოსები ბოროტმოქმედების წარსულში

გენიოსთა გენეტიკის წარმატებითი შედეგები

თვითმკვლელობა და გენიოსები

გამოჩენილთა და გენიოსთა უცნაურობანი

*ნიუტონს* ჰკითხეს ამდენი აღმოჩენა როგორ გააკეთე?-მე გამუდმებით მათზე ვფიქრობდი, მეტი არაფერიო-მიუგო დიდმა მეცნიერმა.

მოცარტს ერთმა დამწყებმა კომპოზიტორმა სთხოვა, მოეთხრო როგორ იწერებოდა სიმფონიები- "თქვენ ამისთვის ძალზე ახალგაზრდა ბრძანდებით-იყო პასუხი,-მაგრამ თქვენ პირველი სიმფონია 5 წლის ასაკში დაწერეთ-დიახ-დაუდასტურა მოცარტმა, მაგრამ მე არავისთვის მიკითხავს, ეს როგორ კეთდება.

ქანდაკება? ეს ძალზე იოლია, აიღებ მარმარილოს ლოდს და ჩამოათლი მას ზედმეტს-ამბობდა მიქელანჯელო ნახევრად ხუმრობით.

რატომ მიისწრაფით მთების მწვერვალებისაკენ, ჰკითხეს ახალგაზრდა მომავლის მქონე მთასვლელს- თუნდაც იმიტომ, რომ იქ ასეთ კითხვებს არავინ მაძლევს. ამ კითხვის სხვა ვარიანტიც არსებობს, იმიტომ, რომ ისინი არსებობენ.

გენიოსები, ტალანტები ეს ის ხალხია, რომლებიც წარმატების და შეცნობის ჟინით არიან შეპყრობილი. პლინიუს უფროსი (ძველი რომის საზოგადო მოღვაწე) იმდენად გაიტაცა ვულკან ვეზუვიდან ამოფრქვეულმა ლავამ, რომ ცნობის წადილით შეპყრობილი ძუნწად გარბოდა ლავის ადგილებიდან, რათა უფრო კარგად შეეცნო ლავის ბუნება, საბოლოოდ კი კატასტროფის კვლევის აზარტში შესული პიროვნება ლავამ შთანთქა.

ფიზიოლოგი პავლოვი სიკვდილის მოახლოების ჟამს, სიკვდილს სწავლობდა და განცდებს ქაღალდზე აფიქსირებდა, უეცრად კარებზე კაკუნი გაისმა, მან ასეთი პასუხი გასცა- პავლოვი მუშაობს, პავლოვი დაკავებულია, პავლოვი კვდება და ამ დროს პავლოვი გარდაიცვალა.

ჩვენ ამ თავში გვინდა ავღწეროთ გენიოსთა თუ ნიჭიერთა უცნაური გამოვლინებები, სადაც ხშირად ჩანს მთელი ის ბუნება, რაც აძლევდა ინერციას მთელი ცხოვრების მანძილზე შეპყრობილი ყოფილიყვნენ იდეის განხორციელებისათვის და გამუდმებით ისწრაფვოდნენ ამორჩეული მიზნისკენ. ისინი ამ გზაზე არ უშინდებოდნენ ისეთ წინაღობებს, რომელნიც სხვა ადამიანებს ჭკუაზე შეშლიდნენ. ასეთი იყო ნიკოლო პაგანინი, რომელსაც ხან გიჟად, ხან ჯადოქრად რაცხავდნენ, რათა ხელი შეეშალათ მისი გენიალურობისათვის და მეტი არაფერი, მაგრამ ის იტანდა ყველაფერს იმის გამო, რომ ასევე ჭკუის შეშლამდე უყვარდა თავის პროფესია, ვიოლინო და მუსიკა. ეს შეტევა მასზე გრძელდებოდა სიკვდილამდე და სიკვდილის მერეც. ბევრი სასაფლაო როგორც ჯადოქარზე უარს აცხადებდა მის დასაფლავებაზე. ვინსენტ ვან-გოგი არანორმალურმა ხატვის სიყვარულმა მიიყვანა ფერწერის უდიდეს ტექნიკამდე და ფერის შეცნობამდე, საბოლოოდ კი გონებაში ხდება სისხლის მიმოქცევის ისეთი კონცენტრაცია, რომ საბოლოოდ ასეთ დატვირთვას ვეღარ გაუძლო, მისი ტვინის ნახევარსფეროებმა და გონებაში მოხდა დისბალანსი. ჩვენ გენიოსების "თავში" გვინდა მოგაწოდოთ ყველაფერი ისეთი, რაც მათ ცხოვრებაში უჩვეულოდ ჟღერს და ამ წამის გაელვებაში ისევე აირეკლება მათი ნიჭი, როგორც ერთ წვეთში მთელი სამყარო.

გენიოსთა შესახებ მსგავსი მასალა არ შეგროვილა, არც რუსული წყაროებია ამ მხრივ განებივრებული, ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ ამერიკელ მწერალს უოლტერს შეუდგენია კრებული, სადაც 1000 კაცია თავმოყრილი, ამ შინაარსის მეორე მკვლევარს ბაუერს 1200 კაცი მიუჩნევია გენიოსის წოდების ღირსად, ევროპის მეცნიერ სტატისტიკოსები კი თვლიან, რომ კაცობრიობას დღემდე ჰყავდა 200 ათასი ძალიან ნიჭიერი, გენიოსი 4 ათასი, ხოლო საგანგებოდ გენიალური 120 ბრძენკაცი. თუმცა ჩვენთვის უცნობია რა პარამეტრებით ხელმძღვანელობდნენ შემფასებლები ამ ჯამის მიღებისას, ვინ იყვნენ ესენი და სხვა. მათი საშუალო ასაკი 65-დან 70 წლამდე მერყეობს. გენიოსების 80% ცოლიანია. მკვლევართა აზრით მათ სიმრავლეს ხელს უწყობდა მზის აქტივობა, ვარსკვლავთა განლაგება, აფეთქებები მზეზე და მის გალაქტიკაში, რაც იწვევდა ადამიანთა ფიზიოლოგიაში ჰორმონების და ქრომოსომების სიმრავლეს, მაგრამ მიუხედავად მაძიებელთა ენერგიული კვლევისა კედელი ვერ გაარღვიეს, რაც იმას ნიშნავს, რომ დასკვნები ძალზედ ზოგადია და გარკვეულ კატეგორიებამდე ვერ დადიან, თუმცა არც ისეა საქმე, რომ მათში საერთო ნიშნები არ არსებობდეს. ეს ნიშნება ბავშვობიდან თანდაყოლილი გაოცებაა, შრომისუნარიანობა

და ისეთი ჯიუტი სწრაფვა მიზნისკენ, როგორც ერთი წვეთი წყლის მისწრაფება, რათა გამუდმებული ვარდნით გახვრიტოს გრანიტის მასა. ერთი სიტყვით ეს არის ის მასალა, რომლის ცოდნისკენ გამუდმებით მიისწრაფის საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლები. ამ თავში არის დაახლოებით ისეთი მასალა, რომ ჩერჩილი 800 გრამი დაიბადა, რომ ნაპოლეონის, ჰიტლერის და სტალინის სიმაღლე 158-დან 162 სმ-მდე მერყეობს. ლუდოვიკო XIV-ეს ორ საყვარლისგან 11 შვილი ჰყავდა, ივერიის მეფე ერეკლე II-ეს სამი ცოლიდან 24 შვილი ჰყავდა, კალიგულამ სენატში კონსულად აირჩია თავისი ცხენი, ხრუშჩოვი გაეროში ხალხის გასაჩუმებლად იხდის ფეხსაცმელს და მაგიდაზე არტყამს.

*გენიალურობის გამოვლენის სიცოცხლის დრო და ასაკი:*

შამპოლიონი ძველი ენების მცოდნე (კოპტური, ეგვიპტური, ებრაული და ბევრი სხვა)-12 წლის იყო, როცა საფრანგეთის აკადემიის წევრი იყო და მისი შედეგები ენათმეცნიერებაში გაუგონარ შთაბეჭდილებას ახდენდა.

ანა ფრანკი-(1929-1945) ებრაელი გოგონა, რომელმაც განიცადა ფაშისტების დევნა. იგი 15 წლის დაიღუპა. მისი დღიური მემუარულ ლიტერატურაში ერთ-ერთი ყველაზე ფასეულია.

თომას ჩატერტონი-(1752-1770) ინგლისელი პოეტი 17 წლის

ტუტანხამონი-ეგვიპტის ფარაონი ძვ.წ. XIV საუკუნე — გარდაიცვალა (მოწამლეს) 17 წლის ასაკში.

ჟანა ,დ არკი-საფრანგეთის სახალხო გმირი, ორლეანელ ქალწულად წოდებული 18 წლის ასაკში გენიალურობის ზენიტში კოცონზე დაწვეს.

20 წლის იყვნენ-ფრანგი მათემატიკოსი ევარისტ გალუა (1912-1932), რაიმონ რადიგე (1903-1923) ფრანგი მწერალი

21 წლის-გერმანელი პოეტი თეოდორ კერნერი 1793-1813

23-24 წლის-ბერძენი მწერალი გეორგ ბიუხნერი 1813-1837, ნორვეგიელი კომპოზიტორი რიკარდო ნურდროკი (1842-1866), რუსი მხატვარი თეოდორ ვასილიევი 1850-1875, ავსტრიელი ფსიქოლოგი ოტო ვაინენგერი 1880-1903. ბეატრიჩე პორტინარი (გარდ. 1290) დანტეს სატრფო, ბრაზილიელი პოეტი ანტონიუ ალვის კასტრუ 1847-1871, გერმანელი მწერალი ვილჰელმ ჰაუფი 1862-1887, ფრანგი პოეტი ლოტრეამ ონი 1846-1870

25 წლის-ინგლისელი გრაფიკოსი ბერდსლი 1872-1898, რუსი პუბლიცისტი და კრიტიკოსი ნიკოლოზ დობროლიუბოვი 1836-1861, ინგლისელი პოეტი ჯონ კიტსი 1795-1821, რომაელი პოეტი ანეი მარკს ლეკანი 39-65, ინგლისელი პოეტი ოუენ უილფრედი 1893-1916

26 წლის-ნორვეგიელი მათემატიკოსი ჰენრიკ ნილსი 1802-1829, რუსი პოეტი მიხეილ ლერმონტოვი 1814-1841,. უნგრელი პოეტი შანდორ პეტეფი 1823-1849, ქართველი პოეტი ლადო ასათიანი 1917-1943.

27 წლის-ფრანგი მწერალი ალენ ფურნე 1886-1914, ქართველი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი 1817-1845, ხორვატი მხატვარი მიროსლავ კრალევიჩი 1895-1913, იტალიელი მხატვარი მაზაჩო 1401-1428, ქართველი პოეტი მირზა გელოვანი 1917-1944, საფრანგეთის რევოლუციის გამოჩენილი მოღვაწე სენ ჟიუსტი 1767-1794.

28 წლის-ამერიკელი მწერალი სტივენ კრეინი 1871-1900, სერბი ფილოსოფოსი სვეტოზარ მარკოვიჩი 1846-1875, ქართველი პოეტი ალ.

საჯაია 1916-1944:

29 წლის-ძველი რომის გამოჩენილი მოღვაწე ტიბერიუს გრაკხუსი 162-133, ინგლისელი დრამატურგი ქრისტეფორე მარლო 1565-1593, რუმინელი კომპოზიტორი ჩიპრიან პორუმბესკუ 1853-1882, ინგლისელი პოეტი შელი 1792-1823, შვედი მწერალი ერიკ სტაგნელიუსი 1793-1823.

30 წლის-რუსი პოეტი სერგეი ესენინი 1895-1925, რუსი რევოლუციონერი და დეკაბრისტი კონდრატე რილეევი 1795-1826, ქართველი მწერალი დანიელ ჭონქაძე 1836-1860

31 წლის-ავსტრიელი კომპოზიტორი შუბერტი, იტალიელი ფილოსოფოსი ჯორდანო ბრუნო

34 წლის იტალიელი ფილოსოფოსი და მღვდელი ლუჩიო ვანინი სიკვდილით დასაჯეს სასტიკი წამების შემდეგ, ენა ამოგლიჯეს, შემდეგ ჩამოახრჩვეს და დაწვეს 1619 წელს, ნიჭიერი ქართველი მუსიკოსი და დირიჟორი ევგენი მიქელაძე დახვრიტეს 1937 წელს 34 წლის ასაკში.

35 წლის-მოცარტი

36 წლის-ინგლისელი კომპოზიტორი პრესელი, ფრანგი განმანათლებელი და რევოლუციონერი მარქსიმილიან რობესსპიერი (სიკვდილით დასაჯეს) დიდი ინგლისელი პოეტი ჯორჯ ბაირონი, პოეტის მამაც ამ ასაკში გარდაიცვალა, რუსი პოეტი მაიაკოვსკი, შოტლანდიელი პოეტი რობერტ ბერნსი

37 წლის-დიდი რუსი კრიტიკოსი ბესარიონ ბელინსკი

38 წლის-უნგრელი კომპოზიტორი მენდელსონი

39 წლის-პოლონელი კომპოზიტორი ფედერიკო შოპენი გარდაიცვალა 1849 წელს

40 წლის-ფრანგი რევოლუციონერი მირაბო

42 წლის-ქართველი პოეტები პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე

*ალ. მაკედონელი* იცოცხლა 33 წელიწადი 356-323, იმეფა 12 წელიწადს

*ნაპოლეონი* - იცოცხლა 52 წელიწადი 1769-1821 საფრანგეთის იმპერატორი იყო 12 წელიწადს 1804-1815

*ჰიტლერი* - იცოცხლა 56 წელიწადს 1889-1945. 1933 წელს გახდა გერმანიის რაიხსკანცლერი და 1945 წელს თავი მოიკლა. გერმანიის უმაღლესი ხელისუფლების პირველი პირი იყო 12 წელიწადი. მაშასადამე ეს სამი უზურპატორი ჰიტლერი, ნაპოლეონი და ალ. მაკედონელი სახელმწიფოს უმაღლეს საფეხურზე იმყოფებოდნენ 12 წელიწადს. ციფრი 12 საკრალური ციფრია პითაგორას რიცხვთა თეორიის მიხედვით.

*ნიკიტა ხრუშჩოვი* (1894-1971)-საბჭოთა კავშირის გენერალური მდივანი იყო ასევე 12 წელიწადს.

ჰანიბალი-ძველი მსოფლიოს კართაგენის უდიდესი სარდალი. იცოცხლა (ძვ.წ. 247-183) 63 წელიწადი

*ჯუზეპე გარიბალდი*-იტალიის ეროვნული გმირი. პროფესიით მეთევზე 1807-1882.

*თომას ჯეფერსონი*-1743-1826 ამერიკის მესამე პრეზიდენტი, ცნობილი დოკუმენტის "ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციის" ავტორი. გარდაიცვალა ამ დოკუმენტის გამოქვეყნების 50-წლისთავის დღეს 4 ივლისს.

*ჯორჯ ვაშინგტონი*-1732-1799 ამერიკის პირველი პრეზიდენტი

ბენჯამინ დიზრაელი (1804-1881)-ინგლისის პრემიერ-მინისტრი 1868-1880 წლებში

სამგზის პრემიერ-მინისტრი და ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი პიროვნება ჩერჩილთან ერთად, ინგლისის არსებობის ისტორიაში.

*უინსტონ ჩერჩილი* (1874-1965)-ინგლისის ორგზის პრემიერ-მინისტრი 1940-1945, 1951- 1955

*იულიუს ცეზარი*-(ძვ.წ. 100-44) ძველი რომის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე და მხედართმთავარი. შეთქმულებმა მოკლეს 56 წლის ასაკში.

*ჩინგისხანი (თემუჩინი)* (დაახ.1155-1227)-მსოფლიოს ერთ-ერთი დიდი მპყრობელი. იცოცხლა 82 წელი

*თემურ-ლენგი* (1336-1405)-შუა აზიელი (სმარყანდი) უდიდესი მპყრობელი. იცოცხლა 70 წელიწადი

*ფრანკლინ რუზველტი*-ამერიკის პრეზიდენტი 1933-1945 წლებში ერთ-ერთი პრეზიდენტი, რომელიც ოთხჯერ იქნა არჩეული სახელმწიფოს უმაღლეს პოსტზე

*იოსებ სტალინი* (1879-1953)-იცოცხლა 74 წელიწადი ხელისუფლების უმაღლეს პოსტზე იმყოფებოდა 28 წელი

*თამარ მეფე*-საქართველოს გამოჩენილი მეფე-ქალი 1184-1207 წლებში

*დავით აღმაშენებელი* 1073-1125 წლებში საქართველოს უდიდესი მეფე. იცოცხლა 52 წელიწადი. ტახტზე ავიდა 16 წლის

*ჯოხარ დუდაევი*-ჩეჩნეთის პრეზიდენტი მე-20 საუკუნის 90-იან წლებში. გარდაიცვალა 52 წლის

*პეტრე ბაგრატიონი*-რუსეთის არმიის გენერალი, ბოროდინოს ბრძოლის გმირი. გარდაიცვალა 47 წლის ასაკში

*ბარკლაი დე ტოლი*-რუსეთის არმიის გენერალი. ბოროდინოს ბრძოლის გმირი. გარდაიცვალა 57 წლის ასაკში

*კონსტანტინე ლესელიძე*-საბჭოთა არმიის გენერალი,' 40 წლის ასაკში იმსხვერპლა ბრმა ტყვიამ

*ალექსანდრე სუვოროვი*-1730-1800 დიდი რუსი მხედართმთავარი. გარდაიცვალა 70 წლის ასაკში

*ფარნავაზი*-საქართველოს პირველი მეფე. ქართველ მეფეთა შორის იცოცხლა ყველაზე დიდხანს 92 წლის ასაკამდე და იმეფა 65 წლის განმავლობაში.

*ერეკლე* II-1720-1798 საქართველოს ერთ-ერთი უკანასკნელი დიდი მეფე და სარდალი. გარდაიცვალა 78 წლის ასაკში. ტახტზე ავიდა 16 წლის ასაკში.

*სალვადორ დალი*-დიდი ესპანელი მხატვარი 1904-1989

*მარკ შაგალი*-ებრაული წარმოშობის ფრანგი მხატვარი 1887

*ნაპოლეონი* 1790-1832 გარდაიცვალა 42 წლის ასაკში

*შამილი* (1799-1871)-დაღესტნის და ჩეჩნეთის იმამი (წინამძღოლი) 1834-59 წლებში აწარმოებდა სახელოვან ომებს რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ.

შალიაპინი-დიდი რუსი მომღერალი 1873-1899

*ჩან კაი-ში* (ცზიან ცზე-ში)-1887-1975

*ჩაპლინი* (1889-1977)-88 წლის

*ციცერონი* 106-43 (ძვ.წ.)-გარდაიცვალა 62 წლის ასაკში

*ცეზარი* 100-44 (ძვ.წ.)-გარდაიცვალა 56 წლის ასაკში

ჩერჩილი-გარდაიცვალა 91 წლის ასაკში

ტიციანი-გარდაიცვალა 99 წლის ასაკში

მიქელანჯელო-გარდაიცვალა 89 წლის ასაკში

აკაკი შანიძე-გარდაიცვალა 99 წლის ასაკში

*მუსიკოსები*

ვერდი 81 წლის იყო "ოტელო" და "მაკბეტი" რომ დაწერა, ამ ხნის კაცს სახლში მარტო არ ტოვებენ, რა თქმა უნდა ყველას არა, მაგრამ რაღა

ხანდაზმულობის ასაკში მოუწია ნიჭიერების გადმოფრქვევა.

მოცარტი ექვსი წლის ასაკში წერდა სიმფონიებს და მის ვირტუოზულ შესრულებებს როიალზე აღფრთოვანებაში მოჰყავდა მსმენელი. იგი თავის მშობლების მე-7 შვილი იყო.

*ჯერმინ გარდნერმა*-თავისი პირველი მელოდია ცამეტი თვის ასაკში წამოიღიღინა უშეცდომოდ, 2 წლის შემდეგ ბეთჰოვენის ნაწარმოებებს უკრავდა, აქედან ერთი წლის შემდეგ კი შექმნა საკუთარი ნაწარმოებები.

*რიჰარდ ვაგნერი*-გამოირჩეოდა დიდი სითამამით და დესპოტური ბუნებით. მან პირველმა შეაქცია ზურგი პარტერს და ისე იდირიჟორა, სრულ მორჩილებაში ჰყავდა ოჯახიც და ორკესტრიც. გამუდმებით თავს ესხმოდა კომპოზიტორ ჯაკომო მეიერბერის.

• *ბეთჰოვენი (1770-1827)*-აბსოლუტურად ყრუმ შექმნა თავისი ბოლო წლების შედევრები. იჭებ მან თავის მახვილ სმენაზე მუდმივი და მძაფრი მუშაობით მოახდინა ისეთი ზეწოლა, რომ სმენა გაჰქლიტა, დააზიანა. დაყრუება დაეწყო 32 წლის ასაკში, 46 წლის ასაკში სრული ყრუ იყო.

*შუმანი*-ოჯახის მეშვიდე შვილი იყო. მათ ოჯახს ჰქონდათ შთამომავლობითი დაავადება შიზოფრენია, საბოლოოდ ისიც ამ სენის მსხვერპლი შეიქნა. შიზოფრენიას 21-ე საუკუნის დაავადებას უწოდებენ, იგი ძალიან სწრაფად პროგრესირდება აშშ. ეს სენი დიდი ბალანსით გამოირჩევა ინტელექტუალებში.

*ბახი* გამოირჩევა უჩვეულო შთამომავლობით-ზოგიერთი ცნობით მას 20 შვილი ჰყავდა. თუმცა ზუსტ წყაროს ამ შემთხვევაში ვერ მივაკვლიეთ და ვეყრდნობით საგაზეთო მონაცემებს.

## გამოჩენილ ადამიანთა და გენიოსთა გარეგნობა, ფიზიკური ნაკლი, შვილების რაოდენობა

პეტრე დიდს და მის მეორე ცოლს ეკატერინეს 11 შვილი ჰყავდათ.

თავად პეტრე ალექსი მიხაილოვიჩის მე-14 შვილი ყოფილა

ვიქტორია (ინგლისის დედოფალი)-9 შვილის დედა იყო

ლუდოვიკო XIV-ეს ოფიციალური შვილების გარდა, ორ საყვარელთან 11 შვილი ჰყავდათ.

გოეთეს და გოგენს-5-5 შვილი

მოცარტს და ედისონს-6-6 შვილი

შუმანს და ჩაპლინს-8-8 შვილი

ლევ ტოლსტოის-13 შვილი

ბახს-20. ალ. დიუმა ტრაბახობდა, რომ მას მისი ვარაუდით 500 შვილი უნდა ჰყოლოდა.

ქართლ-კახეთის მეფეს ერეკლეს -24, ხოლო მის მემკვიდრეს გიორგი XII-ეს 14 შვილი ჰყავდათ.

დავით ალმაშენებელი 220 სმ-ის იყო, ამასთანავე მის სხეულს უზადო განვითარება ჰქონდა. პეტრე პირველი 202 სმ-ის იყო

ნაპოლეონი, სტალინი, ერეკლე III, ჰიტლერი-დაბალი ტანისანი იყვნენ 162 სმ-იდან 166- მდე. ალ. მაკედონელი და ცეზარი საშუალო სიმაღლის იყვნენ 170-იდან 175 სმ-მდე.

ალ. მაკედონელი-საშუალო სიმაღლის, კეთილად აღნაგი. ხასიათით ზომაზე მეტად ფიცხი

ანტონიუსი-მეტად ძლიერი და ათლეტური აგებულების იყო

მითრიდატე-იმდენად ღონიერი, რომ შეეძლო თექვსმეტი ცხენის შებმა და მართვა ეტლში.

თემურ-ლენგი-მაღალი და ფიზიკურად ძლიერი.

ჯალალედინი-საოცრად პატარა, მოქნილი და ჩაუქად მებრძოლი იყო.

ალა-მაჰმად-ხანი-იგი ბავშვობაში დაასაჭურისა ნადირ შაჰმა, რის გამოც მისმა ორგანიზმმა განიცადა ფემინიზაცია, მის გარეგნობაში იგრძნობოდა მამაკაცური ჰორმონების ძლიერი ნაკლებობა.

ანრი დე ტულუზ-ლოტრეკი (1864-1901)-14 წლის ასაკში დაეცა, რის შედეგად დასახიჩრდა და მისი სხეულის ზრდა შეჩერდა

ხორხე ლუის ბორხესი (1899-1986)-დიდი არგენტინელი პოეტი, ავანგარდიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი ლიტერატურაში. (სამხრეთ ამერიკა) ბრმა იყო.

სარა ბერნარი (1844-1923)-დიდი ფრანგი მსახიობი. დაკოჭლდა 1905 წელს, 1914 წელს ფეხი მოჭრეს, მაგრამ სიკვდილამდე აგრძელებდა თეატრში თამაშს

ვაჟა-ფშაველა (1861-1915)-დიდი ქართველი პოეტი. მას სრულიად ახალგაზრდას შეეყარა ციმბირის წყლული, რომელმაც ცალი თვალი დაუწყლულა.

ნიკოლოზ ბარათაშვილი (1817-1845)-დიდი ქართველი პოეტი. მას გიმნაზიაში სწავლების პერიოდში ფეხი მოტყდა და სამუდამოდ დაკოჭლდა.

ჯორჯ გორდონ ნოელ ბაირონი-დიდი ინგლისელი პოეტი კოჭლი იყო.

ფრანკლინ დელანო რუზველტი (1882-1945) 39 წლის ასაკში პოლიომელიტის შედეგად ფეხები წაერთვა. იგი ერთადერთია, ვინც არჩეული იყო ამერიკის 4 გზის პრეზიდენტად.

თემურ-ლენგი-ყჩაღობის დროს დაკოჭლდა, კოჭლი იყო აგრეთვე ესპანელი კონკისტადორი ფერნანდო კორტესი, იგი საყვარლის ფანჯრიდან გადმოხტა ახალგაზრდობაში.

ხორხე ლუი ბორხესი (1899-1986)-არგენტინელი პოეტი ავანგარდიზმის ფუძემდებელი სამხრეთ ამერიკულ ლიტერატურაში. ბრმა იყო

ლუი ბრაილი (1809-1852)-სამი წლის ასაკში დაბრმავდა, გახდა მასწავლებელი და შეიმუშავა ბეჭდვისა და წერის სისტემა უსინათლოსათვის, რომელსაც ბრაილის ანბანი ეწოდებათ.

ჰომეროსი-ანტიკური პერიოდის ბერძენი პოეტი-ოდისეას და ილიადას ავტორი. იყო უსინათლო.

ჯოზეფ პულიცერი-(1847-1911) ამერიკელი კონგრესმენი, გამომცემელი ჟურნალისტი. 40 წლის ასაკში დაკარგა თვალსაჩინო, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე აგრძელებდა ლიტერატურულ მუშაობას.

ეზოპე-ანტიკური ეპოქის დიდი მეიგავარაკე-იყო კუზიანი და უსახური.

ჯორჯ ვაშინგტონი-აშშ. პირველი პრეზიდენტი. მას არც ერთი საკუთარი კბილი არ ჰქონდა.

ულის გრანტი აშშ. პრეზიდენტი-ალკოჰოლიზმით იყო შეპყრობილი

ნაპოლეონი-კუჭის წყლულით იყო შეპყრობილი.

იულიუს კეისარი-ეპილეფსიით იყო დაავადებული

დენ სიაო პენი-94 წლის ასაკში იგი იყო ჩინეთის კომპარტიის და ქვეყნის მმართველი

ხო ში მინი-94 წლის ასაკში მართავდა ვიეტნამის რესპუბლიკას

ზევსური გარეგნობის იყვნენ ბაირონი, გოეთე, ჯეკ ლონდონი, ჰემინგუეი

ცალთვალა იყვნენ ჰანიბალი, კუტუზოვი, ნელსონი

თვალსაჩინო დაზიანებული ჰქონდათ ჰომეროსს, მილტონს, დანტესს

დაბალი ტანის იყვნენ სტალინი, ჰიტლერი, ნაპოლეონი, ბაიაზეთი

ტანმორჩილი იყვნენ ცეზარი, ალ. მაკედონელი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ლევ ტოლსტოი, ვაგნერი

გრძელი ცხვირი ჰქონდათ და საკმაოდ მერლინ მონროს და კლეოპატრას მერლინმა პლასტიკური ოპერაციის წყალობით ეს ნაკლი შეისწორა.

გრძელი ცხვირი ჰქონდათ პეტრე ბაგრატიონს, მოცარტს, სირანო დე ბერჟერაკს

ბერძნულ-რომაული ცხვირი და ამასთანავე ასეთივე პროფილი ჰქონდათ ციცერონს, ალ მაკედონელს, ჰესიოდეს

პლატონს-მოკლე და ბრტყელი ცხვირი ჰქონდა.

სოკრატეს-ნოღა ცხვირი და კლოუნის გარეგნობა ჰქონდა.

რუსეთის მეფე, იმპერატორთა და გენიალურ მდივანთა საოცარი ხვედრი.

ისინი შეიძლება ითქვას მასიურად არაბედნიერნი იყვნენ უმაღლეს საფეხურზე აღზევების ჟამს...ხოლო ყოველი მეხუთე რუსეთის წინამძღოლი ძალადობის მსხვერპლი შეიქნა...

ალექსი მიხეილის-ძემ სამეფო ტახტზე 31 წელი გაატარა და სულ ავადმყოფობაში და 47 წლის ასაკში გარდაიცვალა. საკითხავია რა სჯობდა მის ბედ-იღბალში მეფობა თუ ჯანმრთელობა.

თევდორე ალექსის-ძე ჯანმრთელობით მამას და პაპას დაემგვანა, ექვსი წელი იმეფა და 21 წლის ასაკში გარდაიცვალა.

სოფია ალექსევნამ შვიდი წელი იმეფა. პეტრე პირველმა იგი ტახტიდან ჩამოაგდო და ციხეში მიუჩინა ადგილი, სადაც 47 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ივანე V პეტრესთან ერთად შვიდი წელი მართავდა რუსეთს. 27 წლისას პარალიჩმა დაარტყა. ძალზე ცუდად ხედავდა და 30 წლისა გარდაიცვალა.

პეტრე I-რუსეთს 36 წელი მართავდა. გარდაიცვალა 52 წლის. მის სიკვდილზე ბევრი სხვადასხვა ვერსია არსებობს. უროლოგიური დაავადებით და მათ შორის ამ ბოლო დროს გამოჩნდა ვერსია, რომ იგი მოწამლეს.

ეკატერინე II-43 წლისა ფილტვების ანთებით გარდაიცვალა. პეტრე II-ე სამი წელი იყო უმაღლეს საფეხურზე და 17 წლის წითელათი გარდაიცვალა.

ანა ივანეს-ასული ათი წელი იყო ტახტზე განცხრომაში და 47 წლისა გარდაიცვალა.

ივანე (პეტრეს ძმისშვილი) 24 წელი იცოცხლა. აქედან 20 წელზე მეტი ელისაბედ პეტრეს ასულმა ციხის ჯურღმულებში გაატარებინა. საბოლოოდ გაქცევისას პორუჩიკმა მიროვიჩმა მოკლა.

ელისაბედ პეტრეს-ასული 20 წელი მართავდა რუსეთს. გარდაიცვალა 52 წლის ასაკში. მთელი ცხოვრება სჭირდა ბნედა და სისხლს ახველებდა.

პეტრე III ტახტზე ყოფნა ნახევარ წელიწადს შესძლო. 34 წლის ასაკში მისი მეუღლის ეკატერინე II-ეს ფავორიტებმა შარფით მოახრჩეს.

ეკატერინე II-ე ერთ-ერთი ყველაზე დიდხანს ფლობდა იმპერატორის გვირგვინს. 67 წლისა მოულოდნელად გარდაიცვალა.

პავლე პირველი ტახტზე ხუთი წელი იჯდა. 47 წლის ასაკში იგი მეამბოხეებმა მოკლეს.

ალექსანდრე პირველი 24 წელი იყო გვირგვინის მატარებელი. 48 წლისა სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა ტაგანროგში, ტვინში სისხლის ჩაქცევით.

ნიკოლოზ პირველმა ტახტზე სამი ათეული წელი გაატარა. ბავშვობა ძალიან ჯანმრთელი ჰქონდა, მაგრამ ყირიმის ომში დამარცხებამ იმდენად იმოქმედა, რომ 59 წლისა უბრალო გაციების შედეგად მოუხდა ამ ქვეყნის დატოვება.

ალექსანდრე მეორემ 26 წელი დაჰყო ტახტზე და 63 წლის ასაკში ნაროდნიკებმა მოჰკლეს. აღსანიშნავია, რომ ამ თავდასხმაში ერთ-ერთი გარე მონაწილე იყო ლენინის ძმა ალექსანდრე, რისთვისაც იგი ჩამოახრჩვეს, ისტორიკოსები თვლიან, რომ აქედან იწყება ლენინის ფსიქიკის გააგრესიულობა მეფის მთავრობის მიმართ.

ალექსანდრე მესამემ ტახტზე 13 წელი გაძლო და 49 წლის ასაკში გულმა უღალატა.

ნიკოლოზ მეორემ 23 წელი იმეფა ტახტზე, რომანოვმა 300 წლიანი მეფობის იუბილე გადაიხადა და ორი წლის შემდეგ 50 წლის ასაკში მის ოჯახთან ერთად დახვრიტეს.

ალექსანდრე კერენსკიმ სულ რამდენიმე თვე მოახერხა პრემიერ-მინისტრობა. სამაგიეროდ დიდხანს იცოცხლა და 89 წლის ასაკში ემიგრაციაში გარდაიცვალა.

ვლადიმირ ულიანოვი-ლენინი ხუთი წელი მართავდა ბოლშევიკურ იმპერიას, თუმცა ბოლო ორი წელი მისი გონების 80% პარალიზებული იყო.

იოსებ სტალინი 28 წელი მართავდა და 74 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ნიკიტა ხრუშჩოვი 11 წელი იყო სახელმწიფოს პირველი ვიოლინო, რომელსაც ბრეჟნევმა და მის ამალამ შეთქმულება მოუწყო, ამის შემდეგ მან რამდენიმე წელი კიდევ იცოცხლა და 1977 წელს გარდაიცვალა.

ასევე სისხლიანი შეთქმულების მსხვერპლი გახდა სტალინის დროინდელი იმპერიის მეორე ვიოლინო ლავრენტი ბერია, რომლის ავტორი ნიკიტა ხრუშჩოვი ბრძანდებოდა.

ლეონიდ ბრეჟნევი თვრამეტი წელიწადი აშენებდა "მიწიერ სამოთხეს"-კომუნიზმს, და მკერდი ჩინ-მენდლებით ისე დაიმძიმა, რომ ბოლოს ვეღარ გაუძლო და ძლიერი ათეროსკლეროზული დაავადებით 76 წლის ასაკში გარდაიცვალა.

იური ანდროპოვი ქვეყანას ერთი წელი და ორი თვე აკონტროლებდა. უმაღლესი საფეხურიდან, შემდეგ უამრავ დაავადებების (ნეფრიტი, დიაბეტი და სხვა) გარემოცვაში სული უფალს მიაბარა.

კონსტანტინე ჩერნენკოს მმართველობამ წელიწადს ცოტა გადააცილა. იგი ანდროპოვის შემდგომ იყო უმაღლეს საჯესთან და ისიც ავადმყოფი და ღრმად მიხრწნილი, ისევე, როგორც ორი მისი წინამორბედი ბრეჟნევი და ჩერნენკო, უთვალავი რაოდენობის დაავადებებით საიქიოს გაეშურა. იგი გარდაიცვალა 70 წლის ასაკში. ეს იყო პერიოდი, როდესაც 2 წელზე ცოტა მეტი ხნის ვადაში სამი უმაღლესი პირი გაემგზავრა ღმერთთან ცოდვების განსაკითხველად.

რუსეთის მმართველთა შორის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა პეტრე II იყო, თხუთმეტი წლის, ყველაზე ხანდაზმული კერენსკი 89 წლის.

ბრეჟნევი

ალ. ბოვინი (ბრეჟნევის თანაშემწე) იგონებს, რომ ბრეჟნევთან მუშაობა არ იყო ძნელი. იგი არ უქმნიდა არანაირ უხერხულობას, რომ რაიმე არ იცოდა, ან ვერ გაიგო. კამათი მასთან საერთოდ წარმოუდგენელი იყო, რადგან მას საერთოდ არაფერზე არ გააჩნდა თავისი აზრი. "თქვენ იკამათეთ-ამბობდა გენერალური მდივანი, მე კი მერე ტრიბუნაზე ავალ და თქვენს სიტყვებს გავიმეორებ, რაც შემდეგ ციტატად იქცევა". აი ეს აზროვნება იყო სულ მთელი მისი სიბრძნე. ანდა: "მე უკვე თითქმის მეფე ვარ, მაგრამ მეფეს შეეძლო გადასახლებაში გაეშვით, მე კი ორდენების მიცემა შემიძლია". ხუმრობა რომ მაინც იყოს ეს ყველაფერი არაუშავდა. უბედურება ისაა, რომ არც ხუმრობაა და არც სერიოზულობა.

ანდრეი კოზირევი-ბოვინი მასზე ერთ ასეთ ფაქტს აღწერს.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ანდრეი კოზირევს მუნდირი არ მოერგო, დიდი ჰქონდა, უშნოდ ეკიდა. კოზირევი ვერ გაიზარდა მინისტრის სავარძლამდე. რაზეც კიდევ უფრო კარგად მეტყველებს ერთი ასეთი ფაქტი. არაფატისგან ვბრუნდებოდით, უზარმაზარი ესკორტით. უეცრად კოზირევის მანქანა გაჩერდა, რომლიდანაც მინისტრი გადმოვიდა, გაიხადა ტანსაცმელი და

ხლვაში დედიშობილა შეცურა. მის თანმხლებ წევრებსაც (მხედველობაშია რუსეთის წარმომადგენლები) ისღა დარჩენოდათ ასე მოქცეულიყვნენ. პალესტინელები გაოგნებული შეჰყურებდნენ ამ სანახაობას. ამ მინისპექტაკლის "გმირი" გახლდათ დიადი სახელმწიფოს დიდი საგარეო საქმეთა მინისტრი.

*გადამდგარი პრეზიდენტები და ხელფასები (გადადგომის დროინდელი პარამეტრები)*

მიხეილ გორბაჩოვი პენსიაზე ნებით არ გასულა. საბჭოთა კავშირი დაიშალა და მისი სამსახურიც გაუქმდა. ელცინს შეეძლო მისთვის პერსონალური პენსიის დანიშვნა, მაგრამ სანაცვლოდ ამის უკანასკნელი ხელფასის (4000 რუბლი) მიხედვით დაუნიშნა პენსია.

ჯოხარ დუდაევის ოჯახი მისი სიკვდილის შემდეგ სახელმწიფო კმაყოფაზეა.

აზერბაიჯანის ყოფილ პრეზიდენტს აიაზ მუთალიბოვს 10000 რუბლი აქვს პენსიად (150- 160 რუბლი უდრის 1 დოლარს) დაუტოვეს ქონება, ათკაციანი დაცვა, სახელმწიფო აგარაკი, მანქანა. თუმცა ორ თვეში ყველაფერი დაკარგა, რადგან ხელისუფლების სათავეში დასაბრუნებლად მაიისის გადატრიალებაში მიიღო მონაწილეობა.

აზერბაიჯანის შემდგომი პრეზიდენტი ელჩიბეიც წინამორბედის გზას გაუყენეს. მან თავის სოფელს მიაშურა საცხოვრებლად. ქვეყნის ახალმა პრეზიდენტმა ელჩიბეის და მის ძმას თითქმის მილიონ დოლარად ღირებული ბინა მისცა, ხოლო როგორც სახალხო ფრონტის თავჯდომარე 75 დოლარის ექვივალენტის ეროვნულ ვალუტას იღებს ხელფასად.

64 წლის ლეონიდ კრავჩუკი საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხების შემდეგ რიგითი დეპუტატი გახდა. დღეს როგორც ამბობენ უკრაინელებს ძალიან უყვართ ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი, თუმცა ისიც იყო, რომ 5 წლის წინ დანით კინაღამ აკუწეს. იგი ხელფასის ,გარდა პენსიასაც იღებს 1000 გრივენს (500 დოლარი)

ყირიმის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტი, 53 წლის იური მეშკოვი მოსკოვში ცხოვრობს, პურის ფულს ლექციებით შოულობს და პედოგოგობს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

65 წლის ალგირდას ბრაზაუსკარი, (ლატვის პირველი პრეზიდენტი) პენსიაზე გასვლის წინ თავის აგარაკზე დასახლდა, სახელმწიფომ გამოუყო დაცვა, რეფერენტი, მძღოლი და მზარეული. მისი პენსია 1500 დოლარია, რაც პრეზიდენტის ხელფასის ნახევარია. ეს უკანასკნელი პრეზიდენტის პოსტზე შეცვალა ვალდას ადამკუსმა. იგი ამერიკელი პენსიონერია. იგი ამერიკის შეერთებული შტატების პენსიონერია და პრეზიდენტის ხელფასის გარდა იღებს ამერიკულ პენსიასაც დაახლოებით 5000 დოლარს. რაც პრეზიდენტის ხელფასს თითქმის ორჯერ აღემატება. პრეზიდენტის ხელფასი 3000 დოლარია.

სომხეთის პირველ პრეზიდენტს 52 წლის ლევონ ტერ-პეტროსიანს ხელფასი 4000 დოლარი ჰქონდა, რაც დარჩა კიდევაც პენსიად, გარდა ამისა, გადამდგარმა პრეზიდენტმა მიიღო ფეშენებელური აგარაკი, 6 კაციანი დაცვა, ავტომანქანა მერსედესი. უნივერსიტეტის რექტორობაც შესთავაზეს.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ხელფასი 200.000 დოლარი აქვს წლიური მოცულობით, თუმცა შემდეგ მას ამ ხელფასის გარდა, სხვადასხვა ხარჯებისათვის მილიონამდე დოლარი გამოეყოფა.

გაეროს გენერალურ მდივანს 185000 (წლიური) დოლარი აქვს ხელფასი.

აბრაამ ლინკოლნს (1861-1865) ხელფასი 2000 (წლიური) დოლარის რაოდენობის ჰქონდა, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ მაშინდელი 2000 დოლარი დღევანდელი 20000 დოლარზე ღირებული იყო.

*ასტროლოგია — მეფე და პრეზიდენტები*

ასტროლოგია სამყაროს დასაბამის დროს უფრო მეტად იყო განვითარებული, ვიდრე დღეს, ეს მომენტი მკვლევარებს აიძულებს იფიქრონ, რომ დედამიწაზე პირველი მოქალაქენი შუმერები იყვნენ და ყველაზე მეტად ისინი იყვნენ ამ საქმეში გაწაფულნი. შუმერებს მეცნიერთა დიდი ნაწილი ქართველთა წინაპრებად მიიჩნევს.

ასტროლოგიით გატაცებულნი იყვნენ და მის წიაღში ინთქმებოდნენ ქართველთა მეფე დავით აღმაშენებელი, საფრანგეთის მეფე ფრანცისკ I და მისი და,- მარგარიტა ვალუა, ჰენრიხ II-ისა და დედოფალ ეკატერინე მედიჩას კარის ასტროლოგებს კი საყოველთაოდ ცნობილი მიშელ ნოსტრადამუსი ედგა სათავეში.

თანამედროვე სახელმწიფო ხელმძღვანელთაგან ასტროლოგიას დიდ ადგილს უთმობდნენ პოლიტიკაში ფრანსუა მიტერანი, რომელიც თვით პოლიტიკურ პარტნიორთა ასტროლოგიურ და ზოდიაქის მიხედვით მოცემულ ხასიათებს სწავლობდა.

1981 წელს თეთრი სახლის თანამშრომელთა აპარატის ხელმძღვანელმა რეიგანს სამი ასტროლოგი მოუყვანა და ჩართო პოლიტიკაში. უნდა ითქვას, რომ მრავალწლიანი დაპირისპირებისა და საგაზეთო პრესისა ლანძღვა-გინების შემდეგ ხდება პირველი ყინულის ლღობა თეთრ სახლსა და რუსულ კრემლს შორის, ისიც უნდა ითქვას, რომ რეიგანს სწორედ ასტროლოგი მრჩევლები ურჩევდნენ პირველად, რომ მიუხედავად საერთო ენის ვერ გამონახვისა, სასურველი შედეგი მალე იქნებაო, რაც გამართლდა კიდეც.

გაზეთი მოსკოვსკიე ნოვოსტი იტყობინება, რომ ბორის ელცინის დღის წესრიგში აუცილებელი რეკომენდაციები უკავია ასტროლოგთა რჩევებს და რა თქმა უნდა, თუ კი პრეზიდენტი საოპერაციოა, მაშინ ძირითადი ყურადღებაც ამ დოზით მიემართება. კარგი იქნება, თუ ამ უძველეს მეცნიერებას კვლავ დიდი მოცულობით და ანგარიშგაწევით მისცემენ გზას, როგორც მაღალ პოლიტიკურ ეშელონებში, ასევე ცხოვრების ყველა სფეროში და ყველა ფენის წარმომადგენლების სიმაღლეზე. მათზე დამოკიდებულია ჩვენი ხასიათი, შედეგები და სულ უბრალოდ ბედიც კი.

*გენიოსები-გენიასა და სიგიჟის საზღვრებში*

ცნობილმა მეცნიერმა სერეიმ 1869 წელს იტალიაში ჩაატარა შეშლილთა სტატისტიკური კვლევა რასის, ეროვნების და რელიგიის მიხედვით და მიიღო დაახლოებით ასეთი სურათი.

1775 კათოლიკ ადამიანზე მოდის 1 შეშლილი, 1725 პროტესტანტზე,-ერთი და 384 ებრაულზე- ერთი. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს ხდება დაახლოებით 130 წლის წინ და არავინ იცის ანალოგიური სტატისტიკა დღეს როგორ გამოიყურება.

მონტანუსას, რომელსაც ყოველთვის ჰქონდა მიდრეკილება განმარტოებისადმი, იმით დაამთავრა ცხოვრება, რომ სიცოცხლის ბოლოს თავს ქერის მარცვლად მიიჩნევდა, რის გამოც არ უნდოდა ქუჩაში გამოსვლა იმის შიშით, რომ ფრინველებს არ აეკენკათ.

ჰარინგტონს წარმოედგინა, რომ მისი აზრები მისი პირიდან ფუტკრებისა და ჩიტების სახით მოფრინავდნენ და ცოცხით ხელში იმალებოდა ფანჩატურში, რათა გაეფანტა ისინი.

ამპერმა ტრაქტატი "ქიმიის მომავლის შესახებ" იმ მოტივით დაწვა, რომ თითქმის იგი დაწერილი იყო სატანის მიერ.

მენდელსონს მუდმივი მელანქოლია სჭირდა. ვან-გოგი თვლიდა, რომ იგი შეპყრობილი იყო ბნელი ძალების მიერ.

ტომაზო ლოიდი მშვენიერი ლექსების ავტორი წარმოადგენდა იშვიათ შეთავსებას გენიალურობის, ღვარძლის, სიამაყის და სხვა ფსიქური აშლილობისა. როდესაც იგი თავის ლექსების მადლიერი არ იყო, ქაღალდზე დაწერილ ლექსებს, წყლიან ქიქაში უშვებდა, რათა განეწმინდა ისინი. ყველაფერს, რასაც იპოვნიდა ნახშირი, ქვა, თამბაქო, ქაღალდი, თვლიდა, რომ ბედის ნაბოძები იყო, საჭმელში შეურევდა და მისი რწმენით ხდებოდა სხეულის განწმენდა.

მატერიალისტ გობსს არ შეეძლო ბნელ ოთახში დარჩენა, მოჩვენებების და მოლანდებების შიშით.

პოეტი ჰოლდერლინი მთელი თავისი სიცოცხლე დაავადებული იყო შეშლილობით, თავი მოიკლა 1835 წელს ფსიქიური აშლილობისგან.

მოცარტი დარწმუნებული იყო, რომ იტალიელები მის მოწამვლას აპირებდნენ.

შუმანი სიცოცხლის 24-ე წელს გახდა ლეპემანიის მსხვერპლი და 46 წლისამ სრულიად დაკარგა გონი. მას ხან სკამები და მაგიდები დასდევდა, ხან ბგერებს ხედავდა, რომლებიც მოსვენებას არ აძლევდნენ, ზოგჯერ კი ეჩვენებოდა ბეთჰოვენი და მენდელსონი, რომლებიც საფლავიდან კარნახობდნენ მელოდიებს.

პოზიციური ფილოსოფიის ფუძემდებელი ოგიუსტ კონტი ათი წლის განმავლობაში მკურნალობდა ფსიქიურ აშლილობას ესკიროლთან, განკურნების შემდეგ გააგდო ცოლი, რომელმაც მისი სიცოცხლე რამდენჯერმე იხსნა სიკვდილისგან. სიკვდილის წინ მან თავი მატერიალისტური რელიგიის მოციქულად და მღვდელმთავრად გამოაცხადა, თუმცა ადრე ქადაგებდა სასულიერო პირთა განადგურებას. კონტის შრომებში გვხვდება ერთი მეტად უცნაური ქადაგებებიც, რომ ქალები მამაკაცის გარეშე მოახდენენ განაყოფიერებას.

ჰოლუცინაციები ტანჯავდათ არქიმედეს, პასკალს, გობსს, გოეთეს, კოდაცის, ჩელინის.

არ შეიძლება არ ავღნიშნოთ გეომეტრ ბოლეს ერთი მეტად უცნაური ქცევა, მან სხვადასხვა დროს დუელში გამოიწვია 13 ახალგაზრდა და ორთაბრძოლებს შორის თავს ირთობდა ვიოლინოზე დაკვრით. საკუთარი პენსიით დაბეჭდა მის დასაფლავებაზე მოსულ ხალხთა სია, თავად გააკეთა კუბო და მემკვიდრეებს სთხოვა მის საფლავზე დაერგოთ ხე ევას, პარისისის და ნიუტონის სახსოვრად.

ნიუტონს 1693 წელს დაეწყო ფსიქიური აშლილობა და არქიეპისკოპოსის თანდასწრებით ისეთ უაზრო მოსაზრებებს გამოსთქვამდა, რომ მეგობრები იძულებული იყვნენ ჰყოლოდათ სრულ იზოლაციაში. პეპისადმი გაგზავნილ წერილში ნიუტონი წერდა ასეთ უცნაურ აზრებს: "ზამთრის მოახლოებისას ყველა ჩემი ჩვევა აირია. შემდგომ ავადმყოფობამ ეს უთავბოლობა იქამდე მიიყვანა, რომ ორი კვირის განმავლობაში არ მეძინა. არცერთი საათი არ მახსოვს, რომ მოგწერეთ, მაგრამ არ ვიცი სახელდობრ რა, თუ თქვენ გამომიგზავნით წერილს, მე აგიხსნით ამას".

ნიუტონი ამ დროს ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ თუ სთხოვდნენ განემარტა თავის თხზულების რომელიმე ადგილი, ის პასუხობდა: "მიმართეთ მავრს, მას ჩემზე მეტი გაეგება".

პასკალის მსგავსად მანაც მიმართა ღმერთს წერილით, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ეს წერილი მან პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში, საკურთხევლის ქვეშ ამოდო.

საინტერესო ეპიზოდი არსებობს უნგრელი განმანათლებელის და მადიარული აკადემიის დამაარსებლის სეჩენის ცხოვრებიდან. იგი 1848 წელს რევოლუციის მთავარი მოღვაწე და მინისტრი იყო. მას უკვე განჭვრეტილი ჰქონდა სამშობლოს ბევრი არასასიამოვნო მომავალი. ამის შემდეგ მას დაეუფლა დევნის მანია, რაც

თვითმკვლელობის ქინში გადავიდა, ორმოცდაათი წლის ასაკში კი განუახლდა გატაცება პადრაკისადმი და ისეთ აზარტში გადაეზარდა, რომ დაუქირავეს სტუდენტი, რომელიც 10-12 საათს ეთამაშებოდა. სეჩენი მდგომარეობიდან გამოვიდა, სამაგიეროდ გაუარესდა სტუდენტის ჯანმრთელობა.

შოპენჰაუერი ლიპემანიაკი იყო. 1831 წელს ის აიტანა შიშის ახალმა შეტევამ, მცირე ხმაურზეც კი დაშნას დასტაცებდა ხელს, მოსამსახურეს არ აძლევდა წვერის მოპარსვის უფლებას, შეიძულა ქალები, ებრაელები და ფილოსოფოსები, ხოლო ძაღლები იმდენად შეიყვარა, რომ თავის ქონების დიდი ნაწილი ანდერძით მათ დაუტოვა. მას მუდმივად ჰქონდა ეჭვი, რომ მის წინააღმდეგ ფილოსოფოსები აწყობდნენ შეთქმულებას და ამბობდა: "ჩემთვის უფრო ადვილია, თუ პიები დაუწყებენ ჩემს სხეულს ჭამას, ვიდრე მეცნიერები ჩემი ფილოსოფიის ღრღნას".

50 წლის ასაკში მან დედას ბრალი დასდო მამის ღალატში და მისი ხსოვნის უპატივცემულობაში. ის უარყოფდა მონოგამიას (ერთცოლიანობა) და პატივს სცემდა ტეტრაგამიას (ოთხცოლიანობა) თუმც მიუღებლად მიაჩნდა ერთდროულად 4 სიდედრი ჰყოლოდა.

ნიკოლოზ გოგოლმა მას შემდეგ, რაც განიცადა სრული ფიასკო სიყვარულში, გაიცნო პუშკინი და მისი შთაგონებით დაიწყო მოთხრობების წერა. მისი კალამი მიმართული იყო რუსული ბიუროკრატიის წინააღმდეგ. მან მიაღწია მწერლობით დიდების ზენიტს და იდეურად ილაშქრებდა სოციალური და პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგ, რომლის შემდეგ მან შეიგნო, რომ მისი შემოქმედება ეს არის მოწოდება რევოლუციისკენ, ამის შემდეგ ჩაიკეტა სახლში და მთელ დროს ლოცვებში ატარებდა. შემდეგ იერუსალიმშიც იმოგზაურა და იქიდან ცოტათი დამშვიდებული დაბრუნდა, მაგრამ ევროპაში 1848 წლის რევოლუცია დაიწყო, რამაც ძველი სინდისის ქენჯნა განუახლა. 1852 წელს გოგოლი ხატების წინ ნახეს მკვდარი გულმხურვალე ლოცვების შედეგად.

ბოტიჩელმა სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე თავისი შედევრების 80% გაანადგურა.

გენიოსის მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ ხშირად გაისმის ასეთი ფრაზა: ვპატიობთ სიგიჟეს, გვიყვარს მათი შემოქმედება. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს შორიდანაა კარგი სათქმელი. საკმარისი იქნებოდა მუდმივად ვყოფილიყავით მათი ცხოვრების არანორმალური ფრაგმენტების თანამგზავრი, რომ ყველაფერს მათსას დიადს თუ ნახევრად დიადს ფეხქვეშ გავთელავდით, ასეთია მკაცრი სინამდვილე. ეს ცხოვრებისგან მოსული კანონია. კანონს გამოცდილება ქმნის და არა აზრთა ლოგიკა. ლოგიკაში ბევრი მაღალი იდეა შეგვიძლია ჩავსვათ, მაგრამ ცხოვრებაში ვერ გატარდეს. ამგვარად მიუხედავად ყველაფრისა, ულმობელი და სათნო მედიცინა ისტორიის მეშვეობით აფიქსირებს ასეთ ფაქტებს.

შუმანმა 46 წლის ასაკში პრაქტიკულად დაკარგა გონების ნორმალური ბალანსი და სკამებს და მაგიდებს მოლაპარაკე მტრებად მიიჩნევდა, ზუსტად ასეთი ჰქონდა სიცოცხლის ბოლო თვეები ლენინს.

მოცარტი თვლიდა, რომ იტალიელები, დიდი ნიჭის გამო მას მოწამვლას უპირებდნენ.

მენდელსონს მელოდიებს კარნახობდნენ საფლავიდან, ამბობდა იგი მელანქოლიის დროს, დიდი დამაჯერებლობით.

რუსოს ეგონა, რომ მის წინააღმდეგ არამარტო ადამიანები, ბუნების სტიქიაც იყო შემართული.

არა ნორმალურები იყვნენ, არცთუ იშვიათად გერმანელი ფილოსოფოსი არტურ შოპენგაუერი, ინგლისელი მწერალი ჯონათან სვიფტი, ფრანგი მეცნიერი

ანდრე მარი ამპერი, ინგლისელი ფიზიკოსი ისააკ ნიუტონი, ფრანგი ფილოსოფოსი, მწერალი და მათემატიკოსი ბლეზ პასკალი, ამერიკელი მწერალი ედგარ ალან პო.

ცნობილმა მეცნიერმა სერვიმ გამოთვალა, რომ 1869 წელს იტალიაში ყველაზე მეტი სულით ავადმყოფი მოდიოდა ებრაელებზე ყოველ 39 ერთეულში

*გენიოსთა ადრინდელი პროფესია*

1. რობერტ ბერნსი პოეტი-ფერმერი
2. ჯეიმს ქენგი-ამერიკელი მსახიობი-ოფიციანტი
3. პერი კომო-ამერიკელი მომღერალი-დალაქი
4. შონ კონორი-ირლანდიელი კინომსახიობი (ჯეიმს ბონდის როლის შემსრულებელი) ქვისმჭრელი, მძღოლი
5. ალბერტ აინშტაინი-გენიალური ფიზიკოსი-საპატენტო ოფისის კლერკი
6. უილიამ ფოლკნერი-ამერიკელი მწერალი, მღებავი
7. ჯერალდ ფორდი აშშ.-ის პრეზიდენტი-მღებავი
8. ჯორჯ ფორმენი-პროფესიონალი მოკრივე ელექტროამწყობი, პოლიციელი
9. კლარკ გეიბლი-ამერიკელი კინოვარსკვლავი, მშენებელი
10. ჯუზეპე გარიბალდი-იტალიის ეროვნული გმირი-მეზღვაური
11. პოლ გოგენი-ფრანგი იმპრესიონისტიული ჟანრის ფერმწერი-ბირჟის მაკლერი
12. ადოლფ ჰიტლერი-გერმანიის ფაშიზმის დიქტატორი-აფიშების მხატვარი
13. ბობი ჰოუპი-ამერიკელი მსახიობი-მოკრივე
14. გოლდა მეირი-ისრაელის პრემიერ-მინისტრი და ეროვნული გმირი, სკოლის მასწავლებელი
15. მერილინ მონრო-ამერიკელი კინოვარსკვლავი, ფაბრიკის მუშა
16. ო, ჰენრი-ამერიკელი მწერალი-კოვბოი.
17. ელვის პრესლი-ამერიკის და მსოფლიო როკ-ენ-როლის მამამთავარი-მძღოლი
18. ჰარი ტრუმენი-აშშ. პრეზიდენტი ფართლეულით მოვაჭრე
19. ბარუხ სპინოზა- ებრაული წარმოშობის ჰოლანდიელი ფილოსოფოსი-ალმასების მხეხავი. ეს სია უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ ჩვენ აქ შევჩერდებით და გავაკეთებთ დასკვნას, რომ ისევე, როგორც ძველი ლათინები ამბობდნენ, სიდიადიდან სასაცილომდე ერთი ნაბიჯია, ანუ მეფე შეიძლება მოულოდნელად ეშაფოტზე მოხდეს და ლაფში ამოსვარონ, ასევე შეიძლება უწყინარი აფიშის მხატვრიდან (ჰიტლერი) იქცე საშიშ და მრისხანე დიქტატორად, ან უბრალო სკოლის მასწავლებლიდან (გოლდა მეირი) პრემიერ მინისტრამდე ან გმირამდე ამაღლდე. ასე რომ ბედისწერის ტრიალი სად მოგისვრის, არავინ იცის, ბედს უნდა გაფაციცებული ყურადღება, მართვა, ინტუიცია. მას უნდა გრძნობდე სუნით, ხელის შეხებით, სუნთქვით და სხვა...

ჟან ჟაკ რუსო-თავის ცხოვრების მანძილზე იყო: მესაათე ჯამბაზი, მუსიკის მასწავლებელი, მხატვარი, გრავიორი, ლაქია და ბოლოს რომელიღაც საელჩოში მდივნის მაგვარი სამსახურიც ჰქონდა.

აბრამ ლინკოლნი-ტყის მჭრელი.

*გენიოსები მახუსის ტყვეობაში*

ალექსანდრე მაკედონელის განსაკუთრებულ წრეგადასულობას არავინ უსვამს ხაზს ალკოჰოლთან მეგობრობაში, მაგრამ ის კი უნდა ვთქვათ, რომ იყო ნადიმთა მოყვარული და რომ არა ბახუსის როლი, ვინ იცის არც მოეკლა უბრალო შელაპარაკების გამო მისი უსაყვარლესი მეგობარი და ძუძუმტე-კლიტოს-შავი. ამ ნადიმის დროს ერთ-ერთი წყაროს ცნობით ათჯერ დაცალა ჰერკულესის თასი. (ამ თასს ჰერკულესის სახელი ეწოდა სიდიდის გამო, თუმცა რა მოცულობის იყო, არავინ იცის) ნადიმის და ბახუსის დიდად მოყვარული გახლდნენ კლეოპატრა და მისი ორი ავტორიტეტი-საყვარელი ცეზარი და ანტონიუსი. კლეოპატრა მიწიერ სიამეს ისე იკვლევდა, რომ მონებზე ექსპერიმენტებს ატარებდა რომელი იყო ყველაზე სასიამოვნო სიკვდილი და იგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ყველაზე სასიამოვნო განცდა იყო გველის დაკბენის შედეგად მიღებული შხამი, ამ დროს ადამიანის გონება სიზმარეულ ბინდში იძირებოდა. მან ასე მოისწრაფა კიდეც სიკვდილი.

ისტორიას შემორჩა ფაქტები, სადაც აღწერილია მთვრალი სოკრატე, სენეკა, ალკიბიადე, კატონი.

ლოთობის შედეგად გარდაიცვალნენ სეპტიმუს სევერუსი და მაჰმუდ მეორე.

ლოთობით შეიძლება ითქვას დაავადებულნი იყვნენ კონენტაბლ ბურბონელი, ავიცენა, მიურეე, ჟერარ და ნერვალი, მიუსსე. ტასო კი გულახდილად აღიარებდა: "მე არ ვუარყოფ, რომ გიჟი ვარ, მაგრამ ჩემთვის სასიამოვნოა ფიქრი იმის შესახებ, რომ: სიგიჟე წარმოსდგა სიყვარულისა და სიმთვრალისაგან, ამიტომაც ვსვამ სინამდვილეში ასე ბევრს".

ღმერთ ბახუსს წირავდნენ ხარკს ხშირად: დიუსეკი, ჰენდელი, გლიუკი.

*ატმოსფერული მოვლენების ზეგავლენა გენიალურ ადამიანებზე*

დიდრო-ძლიერი ქარების დროს მე მეჩვენება, რომ გონება წესრიგში არა მაქვს.

ალფაიერი-მე ვემსგავსები ბარომეტრს, სამუშაოს მეტ-ნაკლები სირთულე ყოველი თვის შეესატყვისება ჩემთვის ატმოსფერულ წნევას,-სრული გონებრივი სიჩლუნგე მეუფლება, ძლიერი ქარების დროს. აზრი დილით უფრო ნათელი მაქვს, ვიდრე დღის დანარჩენ დროს.

ნაპოლეონი ამბობდა-"ადამიანი არის ფიზიკური და ზნეობრივი პირობების პროდუქტი".- ვერ იტანდა ყველაზე სუსტ ქარსაც და იმდენად უყვარდა სითბო, რომ ივლისის თვეშიც კი ბრძანებდა ხანდახან გაეთბოთ მისი ოთახი.

ვოლტერის და ბიუფონის კაბინეტები თბებოდა წლის ყოველ დროს.

ბაირონი ხშირად ამბობდა, რომ ეშინია სიცივის.

ჰაინე ამტკიცებდა, რომ საფრანგეთში უფრო მეტი აქვს შემოქმედებით პოტენცია, ვიდრე გერმანიაში.

შილერი ხშირად წერდა გოეთეს-რომ შემოქმედება დიდად არის დამოკიდებული ამინდზე.

დანტემ თავის პირველი სონეტი 1282 წლის 1-ელ ივნისს დაწერა

პეტრარკამ თავის შემოქმედებითი იდეები 1338 წლის მარტში ჩაიფიქრა.

გალილეიმ სატურნის რგოლი აღმოაჩინა 1611 წლის აგვისტოში

სტერნმა-პირველი ქადაგება დაწერა აპრილში, მაისში კი შეთხზა ქადაგება "სინდისის შეცდომების შესახებ".

გოეთე-მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, 1788 წლის მარტის პირველი რიცხვები ნიშნავდა უფრო მეტს, ვიდრე მთელი თვე, მან ამ დღეებში დაასრულა ფაუსტი.

როსინიმ-თებერვალში თითქმის მთლიანად შეთხზა ოპერა "სემირამიდა"

ბეთჰოვენმა-მე-9 სიმფონია დაწერა თებერვალში

მოცარტმა ოპერა "მითრიდატე" შექმნა ოქტომბერში

მიქელანჯელო სურათზე "მოწყალება" მუშაობდა 1498 წლის სექტემბერ-ოქტომბერში

ლეონარდომ-1490 წლის 23 აპრილს ჩაიფიქრა ამხედრებული სფორცას ქანდაკება და დაიწყო წერა თხზულებებისა "სინათლისა და ჩრდილის შესახებ"

კოლუმბმა 1477 წლის მაისის ბოლოს ჩაიფიქრა მოეძებნა დასავლეთის გზა ინდოეთისკენ

გალილეიმ 1611 წლის აპრილში შეინერთან ერთად აღმოაჩინა ლაქები მზეზე, ხოლო 1609 წლის მაისში გამოიგონა ტელესკოპი, 1610 წლის ივნისში დაინახა ის ვარსკვლავები, რომლებიც შემდეგ ყველაზე ნათელი წერტილები გამოდგნენ სატურნის რგოლში.

კეპლერმა 1618 წლის მაისში აღმოაჩინა სამყაროსეული სხეულების მოძრაობის კანონი

პასკალის პირველი ცდები სითხეების წონასწორობაზე წარმოებდა 1645 წლის სექტემბერში

გალვანმა პირველი ნამუშევრები "ატმოსფერული ელექტრონის მოქმედების შესახებ ცივსისხლიანი ცხოველების ნერვიულ სისტემაზე", გააკეთა, როგორც თავად წერდა 1776 წლის 26 აპრილს

ლაიბნიცის ხელნაწერებიდან ჩანს, რომ 1675 წლის 29 ოქტომბერს მან პირველმა გამოიყენა ინტერვალის ნიშანი იმ დროს მიღებული კავალერის აღსანიშნავად.

1840 წლის ოქტომბერში არმსტრონგმა გამოიგონა პირველი ჰიდროელექტრული მანქანა.

რა თქმა უნდა ყოველივე ზემოთქმული პირობითია, მაგრამ უეჭველია აქ საუბარია ბალანსზე და არა აბსოლუტურ რაოდენობაზე და გასაკვირი არ არის, რომ შემოქმედებითი პოტენცია მჟღავნდებოდეს გაზაფხულზე და შემოდგომაზე. პირველის (გაზაფხული) დროს ადამიანის გონება და სხეული აღტაცებულ მდგომარეობაშია, მეორის დროს (შემოდგომა) ადამიანი რომანტიკას ეძლევა. ბუნება კვდება, ადამიანიც მეტწილად ასეთ მასალაზე ფიქრობს.

საუკეთესო მხატვრული და მუსიკალური ნაწარმოებები ჰქონდათ: სპალანცანის გაზაფხულზე, ჯუსტის და არქანჯელის მარტში, ლამარტინის აგვისტოში, კარკანოს, ბაირონს, ალფაიერს სექტემბერში, მალპიგს და შილერს-ივნისში, ვოლტის-ნოემბერში, გალვანის-აპრილში, ლუთერის-მარტში.

ყოველივე ეს ხდება ჩეზარე ლომბროზოს გამოკვლევის მიხედვით და ამ დაჯგუფებით გვაძლევს შემდეგ სურათს გაზაფხულზე-387, ზაფხულზე-345, შემოდგომაზე-335, დიდი აღმოჩენები მეცნიერებში გაზაფხულზე-21, შემოდგომაზე-15, ზაფხულში-9. ყველა სტატისტიკურ მონაცემებში უბადრუკად გამოიყურება ზამთარი.

*სიყვარული და გენიოსები*

ერთ-ერთი საგაზეთო წერილი გვაწვდის ავტორ საიმონსის მსოფლიო სექსუალური რეკორდების წიგნიდან მასალებს, რომლებსაც ჩვენც ვიყენებთ მცირე ინტერპრეტაციით და შერბილებული გადმოცემით.

საიმონსის მიხედვით კანტმა 80 წელიწადი იშრომა დაუზოგავად და არასოდეს არ უგემია ცოდვის ხილი. უცნაურია საზოგადოება, არაფერს არ გაპატიებს, ვინ იცის უდარდელმა ფილოსოფოსმა არც იცოდა, რომ მის ამ ნაკლს თუ ხარვეზს ვიღაც დააფიქსირებდა.

ნიუტონზეც ამბობენ, რომ ამ თემაზე ის არც ლაპარაკობდა და არც იყო ყურადღებიანი ქალთა სქესის მიმართ.

სექსუალურ ღორმუცელად იხსენიებენ ძველ რომაელ პოეტს ოვიდიუსს,

რომელმაც 40 წელს გადაცილებული ასაკით ცხრაჯერ შეებრძოლა სარეცელზე თავის მუდმივ შთაგონების წყაროს კორინას და განაცხადა, რომ თავს სრულიად დაკმაყოფილებულად გრძნობს.

ჯეიმს ბოსუელი ავტორი წიგნისა "სემიუნელ ჯონსანის ცხოვრება", ბრწყინვალე ესეისტი და ინგლისის განათლების საუკუნის მკაფიო წარმომადგენელი, თავის ლონდონის ჟურნალში იუწყებოდა, რომ მან 1783 წლის 12 იანვარს, როგორც ყოველთვის, ხუთჯერ დააკმაყოფილა ვინმე ლუიზა, რის შემდეგაც შეუდგა ლიტერატურულ მუშაობას.

ალბათ არც ღირს აქ საუბარი კაზანოვაზე და რასპუტინზე, იმიტომ, რომ ვლაპარაკობ ლიტერატორებზე და არა ეროტომანებზე. ლიტერატურაში კი არ შეიძლება მოპასანი არ გავიხსენოთ, საიმონსი გვაუწყებს, რომ გი დე მოპასანს აწუხებდა, ეგრეთწოდებული სატირიაზისი, მძლავრი და მუდმივი დაუკმაყოფილებლობა, ქალური ნიმფომანიის რაღაც ანალოგი.

მოპასანი თავის ნაცნობებს უცხადებდა, რომ ერთ-ორ საათში მას შეუძლია 12-ჯერ დატკბეს სიყვარულის გვირგვინით, ამ მხრივ უაღრესად თავშეკავებული ფლობერი, თავის მეგობრის შესაძლებლობებში, ამის გამო მოპასანმა ლაშქრობა მოაწყო ერთ-ერთ საყვარელ საროსკიპოში, სადაც ღირსეულად დაუმტკიცა საქმით, თავისი სიტყვების სიმართლე.

ამ მხრივ არც რუსული კლასიკის სარკე ტოლსტოი გამოიყურებოდა ურიგოდ. როგორც ზოგიერთი პუბლიკაციები გვაუწყებს, პირდაპირ მუსრს ავლებდა იასნაია პოლიანაში ჩასულ სტუმრებს და ადგილობრივებს. ტოლსტოი ერთხელ გორკის გამოუტყდა: ალექსეი მაქსიმოვიჩ, რომ მოვკვდე და კუბოში ჩამდონ, კარგმა ქალმა რომ გაიაროს, ღმერთმანი, კუბოს სახურავს ავხდი და ამოვძვრები!-უთხრა ტოლსტოიმ გორკის, ამასთან რუსული კლასიკის მამამ ახსნა კიდეც, თუ რით გადახდიდა კუბოს თავს და ყურებამდე გააწითლა "პროლეტარების გრიგალი მაქსიმ გორკი".

ტოლსტოის სექსუალური რეპუტაციის მტკიცებას ვპოულობთ პლეიბოის ერთ-ერთ უკანასკნელ ნომერში, სადაც იუწყებიან, რომ ლევ ნიკოლოზის-ძემ თავის 70 წლისთავი აღნიშნა იმით, რომ ღირსეულად და სრული მოცულობით აღასრულა ცოლ-ქმრული მოვალეობა, ხოლო შემდეგ ჭარბი ენერგია დახარჯა ველოსიპედით 20 კილომეტრის გავლით. კაციც ამას ჰქვია...აი ენერგია.

ხელოვნების მოღვაწეთა შორის გვხვდებოდნენ გიგანტებიც და ჯუჯებიც თავის საქმეში და რა თქმა უნდა ჰომოსექსუალებიც.

ეს ცოდვა კარგად იყო ცნობილი ისეთი ტიტანებისათვის, როგორებიც არიან მიქელანჯელო, ლეონარდო და ვინჩი, შექსპირი და სხვა...შექსპირთან დაკავშირებით ეს დასკვნა სეიმონსმა გააკეთა დედუქციის მეთოდით. მან დიდი ინგლისელის სონეტებში ჰომოსექსუალური თემატიკის დიდი რაოდენობა აღმოაჩინა. უფრო მეტიც, სეიმონსი წერს, რომ სონეტები 20, 26, 36, 53, 126 წარმოადგენენ ჰომოსექსუალიზმის ტიპიურ ნიმუშს. თუ რა კრიტერიუმით აკეთებდა შეფასებებს, ეს ცნობილი არაა ჩვენთვის.

ამ ეროტიკულ უკუღმართობის პირველი აპოლეგეტი იყო ოსკარ უაილდი. 1895 წლის სასამართლოზე მან წარმოთქვა დახვეწილი სიტყვა ამ □სიყვარულის" დასაცავად, რომელსაც არა აქვს თავისი სახელის დასახელება. ეს სიტყვა მართლაც ორატორული ხელოვნების ნამდვილი ნიმუში იყო. უაილდმა დაასახელა დავითის, პლატონის და იგივე მიქელანჯელოს და შექსპირის სახელები. დარბაზში აქა-იქ აპლოდისმენტებიც კი გაისმა, მაგრამ სასჯელის ვადა "დორიან გრეის პორტრეტის" ავტორმა მაინც მიიღო. ამ ფაქტებმა ლიტერატურა გაამდიდრა რეგინის ციხის ბელადით.

ჩვენი საუკუნე ჰომოსექსუალიზმს უყურებს როგორც სრულიად უდანაშაულო სიცელქეს, მაგრამ ზოგიერთ. გამოჩენილ ადამიანს ნაკლებად უდანაშაულო გატაცებებიც ჰქონდა.

ყველა დროში, ყველა ცოტა განათლებული კაცისთვის ცნობილი იყო სოკრატეს ცოლი ქსანტიპა, რომლის სიანჩხლე და კაპრიზობა სიმბოლოს დონეზეა ასული. როცა სოკრატეს ჰკითხეს, როგორ იტანდა ცოლის ამ ხასიათს, მან წყნარად მიუგო: "მე მივეჩვიე მას ისე, როგორც მეურმე ურმების ჭრიალს". ალბათ ამ კითხვის პასუხზე კონკურსი რომ ჩატარდეს, უკეთესს ვერავინ იტყვის. ერთხელ ქსანტიპამ სოკრატეს დიდი ჩხუბის შემდეგ წყალი გადმოაქცია ზევიდან. ამაზეც სოკრატემ წყნარად ჩაილაპარაკა, რა თქმა უნდა დიდი ქექა-ქუხილის შემდეგ, წვიმის მოსვლა კანონზომიერი არისო. ასეთი გონებამახვილი იყო ბერძენი გენიოსი ცოლ-ქმრულ სიტუაციებში.

ცოლ-ქმრულ ცხოვრებაში არ გაუმართლდათ ასტრონომს და მათემატიკოს კეპლერს, რუს მეცნიერს ლობაჩევსკის, პოეტებს ტიუტჩევს, ბლოკს, (რომლის ცხოვრებაში ცოლთან სიყვარული და სიძულვილი ერთმანეთს ენაცვლებოდა) მაიაკოვსკს, ბაირონს.

დიდებულმა გოეთემ თავის ბედნიერება ჰპოვა ისეთ ქალში, რომელსაც მეგობრები ვერაფრით იზიარებდნენ, ჰაინეს ცოლს ფრანგ ქალბატონს მისი სახელოვანი მეუღლის არც ერთი ლექსი არ ჰქონდა წაკითხული.

ლორდ ბაირონს-თვით ყველა დროის პოეტთა შორის გამორჩეული გარეგნობა ჰქონდა, ამას ემატებოდა მისი ნიჭის ელვარება მსოფლიოში და მის წინაშე ფართედ იღებოდა ევროპის ყველანაირი სალონები. მკვლევარები მასთან სექსუალური ურთიერთობის 200-მდე ქალს აგროვებენ. მან ძალიან დიდ წარმატებას მიაღწია ცურვაში და კრივში. მას გადაცურული აქვს ლამანშის სრუტე (32 კმ) და რიცხავენ არაოფიციალურ მსოფლიო ჩემპიონად.

ჯეკ ლონდონი-ერთ-ერთი ისაა, რომლის გარეგნობას ხაზს უსვავენ დიდი მონდომებით; მაღალი ათლეტური აგებულების, ტალღოვანთმიანი, მათრობელ საგანთა დიდი მოყვარული. ერთხელ მატარებელში იგი გაეცნო ქალს, რომელთანაც სამი დღე გაატარა, მის ჩვილ ბავშვს უვლიდა. ქალი ლონდონში ჩავიდა და ამის შემდეგ იგი ხშირად უყვებოდა მეგობრებს ამ ქალზე, რომ მან ამ ქალისგან ყველაფერი მიიღო, რაც სურდა.

ჯეკის პირველი ქორწინება დაინგრა მისი ცოლისადმი ქრონიკული არაერთგულების გამო. მის მეუღლეს ჩარმიანს ჯეკის დატოვება უცხო ქალთან არ შეეძლო ორ წუთზე მეტს.

ლევ ტოლსტოი-16 წლის ასაკში დაკაცდა, რისთვისაც მან მეძავი ქალის მომსახურეობა გამოიყენა. აი როგორ აღწერს მწერალი ამ ფაქტს: "როდესაც მეგობრებმა საროსკიპო სახლში შემათრიეს და ჩემი ცხოვრების პირველი სქესობრივი აქტი ჩავატარე, ამ ქალის ლოგინთან ჩამოვჯექი და ავტირდი. მისი გარეგნობა საშუალოზე დაბალი იყო, მისი სექსუალური ნანადირევი ხშირად სოფლელი ქალები იყვნენ. შემდეგ პეტერბურგშიც დაიკმაყოფილა თავი ქალაქური ორგიებით. ამის შემდეგ მიატოვა უბრალო გლეხის გოგონა აქსანა და სონია შეირთო. ზოგიერთი წყაროს მონაცემებით ტოლსტოიმ წააკითხა და მოუთხრო მის ამურულ თავგადასავლებზე ყველაფერი და ამის შემდეგ მათი პირველი ვნების ღამე ბრძოლის არენად იქცა. სონია ლევს მთელი ცხოვრება უჩიოდა სექსუალურ დაუკმაყოფილებლობას.

ჯონ ფიცჯერალდ კენედი პოლიტიკოსებს შორის ნამდვილი სექსუალური ათლეტია. სექსთან სიამტკბილობა კენედიმ 17 წლის ასაკში გაიგო, როდესაც თავის სკოლის მეგობართან ერთად პირველად წავიდა ჰარლემის საროსკიპოში.

კონგრესში მუშაობის დროს იგი ყოველდღე ახალ- ახალ ქალბატონით დაიარებოდა. მისი სექსუალური მუზეუმის კოლექციაში, საიდუმლო ექსპონატად დევს მე-20 საუკუნის ჰოლივუდის სექსის სიმბოლო, სახელგანთქმული მერლინ მონრო. მისი მეუღლე გახლდათ არისტოკრატიულ ოჯახში აღზრდილი ფრანგული წარმოშობის ამერიკელი ჟაკლინ ბუვიე, რომელმაც შესანიშნავად იცოდა ქმრის ხასიათი და ამჯობინებდა, რომ არ შეემჩნია. ჟაკლინმა ჯონ კენედის სასიკვდილოდ დაჭრის დროს გამოამჟღავნა საოცარი გმირობა, ქმრის სიყვარული და ერთგულება.

მაო ძე დუნი-60 წელს გადაცილებულ მაოს ძალზედ აინტერესებდა უკვდავების პრობლემა, ღრმად ეწაფებოდა ამასთან დაკავშირებულ ფილოსოფიას და სადღაც თვალი მოჰკრა, რომ სიცოცხლე უკვდავების ერთ-ერთი საიდუმლო ხშირი სექსუალური კონტაქტი იყო. ამისთვის მან მოაწყო ნამდვილი ბურჟუაზიული მეჯლისები. მოცეკვავეთა დასის უფროსი ვან დუნსინმა ამისთვის სექსუალური გარეგნობის მქონე გოგონების მთელი კონვეირი შექმნა. მაოს სიყვარულით გათანგული გული საბოლოოდ დაოკდა ჩჟან იუფენთან, (18 წლის) რომლის თეთრი ყირმიზისფერი, აზიისთვის გასაოცრად მიმზიდველად ჩანდა და მის ხელებში ამოისუნთქა უკანასკნელად. საერთოდ მაოს საწოლი ეს იყო ტრამპლინი ნებისმიერი მიმართულებით.

ჩვენ აქ შევჩერდებით ძველი რომის იმპერატორებზე ნერონზე, კალიგულაზე და სხვებზე. მათზე შეიძლება ის ვთქვათ, რომ ისინი ნამდვილი ამორალურობის განგსტერები იყვნენ ყველაფერში თავისი გაუკუღმართებული, აღვირახსნილობით და როცა მათზე ამ თემაზე კალამს მოკიდებ ხელს, ეს ერთი აბზაცი კი არა, მთელი წიგნია საჭირო. ამიტომ მათზე ამ ფაქტთა ცოდნის მსურველებს შეუძლიათ ცალკე გაეცნონ. ისტორიაში ამ მხრივ მასალები მათზე უხვად მოიპოვება.

ჰიტლერი-მთელი ცხოვრება, უკანონო ქორწინების მატარებელი იყო მსახიობ ევა ბრაუნთან, და მხოლოდ თვითმკვლელობის დღეს დაიწერა ჯვარი, რათა ჩამოერეცხა ეს ერთი ლაქა მაინც.

ბონაპარტე ნაპოლეონი-მისი უზენაესი განცხრომა ომების წარმოება იყო და ამით მოპოვებული დიდება. მეორე ადგილზე კი იდგა ქალი. პირველი ცოლი ჟოზეფინა (კრეოლი-თეთრკანიანის და მულატის შვილი) გენერალ ბოგარნეს ცოლყოფილი იყო, და უამრავი საეჭვო ფრაგმენტები ჰქონდა სასიყვარულო სფეროში. ნაპოლეონს თავიდან მძაფრი და ბავშვური გატაცებით უყვარდა, შემდეგ შვილის არყოლის მიზნით იგი შეცვალა მარი ლუიზათი. (ავსტრიის იმპერატორის და)

ალ. მაკედონელი-ორი ცოლი ჰყავდა პირველი სტატირა და მეორე, მისი მოწინააღმდეგის დარიოსის შვილი როქსანა. მეორე ქორწინება იმპერიული მიზნებით იყო ნაკარნახევი, მას სურდა იმდროინდელი სუპერსახელმწიფოს სპარსეთის ათქვეფა ბერძნულ-მაკედონურ წიაღში. ამიტომ თავისი მეორე ქორწინების შემდეგ, თავის მხედრიონის დიდი ნაწილი დააქორწინა სპარსელ ქალებზე.

77 წლის ოგიუსტ როდენმა ქორწინება თავის ერთგულ საყვარელთან მაშინ გააფორმა, როცა მათი შვილი 50 წლის იყო. ქალმა ქორწინების შემდეგ 50 წელი იცოცხლა, ხოლო როდენმა 10 თვე.

სუეცის არხის მშენებელი ფერდინანდ ლესეპრე 65 წლის იყო, როცა 21 წლის ქალიშვილი მოიყვანა ცოლად. მათ 12 შვილი შეეძინათ. ინჟინერმა კი 89 წლამდე იცოცხლა.

ჩარლი ჩაპლინი-თავის ბოლო მეუღლე უნაზე მთელი 30 წლით იყო უფროსი. მათ რვა შვილი შეეძინათ.

მეფე ალექსი მიხაილოვიჩი პეტრე I-ის დედაზე ნატალია ნარიშკინაზე რომ

დაქორწინდა, 23 წლით უფროსი იყო მასზე.

რომის პაპი ალექსანდრე მეექსე 1503 წელს გარდაიცვალა. ამბობენ ათაშანგის ათვლის წერტილი ეს კაცი და თარიღია.

ამ დაავადების თანაზიარად თვლიან შოპენგაუსერს, რისთვისაც მკვლევარები მიაწერენ მის სიძულვილს ქალებისადმი.

გარყვნილებაში რომ შეჯიბრი ყოფილიყო, ერთ-ერთი უპირველესი ფავორიტი იქნებოდა რომის პაპი ბალთასარ კოსა იქნებოდა, რომელმაც საყვარლისგან გააჩინა შვილი და შემდეგ ამ შვილისგან შვილი, ამდენად ერთდროულად თავისი შვილის მამაც იყო და ქმარიც. მის ანგარიშზე ალრიცხავენ სამას მონაზონ ქალს, რომელთაც უბიწოება მას ჩააბარეს. ის კი მათ ყველას ქრისტეს საპატარძლოებს ეძახდა.

16 წლის იყო რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინა როცა ცოლად გაჰყვა 17 წლის პეტრეს. მისი (ეკატერინე) საყვარლების რიცხვი მხოლოდ მიახლოებით არის ცნობილი, მაგრამ უფრო მთავარია ის, რომ მის დროს შემოიღეს რაც შეიძლება შემოტკეცილი შარვალი, რათა ვნების ქურდ იმპერატრიცას არ გაჭირვებოდა სასურველის ამორჩევა.

39 წლის ასაკში გარდაიცვალა ეგვიპტის დედოფალი კლეოპატრა, მაგრამ მას არ დაუტოვეია იმ დროის არცერთი გამოჩენილი კაცი, რომელსაც მისი სარეცელი არ გაეზიარებინოს. მას უყვარდა განსაკუთრებით დიდი ძალამოსილების და ავტორიტეტის მქონე კაცები, როგორიც იყვნენ ანტონიუსი, ცეზარი და სხვები. ოქტავიანე ავგუსტუსთან ომების წაგების შემდეგ მან სცადა მისი მოხიბვლა სარეცლით, მაგრამ ძლიერთა მხარემ ეს გამოწვევა არ მიიღო, რადგან მას სახელი უფრო სჭირდებოდა, და სურდა კლეოპატრას, როგორც ტყვედქმნილს ოქროს ბორკილებში გაევლო ტრიუმფში. კლეოპატრამ ამ ყოფას სიკვდილი არჩია.

ეგვიპტური ტრადიციის მიხედვით და და ძმა (სამეფო ხაზით) აუცილებლად ერთმანეთთან ქორწინებაში უნდა ყოფილიყო. კლეოპატრა კი იმდენად დასცინოდა ლეიძლ ძმას, რომ ყველაზე დიდი, რაც შეიძლება ძმისთვის პატივი ეცა იყო ის, რომ ფეხზე აკოცნინებდა.

ბერბიჭებად დარჩნენ ნიუტონი, ტურგენევი, ბერნარდ შოუ-ს უკანასკნელი კი თავის პიგმალიონით ქვეყანას აოცებდა, თვითონ კი ვერცერთმა ქალმა ვერ დააჯერა სიყვარულში.

თავის ცოლს გალას უმადლოდა წარმატებას საოცარი, სალვადორ დალი, რომელმაც მისი სიკვდილის შემდეგ ერთი პერიოდი იმდენად არ ჭამდა, რომ მსახურები ძალით აჭმევდნენ.

ბევრი ტილო შეიქმნა ისეთი ამ ქვეყანაზე, რომელთა გენიალურობაში წვლილი შეტანილი აქვთ ცოლებს. ასეთები იყვნენ: სეროვი, რერიხი, ტიმორიაზევი, შოლოხოვი, ტვარდოვსკი.

ცნობილი ანატომი ფიდერი მრავალი აკვიატებით გამოირჩეოდა და თვლიდა, რომ მას შეუძლია ერთ ღუმელში გამოაცხოს 2000 კაცისთვის პური, ორმოცი ჯარისკაცის თანხლებით გააქციოს თუნდაც მილიონიანი არმია.

50 წლის ასაკში იგი მგზნებარე ვნებით აენთო მეზობლის ქალიშვილისადმი, რამაც იქამდე მიიყვანა, რომ იძულებული შეიქმნა ჩვენებოდა სრულიად შიშველი, რისთვისაც სიყვარულის ობიექტი გოგონასაგან ნარეცხი წყლის შესხმა დაიმსახურა. ფიდერმა ამის შემდეგ ეზოში მოსიარულე წიწილაში აღმოაჩინა თავისი მიუწვდომელი სატრფოს განსახიერება და მას ეფერებოდა და კოცნიდა ისე, როგორც სატრფოს ეკადრება.

ვან-გოგს უყვარდა ქალი, რომელიც მის სიყვარულს არ იზიარებდა. ერთხელ

ამ ქალბატონმა ვან-გოგის ყურებზე თქვა, რომ იგი ლამაზია, სახლში მოსულმა ვან-გოგმა ყური მოიჭრა, პირსახოცში შეახვია და გაუგზავნა. ქალბატონს მოჭრილი ყურის დანახვისთანავე გული წაუვიდა.

ბილ კლინთონი და...

ჩვენ უახლოეს ისტორიაში, არავინ ყოფილა ძალიან გამოჩენილთა შორის, ისეთი სკანდალური სასიყვარულო თავგადასავლებით გარემოსილი, როგორც №1 სუპერსახელმწიფოს პირველი პირი, ჩვენი ამჟამინდელი ისტორიის აქტიურად მოქმედი პირი ბილ კლინთონი. ბედმა მას არგუნა პირველი ვიოლინოს როლი ამ მეტად პიკანტურ და ყოველთვის მოსარიდებელ საქმეში.

1992 წლის 8 მაისს "ექსელსიორ" ოთელში ყოფნისას პრეზიდენტმა თავისთან გამოიძახა თეთრი სახლის დიასახლისად წოდებული პაულა ჯონსი. მასთან შესული პაულა სირცხვილნარევი სითამამით მოგვითხრობს, რომ როგორ იხილა შარვალჩახდილი პრეზიდენტი, რომელიც ორალურ სექსს სთავაზობდა. მისი თქმით ეს აქტი შესდგა, თუმცა ძალიან ნანობს, რომ დაჰყვა მის სურვილს და ჭეშმარიტების დასამტკიცებლად მან თვითონ წამოაყენა არგუმენტი მისი განსაკუთრებული ფორმის სასქესო ორგანოს, ნებისმიერთა შორის გამოარჩევდა.

აშშ-ის უმაღლესმა სასამართლომ ამ საქმის ნათელის მოსაფენად იუსტიციის უფროსი მრჩეველი ჯენეთ სთარი დანიშნა, რომელიც თავგადაკლული რესპუბლიკელია და ძიება ისეთი ტენდენციურობით წარმართა, რომ ბილი თვით ნარკომანიაში და მექრთამეობაში უნდოდა ემხილებინა. ამ ბრძოლიდან პრეზიდენტი შედეგით უვნებელი გამოვიდა, თუმცა მასზე ამ ამბავმა გრიგალივით გადაიარა. მომდევნო მოიერიშე თეთრი სახლის 1995 წლის პრაქტიკანტი მონიკა ლევინსკი იყო, რომელმაც მის ტანსაცმელზე საგულდაგულო სამხილად შეინახა პრეზიდენტის სპერმის ლაქა. აქ კი პრეზიდენტი მიწაზე ბეჭებით გააკრეს და არაერთგზის მოუხდა ბოდიშის მოხდა სამი სუბიექტის წინაშე,-ეს იყო საკუთარი ოჯახი, თვითონ მონიკა და ამერიკელი ხალხი. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მონიკა მგზნებარე რესპუბლიკელად იქნა გამჟღავნებული, რომელსაც თავის დროზე ამ პარტიისთვის 350 ათასი დოლარი აქვს გაღებული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მონიკას საშუალებით გამოიყენეს პრეზიდენტის სუსტი მხარე მისი კომპრომეტირებისათვის. ამ სიას ამშვენებს მესამე პირის სახით წინამორბედებივით მშვენიერი და მიმზიდველი ჟურნალისტი, მოცეკვავე ჯენიფერ ფლაუერსი. მას სამხილად მაგნიტოფონის ჩანაწერები წარმოადგინა და ექსპერტიზამაც დაამტკიცა, რომ ფირზე აღბეჭდილის და პრეზიდენტის ხმა ერთი და იგივეა. ეს წერილი იწერება იმ დღეებში, როდესაც კლინთონმა აღიარა მონიკა ლევინსკისთან ინტიმური კავშირი და უარყო სექსუალური. პრეზიდენტის იმპიჩმენტს მხარი დაუჭირა უკვე მოსახლეობის 40%-ზე მეტმა, მაგრამ ეს პროცენტი იმპიჩმენტის აღსაძვრელად ჯერ კიდევ არ კმარა. კლინთონს კი საპრეზიდენტო ვადის დამთავრებამდე წელიწადზე მეტი რჩება. წინასაარჩევნო საპრეზიდენტო მარათონი მალე სტარტს აიღებს, უტყუარია, რომ დემოკრატების პარტიაზე კლინთონის პრეზიდენტობის ეს მწვავე პასაჟები საკმაო ზეგავლენას მოახდენს.

ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ მთელ ამ გაუთავებელ სასამართლო პროცესებს ენერგიულად უძღვება ადვოკატი ლინდა თრიპსი.

ბილ კლინთონი ალბათ უკონკურსოდ შევა ამერიკის ყველაზე სექსუალურ პრეზიდენტად, რომლის შემდეგ ალბათ მასთან შედარებით მოკრძალებით იყურება მეორე პოპულარული მექალთანე ჯონ კენედი, თუმცა მისი რეკორდები ბილისას ბევრად ჩამოუვარდება.

*მემკვიდრეობითობის ზეგავლენა გენიალურობაზე*

მუსიკოსებს შორის შესანიშნავი ნიჭით გამოირჩეოდნენ პალესტრინის, ვერდის,

დიუსეკის, გილერის, მოცარტის ვაჟები. ბახების ოჯახმა საზოგადოებას მისცა რვა თაობა, მათგან 57 ცნობილი მუსიკოსი იყო.

მხატვრებს შორის მემკვიდრეობითობის ნიჭით გამოირჩეოდნენ ვან-დეიკი, ფონ-დერ-ველდი, მურილიო, ვერონეზე, ბელინი, კარაჩი, კორეჯო, ბასანო, ტინტორეტო...აგრეთვე კალიარის ოჯახი, რომელიც შედგებოდა ბიძის, მამისა და შვილისაგან. ამ მხრივ განსაკუთრებით უხვმოსავლიანია ტიციანის ოჯახი.

პოეტებს შორის ერთ-ერთი პირველია ესქილე, რომლის ორი ვაჟი და ძმისშვილები პოეტები იყვნენ.

არისტოტელეს ვაჟები ნიკომაქე და კალისთინე, აგრეთვე ძმისშვილები ცნობილი იყვნენ თავის დიდი წინაპრის მსგავსებით, რა თქმა უნდა აზროვნებით.

თუმცა საერთო მონაცემებით გენიალურობის შთამომავალთა შანსი გენიალურობაზე ასეთია: ძმებისთვის 13%, შვილებისთვის 24%. საქართველოში არცერთ გვარს არ ყავს იმდენი პოეტი, რამდენიც არაბულებს. ზოგიერთი მონაცემით ისინი 10-ს ცდებიან.

ხერგიანების გვარში 4 სპორტის დამსახურებული ოსტატია და 3 ოსტატი, გაბრიელი, ბექნუ, დიდი მიშა და უმცროსი მიშა, აკაკი, ბესარიონი და მისი ქალიშვილი. ვთვლი, რომ ეს უნიკალური შემთხვევაა სპორტის ისტორიაში, არამარტო საქართველოში, თვით მსოფლიოშიც, რა თქმა უნდა ყველა მთასვლელი იყო. აქ ჩვენ ერთმანეთში არ აგვერიოს, შეიძლება მთასვლელობა გენიალურთა განზომილებად ნაკლებად გამოიყენება, მაგრამ უნდა ითქვას, რომ სპორტის არცერთი სახეობა არ მოითხოვს ენერგიის, ნებისყოფის ისეთ კონცენტრაციას, როგორც ეს.

ვაჟა-ფშაველა და მისი სამი ძმა თედო, სანდრო, ბაჟანა უდიდესი მწერლები და პოეტები იყვნენ.

უცოლო გენიოსები იყვნენ: შოპენგაუერი, დეკარტე, ლაიბნიცი, კონტი, კანტი, სპინოზა, მიქელანჯელო, ნიუტონი, გოგოლი, ლერმონტოვი, ტურგენევი.

*რომელმა მხარემ მისცა მსოფლიოს ყველაზე მეტი გენიოსი?*

ფლორენცია-დანტე, მაკიაველი, ლიული, ლეონარდო, ბრუნელესკო, ჩელინი, ვესპუჩი, ვივიანი, ბოკაჩიო, ალბერტი, დონატელოსი, მიქელანჯელო, გალილეი.

საქართველოში ამ მხრივ ქიზიყი გამოირჩევა.

ტერიტორიის მიხედვით გენიოსთა სამშობლოდ მიღებულია მთიანი დასახლება, კლიმატი, თბილი. ამ მხრივ პირდაპირ ესაბამება ტოსკანიის მხარე.

ჩეზარე ლომბრეზოს მიხედვით შუა იტალიის მთიანი პროვინციები და ზღვისპირეთი-ვენეცია, ნეაპოლი, გენუა ასე გამოიყურება:

| ქალაქები | მუსიკოსები | მხატვრები |
|---|---|---|
| ბოლონია | 262 | 95 |
| ფლორენცია | 252 | 70 |
| ვენეცია | 138 | 124 |
| მილანი | 127 | 95 |
| რომი | 100 | 127 |
| გენუა | 100 | 30 |
| ნეაპოლი | 95 | 216 |

საერთოდ ცნობილია, სასკოლო ამინდის შექმნას ბევრი რამ შეუძლია. ასე რომ ამ დროს რელიეფი განსაკუთრებულ როლს ვერ თამაშობს, მაგრამ როდესაც ნეაპოლი 216 მუსიკოსს აძლევს იტალიას, აქ ვერ ვიტყვით, რომ ეს მხოლოდ სკოლის შედეგია, ამ შემთხვევაში უნდა ვთქვათ, ნეაპოლი იმყოფებოდა მზის სხივთა მუსიკალურ გარემოცვაში, ამ გარემოცვით გაჟღენთილია ადამიანთა გენეტიკა და შედეგიც დიდია.

ჩვენ ამით გვინდა ვთქვათ, რომ გენიოსის შექმნაში მრავალი კომპონენტი იღებს მონაწილეობას, მაგრამ წამყვანი რა არის? ესაა მთავარი.

კლემანის თხზულების 110 დიდი კომპოზიტორის მიხედვით 36 იტალიის წილზე მოდის, მათ შორის ნახევარი ნეაპოლის.

*გენერალისიმუსები*

ტერმინი გენერალისიმუსი, ისევე როგორც ბევრი სხვა მისი მონათესავე (სამხედრო და იურიდიული) ტერმინები ლათინური და ნიშნავს ყველაზე მთავარს. ეს წოდება მიეკუთვნებოდათ პირებს, რომლებსაც სამშობლოს წინაშე განუსაზღვრელი დამსახურება ან საგანგებო სამსახური გაუწიეს ისტორიის ერთ გზაჯვარედინზე.

1659 წელს საფრანგეთის მეფე შარლ IX-ემ თავის 18 წლის ძმას ანრი ანჟუელს (ანრი ანჟუელი შემდეგ გამეფდა და ისტორიაში შევიდა ჰენრიხ III-ის სახელით) მიანიჭა ეს ტიტული უფრო ნათესაური სიყვარულის გამო, ვიდრე დამსახურებით. ამ ტიტულის ათვლის წერტილიც შუა საუკუნეებში 1659 წელს თელიან.

საფრანგეთში გენერალსიმუსები იყვნენ: ჰერცოგი დე გიზი (1550-1588), საფრანგეთის მმართველი და რეფორმატორი; კარდინალი ჰერცოგი არმან ჟან დიუ რიშელიე (1585-1682), პრინცი ლუი კონდი (1621-1688), ჰერცოგი კარლ ვილარი (1653-1734), ფრანც ფოში (1851-1929). ავსტრიაში: თავადი მონტეკუკოლი (1609-1680), პრინცი ევგენი სავოელი (1663-1736), გრაფი ლ-დაუნი (1705-1766), ერცჰერცოგი კარლი (1771-1847), თავადი შვარცენბერგი (1771-1820).

რუსეთში ეს ტიტული, მისი ოფიციალურად შემოღებამდე 20 წლით ადრე პეტრე I აზოვზე გამარჯვების გამო მიანიჭა ვოევოდა ა.ს. შეინს (1662-1700), ოფიციალურად შემოიღეს 1716 წელს და შემდეგ თავად ა.დ. მენშიკოვს (1673-1729)

1740 წელს ამ ტიტულის მფლობელი გახდა პრინცი ანტონ ულრიხ ბრაუნშვაიგერი (1714-1774), 1799 წელს ეს ტიტული უბოძეს დიდ რუს მხედართმთავარს ა.ვ. სუვოროვს (1729-1800)

საბჭოთა კავშირში გენერალსიმუსის წოდება შემოღებული იქნა ომის დამთავრების შემდეგ 1945 წლის 26 ივნისს, ხოლო 27 ივნისის ბრძანებულობით ეს ტიტული მიენიჭა სტალინს. უნდა ითქვას, რომ ეს წოდება სამხედრო წოდებათა რანგში არ შედის.

ამავე პერიოდში ეს ტიტული გააჩნდათ ჩან-კაიშს (ძიან ძეში 1887-1975), რომელმაც 1927 წელს მოახდინა შანხაიში გადატრიალება და 1949 წლამდე ჩინეთში გახდა სრული დიქტატორი. ტიტული მიანიჭეს 1936 წელს. საბოლოოდ იგი 1949 წელს განდევნილი იქნა კუნძულ ტაივანზე სტალინის პოლიტიკის შედეგად.

ბაამონდე ფრანკო (1892-1975)-მან 1939 წელს დაამხო ესპანეთში რესპუბლიკა და ესპანეთის სახელმწიფოს სათავეში ჩაუდგა. იმავე წელს მიენიჭა გენერალსიმუსის წოდება. 1947 წელს ფრანკომ დაამტკიცა ესპანეთში მონარქიის ინსტიტუტი მისი პოლიტიკური სარბიელდან წასვლის შემდეგ. 1969 წელს ფრანკომ დეკრეტით ესპანეთის მომავალ მეფედ-ხუან კარლოს ბურბონი გამოაცხადა.

გენერალსიმუსის წოდება ყველაზე დიდხანს ატარა ჩან-კაიშიმ 41 წელი, ყველაზე მცირე ხნით 4 თვით მენშიკოვმა. ყველაზე დიდხანს იცოცხლა კარდინალმა რიშელიემ 97 წელი, ყველაზე ახალგაზრდა გარდაიცვალა ჰერცოგი დე გიზი 38 წლის.

მსოფლიოს ორი უკანასკნელი გენერალსიმუსი, ჩან-კაიში და ფრანკო გარდაიცვალნენ 1975 წელს.

სტალინის შემდეგ არავისთვის მიუნიჭებიათ ეს წოდება.

გენერალსიმუსი იყო ქართველური წარმოშობის მუსლიმანი სარდალი კაპუდან ყაშა ჰასანი (გენერალსიმუსი) მე-18 საუკუნე

*გენიოსების საფლავთა ისტორია*

*პაგანინი*

ყველაზე დიდი თავგადასავალი სიკვდილის შემდეგ, უბადლო მევიოლინეს ნიკოლო პაგანინის ცხედარს ერგო ბედად.

უნიკალური მუსიკოსის ცხედარს დასაფლავებაზე წინააღმდეგობა ჯერ ნიცის ეპისკოპოსმა დომენიკო გალვანომ გაუწია, რადგან პაგანინს ნიჭის გამო ეშმაკთან პირშეკვრას აბრალებდნენ. კაკლის კუბო ამის შემდეგ გემზე გადაიტანეს და მშობლიურ გენუაში ჩაიტანეს, მაგრამ ქალაქის მერმა თუ გუბერნატორმა ფილიპო პაოლუჩიმ, ხომალდი ნავსადგურშიც კი არ შეუშვა. სამი თვე იდგა გემი მიყრუებულ ყურეში, მთვრალი მეზღვაურები ნახევრად ხუმრობით თუ სერიოზულად ამტკიცებდნენ, რომ ღამღამობით თავის პატარა სასახლეს ტოვებდა ნიკოლო პაგანინი. დიდი განსჯის შემდეგ პაგანინის შვილს ნება დართეს მამის ცხედარი გადაეტანა მისივე მეგობრის გრაფ ჩეროლეს ციხე-კოშკის სარდაფში. მაგრამ აქ მსახურნი ჩიოდნენ რაღაც შიშის მომგვრელ ხმანებებზე, რომელსაც ცხედარი იწვევდა მათში და ვილაფრანკას ლაზარეთის მორგში გადაიტანეს, მაგრამ არც აქაური მომსახურე პერსონალი შეხვდა ამ ფაქტს მშვიდად, რადგან მათი თქმით ცხედრის მოთქმა, გოდება ესმოდათ. და მაინც საბოლოოდ პაგანინის ნეშტი მიწას მიაბარეს 1842 წელს სენტ-ორპისის კონცხზე, კოშკის ძირას. 1844 წელს ნეშტი ამოთხარეს და ნიცაში წაასვენეს, 1845 წელს კი კვლავ გრაფ ჩესოლეს ვილაში გადაასვენეს. მეგობრებს ძალიან სურდათ, რომ მისი ნეშტი მიწისთვის ქრისტიანული წესით მიებარებინათ, რაც 1876 წელს შესრულდა სიკვდილიდან 36 წლის შემდეგ. 1893 წელს კვლავ დაირხა ხმა, რომ მიწიდან მოისმის კვნესა, გოდება და კუბო გახსნეს ჩეხი მევიოლინის, პაგანინის შვილიშვილის ფრანტიშეკ ანდრეიჩეკის თანდასწრებით. პრაქტიკულად იქ დახვდათ მხოლოდ ჩონჩხი. თავი მეტისმეტად კარგად იყო შემონახული.

1897 წელს პაგანინის ნეშტი კვლავ იმავე მიზეზების გამო ამოთხარეს და ახალ სასაფლაოზე გადაიტანეს.

*ეპისკოპოსი ფორმოზა*

მეცხრე საუკუნის დამლევს რომის პაპის ტახტზე სტეფანე მეექვსე იჯდა. მან გადაწყვიტა გაესამართლებინა თავისი წინამორბედი ეპისკოპოსი ფორმოზა და ცხედარი ამოთხარა საფლავიდან. პაპის ტანსაცმლით შემოსეს, ტახტზე დასვეს და გაუმართეს სამსჯავრო, რომლის შემდეგ გვამი დასაჯეს და მოკვეთეს სამი თითი, რომლითაც ხალხს ლოცავდა სიცოცხლეში, მერე ცხენის ძუას გამობეს, ათრიეს და შემდეგ მდინარეში გადაუძახეს.

*გრიგოლ რასპუტინი*

სასწაულებრივად გახმაურებული მექალთანის და ავანტურისტის ცხედარი, სიკვდილიდან რამდენიმე თვის შემდეგ საფლავიდან ამოთხარეს და საცეცხლურში დაწვეს.

*ცრუ დიმიტრი (გრიგოლ ოტრეპიევი)*

სასტიკი სასჯელი დაატეხეს თავს რუსეთში, მეჩვიდმეტე საუკუნის დამდეგს ცრუ დიმიტრის. მისი გვამი ჯერ გაამათრახეს, შემდეგ სალამური ჩასჩარეს პირში და გაფატრეს. რამდენიმე დღე მოედანზე ეგდო და შემდეგ გზისპირა თხრილში დაფლეს. მაგრამ ესეც ეცოტავათ, გვამი ამოთხარეს, დაწვეს, ფერფლით ზარბაზანი გატენეს და ისე გაისროლეს.

*ჯაკომო კაზანოვა*

მისი საფლავი ისეა მოწყობილი, რომ ფართე კაბის ბოლოები აუცილებლად

წამოედება იქ გაკეთებულ კაუჭებს. სიმბოლურად ის აზრია გატარებული, რომ ის საფლავშიც მშვენიერთა სქესზე ნადირობს.

*კორტესი*

პაგანინზე არანაკლები თავგადასავლები გადახდა თავის სისასტიკით განთქმულ ფერნანდო კორტესს;

აცტეკთა მბრძანებელმა კუაუტეკომამ, როდესაც სიკვდილით სჯიდნენ, ეშაფოტიდან უთხრა კორტეს "ღმერთი ამისთვის პასუხს მოგკითხავსო". ზოგი ისტორიკოსი გვაუწყებს, რომ ამ წყევლამ გასჭრა სისასტიკის და ოქროს მოხვეჭის ხელმწიფეზე. კორტესი გარდაიცვალა სევილიაში 1547 წელს დიდების ზენიტში და ზარზეიმით დაკრძალეს საგვარეულო აკლდამაში. ცოტა ხნის შემდეგ კუბო ამოთხარეს და წაიღეს ოკეანის გაღმა და ტერკოკოს მონასტერში დაფლეს. ამის შემდეგ კორტესის ნეშტს კიდევ ექვსჯერ მოუხდა ბინის გამოცვლა, ერთხელ კი ასეთ ხიფათს გადაურჩა, როდესაც მექსიკა ესპანეთის უღლისგან თავისუფლდებოდა, ადგილობრივმა პატრიოტებმა განიზრახეს ნეშტი დაეწვათ და ფერფლი ქარისთვის გაეტანებინათ, მაგრამ გადარჩა. 1946 წელს მის ცხედარს მეცნიერები მიადგნენ კვლევისათვის და ამის შემდგომ მისი მოგზაურობა წყდება.

*ნაპოლეონი*

ნაპოლეონი ბონაპარტის ცხედარი 19 წლის შემდეგ პარიზში გადაიტანეს და მისი აკლდამა ისეა მოწყობილი, რომ მის დასანახავად თავი უნდა დახარო.

*თეოდორე შალიაპინი*

დიდი რუსი მომღერლის ცხედარი პარიზიდან სამშობლოში მოასვენეს 50 წლის შემდეგ.

*ჩარლი ჩაპლინი*

1978 წელს ორმა ბოროტმოქმედება ფულის გამოძალვის მიზნით მოიპარა მსოფლიოს კინოს მამის ცხედარი. მაგრამ მისმა ქვრივმა უნამ ქურდებს იმედი გაუცრუვა ასეთი პასუხით: "მე სულაც არ მაინტერესებს ჩემი ქმრის ნეშტი, თქვენი იყოს, მისი სული ზეცაშია, მისი ხსოვნა კი ჩემში, ხოლო ის რაც თქვენ ჩაგივარდათ, მე სულაც არ მაინტერესებს.

*ნადირ-შაჰის ცხედარი*

ირანის დაბალგვაროვანმა მბრძანებელმა აღა-მაჰმად-ხანი დაასაჭურისა, რათა ამ უკანასკნელის გვარს-დინასტიას ტახტზე გამგრძელებელი არ ჰყოლოდა. თავად ტახტის პრეცენდენტი საჭურისი სასახლეში ჰყავდა, რომლის მძულვარება ნადირ-შაჰისადმი ისეთი დიდი იყო, რომ თავად, რომ ვერაფერს აკლებდა, ჩუმად ძვირფას ხალიჩებს ჭრიდა, ასეთი ყოფილა აღა-მაჰმად-ხანის შურისძიების ერთი ფორმა, ხოლო ის, რაც შემდეგ მოხდა, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. საკმაოდ მოგვიანებით, ტახტზე ასულმა აღა-მაჰმად- ხანმა ნადირ-შაჰის ძვლები მსახურთ ამოაყრევინა და შეყარა იმ კიბეების ქვეშ, რომელზეც ყოველდღე დადიოდა. ყოველი ასეთი ასვლის დროს კი ძვლებს შესძახებდა "დათრგუნვად შენდა".

*ნიკოლოზ ბარათაშვილი*

დიდი ქართველი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი გარდაიცვალა ქალაქ განჯაში ფილტვების ანთებით და იქვე დაასაფლავეს. 1890-იან წლებში მისი ცხედარი დიდი პატივით ჩამოსვენებული იქნა თბილისში. იგი ჯერ დაასაფლავეს დიდუბის პანთეონში, ხოლო შემდგომ მთაწმინდის პანთეონში იქნა გადასვენებული.

*ტერენტი გრანელი*

დიდი მისტიკოსი პოეტი. იგი ხშირად ცხოვრობდა პეტრე-პავლეს სახელობის სასაფლაოზე და გარდაცვალების შემდეგ იქვე დაასაფლავეს. 1980-იან წლებში მისი ნეშტი გადასვენებული იქნა დიდუბის პანთეონში.

*ვაჟა-ფშაველა*

მისი პოეზია და პიროვნება მთამ გამოიტყორცნა, ამ მხრივ იგი შეუდარებელია ყველათა შორის. თავდაპირველად იგი დაკრძალული იქნა დიდუბის პანთეონში, ხოლო შემდეგ გადასვენებული იქნა მთაწმინდაზე.

*თამარ-მეფე*

სამწუხარო და სრულიად აუხსნელია, რომ ქართველებს არ გააჩნიათ ლეგენდარული მეფე- ქალის საფლავი. აუხსნელია იმის გამო, რომ არ არსებობს მისი საფლავის გაქრობის მკვიდრი მიზეზები და სხვა ბევრად ძველი საფლავები გვაქვს შენახული.

*ფიროსმანი*

გენიალური პრიმიტივისტი ფერმწერი. იგი სულ რაღაც 80 წლის წინ გარდაიცვალა თბილისში, მაგრამ მისი საფლავის მოძიების ყველა ცდა ამაო გამოდგა.

*მიხეილ ჯავახიშვილი* (მწერალი) *ტიციან ტაბიძე* (პოეტი) *სანდრო ახმეტელი* (რეჟისორი) და ბევრი სხვა მე-20 საუკუნის გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები რეპრესირებული იქნენ 1937 წელს, რომელთა საფლავები საქართველოს არ გააჩნია.

*ომარ კელაპტრიშვილი*

ხალხური საკრავის, სალამურის, ამაღორძინებელი და კლასიკურ დონეზე ამყვანი. 1992 წლის აგვისტოს 22-ში იგი პირველად დასაფლავებული იქნა საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, 1995 წლის 1 ოქტომბერს კი გადაასვენეს დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

## რამდენიმე სურათი შუა საუკუნეების სიკვდილით დასჯის ისტორიიდან

ინგლისის მეფე კარლოს I სიკვდილით დასჯის მე-12 წლისთავზე მისმა ვაჟმა კარლოს II, მამის გამო ასეთი ფორმით' იძია შური კრომველზე, ვესტმინსტერის სააბატოში დაკრძალული კრომველის გვამი ამოთხარა და მისი ლონდონში-საჯარო სიკვდილით დასჯა ბრძანა.

მეაბოხის გვამი...ჩამოახრჩვეს, ასე ეკიდა იგი შებინდებამდე, მერე თავი მოკვეთეს და დამარხეს.

არნახულმა "წარმოდგენამ" მოედანზე უამრავი ხალხი შეკრიბა.

ძველი სამართლის მესვეურები მხოლოდ ცოცხლებს კი არა, მკვდრებსაც სჯიდნენ. 1725 წელს ვინმე შაორ აიონი თვითმკვლელობისათვის გაასამართლეს. ხის ცხაურებზე სახით ქვემოთ დაკიდებული მისი გვამი სოფელ-სოფელ ატარეს.

ამგვარადვე სჯიდნენ შუა საუკუნეებში პოლიტიკურ დამნაშავეებს, კუდიანებს, ერეტიკოსებს. ინგლისის რეფორმაციის წინამორბედი ჯონ უიჯფილი სიკვდილიდან 40 წლის შემდეგ დასაჯეს- მისი ნეშტი ამოთხარეს და დაწვეს.

ორი საუკუნის შემდეგ იგივე ბედი ეწია საფრანგეთის მეფის ჰენრიხ IV-ის მკვლელს დომინიკ ნელ ბეც ჟაკ ქლემანს. მისი გვამი 1589 წლის აგვისტოში გრევის მოედანზე ამოიღეს და სხვადასხვა დამამცირებელი რიტუალები ჩაატარეს. ასეთი იყო მე-16, მე-17 საუკუნის ინგლისი, რომელსაც მსოფლიო პოლიტიკის გრანდებში ერთ-ერთი პირველი ადგილი ეკავა, სამართლის-ხაზით ველურობის დონეზე იყო.

*გენიოსთა-ცხედართა შფოთისძიება-საფლავთა სიმყუდროვის დარღვევის გამო.*

წერილი იქიდან გვინდა დავიწყოთ, რომ ბევრ სხვა მსგავს სფეროსთან ერთად საქართველოში, შესწავლილი არ არის ეპიტაფიები. ეს გარდაცვლილთა მიწიერად ყოფნის უკანასკნელი აღნიშვნები, ერთ მეტად გამაფრთხილებელ

სიგნალს გვაწვდიან, არ შევეხოთ იქ მყოფთა ნეშტს, არ დავურღვიოთ მყუდროება გვამებს და სხვა. ეს შინაარსი დროის ისეთ შინაარსზე დომინირებს, რომ ეგვიპტური ქალღმერთი ისიდას და გენიალური შექსპირის საფლავთა ქვები ამ წარწერის აზრის დატვირთვის ქვეშაა. მათ შორის დროის მანძილი 5000 წელიწადია და არა მარტო მათ საფლავებზე გვხვდება ეს მოწოდება. რა ხდება, რატომ იყო ასე გასასტიკებული საფლავის არსებობის ეს წესი. ჩვენ ქვევით მოგითხრობთ რამდენიმე საფლავის გახსნის შედეგებს, რომელსაც ისტორიაში შურისძიების მოქმედებით აფასებენ.

ამ საუკუნის დასაწყისი (1921 წლის თებერვალი) არქეოლოგიური მეცნიერებისათვის ერთ- ერთი ტრიუმფალური აღმოჩნდა. მიკვლეული იქნა ეგვიპტის ახალგაზრდა ფარაონის ტუტანხამონის სარკოფაგი, რომელმაც თანამედროვეობას უამრავი ძვირფასად დამუშავებული ოქროს ნივთი მისცა და სარკოფაგის აღმოჩენა ისტორიის უცნობი ფურცლის შევსება იყო.

როგორც ცნობილია ისტორიაში ყველაზე დიდ ხარჯებთან არქეოლოგიაა დაკავშირებული და ეს ყველასთვის ძნელად გადასადგმელი ნაბიჯი ინგლისელმა ბანკირმა, ლორდმა კარნავონმა იკისრა. ტრიუმფი-შესდგა და ხარჯებიც მოგებისკენ წავიდა, მაგრამ აღმოჩენიდან ექვსი კვირის შემდეგ 57 წლის ბანკირი მოულოდნელად გარდაიცვალა. პირველად ეგონათ, რომ მას მწერმა მოსკიტმა უკბინა და ყველაფერი მალარიას დაბრალდებოდა, მაგრამ ამ სიკვდილის გვერდით პარალელურად ვითარდებოდა სხვა ანალოგიური შემთხვევებიც. ჟურნალისტების ცნობით, კარნავონი რომ კვდებოდა, რამდენიმე დღით მთელ კაიროში ჩაქრა შუქი, მის საგვარეულო მამულში მისმა საყვარელმა ფოსტერიერმა ერთი შეჰყმუვლა და ძირს უსულოდ დაეცა; გარდაიცვალა ორივე ექიმი პათოლოგანატომი; და კიდევ ხუთი წევრი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ სარკოფაგის გახსნაში და ეს ყველაფერი ერთი წლის განმავლობაში მოხდა. სიკვდილის ამ სერიის შემდეგ გაიხსენეს განსვენებულის სარკოფაგში მდებარე თიხის ფირფიტა, რომელსაც ეწერა შემდეგი სიტყვები: “სიკვდილი ყველას გადააფარებს თავის ქალთას ყველას, ვინც კი ფარაონის სიმშვიდეს დაარღვევს”.

ფარაონის მუმიის დამუშავებისას ხელის მტევანში შეიყვანეს სხვადასხვა სახის ქიმიური ხსნარები, მიაღწიეს ხელის ელასტიურობას, სირბილეს და თვით ხელის მტევანი ერთი მესამედით გაიზარდა. გადიდებასთან ერთად, ნათლად ჩანდა სისხლის სხეულაკების, უჯრედების, სისხლძარღვების სტრუქტურები და სოკოების სპორები, რომლებიც შხამიანები აღმოჩნდა. მუმიაზე დასახლებული ობიანი სპორების და სოკოების შესუნთქვას შეეძლო გამოეწვია ადამიანთა მოწამვლა და სიკვდილი.

ეს ფაქტი დადასტურდა 1973 წელს პოლონეთის მეფე კაზიმირის ნეშტის გამოკვლევისას. სწავლულები და ექსპერიმენტატორები კაზიმირის ნეშტზე არ ვარაუდობდნენ არავითარ ტოქსიკურ ნივთიერებებს და ამბობენ, რომ მწარედაც მოტყუვდნენ. კაზიმირის სარკოფაგის სტუმართაგან მხოლოდ ორი გადარჩა, დანარჩენი გარდაიცვალა ფილტვების დაავადებით და ორგანიზმის ინტოქსიკაციით.

ერთ-ერთმა ცოცხლად დარჩენილმა პროფესორმა ბოლესლავ სმიკმა თავის კოლეგათა სიკვდილად ასპერგილისა და პენიცილინის სახეობის სოკოთა სპორები მიიჩნია. მსგავსი რეციდივები საკვებ პროდუქტებზეც ცხოვრობენ, მაგრამ მათი მომაკვდინებელი ძალის მიზეზად, მათ ერთ ადგილზე საუკუნეობრივი ცხოვრება მიიჩნიეს, ე.ი. სიკვდილის მიზეზი იყო მათი ხანგრძლივი ყოფნა ერთ ადგილზე.

არსებობს ცნობები, რომ 1912 წლის აპრილში საზღვაო ხომალდ ტიტანიკზე, ლორდ კენტერვილს თან მიჰქონდა ამენჰოტეპ IV-ის დროინდელი ეგვიპტელი წინასწარმეტყველი ქალის მუმია. იგი ერთ მომცრო ტაძრის სამარხში ჰქონდათ

ნაპოვნი, და ტიტანიკის გემბანზე მოათავსეს და თავქვეშ ამოდებული ჰქონდა ოსირისის გამოსახულება წარწერით:

"გონს მოეგე საკუთარი, გულშეღონებულობისგან, რომელშიც იმყოფებოდი. შენი ერთი წამიერი მზერაც კი საკმარისი იქნება, შენსავე წინააღმდეგ მიმართული მზაკვრობათა დასამარცხებლად".

და კვლავ ასეთი ფაქტი, რომელიც თავის სიკვდილს ტუტანხამონის სიკვდილს აბრალებს. კაიროს ერთ-ერთ შიგნიდან ჩაკეტილ ნომერში, რამდენიმე წლის წინ იპოვეს მამაკაცის გვამი, რომელიც პირდაპირ მიჰყლეტილი იყო იატაკზე. მან სიკვდილის წინ ასეთი შინაარსის წერილი დატოვა: "მე მეტი აღარ ძალმიძს მალვა და სირბილი. შეჩვენება აუცილებლად მეწევა ოდესმე. ვინც გაბედა და ხელი შეახო ტუტანხამონის სარკოფაგს. ღმერთს ვევედრები, რომ სიკვდილი ჩემი მსუბუქი იყოს. ძალები ჩემი გამოიფიტა და გამოილია.

გვამი ეკუთვნოდა გერმანელ მოქალაქს, ადოლფ ზენგერს, ექვსიდან ერთ-ერთ მძარცველს, რომელმაც 1978 წელს კაიროს მუზეუმიდან მოიპარეს ტუტანჰამონის ნიღაბი და სხვა ნივთები. ექვსიდან არცერთი დამნაშავე არ მომკვდარა თავისი სიკვდილით. ერთი დაკავებული მძარცველი ასევე გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა. ოთხ მათგანს ათ-ათი წელი პატიმრობა მიუსაჯეს, მაგრამ ყველა სასჯელის მოხდამდე დაიღუპა.

ერთი უკანასკნელი მსხვერპლი ფარაონისა იყო ინგლისელი პილოტი რიკ ლაუდი, რომელსაც ტუტანჰამონის ნიღაბი გადაჰქონდა კაიროდან ლონდონში. იგი ინფარქტით გარდაიცვალა წამის განმავლობაში. ჩვენ არცერთ ვერსიას არ გამოვრიცხავთ, არც სოკოებით მოწამვლას და არც წყევლას, ამიტომ ორივე სიკვდილის მიზეზი ვეცადეთ თანაბრად წარმოგვედგინა. ასევე ისიც უნდა ითქვას, ტუტანჰამონის სარკოფაგის მოკვლევას ხელმძღვანელობდა ინგლისელი არქეოლოგი ჰოვარდ კარტერი, რომელსაც არავითარი ზიანი არ განუცდია. ნუთუ ის დაინდეს სოკოს სპორებმა, ან იქნებ არ შეეხო იმ ადგილს, რომელიც წყევლის ველის ქვეშ იყო მოქცეული. ეს ყველაფერი ნახევრად ხუმრობაა, მაგრამ ის კი აუცილებლად უნდა გახდეს კვლევის საგანი, რად გვაფრთხილებენ საფლავთა წარწერები, არ შევეხოთ იქ განსვენებულთა ნეშტებს და ამას მოჰყვება წყევლა.

*გენიოსთა სიკვდილისწინა გადაწყვეტილებები საკუთარი გვამის მიმართ*

ბაირონმა თავის ცხოვრების ბოლო წლები საბერძნეთის რევოლუციას შესწირა, მან გაყიდა თავი წინაპართა სიმდიდრის 80% და ამ ფულით ნაყიდი საკუთარი გემით, ქვემეხებით და მეზღვაურებით საბერძნეთის ნაპირებთან მისცურა, რათა დახმარებოდა ბერძნებს; თურქების წინააღმდეგ კოლონიზატორულ ბრძოლაში. რამდენიმე წელიწადში დიდი პოეტი გაცივების შემდეგ დაიღუპა, მის სურვილის თანახმად, ნეშტი დაიკძალა ინგლისში, ხოლო გული საბერძნეთში. ასეთივე შემთხვევას ჰქონდა ადგილი პოლონელი კომპოზიტორის შოპენის სიკვდილის შემდეგ, რომელიც პარიზში გარდაიცვალა. აქაც მისი გვამი და გული ამ ორმა სახელმწიფომ გაიყო.

დავით აღმაშენებელმა ერთადერთმა მოინდომა, რომ მისი განსასვენებელი ყოფილიყო გელათის სამონასტრო კომპლექსი ისე, რომ დაესაფლავებინათ მონასტრის ეზოს შესასვლელში იმ მოსაზრებით, რომ ყველა ქართველს მის გულზე გადაევლო. ალბათ არ შემხვედრია ისეთი ჰუმანური აზრი და მისი განხორციელება, რომელიც ვინმეს არ განემეორებინოს. დავით აღმაშენებლის ეს გადაწყვეტილება ჩემს მიერ მოძიებული მასალებით უანალოგოა.

ერთმა ჩვეულებრივმა ამერიკელმა მანიაკმა, რომლის კისერზე ათეულობით მკვლელობა იყო, თავად მოითხოვა საბრალდებო სიტყვაში საკუთარი თავის

სიკვდილით დასჯა და შემდგომ მისი გონება შეესწავლათ.

*გენიოსობა და ბოროტმოქმედება*

პუშკინის გმირი დარწმუნებული იყო, რომ "გენია და ბოროტმოქმედება შეუთავსებელია ერთმანეთთან", თუმცა იმასაც ამბობენ, რომ მიქელანჯელომ იმის გამო, რომ გადმოეცა მომაკვდავი ქრისტეს ვნებები, მოკლა თავისი მენატურე.

ბენვენუტო ჩელინი შინიდან უხანჯლოდ არ გამოდიოდა და ერთხელ საჯაროდ მოკლა ადამიანი, ხოლო პაპისთვის ძვირფასეულობის მოპარვის გამო ციხეში იჯდა.

სერვანტესი ციხეში ორჯერ იჯდა, ორჯერვე სახაზინო ფულის გაფლანგვისთვის.

პოეტი ევგენი ბარატინსკი-იმპერატორის გენერალ-ადიუტანტის ვაჟი, ახალგაზრდობაში პაჟთა კორპუსიდან ქურდობისათვის გამოაგდეს.

თემურ-ლენგი-ახალგაზრდობაში ნამდვილი ყაჩაღი იყო. ქარავნებს ძარცვავდა, საქონელს იპარავდა, ერთ-ერთი ასეთი საქმიანობის დროს, შეტაკებისას იგი დაკოჭლდა, რისთვისაც მიიღო წოდება ლენგი (კოჭლი)

დარიოს II-ემ დედამისის ცოცხლად დაწვა ბრძანა, რომის იმპერატორ კონსტანტინემ ჩამოახრჩო მისი სიმამრი, და ცოლისძმა. ბიძაშვილს ყელი გამოღადრეს, შვილს თავი მოჰკვეთეს, ხოლო ცოლი აბანოში გაგუდეს.

982 წელს ვიკინგმა ერიკ-წითურმა გრელანდია აღმოაჩინა. ამ მოგზაურობაში იმიტომ წავიდა, რომ სამშობლოდან მკვლელობისათვის განდევნეს.

შაჰ-აბას I-ევის ნიადაგზე, მის საუკეთესო შვილებს მისთვის ტახტი რომ არ წაერთმიათ, მოკლა 3 შვილი და ერთს თვალები დათხარა, რომელმაც ასევე თავი მოიკლა, თუმცა მათ ამის საბაბი არ მიეციათ.

ნერონი რომის იმპერატორი-ერთ-ერთ გამორჩეულ ბოროტმოქმედებაში მისი ბრძანებით მოკლეს საკუთარი დედა. რომელიც ასევე სწორუპოვარი იყო ასეთ საქმეში.

დარიოს II-ემ ცოცხლად დაწვა ღვიძლი დედა.

*გენიოსთა გენეტიკის წარმატებითი შედეგები*

ეგვიპტის დედოფალი კლეოპატრა-ბერძენი იყო, ემილ ზოლა ნახევრად ბერძენი, ნახევრად იტალიელი, ალ. დიუმას ბებია ზანგი, შოპენი პოლონელად მიაჩნდათ დედის გამო, მისი მამა კი ფრანგი იყო, ადამ მიცკევიჩი და იოსებ პილსუდსკი წარმოშობით ძველი ლიტვური საგვარეულოდან იყვნენ, ბერძნული სისხლის მატარებელი იყო მხატვარი კუინჯი, ჩაიკოვსკის პაპა ფრანგი, სტანისლავსკის დედა ფრანგი, ასევე სალვადორ დალის დედა, მამით კი დანიელი იყო, პოლონელები იყვნენ ნეკრასოვის, კოროლენკოს, ანდრეევის და ცვეტაევას დედები. რუს იმპერატორთა ძარღვებში არავის სისხლი არ შემოდიოდა ისე ხშირად, როგორც გერმანელების, პეტრე პირველის მამა ბევრი რუსული წყაროს მიხედვით, ქართული სამეფო ტახტის მემკვიდრე ერეკლე I იყო, რომელსაც რუსეთში ნიკოლოზი დაარქვეს, ხოლო სპარსეთში ნაზარალიხანი. პუშკინის ბებია მავრი იყო, ლერმონტოვის მამის წინაპრები შოტლანდიელი იყო, დოსტოევსკის სისხლში უხვად ერია ლიტვური და პოლონური სისხლი, ლენინი დედით შვეიცარიელი ებრაული გვარის ბლანკების შთამომავალი იყო, მამის დედა ყალმუხი, ამ კაცში ერთადერთი მისი მამა იყო სანახევროდ რუსი და მსოფლიოს თავი გააცნო რუსად, ეს ჩემი აზრით ბევრი თუ არა, ცოტათი მაინც არის პარადოქსი, ელ გრეკო ბერძენი იყო, ფილოსოფოსი ანაქარსისი სკვითი. ჯონ შალი ანუ შალიკაშვილი ქართველი, სტალინი ქართველი, თუმცა ამაზე არავინ დავობს, მაგრამ ამბობენ, რომ ბევრ უცხოურ წყაროებში იგი რუსად არის წარმოდგენილი, რუსი კომპოზიტორი ბოროდინი ქართველი აზნაურის გედევანიშვილის (მამა) შვილი იყო.

*თვითმკვლელობა გენიოსებში*

გალაქტიონ ტაბიძე-დიდი ქართველი პოეტი, სამკურნალო მეოთხე სართულიდან გადმოხტა.

ამადეო მოდილიანის სიკვდილის გამო, მისი მეუღლე ჟანა ეკბიუტერნი-გადმოხტა სახლის სხვენიდან.

ანტონიუსი-ძველი რომის გამოჩენილი მხედართმთავარი, აქციუმის კონცხთან ოქტავიანესთან ბრძოლის წაგების შემდეგ თავი მოიკლა მახვილით, რამდენიმე დღიანი სიცოცხლის შემდეგ მისმა მეუღლემ, ეგვიპტის დედოფალმა კლეოპატრამ თვითმკვლელობის მიზნით გველებს თავი დააშხამინა. წერილში სთხოვდა ოქტავიანეს, რომ "დამასაფლავეთ ანტონიუსის გვერდით".

ჯეკ ლონდონი-გარდაიცვალა მორფინის დიდი დოზის მიღების შედეგად.

სერგეი ესენინი-დიდი რუსი პოეტი, თავი ჩამოიხრჩო. ზოგიერთი ცნობით ვენები გადაიჭრა.

ჰიტლერი და მისი მეუღლე ევა ბრაუნი, საკუთარ ძაღლთან ერთად მოიწამლეს თავი.

გერინგი-ჩამოხრჩობის წინ მეუღლემ კოცნით გადასცა სასიკვდილო ამპულა და ისე მოიკლა თავი.

გებელსმა და მისმა ცოლმა, რვა შვილთან ერთად მოიკლა თავი კალიუმის ციანიდით.

ჰემინგუეიმ-თავი მოიწამლა.

მაიაკოვსკი-თავი მოიკლა პისტოლეტით.

ნადეჟდა ალილუევა (სტალინის მეუღლე)-თავი მოიკლა ძმის ნაჩუქარი გერმანული იარაღით.

სერგო ორჯონიკიძე-თავი მოიკლა სახლში.

მითრიდატე პონტოელი (ევპატორიელი)-იგი იმდენად მიჩვეული იყო შხამის დალევას, (რათა ვინმეს არ მოეწამლა), რომ ხშირად სპეციალურად სვავდა შხამს ამ მიზნით, მაგრამ შვილის ღალატით გამწარებულმა, გადაწყვიტა შხამით სიცოცხლე მოესწრაფებინა, მაგრამ შხამზე ადაპტირებულმა მითრიდატეს ორგანიზმმა, მოკვდინება ვერ მოახერხა, მაშინ მას თავის მსახურს უბრძანა, რომ იგი მახვილით მოეკლა, რაც აღასრულა კიდევაც მან.

ა. ფადეევი და ვ. ოვეჩკინი-რუსი მწერლები-მათზე მხოლოდ არის ცნობები, რომ თავი მოიკლა, სხვა ყველაფერი ბუნდოვანია.

მეოცე საუკუნის მსოფლიოს უდიდესმა პოეტმა გალაქტიონ ტაბიძემ თავი მოიკლა. იგი სამკურნალო კომბინატის მეოთხე სართულიდან გადმოხდა.

პაოლო იაშვილი-დიდი ქართველი პოეტი-მასზე ისეთი ძლიერი აღმოჩნდა ბოლშევიკების ზეწოლა, რომ ვეღარ გაუძლო და პროტესტის ნიშნად მწერალთა კავშირის შენობაში, თოფით მოიკლა თავი.

## ქიროპანტია

მატა ჰარი და ქირომანტია

ქირომანტია ერთ-ერთი უძველესი ოკულტისტური მეცნიერებაა. პირველი ცნობილი ქირომანტები ანტიკური პერიოდის აღიარებული ავტორიტეტები პითაგორა და არისტოტელე იყვნენ. ძვ.წ. 350 წელს არისტოტელემ დაწერა კვლევა ქირომანტიის შესახებ.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ცნობილმა ქირომანტა ხეირომ სიცოცხლეშივე საქვეყნოდ აღიარებული ჯაშუშის მატა ჰარის ხელისგულის წაკითხვისას 37 წლის ასაკში ძალმომრე სიკვდილი უწინასწარმეტყველა. ქირომანტი სწორი აღმოჩნდა, ოღონდ ასაკში შეცდა. ჯაშუში ქალბატონი დახვრიტეს 39 წლის ასაკში. მაგრამ აქვე ისიც უნდა დავსძინოთ, რომ ბედის ანაბეჭდი ხელისგულზე შეიძლება იყოს

სხვადასხვაგვარი. ერთ პერიოდში აღინიშნებოდეს 39, ხოლო შემდეგ შეიძლება ხაზი გადაადგილდეს და 41 წელს უჩვენებდეს, ამგვარად შესაძლოა ქირომანტი არ შემცდარა.

## წყევლა-მისი ისტორია და შედეგები

გრიმალდები სამეფო გვარის ბედი სიყვარულში, ჟაკ დე მოლე, იცხაკ რაბინი, ფარაონი და წყევლა, ინდიელთა წყევლა და ამერიკის პრეზიდენტთა ბედი

წყევლა, მისი ისტორია და შედეგები ისტორიაში.

წყევლას ადამიანის სისუსტის გამოვლინებად თვლიდნენ ძველები, მაგრამ როდესაც მიწიერი ძლევამოსილების გამო მტარვალს ვერ წვდებოდნენ, მაშინ არც ნაკლებძლიერნი თაკილობდნენ ამ სირცხვილს.

გარკვეულ პერიოდებში მეცნიერები წყევლას გვერდს უვლიდნენ, მაგრამ რუს მეცნიერთა ჯგუფმა პეტრე გარიაევის ხელმძღვანელობით შექმნეს აპარატი, რომელიც ადამიანის სიტყვებს ელექტრომაგნიტურ ტალღებად გარდაქმნიდა. ცდები მცენარეებზე მიმდინარეობდა, შედეგი მართლაც მოულოდნელი და სენსაციური იყო. ზოგიერთი სიტყვები მცენარეებში უარყოფით რეაქციებს იწვევდა. ირღვეოდა მცენარეთა ქრომოსომების რიგი, წყდებოდა გენები ან ისინი ადგილებს იცვლიდნენ. მცენარის მოლეკულა არანორმალურ პროგრამებს იძენდა და საბოლოოდ თავს იღუპავდა და რა თქმა უნდა არ იძლეოდა განვითარებას. მსგავსი სქემით ხასიათდებიან უძველესი წყევლები. ახლა კვლავ მცენარეთა წყევლის ზემოქმედების შედეგებს გავჰყვეთ. მათი გენური ცვლილებები 30000 რენდგენის ტოლია. 30000 რენდგენული შუქი კი რადიაციული დასხივების ტოლია. ამავე დროს 800 რენდგენის დოზა ადამიანისთვის სასიკვდილო დოზაა. ფაქტიურად წყევლა მცირე ატომური ბომბის ნაწილია. შეიძლება ითქვას, არც გაუხარია იმ ოჯახს, სადაც მუდმივი წყევლა და სისასტიკეა. წყევლის სიტყვები არა ენერგეტიკულ ზემოქმედებას ახდენს ორგანიზმზე, არამედ ინფორმაციულს, ე.ი. პირდაპირ ზემოქმედებს გენურ სტრუქტურაზე და მის ცვლილებებს იწვევენ. ეს პროცესი ძლიერდებოდა მაშინ, როცა უბრალოდ წყევლიდნენ მცენარეებს. მცენარეებს აქვს ოჯახის წევრებთან კონტაქტში შესვლის ძალაც, ისინი ირხევიან, როცა ხედავენ მზრუნველ პატრონს. ახლა ვთქვათ რა ძალას ხდენს ლოცვა. ადამიანის გენურ სტრუქტურაზე ლოცვა პირიქით აღადგენს წყევლისგან დაზიანებულ ნაწილებს, აძლიერებს თვითდაცვის რეფლექსურ იმუნიტეტს. თუ მლოცველი ადამიანის მიმართ განხორციელდა წყევლა, იგი სწრაფად აღიდგენს დაზიანებულ ნაწილებს.

XIV საუკუნის დამდეგისათვის ტამპლიერთა ორდენის ანუ მეტაძრეთა ორდენის დიდმა მაგისტმა ჟაკ დე მოლემ (ინკვიზიციამ მას ცეცხლის ალში აპოვნინა სიცოცხლის დასასრული) ეშაფოტზე ასვლის წინ დასწყევლა საფრანგეთის მეფე ფილიპე ლამაზი და პაპი კლემენტ მე-5, ორივემ ერთი წლის განმავლობაში განუტევა სული, რომელზეც უფრო დეტალურად ქვევით გვექნება საუბარი.

საფრანგეთის რევოლუციის გამოჩენილმა მოღვაწემ ჟაკ დანტონმა, ეშაფოტზე მიმავალმა კარეტიდან შესძახა იმ სახლს, სადაც მისი უპირველესი მტერი მაქსიმილიან რობესპიერი იმყოფებოდა: "რობერსპიერ მე გელი იქ, შენ რაც შეიძლება სწრაფად". რობერსპიერი რამდენიმე თვეში დანტონივით გილიოტინის ქვეშ მოხვდა.

ცოდვათა შორის უმძიმესია საკუთარი შვილის სიკვდილით დასჯა. ივანე მრისხანემ საკუთარი შვილი მოკლა. როგორც ვიცით, ეს სამეფო გვარი გადაშენდა.

პეტრე I-მა ღვიძლი შვილი ალექსი შლისელბურგის ციხეში დაახრჩობინა. სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში უფლისწული ალექსი განწირულად ყვიროდა "შვილის მკვლელო". და წყევლა-კრულვას უგზავნიდა საკუთარ მამას.

ნათქვამია, წყევლა შვიდ თაობას გადაეცემაო: და თუ ამ პერიოდის განმავლობაში ცოდვების მონანიება არ მოხდა, გვარის ცოდვილი შტო განადგურდება. ასევე ამბობენ, გარდაცვლილ წინაპრებს 7 თაობის მანძილზე ძალუძთ შთამომავლობის დახმარებაო. ვინ იცის პარადოქსიაა თუ ოდითგან დაწესებული ღვთაებრივი კანონზომიერება. ყოველივე ეს, მაგრამ ფაქტია, სულ ახლახან სწავლულმა გენეტიკოსებმა გააკეთეს შემდეგი დასკვნა-მემკვიდრეობითობის ნიშან- თვისება მთლიანად ქრება მერვე თაობაში. და კიდევ ის, რომ უფლისწულ ალექსის შემდეგ რომანოვების დინასტიამ ზუსტად 7 თაობა იარსება. მაგრამ საინტერესოა როდის ამოქმედდა რომანოვების გვარის წყევლის კურსი. პეტრე I-ის შვილიშვილი პეტრე II იმეფა მხოლოდ სამი წელი (1727-1730) და გარდაიცვალა 15 წლის ასაკში. სწრაფად განვითარებადი ავადმყოფობით. პეტრე I-ის მეორე შვილიშვილმა პეტრე III მხოლოდ ერთი წელი იმეფა. იგი 1762 წელს, საკუთარი მეუღლის ეკატერინე II-ის ბრძანებით მოკლეს.

მეორე: პეტრე I-ის შვილთაშვილების თაობაშიც ტრაგედიაც დატრიალდა. ივანე VI ანტონის- ძე, ჯერ კიდევ თოთო ბავშვი 1740 წელს აკურთხეს მეფედ, მაგრამ მალევე ჩასვეს შლისელბურგის ციხეში, სადაც გარდაიცვალა კიდეც. პეტრე I-ის მეორე შვილთაშვილი პავლე I იმპერატორი მოკვდინებული იქნა შეთქმულების მიერ.

გამონაკლისნი შთამომავლობით ტრაგედიაში გახდნენ ალექსანდრე, კონსტანტინე და ნიკოლოზ I (პავლეს ძენი-რომელთა გამონაკლისობას შესაძლოა ბერად შემდგომამ შეუწყო ხელი). მეოთხე თაობას კვლავ ტრაგედია დაატყდა თავს-1881 წელს მოკლეს ალექსანდრე II-ნიკოლოზის-ძე, ხოლო მისი ვაჟი ალექსანდრე III (მეხუთე თაობა) 50 წლის ასაკში გარდაიცვალა, ალკოჰოლიზმის დიაგნოზით.

მეექვსე თაობა იმპერატორი ნიკოლოზ II ალექსანდრეს-ძე დახვრიტეს 1918 წელს თავის ოჯახთან ერთად, ერთმანეთის თვალწინ, რა თქმა უნდა უფლისწული ალექსიც. ეს უკანასკნელი წარმოადგენდა მე-7 თაობას, მანამდე კი თავის მცირეწლოვანმა უფლისწულმა ჰემოფილიის სნეულების მარწუხებში გაატარა.

ასეთი მწუხარეა ზოგიერთი ცოდვის და წყევლის მოკლე ისტორია.

*ბეჭედი, რომელიც სასიკვდილო ზემოქმედებას ახდენდა პატრონზე.*

ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ერთ ბეჭედს აქვს ამგვარი სამწუხარო ისტორია. 1885 წლის 25 ნოემბერს მოულოდნელად გარდაიცვალა ესპანეთის მეფე ალფონს XII და ბეჭდის მომაკვდინებელ ძალაზეც მაშინ ალაპარაკდნენ.

1878 წელს ალფონს XII ჯვარი დაიწერა თავის ბიძაშვილზე ჰერცოგ მონპანსეს ქალიშვილზე პრინცესა მერსედესზე, რომელსაც თავის მეუღლემ პატარა ლამაზი ბეჭედი მიართვა, რომელიც ძირითადი ბეჭდის და სამკაულების დამატება იყო. ნორჩმა დედოფალმა მყისვე გაიკეთა ბეჭედი და სამი თვის შემდეგ გარდაიცვალა. თუმცა მაშინ მისი სიკვდილი ბეჭდის მაგიურობით არ აუხსნია არავის. ბეჭდის მეორე მფლობელი მეფის დედოფალი ბებია იყო, რომელიც ორიოდ თვეში გარდაიცვალა, ბეჭედი სასიკვდილო მოგზაურობას აგრძელებს და ამჯერად მისი მსხვერპლი აღმოჩნდება გარდაცვლილი ახალგაზრდა დედოფლის მული-ინფანტა მარია დელ პილერი. მეოთხე მსხვერპლი გარდაცვლილი ახალგაზრდა დედოფლის და, ჰერცოგ მონპანსეს მეორე ქალიშვილი ინფანტა ქრისტინა იყო.

მეფე ალფონსმა მეოთხედ დაიბრუნა ჯერ კიდევ შეუცნობი ბეჭედი. 1885 წელს თვითონ გაიკეთა ბეჭედი. იმავე წლის 25 ნოემბერს გაზეთებმა გამოაქვეყნეს ცნობა: მეფე ალფონს XII სრულიად ჯანმრთელი მოულოდნელად

გარდაიცვალა.

აღსანიშნავია, რომ პირველი ოთხი იმსხვერპლა ერთი წლის (1878) შუალედში, მეხუთე "პაციენტი" მეფე, რომელმაც 7 წლის მერე გაიკეთა ეს ბეჭედი იმ მიზნით, რომ დაემტკიცებინა ბეჭდის ძალის უსუსურობა. როგორც ვხედავთ პირიქით კი მოხდა. აი მაშინ კი დაიწყეს ანგარიშის გაწევა მომაკვდინებელი ძალის მქონე ბეჭდისა და იგი მეფის მერე არავის გაუკეთებია ხელზე. ამჟამად იგი მადრიდის უწმინდეს ქალწულს შესწირეს და დღესაც მადონას ქანდაკების ფერხთით დევს.

*გრიმალდების სამეფო გვარის ბედი სიყვარულში*

არსებობს ლეგენდა, რომ XIII ს-ში მონაკოს პირველმა პრინცმა უმშვენიერესი ქალიშვილი შეაცდინა, შემდეგ კი მიატოვა. დაზარალებულმა ჯადოქრობას მოჰკიდა ხელი და სამეფო ოჯახი დასწყევლა: "დაე ვერცერთმა გრიმალდიმ ვერ ჰპოვოს ქორწინებაში ბედნიერება".

1955 წელს კანის ფესტივალზე გაიცნეს მონაკოს პრინცმა რენიემ და ამერიკელმა კინოვასკელავმა გრეის ქელიმ ერთმანეთი. ქორწილი ზღაპრული გამოდგა. ამ ქორწილს რამდენიმე ვერტმფრენით ყვავილებს აყრიდა ბერძენი მილიონერი ონასისი. მაგრამ ორივემ, კაცმაც და ქალმაც საყარლების მთელი არმია გაიჩინეს, რაც საბოლოოდ მათი დაშორებით დასრულდა.

შემდგომი უსიამოვნება სამეფო კარს პრინცესა კაროლინამ მოუტანა. პრინცესა ინგლისის ტახტის მემკვიდრის ჩარლზისთვის უნდა მიეთხოვებინათ, მაგრამ ქორწინება არ შედგა, რადგან არ მოეწონათ ერთმანეთი. ამის შემდეგ მისი გულის რჩეული 36 წლის ფრანგი ფლეიბოი ჟანო იყო. ის-ის იყო მშობლები შეეგუენ კაროლინას გადაწყვეტილებას, რომ მან ქმარი მიატოვა და იტალიელ ბიზნესმენს სტეფანო კოზაროგის გაჰყვა, რომლისგანაც სამი შვილი გააჩინა. პრინცი რენიე ქალიშვილის ამ გადაწყვეტილებასაც შეურიგდა, რომ ბიზნესმენი კოზარიგო ავიაკატასტროფაში დაიღუპა. ამჯერად კაროლინა კვლავ არარეგისტრირებული სიყვარულის გარემოცვაშია.

სამეფო ოჯახს კიდევ უფრო მეტი უსიამოვნება სტეფანიამ მოუტანა. მან ჯერ ცნობილი მსახიობის ჟან პოლ ბელმონდოს ვაჟი შეიყვარა, დედამისი გრეისი აქ წინააღმდეგობას უწევდა და სულ მასთან იმყოფებოდა. ასე ერთად მანქანით სეირნობის დროს ავარიაში მოჰყვნენ და დედა გრეისი გარდაიცვალა. ყველაზე მეტი შეურაცყოფა კი სამეფო გვარს იმან მიაყენა, რომ გრიმალდების დინასტიის სამეფო ოჯში უკრძალავს გვარის წარმომადგენლებს ფეხების გაშიშვლებას და მოდელიერობას, რაც მათ მაღალ სისხლს ჩრდილს აყენებს. სტეფანია კი სწორედ ამას აკეთებდა და სამეფო გვარს დარტყმას დარტყმაზე აყენებდა. ჯერ ამერიკაში გაემგზავრა და პოპ-ვარსკვლავი გახდა, ლოს-ანჟელესში გამოდიოდა მარიო ჟუტარას დისკოთეკაზე, რაც ასევე არ ეგების მის გვარს. ხოლო შემდეგ ფრანგული კინოს მეორე დიდი ვარსკვლავის შვილზე ენტონი დელონზე ილაშქრა. საბოლოოდ კი ეს ქარიშხლოვანი პრინცესა, როგორც მას გაზეთები უწოდებდნენ, საკუთარი მცველის მკლავებში აღმოჩნდა, რომლისგანაც ორი შვილი გააჩინა.

რენიე III-ეს მემკვიდრე პრინცი ალბერტი საოცარი მარტოსულობით ხასიათდება, თუმცა მისი მოწვევით მონაკოს სტუმრები არიან ხშირად მსოფლიოს საუკეთესო ტოპმოდელები. პრინცი ალბერტი ირწმუნება, რომ ცოლს აუცილებლად შეირთავს და გრიმალდების სამეფო გვარი თავის გამგრძელებელს ნახავს, თუმცა თვლის, რომ ეს ჯერ კიდევ ადრეა.

*ჟაკ დე მოლი და მისი წყევლის შედეგებით გარდაცვლილი პაპი კლიმენტი V და ფილიპე IV მშვენიერი*

ეს სიკვდილით დასჯა, მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ 676 წელი

გავიდა, არ ტოვებს კალმის მოყვარულთა არენას. თუმცა არც სხვა სიკვდილით დასჯები იყო ნაკლები ცნობისმოყვარეობის ღირსი.

საფრანგეთს ამ დროს რკინის ხელით მართავდა ფილიპე IV მშვენიერი. მან ისარგებლა რომის პაპზე ზეგავლენით, განახორციელა სიხარბის გრძნობა და მოინდომა ტამპლიერების უდიდესი ქონების ხელში ჩაგდება.

ჟაკ დე მოლი იმ დროს წარმოადგენდა უდიდეს მაგისტრს და ხელმძღვანელობდა "ქრისტესა და სოლომონის ტაძრის საიდუმლო რაინდების ორდენს". ამ ორდენს რამდენიმე ნიშნით მასონური ხაზებიც გააჩნდა. აღსანიშნავია, რომ შუა საუკუნეებში მათ ჰქონდათ ისეთი ორგანიზაცია, რომელიც ბანკის მნიშვნელობით მუშაობდა. აი სწორედ ამ მიზნით, მაგრამ მოჩვენებითი კეთილგანწყობით დაიბარა თავისთან პაპმა კლემენტი V-ემ. მაგრამ ამბობენ, რომ დიდმა მაგისტრმა სანამ წავიდოდა დანიშნულ ადგილას, მოასწრო 18 ურემი საგანძურის გადამალვა.

1312 წელს პაპმა ხელი მოაწერა ბულას, რომლის თანახმად მთელი ქონება საფრანგეთის მეფეს კი არა, ეკლესიას რჩებოდა და ფილიპე IV პირში ჩალაგამოვლებული დასტოვა. თავად დიდი მაგისტრი კი საჯაროდ დაწვეს. სიკვდილის წინ მაგისტრმა მეფესა და პაპს მიმართა "ერთი წელიც არ გავა, რომ ღვთის სამსჯავროზე წარსდგებით და სამართლიან სასჯელს ვერსად გაექცევით! დამიწყევლია თქვენი გვარი მე-13 მუხლამდე"...ამ დროს ფილიპე IV ჯალათებს ხელი აუკრა და ანიშნა ნურც ამ სიტყვებს ალაპარაკებთო.

აუტადაფედან 40 დღის შემდეგ, პაპი კლემენტი V უეცრად გარდაიცვალა, იმავე წელს მეფე ფილიპე IV მშვენიერი ნადირობისას დაიღუპა. ორივე აღსარებისას გამოუტყდა მღვდელს, რომ საბედისწერო წუთებში დიდი მაგისტრის წყევლა აუხდათ. ისინი გვარის სწორედ მე-13 მუხლის წარმომადგენლები იყვნენ. არც ერთი წყევლა არ ასრულებულა ისე ზუსტად და არცერთ მკვლევარს არ აწვალებთ წერის ჟინი სხვა წყევლასთან, როგორც ამ შემთხვევაში.

*იცხაკ რაბინი (ისრაელის პრემიერ მინისტრი)*

ამბობენ, რომ ებრაელებში ყველა თაობაში იბადება ერის წინამძღოლი, ხოლო ასი თაობიდან ერთ თაობაში ჩნდება ადამიანი, რომელზეც ღვთის ლოცვა-კურთხევაა გარდმოსული და ეშმაკის წყევლაა დადევნებული. ასეთ ადამიანს წყევლით სიკვდილი უწერია, რათა შემდგომ მართლისქმნაში აღსდგეს.

1995 წლის 3 ოქტომბერს იცხაკ რაბინის სახლის წინ დაინახეს ადამიანი, შავ გრძელ ბალახონში, შუბლზე ჩამოფარებული კაპიშონით, მაშინ წლის ყველაზე მთავარი დღესასწაული- იომ კიპური იყო და გამვლელებს მთავარი საზრუნავი ჰქონდათ. რამდენიმე წუთის შემდეგ ამ ადამიანის გარშემო ხალხი შეგროვდა. ტანსაცმელი და სქელი ფოლიანტი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ მასში იუდეველი მღვდელი ამოეცნოთ. იგი პირისახით რაბინის სახლისაკენ შებრუნდა და ძლიერი მბრძანებლური ხმით წარმოთქვა: "და მასზე, როზას ვაჟიშვილზე-ცნობილზე როგორც რაბინი ჩვენ უფლებამოსილნი ვართ, მოვთხოვოთ მისი განადგურება და სიკვდილი ანგელოზებს. ის უნდა მოკვდეს გამცემლობისათვის, ის ვინც ისრაელის მიწები ჩვენს მტრებს-ისმაილის შვილებს მისცა".

წარმოთქმულ წყევლას "პულსა დენურა" ეწოდება. რაც არაბულ ენაზე "ცეცხლოვან მათრახს" ნიშნავს. "პულსა დენურა" ერთ-ერთი ყველაზე საშინელი მისტიკური წყევლაა. მას იყენებდნენ კაბალისტები და ყოველთვის ერთი და იგივე შედეგით თავდებოდა. ჯადოქრების კანონების მიხედვით ეს წყევლა ერთ თვეში სრულდება. იცხაკ რაბინი 32 დღის შემდეგ მოკლეს მეფეთა მოედანზე.

მკვლელი აღმოჩნდა 28 წლის სტუდენტი იგალ ამირი. იგი 1993 წელს შექმნილი მემარჯვენე ექსტრემისტული დაჯგუფების "ირგუნ იეგუდ ლოხემის"

წევრი ყოფილა, რაც თარგმნაში ნიშნავს "ებრაული საბრძოლო ორგანიზაცია" ძიების დროს მკვლელმა აღიარა, რომ ამ მკვლელობის სულის ჩამდგმელები იყვნენ რაბინები, მაალე ალუდიმიდა და დოვ ლიორი, რომლებმაც გამოუტანეს იცხაკს სიკვდილის განაჩენი "როდეფი".

"როდეფი"-იუდიზმის რელიგიური ცნებაა და ეხება ადამიანს, რომელიც ისრაელის კეთილდღეობას საშიშროებას შეუქმნის. დაკითხვის შემდეგ ისინი თავდებით გაანთავისუფლეს, ხოლო ის ვინც "პულსა დენურას" სიტყები წარმოთქვა, იყო მისტიკოსი ადამიანი ავიგდორ ესკინი. "იგი მხოლოდ სიკვდილს იმსახურებდა"-წარმოსთქვა მან სასამართლო პროცესზე. ამჯერად იცხაკ რაბინის პიროვნება შარავანდედით იმოსება. და სრულდება ძველ ებრაელთა დანაბარები. ყველა ასი თაობიდან ერთ თაობაში ჩნდება ადამიანი, რომელზეც ღვთის მადლია გადმოსული და ეშმაკის წყევლა. მას ჯერ დიდება ელის, შემდეგ წყევლა და სიკვდილი, ბოლოს კი სამარადისო დიდება. იცხაკ რაბინზე ამბობენ, იგი მოკვდა ტყვიით, როგორც ჯარისკაცი თავის უკანასკნელ სადარაჯოზე. საფლავზე ამოტვიფრულია წარწერა:

"იცხაკ რაბინი 1922-1995 თადარიგის გენერალ-ლეიტენანტი".

*ფარაონი და წყევლა*

ფარაონ ტუტანხამონის სარკოფაგის სამარხის შემოსასვლელში ასეთი წარწერა დახვდათ: "სიკვდილი თავის ფრთებს დაჰკრავს იმას, ვინც ფარაონის სიმშვიდეს დაარღვევს".

არქეოლოგიის ისტორიაში ასეთი აღმოჩენები იყო ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მასშტაბური თავისი მნიშვნელობით. 1922 წელს ინგლისელმა არქეოლოგმა ჰოვარდ კარტერმა მეფეების სამუდამო განსასვენებელში აღმოაჩინა ფარაონის ტუტანხამონის სამარხი. 1923 წლის თებერვალში კარტერმა და ამ მოვლენების დამფინანსებელმა ლორდ კარნავონმა რამდენიმე მოწვეული პირის თანხლებით სამარხი გახსნეს. ეს იყო არქეოლოგიის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამარჯვება. ტრიუმფი დიდხანს არ გაგრძელებულა. 6 კვირის შემდეგ ლორდი კარნავონი მოულოდნელად დაავადდა, ვარაუდობენ, რომ მალარიით და თავისი სახელოვანი და მდიდრული სიცოცხლე სასტუმრო "კონტინენტალში" დაასრულა. ერთი წლის განმავლობაში კვდება კიდევ ხუთი ადამიანი, მათ შორის რენდგონოლოგი ვიდი, რომელიც აშუქებდა ფარაონის მუმიას პირდაპირ სამარხში, ინგლისელი ლიტერატურის პროფესორი ლია ფლერი, კონსერვაციის სპეციალისტი მეისი, კარტერის მდივანი რიჩარდ ბეფილი და სხვები.

იმდროინდელი გაზეთების ცნობით კარნავონის სიკვდილის დროს მთელ კაიროში ჩაქრა სინათლე, რამდენიმე დღით, ხალხმა ესეც მისტიურ ამბად მიიჩნიეს. ეგვიპტელი არქეოლოგი ჰონეიმი წერდა: "მათთვის, ვინც ნაკლებად არის ჩახედული ჩვენს პროფესიაში და შორიდან უყურებს ჩვენს საქმიანობას, ამ პროცესში რაღაცას წმინდას ხედავენ, მაგრამ სასაცილო ის არის, რომ ნებისმიერი ძველეგვიპტელი ქურდი უკეთ ხსნიდა სამარხს, ვიდრე თანამედროვე არქეოლოგი. ისიც სამწუხაროა, რომ ისინი გაცილებით დაუნდობელნი იყვნენ".

1973 წელს გამოიკვლიეს მეფე კაზიმირის სამარხი, სადაც იგივე წყევლის შედეგები განმეორდა. ერთ-ერთმა გადარჩენილმა პროფესორმა ბოლესლავ სმიკმა გადაწყვიტა, რომ გამოეკვლია თავისი კოლეგების სიკვდილის მიზეზები. მომაკვდინებელი სფორები აღმოჩნდა ასპერლიგისა და პენიცილინის ენიპის წამლები, სადაც დაადგინეს, რომ ისინი ჩვეულებრივად არ კლავენ ადამიანს, მაგრამ როცა ისინი მუმიასთან ერთად საუკუნეებს ატარებენ, უკვე საფრთხეს უქმნიან ადამიანის სიცოცხლეს.

არსებობს დოკუმენტები, რომ ხომალდ "ტიტანიკით", რომელიც 1912 წელს

ჩაიძირა, ლორდ კენტირვილს გადაჰქონდა მუმია, რომელიც ამენჰოტეპ IV ფარაონს ეკუთვნოდა. როცა მუმია გემზე იმყოფებოდა, მას თავზე შერავანდედი ედგა ასეთი წარწერით: "გამოფხიზლდი, შენი თვალების ერთი მზერა ყველაფერზე გაიმარჯვებს".

რამდენიმე წლის წინ კაიროში სასტუმროს ჩაკეტილ ნომერში იპოვეს ადამიანის გვამი. მან დატოვა პატარა ბარათი: "მე მეტი აღარ შემიძლია გაჭლევა, დაწყევლილი აუცილებლად მოაღწევს ჩემამდე, არადა ხომ ვიცოდი, რომ ეს აუცილებლად მოხდებოდა. სულ მალე მე შევუერთდები მათ, ვინც გაბედა შეხებოდა ტუტანხამონის სარკოფაგს, ვლოცულობ, რომ სიკვდილი იყოს ადვილი. ჩემი ძალები ამოიწურა".

ეს გვამი ეკუთვნოდა გერმანელ მოქალაქეს ადოლფ ზენგერს, რომელიც ერთ-ერთი იყო იმ ექვსთაგან, რომლებმაც კაიროს მუზეუმიდან მოიპარეს ტუტანხამონის ნიღაბი და მისი სამარხის სხვა ნივთები.

არც ერთი დამნაშავე არ მომკვდარა თავისი სიკვდილით, ორი სასამართლო პროცესამდე გარდაიცვალა, ოთხს ათი წლით პატიმრობა მიუსაჯეს, მაგრამ ვერც ერთი ვერ გამოვიდა ციხიდან.

ზენგერი მათ შორის უკანასკნელი იყო, პოლიციელების ვერსიით, ზენგერი მოკლული იყო დამნაშავის მიერ, თუმცა ყველივე ამას წყევლას უკავშირებდნენ.

ფარაონის უკანასკნელ მსხვერპლად იქცა ინგლისელი პილოტი რიკ ლაუდი, რომელმაც ტუტანხამონის ნიღაბი კაიროდან ლონდონში გადაიტანა, იგი ინფარქტით გარდაიცვალა, რომელსაც არასოდეს არ აწუხებდა გული.

*ინდიელთა და ამერიკელთა ბრძოლა და მათი ბედი*

2000 წელს ამერიკაში ახალ პრეზიდენტს აირჩევენ, არავინ იცის ვინ იქნება ის, არსებითი და საშიში ისაა, რომ ციფრთა გამოთვლით მას სიკვდილის საფრთხე ემუქრება. აი რას გვაწვდის მისტიკური გათვლა ამის შესახებ.

უკანასკნელი 170 წლის მანძილზე ამერიკის ყველა პრეზიდენტს გაუგებარი ბედისწერა სდევნიდა და ზოგიერთი მისტიკოსი ამ მოვლენას ასე ხსნის.

1830 წლის 28 მაისს პრეზიდენტმა ენდრიუ ჯექსონმა ხელი მოაწერა დადგენილებას ინდიელების ჩრდილოეთიდან აღმოსავლეთში გადასახლების შესახებ, რაც ფაქტობრივად დეპორტაციას ნიშნავდა. დადგენილების მიღებისთანავე გადაასახლეს 60000 ინდიელი. პრეზიდენტის გადაწყვეტილებით აღშფოთებულებმა მიმართეს უმაღლეს სასამართლოს. სასამართლომ ინდიელების მოთხოვნას მხარი დაუჭირა და კანონს ვეტო დაადო. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტი მაინც განაგრძობდა მათ დეპორტაციას. 1832 წელს მოხდა შეტაკება ამერიკის ჯარებს და ინდიელებს შორის, ინდიელების შავი ქორის მეთაურობით. მიუხედავად იმისა, რომ ბედს ჩაგრულები უნდა დაენდოთ, სამწუხაროდ ინდიელები სასტიკად დამარცხდნენ.

1836 წელს აშშ-ის პრეზიდენტი გახდა მარტინ ვან ბურენი. ინდიელებს დიდი იმედი ჰქონდათ მისი, მაგრამ ამჯერადაც გაწირულნი აღმოჩნდნენ პრეზიდენტის მიერ. მოხდა კვლავ შეტაკება მთავრობის ჯარებს და ინდიელებს შორის. ამ უკანასკნელებს სათავეში ედგა სემინოლების განთქმული ბელადი ოცეოლა, რომელიც გენერალმა ჯესაპმა ტყვედ ჩაიგდო. იგი ციხეში გარდაიცვალა, დაიღუპა "შავი ქორიც".

ინდიელებმა დიდხანს იგლოვეს ორივე ბელადი, უხუცესებმა კი წარმოთქვეს საშინელი წყევლა ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი პირის მიერ.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ინდიელების კულტისა და რელიგიის მკვლევარი, პროფესორი ჯერი მორგანი საოცარ დასკვნამდე მივიდა. მისი ღრმა რწმენით, ინდიელთა უხუცესებმა შეაჩვენეს ამერიკის ყველა პრეზიდენტი, რომელთა არჩევნებში გამარჯვება დაემთხვეოდა ნულზე დამთავრებულ წელს, ან მეორე

ვარიანტით, ყოველ ოც წელიწადში არჩეული პრეზიდენტი თავის პოსტს ცოცხალი არ დატოვებდა...ამ მისტიურ წყევლაში ინდიელებმა ამოსავალ წერტილად აიღეს 1830 წლის დადგენილება მათი დეპორტაციის შესახებ.

როგორც შემთხვევითობათაც არ უნდა მივიჩნიოთ, ინდიელების წყევლა ყველა პრეზიდენტს აუსრულდა...1840 წელს არჩეული პრეზიდენტი უილიამ ჰარისონი მოულოდნელად ავად გახდა ფილტვების ანთებით და 1841 წლის აპრილს გარდაიცვალა.

1860 წელს აშშ-ის პრეზიდენტი გახდა აბრაამ ლინკოლნი, რომელიც 1865 წ. 14 აპრილს თეატრში მოკლა ტერორისტმა მსახიობმა. ოცი წლის 1880 წელს არჩეულ პრეზიდენტზე ჯეიმს ჰარფილდზე განხორციელდა თავდასხმა, რომელიც ორი თვის შემდეგ გარდაიცვალა. (1881 წლის 19 სექტემბერს)

1900 წელს მოკლეს პრეზიდენტი მაკ-კინლი, ინტერვალი კვლავ 20 წელია. ამის შემდეგ ვინც პრეზიდენტის პოსტზე გარდაიცვალა ფრანკლინ რუზველტი (1945 წლის 12 აპრილი) ამჯერად ინტერვალი დაირღვა მცირედით და ის ბუნებრივი სიკვდილის მსხვერპლი ხდება. ამასთანავე იგი ერთადერთია, ვინც ოთხჯერ იყო არჩეული აშშ-ის პრეზიდენტად. არავინ მის გარდა არც სამჯერ და არც ოთხჯერ ამ მსოფლიოს პირველი ქვეყნის პირველ სკამს არ ფლობდა.

XIX და XX საუკუნის 40-იან წლებში არჩეული პრეზიდენტები ჰარისონი და რუზველტი ბუნებრივი სიკვდილით კვდებიან, სიკვდილის მომენტში მათ გვერდით იყო მათი ცოლები.

1881 წელს ვაშინგტონში ჩამოწერილმა პოლიტიკოსმა და ფსიქოპათმა ჩარლზ გიტომ ესროლა პრეზიდენტ ჰარფილდს და კლავს. ზუსტად 100 წლის შემდეგ პრეზიდენტ რონალდ რეიგანზე თავდასხმას ახორციელებს ფაშისტი მანიაკი ჯონ ჰინკლი. ამჯერად პრეზიდენტი დაიჭრა. ორივე შემთხვევაში პრეზიდენტებს ფილტვები დაუზიანდათ.

1963 წლის 22 ნოემბერს კლავენ ჯონ კენედის.

## ძილისა და სიზმრის შედეგები გენიოსებში

ცხადში ახდენილი სიზმრები. საქართველოს პირველ მეფის ფარნაოზის სიზმარი. მიხეილ ლერმონტოვი, ტეილორ კოლრიჯი.

ძილის და სიზმრის შედეგები გენიოსებში

ქართულ მეცნიერებას და ფილოსოფიას არცერთი ნიშნით არ გააჩნია ოკულტიზმის და მისტიკის ხაზით ძილის და სიზმრის ახსნის კლასიკური მეთოდები. როგორ ვითარდებოდა ქამთასვლის წიაღში ადამიანთა დამოკიდებულება ძილთან და სიზმართან. მითუმეტეს სიზმარს არაერთხელ მიუღია მონაწილეობა ადამიანის ყველა სახის საზოგადოებრივი საქმიანობით დაწყებული, სიცოცხლის დასასრულით მინიშნებით დამთავრებამდე. ამ მხრივ უნდა ითქვას, რომ ჩვენთან ოკულტისტური მეცნიერება კვლევის სფეროში ნულის საფეხურზე დგას. ჩვენ განვიზრახეთ, რომ შეგვეგროვებინა სიზმართან დაკავშირებული გენიოსების დიდი მოვლენების აღწერა და რა თქმა უნდა, რამდენიმე ჩვეულებრივი მოქალაქეც, რომელთაც უშუალო, ძლიერი და განსაცვიფრებელი შეხება ჰქონიათ სიზმართან, რომელიც შემდეგ ცხადში ახდენილა. ერთი ასეთი მაგალითია ტაქსის მძღოლის მონათხრობი. მან სიმპათიური გარეგნობის საშუალო ასაკის ქალი ჩასვა მანქანაში, რომელსაც ხელში ყვავილების თაიგული ეჭირა. მგზავრმა მძღოლს მოუთხრო, რომ წუხელ სიზმარში გარდაცვლილი ქალიშვილი ესიზმრა და სთხოვა, რომ ხვალ პირველ საათზე კინოთეატრთან შეხვედროდა. ამიტომ სურდა, რომ ზუსტად პირველ საათზე ყოფილიყო დანიშნულ ადგილას. კინოთეატრს მიუახლოვდნენ, მაგრამ ტრანსპორტით გამოწვეული საცობის გამო სრულიად ახლოს ვერ მიუდგნენ. მძღოლმა შესთავაზა, რომ ცოტა შემოვლით მიიყვანდა და ზუსტად

იმ ადგილზე მოვიდოდნენ, სადაც მას სურდა. მაგრამ ქალმა უთხრა, რომ პირველს რამდენიმე წუთი აკლია, მე კი მინდა, რომ ზუსტად პირველზე ვიყო ადგილზე. ამიტომ მძღოლს მგზავრობის ფული გადაუხადა და იფიქრა, რამდენიმე ასეულ მეტრს ფეხით გავივლიო, მანქანიდან ჩავიდა, რამდენიმე ასეული მეტრი გაიარა და როდესაც დანიშნულ ადგილს ათიოდე ნაბიჯი აკლდა, მანქანა დაეჯახა და ქალი ადგილზე გარდაიცვალა. მძღოლი, რომელიც ყოველივე ამას თვალყურს ადევნებდა, საათს დახედა და ნახა, რომ ზუსტად პირველი საათი იყო. ამ შემთხვევის მონათხრობით არავინ აღიარებს სიზმრის უპირატესობაზე ადამიანის სიცოცხლის წარმართველ ძალთა შორის, მაგრამ უგულებელყოფაც არ შეიძლება ეს შემთხვევა ადრეულ თავებშიც მოგითხრეთ, მაგრამ მისი აქ მოტანაც აუცილებლობას წარმოადგენდა.

წინასწარმეტყველური სიზმრების ხელოვნურად გამოსაწვევად საუკუნეთა შორეთიდან, სხვადასხვა ხალხს სხვადასხვა წამალი გააჩნდათ: ჩინელებს-ოპიუმი, აცტეკებს-ჰეიოტლი, ძველ-ბერძნებს-სომა, ციმბირის შამანები ქამა სოკოს ნაყენით სარგებლობდნენ. ძველი იუდეველები, რომლებსაც სიზმარში ბედისწერის ხილვა სურდათ, კუბოებს შორის იძინებდნენ. ბაბილონის ქურუმები ამისათვის ღვთაება ბელის ტაძარში მიდიოდნენ, ცხვრის ტყავისგან დამზადებული, განსაკუთრებულ საწოლებზე იძინებდნენ. დღეს ძნელია ვიმსჯელოთ, რამდენად წარმატებული იყო ეს ექსპერიმენტები, მაგრამ ის კი უნდა ვთქვათ, რომ მათ რომ შედეგი არ ჰქონიდათ, ექსპერიმენტებს შეწყვეტავდნენ. ძილის დროს ხშირად ხდება გონების უეცარი გახსნა. გონება მუშაობს ან თავის ნებით ან დღის განმავლობაში დაგროვილი ინფორმაციით. უცხოელ მკვლევართა მტკიცებით, ყოველი მეორე, მესამე სიზმარი გვამცნობს, რაც უნდა მოხდეს ან უკვე მოხდა, ჩვენი გონება მზად არის მის ასახსნელად. სიზმრის მინიშნებით ადამიანი საშუალოდ ახერხებს სამი ან ოთხი სიმბოლოს დამახსოვრებას და გაანალიზებას.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ძილის სამეფო და მისი მუდმივი თანამგზავრი სიზმარი სათანადო დონეზე არ არის გამოკვლეული. მსოფლიოში გამოწერილი წამლების მეათედი ძილის პროცესის დარღვევასთან დაკავშირებით იწერება. ძილზე დამოკიდებულია ადამიანის ჯანმრთელობის ყველაზე მაგისტრალური ხაზი, რადგან ამ დროს ხდება დღის განმავლობაში დაკარგული ენერგიის აღდგენა, და თუ ამ დროს ძილი არ გვეყოფა, მაშინ გამოდის, რომ დღის დაღლას, ძილში დამატებულ დაღლას ვუმატებთ.

ძილის ნამდვილი შესწავლა მაშინ დაიწყო, როცა მეცნიერებმა ტვინში ელექტროდები ჩადგეს და ენცეფალოგრამა გადაიღეს. 1953 წელს კიშინოვში დაბადებულმა პროფესორმა ნათანიელ კლეინტმანმა და მისმა ასპირანტმა იუჯინ აზერინსკიმ აღმოაჩინეს, რომ ძილი შედგება მონაცვლეობითი სწრაფი და ნელი ძილისგან. ამ დროს გულისცემა ხშირდება და კლებულობს. მცირეწლოვან ბავშვებს აქვთ ერექცია, ქალებს უტენიანდება საშო, საშვილოსნო იწევს.

სხვათა შორის ძილში ერექციის დროს ფალოლოგები (ფალოსის სპეციალისტები) მივიდნენ იმ დასკვნამდე, თუ ერექცია კარგია, მამაკაცური უძლურება (იმპოტენცია) ფსიქოლოგიური ხასიათისაა და არა ორგანული, რაც ექვემდებარება განკურნებას. ამერიკაში ძილის საკვლევი ცენტრი 250-ია, რუსეთში ერთი, საქართველოში საერთოდ არ არის.

ვენელი პროფესორი ზიგმუნდ ფროიდს და მის მასწავლებელს იოსებ ბროიერს ძილის განზომილებაში (ტრანსი) გადაჰყავდათ პაციენტი და ისე იწყებდნენ მის მკურნალობას. აქ ავადმყოფი ახდენდა უკიდურეს ბუნებრივობას და ამდენად დიაგნოზი უტყუარი გამოდიოდა. მათ პირველად განკურნეს ისტერიკის ტყვეობაში მყოფი ახალგაზრდა გოგონა.

საუკუნის დასაწყისში ეძინათ საშუალოდ ცხრა საათი, ამჯერად ეს მოცულობა საათნახევრით შემცირდა. ამერიკელებმა 6 წლის ინტერვალით გამოიკვლიეს მილიონი თანამემამულე, აღმოჩნდა, რომ ვისაც 4 საათით ნაკლები სძინავს, სიკვდილიანობა ორჯერ მაღალია.

რა მდგომარეობაა ძილის მხრივ გენიოსებში?: სტალინს წესად ჰქონდა დაეძინა დილის ხუთ საათზე და შუადღის თერთმეტ, თორმეტ საათზე დგებოდა. ძილის მიხედვით ადამიანებს ყოფენ ორ ჯგუფად, ტოროლად და ბუდ. ის, ვისაც ღამე ფხიზლობა უყვარს, რა თქმა უნდა ბუა, ხოლო ვინც დილით ადრე დგება ტოროლა. ამ მხრივ სტალინი ბუს ჯგუფს მიეკუთვნება.

ნაპოლეონი ხშირად ამბობდა, რომ მხოლოდ სულელებსა და ინვალიდებს სჭირდებათ დიდხანს ძილი. თავად ღამის 10-12 საათიდან, შუაღამის 2 საათამდე ეძინა. შემდეგ ისევ მუშაობდა და იძინებდა 5-დან 7 საათამდე. ნაპოლეონმა 52 წელი იცოცხლა.

პოლ ბრეგი ამბობდა, რომ მძიმე გრაფიკის მქონე მომსახურესათვის აუცილებელია დღის ძილი და ის, რომ პრეზიდენტი ყოფილიყო სადილის შემდეგ აუცილებლად ძილს დააკანონებდა.

აინშტაინი იმ მეცნიერთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომელსაც ძალზე სჭირდებოდა ძილი, ენერგიის მობილიზებისათვის, ფარდობითობის თეორიის შექმნა ფიზიკოსს მაშინ მოუვიდა თავში, როცა ახალი გაღვიძებული იყო.

ილია ჭავჭავაძესაც ძილის პროცესი ბუების თეორიით ჰქონდა დაკანონებული ისევე, როგორც სტალინს. ილიას შრომით აზარტში შესულს ბევრჯერ დასთენებია თავს.

ძილის დროს ადამიანი საშუალოდ 60-ჯერ იცვლის ადგილს, ზოგ შემთხვევაში ეს ციფრი 600 აღწევს, რაც ძლიერ ნევროზულთა კატეგორიას მიეკუთვნება.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ სხვა გენიოსებში?

*მოცარტი* ძილში ისმენდა სიმფონიებს, პუშკინი ლექსებს ხედავდა სიზმრად, სალვადორ ფალიმ ფერწერული ტილოების გამოხმობა ისწავლა თვლემის სამყაროდან. იგი იატაკზე დგამდა ხილს ჯამით, ხელში ჩაის კოვზს იღებდა და ჩვეულებრივი ყოფითი შთაგონებით მუზის სამყაროში გადადიოდა.

*ცხადში ახდენილი სიზმრები.*

ინგლისის *მეფე რიჩარდ მესამემ* სიზმარში თავისი სიკვდილი ნახა. მეორე დღეს მეფე ბრძოლაში დაიღუპა.

*1895 წლის აპრილის დასაწყისში ლინკოლნმა* თავის მეგობარს უორდუ ლემონუს თავისი ასეთი სიზმრის შესახებ უამბო. წყაროები ამ ამბავს როგორც სიზმრად, ასევე მოჩვენებად გადმოგვცემენ. ღამე ვიღაცის მძიმე სუნთქვა და ტირილი მომესმა. ავდექი, კიბეზე ჩავედი და აღმოსავლეთის დარბაზისაკენ გავეშურე, გზადაგზა მტირალი ხალხი იდგა. დარბაზში კი კატაფალკაში ვიღაც იწვა, კარისკაცებს შევეკითხე, ვინ წევს ამ კუბოში მეთქი. მათ მიპასუხეს: ეს აშშ პრეზიდენტია. 1865 წლის 14 აპრილს მან თათბირი მოიწვია და მინისტრებს განუცხადა-ერთი და იგივე სიზმარს უკვე მესამედ ვნახულობ. მივდივარ ნავით გაშლილ ზღვაში და ჩემი მშველელი არავინ არ არის. დარწმუნებული ვარ რაღაც მოხდება. იმავე საღამოს პრეზიდენტი ერთი გასროლით მოკლა მსახიობმა ჯონ ბუტამ.

ახალგაზრდობაში *მარკ ტვენმა* საზარელი სიზმარი ნახა: სასტუმრო ოთახში ორ სკამზე რკინის კუბო იდგა, რომელშიც ესვენა მისი უმცროსი ძმა ჰენრი, მის მკერდზე პატარა თაიგული იდო, თაიგული თეთრი იყო, შუაგულში კი ერთადერთი წითელი ყვავილი მოჩანდა. რამდენიმე დღის შემდეგ სიზმარი საოცარი სიცხადით ახდა. ძმა დაიღუპა გემზე, ორთქლის ქვაბის აფეთქების გამო.

სასტუმრო ოთახში ორ სკამზე იდგა რკინის კუბო და იმ დროს, როდესაც მარკი შევიდა, უცნობმა ქალმა ჰენრის მკერდზე დადო თეთრი თაიგული, რომლის შუაგულში ერთადერთი წითელი ყვავილი იყო.

*ბრიტანეთის* ფსიქიკური კვლევის საზოგადოებამ ასი წლის მანძილზე ბევრი სიზმარი შეაგროვა, რომლებიც მინიშნებით ცხადში მოსალოდნელ შემთხვევებზე ლაპარაკობდა. 1966 წელს, დიდ ბრიტანეთში, მეშახტეთა დასახლებაში, გიგანტური მეწყერი ჩამოიქცა სკოლის შენობაზე. ბევრი ბავშვი დაიღუპა, მათ შორის იყო ერთადერთი გოგონა, რომელსაც რამდენიმე დღით ადრე დაესიზმრა, თითქოს სკოლის შენობაზე მთა ჩამოცურდა. "შემდეგ ეუბნებოდა იგი დედას-დაბნელდა და აღარაფერი ჩანდა. იცი მე არ მეშინია სიკვდილის. ეს სულაც არ არის საშიში".

ინგლისელმა პოეტმა *კოლრიჯმა* გაღვიძებისთანავე ჩაიწერა მთელი პოემა, რომელიც მან სიზმარში შექმნა.

*დანტეს* გარდაცვალების შემდეგ, მისმა ახლობლებმა აღმოაჩინეს, რომ "ღვთაებრივი კომედიის" სრულ ტექსტს მთელი თავი "სამოთხის" დამამთავრებელი თავი აკლდა. ერთი თვის ამაო ძებნის შემდეგ, როდესაც უკვე არავითარი იმედი აღარ იყო, დანტეს ერთ-ერთ ვაჟს დაესიზმრა მამა. მან ხელი მოჰკიდა შვილს და ყოფილი სახლის ერთ-ერთ ოთახში შეიყვანა, ფანჯრის რაფაზე, ფარდის უკან მიუთითა: "ის, რასაც შენ ამდენი ხანია ეძებ, აქ არის". შუაღამის მიუხედავად, დანტეს ვაჟი მეგობართან ერთად იმ სახლში წავიდა. მისი ახალი პატრონი გააღვიძა და მამის მიერ მითითებულ ოთახში, ფარდის უკან დაინახა დაწერილი ფურცლების მთელი დასტა. ეს იყო "ღვთაებრივი კომედიის" უკანასკნელი თავი.

*ჩიკაგოში* მცხოვრებმა ერთმა ქალიშვილმა, სიზმარში ნახა თავისი ძმის მკვლელობის პროცესი, რომელიც სინამდვილეში მოხდა. ამის შემდეგ, ძმა კიდევ ბევრჯერ გამოეცხადა და მიუთითა იმ ადგილზე, სადაც მისი გვამი იყო ჩამარხული და ვინ იყო მკვლელი. გვამი და მკვლელი პოლიციამ უშეცდომოდ მოძებნა სიზმრის მეშვეობით.

*სმოლენსკში* მცხოვრებ ქალს დაესიზმრა, რომ მის აგარაკზე, ბინაში ქურდი შეიპარა და ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, გამოაქვს ის, რაც მოსწონს. ქალი დილით პირველსავე მატარებლით აგარაკისკენ გაეშურა. სიზმარი საოცარი სიცხადით ახდა. ქურდი მან სიზმარში დამახსოვრებული ტიპაჟით მოძებნა.

*ვალტერ სკოტს* და ედგარ პოს სიზმრები კარნახობდნენ მრავალი წიგნის სიუჟეტს.

*სტივენსონმა* სიზმარში ნახა მის ცნობილ მოთხრობის "დოქტორ ჯეკილისა და მისტერ ჰაიდის უცნაური ამბის სიუჟეტი.

*მენდელეევმა* თავისი ელემენტების პერიოდული სისტემა სიზმრის მეშვეობით ჩამოაყალიბა.

*სიზმარშია* აღმოჩენილი სპილენძზე გრავიურების პრინციპი, ამასთანავე მეტად უცნაურ გარემოებაში. ინგლისელი პოეტი უილიამ ბლეიკი საკუთარი ლექსების გრავიურებით ილუსტრირებას ახდენდა. საგრავიურო დაფების დამზადების ტექნიკა ძალზე რთული და ძვირადღირებული იყო. ამიტომ პოეტი ეძებდა ამ პრობლემის მოგვარების იაფფასიან გზას. ერთხელ პოეტს სიზმარში გამოეცხადა გარდაცვლილი ძმა რობერტი, რომელმაც დაწვრილებით აუხსნა, თუ როგორ შეიძლება სპილენძზე გრავირების მომზადება. მეორე დილას ბლეიკმა ცოლს უკანასკნელი ნახევარი კრონი გადასცა, რათა მას ყვლა ის აუცილებელი ინგრედიენტი ეყიდა, რომელიც გარდაცვლილმა ძმამ ჩამოუთვალა. მანამდე სპილენძზე გრავირების ტექნიკა სრულიად უცნობი იყო, ბლეიკთან კი მან

სრულყოფილებას მიაღწია.

მეცნიერმა კარ *გაუსმა* სიზმარში ამოიცნო ინდუქციის კანონი.

*ნილს ბორმა* სიზმარში აღმოაჩინა ატომის მოდელი, რომელმაც თანამედროვე ფიზიკაში გადატრიალება მოახდინა.

პლუტარქეს მიხედვით *იულიუს ცეზარის* მკვლელობის წინა დღეს, მისმა ცოლმა აქვითინებული გაიღვიძა. ამ უკანასკნელმა სიზმარში ნახა, რომ მის მკლავებში მოკლული ქმარი იყო მისვენებული. ცეზარს სენატში შესვლამდე წერილი მიაწოდეს და სთხოვეს, რომ მას ეხლავე წაეკითხა. მან ეს არ გააკეთა. ამგვარად, ცეზარს რომ დაეჯერებინა ცოლის მუდარისთვის არ წასულიყო იმ დღეს სენატში ან წერილი წაეკითხა, სადაც შეთქმულთა ანგარიშსწორება იყო აღნიშნული, მას შეეძლო სიკვდილი აეცილებინა. იმ დროის მსოფლიოსთვის ცეზარის სიკვდილი იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ეგვიპტის დედოფალმა კლეოპატრამ რომში მაცნენი აფრინა, რომელთაც დაავალა გაეგოთ, სწორია თუ არა ეს ამბავიო.

*პლატონის* სიკვდილს თან სდევდა ასეთი ამბავი. სიზმარში ჩიტებს დასდევდნენ და ვერ იჭერდნენ, რაც ნიშნავს, რომ ჩიტების ვერდაჭერა და ფრენა პლატონის აზრებია. ამგვარად, პლატონის აზროვნება კაცობრიობისთვის მიუხელთებელი იქნება.

*ეპისკოპოსმა* იოსეფ ლანიმ სიზმარში ნახა ფრანც-ფერდინანდის მკვლელობა. მეორე დღეს მის სიცოცხლეს წერტილი დაესვა.

მრავალი წლის შემდეგ *ჯორჯ ვაშინგტონის* მსახური ენტონი შერმანი იხსენებდა.-ერთხელ გენერალი ძალიან აფორიაქებული და ანერვირებული იყო. ვკითხე, მოხდა რამე გენერალო? ვაშინგტონმა მიპასუხა-დღეს შუადღისას მაგიდასთან ვიჯექი და ფოსტას ვათვალიერებდი, უცებ რაღაც უცნაური ვიგრძენი, თავი ავწიე და დავინახე ჩემს წინ ძალიან ლამაზი ქალი იდგა. მან მითხრა: "უყურეთ და იფიქრეთ". ამ სიტყვებზე მან ხელით აღმოსავლეთისაკენ მანიშნა, სადაც თეთრი ნისლი წარმოიქმნა. ბურუსში ძნელად იკვეთებოდა სურათები, მაგრამ ერთი ცხადი იყო-ყველა კონტინენტი, ქვეყნები და ქალაქები თავდაყირა დადგა. უცბად სამი ასეთი სიუჟეტი დავინახე. თავდაპირველად ევროპასა და ამერიკას შორის ანგელოზის სხეული აღიმართა. იგი ხელით იღებდა წყალს ოკეანიდან და ორივე კონტინენტს აპკურებდა. კონტინენტისა და ევროპის თავზე ღრუბლები გამოჩნდა, რომელნიც ერთმანეთის შესახვედრად გაემართნენ. შემდეგ ისინი შეუერთდნენ ღრუბლებს და ისევ ამერიკისაკენ გაემართნენ. გენერალმა ვაშინგტონმა ეს ასე ახსნა-გარდაუვალი იყო შეერთებული შტატების დამოუკიდებლობა. მეორე სიუჟეტი მშვიდობასა და ქვეყნების აყვავებას მოასწავებდა. თუმცა, ეს სურათი მალე შეიცვალა და შავი მოჩვენება წამოიმართა, რომელიც აფრიკისაკენ მიდიოდა, მაგრამ ბოლოს ისევ ამერიკას დაუბრუნდა. ვაშინგტონმა ეს ასე ახსნა. ეს სურათი აშშ. ბატონობას მოსაწავებს, რაც შემდეგ ჩრდილოეთსა და სამხრეთის შტატებს შორის ომს გამოიწვევს. შემდეგ ისევ ანგელოზი გამოჩნდა, რომელსაც თავზე ეწერა სიტყვა "კავშირი". მან ამერიკელთა დროშა ბრძოლის ველზე დაარჭო და თქვა: "დაიმახსოვრეთ, თქვენ ძმები ხართ". ამის შემდეგ ყველა ჯარისკაცმა დაყარა იარაღი და ბრძოლის ველზე ჩარჭობილი დროშის გარშემო გაერთიანდნენ. მესამე ჩვენება-ვაშინგტონს მომავალს უწინასწარმეტყველებდა. ანგელოზმა სამჯერ აპკურა წყალი აზიას, აფრიკას და ევროპას, უცბად სამივე კონტინენტიდან შავი ღრუბლები წამოვიდნენ და გაერთიანდნენ. რამდენიმე წუთში კი მასზე წითელი ვარსკვლავი აენთო. გენერალმა დაინახა, რომ ხალხი ამერიკის მიწაზე ყველაფერს ანადგურებდანენ. "უყურეთ და იფიქრეთ"- ისევ გაიმეორა ლამაზმა ქალმა-ამერიკა მზად უნდა იყოს

სამი საშინელი გამოცდისთვის. მესამე ყველაზე მძიმე იქნება. პირველი და მესამე წინასწარმეტყველება აუცხადდა ამერიკას XVIII და XIX საუკუნეებში, მესამე მე-20 საუკუნის ხვედრია, საინტერესოა ამ მესამის ამოხსნა და მასთან შეხვედრა.

ამერიკელ ბანკირს *ჰენრიხ შლიმანს* ლეგენდარული ტროა სიზმრებმა აღმოაჩენინა.

ამერიკელი მეცნიერი *თომას ედისონი*, რომელსაც ვარვარების ნათურის და ფონოგრაფიის გამოგონებები ეკუთვნის, ყოველ საღამოს ადგენდა კითხვების სიას, რათა ძილში ამ შეკითხვებზე პასუხი მიეღო.

*კარლ გაუსმა* ინდუქციის კანონი ძილში აღმოაჩინა.

ცნობილი არქეოლოგი *გილპრეხტი* ძალიან დიდხანს ვერ ახერხებდა გათხრების დროს ნაპოვნ აგატის ორ ნატეხზე ძველი შუმერული ტექსტის ამოკითხვას. ერთ საღამოს, როცა ტექსტს ჩაჰკირკიტებდა, ვერც კი შეამჩნია, ისე ჩაეძინა. ძველ შუმერულ სამოსში გამოწყობილი ქურუმს მისთვის უთქვამს უკან გამომყევიო. უკაცრიელ ქუჩაზე, რომლის განაპირას რამდენიმე მასიური შენობა იდგა, ერთ-ერთი, რომელიც ყველაზე დიდი იყო, შევიდნენ. სადა ვართ-კითხა გილპრეხტმა-ნიპურში ტიგროსსა და ევფრატს შორის. ეს ღმერთების ღმერთის, ბელის ტაძარია. (ლაპარაკი ინგლისურ ენაზე მიდიოდა). ეს ის ტაძარი იყო, რომლის საგანძურიც არქეოლოგებმა ვერ იპოვეს და გილპრეხტმა ამის შესახებ ქურუმს ჰკითხა. ქურუმმა მეცნიერი ტაძრის შორეულ კუთხეში, ერთ-ერთ სათავსოსთან მიიყვანა. აქ ხის ზანდუკში აგატის რამდენიმე ნაჭერი იდო, რომელთა შორისაც გილპრეხტმა თავისი ნატეხები შეიცნო. ქურუმმა მეცნიერს უთხრა, რომ ეს არის იმ ცილინდრის ნაწილები, რომელიც მმართველმა კულიგალზუმ- ტაძარს შესწირა. ქურუმმა მეცნიერს ტექსტი წაუკითხა.

გილპრეხტმა, გაიღვიძა თუ არა, თავისი სიზმარი ჩაიწერა. ტექსტის (ძვ.წ. 1300) გაშიფვრა, როგორც შემდგომში მეცნიერებმა დაადგინეს, უნაკლო იყო. ასევე ზუსტი აღმოჩნდა ტაძრის განძეულის ადგილი, რომელიც ქურუმმა მიუთითა.

*ფარნავაზი*-საქართველოს პირველი მეფე

მან მისცა ქართველებს პირველი წიგნი და შეიძლება ითქვას პირველი გამაერთიანებელია. მის სიზმარს, რომელიც საქართველოს მკვდრეთით აღდგომას უკავშირდება, ქართული ისტორიოგრაფიის ყველა წყარო ცნობს და მას ლეგენდის, მითის სამოსელი ჩამოცილებული აქვს.

მან იხილა ასეთი შინაარსის სიზმარი, თითქოსდა იგი იყო ერთ უკაცურ სახლში, უნდოდა გასვლა და ვერ გადიოდა. მაშინ სარკმლიდან შემოვიდა მზის შუქი, შემოერტყა წელზე, გაიზიდა და გაიყვანა სარკმლიდან და როდესაც ველზე გავიდა მზე, ფარნავაზმა იხილა დადაბლებული სახით, ხელით შეეხო მზის პირს, მოხოცა ცვარი და იცხო თავის პირზე. გაიღვიძა ფარნავაზმა, გაუკვირდა და თქვა-ეს სიზმარი ალბათ დედაჩემის სამშობლოში ჩასვლის შემდეგ ამიხდება, იქ სიკეთეში ვიქნებიო.

იმ დღეებში ფარნავაზი სანადიროდ გაემართა და დილმის ველზე ირმებს გაეკიდა. ირმები თბილისის ხრიოკებისაკენ გაიქცნენ. მისდევდა ფარნავაზი, სტყორცნა ისარი, ჰკრა ირემს, ცოტა გაიარა და დაეცა კლდის ძირში. ამასობაში დაღამდა, ჩამოქვეითდა ფარნავაზი და ირემთან გადაწყვიტა ღამის გათენება. ამ დროს გაწვიმდა ძლიერ. კლდის ძირში ფარნავაზმა ამოქოლილი გამოქვაბული შეამჩნია, ამოიღო ჩუგლუგი და გამოარღვია კარი, რათა სიმშრალეში შესულიყო. შევიდა შიგნით და იხილა განძი მიუწვდომელი, ოქრო და ვერცხლი უთვალავი, ჰურჭელი ოქროვერცხლისა. ძლიერ გაუკვირდა, აღივსო სიხარულით და გაახსენდა სიზმარი. ისევ ამოქოლა კარი გამოქვაბულისა. უთხრა

ეს ამბავი დედას და ორ დას. ამის შემდეგ ფარნავაზმა განძის დახმარებით დაამარცხა ბერძენი აზონი და იგი თვით ბრძოლაში მოკლა და დაიბრუნა ბიძის ტახტი. ამ ბრძოლაში ფარნავაზს ეხმარებოდა ეგრისის საერისთაოს გამგებელი ქუჯი.

პოეტი *მიხეილ ლერმონტოვი* მოცალეობის ჟამს მათემატიკას ჩაჰკირკიტებდა. ერთხელ რთულ ამოცანასთან ჭიდილით დაღლილს ჩაეძინა და სიზმარში ნახა უცნობი კაცი, რომელმაც უკარნახა, როგორ ამოეხსნა ამოცანა. ლერმონტოვმა გაიღვიძა, პასუხი ჩაიწერა და ამასთან უცნობის პორტრეტიც დახატა. მრავალი წლის შემდეგ, როცა პორტრეტი სპეციალისტების ხელში მოხვდა, მასში ლოგარითმების ავტორი *ჯონ ნეპერი* ამოიცნეს. იგი მე-17 საუკუნეში ცხოვრობდა. როგორც ამტკიცებენ, არ შეიძლება ლერმონტოვს არა მარტო მის გარეგნობაზე, არამედ უბრალოდ მის არსებობაზე წარმოდგენა ჰქონოდა.

*სამუილ ტეილორ კოლრიჯმა* შესანიშნავი პოემა "კუბლა ხანი", რომელიც მსოფლიო კლასიკის საგანძურშია შესული, სიზმარში ნახა. პოემის 200 სტრიქონი მის მეხსიერებაში იქნა შენახული. სამუილმა გამოიღვიძა და აღფრთოვანებული მაგიდას მიუჯდა ქაღალდზე გადასატანად. უკვე დაწერილი ჰქონდა 50 სტროფი, რომ ვიღაცამ კარებზე დაუკაკუნა, კოლრიჯმა მასთან სასწრაფოდ ისაქმა და გაისტუმრა, მაგრამ მისმა მეხსიერებამ მეტი ვეღარაფერი მოახერხა. ამის შემდეგ მას არაფერი დაუწერია ამაზე უკეთესი. პოემამ მას აღიარება მოუტანა, სიზმარმა კი მას დიდება აჩუქა.

1560 წელს, როდესაც *კარდინის* ვაჟი საჯაროდ აღიარეს მომწამლველად, ამ უბედურებამ ისე შეძრა მოხუცი, რომ იგი ჩაიძირა ლიპემანიაკურ განცდებში და მოულოდნელად დაეწყო სიზმარეული ხილვები, სადაც მას უთხრეს: "რატომ დარდობ, ვაჟის გამო? აიღე ქვა, რომელიც კისერზე გკიდია და ჩაიდე პირში, ვიდრე შენ მას ტუჩებით შეეხები, არ გაგახსენდება ვაჟი"-ყოველივე ამის შემდეგ მისი შვილი გაქრა მეხსიერებიდან.

თავისი მრავალტანჯული სიცოცხლის შემდეგ, *გალეროსა და რუსოს* მსგავსად მან დაწერა ავტობიოგრაფია და იწინასწარმეტყველა თავისი სიკვდილის დღე. დანიშნულ დღეს ის მართლაც მოკვდა. ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, რომ მან მოიკვდინა თავი, რათა წინასწარმეტყველება გამართლებულიყო.

*გოეთე* ამბობს, რომ პოეტისთვის აუცილებელია ტვინის გარკვეული გაღიზიანება. თავადაც მრავალი ლექსი აქვს შეთხზული რომანტიზმით შეპყრობილს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რა ხშირად ჰქონდა გაღიზიანებული ტვინი გალაკტიონს ან ახვა და როგორ უძლებდა ამას გამუდმებით, თუმცა აკი ვერც გაუძლო კიდევაც და თავი მოიკლა.

ძილში *ვოლტერმა* ჩაიფიქრა *ჰენრიადას* სიმღერა. *სარდინიმ* ფლაჟოლეტზე თამაშის თეორია, *ნიუტონი* და *კარდინი* ძილში ხსნიდნენ მათემატიკურ ამოცანებს.

*მოცარტი* აღიარებდა, რომ მუსიკალური იდეები მას უჩნდება უნებლიეთ, სიზმარის მსგავსად. *ჰოფმანი* ხშირად აუბნებოდა თავის მეგობრებს: "მე ვმუშაობ ფორტეპიანოსთან თვალდახუჭული, ავსახავ იმას, რასაც მკარნახობს ვიღაც გვერდიდან".

*სოკრატემ* პირველად მიუთითა, რომ პოეტები ქმნიან თავიანთ ნაწარმოებებს არა ხელოვნების ან მონდომების შედეგად, არამედ გარკვეული ინსტიქტის წყალობით.

## მზერის ხილული და უხილავი სამყარო
## ფერწერა და თვალით მიყენებული ჩხვლეტები

მზერის ხილული და უხილავი სამყარო

არისტოტელე ამბობდა: თვალი იმიტომ ხედავს სინათლეს, რომ თვით მასშია ნათელი.

არაფერზე ისე ხშირად არ გვიფიქრია, როგორც მზერის მიღმა, თვალებში ჩარჩენილ ფიქრებზე. ისინი არასოდეს არ ტყუიან, ოღონდ მათი ამოცნობაა საჭირო. ცნობილია, რომ სტალინი უზადოდ კითხულობდა ადამიანის აზრებს თვალებში.

ოფიციალური მეცნიერება თვალის ფუნქციას ასე ახასიათებს, რომ იგი ხილული სპექტრის ელექტრომაგნიტური ტალღების მიმღებია. თუმცა ჩვენ ვიცით, რომ ამ მშრალ ინფორმაციაში ბევრი არაფერია თქმული. არცერთი ორგანო ტვინთან ისე რთულად არ არის დაკავშირებული, როგორც თვალი, არც *თვალს* და არც ტვინს ქირურგები სკალპელით ვერ ეკარებიან. თვალი გამუდმებით აკავშირებს გონებას, ანალიზის შემცველ უჯრედებთან და მხოლოდ ამის შემდეგ გადმოსცემს მეტყველების აპარატი: ეს პროცესი იმდენად სწრაფია, ხშირად წამზე უფრო უსწრაფესად ხდება. მედიცინის დარგი ბევრი მიღწევებით ძალზე შორს წავიდა, მაგრამ თვალი და ტვინი ეს ის ადგილებია, სადაც ღმერთმა ჯერ კიდევ არ მიუშვა ადამიანის გონება და ხელი.

მეცნიერებმა *ჰექტალმა* და *ლილეკვისტმა* ერთმანეთისგან დამოუკიდებლად დაადგინეს, რომ თვალები ორგანიზმის მდგომარეობას წარმოადგენს, ძველად და დღესაც ნაწილობრივ აღსდგა ისიც, რომ დიაგნოზი ისმება თვალებში ჩახედვით, მას მედიცინაში იროდოდიაგნოსტიკა ეწოდება.

ოკულტისტური მეცნიერება ხელაღებით აღიარებს გათვალვის და ბოროტი თვალის არსებობას. ეს შეიძლება არსებობდეს მაშინაც, როცა ადამიანს არ სურს, რომ მისმა მზერამ ადამიანი დააზიანოს. განსაკუთრებით საშიშია შურით შეფერილი მზერა, ვიდრე ღია მტრობით განწყობილი თვალთახედვა. შური ეს არის ფარული, მზაკვრული ხედვა, სადაც შენმა მოპირდაპირემ არ იცის ბოროტი მზერის ძალამოსილება და მასში დამცავი, ამსხლეტი მექანიზმები სუსტად არიან ჩართული თავის დასაცავად. მითოლოგიაში ცნობილია მზერით სიყვარულის გადაცემის ბევრი ეპიზოდი, რაც განსაკუთრებით ხშირია ჩვეულებრივ ყოფაშიც. კოლხი ბრძენქალი მედეა, მზერის საშუალებით დაიპყრა იაზონის სიყვარულით. ძველ საქართველოში სამ თვემდე ბავშვს უცხო ადამიანს არ აჩვენებდნენ, რადგან ავი თვალისგან დამცავი მზერა ჩვილს გამომუშავებული ჯერ კიდევ არ ჰქონდა.

აღმოსავლეთის ორთაბრძოლებში მონასტრებში, ბერები საგულდაგულოდ სწავლობდნენ და ასწავლიდნენ და ამაგრებდნენ იმ სუსტ ადგილებს, სადაც მზერით შეიძლებოდა დამცავი ფარის გარღვევა და საიდუმლოებით მოცული იყო სუსტი წერტილების არსებობა. არსებობს ვარაუდი, რომ *ბრუს* ლის სიკვდილის მიზეზი სუსტი წერტილის დაზიანება იყო ისევე, როგორც ბევრი მისი მიმდევარის და სპორტსმენის.

1-ელ საუკუნეში ძველი რომის საზოგადო მოღვაწემ *პლინიუსმა* აღწერა პიროვნება, რომელსაც თითქოს შეეძლო მზერით მოეკლა ცოცხალი ორგანიზმები. საერთოდ უნდა ითქვას, რომ მზერათა შორის ყველაზე მაგიურია გველის მზერა, სინათლის ანგელოზმა და შემდეგ ღმერთისადმი გამედიდურებულმა ყოფილმა ანგელოზმა სატანამ მზერის საშუალებით აცდუნა გველი, ამ უკანასკნელმა კი ევა, და აჭამა ადამს ცნობადის ხის ნაყოფი-ვაშლი.

გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში, კუნძულ სიცილიაში არსებობდა ვინმე *მესინი*, რომელსაც ერთი შეხედვით შეეძლო ადამიანის მოკვლა. მისი სახელი ამ მხრივ იმდენად ძლიერ იყო პოპულარული, რომ მას დიდი და პატარა უფრთხოდა. ერთხელ მან ვიტრინაში სარკეში დაინახა საკუთარი თავი,

რომელსაც დიდხანს ათვალიერებდა, ამის შემდეგ ის ძლიერ დაავადდა და გარდაიცვალა. ახლობლებმა ერთხმად აღიარეს, რომ სარკემ აირეკლა მისი მზერა და საკუთარ თავს დაუბრუნდა ბოროტი ენერგია, რომელიც მის ორგანიზმში იდო ნებით თუ უნებლიეთ.

ყოველივე ზევით აღწერილი იმას არ ემსახურება, რომ ადამიანები დაფრთხნენ და გაექცნენ პოზირებას მხატვრის წინაშე, ან სარკეში და სხვაგან. ჩვენი მიზანია ვცნობდეთ საკუთარ თავს ისე, რომ იმ სიცილიელივით არ მოგვივიდეს. ადამიანი უნდა გრძნობდეს, რამდენად მისაღებია ორგანიზმისთვის ვინმეს თვალებთან შეხვედრა, მისი გარეგნობის გადატანა ფერწერულ ტილოზე და სხვა.

ოკულტურ მეცნიერებაში და მაგიაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მზერის გაძლიერების სავარჯიშოებს, რომელთა მეშვეობით შეიძლება ენერგეტიკული დარტყმების მიყენება. დააკვირდით სახელგანთქმული გურჯიევის მზერას, იგი იყო მაგი, ოკულტისტი, ფსიქოლოგი, იშვიათად შეხვდებით მზერის ისეთ სიძლიერეს, რომელიც მასშია მოცემული. ლოცვების წინ, თუ ეს ხატთან ხდება, ყოველთვის უყურეთ რბილი და მტკიცედ გადაწყვეტილი თვალებით ხატს და რა თქმა უნდა თვალებში. მზერის დროს ხდება ადამიანის ძალების და ენერგიის მაქსიმალური კონცენტრირება და ეს ყველაფერი თვალის მეშვეობით გადაეცემა ტვინს და შემდეგ ისევ ტვინიდან ბრუნდება თვალებში.

ყოველივეს აღწერილის შემდეგ შეიძლება ჩაითვალოს, რომ მზერას ახასიათებს, ადამიანში შეიყვანოს როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი ენერგია.

აღმოსავლეთში საუკუნეების განმავლობაში არსებობდა მზერისაგან თავდასაცავი მედიტაციური საშუალება. ერთ-ერთი მათგანი ქვევითაა აღწერილი.

უპირველეს ყოვლისა, შინიდან გამოსვლის წინ, წარმოიდგინეთ, რომ გახვეულნი ხართ სარკისებური ზედაპირის გარსში, რომელიც ისხლეტს ყოველგვარ ნეგატიურ გამოსხივებებს. ასეთ ზემოქმედებას ასტრალურ დარტყმას უწოდებენ და გაცილებით სახიფათოდ თვლიან, ვიდრე ჩვეულებრივ დარტყმას ბრძოლის წინ. ძველ აღმოსავლეთში ბერები ყოველთვის იმყოფებოდნენ ასეთ გარსში, რამდენიმე ვარჯიშის ჩატარების შემდეგ თქვენც ისე ბედნიერად იგრძნობთ თავს, როგორც ის ბერები.

წერილი პლუტარქეს სიტყვებით გვინდა დავასრულოთ (რჩეული ბიოგრაფიები-პარალელები ალ. მაკედონელი) „...ვით მხატვარი ახერხებს ხოლმე ადამიანის მსგავსების განსახიერებას თვალებისა და სახის გამომეტყველების საშუალებით, ხოლო სხეულის დანარჩენ ნაწილს იმდენ ყურადღებას აღარ აქცევს. რადგან გამომეტყველება ყველაზე მეტად ამჟღავნებს ადამიანის თავისებურებას, მეც ნება მომეცით, ღრმად ჩავწვდე ამ პიროვნებათა სულიერ სამყაროს და თითოეული მათგანის ცხოვრება ამისდა მიხედვით ავსახო"

## მზერის ჩხვლეტის რამდენიმე ეპიზოდი ფერმწერთა ცხოვრებიდან.

*ისააკ ლევიტანი* ძირითადად პეიზაჟებს ხატავდა, რადგან გრძნობდა მზერის ჯადოქრულ ძალას.

ალექსანდრე *შილოვის* ფერწერულ გამოფენაზე მნახველები დიდხანს ჩერდებოდნენ მხატვრის 16 წლის ქალიშვილის პორტრეტთან და სინანულს გამოთქვამდნენ მისი გარდაცვალების გამო, ბოლოს ერთმა მოხუცმა ჩაილაპარაკა-იმიტომ ეწამა საბრალო გოგო, რომ მამამისი დიდხანს ხატავდაო.

*ილია გლაზუნოვი*-მხატვარს ძალიან უყვარდა თავისი ცოლის ნინა ვინაგრადოვას ხატვა. ქალბატონი ნინა ვინაგრადოვა ფანჯრიდან გადმოხტა.

*რემბრანდტი* ფუნჯის დიდოსტატს მოუკვდა ორი ცოლი და შვილები. სასკია ქორწინებიდან მერვე წელს გარდაეცვალა, მაშინ მხატვარი 30 წლის იყო.

მისი შვილებიდან ყველაზე მეტხანს იცოცხლა ტიტუსმა (27 წელი). ამ სტრიქონების წერისას ერთი აზრი მებადება, ასე ერთი ხელის მოსმით არ შეიძლება იმის აღიარება, რომ რემბრანდტი მისი ოჯახის წევრებზე ტილოს შექმნისას მზერით კლავდა მათ, ეს უბრალოდ აღწერა ამ ფაქტების და მასზე ყურადღების გამახვილება, ასეთი ძიებით უნდა მივადგეთ მზერის ძალის ამოცნობის ჭეშმარიტებას. საყოველთაოდ ცნობილია გველის მზერის ძალა, რომელსაც მონუსხვას ვეძახით, იგი თითქმის თავის მსხვერპლის 80% მზერით ყლაპავს და მერე ანადგურებს. გველის მზერას მხოლოდ ადამიანი ძლევს. ამგვარად ისე არ გავიგოთ, რომ რემბრანდტი აუცილებლად მზერით ანადგურებდა ვინმეს, უბრალოდ ეს არსებობდა, ეს უნდა ვიძიოთ.

*ჩიკაგოს* ერთ-ერთ დაწესებულებაში თანამშრომლებმა შეამჩნიეს, რომ კიბეებზე ასვლისას, ვიღაცის უხილავი მზერა მიაცილებდა მათ, ერთხელ კი ვიღაც უხილავმა ხელი ისე ჩაბღუჯა ამსვლელს, რომ მას სუნთქვა შეეკრა და ტანში ჟრუანტელი უვლიდა. პარაფსიქოლებმა დაადგინეს, რომ უხილავი ძალა ფოტოსურათის მზერიდან მოდიოდა. ჩამოხსნეს სურათი და ყოველივე უსიამო შეგრძნება მყისვე გაშორდა იქაურობას.

*ვან-გოგმა* სიცოცხლის უკანასკნელ წლებში შექმნა საკუთარი მკურნალი ექიმის პორტრეტი. ექიმს პორტრეტი არ მოეწონა, სადაც მისი ნაკვთები ჩინური თუ იაპონური სახის შტრიხებში იყო გადაწყვეტილი. ექიმმა სურათი ქათმების გალიას გადააფარა. გავიდა რამდენიმე წელი. მოკვდა ექიმი და როდესაც გარდაცვლილ ექიმს, მისი რამდენიმე წლის დაწერილ პორტრეტს შეადარეს, ორი წვეთი წყალივით ჰგავდა ერთმანეთს.

ყოველივე ეს მასალა იმიტომ არ იკინძება, რომ ვინმე დავაშინოთ ან პროპაგანდა გავუწიოთ პორტრეტების არდახატვას. პირიქით, ჩვენი მიზანია, უფრო ღრმად ჩავიდეთ ჯერ კიდევ ჩვენთვის შეუცნობი მოვლენების ძირში.

და ბოლოს, *ანა ახმატოვა* ამბობდა, როცა ადამიანი კვდება, ღრმად იცვლება ისე, რომ ვერ იცნობა. უბრალოდ და რთულადაც, ადრე თუ გვიან, ეს მოვლენა უნდა აიხსნას, უფრო ღრმად და სავსედ, ვიდრე ეს ცნობილია დღეს მატერიალიზებული შინაარსით, რადგან მატერიის იქით არის უფრო დიდი-სული. ყველა მოვლენას აქვს თავის სული. მნიშვნელობა გააჩნია ასევე იმ დღის ველს, როცა სრულდება პორტრეტული ტილო. ამგვარად შევთანხმდეთ, როდესაც მხატვარი ხატავს ვინმეს პორტრეტს და მასზე სასიკვდილო ზემოქმედება ხდება, მთელ რიგ პირობებზეა დამოკიდებული. ასევე მხედველობაში მისაღებია ის, რომ შეიძლება მხატვარს სრულებითაც არ სურდეს ტრაგიკული შედეგი. მხატვარი დაკვირვების დროს ახდენს შინაგანი აურის კონცენტრაციას, ამ დროს გამოიყოფა ძალა, რომელიც თრგუნავს მას, ვისაც შეხედავს. მე პირადად მქონია შემთხვევა, რომ შემიხედია ადამიანისთვის და მან ლამის კისერი მოიტეხოს და აშკარად ვგრძნობ, რომ ჩემი თვალისგან გაითვალა. მაგრამ ამ ძალას ყოველთვის არ ვატარებ. ამგვარად, ჩემის აზრით, აქ უნდა ხდებოდეს მრავალპლანიანი დამთხვევა.

*გოია*-მხატვრისა და ჰერცოგინია ალბას რომანი მხოლოდ სამი წელი გრძელდებოდა. ჰერცოგინია თავის სილამაზის წყალობით, პოპულარობით თვით დედოფალს უწევდა კონკურენციას. ვინ იცის, იქნებ მან ვერ გაუძლო მის სახეზე წარმოებულ მზერით დაკვირვებას გოიას მხრიდან და იგი გარდაიცვალა.

*მოდილიანის*-ბეხტრის ჰასტინგსი მხატვრის ყველაზე სახელმოხვეჭილი სურათის სუბიექტია, მაგრამ ის მხოლოდ ორ წელიწადს წარმოადგენდა მხატვრის მოდელს. შემდეგი ახალი მოდელი ჟანა ებიუტერნი იყო. იგი ამადეოს სიკვდილის მეორე დღეს ფანჯრიდან გადმოეშვა. ისინი ერთად სამი წელს ცხოვრობდნენ.

*ილია რეპინი*-მხატვარს ძალიან უყვარდა მწერალი გარშინი. ცნობილ სურათზე "ივანე მრისხანე კლავს უფლისწულს"-უფლისწულის პროტოტიპი სწორედ გარშინია. მწერალი კიბიდან გადმოვარდა და დაიღუპა.

*პიკასო*-თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე მისმა ორმა ცოლმა და შვილიშვილმა.

ფერში წერით გამოწვეული სიკვდილის ბედისწერას ვარაუდობენ კომპოზიტორ *მუსორგსკის* ბედში. იგი *რეპინის* მსხვერპლი შეიქმნა. ასევე მისი მსხვერპლი შეიქმნა იუმორისტი *პირემსკი*. მწერალი და პოეტი ტიუტჩევი მხატვარს (რეპინი) უნდა დაეხატა ტრეტიაკოვის მუზეუმის შეკვეთით, სულ ერთი შეხვედრა გახდა საკმარისი, რომ მასაც ეს ქვეყანა დაეტოვებინა. პრემიერ-მინისტრის სტოლიპინის პორტრეტი დაასრულა და იგი მოკლეს.

1991 წლის სექტემბერში, ლონდონში მოკლეს ბულგარელი დისიდენტი მარკოვი, ოღონდ ერთმა გაზეთი გარდაცვლილის ნეკროლოგში, დისიდენტის სურათის ნაცვლად საბჭოთა მწერლის გიორგი მარკოვის სურათი დაურთეს, საბჭოთა მწერალი მალე გარდაიცვალა.

ქართველმა მხატვარმა *გიგო* გაბაშვილმა 1907 წელს გააკეთა *ილია ჭავჭავაძის* პორტრეტი, ილია ამ წელს გარდაიცვალა.

1910 წელს შექმნა ცნობილი მრეწველის, მეცენატის და რუსთველოლოგის კონიაკის დამაარსებლის *დავით სარაჯიშვილის* პორტრეტი, რომელიც ამავე წელს გარდაიცვალა.

არ დაგვავიწყდეს, რომ ექსტრასენსები, ფსიქოთერაპები სურათით მკურნალობენ ავადმყოფს, მკითხავები სურათით ადგენენ ადამიანის ბედს, თუ ეს ყოველივე არსებობს, მაშინ შეიძლება ადამიანმა მიიღოს სხვისი მზერის ჩხვლეტაც. თვალი ადამიანის უფაქიზესი ორგანოა, ადამიანის ორგანოებიდან მხოლოდ თვალს და ტვინს ვერ შეეხო მედიცინა მთელი სიღრმით. ვფიქრობ, რომ ორივე ამ ორგანოს ჭირდება მეცნიერული, ფილოსოფიური და სამედიცინო კვლევა. ერთობლივად მწამს, რომ მეცნიერებას იქ ბევრი საიდუმლო დახვდება.

*ვსევოლოდ გარშინი*

უნიჭიერესი რუსი მწერალი ვსევოლოდ გარშინი 17 წლიდან სულიერად ავადმყოფი იყო, რასაც შედეგად საშინელი ტრაგედია მოჰყვა. მან სიცოცხლე დაასრულა თვითმკვლელობით. საკვირველია, რომ როდესაც ჰოროსკოპში მისი რუკა დაათვალიერეს, სულიერი ავადმყოფობის ნიშნები ვერ აღმოაჩინეს. სამაგიეროდ ნახეს წინასწარმეტყველების უნარის უტყუარი ნიშნები.

მის სიცოცხლეში საინტერესოა ერთი ფაქტი. რეპინმა თავის ცნობილ სურათში "ივანე მრისხანე და მისი შვილი ივანე"-მეფის-ძე ივანე გარშინის მიხედვით შექმნა. გარშინი ამ დროს ხალიჩაზე გასისხლიანებული იწვა და არავინ იფიქრებდა, რომ ორი წლის შემდეგ თვითმკვლელობის შედეგად, ზუსტად ასე გასისხლიანებული იწვებოდა ქვის იატაკზე კიბის ქვეშ!-რა იყო ეს, რეპინის მზერის მორიგი მსხვერპლი, თუ?......

რეინკარნაცია (სულების გადაადგილება სხეულიდან სხეულში)

## შეხედულებები რეინკარნაციაზე

-პითაგორა, იულიუს კეისარი, ციცერონი, უილიამ ბლეიკი, უოლტერ სკოტი, ჩარლზ დიკენსი, ბერნარდ შოუ, რადიარდ ჰაგარდი, ართურ კონან დოილი, სომერსეტ მოემი, ჰაინრიხ ჰაინე, ვოლტერი, რომენ როლანი, ედგარ პო, პლუტარქე

300 სპარტანელი და სამასი არაგველი

სიკვდილი და გარდაცვალება

ტანჯვის ფორმები

ცოდვათა მონანიება

სიკვდილის განზომილება მართლმადიდებლური მოძღვრების მიხედვით

მეცნიერთა შეხედულებები სულზე

რეინკარნაციას შტაინერის აზრით, ადგილი ჰქონდა ოთხ დიდ პიროვნებას შორის. ესენია: ელია წინასწარმეტყველი, იოანე ნათლისმცემელი, რაფაელი, ნოვალისი

სულების გადასვლა სხეულიდან სხეულში ანუ რეინკარნაცია

რეინკარნაცია არის ადამიანის ინდივიდუალობის, მისი სულის გარდასახვა და განხორციელება თანმიმდევრულ სიცოცხლის ჯაჭვში, დედამიწის სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა დროში.

რეინკარნაციის კონცეფცია გავრცელებულია მთელს მსოფლიოში ყველა კონტინენტზე, ერთმანეთთან სრულიად დაუკავშირებელ ტომებსა და ხალხებს შორის. ასე, რომ მათ შორის ამ კონცეფციის გადაცემის შემთხვევაზე ლაპარაკი ზედმეტია. ევროპელი მწერლები და მოაზროვნეები ხშირად იყვნენ შეპყრობილი რეინკარნაციის იდეით. ლაპარაკობდნენ, მსჯელობდნენ, წერდნენ და ფიქრობდნენ ამ იდეაზე. ამჯერად გაწვდით გამოჩენილ ადამიანთა ნააზრევს რეინკარნაციაზე.

*პითაგორა* (საბერძნეთი ძვ.წ. 582-507) ცხოვრებაში ის ხშირად ამბობდა, რომ წინათ იყო ეტალიდი და მერკურისაგან (სიბრძნის ღმერთი) საჩუქრად მიიღო თავის სულის ტრანსმიგრაციის შესახებ ხსოვნის უნარი....ასევე მოგონების უნარი იმის შესახებ, თუ რა განიცადა მისმა სულმა და სხვათა სულებმა სიკვდილსა და დაბადებას შორის" (დიოგენე ლაერტელი "პითაგორის ცხოვრება)

*იულიუს კეისარი* (რომი 100-46 ძვ.წ.)-როდესაც შეისწავლა კელტების სიმამაცის მიზეზები და სიკვდილის წინაშე მათი უშიშროება, კეისარმა ამის მიზეზად ჩათვალა ის, რომ სულები კი არ ნადგურდებიან, არამედ სიკვდილის შემდეგ გადასახლდებიან ერთი სხეულიდან მეორეში. ამ რწმენის გამო იხსნება სიკვდილის შიში და ადამიანები და თვით ხალხებიც უფრო მამაცები ხდებიან.

*ციცერონი* (რომი 106-43 ძვ.წ.)-"იმის დამამტკიცებელ საბუთს, რომ ადამიანებმა ჯერ კიდევ დაბადებამდე იციან მრავალი რამ, წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ბავშვობაში ისინი ნებისმიერ ინფორმაციას ძალზე სწრაფად ითვისებენ. როგორც ჩანს, ისინი პირველად კი არ ალიქვამენ ამ ინფორმაციას, არამედ იგონებენ თავიანთი ახლო წარსულიდან.

*უილიამ ბლეიკი* (ინგლისი 1757-1827)-ჩემს ტვინში არის ძველი დროის წიგნებითა და სურათებით გადატენილი კაბინეტები და პალატები, რომელთაც მე ვიწერდი და ვხატავდი ამ ცხოვრებამდე უსასრულო საუკუნეების განმავლობაში. (წერილი მოქანდაკე ფლააკსმანისადმი)

*ვალტერ სკოტი* (ინგლისი 1771-1832)-გუშინ სადილობისას დამეუფლა უცნაური გრძნობა, რომელსაც მე ვუწოდებდი გარდასული არსებობის შეგრძნებას-ეს იყო გამაოგნებელი შეგრძნება იმისა, რომ ყველაფერი რაც ხდებოდა, ადრე ხშირად მომხდარა (დღიურები 17 თებერვალი 1828 წ)

*ჩარლზ დიკენსი* (ინგლისი 1812-1870)-მე დავინახე პატარა სცენა, რომელიც სავსებით ნაცნობად მომეჩვენა-წინა პლანში პატარა მდინარესთან იდგა სოფლის გოგონების მდუმარე ჯგუფი, მოახლოებული ღამის ჩრდილები ეფინებოდა ყველაფერს. მე რომ ჩემს რომელიმე წინა არსებობაში აქ მეცხოვრა და მოვეკლდარიყავი, ეს ადგილი ამაზე უკეთესად როდი დამამახსოვრდებოდა (იტალიის სურათები)

*ბერნარდ შოუ* (ინგლისი 1856-1950) სევი: "მე ვფიქრობ, რომ თანამედროვენი ესენი არიან ძველი რეანკარნირებული ადამიანები. ფრენ სულ მეჩვენება, რომ ევა ვარ. მე ძალიან მიყვარს ვაშლი, თუმცა მისი ჭამა ცუდად მხდის". კონრადი:

"გარკვეული აზრით შენ მართლაც ევა ხარ. მარადიული ცხოვრება გრძელდება. ის მხოლოდ იცვლის სხეულს და გონს იცვამს ახალს, ახალი ტანსაცმლის მსგავსად". ფრანკლინი: "დიახ, სხეული და გონი სულ უფრო და უფრო ესადაგებიან ერთმანეთს იმისთვის, რათა განხორციელდეს სულის მარადიული სწრაფვის სისავსე (პიესიდან "უკან მეფისელაში")

*რადიარდ კაპლინგი* (ინგლისი 1856-1925)-"რა არის დროისთვის 10 ათასი წელი ან ათჯერ ათი ათასი? ეს არის არარაობა, რომელიც ისევე მიფრინავს, როგორც სიზმარი ან დიადი სულის სუნთქვა. ჩვენ დავიძინებთ და ცხადია, გავიღვიძებთ და ისევ ვიცხოვრებთ, შემდეგ ისევ დავიძინებთ და გავიღვიძებთ და ასე გაგრძელდება სიკვდილ-სიცოცხლის პერიოდები სივრცესა და დროში მანამ, სანამ სამყაროთა მთელი ნაკადი არ ჩაინთქმება და არაფერი არ დარჩება ცოცხალი, გარდა დიადი სულისა, რომელიც თვითონ არის სიცოცხლე"

*არტურ კონან-დოილი* (ინგლისი 1859-1930)-როდესაც დაისმება კითხვა, თუ სად ვიყავით ჩვენ დაბადებამდე, პასუხი ასეთია: ნელი განვითარების სისტემაში, რეინკარნაციის გზაზე, მათ შორის დასვენების გრძელი ინტერვალებით. თუმცა ძნელია იმის წარმოდგენა და აღიარება, რომ ჩვენ მარადიულად ვიბადებით. კითხვაზე, თუ რატომ არ გვახსოვს წინა არსებები?-ჩვენ შეგვიძლია ვუპასუხოთ, რომ ასეთი მოგონებები უსასრულოდ გაართულებდნენ ჩვენს ახლანდელ ცხოვრებას. ეს არსებები და მოვლენები ალბათ ქმნიან ციკლს, რომელიც ჩვენთვის მხოლოდ მაშინ ხდება ცხადი, როდესაც მას ბოლოში გავდივართ. მაშინ შეიძლება დავინახოთ ერთ პიროვნებაში განხორციელებული არსებობათა მთელი წყება.

"შესაძლოა, რომ ის ბუნდოვანი ცნობები და მოგონებები, რომლებიც ხანდახან ძალზედ დეტალურია იმისთვის არის, რათა ისინი ახსნილი იქნან უბრალოდ, ატავისტური წარმოდგენებიც იგივეს ამტკიცებენ".

*სომერსეტ მოემი* (ინგლისი 1874-1965)-ცნობილ ნაწარმოებში "სამართებლის პირი", ის მოკლედ განმარტავს და ხსნის რეინკარნაციის იდეას იმ ადამიანის მაგალითზე, რომელიც თვლის, რომ უკანასკნელი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში 4-ჯერ დაიბადა. მოემი წერს: "ჩვენთვის გაცილებით ადვილი იქნებოდა ცხოვრების სიძნელეების გადატანა, თუ ვიფიქრებდით, რომ ესენი ერთ-ერთ ჩვენს წინა არსებობაში დაშვებული შეცდომების შედეგები არიან. ასევე უფრო იოლი იქნება სიკეთის ჩადენა, თუ გვექნება იმის იმედი, რომ წინა არსებობაში ჩადენილი სიკეთის ჯილდო არის ბედნიერება ამ არსებობაში".

*ჰაინრიხ ჰაინე*-(გერმანია-1797-1856)-"ვინ იცის, თუ რომელი მკერავის სხეულშია ახლა პლატონური სული, ან სკოლის რომელ მასწავლებელში ზის კეისარი? ვინ იცის! შეიძლება პითაგორას სული ახლა იმყოფებოდეს რომელიმე უბედური მოწაფის სხეულში, რომელიც ჩაიჭრა გამოცდაზე იმიტომ, რომ ვერ შეძლო პითაგორას თეორემის დამტკიცება".

*ვოლტერი*-(საფრანგეთი 1694-1778)-"ორჯერ დაბადება ერთხელ დაბადებაზე უფრო საოცარი როდია: ბუნებაში ყველაფერი ემორჩილება აღორძინების კანონს (ვოლტერის ფილოსოფიური ლექსიკონიდან)

*რომენ როლანი* (საფრანგეთი 1866-1944) "გარეშე ფაქტორებს მოქონდათ ჩემთვის მხოლოდ საკუთარი ცნობების რეალიზაცია, რომელთაც მე ვამჩნევდი, მაგრამ არ გამაჩნდა მათი გასაღები. არც შექსპირს, არც ბეთჰოვენს, არც ტოლსტოის არ აღმოუჩენიათ ჩემთვის არაფერი ახალი, გარდა საკუთარი მიწისქვეშა ქალაქის ლავის ქვეშ მძინარე, ჩემი ჰერკულანუმისათვის "სეზამ, გაიხსენიო" და მე დარწმუნებული ვარ, რომ მას ძინავს ჩვენს გარშემო მრავალი ადამიანის სიღრმეში, თუმცა მათ ისევე არ იციან მისი არსებობის შესახებ, როგორც მე არ ვიცოდი. არაერთხელ მომიხდენია მეხსიერების მიხედვით, (თუმცა

არა მთლიანად ზუსტად) ოდესღაც მიღებული აზრების ციტირება, მაგრამ ვისგან იყვნენ ისინი მიღებულნი?- შესაძლოა ერთ-ერთ ჩემი ძველი არსებობიდან".

*ედგარ პო* (აშშ 1809-1849)-"ჩვენ დავაბიჯებთ, ჩვენივე მიწიერი არსებობის მრავალ ბედს შორის, მუდამ თან გვდევს ბუნდოვანი მოგონებები, გაცილებით უფრო ფართო..უფრო შორეულ, უსასრულო, ბრწყინვალე გარდასულ დროთა ბედზე. ჩვენი ბავშვობა და სიჭაბუკე განსაკუთრებით სავსეა ასეთი სიზმრებით, მაგრამ ჩვენ არასოდეს არ ვცდებით, რადგან ვიცით, რომ ესენი სიზმრები როდი არიან, არამედ მოგონებები. სიჭაბუკის წლებში ისინი იმდენად ცხადნი არიან, რომ ჩვენ შეიძლება მოვტყუვდეთ, თუმცა მხოლოდ წამით.

*რუდოლფ შტაინერი*-ანტროპოსოფიის პატრიარქი-რეინკარნაციის შედეგს ხედავდა ელია წინასწარმეტყველის, იოანე ნათლისმცემელის, რაფაელის და ნოვალისის მიწიერ არსებობაში. საინტერესოა მისი ამ ხედვის დადგენის პარამეტრები რა იყო?

*პლუტარქე*

სიქველის ღვთაებრიობის ხელაღებით სრული უარყოფა, მკრეხელობა და სიმდაბლეა, მაგრამ დედამიწის და ზეცის ერთმანეთშიც არევაც უგუნურებაა.

სიფრთხილისათვის თავი ვანებოთ ამას და პინდარეს აზრს დავემორჩილოთ, რომ ყოველი სხეული მძლე სიკვდილს ექვემდებარება და ცოცხალი რჩება მხოლოდ სახება, ღმერთთან მხოლოდ ის წარდგება. იგი ანუ სული იქიდან მოდის და იქვე ბრუნდება, მაგრამ სხეულთან ერთად კი არა, არამედ მაშინ, როცა სხეული სულს განშორდება, გამოეყოფა და გახდება მთლიანად წმინდა, ხორცუსხმელი და უმწიკვლო. ჰერაკლიტეს თანახმად ეს არის მშრალი, საუკეთესო სული, ამოფრენილი სხეულიდან, ვითარცა ელვა ღრუბლებიდან; მაგრამ სხეულთან არეული და სხეულით შემოგარსული, ვით მძიმე ორთქლი, შებორკილია და არ ძალუძს აღმაფრენა. არა ჰხამს წარჩინებულთა სხეული ბუნების საწინააღმდეგო სულთან ერთად ვგზავნოთ ზეცაში; ოღონდ უნდა გვწამდეს, რომ სიქველით აღჭურვილი სული, ბუნების და ღვთაებრივი სამართლის შესაბამისად, თანდათან ამაღლდება ადამიანური საწყისიდან გმირთა საფეხურამდე, გმირული საწყისიდან კი დემონთა საფეხურამდე. და ბოლოს, თუ სრულიად განიწმინდება და გასპეტაკდება, ვით საიდუმლო ზიარებაში, და მთლად განიტვირთება მოკვდავი ბუნებისა და განცდათაგან, დემონური საწყისიდან ღმერთებამდე ამაღლდება და მიაღწევს უმშვენიერესსა და უნეტარეს მიჯნას არა სახელმწიფო დადგენილებით, არამედ ჭეშმარიტად გონების კანონების შესაბამისად.

*300 არაგველი და 300 სპარტანელი*

მსოფლიო ომების ისტორიაში 300 რიცხვი მაგიურ ციფრადაა ცნობილი, მასში იდუმალი და მისტიკური ძალაა გაცხადებული, რაც გამარჯვებასთან და ძლევასთან კავშირშია. ცნობილია, რომ დავით აღმაშენებელმა დიდგორის ბრძოლაში თავისი ჯარი 300 კაციან ნაწილებად დაანაწევრა, ამ ნაწილებისგან შექმნა 1200 კაციანი რაზმები, ეს კიდევ მსხვილდებოდა ზევით, და პირამიდის სახით სრულდებოდა საბოლოოდ. აქ ყველა ციფრი მაგიური ძალის მატარებელია. მსოფლიოში ორად-ორი შემთხვევაა, როდესაც 300 კაცი იღებს მონაწილეობას აბსოლუტურად ერთი და იგივე მიზნით. ორივე სამასი ერთი და იგივე სურვილით იბრძოდნენ. პირველი, რომ შეჩერებულიყო მტრის წინსვლა და მეორე, ეძიათ შური თანამემამულეთა დახოცვაზე და წინასწარ იცოდნენ, რომ ამ ბრძოლიდან ვერცერთი ცოცხალი ვერ გადარჩებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ რეინკარნაციის შედეგები, სულების გადასვლა ერთი საუკუნის ადამიანებიდან შორს მდებარე საუკუნეებში, ძალზე ხშირია საბერძნეთსა და საქართველოს შორის. ამგვარად ამ ორ ფაქტს შორის ვფიქრობთ ძლიერ ანალოგიასთან გვაქვს

კავშირი. და ბოლო ორივე შემთხვევაში ბრძოლა წარმოებს სპარსელებთან. სპარსული ძველი რელიგიის ზოროასტრიზმის თანახმად, სპარსელთა შავი აგრესიული ძალის წარმმართველი უნდა იყოს თარიმანი (ეს იგივეა მათთვის, რაც ლუციფერი ევროპულ მითოლოგიაში)

## სიკვდილი და გარდაცვალება

თავდაპირველად უნდა გავარკვიოთ, რომ ქართველებს ამ მოვლენის აღმნიშვნელი ორი სიტყვა გვაქვს. პირველი ნიშნავს ადამიანის ყველანაირ გაქრობას როგორც მიწიერ, ისე არამიწიერ ქვეყანაში. მეორე ნიშნავს მიწიერიდან გადასვლას არამიწიერში. როგორც ერთის, ისე მეორის სხვა სინონიმებიც არსებობს დაიღუპა, წავიდა ამ ქვეყნიდან და სხვა. მთავარია რომ ადამიანის სიცოცხლის დასასრულის აღმნიშვნელ მოვლენასთან ორი მიმართება ჰქონია ქართულ ენას ე.ი. ამჯერად გავარკვიოთ მიცვალებულის გაცოცხლების, რა წერილობითი წყარო არსებობს. პირველი წერილობითი ცნობა მიცვალებულის გაცოცხლების შესახებ ეკუთვნის ცეცხლის მომპოვებელ ელია წინასწარმეტყველს.

ელიამ, თავისი ძლევამოსილების დასადასტურებლად უფალი ღმერთი აბრაამისა, ისააკისა და ისრაელისა, სანამ ცეცხლს გაუგზავნიდა, ჯერ ცარფათელი ქვრივის ვაჟი გააცოცხლა. შემდგომში ასეთივე ფაქტი განახორციელა ელიას მიერვე ხელდასხმულმა აბელ-მელქოლმა ელისე შაფატის-ძემ.

სავარაუდოა, რომ ასეთივე ძალა უნდა ჰქონოდა კოლხ მედეასაც, რის შესახებაც აზრი მითში ოდნავ კიაფობს. მედეა აიეტის დის კირკეას გაზრდილია, ეს ის პერიოდია, როდესაც ოდისევსის, ჰერაკლეს და აქილევსის გასაცოცხლებლად ხმარობენ ამბროზიას, ნექტარს და პრომეთეს ცრემლებს. ოდისევსი კი კირკეას სტუმარი შეიქმნება.

ქრისტეს სასწაულმოღვაწეობიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ბეთანიელი ჭაბუკის ლაზარეს გაცოცხლება. ამ შემთხვევაზე იოანეს სახარებაშიც არის მოთხრობილი. ქართული სიტყვა ლაზარეთი მისგან მოდის. იოანე ზოსიმემ პარალელი გაავლო ქართულ ენის აღდგენასა და ლაზარეს გაცოცხლებას შორის. ქრისტეს ეს ძალამოსილება მოციქულებს გადაეცემათ-პეტრემ კარგა ხნის მიცვალებული ტაბითა გააცოცხლა, ისევე, როგორც პავლემ სიცოცხლე აღუდგინა მესამე სართულიდან გადმოვარდნილ ევტიხის.

თანამედროვე მიდგომით გარდაცვლილის გაცოცხლების მცდელობა უკვე XVI-XVII საუკუნეებში მოღვაწე ფილოსოფებს და ექიმებს ა. ვეზალიუსსა და უ. ჰარვეის ეკუთვნის. პირველი მუშაობდა სუნთქვითი ორგანოების აღდგენაზე და მეორე სისხლისმიმოქცევაზე. ისტორია კი გვაწვდის დაუჯერებელ ინფორმაციას-1901 წელს ნორვეგიის ქალაქ ტრასიოს ჩვეულებრივმა მოკვდავმა ექიმმა ს. იგელსრუდმა პირველად მოახერხა მკვდრის გაცოცხლება. 1961 წელს კი უდროო სიკვდილისას სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერება რეანიმატოლოგიად მონათლა უკრაინელმა მეცნიერმა ვინეგოვსკიმ. რაც ასე მიიღო რე-ხელახლა, ანიმა-სიცოცხლე, სული. აქედან იღებს სათავეს თანამედროვე მედიცინის კუს ნაბიჯები, სულზე. თუ ადამიანი 3 ან 5 წუთის გარდაცვლილია, კვდომის პროცესი დასრულებული არ არის და თავის ტვინის უჯრედები ჯერ კიდევ ინარჩუნებენ სიცოცხლის აღდგენის შანსებს. ეს ყველაფერი წმინდა მედიცინის საკითხებია და ჩვენ ავცდით მისტიკის ხაზს.

ცოტა ხნით მინდა ჩვენი ყურადღება გადავიტანო გონების არსზე, გონების ფენომენზე, რა ცნობებს იძლევა თანამედროვე მეცნიერება მის შესახებ: ზოგიერთი კვლევით, გონების ასაკი 19 მილიარდი სინათლის წელიწადია. გონება სიცოცხლის უმაღლესი ფორმა, ეს არის ადამიანური ძალის უზენაესი გამოვლინება, პლატონი და არისტოტელე გონებას მიიჩნევენ იმ ადგილად, სადაც ღმერთი

სუფევს.

ჰოლანდიელმა ებრაელმა ბარუხ ოპინოზამ დაუშვა, რომ გონება და სინათლე სინონიმებია. მისი ეთიკის სამი ძირითადი წახნაგი არსებობს, რომელიც ერთ რეალობაშია გადამტყდარი: გონება, სიყვარული და სინათლე. აი ეს არის სპინოზას ეთიკის ძირითადი ღერძი.

300 წლის შემდეგ ამან უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა სპინოზას ეთნიკურ შთამომავალზე, ალბერტ აინშტაინზე. ეს უკანასკნელი დაინტერესდა სინათლის ბუნებით და ასეთი აღმოჩენა გააკეთა, რომ სინათლე საწყისი და მთავარი ფიზიკური რეალობაა, ხოლო სინათლის სიჩქარესთან მიახლოებისას დრო და სივრცე იკუმშება იქამდეც კი, რომ შესაძლებელია მისი ნულად გადაქცევა. აინშტაინმა ვერ შეძლო მისი აღმოჩენის ფიზიკის გარეთ გამოტანა. აღიარება იმისა კი, რომ სინათლე აზრია და პირიქით მატერიალიზმის ტრადიციებზე აღზრდილი, მეცნიერისთვის ძნელი მისაღები აღმოჩნდა. თუმცა მე-20 საუკუნის უდიდესი ებრაელი უდიდეს პატივს სცემდა მე-17 საუკუნის უდიდეს ებრაელს, მაგრამ მათ შორის არ ყოფილა ერთი ფილოსოფიური ხედვათა ჯაჭვი, თუმცა აინშტაინის აღმაფრენა სპინოზას მიმართ იმ ერთი მოწონებით ჩერდება.

სინათლე ხილულია, მაგრამ არსებობს უხილავი მხედველობისთვის შეუმჩნეველი სინათლეც. ამის მაგალითს წარმოადგენს ნეიტრონის ენერგეტიკული ნაკადები, რომლებიც მსჭვალავენ სამყაროს, მაგრამ არავინ იცის რა ბუნების და შინაარსის მატარებლები არიან. სინათლის ნაწილაკებიც ფოტონებიც და ნეიტრონიც დროისა და სივრცის მიღმა ცხოვრობენ.

*ამჯერად ჩვენ განვახორციელებთ სიცოცხლის და სიკვდილის ფილოსოფიურ განმარტებას ჰაიდეგერის მიხედვით, შემდეგ კი ავხსნით სიკვდილის განზომილებაში არსებულ თეოლოგიურ ცნობებს. ჰაიდეგერის მიხედვით:* სიკვდილი სიცოცხლის შემადგენლობაშია არა ბოლო ნაწილის სახით, რომ იგი კვდება, არამედ სიცოცხლის სასრული განზომილება არის სიკვდილი, რადგან ერთი მეორის გარეშე არ არსებობს, არამედ სიცოცხლე მთლად სიკვდილითაა გაჟღენთილი და გამსჭვალული. მისი აზრით, სიკვდილი ადამიანისთვის უცხო და მტრულად განწყობილი მოვლენა კი არ არის, არამედ მის შინაგან არსს წარმოადგენს სიცოცხლის მსგავსად. ამიტომ ის გვმოძღვრავს, რომ სიკვდილის ისევე არ უნდა გვეშინოდეს, როგორც სიცოცხლის. ამგვარად დავასკვნათ, რომ სიკვდილ-სიცოცხლე და პირიქით ჰაიდეგერის აზრით ეს არის ერთი მთელი.

ინდუსებისათვის მიწიერი ცხოვრება არის ტყვეობა და სიკვდილი არის სულის განთავისუფლება სხეულის საპატიმროდან, შეერთება ზეცასთან. ისეთ რელიგიურ სისტემებში, როგორიცაა ინდუიზმი, ბუდიზმი, ჯაინზმი და ტანტრიზმი-სიკვდილი აღიქმება, როგორც უფრო მნიშვნელოვანი მდგომარეობა სულისა, ვიდრე სიცოცხლე სხეულში. ან ასეთი ინტერპრეტაცია-სიკვდილი ამ რელიგიებში განიხილება, როგორც სულიერი და კოსმოლოგიური იერარქიული კიბის მაღალ საფეხურზე ასვლა. გადასვლა ღირსეული წინაპრების და ძლევამოსილი სულების სამყაროში. სულმა საიქიოში რთული და ძნელი გზა უნდა გაიაროს. თვით მარიამ ღვთისმშობელიც კი თხოვდა დახმარებას საიქიოს გზაზე მის ძეს მაცხოვარს-იესოს. ამიტომ სიკვდილისათვის კარგად უნდა მოვემზადოთ. ყოველ შემთხვევაში აუცილებელია საიქიო კანონების ზოგადი ცნობა მაინც.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ინგლისში შეიქმნა "ფსიქიკური კვლევის საზოგადოება", რომელიც ასეთ ზოგად პრინციპებს აყალიბებს იმქვეყნიურ არსებობაზე.

(აქვე მკითხველს ვაუწყებთ, ინგლისის ამ კვლევითი საზოგადოების მიერ აღწერილი სულის მდგომარეობის შემდეგ, მოგაწვდით მასალას ამავე საკითხზე

მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვრებიდან) იგი სული თავს პოულობს ბუნებრივ სამყაროში, რომელიც მისთვის უცნობ ბუნებრივ კანონებს ემორჩილება. ადამიანთა ბედი, მათი სიკვდილის შემდეგ, ორი ძირითადი საქმის მიხედვით ვითარდება. ისინი ან სულიერ სამყაროში ხვდებიან-ბედნიერ ადგილას ცაში, ან მიწასთან რჩებიან ნაკლებად კომფორტულ ადგილას. სულიერი სამყარო ესაა ნათელი ქალაქი, სადაც გარდაცვლილს თავისი სახლი და მისი მოსიყვარულე ადამიანები ელოდებიან, რომლებიც მასზე ადრე გარდაიცვალნენ. სულიერ სამყაროში ადამიანები სხვებს ეხმარებიან და ცოდნას იძენენ. ყველა აქ მოხვედრილმა ადამიანმა იცის თავისი მატერიალური სხეულიდან გამოსვლის ასტრალური (სულიერი) სხეულის შეძენის შესახებ თავისი ზნეობის შესატყვისად. ამ სხეულებს ისინი ისევე აღიქვამენ, როგორც ცოცხალი ადამიანები აღიქვამენ თავის სხეულს. ზედა (სულიერი) სამყაროს არსებებს შეუძლიათ უფრო დაბალი ფენების სტუმრობა. ისინი აქ თავის ნათესავებს და ნაცნობებს მოინახულებენ ხოლმე, რათა უფრო ნაკლებად სრულყოფილ სულებს დაეხმარონ.

მიწასთან (ქვედა) ახლოს მდებარე სამყაროში სძინავთ ან ნახევრად უგონო მდგომარეობაში არიან, ისინი არ იტანჯებიან, მაგრამ არც ბედნიერნი არიან.

სხვადასხვა სახის ცოდვილნი, თვითმკვლელნი და სხვანი აბსოლუტურ სიჩუმეში და ბნელში მარტო იმყოფებიან. სულიერად აფორიაქებულნი, უაზროდ დაბორიალობენ. მათი აზრები ილევა, ისინი დეგრადირებენ როგორც პიროვნებები, მათ საკუთარი სახელებიც კი ავიწყდებათ.

უმანკო ადამიანები, რომლებმაც საკუთარი სიკვდილი ვერ გაიაზრეს, რელიგიის მსახურნი, ორთოდოქსები და ობლები მიწასთან ახლო მდებარე სამყაროში თვალებახელილ მდგომარეობაში რჩებიან. ისინი ხედავენ ცოცხლებს, ესმით თავის მსგავსებასთან ურთიერთობა. ისინი კითხულობენ თუ რა მოუვიდათ, მაგრამ სხვა მიცვალებულებმა თვითონაც არაფერი იციან ამის შესახებ.

*ტანჯვის ფორმები*

განვლილი ცხოვრების უზნეობა-ესაა იმქვეყნიური წამების ძირითადი მიზეზი. ადამიანის სხეულიდან სულის გაფრენის შემდეგ, ბედნიერება უფრო სრული ხდება, მაგრამ ტანჯვა ბევრად უფრო ღრმაა. სიკვდილის შემდეგ, მანკიერ ადამიანს მიეწევა სულიერი ტანჯვა, და სინდისი, რომელზეც სიცოცხლეში სდუმდა, და სიკვდილის შემდეგ ამაზე ილაპარაკებს. მკვლელი გამუდმებით ხედავს მის მიერ მოკლულ ადამიანებს, განიცდის მათ ტანჯვას. ბოროტნი და მოშურნენი იტანჯებიან სიმწრისგან. ეგოისტი იტანჯება უკეთურობის გამო, ზარმაცი თავის უმიზნობის, მშიშარა თავის შიშის, ძუნწი ხედავს თუ როგორ უმიზნოდ ხარჯავენ მისი მემკვიდრენი ქონებას.

*ცოდვათა მონანიება*

გარდაცვლილმა რომ მოახერხოს ტანჯვისგან თავის დაღწევა, საამისოდ საჭიროა პირველ რიგში მონანიება, მეორეს მხრივ სხვა გარდაცვლილთა დახმარება და მსახურება. სულის მიერ მიწიერი ცხოვრების ცოდვების გამოსყიდვის შემდეგ ღებულობენ სახლს სულიერ სამყაროში და მათთან მეგობრები დაიშვებიან.

მიწასთან ახლოს მდებარე სფეროდან სულიერ სამყაროში ზეასვლა მხოლოდ საკუთარი კეთილი ნებით შეიძლება. იმქვეყნიური პროგრესიც ასევე თანდათანობითია და ნელი, როგორც მიწიერი ცხოვრების პროგრესი. სულიერი სამყაროს სულები სხვადასხვა კეთილ ფუნქციებს ასრულებენ. მაგალითად, ისინი სიცოცხლეს უბრუნებენ გარდაცვლილ მშობლებს, რომლებსაც არ უნდათ თავიანთი მცირეწლოვანი შვილების დატოვება. ასევე მათ გამახვილებული აქვთ წინათგრძნობა და სხვადასხვა საშუალებებით (სიზმარი, მინიშნება) აფრთხილებენ

ხიფათის შესახებ.

ამგვარად, ინგლისის ფსიქიკური კვლევის საზოგადოება, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში შეიქმნა, სიკვდილის ანალიზის ბოლოს ასეთ დასკვნას აკეთებს.

სიკვდილი არ წყვეტს სიცოცხლის პრობლემებს, ისინი რჩებიან და მათი გადაწყვეტა სხვა სამყაროში ხდება საჭირო, იქით წასასვლელად ნუ იჩქარებთ, რადგან ამაზე უზენაესი თვითონ იფიქრებს, ჩვენ კი ვეცადოთ, რომ იქ წასასვლელად სიცოცხლეშივე ვეცადოთ, რომ რაც შეიძლება ნაკლები ცოდვა წავყვეს იმ ქვეყნად.

*სიკვდილის განზომილება მართლმადიდებლური მოძღვრების მიხედვით.*

ადამიანი კვდება ბუნებრივ და ძალდატანებით ვითარებაში მაშინ, როცა მისი ფიზიკური ტანჯვა აღწევს ზღვარს და ესმის როგორ აღიარებენ მას გარდაცვლილად. ესმის უსიამოვნო ხმაური, ზარის მაღალი ხმა, ან ზუზუნი. ამავე დროს გრძნობს, რომ დიდი სიჩქარით მოძრაობს ბნელ გვირაბში. შემდეგ უცებ რჩება საკუთარი სხეულის გარეთ და ხედავს მას შორიდან ისე, როგორც უცხო მაყურებელი. თვალყურს ადევნებს ხალხის მოქმედებას, რომლებიც ცდილობენ მისი სიცოცხლეში დაბრუნებას და იმყოფება ემოციური შოკის მდგომარეობაში.

თანდათანობით ის იკრებს გონებას, ეგუება ახალ მდგომარეობას და გრძნობს, რომ ეჩვევა სულ სხვა ბუნების თვისებების სხეულს.

სიკვდილის შემდეგ სული აგრძელებს თავის არსებობას და არ წყვეტს მას ერთი წამითაც. მთავრდება ადამიანის ხორციელი თვალით ხედვა და დგება ჟამი მის თვალთა სულიერი ჭვრეტისა. სულებს ყველაფერი ახსოვთ, რაც კი მიწაზე ყოფილა წარმოთქმული. აღსანიშნავია, რომ სულიერი ხედვა მომაკვდავეთ ჯერ კიდევ სიკვდილამდე ეწყებათ. განსვენებულის სულის სრულად და ამომწურავად გაჭვრეტა, ეს მხოლოდ ღმერთის ნებაა და მეტი არავის. უსხეულოდ დარჩენილი სული კეთილ და ბოროტ სულთა გარემოცვაშია. ის ჩვეულებრივად ელტვის ისეთ სულებთან ურთიერთობას, რომლებიც თავის ხასიათით ახლოს დგას მასთან. თუ სული სხეულში ყოფნისას ზოგიერთი მათგანის ზეგავლენას განიცდიდა, ის ისევ რჩება მათზე დამოკიდებული.

სხეულის სიკვდილის შემდეგ, პირველი ორი დღე, სული ერთგვარი თავისუფლებით ტკბება და მიწაზე მისთვის ძვირფასი ადგილების მონახულების საშუალება ეძლევა, მაგრამ უკვე მესამე დღისთვის, მისი ადგილსამყოფელი იცვლება და სხვა სფეროებში გადადის.

სული მართლაც რჩება მიწის სიახლოვეს რამდენიმე დღის განმავლობაში, ადასტურებს მართლმადიდებელ ლიტერატურაში აღწერილი გამოცდილების რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ახლადგანსვენებულთა მოვლინებას სიზმარში, პირველ ან მეორე დღეს ჰქონდა ადგილი. ამ ხნის შემდეგ მიცვალებულთა გამოცხადება იშვიათი შემთხვევაა და თუ მაინც ვხედებით, ეს მხოლოდ ღვთის განსაკუთრებული ნებით ხდება.

მესამე დღისათვის სულს ბოროტ სულთა ლეგიონის გავლა უწევს და ზემოთ აღწერილი პერიოდი დამთავრებულია. ბოროტი სულნი მას გზას ულობავენ და ბევრ სხვადასხვა ცოდვებში სდებენ ბრალს, იმ ცოდვებში, რომელიც ამ სულს მათივე ზეგავლენით აქვს ჩადენილი. სხვადასხვა ინფორმაციით ოცი ასეთი დაბრკოლება ანუ საზვერე არსებობს. თითოეულ მათგანში გარკვეული ცოდვისთვის ხდება სულის წამება. გაივლის ერთს ასეთს და შემდეგ ხვდება მეორეში. ყველას წარმატებით გავლის შემდეგ, ეძლევა მას საშუალება გააგრძელოს გზა ისე, რომ ჯოჯოხეთში არ იქნას ჩაგდებული.ეს ჩანს იქიდან, რომ თვით ღვთისმშობელიც კი, როცა გაბრიელ მთავარანგელოზმა მას

სიკვდილის მოახლოება აუწყა, ლოცულობდა, რომ ძეს მისი სული დემონთა შემოტევებისგან ეხსნა. ლოცვის პასუხად თავად უფალი იესო ქრისტე მოევლინა მას ზეცით, მიიღო ყოვლად წმინდა დედის სული და აღიყვანა იგი ცად. (ეს ასევე კარგად ჩანს მიძინების ტრადიციულ კომპოზიციაში). მართლაც მეტად მძიმეა მიცვალებულისთვის მესამე დღე და ამ დღეს მას სჭირდება გაძლიერებული ლოცვა. სულის სიკვდილის შემდეგ, მალევე იწყება სასამართლოს წინაშე წარდგომა, სადაც ხდება დასკვნის გამოტანა იმ "უხილავ ბრძოლათა" შესახებ, რომელსაც ეწეოდა ან არ ეწეოდა ადამიანი ბოროტ სულთა წინააღმდეგ.

იმქვეყნად წასულები მალევე იწყებენ ბრძოლას დაბრკოლებების ანუ საზვერეების გადალახვას. მიცვალებულთა ერთ-ერთ პატივისცემად ასეთ შემთხვევებში მიჩნეულია მასზე მინდობა, ვინც დაეხმარება მას ასეთ მომენტებში ჩვენ მიწიერნი კი ვუნდებით მათზე ლოცვებს, სანთლების დანთებას და ფსალმუნების კითხვას, საზვერეების (დაბრკოლება) გავლის შემდეგ, თაყვანს სცემს ღმერთს. და კიდევ 37 დღის განმავლობაში ეცნობა ზეციურ სავანეებს და ჯოჯოხეთის უფსკრულებს. მან ამ დროს ჯერ კიდევ არ იცის, სად დარჩება და მხოლოდ მეორმოცე დღეს განუწესებენ ადგილს საყოველთაო აღდგომამდე.

ორმოცი დღის შემდეგ სულთა ერთი ნაწილი სამუდამო სიხარულსა და ნეტარებაში მოლოდინშია, მეორე ნაწილი კი განიცდის მუდმივ შიშს და ტანჯვას, რომელიც საშინელი სამსჯავროს შემდეგ დაიწყება. ამ წუთამდე ჯერ კიდევ არის სულის იმქვეყნიური მდგომარეობის შეცვლა შესაძლებელი. ამას ხელს უწყობს ღვთისმსახურების დროს ამ სულთა მოხსენიება. განსაკუთრებით იმ ორმოცი დღის მანძილზე, როდესაც სული სამუდამო სამკვიდრებლისკენ სავალ გზას გადის.

სიკვდილის შემდეგ ჩვენ ყველანი ქრისტეს სამსჯავროს წინაშე წარვსდგებით. სატანა მისი დემონებით, ანტიქრისტე, მიწიერი-ცოდვილი ხალხი მიეცემიან მარადიულ ცეცხლს, მაგრამ არა მატერიალურს, როგორც ეს ჩვენთანაა, არამედ ისეთს, როგორიც იცის ღმერთმა. კეთილის მოქმედნი კი მზესავით მარადიულად გამობრწყინდებიან ანგელოზებთან და უფალთან ერთად. ისინი მარად მომზირალნი მაცხოვრისა, თვითონაც მუდმივად იქნებიან მისი თვალთახედვის არეში და დატკბებიან უზენაესისგან მომდინარე სიხარულითა და შვებით.

*მეცნიერთა თანამედროვე შეხედულებები სულზე.*

რამდენიმე წლის წინ ამერიკელმა მკვლევარებმა ექსპერიმენტთა სერია ჩაატარეს. აქვე უნდა ითქვას, რომ ამერიკა ის ქვეყანაა, სადაც ყველაზე და ყველაფერზე ყველა სახის ცდები ტარდება და ჩაატარეს ერთი ასეთიც, მომაკვდავ ადამიანს უშუალოდ სიკვდილის წინ და სიკვდილის შემდეგ წონიდნენ. გვამის წონა 4 ან 7 გრამით ნაკლები გამოდიოდა ცოცხალზე. ერთ-ერთი ენერგოინფორმაციული შრე ამტკიცებს, რომ ეს ადამიანის სულის ნაკლებობაა, მეცნიერები ამას ამბობენ მორიდებით, მაგრამ მაინც ამბობენ....ექსტრასენსი, რომელიც სურათზე ხედება ცოცხალია თუ არა სურათზე გამოსახული ადამიანი სწორედ ამ შრის არსებობის მეშვეობით ამჩნევენ. ექსტრასენსს შეუძლია დანარჩენი შრეებისგანაც მიიღოს ინფორმაცია. ეს შრეები ადამიანის სიკვდილის შემდეგაც არსებობს რამდენიმე დღე.

ძველი ჩინელები მიხვდნენ, რომ ბიოლოგიურად აქტიური წერტილები ბოჭკოვანი სინათლის გამტარებია, რომელთაც გარსიდან სინათლის ქვანტის გამოტანა ძალუძთ და ქმნიან გოლოგრაფიულ აურას. ჩვენ ვიცით, რომ გოლოგრამა ლაზერით იხატება ე.ი. ლაზერი სადღაც ორგანიზმში უნდა არსებობდეს. საერთოდ, აქედან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რაც დედამიწაზე არსებობს ან ადამიანმა შექმნა, თვით რადიაციული გამოსხივებაც კი, ყველაფერი

ადამიანის სხეულში არსებობს.

რუსმა მკვლევარმა ცოლ-ქმარმა კარლინებმა ჩაატარეს უნიკალური ექსპერიმენტი. ისინი ადამიანის ხელს ათავსებდნენ მაღალი ძაბვის ელექტრომაგნიტურ ველში. ფოტოობიექტივმა ხელის ირგვლივ ცისარტყელასებური ნათება გამოავლინა. ფიზიკოსებმა დაადგინეს, რომ ადამიანს ჩვეულებრივ მდგომარეობაშიც კი ელექტრომაგნიტური ველის გარეშე, გარს აკრავს გარკვეული ენერგეტიკული ღრუბელი, რომელსაც ხელსაწყოებიც აფიქსირებენ.

ფიზიკოსებმა ხელსაწყოები თანდათან გააუმჯობესეს და ნახეს, რომ ენერგეტიკული ღრუბელი საკმაოდ რთული შედგენილობისაა. დღეს უკვე დამტკიცებულია, რომ იგი რამდენიმე შრისგან შედგება. თითოეული შრე კი განსაზღვრულ ინფორმაციას ინახავს. გამორიცხული არ არის ფოტო ან ფერწერული სურათებით ადამიანთა მაშინდელი ყოფა აღწერონ, ეს მომავლის საქმეა, მაგრამ არ გამოვრიცხავ.

აქედან შეიძლება დავასკვნათ, სამყაროში არაფერია შემთხვევითი და არც შეიძლება იყოს, რადგან ყველაფერზე წინასწარ არსებობს ინფორმაცია. ამგვარად, რაც ჩვენს ირგვლივ არსებობს სასწაულებრივი მიღწევები, ეს ადამიანის ცინიანი და დაუღლელი ლტოლვით არის მიღწეული.

## მისტიკური შენობები, საგნები მათი რაობა......

ხეოფსის პირამიდა
რისთვის აშენდა პირამიდა
საიდუმლო სიმბოლოები
პირამიდის მისტერია
ჩინური პირამიდები
ორიონის ქვა
სფინქსი
ლეგენდარული შუბი
13 რიცხვის მაგიურობა
არდებილის ტბა
ხლათის ტბა
ბაბილონის გოდოლი
კომეტა
სატაძრო სიზმარი ანტიკურ სამყაროში
სფეროს მუსიკა
მე-12 პლანეტა
სოლომონის ტაძარი
ფიქრები ტვინზე
ალბერტ აინშტაინის ტვინის თავგადასავალი
ტელეპათია
ტვინის დაავადება-დისპლეი
მარტინ ჰაიდეგერი სიკვდილის, შიშისა და ძრწოლის შესახებ
გურჯიევის შეხედულება ცეკვასა და მუსიკაზე
ასეთი რამ ძნელია დაიჯერო, თუმცა ისინი მაინც არსებობენ
მისტიკის, თეოსოფიის და ანთროპოსოფიის კავშირები, სხვაობები
მისტიკა-ენციკლოპედიური განმარტება
თანატოსი

## პირამიდა

ამ ქვეყანაზე არაფერი შემთხვევით არ ხდება და არც ის, რომ შვიდ საოცრებათაგან ხეოფსის პირამიდა ერთადერთია, რომელიც გადარჩა და ის დგას მცირეოდენი დაზიანებებით. რა დაზიანებებია ესენი პირამიდის წვერი 7 თუ 6

მეტრის მასა მომსხვრეულია, აღარა აქვს. პირამიდის ზედაპირი ლაპლაპებდა ძლიერი პრიალა ზედაპირით, რომელიც ჟამთასვლამ არსებობიდან ამოაგდო. წყაროები გვაწვდიან ცნობებს, რომ იგი აშენებულია ისეთ ადგილას, სადაც მზის კავშირი დედამიწასთან არის იდეალური. პირამიდის წვეტი იყო ის წერტილი, სადაც მზის სხივები უნდა არეკლილიყო იდეალური სიზუსტით. ფიქრობენ, რომ მითიური ატლანტიდელები პირამიდებსა და კრისტალებს იყენებდნენ კოსმოსურ ძალებთან დასაკავშირებლად. ატლანტიდის ცივილიზაცია კოსმოსიდან იღებდა ენერგიას, რომელიც გამოიყენებოდა ერის გასაჯანსაღებლად, ფსიქიკური, ტელეპატიური და წინაპრებთან კონტაქტისათვის.

ატლანტიდის დაღუპვის შემდეგ ეგვიპტეში გადმოსულმა თუ გადარჩენილმა ქურუმებმა მოინდომეს ეს ცოდნა კაცობრიობისთვის გადაეცათ, მაგრამ არა წიგნში ასახული შინაარსით, რათა ეს ცოდნა ადამიანებს ბოროტად არ გარდაექმნათ და შემდეგ გამოეყენებინათ, არამედ აეგოთ-ძეგლის სახით. ამ აგებაში უნდა იყოს ისიც ჩადებული, რომ მხოლოდ ღრმა შრომით პროცესში, უდიდესი მოვლენების განხორციელებისას ანუ უშუალოდ ხელის შეხებისას ხდება ადამიანი კეთილი, რაც ღმერთის საზრისს წარმოადგენს ადამიანის განვითარების გზაზე.

ატლანტიდელთა ცოდნა, დომინირებს არამარტო ეგვიპტეში, არამედ ტიბეტში და სამხრეთ ამერიკაშიც. სახელგანთქმული მაგი, მისტიკოსი და ეზოთერიკი გურჯიევი, რომელმაც ტიბეტში შეისწავლა საკუთარი თავის ფლობის უმძლავრესი ხერხები, მიაღწია იმას, რომ იგი საკუთარი გონიდან და ორგანიზმიდან იწვევდა მთლემარე რეზერვებს, დაფარულ შესაძლებლობებს და მას შეეძლო გაბატონება არა მარტო საკუთარ თავზე, არამედ ხალხის მასაზე, ბრბოზე. არის ზეპირი ვერსია, რომ მან პარიზში დაარსებულ, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფსიქოლოგიის სკოლაში გარკვეული სასწავლო კურსი გაიარეს სტალინმა, ჰიტლერმა და სხვებმა. გურჯიევის მეთოდი დაფუძნებული იყო მომაბეზრებელ მიწის მუშის შრომით პროცესებს, რაც უფრო ძალიან გბეზრდებოდა და ზიზღს იწვევდა ეს შრომა, მით უფრო ექსტაზური იყო ეს პროცესი. ფორმულა ასეთი იყო, რაც გძულს და გეზიზღება ისწრაფე იქით და უნდა მიხვიდე ესთეტიურ ტკბობამდე. მხოლოდ ამის შემდეგ იწყებოდა ნამდვილი სწავლა, საკუთარ თავზე დაუფლების ხერხებზე. გურჯიევის და მისი მეთოდის შესახებ იმიტომ გიამბეთ, რომ ეს მეცნიერებაც ატლანტიდების ნაშთები არიან! დავუბრუნდეთ კვლავ პირამიდას. პირამიდის ფორმა იმეორებს ფიზიკის კანონებს, კრისტალები კი ერთმანეთს უკავშირებს პლანეტისა და კოსმოსის ენერგიას. ისტორიკოსთა და მეცნიერთა აღწერით, ხეოფსის პირამიდა ოდესღაც დაგვირგვინებული იყო მაგიური კრისტალით და როგორც ზევით ვთქვით, ყველა მისი წახნაგი სარკესავით ელვარებდა.

პირამიდის კვლევისას გახშირდა ხმები, რომ პირამიდა გამოყოფს შემდეგი სახის პოზიტიურ ენერგიას: ამაღლებს სულიერად, ანვითარებს ნათელმხილველობას, აახალგაზრდავებს ფიზიკურ სხეულს, იცავს კომპიუტერისა და ტელევიზორის მავნე გამოსხივებისაგან, სულიერი არსება (კატა, ძაღლი, ხელიკი და სხვა), რომელიც მასში. ჰპოვებს სიკვდილს ან მოათავსებენ ადამიანის ცხედარს-არ იხრწნება, ათავისუფლებს ადამიანს უარყოფითი ბიოველისაგან.

მოსკოვის აკადემიის ენერგოინფორმაციის მეცნიერებათა ინსტიტუტში დაამზადეს ორმეტრიანი პირამიდა, რასაც პირამიდის ენერგიის შესაძლებლობის შესახებ უნიკალური აღმოჩენა მოჰყვა. პირამიდის მოდელი შეიძლება გამოყენებული იქნეს რიგ. დაავადებათა დასაძლევად, მათ შორის ონკოლოგიურის.

პირამიდის ქვეშ მოთავსებით მცირდება თავის და კბილის ტკივილი,

უმჯობესდება მედიტაციის უნარი, ჩქარდება წყლულების და ჭრილობების შეხორცება, ქრება უმრავლეს შემთხვევაში ნაიარები, ასუფთავებს ოთახის გეოპათოგენურ გარემოს.

აი რას მოგვითხრობს ერთ-ერთი მისი პაციენტი და ნათელმხილველი. "ვწევები პირალმა და პირამიდას ვიდებ შუბლზე, "მესამე თვალის" არეში, როგორც კი აზრთა სიმშვიდე დამეუფლება, ვგრძნობ პირამიდის ვიბრაციის ენერგიის ზემოქმედებას, შემდეგ ვხედავ სინათლის გამოსხივებას და არამიწიერი ფერების ურთიერთსინთეზს. ამის შემდეგ გონების ძალით იბადება კითხვები, რაიმე ამბის ახლობლების და ყველაფრის შესახებ.

ყოველივე ამ კითხვებზე მიჩნდება პასუხი ან პასუხი სიმბოლოებით, უფრო ხშირად კი მიჩნდება მთლიანი ხილვა. აი სწორედ ამაზე ამბობს ჰეგელი კავკასიურ რასაზე საუბრისას: "არსებული ბუნებრივი პირობების წინააღმდეგ შედის წინააღმდეგობაში, ამ ბრძოლაში აღწევს დამოუკიდებლობას და ანვითარებს მსოფლიო ისტორიას, მსოფლიო პროგრესს (ჰეგელი, საუბარი კავკასიურ რასაზე) ჰეგელი ასევე ამბობს, რომ მხოლოდ კავკასოიდს ძალუძს მიუახლოვდეს ყველაზე ახლო ღმერთს.

პირამიდებზე ჩატარებულმა ცდებმა მოგვცა იმის შესაძლებლობა, რომ უახლოეს მომავალში, შეიძლება გამოყენებული იქნეს "პირამიდოთერაპია". მოსკოვის სახელმწიფო დუმას ერთ-ერთმა მეცნიერმა შესთავაზა პირამიდები გამოეყენებინათ სახელმწიფო ეკოლოგიური და საზოგადოების სულიერი განწმენდისათვის.

60-იან წლებში მეცნიერთა მიერ წამოყენებული იქნა ჰიპოთეზა, რომ პირამიდის გამოსხივებას აქვს რთული სტრუქტურა, რომლის ერთი ნაწილაკი "პი" შლის სიმსივნის უჯრედებს, სპობს მავნე მიკროორგანიზმებს, სხივი "ომეგა" კეთილისმყოფელად მოქმედებს ყველა ცოცხალ ორგანიზმზე, მათ შორის განსაკუთრებით ადამიანის ორგანიზმზე. ზოგიერთ მკვლევართა აზრით, სიტყვა "პირამიდა" ნიშნავს ჰარმონიას, რომელიც ასე დაიშლება-ენერგია "პი" მიიღება კოსმოსისგან, რამზისაგან, (ძველი ეგვიპტელები მზეს რა-ს უწოდებდნენ, ხოლო ფარაონი რამზესი ნიშნავდა მზის შვილს რა-მზეს, მზე-შვილს), მი-ნიშნავდა მიწაზე, და-ბოლო მარცვალი კი იმას, რომ ყველაფერი ცუდი (და) ჯოჯოხეთში გადადის.

ამგვარად, სიტყვა პირამიდაში კოდირებულია ყველა საიდუმლო, რაც კი სიკეთის მიღების შინაარსია გატარებული კოსმოსური ძალებიდან.

ეს წერილიც, ისევე როგორც მისივე ხასიათის სხვა წერილებიც (სფინქსი, ორიონის პლანეტა, ღვთაებრივი შუბი და სხვები) არ ექვემდებარება მის ისტორიულ ახსნას, რადგანაც ამ მხრივ მათზე უამრავი მასალები არსებობს. ჩემი მიზანი იყო დამედო გამადიდებელი ლუპა იმ საიდუმლო სიმბოლოებისათვის, რაც შესაძლებელია ჩაკირული იყო №1 საოცრებაში.

ცოდნის გადაცემასთან ერთად იყო ცოდნის დაფარვა-გასაიდუმლოება, იმისათვის, რომ უმაღლეს ხელისუფალთ თავიანთ ძალაუფლება შეენარჩუნებინათ ადამიანებზე. ინდოეთში ჯერ კიდევ 150 წლის წინ თუ ერთ-ერთ კასტის წარმომადგენლები ბრაჰმანები ნებით თუ უნებლიეთ, დაუკითხავად შეუდგებოდნენ წმინდა წიგნების კითხვას, მათ ამისათვის გამდნარ ტყვიას ასხამდნენ ყურში და კლავდნენ.

ძველ ფოლიანტებში, პერგამენტებზე თუ დაფებზე მკაფიოდ არის ლაპარაკი ეგვიპტის მიწისქვეშა საცავების საიდუმლოების შესახებ, რომლებიც მსოფლიოს წარღვნამდელ ისტორიას მოიცავს. არაბული ლექსიკონი ფირაზაბადი (XIV საუკუნე) განმარტავს, რომ პირამიდების დანიშნულებაა დაიცვას ხელოვნება, მეცნიერება და საერთოდ ცოდნა წარღვნისაგან. ძველი ეგვიპტელები პირამიდას "ხუს" ანუ მცველს უწოდებენ, იქნებ ამისგანაც არის მიღებული ხეოფსის

ეგვიპტური სახელი "ხუფუ". ხეოფსი კი, როგორც ვიცით, მსოფლიოს ძველმა ნათლიებმა ბერძნებმა შეარქვეს. ვინ იცის, იქნებ მართლა დარაჯობს მსოფლიო ცოდნას ეს საოცარი ნაგებობა. კლიმატის მიხედვით პირამიდების ტერიტორიის წყლით დაფარვა თითქმის შეუძლებელია, და მეორე-მის კონსტრუქციაში ვერავითარი წყალი ან რაიმე მასა ვერ გაეღწევს. აქვე გვინდა დავსძინოთ, რომ ტერმინი შუმერიც ეტიმოლოგიურად გაშიფვრისას ასე აიხსნება, ნიშნავს-მცველს, ისევე, როგორც პირამიდის ძველი სახელწოდება.

დაახლოებით ორი ათასი წლის წინათ არაბები წერდნენ პირამიდების დერეფნებში არსებული მოძრავი კედლებისა და უცნობი ძალებით მოძრავი საიდუმლო კარებების შესახებ. არსებობს ლეგენდები განძეულის მცველი რობოტების და მკვეთრი სინათლის ანთებათა შესახებ პირამიდების წიაღში. არსებობს მოსაზრება, პირამდების ან სფინქსის ქვეშ მსხვილი გენერატორის არსებობაზე, რაც ამ შესანიშნავი ძეგლის, ამ საოცარი ძალის გამოვლენის წყარო უნდა იყოს.

*რისთვის აშენდა პირამიდა?*

პირამიდა უპირველეს ყოვლის არის სამყაროს და სახელმწიფოს განლაგება. ასეთი იყო ეგვიპტე. სულ ზედა ქვა, რომელიც წვეტს წარმოადგენს, არის უზენაესი ძალა. სწორედ მისგან მოდის ის ძალა და ეს ძალა გადაეცემა აბსოლიტურად ყველა ქვას.

ფრანგმა ეგვიპტოლოგმა კრისტიან ჟაკმა ფარაონ უნახის (2375-2345 ძვ.წ.) პირამიდაში აღმოაჩინა პირამიდის ქვებში ჩაშიფრული იეროგლიფები სიკვდილი, შეგნება, სიცოცხლე....

ამ გაშიფრვის შედეგად, სიცოცხლე არასოდეს დაბადებულა, რადგან იგი ყოველთვის იყო, სამაგიეროდ არსებობდა სიკვდილი. მაგრამ იყო პერიოდი, როცა არც სიკვდილი არ არსებობდა, აქ რა თქმა უნდა ედემის ბაღზე და იქ მყოფ ევაზე და ადამზე არის საუბარი. შემდეგ მათ მიესაჯათ სასჯელად მუშაობა და სიკვდილი.

ძველ ეგვიპტელებს სჯეროდათ მარადიული სიცოცხლის, აღდგომის. არ სჯეროდათ რეინკარნაციის. ფიზიკურ სიკვდილს სამუდამო სიკვდილად არ მიიჩნევდნენ, თუმცა სიცოცხლე ფიზიკური სიკვდილისთვის მზადებაა. ისინი ასე ამბობდნენ: ყოველ საღამოს ვკვდებით ისევე, როგორც მზე და ვინ იცის, ვიხილავთ დილით წმინდა ვარსკვლავს?-ამიტომ ისე უნდა დაიძინო, რომ მზესთან ერთად დაიბადო. ყოველ დილით თქვენ ჯდებით შუქის ნავში და ღვთაებრივ სამყაროს მაშინ მივადგებით, თუ ღმერთისგან მოცემული წესებით ვიცხოვრებთ. ამ ნავს თუ სწორად არ მართავ? ჩაიძირები. აკრძალულია მოყვასის მიმართ ბოროტების ჩადენა. რაც უფრო მდიდარია ადამიანი, მით უფრო მეტი უნდა გასცეს. რაც ქრისტეანობისთვის სიკეთეა, ეგვიპტელებისათვის კანონია. 3000 წლის განმავლობაში არავინ მოუკლავთ ღმერთის სახელით. (3000 წელი ეს არის ეგვიპტის ზეობის ხანა).

ეგვიპტე ძველ წელთაღრიცხვებში იყო თეოკრატიული და მისტიკური საზოგადოების სავანე. რომაელებს ცივილიზაციით ბერძნები უსწრებდნენ რამდენი საუკუნით, ამ უკანასკნელებს კი ეგვიპტელები. ამ ძველი ძლიერი შუქის წინამორბედნი კი არსად ჩანან, თუმცა ვარაუდობენ ატლანტიდის ცივილიზაციას.

ამავე პერიოდში არიან ძველი შუმერები. მაგრამ უნდა ითქვას, შუმერები ლოკალურად და გამიჯნულად ვითარდებიან. ეგვიპტე, ათენი და რომი განვითარების საერთო ხაზია. ძველი საბერძნეთის უდიდესმა ფილოსოფოსმა პითაგორამ, რომელიც მაგიც იყო, მისტიკოსიც და ფილოსოფოსიც, დიდი სკოლა გაიარა ქალდეაში, ფინიკიაში და ეგვიპტეში. ქალდეველები პლუტარქეს მიხედვით

კოლხების წინაპრები იყვნენ. დიდი ბერძენი ლიკურგე ეგვიპტეში სწავლობს დემოკრატიის ფორმებს. ფარაონები საკუთარ შვილებს ანუ და-ძმებს ერთმანეთზე აქორწინებდნენ, რათა სისხლის ხარისხი შეენახათ. ფარაონთა შვილების 30% ავიდა მშობლის ტახტზე. ეგვიპტურ სკოლებში საგანგებო ადგილი ჰქონდა დათმობილი ხალხის მართვის ხელოვნებას, სწორედ ამ ძალამ ააშენა ხეოფსი (მსოფლიოს №1 საოცრება), სადაც 100 000 კაცი მუშაობდა 20 წლის განმავლობაში. მისი აშენება მხოლოდ ხუროთმოძღვრულ ნიჭზე არ იყო დამოკიდებული, ეს იყო ხალხის მართვის უმაგალითო ნიმუში.

როცა ბერძნებმა პირველად ჩასულებმა ნახეს მარტოდ მოსეირნე და მოვაჭრე ქალები, გაოგნდნენ ამ ცხოვრებისეულ შეუსაბამობაზე, აქ კი ქურუმებად და ფარაონებადაც კი ირჩევდნენ ქალებს.

ვერც ერთი სოფელი ვერ იზეიმებდა დღესასწაულს, თუ ამ სოფელში რაიმე დანაშაული მოხდებოდა, დღესასწაული სრულდებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ქურუმი მოუხსნიდა ამ ცოდვებს.

სოციალური სამართლიანობა ბედნიერების სიმაღლემდე იყო აყვანილი. ეგვიპტელებმა მიაღწიეს დიდ ჰარმონიას სახელმწიფოსა და ინდივიდს შორის.

ძველი ეგვიპტური სიბრძნის მთავარი ღერძი იყო სიყვარული. ამის გარეშე ვერც ფარაონი იბატონებდა, და ყველა სფეროში, როგორც კი კარიბჭეს ფეხს გადაადგამდი, უნდა ყოფილიყო სიყვარული. ასე თუ არა, ამის გარეშე ვერ შეხვალ იქ. ასეთი უნდა ყოფილიყო ყველა ეგვიპტელის ფსიქოლოგია. ასეთი იყო ეგვიპტე.

*პირამიდის ერთი საიდუმლოება*

პირამიდის ირგვლივ არა ერთი საიდუმლო ნიშანი არსებობს, რომ პირამიდის ქვიშას შეუძლია რამდენიმე ათეული დაავადება განკურნოს ადამიანებში. თუ პირამიდის (ხეოფსი) შიგნით გაათენებენ ღამეს და ამ ნებართვის აღება არც ისე იოლია, ადამიანი აღიჭურვება განსაკუთრებული მისტიკური ძალმოსილებით. ერთ-ერთი ასეთი იყო ამერიკელი თუ ინგლისელი ჟურნალისტი პოლ ბრანტონი. მან ერთი ღამე გაატარა პირამიდის ფარაონის ოთახში, რომელმაც თავის წიგნით "დიდ პირამიდაში გატარებული ღამე" (ბესტსელერი) დიდი სენსაცია გამოიწვია.

არსებობს გადმოცემები, რომ პირამიდაში სამი ღამე გაატარა ანტიკური ხანის დიდმა ფილოსოფოსმა პითაგორამ, და გვაუწყებენ, რომ იგი ოკულტიზმის სფეროებში წვდომით ერთადერთია კაცობრიობის არსებობის მანძილზე, ვისაც დედამიწის სფეროს მოძრაობის ხმები აქვს მოსმენილი.

*პირამიდის საიდუმლო სიმბოლოები*

პირამიდის საიდუმლო სიმბოლიკა, შესაძლებელია იყოს ურთიერთსაპირისპირო, მაგრამ ეს მხოლოდ ორიენტირებია, მაგ. პირამიდა წარმოადგენს სახელმწიფოს მმართველობის ძლიერებას, პირამიდას კონუსი არის ყველაზე ზედა ქვა, რომლის სიმძიმე უნდა ნაწილდებოდეს ყველა ქვაზე, ასევე უნდა იყოს სახელმწიფო მმართველობა, რაც წარმოადგენს ღრმად ცენტრალიზებულ მმართველობას. მეორეს მხრივ მკვლევარები ვარაუდობენ, პირამიდას კონუსი არასოდეს არ ჰქონია, რადგან შენობა დაპროექტებულია იმ თვალსაზრისით, რომ ეს იყო ადამიანის გონების მიწიერი სრულყოფილება, მიწიერება კი არ შეიძლება იყოს სრულყოფილი, რადგან აბსოლიტური სრულყოფა მხოლოდ ღმერთის ბუნებაა, და კონუსის წვეტის არარსებობა, ადამიანური ნაკლულობის სიმბოლოა. ამგვარად შევთანხმდეთ, საგანი რომ ამომწურავად გაიზომოს, ის უნდა გაიზომოს ურთიერთ საპირისპირო პარამეტრებში.

1) სიტყვა პირამიდა, წარმოადგენს ცეცხლის ერთ ღვთაებრივ ალს, სამყაროს მთლიანი შემოქმედებისა. ჯონ ტეილორის აზრით,

პირამიდა არის ხორბლის მარცვლეულის განზომილება.

2) პირამიდა, ისევე როგორც ხოლმი, არის არქეტიპი წმინდა მთის, ან უმაღლესი ადგილი ღმერთისთვის, რომელიც კი მიწაზე შეიძლება ებოძოს უზენაეს ღვთაებას.

3) ჯონ ლუნდი პირამიდას უკავშირებს ღმერთების ოლიმპოს, ხოლო მიწისქვეშა კამერები გაიგივებულია ჰადესის სამეფოსთან.

4) შენობის კვადრატული აგებულება წარმოადგენს ბუნების სიბრძნეს. გნოსტიკოსი ალბერტ პაიკი ამტკიცებს, ყველა შენობის სიბრძნე და ძალა ჩადებულია კვადრატში, რომლის კუთხეები წარმოადგენს დუმილს, სიღრმეს, გონს და ჭეშმარიტებას.

5) ელიფასუ ლევის აზრით, შენობის ოთხ მხარეს მიმართული სინათლე არის სითბო და სიცივე (სამხრეთი და ჩრდილოეთი), სინათლე და წყვდიადი (აღმოსავლეთი და დასავლეთი). პირამიდის საფუძვლის ოთხი მხარე წარმოადგენს ოთხ მატერიალურ საყრდენ ელემენტს, რომელიც გამომდინარეობს ადამიანის სხეულის ოთხი ნაწილიდან.

6) ფუძის კვადრატის ოთხივე მხარე კონუსის წვერში ქმნის სამკუთხედს ღვთაებრივ საძებართან არის დაკავშირებული.

7) ღვთაებრივი (3) და მატერიალური (4) საფუძვლები ერთმანეთზე გამრავლებით ქმნიან მაგიურ ციფრს 12-ს, რაც ზოდიაქალურ სისტემას უკავშირდება.

8) ოთხი საფუძვლის ჰიპოტეტური კვადრატი უდრის 16, ხოლო ციფრი 16 და 12 ერთმანეთთან შეჯამებით წარმოადგენენ 28.

9) რიცხვთა თეორიაში 28 წარმოადგენს წმინდა ციფრს, საგულისხმოა, რომ ძველი სპარტას უდიდესმა კანონმდებელმა, სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანო სენატი, 28 ბრძენკაცზე ააგო, თუმცა პლუტარქესთან ეს ციფრი და მოვლენა ოდნავ სხვაგვარად არის ახსნილი.

10) პირამიდის სამი უმთავრესი შიდა კამერები წარმოადგენენ გულს, ტვინს და ადამინის ფიზიკური კონსტიტუციის მუშა სისტემას.

11) უძველესი მისტერიები გვასწავლიან, რომ ღმერთის ძალა ჩვენზე გადმოდის პირამიდის საშუალებით მისი კონუსური მწვერვალიდან, რომელიც წარმოადგენს გადმოტრიალებულ ხეს და რომლის ფესვები ღრმად წასული მთელი დედამიწის მოცულობით.

12) და როგორც თავში ვთქვით, თუ პირამიდას ჰქონდა წვეტი, ის იდგა მის თავზე როგორც მინიატურული პირამიდა, ხოლო ზოგის აზრით, მას ეს წვეტი საერთოდ არ ჰქონია, რადგან უძველესი რელიგიური ნაგებობები უნდა ყოფილიყო ოდნავ ხარვეზიანი, იმის გამო, რომ სრულყოფილი იყო მხოლოდ ღმერთი, არ შეიძლებოდა ასეთი უზენაესი ძეგლი ღმერთის ტოლი ყოფილიყო. წვეტი უნდა ყოფილიყო ქვის, ზოგის აზრით, უძვირფასესი ქვა, რომელიც სიმბოლურად უსასრულობას აღნიშნავდა. ამგვარი აზროვნებით პირამიდა უნდა წარმოადგენდეს მთელ სამყაროს, მისი წვეტი დაგვირგვინდებოდა ადამიანის სიმბოლიკით. ამ ფიქრთა ქარგაზე მკვლევარები ფიქრობენ, თუ ანალოგიის პრინციპით ვიხელმძღვანელებთ, ადამიანში გონება არის დამაგვირგვინებელი, სული ტვინის გვირგვინია, ღმერთი კი ყველანაირის სტრუქტურის სახე, ხატება და სულის გვირგვინი. ამგვარი სქემით გონების სათავეში სულია, სულის სათავეში-ღმერთი.

13) მკვლევარის აზრით, პირამიდა აიგო ნოეს კიდობნის სახით,

რადგან იგი წყალშეუღწევადია, პირამიდის ბლოკები შეიცავენ მარილს, რასაც წარღვნის ნაკვალევად თვლიან.

*პირამიდის მისტერია*

მერშემ ადამსის აზრით, პირამიდა არის დიადი საიდუმლოებების ადგილი და ის ჭეშმარიტად წარმოადგენს ეგვიპტური სიბრძნის შინაგან ნათებას, ასოცირდება ჰერმესთან, რომელიც არის დამწერლობის და სიბრძნის ღმერთი, ღვთაება განმანათლებელი და რომელსაც თაყვანს სცემენ პლანეტა მერკურის საშუალებით. ამ აზრს, რაც დრო გადის, უფრო და უფრო იზიარებენ და უკუგდებულია მოსაზრება, რომ ის ფარაონ ხეოფსის სამარხი ან ობსერვატორია კი არ იყო, არამედ მისტერიის უპირველესი ტაძარია და უნდა მომსახურებოდა საიდუმლო ჭეშმარიტებებს, რომელიც წარმოადგენს ყველანაირი ხელოვნების და მეცნიერების საფუძველს. ის იყო სრული ემბლემა მიკრო და მაკროკსმოსის. ოსირისი არის მზის სისტემის მინიფესტაცია და აქედან გამომდინარე, არის სამყაროს ემბლემა. პირამიდის მისტიკურ გასასვლელებში ხდებოდა ადამიანთა ინიციაცია (განბრძნობა), ისინი აქ შედიოდნენ როგორც ადამიანები და გამოდიოდნენ როგორც უაღრესი ხარისხის ბრძენები, ეს იყო მათი მეორე დაბადების ადგილი, მისტერიის წიაღი და სიბრძნე ამ წიაღში ცხოვრობს იგი ისევე, როგორც ღმერთი ადამიანების გულში. ამ საიდუმლო სიბრძნის სიღრმეში არსებობს უბრძენესი არსება, რომელსაც ხელში უპირავს შვიდი გასაღები, ეს არის ქურუმი ლომის სახით, უწმინდესი დიდოსტატი, რომელიც არასოდეს არ ტოვებს, სიბრძნის ტაძარს და რომელიც არასოდეს უნახია არცერთ ადამიანს, იმ შემთხვევის გამონაკლისით, როცა მან გაიარა ეს კარები მომზადების და განწმენდის გზით. ამ საკანში ფილოსოფოსი პლატონი შუბლით შეეჯახა ამ სიბრძნეს, რომელშიც პერსონიფიცირებულია საიდუმლო ტაძრის დიდოსტატი.

დიდოსტატის ხილვა შეიძლებოდა მხოლოდ, პირამიდის შედეგად განბრძნობილებისას. დიდოსტატი იყო ერთადერთი, რომელიც ცნობდა პირამიდის საიდუმლოებებს, ის იყო უხილავი და წავიდა ბრძენთა გზით, რომლის შემდეგ განბრძნობის სახლი დაცარიელდა. აღარ ისმოდა ლოცვის ჰიმნები, ნეოფიტები (განსაწმენდელები) ვეღარ იღებდნენ სიბრძნეს და გზა ებნეოდათ შვიდ მნათობს შორის. სიბრძნის საკანი დაცარიელდა და დარჩა მხოლოდ გარსი და ეს იყო ჭეშმარიტების შინაგან სიმბოლოდ, ამიტომაც ადამიანებს ისღა დარჩენოდათ, რომ მისთვის დაერქმიათ მცდარი სახელი.

*ძვალთშესალაგი, სამარხი და სხვა*

მისტერიის შესრულების ტექნიკას ფლობდა მხოლოდ უწმინდესი დიდოსტატი. მისი ცოდნის ძალა, საკუთარ სულზე იხსნებოდა ამგვარი თაყვანისცემით: ეს იყო ერთგვარი მეთოდი, რომლითაც ის უხსნიდა როგორ შეიძლებოდა მატერიალური სხეული გამოეცალკევებინა ღვთაებრივი არსისგან, რათა შეესრულებინა დიადი საქმე, განსაწმენდელებს საიდუმლო აღმოჩენით აწვდიდნენ ღვთაებრივ სახელს-საიდუმლოს და წარმოუთქმელს, რომელიც ნიშნავდა უზენაეს ღვთაებას. ამ მისტერიის შესრულებით ადამიანი და ღმერთი ერთმანეთს შეიგრძნობდნენ უმაღლესი მგრძნობელობით. ღმერთის სახელის ცოდნით ხდებოდა სწავლა და სიბრძნე, რაც იყო ადამიანური და სულიერი განსწავლულობის უაღრესი ხარისხის შედეგი.

მეფის საკანში სრულდებოდა დრამა "მეორე სიკვდილის", აქ ჯვარცმის კანდიდატი-მზის უძრაობა და თანაბარზომიერი მოქმედება-საფლავდებოდა უზარმაზარ სარკოფაგში. ამ საკანში სრულდებოდა ყველაზე ღრმა აზრის შემცველობის მისტერია-ატმოსფეროდან, ტემპერატურამდე. აქ ამ საკანში იდგა გამყინავი სიცივე. ეს ოთახი იყო შუალედური ბუნების მატერიალურ სამყაროსა და

ტრანსცენდენტალურ სფეროებს შორის. იმ დროს, როცა მისი სხეული იდო კუბოში, ნეოფიტის (განსაწმენდელი) სული ორთქლდებოდა, როგორც ადამიანის თავიანი შევარდენი, და ცის სივრცებში იწყებდა მარადიული სიცოცხლის გახსნას. სინათლე და ჭეშმარიტება წარმოადგენდა ილუზიურ წარმოსახვას სიკვდილის სიბნელის და ცოდნის. ამგვარი განსჯით მკვლევარები ფიქრობენ, პირამიდა შესაძლებელია წარმოადგენდა გასასვლელ კარებს, რომლის მიხედვით ქურუმები აძლევდნენ ნებას ნეოფიტებს, მიეღწიათ ინდივიდუალური სრულყოფისათვის. აქვე აღსანიშნავია, რომ თუ ვინმეს ხელი დაურტყამ კუბოზე ბგერის გამოსაცემად, მიიღებდით ისეთ მუსიკალურ ბგერას, რომელსაც ვერცერთ მუსიკის შკალაზე ვერ ნახავდა ვერავინ. ეს ტონალობა იყო ნაწილი მდგომარეობის იმ კომბინაციის, რომელიც ანიჭებდა მეფეს საკანი წარმოედგინა ამაღლების უმაღლესი მისტერიის შესრულების იდეალურ ადგილად.

ყოველივე ამის გამო, პირამიდა მიჩნეულია დედამიწის ყველაზე სრულყოფილ ნაგებობად, რომელიც კი ოდესმე შეუქმნია ადამიანს დედამიწის ზურგზე და წარმოადგენს როგორც წყაროს ყოველგვარი განზომილების და აწონვის, როგორც ნოეს კიდობანს და საწყისს ანბანთა, სკალას-ტემპერატურისა და ტენის. მხოლოდ ერთეულებმა იციან, რომ პირამიდა არის შესასვლელი კარები მარადიულობაში.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მსოფლიო მიისწრაფვის უამრავი საიდუმლოს ახსნისკენ,- ბედი-უბედობა, წუხილი-სიხარული, სიკეთე-სიძუნწე, ბოროტება-კეთილშობილება და სხვა... ძველმა მსოფლიომ იცოდა შეცნობა მხოლოდ ერთი საიდუმლოსი-სიცოცხლე, სინათლე და ჭეშმარიტება. მოვა დრო, როდესაც სიბრძნის საიდუმლო კვლავ დაბრუნდება დედამიწაზე რელიგიის და ფილოსოფიის სფეროებით და შესრულდება მისტერიის რიტუალებში, ადამიანის სულიერი სრულყოფა შესაძლებელი იქნება ისევე, როგორც ადამიანების მიერ შექმნილი სამართლის კოდექსები. მისტერიებიდან შექმნეს ადამიანებმა რელიგიები, რელიგიებიდან მეცნიერება, ფილოსოფია და ლოგიკა, როგორც მეთოდი, რომლის საშუალებითაც ხდება ღვთაებრივი მიზნის რეალიზაცია.

პირამიდა კი იდგება მარად, როგორც სოლიდარობის, შთაგონების, მისწრაფების, აღდგომის და აღორძინების, მარადიული და იდეალური ნიშანსვეტი. ქვიშა კი პირამიდის სიღრმეებში ფარავს რამდენიმე ცივილიზაციას და არის ხილული აღთქმა კაცობრიობის მარადიული სიბრძნისა.

*ჩინური პირამიდები*

1945 წელს, ამერიკელმა მფრინავმა ჯეიმს გაუსმანმა ცენტრალურ ჩინეთში, ქალაქ ციანთან აღმოაჩინა გიგანტური პირამიდა (300 მეტრი სიმაღლე, 500-სიგანე), რომელსაც 17 სხვადასხვა პირამიდა უმშვენებდა გვერდს. ეს აღმოჩენა იმ დროის მსხვერპლი შეიქნა, რადგანაც ამ პერიოდში მსოფლიო პოლიტიკა მსგავს ამბებს ჩქმალავდა, მაგრამ რამდენიმე წლის წინ, გერმანელმა არქეოლოგმა ჰარტვიგ ჰაუზდროფმა კვლავ აღმოაჩინა ერთხელ უკვე მივიწყებული პირამიდები. აღნიშნული პირამიდების ქალაქიდან 3-4 მილის დაშორებით, აღმოჩენილი იქნა ბრტყელწვერიანი პირამიდა, რომელიც უძველეს ტეოტიუაკანას (მექსიკის დედაქალაქის მეხიკო-სიტის ჩრდილოეთით) მსგავს წარმოადგენს. ჩინელმა არქეოლოგმა ვან სიპინმა პირამიდების გაანალიზებით დაასკვნა, რომ მისი ამშენებლები გასაოცარ განსწავლულობას წარმოადგენდა გეომეტრიასა და მათემატიკაში. რომ აღარაფერი ვთქვათ მათ ცოდნაზე ფილოსოფიაში, რელიგიაში, ასტროლოგიაში, მისტიკაში და ბევრ სხვა დარგებში. ამ რამდენიმე ხნის წინ ჩინელმა არქეოლოგებმა ქალაქ ციანის ჩრდილოეთით, მდინარე ვეი ხოს მახლობლად აღმოაჩინეს რამდენიმე პირამიდა. ერთ-ერთი მათგანი ზუსტად ძველი ჩინეთის ცენტრში მდებარეობს.

ვინ ააშენა პირამიდები? არსებობს უამრავი ვერსია, მათ შორის: ააშენეს უცხოპლანეტელებმა. ავსტრალიელმა ვაჭრებმა, რომლებმაც თავიანთი დღიურები დატოვეს, აღწერეს რომ ურთიერთობა ჰქონდათ მონღოლეთის საზღვარზე მდებარე მონასტერში მცხოვრებ ბერთან, რომელიც იმოწმებდა ძველ ხელნაწერებს, რომ პირამიდების მშენებლობა ძველი წელთაღრიცხვის მე-3 ათასწლეულს განეკუთვნება ისევე, როგორც ეგვიპტის პირამიდები. ჩინეთის პირამიდების მშენებლობა დროის მიხედვით ემთხვევა ლეგენდარული ჩინელი იმპერატორების მოღვაწეობას, რომლებიც საკუთარ თავს "ცის შვილებად" თვლიდნენ. იქნებ იმიტომ, რომ ისინი მართლა უცხო პლანეტადან იყვნენ მოსულები. მათ შორის ერთ-ერთი, სახელად ხუანდი ჩამოსული იყო, ლომის თანავასკვლავედიდან და გაბრუნდა უკან ასწლიანი მეფობის შემდეგ. ეგვიპტის, ჩინეთის და ამერიკულ პირამიდებს შორის მსგავსება ბევრია, რომელთა მსგავსების და სხვაობების საფუძველზე შეიძლება შეჯერდეს დაგროვილი ცოდნა და პირამიდების კვლევის საქმეში სერიოზული ნაბიჯები გადაიდგას.

*ორიონის პლანეტის მიერ გამოგზავნილი ქვა, მისი თავგადასავალი გენიოსთა მფლობელობის ხელში.*

გრაალი დიდი საიდუმლოს სიმბოლოდ არის მიჩნეული. ამ სიმბოლოს აზიასა და ევროპაში სხვადასხვა შინაარსი გააჩნია და ორივე შემთხვევაში ღრმა მისტიკური დატვირთვა გააჩნია. დასავლეთში მას იცნობდნენ ფიალად, რომლითაც იესო ქრისტე სარგებლობდა საიდუმლო სერობის დროს, რომელშიც იოსებ არიმათიელმა დააგროვა, ჯვარცმის დროს ქრისტეს სისხლი. აზიაში და კერძოდ ტიბეტში, ეს არის დიდი ქვა, რომელსაც ჩანტამანი ეწოდება.

ეზოთერიკა კი გადმოგვცემს, რომ ეს ქვა ზოგჯერ მოთავსებული იყო საგანგებო სილამაზის მქონე კიდობანში, მსოფლიოში სამოგზაუროდ. ამ ქვის პატარა ნატეხი ჩასმულია ბეჭედში, რომელსაც ჩანტამანის (კიდობანში მოთავსებული ქვა) ძალა გააჩნია და მფლობელისათვის მოაქვს ძალაუფლების ხელში აღების დიდი წარმატება. მას გადასცემდნენ მეფეებს და გმირებს, რათა მისი საშუალებით კაცობრიობისთვის ბედნიერება მოეტანა და არასოდეს მოხვედრილიყო ბოროტმოქმედთა ხელში. ცნობილია, რომ ამ ქვას ამაოდ ეძებდა ჰიტლერი. "ათას ერთი ღამის" ზღაპრებში მოცემულია, რომ ამ ქვის ბეჭედი ეკუთვნოდა სულეიმან იბნდაუდს და ისრაელის ბრძენ მეფეს-სოლომონს.

ეზოთერიკის მიხედვით, მიღებულია, რომ იგი გამოგზავნილია თუ წამოღებულია, ორიონის თანავასკვლავედის ერთ-ერთი მაღალი განვითარების მქონე პლანეტიდან. რაც წარმოადგენს ორიონის პლანეტის მცხოვრებთა კეთილგანწყობას, დედამიწელთა მიმართ. მათ ამ ქვის სახით გამოაგზავნეს მეტეორიტი, რომელსაც გააჩნდა კოლოსალური ენერგია,. რომელსაც დედამიწაზე ბედნიერება უნდა მოეტანა.

ვისაც შეუძლია ასეთ ენერგიასთან კავშირში შესვლა, მას შეეძლო ყველა სურვილი აესრულებინა თავის თავისთვის. მკვლევართა ვარაუდით, იგი გათვალისწინებული იყო კურთხეულთათვის და ორიონის პლანეტის წარმომადგენლები ადამიანებს ეხმარებოდნენ, რათა თავიანთ დიდ სავანეში (ტიბეტში) სიმშვიდე და ბედნიერება დაემყარებინათ. ქვა-მეტეორიტი და კოსმოსური ლეგენდების თანახმად დაეცა, კერძოდ შამბალაში. ქვა უნდა შენახულიყო ძმობის წევრების მიერ და მისი ნამსხვრევები უნდა გაგზავნილიყო სამყაროს სხვადასხვა მხარეში, ყოველივე ეს იმიტომ, რომ იგი თან ახლდეს მსოფლიო მოვლენებს, თავისი შინაგანი მაგნიტური ძალით მოახდინოს შეერთება იქ სადაც ქვის დიდი ნატეხი დევს.

ზევით მოთხრობილი, აღწერილია ოკულტისტურ წესრიგში, რომელიც გადასცეს რუსეთის და ინდოეთის საზოგადო მოღვაწეს ელენე რერიხს, თავის მასწავლებლებთან ტელეპატიური სეანსების დროს, ეს ჩანაწერი გაკეთებულია

1924 წლის 3 მაისს. ქვა კი, რომელიც იმყოფება ღრმა სამალავში, ტიბეტში ფხიზლად იჭერს ყველა ქარს, რომელიც გადაიქროლებს ადამიანთა თავზე.

აღმოსავლეთის კრიპტოგრამები ასე აღწერენ ქვის თვისებებს: "როდესაც ქვა მუქია, მაშინ ღრუბლები მოდიან, როცა ქვა მძიმეა...სისხლი იღვრება, როცა ქვის ზემოდან ვარსკლავია- წარმატებაა მოსალოდნელი, როცა ქვა ტკაცუნობს-მტერი მოდის, როდესაც გვესიზმრება ქვის ზემოდან ცეცხლი, მაშინ მსოფლიოს კატაკლიზმები და ომები შეაზანზარებს.

ახლა კი მოვიძიოთ, ვინ ფლობდა ამ ქვას? ვის უნდოდა მისი ფლობა და რა შედეგები ჰქონდა მათ. როგორც ზევით ვახსენეთ, ერთ-ერთი ისრაელის მეფე სოლომონ ბრძენად წოდებული, რომელიც ჩაწვდა სამყაროს მოწყობას, დროთა დასაწყისს, დინებას და დასასრულს, ყველაფერი სანუკვარი და ცხადი გადადიოდა ჰაერის მეშვეობით, მოგზაურობდა დროში. თანამედროვე ეზოთერიკაში მიღებულია, რომ მისი ტაძარი არის დიდი პირამიდის, მსოფლიოს საოცრების ხეოფსის ასლი. ტაძრის პროპორციებში, თითოეულ აგურში დაშიფრული იყო იგივე ინფორმაცია, რაც ეგვიპტის კოლოსში. ამიტომაც უწოდებენ რაინდი-ტამპლიერები თავის-თავს მეტაძრეებს. აღსანიშნავია ისიც, რომ სოლომონ ბრძენის მიერ აშენებული სოლომონის ტაძრად ცნობილი, ასევე შეიცავს უამრავ საიდუმლო გააზრებას, ოკულტიზმიდან დაწყებული დამთავრებული თავისუფალ ქვისმთლელთა კავშირით (მასონები).

გადმოცემის თანახმად, ქვის ან ქვის თვლიანი ბეჭდის პატრონის უძლეველობა ვლინდება მაშინ, როდესაც მის გვერდით არის ქალი. ამ დროს მოქმედებაში მოდის ფაქიზი პლოანები. ქალის გარეშე ქვა წყვეტს პატრონისადმი უძლეველობის აღმოჩენას და მიდის მისგან. ორიონის პლანეტელთა აზრით, ქვა დაეხმარება მას, ვისაც სურს სამყაროს გაერთიანება.

ალ. მაკედონელის ომების იდეოლოგიური ბაზა იყო, რომ მთელი მსოფლიო უნდა გაერთიანებულიყო ერთ გონში, ერთ წერტილში. ასეთად მიჩნეული იყო მისი გონება. ალექსანდრეს ჰქონდა სანუკვარი ბეჭედი ამ ქვის თვალით და უნდა ითქვას, რომ მისი რისკი ომების დროს, აბსოლუტურ არანორმალურობას უახლოვდება. იგი ერთ-ერთ ციხეში ჩახტა სრულიად მარტო, რაც 99,9%-ით უდრიდა სიკვდილს, მაგრამ მძიმედ დაჭრილი მაინც გადარჩა. ამას იმიტომ ვიხსენებთ, რომ მსოფლიოს არაერთი მეფე და სარდალი ყოფილა ჭეშმარიტად უმამაცესი, მაგრამ ასეთი არასერიოზულობა სიცოცხლის მიმართ ძნელად მოიძებნება სხვათა ცხოვრებაში. ამ დროს მისი მოკვლის ალბათობა 100%-ს უახლოვდებოდა. ეს იმას მოასწავებს, რომ მას რაღაც ციური ძალის იმედი უნდა ჰქონოდა. ასევე უნდა ითქვას, მთელ ამ შორეულ გზაზე 30 ათასიან არმიას მეგზურად ჰყავდათ ყვავები, ხოლო როდესაც ცა წყვდიადს ჰყავდა მოცული, ამ შემთხვევაში ყვავები მათ ჩხავილით აგებინებდნენ ურთულესი გზის გაგრძელებებს. ამ დროს კი მსოფლიო ასეთი გრძელი მარშრუტები სავსე იყო ათასგვარი ხიფათებით, ჭაობებით და შემდეგ მისგან მიღებული ციებით, მალარიით და სხვა. ისტორიის თანახმად კი ვიცით, რომ ალექსანდრე დაიღუპა ერთის მხრივ ციებით, ხოლო მეორის მხრივ ვირის ჩლიქში შენახული შხამით. ახლა გადავიდეთ მთავარზე. მაკედონელმა შექმნა უზარმაზარი იმპერია, მან ფაქტიურად განახორციელა ის, რაც დედამიწის არსებათაგან არავინ, დაიპყრო მთელი მსოფლიო, მიაღწია მიზანს და შემდეგ კი დაახლოებით თორმეტი თუ თოთხმეტ დღიანი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 33 წლის ასაკში. არ დაგვავიწყდეს, რომ იგი ქრისტეს მიწიერი წინამორბედი იყო, ისიც ხომ 33 წლის ასაკში აცვეს ჯვარს. ახლა კი ავხსნათ ის საკითხი, მარად სიკვდილთან მოთამაშე ალექსანდრე, რატომ დაიღუპა და უფრო მთავარი, რატომ დაიმალა ასე

სწრაფად უზარმაზარი იმპერია. იმიტომ, რომ მან ზურგი შეაქცია თავის სატრფოს, ორიონის ქვის მიხედვით კი იგი მის მფლობელს ასეთ საქციელს არ პატიობს და მოიყვანა ცოლად დარიოსის ასული როქსანა და გაცილდა სტატირას. ეზოთერიკული მისი სახელია რაუშაკი (ასეთი ვერსია მისტიკურ ფილოსოფიაში არსებობს ალ. მაკედონელზე).

იგივე ბედი ეწია ნაპოლეონსაც, რომელმაც უგულებელყო ქვის ფლობის წმინდა პირობები- ულალატა სიყვარულს. სანამ იგი ჟოზეფინას გვერდით იყო, სანამ არ ცდილობდა ტიპიურ დაპყრობით ომებს, (რომლის შესახებ იგი გაფრთხილებული იყო) ვერავინ და ვერაფერმა ვერ შეძლო მისი ძლევა. ისტორიული მასალებით კი ზოგიერთი ცნობით არსებობს ისეთი ფაქტები, რომ ყოველივე ამის შესახებ ვიღაც უცნობმა იგი გააფრთხილა მარსელში.

ვინ ასრულებდა ყოვლისშემძლე ქვის ბრძანებას; ესენი იყვნენ ჩინგიზ-ხანი, თემურ-ლენგი, მონღოლების იმპერატორი აკბარი. მაგალითად, თემურ-ლენგს ტიბეტის მისნებმა უთხრეს, რომ უნდა წავიდეს რუსეთზე. მან ეს წინასწარმეტყველება წარმატებით განასხეულა.

ერთ-ერთ პორტრეტზე სვიატოსლავ რერიხმა გამოსახა თავისი დედა ელენე რერიხი, ხელზე შესამჩნევი ბეჭდით. ვინც ელენე რერიხს იცნობდა, ყვებოდნენ, რომ მას ჰქონდა უცნაური თილისმა, რომელიც ფერს იცვლიდა მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების შესაბამისად. ყოველივე ზევით აღწერილს შეიძლება ვერწმუნოთ, შეიძლება არა. ის კია, რომ არსებულ ჰიპოთეზებს ანგარიში უნდა გაეწიოს ან უფრო სწორი იქნება, თუ მისი სიზუსტის შესაწვლას შეუდგებიან სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები.

*სფინქსი*

მიუხედავად იმისა, რომ გიზის პირამიდა (ხეოფსი), იგნაციო დონელლის აზრით არის წარღვნამდელი პერიოდის არქიტექტურული პერიოდის, რომლის სანიმუშოდ დედამიწის ყველა ადგილებში მოიძებნება დეტალები, სფინქსი (ხუ) წარმოადგენს წმინდა ეროვნულ ქანდაკება-ძეგლს. კედელი, რომელიც მის თათებს შორის არსებობს, წარმოადგენს მზის ღმერთს-ჰარმაკისას და მას აქვს მსგავსება ფარაონთან, რომლის დროსაც ხდებოდა მისი შექმნა. გიგანტური სტატუა მიწიდან ამოღებული და აღდგენილი იქნა ფარაონ თუთმოს IV-ის მიერ, რაც იყო იმის შედეგი, რომ ფარაონმა ნახა სიზმრად ღმერთი, რომელმაც უთხრა მას, რომ მისი ტანი დაფარულია მიწით. ასევე სფინქსის თავი თათებს შორის იყო მიწაში ჩაფლული. საფეხურები თათებს შორის, რომლებიც გაკეთებულია ძეგლზე, მივყავართ ტაძრისა და საკურთხევლისაკენ, არის გვიანდელი რომაული პერიოდი. აღსანიშნავია, რომ ძველმა რომაელებმა ჩაატარეს არაერთი ძველი ეგვიპტური ძეგლის რესტავრაცია და სავარაუდოა, რომ ესეც (საფეხურები) მათი ნახელავია.

სფინქსის თავის ოდნავი ძირს დაწევა დიდი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა საიდუმლო შესასვლელს ხეოფსის პირამიდაში. მხოლოდ უკანასკნელ წლებში მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ასეთ მდგომარეობაში თავს გააჩნდა თავსაბური, რომელიც სამუდამოდ არის დაკარგული. ტანის მასაში შეყვანილი იქნა მეტალის ღერძეული ისრები იმ მიზნით, რომ აღმოეჩინათ საიდუმლო საკნები და გასასვლელები, მაგრამ ყოველივე ამაო გამოდგა. სფინქსის ძირითადი ნაწილი არის მთლიანი მასა, მხოლოდ წინა მხარე არის რამდენიმე ნაწილად დანაწევრებული.

სფინქსის სიგრძეა 200 ფუტი, სიმაღლე 70 და სიგანე 36. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, კლდის მასა მოტანილი იქნა ახლომდებარე კლდოვანი მთიდან, რომელიც მის გარეგნობას და მოცულობას უახლოვდებოდა. მაგრამ ეს აზრი შემდგომ უარყოფილი იქნა, რადგან კირქვის მასებში მოძებნილი იქნა ზღვის ნივთიერებები, რომელსაც ეწოდება მუმილიტები.

დღემდე მუსირებს აზრი იმის შესახებ, რომ სფინქსის საშუალებით შედიოდნენ პირამიდის საიდუმლო საკნებში, სადაც ხდებოდა ადამიანთა ამაღლება ღვთაებამდე-განბრძნობის გზით. ამ ორიენტაციის ავტორთა აზრით, ეს გასასვლელები შემდეგში შეივსო ქვიშით და ისე ამოიქოლა, რომ ჩვენ ნაკვალევსაც ვერ ვატყობთ. მათი აზრით, წარსულში არსებობდა ბრინჯაოს კარებები, რომელიც იკეტებოდა საიდუმლო ზამბარებით და ყოველივე ეს ცნობილი იყო მხოლოდ მაგებისათვის. სფინქსის მუცელში მოთავსებული იყო საიდუმლო გალერეები და იგი ისე იყო მოწყობილი, რომ ნებისმიერი გზააბნეული, საბოლოოდ ბრუნდებოდა იმ გასასვლელში, საიდანაც შემოვიდა. ყველასდა სამწუხაროდ, ბრინჯაოს კარები არ იქნა აღმოჩენილი და არც იმის ნაკვალევია, რომ ის არსებობდა. იგი მხოლოდ ზეპირ გადმოცემებში და ნაწერებშია გაბნეული და ისიც მწირად. პირამიდის შემსწავლელ მეცნიერთა რიგები იზრდება იმ მხრივ, რომ ისინი დაუფარავად კიჟინებენ, რომ გიზის პირამიდების ქვეშ არის დიდი მოცულობის საკნები და გასასვლელები. ამ თვალთახედვის დასამტკიცებლად საჭიროა ალმასის ბურღი.

ამ აზრს ანვითარებს მკვლევარი ბალარდი, რომლის გასამტკიცებლად იყენებს შემდეგ არგუმენტებს, პირამიდის ხუთმილიონ ტონიანი კირქვის მასა, არაფრით არ შეიძლება რომ დადებული იყოს უბრალოდ გამძლე და ძლიერ ფუნდამენტზე და ის დაფუძნებული უნდა იყოს რამდენჯერმე უფრო დიდი მოცულობის ფუნდამენტზე, ვიდრე თვით პირამიდაა. საფუძველი მისი გადატვირთულია საკნებით და გასასვლელებით. სფინქსი აგებულია სიმბოლური თვალსაზრისით, ქურუმთა ინიციატივით. ურეუსის აზრით, რომ სფინქსი და პირამიდა იყო დროის აღმნიშვნელი, ბოლო წლებში კარგავს ეფექტს ან იზიარებენ ამ ფაქტს იმ მიმართებით, რომ ეს თვისება იყო მისი ერთ-ერთი დეტალი (ფუნქცია) სხვა დიად მიზანთან ერთად.

სფინქსის სახეს დღესაც ემჩნევა, წითელი საღებავის მკრთალი ნაკვალევი, რომელიც ოდესღაც ფარავდა მას, ცხვირი მისი მოტეხილია, რომელსაც ზოგი ფანატიკოს მუსულმანებს მიაწერს, ზოგი ნაპოლეონის ზარბაზნებს.

დღევანდელი ეგვიპტელებისათვის და უბრალოდ ისტორიისათვის სფინქსი არის სიმბოლო გონის და ძლიერების. ფიგურის გამოსახულების ანდროგინას სახეში გაცხადებულია ძალის პოზიტიური და ნეგატიური მისია. ჟერალდ მასსი წერს: "სფინქსის საიდუმლოებაა, რომ ორთოდოქსალური სფინქსი ეგვიპტურ აზროვნებაში წარმოადგენს წინიდან მამაკაცურ და უკანა მხრიდან ქალის არსებას. ფარაონები, რომლებიც ატარებდნენ ლომის კუდს, ან ძროხის უკანალს, იყვნენ მამაკაცები წინა ხედით და ქალები უკანა ხედით. ღმერთების მსგავსად, ისინი ამ არსში ითავსებდნენ ერთი პიროვნების ორმაგ მიზანს ყოფიერებაში და დედისგან შობილ ორმაგ სქესს წარმოადგენდნენ.

სფინქსი და პირამიდა ოკულტისტური თვალსაზრისით, ერთმანეთთან მიმართებაში უნდა იქნას შესწავლილი. სავარაუდოა, რომ ამ საგანთა ფილოსოფიის სიღრმის გახსნაში, კაცობრიობას თვალწინ ყველაზე დიდი სიბრძნე გადაეშალოს, რომელსაც კი დედამიწაზე ოდესმე უარსებია. სამწუხაროა, რომ საქართველოში არ არსებობს არავითარი ოკულტისტური გამოცემები და ლიტერატურა ამ თემაზე.

ყოველი დიდი მოვლენის სრულ ახახსნელად, გამოკვლეული უნდა იყოს ამ მოვლენის შექმნის პერიოდი. დავუშვათ, ეს არის სფინქსი. იგი გამოკვლეული უნდა იყოს სხვადასხვა ასპექტებში, რელიგიურ, ხუროთმოძღვრულ, ასტროლოგიურ, ფილოსოფიურ განზომილებებში და შესაძლებელია კვლევამ მოგვცეს კიდევ ისეთი ასპექტები, რომელიც თავიდან დაგეგმილი არ გვქონდა. მიუხედავად იმისა, რომ სფინქსზე ბევრი იწერება, არც ერთი არ არის თვით ცდაც კი, რომ ის

ზემოთხსენიებულ მიმართულებით იხსნებოდეს. მასზე მხოლოდ წერენ, რომ ის შექმნილია ეგვიპტეში, გრანდიოზულია და ეგვიპტური ცივილიზაციის ავტორებმა როგორ შეძლეს, რომ მსოფლიოსთვის მიეცათ ასეთი ხუროთმოძღვრული ძეგლი და. ძირითადში ამით კმაყოფილდებიან. სფინქსის შესაცნობად კი საჭიროა, რომ შევიცნოთ მისი არსი, ამ დროს რა ფილოსოფიური და რელიგიური მიმართულებები არსებობდა, როგორი რიტუალი ტარდებოდა მასთან მიმართებაში, მისი დანიშნულება, სამსახური და სხვა. შესაძლებელია სფინქსის შესწავლამ კაცობრიობას მისცეს ისეთი ცოდნა, რომელმაც სრულიად ახალი ფურცელი გადაშალოს აზროვნების სამყაროში.

მიუხედავად იმისა, რომ მასზე ბევრი იწერება, ეს მხოლოდ მხატვრულ-არქიტექტორული პოზიციებიდან არის ახსნილი და ისიც მხოლოდ ზედაპირულ შრეებში. როგორი იყო სამყარო, მისი შექმნის პერიოდში? ამ დროს სამყარო განიზომებოდა ციფრებში, ზუსტ ასიმეტრიულ განზომილებებში და ყოველივე ეს ჰარმონიულ კავშირში უნდა ყოფილიყო ერთმანეთთან, რაც ნიშნავდა საბოლოო ჯამში სამყაროს შექმნის გააზრებას. სამყაროს არსებობის უკვდავი იდეოლოგიური ხერხემალი იყო რელიგია. სწორედ ამ რელიგიასთან მიმართებაში არიან შექმნილი სფინქსიც და პირამიდებიც. ცნობილია, რომ უძველესი ცივილიზაციის მამამთავარნი ლიკურგე, პითაგორა და სხვები განათლების და ოკულტუზმის წინარე სკოლა ეგვიპტეში გაიარეს. აქ არსებობდა ოკულტიზმის, მისტიკის ძლიერი სკოლა, რომლის უზენაესად ჰერმეს-ტრისმეგისტორი გვევლინება, რომლის არსებობა დედამიწაზე დღემდე უცნობია. ჰერმეს-ტრისმეგისტორი კი ატლანტიდის ცივილიზაციასთან არის კავშირში. მასზე რომ პლატონის დიალოგები არა, კაცობრიობას წარმოდგენა არ ექნებოდა. დავუბრუნდეთ კვლავ ეგვიპტეს და ორ უდიდეს ხუროთმოძღვრულ ძეგლს სფინქსს და პირამიდას. მე ვფიქრობ, თუ სამყარო ძეგლის მიხედვით უნდა იქნას შესწავლილი, ეს ორი უდიდესი ძეგლი უნდა შეისწავლონ მეცნიერებმა აუცილებლად ოკულტუზმის ხაზით. ამ ხაზით შესწავლა კი იმაში მდგომარეობს, თუ რას შეიძლება წარმოადგენდეს სფინქსი და მასში არსებული დეტალები ანუ სიმბოლოები. ეს არის ქალის თავიანი (ზოგი მკვლევარის აზრით, მისი თავი წარმოადგენს ფარაონ თუთმოს IV-ის თავს) და ლომისტანიანი ქვის სხეული, რაც შეიძლება ასე გავიზიაროთ, ლომი ძლიერების სიმბოლოა, ქალის თავი, ისე როგორც ქალღმერთ ათინას თავი სიბრძნეს. გამოსახვის ანუ ქანდაკების მზერის გაყინვა, არის ღრმად რელიგიური და უზენაესისადმი მიმართული. საერთოდ ეგვიპტის ქანდაკებისთვის და მსოფლიოს ამ პერიოდის ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელია უზენაესისადმი უმაღლესი მორჩილება, ყველა ქანდაკების შინაარსი მიემართება საოცარი ტრანსისკენ, (ღმერთი) და მთელი ფიქრით, მიწიერი და არამიწიერი განცდით შეკრულია ერთ წერტილში ღმერთთან. როგორც ვიცით, ქრისტეს შემდგომ პერიოდში იწყება ადამინის მზერის განთავისუფლება უაღრესი ხარისხის მორჩილებიდან და იგი ხდება მშვიდი, ადამიანური და თვით იქამდე მიდის, რომ ხატწერის სკოლაში საერო ელემენტებმა შეაბიჯეს, ჩნდება პეიზაჟები, ადამიანური განცდები, რასაც ეგვიპტის ხუროთმოძღვრება მოკლებულია. რას გამოხატავს კიდევ სფინქსი გარდა ძალისა და გონიერებისა?-სულისა და მატერიის სინთეზს. მე აქ მინდა გავიხსენო აუცილებლად სოფოკლეს ტრაგედია "ოიდიპოს მეფე", იქ გამოყვანილი ქალისთავიანი სფინქსი გლეჯს იმ ადამიანებს, რომლებიც ქალაქში შეაბიჯებენ, თუ რა თქმა უნდა ვერ ამოხსნიან მის ამოცანებს. ეს მითი ასევე გარდაუვალად და პირდაპირი მიმართებით უკავშირდება ბედისწერის არსებობას. როგორ შეიძლება გავიაზროთ ბედისწერის არსებობა და სფინქსი ქალაქის კარიბჭესთან? როგორც ვიცით, ამ ტრაგედიაში სფინქსი მარცხდება, მაგრამ ბედისწერის გარდაუვალობა

რჩება. ანუ ეს იყო ეპოქა, როდესაც ღმერთთან მიმართების მარადიული სიმბოლო სფინქსი აღარ არსებობს, არ არსებობს მისეული მიმართება ღმერთთან. იგი აღარ არის ადამიანისთვის ის საშუალება, რომლითაც შეუძლია ღმერთთან დაამყაროს კავშირი. ადამიანს უკვე შეუძლია, რომ თავად მიმართოს ღმერთს წმინდა ადამიანური ბუნებიდან გამომდინარე, ეს პროცესი დაიწყო. ამის გვირგვინი საბოლოოდ იყო იესო ქრისტეს მოვლინება დედამიწაზე. ოიდიპოსის მითში სფინქსის ამოცანების ამოხსნა კი უნდა ნიშნავდეს, რომ აქ მოცემულია სამყაროს ახალი შენების კანონები. ეს უნდა იყოს სფინქსის სამყაროს შეცნობის ერთ-ერთი საიდუმლო. სფინქსის გამოცანა საიდუმლო დილით ოთხზე დადის, შუადღისას ორზე, საღამოს სამზე, რა არის?-ადამიანი-უპასუხა ოიდიპოსმა. ეს არის ადამიანი, რომელიც წარმოდგენილია მთელი თავისი მიკროკოსმოსით-დაბადება, განვითარება, სიბერე (როდესაც ადამიანი ჯოხს ეყრდნობა-ანუ სამზე დადის)-ეს ყოველივე მოცემულია დიალექტიკაში. საიდუმლოს ამოხსნით ადამიანმა თავი დააღწია სფინქსურ-რელიგიურ აზროვნებას და მაცხოვრის საშუალებით იგი უფრო ახლო მოდის უზენაესთან. ეს ყველაფერი ხდება გონის მეშვეობით, რომლის ხილულ გამოვლინებას მეტყველება წარმოადგენს. მიკროკოსმოსში ასახულია დიალექტიკა ისევე, როგორც ატომში მზის სისტემა, ხოლო ორივე ერთად აბსოლუტის უძირითადესი კანონის ჭეშმარიტების გამოვლინება გახლავთ. აი ამ შემთხვევაში, ჭეშმარიტება უნდა ვაღიაროთ როგორც ღმერთის ნება. საერთოდ, უნდა ვაღიაროთ, რომ სამყაროს შეცნობის მსურველებს, უპირველესად მოუწოდებენ-შეიცან თავი შენი. სფინქსის გამოცანაში ჩადებული შინაარსი არის ქიდილი ადამიანსა და სფინქსურ რელიგიას შორის. ამ შემთხვევაში იგრძნობა ელინების ქედმაღლური დამოკიდებულება უკვე ბარბაროსულად წოდებული რელიგიური კულტების მიმართ. აი, სწორედ ამიტომ დაუპირისპირა „უბრალო მოკვდავი ადამიანი ოიდიპოსი. სფინქსის გამოცანებით ხდება საკუთარი თავის შეცნობა.

სფინქსი ასევე გახლდათ ძველეგვიპტური უზენაესი ღვთაების ისიდას გამოსახულება, რაც უძველეს რელიგიურ კულტებში სამყაროს დედის სახესხვაობად არის წარმოდგენილი. ისიდას და სფინქსის ნათესაურ კავშირს მოწმობს ისიდას ტაძარში არსებული წარწერა: "მე ვარ ის, რაც იყო, არის და იქნება და ვერავინ ამოხსნის ჩემს საიდუმლოს". აი ამის წინააღმდეგ გაილაშქრეს ადამიანებმა. მათ-ადამიანებს არ უნდოდათ, რომ მათ წინაშე იყოს მარადიული საიდუმლო, ვერ ამოხსნა, ვერ ამაღლება. ადამიანის უძირითადესი ცხოვრების საზრისი არის ამაღლება ღვთაებრივისაკენ, სამყაროს შეცნობით და პირიქით სამყაროსკენ ღმერთის შეცნობით. ელინთა ამბოხი ისიდას და სფინქსის წინააღმდეგ ისიც მეტყველებს, რომ ერთ-ერთ ბერძნულ თუ ფინიკურ მითში ისიდა გააიგივეს ზევსის ხასასთან, რომელიც ჰერას მიერ არის დევნილი და შევიწროებული.

სახელგანთქმული რუსული წარმოშობის ამერიკელი ეზოთერიკი და მაგი ელენე ბლავატსკაიამ თავის მონუმენტურ ნაშრომი "ისიდას ამოცნობა" ჭეშმარიტების დასაფუძნებლად შექმნა.

სფინქსის სიმბოლიკა საერთოდ ასე გაიაზრება: ფრთები-ცეცხლი, თავი-ჰაერი, კიდურები- წყალი, სხეული-მიწა. მითოლოგიაში ორ სტიქიას ცეცხლს და ჰაერს მამაკაცური გონი წარმართავს და ისინი აქტიურნი არიან, ხოლო მიწა და წყალი დაბალი აქტივობით არის წარმოდგენილი და მათ ქალური ბუნება ფლობს, ცეცხლში-ნებისყოფა, ჰაერში-ინტელექტი, წყალში-ინტუიცია და ემოცია, ხოლო მიწაში სტაბილურობა და მდგრადობაა გაცხადებული.

ბრაზილიის შტატ მატუ-გროსუს უღრან ტყეებში გერმანელი ანთროპოლოგი კარლა კლაუს ვილკე წააწყდა ტომს, რომლის წარმომადგენლებმა პირველად ნახეს თეთრკანიანი ადამიანი. მეცნიერის თქმით, ამ ჯგუფში 300-მდე ადამიანია

და ალბათ ყველაზე ჩამორჩენილი მთელ მსოფლიოში. მათ ცეცხლის გამოყენებაც კი არ იციან და ყველაფერს უმად ჭამენ, ძირითადად ეს არის თევზი, ბაყაყები, ხვლიკები, მწერები. ვილკე განაცვიფრა იმან, რომ ტომის ბელადის ქოხის წინ დგას ქვის სფინქსი, რომელიც ტყუპის ცალივით ჰგავს ეგვიპტურ სფინქს, თუმცა ზომით ბევრად ნაკლებია. ტომის ბელადის თქმით, მრავალი წლის წინ, სფინქსი ციდან საჰაერო ხომალდით მოიტანეს და ხალხს უბრძანეს, მას თაყვანი ეცით და ყველა უბედურებისაგან დაგიცავთო. ყოველივე ეს ხომ არ გვაიძულებს ვიფიქროთ იმაზე, რომ ორივე სფინქსი ატლანტიდების ცივილიზაციის ნაყოფია.

სფინქსი კი ჯიუტად წევს ეგვიპტურ ცხელ მიწაზე, და ასევე ჯიუტად ელის მის ამომცნობს, რათა ამით ადამიანებმა სამყაროს შეცნობის ცოდნა გაიღრმავონ.

ძველი ეგვიპტის ქანდაკებებზე რომაელი იუკინალი ამტკიცებდა, როგორც კი ამომავალი მზის სხივები ქანდაკების ბაგეს შეეხებიან, ქანდაკება მუსიკალური ბგერის გამოცემას იწყებდა. დღეს ეს თვისება სფინქს და სხვა ქანდაკებებს დაკარგული აქვთ, არ გამოვრიცხავ, რომ შესაძლებელია აღსდგეს.

ნიუტონი თავის ცოდნას იმით აფასებდა, რომ "თუ მე შორს ვხედავდი იმის გამო, რომ გიგანტების მხრებზე ვიდექი, თავის მხრივ კი ისინი წინამორბედი გიგანტების მხრებზე".

*ლეგენდარული შუბი, რომლითაც ქრისტეს ფერდი განუგმირეს.*

"მაგრამ ერთმა ჯარისკაცმა შუბით გაუგმირა მას ფერდი და მყისვე გადმოსკდა სისხლი და წყალი. მხილველმა დაადასტურა ეს და მოწმობა მისი ჭეშმარიტია. მან იცის, რომ ჭეშმარიტებას ამბობს, რათა თქვენ ირწმუნოთ, რადგან ეს მოხდა. რათა აღსრულებულიყო წერილი: მისი ძვალი არ შეიმუსრება. ასევე სხვა წერილიც ამბობს, შეხედავენ მას, რომელიც განგმირეს"-იოანე 34-31.

იოანე ღვთისმეტყველი სახარების ბოლო თავებში მოცემულ ამ ამბავთან დაკავშირებით არსებობს ვერსია, რომ იყო ნახევრად ბრმა და ერქვა გაიუს კასიუსი. იგი მაცხოვრის ჯვარცმისას, პილატეს ოფიციალური წარმომადგენელი იყო პროკონსულობის პერიოდში. იგი დაავადებული იყო თვალის კატარაქტით. პილატეს დავალებით თვალყურს ადევნებდა იესეს, თანაუგრძნობდა და აღფრთოვანებული იყო მისით.

იოანე ღვთისმეტყველი გვაუწყებს: "მისი ძვალი არ შეიმუსრება" კაიფას მღვდელმთავარ ანანს რომ დაემტკიცებინა ქრისტეს არაღვთაებრიობა და ერესი, ამ ბოროტების განსახორციელებლად მან მოინდომა იესოს დასახიჩრება და ამასთანავე დაემტვრია ძვლები, რათა შაბათი დღეს ახლოვდებოდა ებრაული დღესასწაული-რაბაში. ამიტომ პილატე გაემართა გოლგოთაზე დამსჯელი რაზმით, რომელსაც თან ახლდა იუდეველთა ჯარის რაზმის უფროსი ჰეროდე ანტიპა სამეფო შუბით, რომელიც ძალაუფლების სიმბოლოს წარმოადგენდა. ფინესმა, რომელიც სინედრიონში მესამე იყო კაიფასა და ანანიას შემდეგ, მოითხოვა ამ სამეფო შუბით ქრისტეს განგმირვა, რათა როგორც ვთქვი, შაბათ დღეს ახლოვდებოდა ებრაელთა დღესასწაული რაბაში და ამ დღეს მათი ტრადიციით ჯვარცმა არ შეიძლებოდა.

ჰეროდე ანტიპას ძალაუფლების სიმბოლოს-შუბს ჯერ ისუ ნავეს-ძე ფლობდა იერექიონის ალყის დროს. ეს შუბი ესროლა შურით დაბრმავებულმა საულმა ახალგაზრდა დავითს. შუბი მას ამჟამად იმიტომ ერგო, რომ ძალაუფლების სიმბოლოს ხელში აღმართვით ბრძანა, იუდეველ ჩვილთა ამოწყვეტა. რადგან, როგორც წინასწარმეტყველება ამბობდა, უნდა დაბადებულიყო იუდეველთა მეფე.

ლეგენდის თანახმად, რომაელმა ჯარისკაცებმა ზურგი შეაქციეს იმ ადგილს, სადაც ჯვარცმულთათვის ძვლები უნდა დაემტვრიათ. ამ ამ საშინელებას მხოლოდ

გაიუს კასიუსი უყურებდა, რომელიც მოვალე იყო სასჯელი აღსრულებაში მოეყვანა. როდესაც იესოს გვერდით ჯვარცმულ ავაზაკებს ძვლები და თავის ქალა დაუმტვრიეს, გაიუს კასიუს შეეცოდა მაცხოვარი, ამიტომ მარჯვენა ფერდში მოულოდნელად ჩასცა შუბი, რათა ტანჯვითი სიკვდილი აეცილებინა მისთვის. სწორედ იმ მომენტში, როდესაც ცენტურიონმა შუბი ჩასცა მაცხოვარს, მისი წმინდა სხეულიდან სისხლმა და წყალმა გადმოჩქეფა და ამ დროს მას დაუბრუნდა სნეულ თვალში ნათელი.

ჩვენთვის უცნობია, თუ რომელი შუბი გამოიყენა ცენტურიონმა, თავისი თუ ჰეროდე ანტიპასი, რადგან აღნიშნული ფაქტის არანაირი ისტორიული დასაბუთება არ არსებობს. იმ ტაძარში კი, სადაც კაიფა და ანანია იესოს სიკვდილს ელოდნენ, სამსხვერპლო კულტი გასკდა და გამოჩნდა შიგ მოთავსებული კუბოს ფორმის შავი ქვა, რომელიც იქ ძველი აღთქმის დროიდან იდო. ცოტა ხნის შემდეგ ქვაც დაიშალა და წარმოიქმნა ჯვარი, რომელიც ძველი სამყაროს დასასრულსა და ახალი სამყაროს დასაწყის ამცნობდა ხალხს. სასწაულმოქმედი შუბი კი გახდა ამ მოვლენის მატერიალური მტკიცება, რადგან ის ჭრილობა, რომელიც მაცხოვარმა ჯვარცმის დროს მიიღო, ეტყობოდა მის ეთერულ სხეულს მოწაფეებთან გამოცხადების დროს.

პირველად მხოლოდ ურწმუნო თომამ არ დაიჯერა მისი გამოცხადება, სანამ თვითონ არ შეეხო მაცხოვრის იარებს. მაშინ იესომ უთხრა თომას: "მოიტა აქ შენი ხელი ჩადე ჩემს ფერდში. ურწმუნო კი ნუ იქნება, არამედ მორწმუნე იყავ".

მაცხოვრის ჯვარცმის შემდეგ გაიუს კასიუსი მოინათლა და ერთ-ერთი პირველი ებრაული საქრისტიანო, თემის აქტიური წევრი გახდა. ის გახდა ლონგინი, რაც ნიშნავს კაცი შუბით, რომელმაც ტანჯვითი სიკვდილი ააცილა მაცხოვარს.

ცენტურიონი იყო კაცი, რომელმაც თავისი თვალით იხილა დიდი სასწაული, როდესაც მაცხოვრის ფერდიდან წმინდა სისხლი და წყალი წამოვიდა. ეს იყო ახალი კავშირი ღმერთისა და ცოდვილ ადამიანს შორის, ლეგენდის თანახმად, სასწაულმოქმედ შუბზე დაამაგრეს ერთი ლურსმანი, რომლითაც იესო იყო ჯვარზე გაკრული. ამის შემდეგ შუბი იქცა წმინდათა წმინდა რელიქვიად ქრისტიანულ სამყაროში. ისტორიული გადმოცემის თანახმად, ის, ვინც ფლობს იმ შუბს, მსოფლიოს მბრძანებელია და ყოველნაირი სიკეთისა და ბოროტების ჩადენა შეუძლია. "ესენი კი დაიწერა, რათა ირწმუნოთ, რომ იესო არის ქრისტე, ძე ღმერთისა და რათა მორწმუნეთ გქონდეთ სიცოცხლე მისი სახელით". იოანე 20-31.

*ლეგენდარული შუბის შემდგომი ისტორია და გრაალი*

1945 წლის 5 მაისს, ნაოსნობაში გაემგზავრა იმდროისათვის ყველაზე სრულყოფილი წყალქვეშა ნავი № 534. მისი კაპიტანი, უკვე თვითმკვლელობით, სიცოცხლე დასრულებულ ფიურერის უკანასკნელ დავალებას ასრულებდა. საიდუმლოებით მოცულ წყალქვეშა ხომალდ სუმბარინის ბორტზე იყო ერთ-ერთი ყველაზე ბიბლიური რელიქვია-შუბი, სწორედ ის, რომელიც რომაელმა ცენტურიონმა, ჯვარცმულ იესოს ფერდი განუგმირა. გარდა ამ წმინდა რელიქვიისა, წყალქვეშა ხომალდი დატვირთული იყო სხვა ძვირფასი ნივთებით. ომში მონაწილე სახელმწიფოთა მეთაურებს განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდათ ამ ნივთებისთვის დათმობილი. სხვადასხვა წყაროებით ამ ნივთებში ჩადებული და ჩაფშირული იყო ის მაგიური ენერგეტიკული ძალა, რითაც ყველა ადამიანს შეეძლო თავის ძალა მოეხვია ან დაეპყრო სხვა სახელმწიფოზე ან ადამიანზე.

ჰიტლერი ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად ამ

ნივთების ხელში ჩაგდებას ისახავდა. პირველად ბიბლიური შუბი მან 1912 წლის ვენის ჰაბსბურგების ციხე-მუზეუმში იხილა. 1938 წელს ავსტრია გერმანიას შეუერთდა და შუბმაც ვენიდან ნიურნბერგის სპეციალურ საცავში გადაინაცვლა. ზუსტად ასეთივე შუბები ინახება ვატიკანში, პარიზსა და კრაკოვში. მაგრამ ჰიტლერს ერთგული სწავლულნი უმტკიცებდნენ, ისინი მხოლოდ ორიგინალის ასლებია და მეტი არაფერიო, რაც არწმუნებდა იმაში, 'რომ ძალაუფლების მპყრობელი ბატონი ეფრეიტორი იყო. უბადლო ნივთი ანუ ლონგინოსის შუბი, რომელსაც რომაელი ცენტურიონის სახელს ეძახდნენ, ევროპაში გამოტანილ წმინდა გრაალის საგანძურში ეცავდნენ და გერმანელი მეფეები ამ ნივთებს ავგაროზის და უძლეველობის სახით იყენებდნენ ომების დროს. აქვე ცოტა რამ გვინდა ვთქვათ გრაალის თასთან დაკავშირებით. წმიდათაწმიდა ჰურჰელი გრაალის თასი, რომლიდანაც საიდუმლო კრების დროს, იესო ქრისტე თავის მოწაფეებს ღვინით უმასპინძლდებოდა. აქატის უზარმაზარი ქვისგან არის გამოთლილი, რომლის დიამეტრი 9 სანტიმეტრია. იგი დამუშავებულია განსაცვიფრებელი ოსტატობით. გრაალი საუკუნეების მანძილზე ხელიდან ხელში გადადიოდა, სანამ 1435 წელს ვალენსის საკათედრო ტაძარში არ ჰპოვა ადგილი. ამ ძვირფასი განძისათვის იბრძოდნენ ჰიტლერის ოკულტისტი-მეცნიერები. 1936-1939 წლებში თასი სოფელ კარლეტში გადამალეს. თუმცა ამბობენ, რომ გერმანელებმა მოახერხეს, რომ ნამდვილი შეეცვალათ აბსოლიტურად მსგავსით, რათა თავისი თანამოაზრე ფრანკო არ გაენაწყენებინათ.

ვარაუდობენ № 534 წყალქვეშა ხომალდზე ლონგინოს შუბთან ერთად აღნიშნული თასიც უნდა ყოფილიყო. ხომალდი № 534 სუმბარინა სამხრეთ ამერიკისაკენ მიემართებოდა და მას ორი წყალქვეშა ნავი იცავდა. ინგლისის სამხედრო ძალებმა დანიასა და შვეციას შორის დააფიქსირა და წყალქვეშა ნავს ბომბები დაუშინა.

1993 წელს მოხერხდა საიდუმლო გემის დღის სინათლეზე ამოტანა, რასაც რამდენიმე თვის ურთულესი ოპერაციები დასჭირდა. ზოგიერთი ვერსიით, ნავში წმინდა ნივთები არ აღმოჩნდა, რადგან კაპიტანმა მოასწრო მისი გადაყრა წყალში. ზოგი ვერსიით კი ისინი იმ წუთიდან ინგლისის ხელისუფალთა ხელში გადავიდა. გემის კაპიტანი კი თვითმკვლელობის ინსცენირებით მოიშორეს თავიდან.

როდესაც შუბი მოკავშირეთა ხელში გადადის, ეს დაახლოებით 30 აპრილია (1945), იმავე დღეს მოკავშირეები იღებენ ნიურნბერგს და ეძებენ წმინდა ნივთებს, იმავე დღეს ხდება ჰიტლერის თვითმკვლელობა. წინასწარმეტყველების მიხედვით, ვინც დაკარგავდა შუბს, მას დაღუპვა ელოდა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ამერიკელთა მიერ რეკვიზირებული უძველესი ფასეულობების ბედი უცნობია. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო დღემდე არ აქვეყნებს უძვირფასესი რელიქვიების მოპოვების დეტალებს. შესაძლებელია ეს რელიქვიები ინგლისს კი არა აშშ. ჩაუვარდათ ხელთ. იქნებ მათი დღევანდელი სამხედრო ძლიერების სიმბოლოც სწორედ ეს ნივთები იყოს.

*13 რიცხვის შავი ძალამოსილება*

ძველი გერმანელების მითოლოგიაში არის ერთი მითი. როდესაც შეკრებილნი არიან 12 ღმერთი და მათ შორის თანახმიერი, ჰარმონიული ურთიერთობა სუფევს, მოულოდნელად თავყრილობას დაუპატიჟებელი სტუმარი ესტუმრება, ეს არის ჩხუბისა და გაბუტვის ღმერთი ლოკი, რომლის მოსვლას ჩხუბი და მკვლელობა მოჰყვება. არავინ იცის, საიდან იღებს სათავეს ცამეტი რიცხვის შავ მაგიური ძალა. ის კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ რიცხვთა თეორიაში ციფრთა უნივერსალობის სიმბოლოდ და მის პოზიტიურ შედეგებზე აუცილებლად მოქმედებს ის, თუ როგორი ფუნქციურია, რამდენად იყოფა იგი, რამდენ

რიცხზე და ა.შ. მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ ეს ერთ-ერთი ელემენტია. მხოლოდ, რიცხვთა ღვთაებრივ ძალაზე თუ ვიმსჯელებთ, არც ერთი ციფრი არ არის ისე გაიდიალებული, როგორც 12, და აი სწორედ ამ ციფრის მომდევნო რიცხვია რომელიც, ერთხმად ყველას მიერ უკუგდებულია და შერაცხულია თარს და ცუდი ბედის მატარებელ ნიშნად. ცამეტი რიცხვისადმი ასეთი დამოკიდებულება ჰქონდათ ძველ ბერძნებსა და რომაელებს. საფრანგეთში მე-13 ნომრად სუფრაზე სვავდნენ ერთ-ერთ ლუდოვიკოს მანეკენს. ამერიკის ბევრ ქალაქში ქუჩები და საკონცერტო დარბაზები, 12 ნომრიდან პირდაპირ თოთხმეტზე გადადიოდა. გოეთე ცამეტ რიცხვში და თუ ისიც პარასკევი იყო, თავს იკავებდა ნებისმიერი საქმიანობისაგან, ასევე იქცეოდა ნაპოლეონ ბონაპარტეც და ბისმარკიც. დასავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში წამყვან კლინიკებში ამ დღეს არ კეთდებოდა ოპერაციები. ჩვენ არ გვაქვს სტატისტიკა ცამეტ რიცხვში მომხდარ არასასიამოვნო შემთხვევების სტატისტიკისა, ამ მხრივ ვეცდები, რომ უფრო დიდი მოცულობის მასალა მოიძებნოს, რათა შეძლებისამებრ აისახოს ცამეტი რიცხვის მიახლოებითი არსი. ევროპაში თითქმის არ არსებობს ცამეტსართულიანი შენობა. ავიაკომპანიები პანიკურად გაურბიან ამ რიცხვს. მას არ იყენებენ არც ადგილების დანომრვისას და არც კალენდარულ დღეებში ცდილობენ ამ დღეს ფრენას..

მწერალი გაბრიელ დ, ანუნციო 1913 წელს თავის წერილეში ასე ათარიღებდა 1912+1. კომპოზიტორი არნოლდ შიონბერგმა, რომელიც სხვათა შორის 13-ში იყო დაბადებული, 1951 წლის 13 ივნისი პარასკევი დღე საწოლში გაატარა და შიშისაგან ცახცახებდა. ღამით, როცა საშინელი დღის დამთავრებას 15 წუთი ეკლდა, მასთან მეუღლე შევიდა და ასე უთხრა, რომ წყეული დღის დამთავრებამდე 15 წუთი რჩებოდა და ამის შემდეგ წარმოსთქვა სიტყვა ჰარმონია და უეცრად გარდაიცვალა.

გასული საუკუნის ბოლოს ლონდონში შეიქმნა კლუბი 13, რომლის პროგრამაში შედიოდა მოეხსნათ ის მწვავე და უარყოფითი იმიჯი, რაც ამ რიცხვის მიმართ იყო შექმნილი. ამიტომ ისინი (კლუბი) დაფუძნდა 1894 წლის 13 იანვარს. და დარბაზში იდგა 13 მაგიდა, ცამეტი მაგიდის წევრით. ცამეტ რიცხვს იშვიათი გამონაკლისებით ჰქონია წარმატებებიც 1966 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატში. ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს პორტუგალიელი ფეხბურთელი ეუსებიო, რომელიც 13 მაისურით იღებდა ჩემპიონატში მონაწილეობას. ამდენად, მე მინდა მთელი ის მასალა, რომელიც ამ წიგნში იკრიბება, არ უნდა ემსახურებოდეს რაიმეს მიმართ შიშს, არამედ შეცნობას თავის რიცხვისა, ბედისა, ამინდისა და სხვა. მინდა, რომ ეს აზრი ლაიტმოტივად მიჰყვებოდეს ამ წიგნს მთელი აზროვნების მანძილზე.

*არდებილში* ერთი დიდი ქვა არისო. ხელს რომ შეახებენ, საამო ხმას გამოსცემს. როცა წვიმა დიდი ხანი არ არის მოსული, იმ ქვას ქალაქგარეთ გაიტანენ და მაშინვე წამოვა. როგორც კი ქვას ისევ ქალაქში შეიტანენ, წვიმა შეწყდება.

*ხლათი-არმენიის დედაქალაქი*

ქალაქის განაპირას ერთი გრძელი ტბაა, შიგ ბევრი თევზია. იქიდან წვრილი თევზი მთელს მსოფლიოში გააქვთ, როცა მზე კუროს ზოდიაქოში შედგება, თევზი ტბიდან იფანტება. ერთი მდინარეა ალმ. მხრიდან ერთვის ტბას. თევზები შავი მთასავით ერთმანეთზე ხეთქებით იმ მდინარეს მიაშურებენ. მცხოვრებთ საგუბარი აქვთ მოწყობილი და იქ იჭერენ, ხოლო ფადიშაჰს ყოველწლიურად რამდენიმე ათას დინარს უხდიან. ორმოცი დღე რომ გავა, მდინარეში თევზი ქრება. ამ ტბას რამდენიმე მდინარე ერთვის, მაგრამ არც ერთ სხვა მდინარეში თევზი არ შედის.

*ბაბილონის გოდოლი*

სიტყვა გოდოლს რამდენიმე მნიშვნელობით ხმარობენ, როგორც ისტორიულ მეცნიერებაში, ასევე მწერლობაში. უმრავლეს შემთხვევაში ციხე-კოშკის ნაწილია, საიდანაც სრულდებოდა საომარი ოპერაცია. ბაბილონის გოდოლი კი არის ლეგენდის სამოსელში გახვეული ციხე-კოშკი, რომელსაც ასეთი შინაარსი აქვს, ადამიანებმა გადაწყვიტეს, რომ აეშენებინათ მსოფლიოს უმაღლესი ტაძარი, მშენებლობის დროს ისინი იმდენად ზევით და შორს მიიწევდნენ, რომ ღმერთებმა ეს ადამიანების დიდ კადნიერებად, ამპარტავნობად ჩათვალეს მათდამი დამოკიდებულებაში და ამგვარი ხერხით დასაჯეს. მშენებლებს შორის წარმოიშვა მრავალი ენა, და ხუროთმოძღვრებმა ტაძრის მშენებლობა ვეღარ გააგრძელეს.

ბაბილონის კოშკად მიჩნეულია დღევანდელი ერაყის ტერიტორიაზე რვაკუთხა, 26 მეტრიანი ნაგებობა, რომლის სხეულზე უამრავი მოჩუქურთმებული სამკაულები არსებობს. როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, იგი ოთხი ათასზე მეტი წლისაა და უნდა წარმოადგენდეს მითიური ბაბილონის კოშკთა ასამბლეის ნაწილს. კოშკი იძულებული იყო გაქცეოდა ევფრატის წყლებს, რომელიც ქვემო დინებაზე ახალი კაშხლით გადახურეს. ცხრასართულიანი ნაგებობა, რომელზეც დღეს მინიატურული ტაძარი დგას, შვიდას ტონაზე მეტს იწონის. სპეციალისტებს მოუხდათ მისი დაჭრა ოცდახუთ სექციად. ამ მიზნით გამოიყენეს სპეციალურად გაკეთებული ალმასის საჭრისი. შემდეგ სექციები დაამონტაჟეს ახალ უსაფრთხო ადგილას. ნაგებობის ქამთასვლისგან ყველაზე , დაზიანებული ნაწილები გაჟღინთეს სპეციალური შემადგენლობით, რომელიც განსაკუთრებით ამაგრებს ქვას.

*კომეტა*

კომეტა (კუდიანი ვარსკვლავი) მცირე მასის (პლანეტასთან შედარებით) კოსმოსური სხეულია, რომელსაც მხოლოდ მზის სისტემაში ვხედავთ, და მოძრაობს ელიფსური ტრაექტორიებით. მათი ერთი სრული წრიული მოძრაობა ყოფილა 10 წელიწადიც და 76-იც.

კომეტის გამოჩენას ყოველთვის თან ახლავს იდუმალი და უცნაური მოვლენები. მათი პირველი გამოჩენა დააფიქსირეს მე-20 (ძ.წ.) ასტრონებმა. მათ იშვიათად ახასიათებს სიკაშკაშე და დიდი მოცულობა. ასევე მათი შესწავლა დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ჩვენს საუკუნეში დაფიქსირდა ჰალეის სახელით ცნობილი კომეტას სხეული 1910 წელს. მან თავის ღერძის გარშემო 76 წელი მოანდომა. ეს პერიოდი ემთხვევა საოცრად მძიმე პერიოდს კაცობრიობის არსებობისა, მხედველობაშია 1914 წლის მსოფლიო ომი, ფაშიზმი გერმანიაში და მეორე მსოფლიო ომი. საბჭოთა კავშირის გაჩენა პოლიტიკურ რუკაზე და მათი ძალმომრე პოლიტიკა.

ძ.წ. 457 წელს ძველმა ეგვიპტელებმა პირველმა აღწერეს კომეტის მნიშვნელობა, ხასიათი, შინაარსი. 1531 წელს მიშელ ნოსტრადამუსმა იხილა კომეტა და იწინასწარმეტყველა ბართლომეს ღამე.

1758-1759 წლებში ჰალეის კომეტა გამოჩნდა საფრანგეთის ცაზე, 30 წლის შემდეგ საფრანგეთის რევოლუცია მოხდა, სადაც ზღვა სისხლი დაიღვარა.

ძ.წ. მე-3 საუკუნედან, ახ.წ. მე-3 საუკუნეში ჩინეთში, ხანის დინასტიის არსებობისას, ახალი იმპერატორის ასვლას ტახტზე ვარსკვლავთა გადაადგილებით ანგარიშობდნენ.

მსოფლიო ხელოვნებაში საკმაოდ ცნობილ საქსონურ გობელინზე, რომელიც 1066 წლითაა დათარიღებული-ცაზე დახატულია ჰალეის კომეტა-რომლის გამოჩენას საქსონური სამეფოების განადგურება მოჰყვა. ამავე 1066 წელს ჰასტინგის ბრძოლაში ნორმანდიელებმა მოკლეს საქსების მეფე და ვილჰელმ ნორმანდიელი ერთპიროვნული მმართველი გახდა.

ინდოელმა ასტრონომმა გნოში სატრამ 1390 წელს საკმაოდ ვრცლად აღწერა დელის თავზე კომეტის გამოჩენა და აქედან გამომდინარე, დელის სამეფოების დაცემა იწინასწარმეტყველა, რისთვისაც მას თავი მოჰკვეთეს. თემურ-ლენგმა მალე ეს წინასწარმეტყველება სინამდვილედ აქცია.

623 წელს სპარსელმა ასტრონომმა ხასრო-შავრიშმა შეამჩნია ცაზე უცნობი კომეტა, რასაც 666 წელს სასანიდური დინასტიის დაცემა მოჰყვა ირანში.

მეცნიერები ვარაუდობენ, ცნობილ სტოუნჰენჯის კომპლექსი წარმოადგენს ობსერვატორიას, რომლის მეშვეობით ატლანტიდები ახდენდნენ დაკვირვებას ციურ სხეულებზე.

ჰოლანდიელმა ასტროფიზიკოსმა იან ხენდრიკმა შეისწავლა კომეტათა ფიზიკური და ქიმიური თვისებები. რის შემდეგ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით დაადგინა, რომ ჩვენმა წინაპრებმა, კერძოდ კი შუმერებმა, ბევრად მეტი იცოდნენ, ვიდრე თანამედროვე ასტრონებმა.

საინტერესო და უჩვეულო შეხედულება 'აქვს კომეტებზე ებრაულ წიგნს-კაბალას. ცის ამ მრისხანე მბრძანებლებზე, სიკეთისა და იმედის სიმბოლოდ მიიჩნევენ. ამ წიგნის მიხედვით, კომეტების ასტრონომიული ბუნების შესწავლა აბსურდულია. ებრაულ ენაზე კომეტას შავიტი ჰქვია, რაც არამეული შარვიტის იდენტურია, კაბალის ხაზით ამ სიტყვებშია გასაიდუმლოებული კომეტის მისტიური ბუნების დედააზრი. სიტყვა შარვიტის ახსნას ჩვენ ვხვდებით წმინდა წიგნ სოგარში, სადაც აღნიშნულია, რომ კომეტის შინაგანი ენერგია სამ ძირითად ენერგოხაზად იყოფა: სიცოცხლე, მშვიდობა და წესრიგი. აქედან გამომდინარე, ებრაული კალენდრის მეთერთმეტე თვეა "შვატი", რომელიც მერწყულის თანავარსკვლავედშია, სიმბოლურად მესიის მოვლინებას ნიშნავს და მშვიდობისა და კეთილი ნების საწინდარია. კომეტა თავისუფალია ვარსკვლავურ გარემოცვაში და მისი მოძრაობა არ ექვემდებარება მზის კოსმოგენურ კანონებს, როგორც ყველა სხვა ციური სხეული, ამიტომ თავისუფლების აბსტრაქტული ძალაა, რომელიც მხოლოდ თავისუფალი ნებით აღსავსე ჯანსაღი აზროვნების ხალხთა იდუმალი მფარველია. კომეტის კუდი კი სითბოსა და შინაგანი ენერგიის დაუშრეტელი წყაროა, რომელიც დედამიწასთან მოახლოებისას ხშირად ქრება, რადგან ის თავის კოსმიურ ძალას რჩეულებს გადასცემს. კიდევ უფრო საინტერესო ახსნა აქვს კომეტის ფიზიკურ თვისებებს კაბალის წიგნის მიხედვით, რომელიც ყველა ასტრონომიული კანონზომიერების საწინააღმდეგოა. მაგ: კომეტას თავი ქიმიური გაზებისა და კოსმიური მტვერის სინთეზირებულ ნაერთს წარმოადგენს, რომელიც ატმოსფეროში შემოჭრის შემდეგ განიცდის წვას, რის შედეგად წარმოიქმნება კომეტის კუდი, რომლის დანახვა კაბალის წიგნის მიხედვით, შეუიარაღებელი თვალითაც შეიძლება, მოძრაობს ჯერ კუდი და შემდეგ თავი. მის ასეთ უცნაურობას კაბალა მისი მისტიკური შინაარსით ხსნის.

*სატაძრო სიზმარი ანტიკურ სამყაროში*

ანტიკურ ეპოქაში ადამიანებს სჯეროდათ, რომ ძილის დროს შინაგანი, არსი იმყოფება სხვა ღვთიურ სამყაროში, რომელიც ფიზიკურ ორგანიზმში გზავნის ძალების ნაკადებს (სხვა საშუალებებთან ერთად სიზმრის წყალობითაც). ამავე პერიოდში, ბევრი ტაძარი მიჩნეული იყო განკურნების ტაძრად. ასეთი იყო პერგამონის ტაძარი, ეპიტავრში–პელოპონუსი, პირამიდა და სხვები.

ფრანგი ისტორიკოსი რობერ ფლაკელიერი აგვიწერს, რა ხდებოდა ამ ტაძარში.

"მომლოცველნი საღამოს ინკუბაციის დარბაზში მიდიოდნენ დასაძინებლად...ისინი ჯანსაღდებოდნენ- ხშირად სიზმრების შემდეგ, როდესაც მათ ესიზმრებათ ასკლეპიოსი (მკურნალობის ღმერთი),- აპოლონის-ძე, იგი მიდიოდა მათთან, ხელით

ეხებოდა სხეულის ავადმყოფ ნაწილზე და კურნავდა, ან აძლევდა სამკურნალო დარიგებას, რასაც ისინი გაღვიძებისთანავე ასრულებდნენ.

ეპიდავრში შემორჩენილია საინტერესო წარწერები ასეთი "სასწაულების" შესახებ: ნახევრად ბრმა ქალს კვლავ დაუბრუნდა მხედველობა, მუნჯმა ბავშმა მოულოდნელად დაიწყო ლაპარაკი, მამაკაცს მოურჩა ჩირქოვანი იარა.

მსოფლიოს ზოგიერთ მუზეუმში შემორჩენილია ანტიკური ეპოქის "აღთქმული შესაწირავები". ამ შესაწირებს ავადმყოფობით გატანჯული ადამიანები სწირავდნენ განკურნების ტაძარს და იმედი ჰქონდათ, რომ გაჯანსაღდებოდნენ. ეს არის ადამიანის სხეულის სხვადასხვა ნაწილების ნაძერწი გამოსახულებები: თავი, ხელები, ფეხები, სასქესო ორგანოები და სხვა. ამ საგნებს არა აქვთ ინდივიდუალური ფორმა; ჩანს, ისინი ერთნაირ ყალიბებში მზადდებოდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისინი იყიდებოდა კულტმსახურების ადგილთან ახლოს.

ოფიციალურად მიღებული რელიგიური თვალსაზრისით, ღვთაება ავადმყოფის დასახმარებლად სიზმარში მიდიოდა..., მაგრამ სინამდვილეში დაერდომილებს ტაძრის ქურუმები კურნავდნენ. ისინი ბინდავდნენ ტანჯულთა ცნობიერებას და სულიერ სამყაროებში ახედებდნენ მათ. ამის შემდეგ ისინი თავის ასტრალურ განცდებს ისე მიმართავდნენ, რომ მათი ძალები შთაღვრილიყნენ სხეულში. და გაეჯანსაღებინათ იგი. მასალა მოგვაწოდა მთარგმნელმა და ლიტერატორმა დალი სულაშვილმა.

*მუსიკა მისტიკის სფეროში. დედამიწის სფეროს ხმები*

ყველა მისტიკოსის აზროვნების გზა, მუსიკის თერაპიულ ასპექტებზე საუბრისას, ძველი ეგვიპტის სიღრმეში იკარგება, რომლებიც თავის მხრივ მუსიკის დამფუძნებლად ხელოვნებასა და მკურნალობაში ჰერმეს მიიჩნევდნენ. ლეგენდის თანახმად, ამ ნახევრადღმერთმა კაცმა ლირეს სიმი დაჭიმა კუს ჯავშანზე. ოსირისი (ღვთაება) და ისიდა (ქალღმერთი) იყვნენ მფარველი ღვთაებები მუსიკისა და პოეზიის. პლატონი აღწერდა ხელოვნების ამ დარგებს და ამბობდა, რომ ეგვიპტელებს გააჩნდათ ამ დარგების ძალზე მაღალი კულტურა 10 ათასი წლის წინ და მხოლოდ ღმერთებს და ნახევრადღმერთებს შეეძლოთ შეექმნათ ეს მაღალი ხელოვნება. ლირეს მისტერიები ითვლებოდა საიდუმლო სიმბოლოდ ადამიანის სხეულის და სულის კონსტიტუციაში. ინსტრუმენტის სხეული იყო ფიზიკური სხეული, სიმები-ნერვები, მუსიკა-სული.

ზემოქმედებდა რა ნერვებზე, სული-მუსიკა თხზავდა-შედეგს, პროდუქტს მუსიკალური ნაწარმოების სახით. თუ ძველი ჩინელები, ინდუსები, სპარსელები, ეგვიპტელები, ებრაელები და ბერძნები იყენებდნენ თავიანთ ვოკალურ და ინსტრუმენტალურ მუსიკას რელიგიურ რიტუალებში, როგორც შერწყმას დრამისა და პოეზიისა, პითაგორამ მუსიკის ხელოვნება აიყვანა უაღრეს ჭეშმარიტების ფასეულობამდე და ამის მოხდენა მან შეძლო მათემატიკის საფუძველზე, რადგან მათემატიკა ერთ-ერთ ყველაზე ზუსტ მეცნიერებად ითვლებოდა.

წყაროები გვაწვდიან ასეთ ინფორმაციას, რომ მიწიერთაგან ერთადერთმა პითაგორამ შეძლო სფეროს მოძრაობის ბგერათა მოსმენა. ბევრი ოკულტისტი ამას წმინდა წყლის სიყალბედ მიიჩნევს, მაგრამ ამ საკითხის შესახებ ამ მეცნიერებაში არ წყდება საუბარი.

ქალდეველები, ძველი კოლხები, რომლებიც განთქმული იყვნენ ჯადოქრობით და მისნობით. პირველნი იყვნენ, ვინც წამოაყენა თეზისი, რომ ციური სხეული, დედამიწა, მარადჟამ ასრულებს კოსმიურ ჰიმნს მარადიული მოძრაობის შესაბამისად. იოვი აღწერდა დროს ასეთი სიტყვებით: "როდესაც გათენებული ზეცის ვარსკვლავნი მღერიან ერთად" შექსპირი წერდა: "ვენეციელ ვაჭარში ასეთი ორბიტა, თუნდაც მცირე არსად არ არის, სადაც არ მღეროდნენ ანგელოზთა

ხმებით".

პითაგორა განიხილავდა სამყაროს, როგორც ერთსიმიან მონოქორდს, რომლის ერთი ბოლო მიმაგრებულია სულის აბსოლუტთან, ხოლო მეორე ბოლო მატერიის აბსოლუტთან. უბრალო ენით რომ ვთქვათ, სიმი დაჭიმულია ცასა და მიწას შორის. სხვადასხვა მონაცემებით პითაგორამ სამყარო დაყო ცხრა თუ თორმეტ ნაწილად. პირველ ვარიანტში სფერო იყო ემპირიული და უძრავი ვარსკვლავების თორმეტნაწილიანი ვარიანტით სფეროები იყო ასეთი მიმდევრობით დალაგებული: სატურნი, იუპიტერი, მარსი, მზე, ვენერა, მერკური, მთვარე, და მიწა.

პითაგორელები აძლევდნენ სახელწოდებებს დიატონიკურ შკალაზე ნოტებს და ეს დამოკიდებული იყო პლანეტების სიდიდეზე და სისწრაფეზე. ისწრაფვოდა რა თავიანთ ორბიტულ გზაზე პლანეტები, ეთერულ მტვერთან ხახუნის შედეგად გამოსცემდნენ განსაზღვრული ტონალობის ხმებს. ეს ტონები იყო მანიფესტაცია ღვთაებრივი წესრიგის, რომლებიც ქმნიდა უზენაეს ჰარმონიას. ეს თეორია იყო ძალზე ახლობელი ბერძნული ფილოსოფიისათვის და ისინი ანვითარებდნენ ამ მოსაზრებებს. სატურნი, როგორც შედარებით ყველაზე შორს მდებარე პლანეტა, გამოსცემს დაბალ ხმებს, მთვარე, როგორც ახლო მანძილის მაღალ ტონებს. შვიდი პლანეტის ბგერები და უძრავი სხეულების ჰარმონია, რომელთა თავზე მუზა-ღვთაება ანტიხტონია, წარმოადგენს მეცხრე მუზას და მთლიანობაში უწოდებენ მნემოზიონის სიმფონიას. ამ შვიდიდან პირველი ზეციური სფეროა, მეორე სარტყელი-წმინდა, ხმას როდესაც შვიდივე ზეციური სფერო გამოსცემს ხმას, ისინი ალავლენენ მარადიულ ხოტბას არსთა გამრიგესთან, უზენაესთან.

ძველი ინსტრუმენტები უმეტესად შედგებოდა შვიდი სიმისგან, პითაგორამ კი მას დაუმატა მერვე სიმი. შვიდი სიმი იყო ადამიანის შვიდ ნაწილად დაყოფილი სხეულის ანალოგია, ზოგი წყარო მას შვიდ სფეროსთან აიგივებს.

პითაგორელებს სჯეროდათ, რაც კი ამ სამყაროში არსებობს, აქვს თავისი ხმა და ყველა ხმა და ბგერა გამოიცემა შემოქმედის საქებრად და სადიდებლად. მათ ასევე სჯეროდათ, რომ ადამიანებს არ ძალუძთ დაიჯერონ ეს ზეციური ბგერები და ხმები, რადგან ადამიანთა სული გახლართულია მატერიალური არსებობის ილუზიაში. ისინი ამბობდნენ, რომ როდესაც ადამიანები განთავისუფლდებიან მიწიერი შეგრძნებებით, კვლავ გაისმება დედამიწის სფეროს მუსიკა, როგორც ანტიკურ ოქროს ხანაში. ამ დროს სხვადასხვა ჰარმონია შეერწყმება ერთმანეთს და მხოლოდ მაშინ, ადამიანის სული შეიცნობს თავის ღირსებას მთელი სისავსით და ისინი არამარტო მოისმენენ ზეციურ ქოროს, არამედ შეუერთდებიან მარადიულ ჰიმნს და სიკეთეს, რომელიც უსასრულოდ აკონტროლებს ჩვენი ყოფიერების და სულეთის არსებობას.

*მეთორმეტე პლანეტა*

*საიდან მოვიდნენ კოსმოსელები*

ადამიანი დამოუკიდებელი არ არის

მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს პოლონელი ჟურნალისტის არნოლდ მოსტოვიჩის სტატიის შემოკლებული თარგმანი, რომელიც კოსმოსური კონტაქტების ფრიად საინტერესო პრობლემას ეხება.

ინგლისელმა მეცნიერებმა კემბრიჯიდან ჯორჯ სასუნმა და როდნეი დალმა გამოაქვეყნეს დასკვნები მანანას (ბიბლიური ლეგენდის მიხედვით, საკვები, რომელიც ზეციდან უცვიოდათ ებრაელებს უდაბნოში სვლის დროს) მწარმოებელ მანქანაზე. მე-13 საუკუნის კაბალისტიკური წიგნის "ზეფერ ზოჰარის" მეტად დეტალური და უჩვეულოდ საინტერესო ანალიზის შედეგად, ისინი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ბიბლიურ მანქანას, და თანაც საკმაოდ რთულს, აწარმოებდნენ

სავსებით ჩვეულებრივი მიწიერი ზემოქმედების ძალები-რაღაც რთული ტექნიკური მოწყობილობა. შეუძლებელია, იგი შეექმნა ადამიანს 3500 წლის წინათ (ეგვიპტიდან ებრაელების გაქცევის პერიოდში), იმდროინდელ დედამიწაზე არსებული ტექნიკის საშუალებით. მხოლოდ ეს დანადგარი შეიძლება გამხდარიყო საფუძველი კოსმოსური ხომალდის შექმნისა და ამავე დროს, ადამიანებისათვის საკვების მოწოდების წყარო.

საჭირო პირველწყაროების მოპოვებისათვის აუცილებელი იყო "ზოჰარის" წიგნის წაკითხვა. ორივე ავტორმა შეისწავლა არამეული (რადგან ეს წიგნი სწორედ ამ ენაზეა დაწერილი) და ამავე დროს, ებრაული; მათი არგუმენტები ამტკიცებენ სრულიად უჩვეულო ამბებს, ხოლო "ზოჰარის წიგნზე" დაყრდნობით შესრულებული, მანქანის აღწერა საკმაოდ დახვეწილია.

თუ გულდასმით წავიკითხავთ ბიბლიას და თან ვირწმუნებთ მანანას რეალობის ისტორიას (რასაც თანამედროვე ისტორიკოსებიც ამტკიცებენ), აუცილებლად დაგვებადება აზრი, რომ მანანა შეუძლებელია ყოფილიყო ხილი ან რაიმე ფქვილი. მხოლოდ მანქანას შეეძლო ასეთი რეგულარობით ეწარმოებინა საკვები, თანაც ყოველი მეხუთე ულუფა გაორმაგებულად.

სასუნმა და დალმა სტატია "მანანას მწარმოებელი მანქანა" მოათავსეს 1977 წელს, საკმაოდ სერიოზულ ინგლისურ ჟურნალ "საიენსში". დავუბრუნდეთ პალეოასტრონომიის ყრილობაზე წაკითხულ რეფერატებს, რომელიც ჩატარდა 1979 წელს ქალაქ მიუნხენში და გავაკეთოთ დასკვნები:

პირველი დასკვნის გაკეთება შეიძლება ინჟინერ იოზეფ ბლუმრიხის რეფერატიდან. მისი აზრი ემთხვევა მსოფლიოს მრავალი მეცნიერიჰს აზრს, რომელნიც კვლევას აწარმოებდნენ პალეოსტრონომიაში. "....მართლაც, რომ არ უნდა დაიშურო ძალა და დრო, რათა შეაგროვო და ჩაიწერო პირველყოფილი ხალხის ლეგენდები და მითები.... უნდა ვიფიქროთ, რადგან ეს ხალხი მალე ჩვენი თვალთახედვიდან გაქრება..."

ბლუმრიხის რეფერატი ყრილობაზე შეეხებოდა ჰოპის ინდიელების შეხედულებას სამყაროსა და კაცობრიობის შესახებ. მათ განსაკუთრებით უჩვეულო მორათხრობს ორივე ამერიკაზე. აი, კიდევ ერთი წვეთი აუხსნელ თეთრ ლაქაზე, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც გასაღები. საიდუმლოებით მოცული ჩვენი ცივილიზაციის ასახსნელად. როგორც ბლუმრიხი ამტკიცებს, ჰოაპის ინდიელების მითოლოგია ძირითადად ეძღვნება ღმერთებს, რომლებიც რომელიღაც ვარსკვლავიდან ჩამოვიდნენ და გარკვეული დრო დედამიწაზე გაატარეს.

მეორე დასკვნა: ძველი ტექსტების, განსაკუთრებით ბიბლიისა და ინდუსების წიგნების ახალი თვალთახედვის და უფრო გულდასმით წაკითხვაა. ნუ დავივიწყებთ, რომ "ზოჰარის წიგნი", ძველ დროში, შავი მაგიის მიმდევართათვის ბიბლიის მაგიერი იყო, და წყარო მრავალი მისტიკური თეორიისა. აღმოჩნდა, რომ ამ წყაროს გულდასმით ამოკითხვა, შეიძლება გახდეს უჩვეულოდ მორგებული გასაღები წარსულის საიდუმლოებითა გახსნისა.

ახალგაზრდა შვეიცარიელი თეოლოგი ვალტერ ლანგბაინი მიუთითებს, თუ რამდენი შეცდომაა დაშვებული ბიბლიაში გადაწერის და თარგმნის დროს. ლანგბაინი თავის რეფერატში მიუთითებს აპოკრიფებს, რომლებიც, როგორც ჩანს, არ შესულა ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში. თუკი გულდასმით წავიკითხავთ გარკვეულ ფრაგმენტებს "ენოქის წიგნისა", ყოველგვარი ორჭოფობის გარეშე, შეიძლება აღმოვაჩინოთ ცნობები პალეოკონტაქტებზე, რომელიღაც არამიწიერი ცივილიზაციის წარმომადგენლების შესახებ და ჩვენი ცივილიზაციის განვითარებაზე.

მესამე დასკვნა-შუმერების საიდუმლოების ამოხსნა წინგადადგმული ნაბიჯი

იქნებოდა ჩვენი ცივილიზაციის შესწავლაში. ეს არის ხალხი, რომელიც უცბად, მოულოდნელად, ვულკანის ამოფრქვევასავით გაჩნდა კაცობრიობის შექმნის პირველ დღეებში მესოპოტამიის ჩრდილო- აღმოსავლეთ ნაწილში. მისი კულტურისა და ცივილიზაციის ისტორია დღითი დღე მდიდრდება ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების შედეგად. სწორედ ამიტომ, ნამდვილი სენსაცია მოახდინა ამერიკელი ორიენტალისტის ზაკარი სიჩინის რეფერატმა მიუნხენის ყრილობაზე. სიჩინი სპეციალიზდება შუმერების ისტორიაში, ხალხისა, რომელიც ისტორიაში გაჩნდა 6000 წლის წინათ.

სიჩინის ცნობები ეყრდნობა გათხრების უახლეს მასალებს. შუმერებს ჰქონდათ ცოდნის საოცარი მარაგი მეცნიერების ნებისმიერ სფეროში, ჰქონდათ განვითარებული ლიტერატურა და განუმეორებელი ხელოვნება. მაღალ დონეზე იყო მათი მედიცინა, კულინარია, მაგრამ წარმოუდგენლად დიდია მათი ცოდნა ასტრონომიაში. შეუძლებელია ასეთი ცოდნის შეძენა საკვლევი აპარატურის გარეშე.

შუმერებს ჰქონდათ დეტალური ცნობები მზის სისტემის შესახებ. იცოდნენ, რომ მზე არის ცენტრში და მის გარშემო ბრუნავს ყველა პლანეტა. იცოდნენ 199 წლის წინ აღმოჩენილი ურანის, 133 წლის წინ აღმოჩენილი ნეპტუნის, 50 წლის წინ აღმოჩენილი პლუტონის არსებობა. საიდანაა ასეთი ცოდნა? ვერცერთი მეცნიერი ვერ შეძლებს ლოგიკური პასუხი გასცეს ამ შეკითხვაზე. სიჩინი ამტკიცებს, რომ ერთადერთი პასუხი ამ ამოცანისა, შეიძლება იყოს ფაქტი, რომ ეს ცოდნა განვითარებული კოსმოსური ცივილიზაციის წარმომადგენლების მიერ არის გადმოცემული. სიჩინს საამისოდ ბევრი არგუმენტი აქვს.

დედამიწა, როგორც ცნობილია, არის მესამე პლანეტა მზის სისტემაში, თუკი თვლას მზისგან დავიწყებთ. შუმერები კი მას მე-7 პლანეტად მიიჩნევდნენ. ეს სწორი იქნება მაშინ, თუკი თვლას ზემოდან დავიწყებთ. ზემოდან კი დაითვლიდა მხოლოდ ის, ვინც ზემოდან უყურებს გალაქტიკას, ან ზემოდან მოვიდა,-ამტკიცებს სიჩინი.

სიჩინი არის ავტორი წიგნისა, რომელიც თითქმის ორი ათეული წლის წინათ გამოიცა და დღემდე იჭაური ბაზრის ბესტსელერად ითვლება. წიგნს ეწოდება "მე-12 პლანეტა".

პირველი საბუთი ამისა არის შუმერული ტექსტი სახელწოდებით "ენემუ ელიშ". გარკვეული დროის განმავლობაში ამ ტექსტის მეცნიერები მითად თვლიდნენ, სინამდვილეში კი, იგი ფართო მკითხველისთვის შესრულებული სამეცნიერო ნაშრომია, აქ მოცემულია ჩვენი მზის სისტემის სტრუქტურის აღწერა, მისი წარმოშობა. აქვე ლაპარაკია პლანეტა ნიმირუზე ანუ მარდუკზე. ჩვენი მზის სისტემის შექმნიდან სულ მალე მოხდა მისი ორბიტის მიზიდვა ზემოთ არსებული პლანეტის გრავიტაციის ძალით. კოსმოსიდან ამ განზიდვამ გამოიწვია საშინელი ცვლილებები, შეჯახებები, ნგრევა. დაიშალა მარსსა და იუპიტერს შორის არსებული პლანეტა "ტაიმატი". ამის შედეგად, ამბობს შუმერების მითი, შეიქმნა, ერთი მხრივ, ასტეროიდების ზოლი (რომელიც დღემდე არსებობს), მეორე მხრივ-დედამიწა და მთვარე ამის გარდა, მარდუკს არავითარი ზიანი არ მოუტანია.

მეორე საგნობრივი მტკიცება არის ბერლინის მუზეუმში არსებული შუმერული ჩანაწერები, რომელზეც გარკვევით არის ჩახატული ჩვენი სისტემა. თუკი ამ სქემას გავადიდებთ და შევადარებთ თანამედროვეს, ვნახავთ, რომ ისინი ერთმანეთის ასლებია. და მაინც, ამ ორ სქემას შორის, დაკვირვებული კაცი აღმოაჩენს მცირე განსხვავებას. შუმერების სქემაზე მარსსა და იუპიტერს შორის არის პატარა რგოლი, რაც აკლია თანამედროვე სქემას. ის წარმოადგენს

ჩვენთვის უცნობ ობიექტს. სიჩინის აზრით, სწორედ ეს არის პლანეტა მარდუკი.

ამ პლანეტაზე ამყარებს მე-12 პლანეტის ავტორი თავის იმედებს. აქ ვარაუდობს იგი განვითარებული ცივილიზაციის არსებობას. სწორედ აქედან მოვიდნენ ჩვენთან "მცველები", რომელთაც გარკვეულად განაპირობებს კიდეც ადამიანის განვითარება. ამავე დროს, ისინი წინასწარ განზრახვით მოვიდნენ. ამაზე მეტყველებს ის, რომ მათ სცადეს "ადამიანის მსგავსი" მაიმუნის ჩონჩხი გადაეკეთებინათ "ინტელიგენტის საწყისად". ეს ბოლო აზრი, რა თქმა უნდა, მხოლოდ სიჩინს ეკუთვნის. ამ ჰიპოთეზის დაჯერება ძნელია...ახლა კი კვლავ დავუბრუნდეთ წიგნის ფრაგმენტებს გერმანულ გამოცემაში,-შესავალში ვკითხულობთ:... ვამტკიცებ, რომ ჩვენს მზის სისტემაში არსებობს კიდევ ერთი პლანეტა. როცა ეს წიგნი გამოჩნდა, ყველა ჩემი წინააღმდეგი იყო, ჩემს მხარეზე იყო მხოლოდ ტექსტი და შუმერების მიერ შესრულებული სურათები, აგრეთვე ძველი აღთქმის ისტორია. ახლა კი, დიდი სიხარულით ვურთავ თან ამ შესავალს გერმანულ გამოცემას. რამდენიმე თვის განმავლობაში ასტრონომები მივიდნენ დასკვნამდე, რომ მართლაც არსებობს ჩვენს სისტემაში კიდევ ერთი პლანეტა-პლუტონის იქით, სწორედ იქით, სადაც ვვარაუდობდი.

ეს აზრი დაიბადა მას შემდეგ, რაც ვაშინგტონის ზღვისპირა ობსერვატორიის ასტრონომებმა 1978 წლის ივნისში დაამტკიცეს, რომ პლუტონის მასა ბევრად უფრო პატარაა, ვიდრე დღემდე ეგონათ. ის თითქმის თვალის ზომისაა. პლუტონს არ შეუძლია განაპირობოს ნეპტუნის ზიგზაგისებრი, არარეგულარული ორბიტა.

რამდენიმე კვირის წინ მაცნობეს, რომ ალბათობა უფრო მეტ სიმყარეს იძენსო და დაიწყო ძებნა ისეთი პლანეტისა, მე-12 პლანეტის, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დიდმა ასტრონომებმა აღიარეს, რომ 6000 წლის წინათ შუმერებმა იცოდნენ უფრო მეტი, ვიდრე ჩვენ დღესდღეობით... იმედს არ ვკარგავთ, რომ მეორედ აღმოაჩენენ ერთხელ უკვე აღმოჩენილ პლანეტას. მაშინ მაინც გამოუტყდებით ჩვენს თავს, რომ ადამიანი დამოუკიდებელი არ არის.

## სოლომონის ტაძრის აშენების მისტიკა.

*ხირამის მკვლელობა, მასთან დაკავშირებული სიმბოლოები. მასონობა*

როდესაც ღმერთის რჩეული ისრაელის მეფე სოლომონი ავიდა თავისი მამის დავით წინასწარმეტყველების ტახტზე, მან გადაწყვიტა აეშენებინა ტაძარი, რომელიც იქნებოდა ისრაელის მეფეთა მფარველი და ღმერთის თაყვანი. ტირინეის მეფე ხირამმა გაიგო რა ეს ყველაფერი, თავის მეგობრის, დავით მეფის შვილს მიულოცა და შესთავაზა, თანადგომა და შემწეობა საღვთო საქმეში. ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი გვაუწყებს ამ საქმესთან დაკავშირებით გაგზავნილი წერილების ასლები ბევრმა ნახა როგორც ტირინეიში, ასევე იერუსალიმში. ხირამმა ებრაელებს ამ საქმეში დიდი დახმარება აღუთქვა და გაუგზავნა კედრის ხეები ქვის მთლელები, კალატოზები, სამაგიეროდ კი მიიღო მათგან ხორბალი, ერბო და მცირეოდენი ოქროც. დახმარება, ამ გაცვლის ბალანსით ებრაელთა სასარგებლოდ მეტყველებდა, ყველაზე დიდი დახმარება კი იყო ტირინეის მხრიდან ის, რომ მეფე ხირამმა გაუგზავნა წარმოშობით ებრაელი არქიტექტურის დიდოსტატი დიონისე ხირამ აბიფფა, რომელსაც იმდროინდელ მსოფლიოში არ ჰყავდა სწორი ხუროთმოძღვრებაში. 1771 წელს გამოსული მასონური ლექსიკონი, ხირამს ახასიათებს დიდოსტატად, რომელიც უანალოგოა თავისი მაღალპროფესიულობით არამარტო არქიტექტურაში, არამედ იგი თანაბარი წარმატებით ფლობს ვერცხლზე, ოქროზე, გობელინზე, სპილენძზე, ქსოვილზე არსებულ საიდუმლოებებს. იგი (ხირამი) დაინიშნა ყველანაირი სამუშაოების და ოსტატების სამუშაოთა შესრულების შემმოწმებლად.

მიუხედავად იმისა, რომ იშვიათია ისეთი მზადება სატაძრო მშენებლობისათვის,

როგორიც სოლომონის ტაძარი, იგი არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული მოცულობით, მსოფლიოს გრანდიოზულ ნაგებობათა შორის,-ამ ცნობას გვაწვდის ჯორჯ ოლივერი.

ტაძარზე გამოყენებული იყო ძალზე დიდი რაოდენობის ოქრო და ძვირფასი ქვები. ტაძრის შუაგულში მოთავსებული იყო ყველაზე წმინდა ადგილი, რომელსაც სამისნოსაც უწოდებდნენ. ეს იყო ყველა პარამეტრით დაცული ზუსტი კუბი, რომლის ყველა ნეკნი იყო ოცი მტკაველის. ნაგებობა ატარებდა ეგვიპტური სიმბოლიზმის ანარეკლს. სატაძრო მშენებლობის მთელი კომპლექსი გარშემორტყმული იყო 1453 ულამაზესი მარმარილოს დიდი სვეტით, ასევე 2906 მცირე სვეტით და მათზე დამაგრებული თავებით. ფართო ტალანი მიმართული იყო აღმოსავლეთისაკენ, ხოლო საკურთხეველი დასავლეთისაკენ. ტრადიციის თანახმად, მთელი სატაძრო კომპლექსი იტევდა 300.000 კაცს. საკურთხეველი და საწმინდანო მოპირკეთებული იყო ოქროს ფირფიტებით და მოჭიქული ძვირფასი ქვებით. ტაძრის მშენებლობა მიდიოდა სოლომონ მეფის მმართველობის 11 წელიწადს, ხოლო ტაძარი თალში მოექცა ოთხი წლის მშენებლობის ვადაში. ტაძრის ასაგები ნაწილები მზადდებოდა ისეთი სიზუსტით და მოცილებულად ტაძრიდან, რომ მშენებლობა მიდიოდა სიჩუმეში ყოველგვარი ჩაქუჩის, დავის, ნაჯახის და სიცრუის გარეშე. ასე გადმოგვცემს ამ ამბავს მისტიკოსი ჰოლი.

1723 წელს ლონდონში და 1734 წელს ფილადელფიაში გამოვიდა ანდერსენის წიგნი "მასონების კონსტიტუცია", სადაც მოცემულია, რომ: "არც ხირამ დაგონს, არც ტირინეის და სიდონის საუკეთესო ნაგებობებს არ შეეძლოთ გათანასწორება იერუსალიმის ღმერთის თაყვანისაცემ მარადიულ ტაძართან...სადაც სოლომონ მეფის ხელმძღვანელობით მობილიზებული იყო 3600 თავადი. იგივე ოსტატი-მასონი, 80000 ქვისმთლელი, იგივე ოსტატთა მეგობარი, და 70000 მუშახელი, სულ 153600, მათში არ შედიოდა ის მუშები (30000), რომლებიც მთებში ეძებდნენ ლითონის ძვირფას წიაღისეულს. დანიელ სიკლი 7000-მდე ოსტატს მიიჩნევს ტაძრის მთავარ მშენებლებად, რომელთაც ჰყავდა 3 დიდოსტატი, და ტაძრის მშენებლობას აფასებს 4 მილიარდ დოლარად.

მასონების ლეგენდა ტაძრის მშენებლობაზე მკვეთრად განსხვავდება პისანიის ვერსიისგან, განსაკუთრებით იმით, რაც შეეხება ხირამ აბიფას. ბიბლიის თანახმად, ოსტატი ხირამ აბიფი დაბრუნდა სამშობლოში და იგი იქ იქნა მოკლული შემზარავი ხერხებით, რაც სიმბოლურად ეხმიანება მასონურ ალეგორიას. ამასთან დაკავშირებით ა. უეიტი წერს: "მასონების ახალ ენციკლოპედიაში"-ლეგენდა მასონ დიდოსტატზე არის უბრალოდ მასონობის ალეგორია. თვითონ ფაბულა დაფუძნებულია იმაზე, რომ ეს სახელი მოხსენიებულია ბიბლიაში, მაგრამ ამბავის დეტალები შემთხვევითია და არ არსებობენ. აქ მთავარია ალეგორია და არა ისტორია.

ხირამმა მუშები დაყო სამ ჯგუფად: ქვეოსტატები, ხელოსანთა მეგობრობა და ოსტატი ქვისმთლელები (მასონები). ყველა ჯგუფს ჰქონდა თავისი პაროლი, რომლის დახმარებით იგებდი, ვის ეკუთვნოდა მომუშავე პირი. მუშათა შორის ბევრს ჰქონდა იმის პრეტენზია ჰქონოდა უფრო მაღალი პოზიცია მშენებლობაზე, ვიდრე ჰქონდათ. საბოლოოდ შეიკრიბნენ იმისთვის, რომ დახვედროდნენ ხირამს და მისთვის იძულებით წესით ეთქმევინებინათ პაროლი ოსტატთა ხარისხისა. ხირამი შუადღეს ყოველთვის დადიოდა სალოცავად საწმინდანოში. სამი შეთქმული, რომელთა სახელებს ისტორია ჯუბელას, ჯუბელოს და ჯუბელუმის სახელით გვაწვდის, ელოდნენ ტაძრის მთავარ შესასვლელთან, თითეული შესასვლელის სამივე მხარეს. ხირამმა პირველად გადაწყვიტა ტაძარი დაეტოვებინა სამხრეთის კარიბჭიდან, სადაც მას დახვდა 24 დიუმიანი სახაზავით შეიარაღებული ჯუბელა.

ამ უკანასკნელის მოთხოვნაზე ეთქვა ხირამს პაროლი, მიიღო უარი, რისთვისაც ჯუბელამ ხირამს ყელში სახაზავი უთავაზა და დაჰკრა. ხირამი გაიქცა დასავლეთის კარიბჭისკენ, აქ მას დახვდა ჯუბელო, რომელიც იგივე სცენის განმეორების შემდეგ დიდოსტატს მკერდში უთავაზებს სამკუთხედს. დაბნეული ხირამი ამჯერად აღმოსავლეთის კარიბჭისკენ გაიქცა, სადაც მას დახვდა ჯუბელუ და იქაც უარის თქმის შემდეგ ჩაქუჩის თვალთაშუა ჩარტყმით მოკლავს მას.

ხირამის გვამი მკვლელებმა დამარხეს პატარა ბორცვზე და საფლავზე დარგეს აკაციის ტოტი.

მკვლელებმა ამის შემდეგ გადაწყვიტეს გაქცეულიყვნენ ეთიოპიაში, მაგრამ ქალაქი, განსაკუთრებით პორტი ჩაკეტეს. სამივე შეთქმული და მკვლელი დააკავეს, აღიარეს დანაშაული და შემდეგ სიკვდილით დასაჯეს. ამის შემდეგ მოძებნეს ხირამის საფლავი, სადაც ტოტს ეხარა და აყვავილებულიყო. ოსტატები ბევრს ეცადნენ და ვერ შეძლეს ხირამის გვამი გაეცოცხლებინათ. ამიტომ საბოლოოდ შერაცხეს უდიდეს ოსტატად, რომელსაც ასეთი ტიტული მიანიჭეს **Сильной хваткой львиных лап.**

ხირამ აბიფის მისტიკური ინიციაცია ასეთია: "ჩემი მამა უნივერსალური სულია, ერთარსისა სამმაგ ასპექტში". ამგვარად მოკლული დიდოსტატი ეს არის კოსმიური მოწამის ტიპი, ჯვარცმული კეთილი სული, მომაკვდავი ღმერთისა. ეს არის მისტერია, რომელიც სრულდებოდა მთელი მსოფლიოს მასონთა მასშტაბით.

სიტყვა ხირამი არის შედგენილობა სამი ხმოვანი ბგერის: XXX უფრო უკეთ არის ხეთ, რეშ და მემ. 1) X (ხემი) ნიშნავს ხამახს, მზის სხივს, უნივერსალურ, თვალითშეუღწევად ცივ ცეცხლს ბუნებისა, რომელსაც იტაცებს ცეცხლი და ვლინდება ბუნებაში შუქის საშუალებით და უგზავნის ყველას პლანეტარულ სხეულს, რომელიც მზის სისტემას ეკუთვნის. 2) რეშ, X ნიშნავს რუახს იგივე სულს, ჰაერს, ქარს, საშუალებას, რომელსაც გადააქვს და აგროვებს სინათლეს და უამრავ ფოკუსების რაოდენობას, იმ დროს, როცა მზის სხივთა სინათლე იღვიძებს მრგვალი მოძრაობით და ამჟღავნებენ თავის თავს სითბოთი და მწველი ცეცხლით 3) მემ-ი X ნიშნავს მაჯიმს იგივე წყალს, ტენს და ყველაზე მეტად წყლის დედას, უფრო უკეთ რომ ვთქვათ, რადიკალურ ტენს, ან რომელიღაც კონდენსირებულ ჰაერს. ყველა ეს სამი უნივერსალური აგენტი (ელემენტი) ან თუ გნებავთ ბუნების ცეცხლი გამოიხატება ერთ სიტყვაში XXX ხირამი.

ალბერთ პაიკი სიტყვა ხირამის ფორმას ხსნის ინდუისტური წმინდა ბგერით ემით, ან ომით. რომელიც მიღებულია მისი სამი მკვლელის სახელიდან. პაიკი ასევე უფარდებს სამ ყაჩაღს ვარსკვლავთა ტრიადას სასწორის თანავარსკვლავედთან და ყურადღებას აქცევს იმ ფაქტს, რომ ქალდეველთა ღმერთი ბელი, რომელიც ებრაელებისთვის დემონად იქცა, ჩნდება სამივე მკვლელ-შეთქმულთა სახელიდან ჯუ-ბელ-ო, ჯუ-ბელ-ა, და ჯუ-ბელ-უმ. იმისთვის, რომ უფრო კარგად მოვახდინოთ ხირამის ინტერპრეტაცია, საჭიროა გავეცნოთ პითაგორიზმის და კაბალისტიკურ რიცხვთა და ასოთა სისტემებს, ასევე ეგვიპტის, ქალდეის და ბრამინის ასტრონომიულ და ფილოსოფიურ ციკლებს. მაგ. ციფრი 33. სოლომონის პირველმა ტაძარმა იარსება 33 წელიწადი, რომელიც დაანგრია ეგვიპტელმა ფარაონმა შიშაკომ. მეორედ ტაძარი 588 თუ 586 (ძვ.წ.) წელს იქნა მთლიანად დანგრეული ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორის მიერ, ხოლო ებრაელი ხალხი ტყვედ იქნა წაყვანილი ბაბილონში. 33 წელიწადს მართავდა იერუსალიმს დავით წინასწარმეტყველი. ზოგი ცნობით 40, მასონური ორდენი დაყოფილია 33 სიმბოლურ ხარისხად. ადამიანის ხერხემალში არის 33 სეგმენტი და იესო ქრისტე ჯვარს აცვეს 33 წლის ასაკში.

ცდა იმისა, რომ ავხსნათ ხირამზე ლეგენდა, ჯერ კიდევ შორეულ

წარსულშიც იყო, მაგრამ ბოლო და მკვიდრ გადაწყვეტილებამდე მისვლა უჭირდათ. თანამედროვე მასონური მოძრაობის მკვლევარები უშვებენ, რომ ხირამის მკვლელობა დაფუძნებულია ოსირისის რიტუალს, რომლის სიკვდილი და აღდგომა ფიგურალურად გამოსახავს ადამიანის სულიერ სიკვდილს და მის აღორძინებას მისტერიის ინიციაციით. ხირამს ასევე აიგივებდნენ ჰერმესთან, ზურმუხტის ცხრილის მიხედვით, რომლის თანახმად ხირამი უნდა განვიხილოთ როგორც კაცობრიობის პროტოტიპი. სინამდვილეში კი არის პლატონური იდეა (არქეტიპი) ადამიანისა. ისევე, როგორც ადამი დაცემის შემდეგ იყო სიმბოლო იდეა ადამიანური დეგრადაციისა, ასევე ხირამიც თავის აღდგომით არის სიმბოლო კაცობრიობის აღორძინების.

ვისთან აიგივებდნენ ხირამის მკვლელობას მისტიკის ალეგორიაში?

მისტერიებში ლირა ითვლებოდა ადამიანის კონსტიტუციის საიდუმლო სიმბოლოდ, ინსტრუმენტის კორპუსი წარმოადგენდა ფიზიკურ სხეულს, სიმები ნერვებს, მუსიკა-სულს.

ახლა გადავიდეთ მისტიკის ალეგორიაზე (ხირამთან დაკავშირებით)

ხირამის მკვლელები იყვნენ სამნი და მათ მისტიკაში აიგივებდნენ სამ აგენტთან კესარია (სახელმწიფო), სინედრიონი (ეკლესია) და აღელვებული ხალხის მასა (ბრბო)

მეორეს მხრივ ხირამის მკვლელებს აიგივებდნენ ჟაკ დე მოლე მკვლელებთან-პაპი, მეფე, ჯალათი.

*ფიქრები ტვინზე-ტვინი და მისი უმრავლო ისტორია.*

ყველაზე ღრმად, ვრცელად და აკადემიურად ყველაფერზე ბერძნული ფილოსოფია მეტყველებს. ყველა სხვა დროის და ქვეყნის ფილოსოფია ფრაგმენტულად ხან ძლიერია, ხან მკრთალი შუქი ასხივებს. მიუხედავად ამისა, ძველი გენიალურნი ტვინზე არსებითად არაფერს ამბობენ, უფრო მეტიც სდუმან. ერთადერთია ის, რომ ისინი ადამიანის სხეულის და გონებრივი ძალის ახსნისას, ღმერთის ადგილად მიიჩნევენ ტვინს. მაგრამ ეს არსებითად არაფერია, ამას უბრალო ლამაზი პოეტიც მიაგნებდა.

ტვინის ფიზიოლოგია-გენიალურობის დროს ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ, შემოქმედებითი აღმაფრენის დროს ტვინის უჯრედებს მიეწოდება იდეალური მოცულობით. საკვები-(სისხლი,) ეს არც ბევრი შეიძლება იყოს და არც ნაკლები. ეს ურთიერთკავშირი რაღაცით მიწის მორწყვას წააგავს. არც გვალვაა კარგი მიწისთვის და არც წყალდიდობა. ეტყობა ეს ზომიერება ადამიანის ამ უმთავრეს ორგანოშიც უნდა იქნას დაცული.

შეუძლებელია ადამიანებმა შეაბიჯონ ტვინის სიღრმეში, გამორიცხული არაა, რომ ახალ საცხოვრებელ პლანეტას გახსნის დედამიწა უახლოეს 100 წელიწადში, მაგრამ ტვინი არასოდეს არ გახდება ადამიანთა სრულყოფილად ათვისების საგანი, რადგან თუ ეს უკანასკნელი მოხდა, ყველაზე მდიდარნი შეძლებისდა შესაბამისად შექმნიან იმდენ გენიოსებს, რამდენიც ენებებათ.

ცნობილმა მკვლევარმა სერგეი საველიევმა შექმნა ადამიანის ტვინის სტერეოსკოპული რუკა და თქვა თავის ტვინის ე.წ. ველების ურთიერთკავშირი განსაზღვრავს ადამიანის ტალანტს, მაგრამ ყოველივე ეს კარგია, მაგრამ სრული შეცნობის ფაზამდე, საკმაოდ შორი მანძილია.

სხვადასხვა გამოკვლევით დადასტურებულია, რომ თავის ტვინის ფუნქციურ-მორფოლოგიური აღნაგობის გაუთვალისწინებლობის გამო, პლანეტის მოსახლეობის მხოლოდ 8% ეწევა მასში არსებული ტალანტის შესაფერის საქმიანობას. ეს იგივეა, რომ შეიძლება უნიჭიერესი მუსიკოსი ან ფერმწერი სანტექნიკად მუშაობდეს.

ლენინის სიკვდილის შემდეგ, მოსკოვში მოიწვიეს გამოჩენილი გერმანელი ნევროპათოლოგი ოსკარ ფოგტა. მას მიანდეს შეესწავლა მშრომელთა "ბელადის" ტვინის ქერქი და მისი შიგა ნაწილის უჯრედული აგებულება, რათა შემდგომ შეექმნათ მითი მის განსაკუთრებულ გენიალურობაზე. ამ მიზნით მთავრობის 1928 წლის გადაწყვეტილებით, შეიქმნა სპეციალური საიდუმლო ლაბორატორია, რომელიც შემდგომ სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტად გადაკეთდა. ტვინების ამ ორიგინალურ საწყობში, დღემდე მშვიდად განისვენებს ისეთ ცნობილ ადამიანთა ტვინები, როგორიც იყვნენ გორკი, კუიბიშევი, ლუნაჩარსკი, მაიაკოვსკი, მიჩურინი, ციოლკოვსკი და სხვები. აქ ისინი დაკონსერვებული არიან ფორმალინის ხსნარში და სპირტში. ისინი დაყოფილნი არიან ბლოკებად და პარაფინით არიან დაფარული ოსკარ ფოგტას მიერ შექმნილი ხელსაწყოთი "ბელადის" ტვინზე 300-ზე მეტი უთხელესი კვეთა გაიკეთეს. 1936 წელს სტალინმა მოინდომა საიდუმლო ლაბორატორიის შედეგებს გასცნობოდა, მაგრამ არაფერი ხელშესახები ამ ფრიად ორიგინალურ ნაწილზე არ არსებობდა, თავად მკვლევარი კი სამშობლოში იმყოფებოდა. ერთადერთი, რაც მეცნიერებმა ერთხმად აღიარეს, იყო მისი მრავალნაოჭიანობა და ტვინის სიდიდეს არანაირი მნიშვნელობა არ გააჩნდა. ჩანს, რომ მრავალნაოჭიანობა მისი აზროვნების მრავალფუნქციურობას უკავშირდება, რაც შეეხება ტვინის მოცულობას, მასაც არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნია, თვით პატარა ზომის ტვინითაც, ადამიანს მაქსიმალური შესაძლებლობა ათვისებული არა აქვს სრულად გამოყენების თვალსაზრისით, რადგან მასზე რჩება ადგილები, სადაც ადამიანს შეეძლო იგი შეევსო აზროვნებით, რაც გამოიწვევდა მეტ ნაოჭს, მათ კი ეს შესაძლებლობა ბოლომდე არასოდეს არა აქვთ შევსებული. სტატისტიკის მოყვარულთ კი ვაცნობებთ, რომ ტვინის სიდიდით პირველობა დღემდე ეკუთვნის ტურგენევს, და სიმცირით ანატოლი ფრანსს, მაგრამ მათ გენიალურობაზე არცერთისათვის ხელი არ შეუშლიათ. ადამიანის ტვინის საშუალო ზომად მიღებულია 3-დან 4 კილოგრამამდე მასა. ფრანსის ტვინზე წყაროები სხვადასხვა ციფრს გვაწვდიან უმეტესად 1 კგ. და 17 გ. ტურგენევი 12 კგ-ს აჭარბებს.

ლენინის ტვინის შესახებ კი არის ბოლოდროინდელი დახასიათება ასეთი შინაარსით: "მარცხენა ნახევარსფეროზე დარბილების კერები აღინიშნება თხემის არეში და მთილიანად მოიცავს ზედა და ქვედა თხემის ხვეულებს. დაზიანებულია წინა ცენტრალური ხვეული და ნახევარსფეროს ზედაპირის მნიშვნელოვანი ნაწილი. ბუნებრივია, ამ დაკვნებით ძნელია კონკრეტული შეფასების მიცემა, მაგ: ამ დაიზანებებს რა ორგანოებზე შეიძლებოდა ემოქმედა ან რა ხარვეზული გამოვლენები ჰქონდა? ვარაუდობენ, რომ წინა ცენტრალური ხვეული სამოძრაო ფუნქციებზე იყო პასუხისმგებელი, რაც ბელადს სიცოცხლის ბოლო თვეებში სრულიად ჰქონდა მოშლილი, ხოლო ტვინის მარცხენა ნახევარსფეროს საფეთქლის ნაწილის ქერქის ზედა და შუა ზონები სპეციფიკურადაა დაკავშირებული მეტყველების აპარატთან. სენის ძირითადი მიზეზი აღმოჩნდა საერთო ათეროსკლეროზი, ტვინის სისხლძარღვების მძიმე დაზიანებით, რომელიც ადგილ-ადგილ სრულიად დახშული იყო, რამაც ლიმფისა და სისხლის მიმოქცევის, ანუ ტვინის სისხლით კვების დარღვევა გამოიწვია. მოხდა მძიმე დამბლა და მეტყველების დაკარგვა. ამ ავადმყოფობის დროს ადგილი ჰქონდა ასეთ შემთხვევას, ლენინს სთხოვეს 12 გაემრავლებინა 7-ზე, რაც მან ვერ შეძლო, ზოგიერთი მონაცემებით ლენინმა ეს შეძლო, მხოლოდ ასეთ ფორმით, თორმეტჯერ მიუმატა 7-იანი ერთმანეთს და ასე მიიღო პასუხი. ამდენად თუ ეს უკანასკნელი მართალია, ამ დროს მისი ტვინი ყოფილა 6-7 წლის ბავშვის შესაძლებლობის დონეზე. ისიც უტყუაროდაა ცნობილი, რომ კრუპსკაია სიცოცხლის ბოლო თვეებში წერა-კითხვას ასწავლიდა მეუღლეს. მხოლოდ ტვინის კომპენსატორულმა თვისებებმა შეაძლებინეს ვლადიმირ

ილიას-ძეს ამავე პერიოდში ეკარნახა (1923 წლის თებერვალში) თავისი ცნობილი პოლიტიკური ანდერძი "წერილი ყრილობას", რომელიც მდივანმა პირადად გადასცა სტალინს. ათეროსკლეროზის ფონზე გამოვლინდა მანიაკალური სიმპტომები, თავის ტკივილები, გალიზიანება, დეპრესია, არაადექვატური რეაქციები, ეგოცენტრიზმი და სხვა. ყოველივე ეს თვისებები აღენიშნებოდა კიდეც "გენიოს" პაციენტს.

1922-1923 წლებში მისი მკურნალები უმრავლესობა ნევროპათოლოგები და ფსიქიატრები იყვნენ. სახელმწიფო კი მათ უხდიდა საკმაოდ სოლიდურ თანხას, ბორხარდტს გადაუხადეს 20 000 გერმანული მარკა, ფერსტერიუს 5000 ფუნტი სტერლინგი (პირველი ჩამოსვლა) და 2500 (მეორე), მინკოვსკის 4400 ფუნტი სტერლინგი, ბუმკეს 19500 დოლარი და ა.შ. ფოგტი, რომელიც გერმანიაში აგრძელებდა ლენინის ტვინზე მუშაობას, ჰიტლერის სათავეში მოსვლის შემდეგ შეცვალა ლენინის ტვინთან დამოკიდებულება, რადგან ფიურერმა ასეთი შეფასება მისცა ბოლშევიზმის "მოზგს", ეს ტვინი კი არა, ბამბაა.

გენიალურობის განმსაზღვრელ ელემენტებს ალბერტ აინშტაინის ტვინშიც ეძებდნენ და კიდევ უფრო ადრე, ბლეზ პასკალის ტვინსაც ბევრი უტრიალეს, მაგრამ გარდა ნაოჭებისა, სხვა უფრო არსებით და სერიოზულ დასკვნამდე ვერ მივიდნენ. ყოველი ტვინის შესწავლისას სტანდარტულად იმეორებენ უბრალო სიმართლეს. ყოველი ადამიანის ტვინი ისევე უნიკალურია, როგორც თითებზე გავლებული ხაზები. სხვა ყველაფერი ჯერჯერობით ამოუცნობი და შეუღწევადია. ფაქტია, რომ მოცარტის ტვინის სმენითი უჯრედები (ველი), ძლიერი და ხშირი ბადეებით იქნებოდა დაფარული.

ერთ-ერთმა ამერიკელმა მანიაკმა კაროლ კოენმა, რომლის კისერზე 7 ქალის მკვლელობა იყო, სასიკვდილო განაჩენის გამოტანისას კმაყოფილება გამოთქვა მოსამართლეთა განაჩენით და მხოლოდ ეს დაიბარა, რომ კარგი იქნებოდა, მისი სიკვდილის შემდეგ, შეესწავლათ მისი ტვინი.

ამ ევერესტის მკვლევარებს კი არც პირამიდულმა უჯრედებმა უშველეს, თხემის გადიდებულმა ზონამ, რომელსაც ყველაზე ხანგრძლივად მიიჩნევდნენ, გენიალურობის ნიშნად ვერ გაამართლა. ფიქრობენ, რომ გენიოსები თავიანთ შესაძლებლობებს უფრო მეტი ეფექტურობით იყენებდნენ, ვიდრე ჩვეულებრივი მოკვდავნი. ასევე არ არსებობს იმის საფუძველი, რომ ვიფიქროთ თითქოს ტვინის ქსოვილებშია რაღაც ხილული განსხვავება გენიოსსა და ჩვეულებრივ ადამიანს შორის.

თანამედროვე მეცნიერები ტვინის კვლევისას, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულთ ტვინის სიდიდით და განლაგებით კი არ ხსნის, არამედ მათი შემაერთებელი კომუნიკაციების მრავალფეროვნებით.

სწორედ ეს სისტემა გახდა ნეიროსისტემის პრინციპზე სუპერკომპიუტერის შექმნის საფუძველი.

ტვინზე ასეთი შინაარსის აზროვნების შექმნისას, არ არსებობდა სხვა რაიმე უფრო მტკიცე კატეგორიებით სათქმელი, მხოლოდ ვეცადეთ, რომ გვეჩვენებინა აისბერგის ის უხილავი ნაწილი, რომელიც მუდმივად საიდუმლოებითაა მოცული.

*ტვინი*

ფილოსოფოსმა რენე დეკარტმა თქვა, "ვაზროვნებ, ე.ი. ვარსებობ". აზროვნება ადამიანში ღმერთისგან მინიჭებული მადლის, ყველაზე დიდი ძალამოსილებაა, ძველი ბერძენი ფილოსოფოსები აზროვნების სამ ძირითად ფორმას ანიჭებდნენ უპირატესობას: სიბრძნე, სამართლიანობა და სიმამაცე, ზოგიერთის აზრით, არის მეოთხეც თანაბარზომიერება.

19 მილიარდი სინათლის წლის წინათ, კოსმოსში მოხდა უეცარი აფეთქება, ვარაუდობენ, რომ ეს მოხდა მზეზე, რომლის შედეგად წარმოიშვა სამყარო.

აქედან იღებს ათვლას ზოგადად გონების არსებობა და მისი სიცოცხლე 19 მილიარდი წელიწადია. სიცოცხლეს ყველაზე დიდ ფუნქციურ დატვირთვას და აზრს გონება ანიჭებს. ყველა მოძრაობა, აზროვნება, ნიჭი და ადამიანის ყველანაირი შესაძლებლობა სიცოცხლის პერიოდში მიერთებულია გონებასთან, თუ ის უნიჭიერესი მუსიკოსია, მისი ტვინის ის უჯრედები, რომლებიც ამას ემსახურებიან, ძალზე კარგად არის განვითარებული. რას ნიშნავს სიტყვები ძალზე კარგად არის განვითარებული-უ.ი. ის ადგილი არის შედარებით ნაოჭიანი, ივსება იდეალური მოცულობის სისხლით და ამ ნაოჭებს შორის გადამცემი კომბინაციები არის უამრავი, ეს კომბინაციები გადასცემენ ერთმანეთს, რაც შეიძლება სწრაფად უამრავ ინფორმაციას, და შედარებითი პრინციპის საფუძველზე ადამიანის გონება აკეთებს ანალიზს, დასკვნებს.

შუა საუკუნეების უდიდესი ფილოსოფოსი, ჰოლანდიელი ებრაელი ბარუხ ბენედიქტ სპინოზა, რომელიც ალმასების მხუავად მუშაობდა, ამბობდა და ამტკიცებდა, რომ გონება და სინათლე ერთმანეთის სინონიმებია და ორივე უსასრულოა. სპინოზა ამ ორ უსასრულობას უმატებდა მესამეს, სიყვარულს და მიიჩნევდა სამყაროს საფუძვლად. მის ფილოსოფიურ მოძღვრებაში "ეთიკაში" ეს სამი წახნაგი იყო სამყაროს ამოხსნის გზები. 300 წლის შემდეგ, ამ იდეამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მეორე გერმანელ ებრაელზე ალბერტ აინშტაინზე. იგი დაინტერესდა სინათლის ბუნებით და გასაოცარი აღმოჩენა გააკეთა: თურმე სინათლე საწყისი და მთავარი ფიზიკური რეალობაა, ხოლო სინათლის სიჩქარესთან მიახლოებისას დრო და სივრცეც კი იკუმშებიან და ნულად იქცევა. ამ აზრის სრულიად ახსნა ვერავინ მოახერხა ბოლომდე, ის კი ფაქტია, რომ სინათლის პირველადობა იქნა აღიარებული. სინათლე რომ ხილულია, ეს ყველამ იცის, მაგრამ არსებობს თურმე უხილავი შეუმჩნეველი სინათლეც. ამის მაგალითს ნეიტრონის ენერგეტიკული ნაკადები წარმოადგენს, რომლებიც მსჭვალავენ სამყაროს, მაგრამ დღემდე არავინ იცის რა ინფორმაციის მატარებლები არიან ისინი. ცხადია მხოლოდ ის, რომ სინათლის ნაწილაკები, ფოტონები და ნეიტრონები დროისა და სივრცის მიღმა ცხოვრობენ.

თავად მატერიალისტურ ტრადიციებზე აღზრდილი აინშტაინი აღიარებდა, რომ სინათლე აზრია, ხოლო აზრი სინათლე. მას უყვარდა სპინოზა, მაგრამ მისი მიმდევარი არ ყოფილა.

*ალბერტ აინშტაინის ტვინის თავგადასავალი*

ეს ტვინი მოევლინა ქვეყანას 1879 წლის 14 მარტს. ამ ტვინის პატრონი ბავშვობაში გონებაჩამორჩენილთა რიცხვს მიაკუთვნეს. ეს ტვინი 1895 წელს მიუნჰენის გიმნაზიიდან გარიცხეს, შემდეგ კი კოლეჯის გამოცდებზე ჩაჭრეს, როდესაც ბაკალავრის წოდების მოსაპოვებლად სადიპლომო ნაშრომი წარადგინა. ამ ტვინს არცერთმა პედაგოგმა არ მისცა სამსახურში მოსაწყობად ვიზა და იძულებული შეიქნა ერთ-ერთ საპატენტო ბიუროში დაეწყო მუშაობა. 19 წლის შემდეგ ამ ტვინმა ფიზიკაში უდიდესი აღმოჩენა გააკეთა და ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა.

სიცოცხლის ბოლოს ეს ტვინი, მისთვის ჩვეული ენერგიულობით უტევდა ახალ და დიდ სიმაღლეს, რათა ერთადერთი განტოლების დახმარებით აღეწერა სამი ფუნდამენტალური ძალის ელექტრომაგნიტურის, გრავიტაციულობის და ბირთვულის ურთიერთმოქმედების კანონზომიერება. ამ იდეის პრაქტიკული განხორციელება ფაქტიურად სამყაროს შეცნობას უდრიდა. სამწუხაროდ ამ დროს ამ ტვინმა სიცოცხლე შეწყვიტა და ამ იდეის განხორციელება სხვა ტვინის აზროვნებას ელის.

არისტონის საავადმყოფოში პათოლოგანატომად მუშაობდა ექიმი ტომას

ჰარვეი, რომელიც სწორედ იმ დროს მორიგეობდა, როდესაც მორგში აინშტაინის გვამი მიასვენეს. ჰარვეიმ გენიოსის თანხმობის გარეშე ამოიღო გვამის უძვირფასესი ნაწილი,-მისი სიამაყე და უდიდებულესობა ტვინი და დააკონსერვა. 40 წლის განმავლობაში ჰარვეი ფენა-ფენა სწავლობდა უდიდესი მოაზროვნის ტვინს და გენიალურობის საიდუმლო გახსნას ცდილობდა, მაგრამ მხოლოდ 80-იანი წლების დასაწყისში აეხადა ფარდა ერთ პატარა საიდუმლოს. კალიფორნიის უნივერსიტეტის ნეიროანატომებმა მირიან დაიმონმა მეცნიერებას ტვინის კვლევის სფეროში ახალი სიტყვა შესთავაზა.

მკვლევარმა ტვინის მარცხენა ნახევარსფეროში აღმოაჩინა გარკვეული სახის უჯრედების მომეტებული რაოდენობა, რომლებიც ემსახურებიან ნერვიული უჯრედების დაკავშირებას. ეს უჯრედები ხელს უწყობენ ნეირონებს შორის ელექტრო სიგნალების გადაცემას.

ტვინის ნეირონები დაბადებიდანვე თან დაყვება და მათი რაოდენობა ასაკის მატებასთან ერთად მცირდება, მაგრამ ტვინის ნეირონებს შორის კავშირი კვლავ იზრდება მანამ, სანამ ე.წ. გონების ვარჯიშს ანუ სწავლას ვაგრძელებთ. ამერიკელი მეცნიერების გამოკვლევამ ცხადყო, რომ ინტელექტის განვითარებისათვის უპირველეს ყოვლისა, ნეირონებს შორის კავშირს და სიდიდეს აქვს მნიშვნელობა და არა თავად ნეირონთა სიმრავლეს, რადგან რაც უფრო მეტი აქტიურობით ვსწავლობთ ან ვავარჯიშებთ გონებას, მით უფრო მეტი კავშირები ჩნდებიან, ხოლო თუ კი სწავლებას შევწყვეტთ, უჯრედები კვდებიან და ჩვენც გარდავიქმნებით.

აინშტაინი საკუთარი მისწრაფებების შესახებ წერდა: "ნორმალურ ზრდასრულ ადამიანს არასოდეს შეაწუხებს სივრცისა და დროის პრობლემებზე ფიქრი, ამაზე მხოლოდ ბავშვობაში ვფიქრობთ. როდესაც ასაკის გამო ჩემი ინტელექტუალური განვითარება შეფერხდა, მაშინაც კი განვაგრძობდი დროსა და სივრცეზე ფიქრს. როცა აღარ ვიყავი ახალგაზრდა".

აინშტაინი 16 წლის ასაკში დაფიქრდა იმაზე, თუ რა შეიძლება მომხდარიყო სინათლის სხივის გვერდით, მისივე სისწრაფით რომ გვეფრინა. მოგვიანებით მანვე განაცხადა,- "შეუძლებელია არ გააკეთო აღმოჩენა, როდესაც დღე და ღამე ერთი და იგივე თემაზე ფიქრობ 10 წლის განმავლობაში". შემდგომში აინშტაინის აზროვნების ფორმის კვლევისას, მეცნიერები ერთ დასკვნამდე მივიდნენ-აინშტაინი ძირითადად წარმოსახვით და შეგრძნებით აზროვნებდა, ხოლო პრობლემის გააზრებისას, მათემატიკური გადაწყვეტაც ხდებოდა. აქედან ჩანს, რომ მისი ტვინის აგებულების განსაკუთრებულობა, საშუალებას აძლევდა მას არაჩვეულებრივად ნათლად წარმოედგინა და გადაეწყვიტა ურთულესი ამოცანები და საკითხები.

აინშტაინს, ისევე როგორც ყველა ბავშვს, თამაში უყვარდა, მისი ბიძა-იაკობი კი მის გონებას ავარჯიშებდა ასეთი თამაშებით: ჩვენ მივდივართ უცნობ ცხოველზე სანადიროდ, ამიტომ მე მას დავარქმევდი იქს (ხ) და როცა დავიჭერთ, სახელიც მაშინ დავარქვათ. აინშტაინის თქმით, ამ თამაშმა მისცა ბიძგი, მისი აზროვნების მოწყობას და საკუთარ გონებას მან შეუკვეთა, რომ გამუდმებით ეფიქრა სინათლის სხივზე. ამ თემასთან დაკავშირებული ნაშრომი მოცული იყო გამორჩეული აქიოტაჟით.

აინშტაინმა 6 წლის ასაკში აიღო ხელში ვიოლინო, რომელიც შემდგომ მთელი მისი ცხოვრების ერთგულ თანამგზავრად იქცა, სრულიად პატარა გატაცებით უკრავდა ბეთჰოვენის და მოცარტის სონეტებს ფორტეპიანოზე. მისი შემოქმედება და გონება, შთაგონების საწვავს მუსიკიდან იღებდა.

ფიზიკოსის უფროსი ვაჟი იხსენებს, როგორც კი საქმეებში თავს იჩენდა სიძნელეები, იგი მთელი არსებით ეძლეოდა მუსიკას და მისი დახმარებით ძლევდა

ალმართულ წინალობებს.

მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მუსიკის მოსმენა ამგვარი რიტმით-60-64 ტაქტი წუთში (ბახი, მოცარტი და სხვა) მკვეთრად აძლიერებს ადამიანის შესაძლებლობებს. მეხსიერების უნარი იზრდება 26%-ით, სწავლების-24%-ით. ასეთი მუსიკის გაკვეთილები დიდად უწყობდა ხელს, დიდი მეცნიერის ინტელექტის გაძლიერებას.

შოპენგაური თვლის, რომ "ყველა ბავშვი რაღაც მიმართულებით გენიოსია, ხოლო ყველა გენიოსი გარკვეული თვალსაზრისით ბავშვია". ამის ნათელი დადასტურება იყო აინშტაინის ტვინის მისწრაფებები, შესაძლებლობები და აგებულება.

*ტელეპათია-ტვინის უნიკალური შესაძლებლობა.*

ტელეპათია არის აზრის გადაცემა შეგრძნების საშუალებით, ყოველგვარი შუალედური ორგანოს გარეშე, ტელეპატიურ გადაცემად ითვლება რაიმე ნაწერი, სიგნალი ან სიტყვა. ტერმინი ტელეპატია ხმარებაში შემოვიდა ინგლისის "ფსიქიკური მოვლენების კვლევის" საზოგადოების მიერ, რომელიც დაარსდა 1882 წ. არსებობს ტელეპატიის ორი სახეობა: ხელოვნური (ექსპერიმენტალური) და ბუნებრივი (თვითგამომუშავებული). პირველ სახეობას მიეკუთვნება აზრების კითხვა. ამ სახის ტელეპატიური შეგრძნებებიდან საყოველთაოდ ცნობილია სალონური გართობები, რომელსაც ინგლისელები "წილლინდ-დამე"-ს უწოდებენ. ამ დროს ერთი გაძლიერებურად ფიქრობს რაიმე საგანზე, მეორე დგას მის გვერდზე და ხელს კიდებს მას და იღებს მისი აზრის წაკითხვის შესაძლებლობას, ბუნებრივი ტელეპატიის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ერთი პირი წინასწარგანზრახულად აღვიძებს გარკვეულ მანძილზე მეორე პირში ფსიქიკის მდგომარეობას.

ამერიკა ექსპერიმენტების ქვეყანაა. 1948 თუ 1949 წლებში ატარებს ასეთ ექსპერიმენტს. ორი ტელეპატი დააშორეს ერთმანეთს ასეთი ფორმით: ერთი რჩება ხმელეთზე, მეორეს ათავსებენ წყალქვეშა ნავზე და ნაპირიდან ორი კილომეტრის მოცილებით შეჰყავთ ოკეანეში. ატარებენ ექსპერიმენტს გადასცემენ თუ არა ისინი აზრებს შედეგი ასეთი იყო: ერთი ხატავს საათის ციფერბლატს, მეორე წრეს, (პირველი შემთხვევა), ერთი ხატავს სამკუთხედს, მეორეც იმეორებს ამას. მესამე შემთხვევის დროს ერთი არ ხატავს არაფერს და ამბობს, რა ვქნა, თავში არაფერი არ მომდის, მეორე სვავს კითხვის ნიშანს. სამივე შემთხვევაში აზრის გადაცემა მაინც შედგა. ტვინის შესაძლებლობათა შორის ეს ერთ-ერთი უნიკალურია.

მსოფლიოს საინფორმაციო ველი გარს ერტყმის და მსჭვალავს ყოველივეს ადამიანებს, ცხოველებს, მცენარეებს, მოკლედ უსულოც და სულიერიც გარკვეული ინფორმაციის მატარებელია, ეს ღმერთის მიერ დატოვებული შანსია ადამიანებისათვის სამყაროს შესაცნობად. ამ მოვლენის ამუშავებისას მოქმედებას იწყებს ადამიანსა და საგნებს (მცენარე, ქვა, ცხოველი) შორის ტელეპატიური არხი. ტყუილად როდი ამბობდა ფრანგი გეოლოგი პროფესორი დენტონი, ეგვიპტიდან ჩამოტანილი ერთი პატარა ნატეხისგან გაცილებით მეტი ინფორმაციის მიღება შეიძლება ფარაონთა შესახებ, ვიდრე წარსულის მკვლევართა მთელი არმიისგან.

ცნობილია, რომ საცირკო ხელოვნებაში ცხოველების ერთ-ერთი პირველი გამომყვანი ვ.ლ. დუროვი ცხოველებთან ტელეპატიის მეშვეობით შედიოდა კონტაქტში. მისი პირველი ტელეპათიური კავშირი ასე დამყარდა. მის წინ, იატაკზე ძაღლს ეძინა, დაახლოებით სამი მეტრის მეშვეობით, მან ზურგზე გააკეთა კონცენტრირება და თავს არწმუნებდა, რომ ძაღლს ზურგზე ნემსის ჩხვლეტა უნდა ეგრძნო. დაახლოებით რამდენიმე წამის შემდეგ, ძაღლი

მოულოდნელად წამოხტა და შეშინებულმა შემომხედა.

ადამიანებს გამოცდილი აქვთ მათი ძაღლის ყეფის მოსმენა რამდენიმე ათასი კილომეტრის დაშორებით და როცა დაადგინეს, რა ხდებოდა, მაშინ ძაღლის ირგვლივ? დადგინდა, რომ იგი იყო ძალზედ ავად.

დღეს საბოლოოდ დამტკიცდა, რომ ოთახის მცენარეები დადებითად რეაგირებენ პატრონის შემოსვლას ოთახში, შემდეგი ნიშნებით, რხევა, სასიამოვნო სურნელი, შეფერილობა, ყვავილობა და სხვა.

1922 წელს, პარიზში ექსტრასენსმა პასკალ ფორტუნამ მოინახულა მეტაფიზიკის ინსტიტუტი, სადაც ასეთი ამბავი მოხდა-მას ფორტუნას დირექტორი, დოქტორი გელეე უნდა ენახა, მაგრამ ცოტა ხნით შეაყოვნეს კარებთან, შემდეგ კი ცოლ-ქმარმა ექსტრასენსი დოქტორი ნივთების შესამოწმებლად მიიწვიეს. იგი სწრაფად მიუახლოვდა მაგიდას, აიღო ხელში ახლადდალუქული კონვერტი და ზედ არც კი დაუხედავს ისე დაიწყო საგარაკო სახლის აღწერა. ყურადღების გარეშე არც კოტეჯის შიდა ინტერიერი დაუტოვებია. მან ზუსტად აღწერა კამბეში მდებარე სახლი, რომელშიც ცოლების მანიაკი მკვლელი ლადნურო თავის მსხვერპლს უღებდა ბოლოს, შემდეგ კი კონვერტში ლადნუროს ავტოგრაფიც აღმოჩნდა. ამის შემდეგ ქალბატონმა გელეემ სტუმრის გამოცდის მიზნით, მას ხელში მშვენიერი მარაო შეაჩეჩა და ჰკითხა: საიდანაა იგი? პასუხმა არ დააყოვნა: "ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ვიღრჩობი. ამის გარდა გარკვევით მესმის სახელი ელიზა". დიას ფორტუნა მართალი იყო, როგორც აღმოჩნდა, მარაო ხნიერ ქალბატონს ეკუთვნოდა, რომელიც ასფიქსიით გარდაიცვალა და რომელსაც ელიზა ერქვა".

დღეს ტელეპათიის აზროვნებამ იმდენად წაიწია წინ, რომ აზრის წაკითხვა შეიძლება ფოტოსურათზე, ბეჭედზე, თმაზე, ცხვირსახოცზე, განსაკუთრებით ქვად ქცეულ რელიქვიებსა მინერალებზე.

ჩვენი საუკუნის დასაწყისში, მექსიკის დედაქალაქ მეხიკოში მოხდა ასეთი შემთხვევა: გუბერნატორის ქალიშვილი მარია რეიესი ქრონიკული უძილობით იტანჯებოდა, გერმანელმა ექიმმა მას უმძიმესი ოპერაცია ჩაუტარა ჰიპნოზის საშუალებით, ამის შემდეგ გოგონა თუ რაიმე საგანს აიღებდა ხელში, მყისვე ყვებოდა მის თავგადასავალს.

1919 წელს მექსიკის სანაპიროზე იპოვეს ბოთლში ჩადებული წერილი. მასში ნათქვამი იყო, რომ წერილი დაწერა ინგლისის გემის ლუზიტანიას მგზავრმა. ეს გემი 1915 წელს გერმანულმა წყალქვეშა ნავმა ჩაძირა. იგი სავსე იყო მგზავრებით და საბრძოლო მასალებით. დოქტორმა გუსტავ პაჰენშტეხერმა მარია რეიესი ჰიპნოზის მდგომარეობაში გადაიყვანა, მიაწოდა ბოთლი და სთხოვა აღეწერა მისი ისტორია. გოგონამ ზუსტად აღწერა თვით კატასტროფის დეტალებიც კი. მასზე მუშაობდა ფსიქიკური კვლევის საზოგადოებები. მის უნიკალურ ტელეპათიურ ველში არის კიდევ ასეთი შემთხვევები. მას მიაწოდეს ნიაგარის ჩანჩქერიდან ჩამოტანილი გულსაბნევი, რომლის ყიდვა ყველა იქ მისულ ტურისტს შეეძლო, მაგრამ მთავარი იყო რა განაცხადა მარიამ. მან თქვა: "მე ფაბრიკაში ვიმყოფები, ვხედავ ქალებს და მამაკაცებს, რომლებიც ევროპულ სამოსში არიან გამოწყობილნი. სპეციალურ დაზგებზე სხვადასხვა სიდიდის საგნებს ამუშავებენ...ვხედავ მარგალიტებს, სამკაულებს, მესმის დიდი ჩანჩქერის ხმა".

ერთ-ერთი ტელეპათიური ცდის ჩატარებისას კი გოგონას მექსიკელი გენერლის კარლოს დომინგესის ქუდიდან მოჭრილი ტყავის პატარა ნაჭერი მისცეს. ეს ქუდი გენერალს იმ ღამეს მისცეს, როდესაც პრეზიდენტი კარანსი მოკლეს. მარიამ თხრობა ასე დაიწყო: "ბნელი ღამე, ძლიერი წვიმა. დაახლოებით სამი საათია. ორიოდე ნაბიჯით წინ ხმაური, ყვირილი, წყევლა-კრულვა მესმის. გაისმა

ბრძოლის ხმაც. მას ესპანურ ენაზე გაცემული, ბრძანებები მოჰყვა. მაგრამ ტყვიამფრქვევი და ზარბაზნები არსადაა. როგორც ჩანს, ფეხოსანთა ღამეული შეტევაა: ჩემს წინ მაღალი მამაკაცი წაიქცა, მის დამახინჯებულ სახეს იარაღის ცეცხლი ანათებს, მისი კვნესა მაშინებს, აი კვნესა შეწყდა. მის გაყინულ სხეულს გაქცეული მამაკაცები აწყდებიან. მეშინია. ეს საშინელებაა.

შემდგომში გენერალმა დომინგესმა დაადასტურა აღწერილი სურათის სიზუსტე.

დღეს მსოფლიოს ბევრი საზოგადოებები მუშაობს. ბევრი ფერწერული სურათი და ფერში ჩარჩენილი დროის ფრაგმენტები აამეტყველოს, ეს დრო შორს არ არის, თუ რა თქმა უნდა მსოფლიოს ომი არ შეაზანზარებს და ცივილიზაციის ტემპებს არ შეანელებს.

*დაავადება-დისპლეი* (სიტყვების დამახინჯებით ხმარება ტალეირანის სინდრომი)

არიან ბავშვები და დიდებიც, რომლებიც როგორც არ უნდა მიუთითო სიტყვებზე. ისინი სიტყვებს ამახინჯებენ და ასეთ ადამიანებს დისპლეით დაავადებულებს უწოდებენ. ასეთ ადამიანებს ხშირად უწიგნურად წარმოიდგენენ, რომელთა ხვედრითი წილი მოსახლეობაში 10%. ამავე ხარვეზით ყოფილა შეპყრობილი ბონაპარტის საქვეყნოდ განთქმული მინისტრი შარლ ტალეირანი.

ეს დაავადება უმეტესად გენეტიკური ხასიათის არის. ოქსფორდის უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ადამიანის მეექვსე ქრომოსომის ერთ-ერთი უბანი მჭიდროდაა დაკავშირებული დისპლეის დაავადებასთან და განსაკუთრებით ამ დაავადების მატარებლები არიან არქიტექტორები. პარიზის პომპიდუს ცენტრის შემქმნელმა რიჩარდ როჯერსონმა ისიც კი გააკეთა, რომ თავის არქიტექტურულ სახელოსნოებში მხოლოდ დისპლეიკები მოიწვია სამუშაოდ.

*მარტინ ჰაიდეგერ — სიკვდილის, შიშისა და ძრწოლის შესახებ.*

ბევრი ფილოსოფოსი, საკუთარი ფილოსოფიის ახსნისათვის სარგებლობდა ასეთი წესით: ისინი ირჩევდნენ ცხოვრების რომელიმე დარგს აზროვნებისათვის, კონტისთვის იყო "წმინდა გონების კრიტიკა". სპინოზასათვის "ეთიკა", ჰეგელისთვის "სულის ფილოსოფია", პითაგორასთვის "მისტიკა და რიცხვთა თეორია", არისტოტელესთვის ეთიკა, პოლიტიკა, და მრავალი სხვა ცნობიერება. ჰაიდეგერისთვის ფილოსოფიის ცენტრალურ ნაწილს ყოფიერება წარმოადგენდა, ეს იყო მუნყოფიერების გასაღები. რა არის ყოფიერება და მუნყოფიერება? ყოფიერება მასთან არის გარეგნული მოვლენების შეცნობა; მუნყოფიერება შინაგანი განცდაა, იგი მესამე ტერმინს ხმარობს ამ წერილში, ეს არის "მან", რაც მასთან ნიშნავს საზოგადოებას, გარემოს. ახლა კი მივყვეთ ჰაიდეგერულ აზროვნებას წერილის სათაურის მიხედვით, რომელიც იწერება რამდენადმე ჩემი ინტერპრეტაციით, რაც გამოიხატება თხრობის გამარტივებულ და იოლად გასაგებ ფორმაში.

"მანი" აიძულებს ადამიანებს ისევე იაზროვნოს, შეიმცნოს და იფიქროს, როგორც ამას აკეთებენ სხვები, საზოგადოება ანუ მანი. მანის გავლენის ქვეშ მყოფი ადამიანი კარგავს თავის პიროვნებას, ინდივიდუალობას, იგი საზოგადოების ზეგავლენის ტყვე ხდება. ადამიანმა რომ შეძლოს "მანის" ანუ საზოგადოებისაგან განთავისუფლება, იგი შეიძენს თავის თავს სხვა განზომილებაში-სიმამაცეში ახლის ძიებაში და ამ დროს ყოველი წამი მისთვის აღმოჩენა ხდება. არ დაგვავიწყდეს, რომ ცეზარი გერმანულ ტომებთან ბრძოლისას, როცა ხედავდა რა უაზრო სიმამაცის მსხვერპლი ხდებოდნენ ისინი, ცეზარი მიხვდა, რომ ამ კამიკაძეებს რაღაც რელიგია უბიძგებდა სიკვდილზე, რომლითაც ისინი ძლიერ იყვნენ შთაგონებული, როდესაც ცეზარმა ამ ტომების ღვთაებათა პანთეონში შეისწავლა, ნახა, რომ მათთან ომში სიკვდილი ბედნიერებისკენ მიმავალი გზა იყო. ამდენად ჩემი არგუმენტი ნამდვილად ამაგრებს ჰაიდეგერის აზრს. ამის შემდეგ, ფილოსოფოსი სვამს კითხვას, როგორ შეიძლება განთავისუფლდეს ადამიანის მუნყოფიერება

(შინაგანი განცდა, შიში, ძრწოლა, სიკვდილი), მანის ზეგავლენისგან და სანამ ამას განიხილავს, ჯერ მუნყოფიერების განცდებს განმარტავს: შიში განსაზღვრული და კონკრეტული ადამიანური განცდაა, რომელიც ყველა ფიზიკურ სხეულს გააჩნია. შიშს ადამიანი განიცდის რეალური საფრთხისა და საშიშროების წინაშე, რაც მის არსებობას და სიცოცხლეს ზიანის მიყენებით და განადგურებით ემუქრება. შიში ტკივილთან და სიკვდილთანაა დაკავშირებული და ის ადამიანში თავგზააბნეულობას იწვევს.

შიშისგან განსხვავებით, ძრწოლას არ ახასიათებს გარკვეული სიმშვიდე, გულგრილობა და განურჩევლობა. ძრწოლა არის ფარული, საიდუმლოებით მოცული, პირველსაწყისი თუ თავდაპირველი საშინელების განცდა. ეს არის არაჩვეულებრივი იდუმალებით გამსჭვალული განწყობილება, რომელიც უკავშირდება არარის ცნებას. გარდა ამისა, ძრწოლას ახასიათებს "მიუსაფრობა", "ფარფატი". ძრწოლის განწყობილებისას ადამიანს თითქოს მიწა ეცლება ფეხქვეშ, ერთმევა მეტყველების უნარი და მას ეუფლება მიუსაფრობის განცდა. თანაც ისე, რომ მიუსაფრობას განიცდის არა "მე" ან "შენ", არამედ ვიღაც სხვა. ძრწოლა მუნყოფიერებისათვის გაურკვეველი და ბუნდოვანი მიზეზებითაა გამოწვეული. ადამიანს აქვს ძრწოლის განწყობილება როგორც მუნყოფიერების (შინაგანი განცდა), როგორც განსაკუთრებულ ყოფიერებას, როგორც საერთო ყოფისგან გამოცალკევებულ არსებას. ძრწოლა ახასიათებს მუნყოფიერებას იმის გამო, რომ მან არ იცის, ვინ არის ის თვითონ და რა არის საერთოდ სინამდვილე, არსებული ყოფიერება. მუნყოფიერება ძრწის იმის გამო, რომ სადღაც, თავისი არსების სიღრმეში, ის გრძნობს არარას, რომლის ცოდნა მის შესაძლებლობას აღემატება. ამ დროს ადამიანი ძრწის არცოდნის წინაშე და არარასთან მისასვლელი გზა ძრწოლაა. არარა ჩვენში მოფარებულად ცხოვრობს, ის ჩვენი მთელის ნაწილია და ის ჩნდება მაშინ, როცა საფრთხე და შიში ევლინება ჯერ ჩვენს ყოფიერებას და შემდეგ ის გადაეცემა მუნყოფიერებას.

შემდეგ ჰაიდეგერი აგრძელებს, რომ შიში, ძრწოლა და სიკვდილი ახასიათებს მუნყოფიერებას, როგორც ცოცხალ არსებას იმის გამო, რომ ის სამყაროშია გადაგდებული და იძულებულია იზრუნოს ის უკვე მიჩვეულ, სხეულებრივ და სულიერ არსებობას. ამგვარად, ჰაიდეგერი აკონტროლებს, რომ შიში უფრო კონკრეტული ცალკეული ერთეულია. ძრწოლა უფრო ზოგადი ბუნდოვანი და გაურკვეველი. შიში ძრწოლის ქვედა საფეხურია, ძრწოლის უმცროსი ძმა. შიში და ძრწოლა ატყუებს მუნყოფიერებას, აბრმავებს მას და მუნყოფიერებას ეჩვენება, თითქოს მისი სხეულებრივი არსებობის შენარჩუნებაზე უფრო მნიშვნელოვანი საზრუნავი არ არსებობს ამ ქვეყნად. მეორეს მხრივ, შიში და ძრწოლა აფიქრებს ადამიანს ყოველდღიური საზრუნავის ერთფეროვნებისაგან, სიკვდილ-სიცოცხლის ყოფიერება-არარაობაზე და ამ გზით იგი ანვითარებს თავის თავს და რა თქმა უნდა საზოგადოებასაც. მხოლოდ შიშ და ძრწოლა გამოვლილ ადამიანს შეუძლია განთავისუფლდეს მანის მანკიერი ზეგავლენისაგან.

ჩვეულებრივი შიშის დროს ადამიანს ეშინია სიკვდილის და მას ჰგონია, რომ იცის რისაც ეშინია. ადამიანს სიკვდილზე გარკვეული წარმოდგენა აქვს, როგორც რაღაც ცუდზე, უარყოფითზე, მტკივნეულზე და უსიამოვნოზე. სიკვდილი მისთვის ჩვეული ყოველდღიურობის დასასრულს ნიშნავს, რაც "მანის" გავლენის ქვეშ მყოფ მუნყოფიერებას ძლიერ დასანანად მიაჩნია.

ძრწოლის დროს კი სიკვდილის ცნებას არარას ცნება სცვლის. სიკვდილსაც ახლავს თავისი საიდუმლო, მაგრამ არარა უკვე ისეთი ცნებაა, რომელიც ყოველგვარ წარმოსახვას, განსაზღვრავს და სიტყვებით გადმოცემას სცილდება. არარა შიშველ, პანიკურ ძრწოლას იწვევს ადამიანში და ადამიანმა კი არ იცის

თუ რატომ.

ჰაიდეგერს სიკვდილის ბუნების ერთ მთავარ თვისებად, სიცოცხლის დაკარგვა მიაჩნია. ადამიანს ჰგონია, რომ მან იცის, რა არის სიცოცხლე, თუნდაც იმით, რომ ის გრძნობს, რომ ცოცხალია. აქედან გამომდინარე კი მას ჰგონია, რომ მან იცის სიკვდილიც, როგორც სიცოცხლის დაკარგვა. ადამიანისთვის ძნელი გასაგებია ყოფიერება და მით უმეტეს ძნელი გასაგები და ძნელი წარმოსადგენია არარა, როგორც ყოფიერების და არსებობის არყოფნა. შიში ადამიანს აყენებს სიკვდილის წინაშე, ძრწოლა კი არარას წინაშე.

არარას პრობლემა თავის მხრივ ყოფიერების და არსებობის პრობლემას აყენებს დღის წესრიგში. შიშის, ძრწოლისა და სიკვდილის კატეგორიები წარმოადგენენ ხიდს, რომელიც მუნყოფიერებას, ყოფიერებასთან აკავშირებენ.

ჰაიდეგერი ასევე ადამიანის მიერ სიკვდილის შემეცნებაში ისევ მანის ადანაშაულებს და ასე ამბობს: ადამიანი მთელი სიცოცხლის განმავლობაში ხედავს, რომ სხვა ადამიანი კვდება, მან იცის, რომ ოდესმე თვითონაც მოკვდება, მაგრამ მანის გავლენის ქვეშ მყოფი ადამიანი გაურბის სიკვდილზე ფიქრს და თავს იტყუებს, იმშვიდებს იმით, რომ მოკვდა ვიღაც სხვა და არა თვითონ ის. ადამიანი ყოველთვის ფიქრობს, რომ სიკვდილამდე ჰევრი დროა და ისე იქცევა, თითქოს სიკვდილი მას არ ეხებოდეს. ამასთან დაკავშირებით, ჰაიდეგერი მოითხოვს ასეთ გაბრუებული მდგომარეობიდან გამოსვლას, გამოფხიზლებას და სიკვდილის უფრო მძაფრ შემეცნებას.

ჰაიდეგერისთვის საკუთარი მუნყოფიერების მთელი ცხოვრება წარმოადგენს არა "სიკვდილიდან გაქცევას" ანუ ცრუ შეცნობას მისას, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, არამედ "სიკვდილისაკენ ყოფიერებას". სიკვდილი არის არა ადამიანის ცხოვრების დასასრული, ბოლო უცხო მიწიერი მოვლენა, იმქვეყნიური სამყარო, არარსებობა, არამედ სიკვდილი იმთავითვე არსებულია და ის მოცემულია სიცოცხლეშივე სიკვდილისაკენ სწრაფვის სახით. ადამიანში დაბადებიდანვე ჩადებულია სიკვდილის შესაძლებლობა და ამიტომ სიკვდილ-სიცოცხლე ერთმანეთისგან განუყოფელი ორი მხარეა მედლისა. საბოლოო ჯამში-სიკვდილი სიცოცხლის ამოხსნას ემსახურება.

ვერცერთი ადამიანი სხვის სიკვდილში ვერ შეიმეცნებს სიკვდილ-სიცოცხლის არს ისე, როგორც საკუთარი შიშის და ძრწოლის ქვეშ, ან როცა განსაკუთრებულ ექსტაზურ მდგომარეობაში ინტუიციურად საკუთარი არსებობის სიღრმეებს ჩაუღრმავდება და საკუთარი სიცოცხლის სიკვდილით გაჟღენთილობას იგრძნობს.

ჰაიდეგერის აზრით "სიკვდილი უფართოესი აზრით გაგებული სიცოცხლის ერთ-ერთი ფენომენია". ამ ორ ძირითად კატეგორიაში ჰაიდეგერი უპირატესობას სიცოცხლეს ანიჭებს, რადგან სიკვდილი სიცოცხლეში და სიცოცხლის სახით არსებობს როგორც სიცოცხლისთვის დამახასიათებელი "სიკვდილის შესაძლებლობა". სიკვდილის გაგება შესაძლებელია მხოლოდ სიცოცხლიდან და სიცოცხლის დახმარებით. ჰაიდეგერისეული ანალიზი სიკვდილ-სიცოცხლის ანალიზებს შორის არის ყველაზე ყოფიერი და მატერიალური. საერთოდ უნდა ითქვას, რომ იდეალისტური აზროვნება შეიძლება ბევრად დიდი იდუმალებით იყოს სავსე, მაგრამ ასევე მარტივია იმ მხრივ, რომ იქ ბევრად მეტი რაოდენობის ვერსია შეიძლება წამოაყენო საკითხზე.

ჰაიდეგერისთვის სიკვდილი არის არა მეტაფიზიკური ცნება იმქვეყნიური გაგებით, არამედ სავსებით ფიზიკური, ბუნებრივი ამქვეყნიური მოვლენა, რომელიც მთლიანად, თუ ასე ვთქვათ, სიცოცხლის ფილოსოფიის ფარგლებში რჩება.

ჰაიდეგერთან სიკვდილი ირეკლება სიცოცხლეში, ამიტომ ზედმეტია კითხვა

რა იქნება სიკვდილის შემდეგ? სიკვდილი სიცოცხლის გასაღებია, რომელიც სიცოცხლესთან ერთად არსებობს და მხოლოდ ცოცხალი ადამიანის მიერ დაინახება, ამიტომ სიცოცხლის გარეშე სიკვდილს აზრი ეკარგება. სიკვდილის ჰაიდეგერესიული ანუ ეგზისტენციალურ-ონტოლოგიური გაგება გულისხმობს სიკვდილის თვით არსებას, რომლითაც გაჟღენთილია სიცოცხლის და არსებობის მთელი პერიოდი და რომელსაც თვით ყოფიერებაში აქვს ფესვი გადგმული. საკითხთან ასეთი მიდგომით ცნებები სიკვდილის ფილოსოფია და სიცოცხლის ფილოსოფია იდენტური და მისი შრომა "ეგზისტენციალური ფილოსოფია" გაგრძელებად და მემკვიდრედ შეიძლება წარმოვიდგინოთ.

. ჰაიდეგერის ფილოსოფიის ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემაა ყოფიერების საზრისი, თუ როდის ხდება ადამიანი ნამდვილად ადამიანი ანუ მუნყოფიერი? პასუხს თვითონვე იძლევა-სიკვდილის ეგზისტენციალური წვდომის დროს. სიკვდილის ეგზისტენციალურ-ონტოლოგიური ცნება ეხმარება მუნყოფიერებას ყოფიერების წვდომაში. ადამიანის მუნყოფიერებაში ანუ მოკვდავად ყოფნაშია ყოფიერების გასაღები. ცოცხალი ადამიანი მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში მოკვდავია, სიკვდილის შესაძლებლობის მატარებელია, სიკვდილ-სიცოცხლის ერთიანობაა და მისი ამ არსების "გათვითცნობიერებაში", გათავისებაშია ყოფიერების საიდუმლო გასაღები.

სიცოცხლის გაგება, მისი არსი და მიზანი სიკვდილითაა შესაძლებელი და პირიქით, რადგან ისინი ერთმანეთით არიან გამსჭვალული. სიკვდილი არის დაბრუნება მუნყოფიერებიდან ყოფიერებაში. ეს არის გამოსაფხიზლებელი საშუალება, რომელიც ადამიანის თვითცნობიერებას საკუთარი თავიდან სამყაროს "გაცნობიერებისაკენ", ყოფიერების საზრისის ძიებისაკენ მიმართავს.

როგორ უნდა მივწვდეთ ყოფიერების საზრისს?-ერთ-ერთი მეთოდი ეს არის ეგზისტენციალურ- ონტოლოგიური გაგება, სიცოცხლისადმი დაპირისპირებული წყვილადი კატეგორია, რომელიც სიცოცხლისგან ცალკე კი არ არსებობს, გარდაცვალების შემდეგ კი არ იწყება, ან სიცოცხლის დასკვნით ფაზას კი არ წარმოადგენს, არამედ სიცოცხლესთან ერთად სიცოცხლეშივე არსებობს შესაძლებლობის სახით, სიცოცხლესავით ძირეულ პირველსაწყისს კატეგორიას წარმოადგენს და სიცოცხლესთან ერთად ერთ მთლიანობას ქმნის.

სიკვდილის შიშს და ძრწოლას შეუძლია გაათავისუფლოს "მანის" გავლენისგან, მაგრამ როგორ უნდა დავიცვათ თავი სიკვდილის შიშისგან, როგორ უნდა დავძლიოთ. სიკვდილის შიშისა და ძრწოლის განწყობილება, რომ მათი გავლენის ქვეშ არ მოვექცეთ და მათს ტყვეობაში არ აღმოვჩნდეთ? ამ კითხვაზე ჰაიდეგერი ალბათ ასე გვიპასუხებდა: სიკვდილი სიცოცხლის შემადგენლობაშია არა ბოლო ნაწილის სახით, არამედ სიცოცხლე მთლად სიკვდილითაა გაჟღენთილი და გამსჭვალული. სიკვდილი ადამიანისთვის უცხო და მტრულად განწყობილი მოვლენა კი არ არის, არამედ მის შინაგან არსებას წარმოადგენს სიცოცხლის მსგავსად, ამიტომ სიკვდილის ისევე არ გვეშინოდეს, როგორც სიცოცხლის.

ჰაიდეგერესეული განსჯა ბოლოს ასე შეგვიძლია შევაჯამოთ: სიცოცხლე არის სიკვდილისაკენ ყოფიერება, რადგან სიკვდილი სიცოცხლეში არსებობს შესაძლებლობის სახით და სიცოცხლე სიკვდილითაა გაჟღენთილი და გამსჭვალული. ყოველივე ამ აზროვნებას ეხმიანება ეპიკურეს სენტენცია: "დაბადებისას ყველ ჩვენგანში მომაკვდინებელი შხამია ჩასხმული"....

*გურჯიევის შეხედულება მუსიკასა და ცეკვაზე*

გურჯიევი ხელოვნებას ორ ნაწილად ყოფდა: სუბიექტურ და ობიექტურ ხელოვნებად, სუბიექტურს იგი გონებიდან მიმდინარეს თვლიდა და მისი თქმით ის იბადება ტანჯვით, წვალებით. ობიექტურ ხელოვნებას მიაკუთვნებდა-ტაჯ-

მაჰალის, კაჯურა ჰოს ტაძრები, ელორასა და აჯანტას მღვიმეები, რომლებიც შექმნილია მედიტაციური უნარის საშუალებით და ამოცენებულია სიყვარულიდან, დუმილიდან, რომელსაც ისინი მსოფლიოს ხარკის სახით უნაწილებდნენ.

გურჯიევი მუსიკოსი არ ყოფილა, მაგრამ ადამიანის სახის ვიბრატებით შეეძლო მდგომარეობის შეცვლა, მისი სიბრძნე ეხებოდა ადამიანის მედიტაციას, გონებას. მას ერთი მხრივ უწოდებენ ცენტრირებას, გურჯიევი კი კრისტალიზაციას უწოდებდა, და ამ გზით იგი მიდიოდა მარადიულობის საწყისთან. ყოველივე ეს არის ოთხკვირიანი ინტენსიური ვარჯიშების და საიდუმლო ცეკვების რიტუალები.

გურჯიევის ვარჯიშები არის ენერგიის უშუალო გადაცემა ცენტრებში. ეს ცეკვები და მოძრაობები წარმოადგენენ უძლიერესი შთაგონების წყაროს, რომლებიც თავისი მოქნილი მოძრაობებით და საშემსრულებლო ელემენტებით ემსახურება ადამიანის შინაგანი პროცესების მუდმივი ინტენსივების და ცვალებადობის შენარჩუნებას.

ცეკვების მიზანია, რომ სხეულის გონების და ემოციების ერთიანობა განავითაროს აწმყოში. განცდების ეს გაერთიანება იწვევს ცნობიერების უფრო მაღალ მდგომარეობას. მოძრაობები დროსა და სივრცეში დაფუძნებულია კოორდინაციასა და კონცენტრაციაზე და გამიზნულია ინდივიდზე ან ჯგუფზე გავლენის მოსახდენად. ამ ცეკვების დროს ადამიანში იღვიძებს ჩაკეტილი მთლემარე ცენტრების ძალა. ამ მოძრაობებით გამოცდით ძალის ახალ რესურსებს, რომელიც მანამდე იდუმალებით იყო მოსილი და ადამიანური აზროვნებისთვის უცნობი იყო.

გარეგნულად ეს ცეკვები მომხიბლავი, ორიგინალური და შემოქმედებითია, მაგრამ ეს მეორეხარისხოვანია იმ ცნობიერების გამოღვიძებასთან, რაც ამ ძალების აღძვრას შეუძლია გამოიწვიოს ადამიანის ძალებში.

ზოგადად ეს არის ახალი ენერგიის დაბადება თქვენში, გაიცნობთ შინაგან რიტმს ახალი შეგრძნებით, ასევე ძალის პასიურობის და აქტივობის ახალ მომენტებს, შეეხებით შინაგანი პროცესების ისეთ სფეროებს, როგორიცაა გარიდებული ყურადღება, სიმსუბუქე, მყუდროების ზეალმტაცი განცდა, ათვისების უსაზღვრო უნარს და სხვა.

ინდოელი მისტიკოსი ანუპრადა პროფესიონალი პიანისტი იყო და 1977 წლიდან იგი მისტიკის საწყისებს ეზიარა მუსიკის სფეროში. ამჯერად იგი ხელმძღვანელობს ჯგუფს პუნაში, რომელსაც გურჯიევის მუსიკის მისტერია ჰქვია. იგი ასე ახასიათებს გურჯიევის მუსიკის მისტერიას: ადრე ვწუხდი ნაწარმოების შესრულების ტექნიკაზე, ახლა კი ყოველი ბგერა ჩემთვის აღმოჩენაა. მუსიკა მე მთლიანად მიპყრობს, ეს არის ზეგრძნობა, მე მისით ვარ მთლიანად გამსჭვალული და ამ შემთხვევაში მე კი არა, მუსიკა თვითონ უკრავს თავის თავს, მე კი მისგან უბრალოდ სიამოვნებას ვღებულობ. ანუპრადა ასე ამთავრებს გურჯიევის მუსიკაზე საუბარს, გურჯიევის მუსიკას მივყავარ მე ჩემი შემოქმედებითი სფეროს ჭეშმარიტ ცენტრთან. იქიდან აღმოცენებული მუსიკა კი, სულ სხვა რამ არის. ამ მუშაობის პროცესში მე ყველაზე მეტად ვეხმარები ადამიანს მუსიკის ჭეშმარიტების ცენტრთან მისვლაში. ეს არის უძლიერესი უნარის აღმოჩენა ადამიანის მუსიკალურობის გამომჟღავნებისა.

სასურველი და საშური საქმე იქნება, რომ საქართველოში დაარსდეს გურჯიევის საზოგადოება.

*მისტიკის, თეოსოფიის და ანთროპოსოფიის კავშირები, სხვაობები*

მისტიკაზე საუბრისას, ჩვენ უპირველეს ყოვლისა უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ სიბრძნე, რომელიც არსებობდა სხვადასხვა ოკულტისტურ სკოლებში, საზოგადოებებში და მისტერიულ ცენტრებში ნელ-ნელა დაეშვა ქვევით და

ფსიქიკურ კვლევით საზოგადოებებში გადავიდა, ხოლო შემდეგ სრულიად გაქრა. სად წავიდნენ ისინი,-იგი შეჭამა ადამიანებში მომძლავრებულმა ანგარებითმა ბუნებამ. ადამიანების ეს სიბრძნე ძვ.წ.აღ-ის დასასრულს ქრება. დღევანდელი ადამიანები მხოლოდ ფიზიკური სამყაროს შეცნობით შემოიფარგლებიან. ოკულტიზმის და მისტიკის სიღრმის ხვეულების საშუალებით კი ხდებოდა იმის შესაძლებლობა, რომ იგი დაკავშირებოდა სულიერ სამყაროს-ხელდასხმის, ინიციაციის (განბრძნობის) გზით.

ხელდასხმა, ინიციაცია ნიშნავდა მოგზაურობას ჰადესის ქვეყანაში, რაც იგივე სიკვდილის კარიბჭის გავლა იყო. ანტიკური ხანის მწერლები მიუთითებენ, რომ ნეოფიტების (ოკულტისტურ სწავლებათა მოწაფეები) შინაგანი ცვლილებები ხდებოდა სამშვინველის რადიკალური ტრანსფორმაციით და ისინი ხდებოდნენ ორი სამყაროს სულიერის და ფიზიკურის მონაწილენი და მცხოვრებნი.

გოლგოთას მისტერიით, დედამიწა განათლდა ქრისტეს მიერი მადლით, ამიტომაც ეს მისტერია უდიდესია კაცობრიობის განვითარებაში, რაც კი ოდესმე მომხდარა დედამიწაზე.

პავლე მოციქულის მიხედვით, ამ დროს ადამიანთა რჯული შესუსტებული და უძლური იყო. ქრისტეს მოსვლით კი მოხდა კაცობრიობის განბრძნობა. საგულისხმოა ისიც, რომ უფალს რჯულისათვის არაფერი მიუმატებია, მაგრამ ღვთაებრივმა შემოიტანა თავის ძის-ქრისტეს საშუალებით მადლი. სწორედ ამ ახალზე-მადლზე ამახვილებს ანთროპოსოფიაში რ. შტაინერი. ანთროპოსოფიის მიზანი კი სწორედ ის არის, რომ ადამიანმა თავად მოახდინოს, თავისივე სულის გამოწვლილვითი ახსნა-განმარტება, მისგან განსხვავებით თეოსოფიური მოძრაობა დაიწყო მე-20 საუკუნის დამდეგს და საფუძველი ჩაუყარა ცნობილმა რუსმა მისტიკოსმა ქალბატონმა ე.პ. ბლავატსკაიამ და ქრისტეს ზარატუსტრას კრიშნას, და ბუდას მსგავსად ერთ-ერთ გურუდ მიიჩნევდნენ.

ბლავატსკაიამ და მისმა საზოგადოების წევრებმა შტაინერი თავისთან მიიწვიეს, მაგრამ სწორედ ქრისტეს ასეთ გააზრებაში არ დაუჭირა მხარი და გაემიჯნა მათ. ახლა განვსაზღვროთ რა არის ამ ორი მიმდინარეობის გამმიჯნავი-ხაზი.

თეოსოფების დევიზი იყო სანკრიტული გამოთქმა: "სატიატ ნასტი ჰარო დჰარმა"-რელიგიები არ არიან ჭეშმარიტებაზე უფრო მეტი, ასეთი შინაარსით კეთდებოდა თავისებური აქცენტი რელიგიათა დაფარულ მხარეზე, ანუ რელიგიათა თავწყაროზე-მისტერიებზე, ეზოთერულ სიბრძნეზე. თეოსოფია ამასთანავე, ის ოკულტისტური მეცნიერებაა, რომელიც უმეტესად იხილავს და სწავლობს უძველეს მისტერიათა სიბრძნეს.· და იგი ძირითადად დიდ განათლებას იძლეოდა სპირიტუალურ ცოდნაზე, მაგრამ სუსტად იყო წარმოდგენილი დღევანდელი სამყაროს განვითარების ხაზი.

თეოსოფიისგან განსხვავებით, ანთროპოსოფიის უმთავრესი ობიექტი არის ქრისტე, ამდენად ანთროპოსოფია ქრისტიანული სარწმუნოების ეზოთერულ შინაარსსაც წარმოადგენს. ეს არ უნდა ნიშნავდეს ვინმეს თვალში ქრისტიანული რელიგიის პრიმატს, დაპირისპირებას და სხვა ამგვარს. აქ ყურადღება გამახვილებულია ქრისტეზე, როგორც ლოგოსზე, როგორც შემოქმედზე და ადამიანის განვითარების ძირითად იმპულსზე.

შტაინერის მიხედვით, კაცობრიობა ჩვ.წ.აღ. XV საუკუნიდან შევიდა სრულიად ახალ ფაზაში- დაიწყო ცნობიერი სამშვინველის კულტურა (მანამდე ადამიანი გრძნობიერ სამშვინველს და განსჯით სამშვინველს ავითარებდა). ამჯერად გავერკვეთ რა არის ცნობიერი სამშვინველი?- ცნობიერი სამშვინველის ეპოქაში, რომელიც რამდენიმე საუკუნეს გასტანს, ადამიანი სულ უფრო და უფრო მეტ

თავისუფლებას მოიპოვებს, უფრო კონკრეტულად გამოჰკვეთს თავის თავს, მას ბევრად მეტი ძიება და აქტიურობა სჭირდება სულიერების სამყაროში. ამ სახის განხორციელებისათვის ნიშანდობლივია ის, რომ ცნობიერი სამშვინველი ხორციელდება მატერიის სულთან, ანუ სიკვდილთან-იგივე მეფისტოფელთან უშუალო ბრძოლაში (მხოლოდ ის ადამიანია სიცოცხლის ღირსი, ვინც დღენიადაგ ბრძოლით მოიპოვებს ცხოვრების და სიცოცხლის უფლებას-გოეთე). სწორედ ამ პერიოდიდან ხდება მატერიალისტური მეცნიერების აყვავება, ცხოვრების მზარდი ტექნიკიზაცია. უკანა პლანზე გადადის ტრადიციული, უკვე განვითარებული გრძნობებისა და ემოციების პრიმიტი. ამ დროის ადამიანებს უსაშველოდ უნვითარდება ბოროტი ჩვევები და ეგოისტური ინსტიქტები. რასაც მართლად ძლიერ განიცდის დღევანდელი თანამედროვეობა. ის მხოლოდ ინტელექტის საფუძველზე სჯის ყველაფერს და ამ ბერკეტს იგი ისე ხმარობს, როგორც უმთავრეს საშუალებას. ამავე დროს არის უკიდურესად ინდივიდუალური. ასეთია ჩვენი ყოფის მწარე სინამდვილე. ადამიანის ასეთი ბრძოლა თავის თავის განვითარებაში და მარტოსულობაში არის ის, რომ მან თავის თავში აღმოაჩინოს ტაძარი, ღმერთი, ჭეშმარიტება, და არა გარეთ მოქალაქეობრივი მორალის ინსტიტუტებში-ცათა სასუფეველი თქვენშიო-ამბობს ქრისტე (ლუკა 17-21)

ანთროპოსოფია ჩვენი დროის უდიდესი სულიერი სიტყვაა ამ მეტად მატერიალიზებულ და ტექნიზირებულ საუკუნეში. ადამიანმა მხოლოდ სულის მეცნიერების დახმარებით უნდა გამოარჩიოს ჭეშმარიტება ილუზიისგან, უკეთური კეთილისგან.

რ. შტაინერი ამბობს, რომ ანთროპოსოფია ინტელექტუალურ-მეცნიერული ფორმაა იმ სულიერი ცოდნისა, რაც წარსულში მითების, ლეგენდების და თქმულებების სახით გამოიხატა. დოქტორ შტაინერის მიხედვით, იგი კიდევ 400 წელს იარსებებს და მერე მას აზროვნების სხვა ფორმები შეცვლისო.

მისტიკა-ამ სიტყვას ბროკჰაუზის და ეფრონის ენციკლოპედია ასე განმარტავს. გარდა საყოველთაო ღმერთმსახურებისა, ძველ ბერძნებს გააჩნდათ საიდუმლო რიტუალები, რომლებიც უმეტესწილად ღვთაებების დემეტრესა და დიონისეს კულტურებთან იყო დამოკიდებული. გადატანითი მნიშვნელობით მისტიკა ნიშნავს მოვლენის და მოქმედების შერწყმას, რომელიც ადამიანს აკავშირებს სამყაროს იდუმალ ძალებთან, განუსაზღვრელად იმისა, თუ რა მანძილზეა ისინი მისგან. მისტიკის განშტოებებია ნათელხილვა, წინასწარმეტყველება, სპირიტიზმი, ასტროლოგია, მაგია, ქირომანტია და სხვა. მისტიკის საშუალებით შესაძლებელია შეაჩერო და განავრცო ცხოვრების და სიცოცხლის სხვადასხვა მოვლენები. მოახდინო სხეულის და სულის არსის მატერიალიზება და დემატერიალიზება. მაგ: დევიდ კოპერფილდის შოუ-პროგრამები ამის ნათელი მაგალითია. ქრისტიანული მოძღვრების პოზიციებიდან, მისტიკა იყოფა ღვთაებრივ, ბუნებრივ და დემონურ მიმდინარეობად. ბროკჰაუზის მიხედვით, ალქიმია არ უნდა შედიოდეს მისტიკის სფეროში, რადგან ალქიმიის ოპერაციები ხდებოდა საგანთა ბუნებრივი თვისებებით და გამოდიოდნენ მატერიის ერთიანობის პრინციპიდან. თეოსოფია ეს არის მისტიკის ფილოსოფია.

მისტიკის უძველესი ფესვები ინდოეთში ვედურ სიბრძნეში იწყება უპანაშიდის სახით. ჩინეთში-ლაო-ძი. შემდეგ მისტიკა დინებას იღებს ჰერაკლიტეს ემპიდოკლეს და პითაგორელების ფილოსოფიაში. მისტიკის ხაზები უხვად მოიპოვება პლატონთან. ებრაულ და ელინურ სწავლულებაში ფილონის სახით, ძველ ეგვიპტურ თუ ატლანტიდის ღვთაება, ქურუმთან ჰერმეს ტრისმეგისტორთან, გნოსტიკოსებთან და ნეოპლატონიკოსებთან. ნეოპლატონური ფილოსოფია, ქრიტიანიზმზე დაფუძნებით, მისტიკის ელემენტებით გვხდება ორიგენთან, ამის საფუძველზე აიგო დიონისე აეროპაგელის ფილოსოფია, რომლმაც სე-6 საუკუნეში მოგვცა ღმერთმსახურების

მისტიკოსები, მაკარ ეგვიპტელი (IV ს.) და ისააკ სირინი (VI ს.). მე-17 საუკუნეში ბერძნული ენიდან საეკლესიო ლათინურ ენაზე ითარგმნა პისანიას წიგნი "სიკეთის მოყვარულობა". რომელმაც დიდი ზემოქმედება მოახდინა ხალხის მასებზე. მისტიკის უმთავრეს პრინციპად რჩება აზროვნების დიადი მოვლენის შერწყმა პრაქტიკასთან, მისტიკის აზროვნებაში დიდი როლი შეასრულა შუა საუკუნეების უდიდესმა მისტიკოსმა მაისტერ ეკჰარტმა (XVII ს.). მისტიკის ქრისტიანული სკოლიდან განვითარდნენ ისეთი მიმდინარეობები, როგორიცაა კაბალიზმი ებრაელებში და სუფიზმი სპარსელებში. მისტიკის მეორე და აუცილებელი თვისებაა საგნების და მოვლენების მხოლოდ გონებრივი ხედვა, მის ალსაქმელად სხეულში მოზიდული ძალების, აზრების კონცენტრირება ერთ წერტილში, და არსის სიღრმეში ჩასვლა გონების ღრმა და დაჟინებული ხედვით. მეორეს მხრივ, ეს არის ადამიანის მთელემარე ძალების გამოღვიძება, და მიწიერი და სულიერი ძალების ამაღლება ზემაღალ წერტილში, სადაც ადამიანი უახლოვდება სრულფასოვნების კომპლექსს. ამ დროს სული ყვავილობს და იგი ყველაზე ახლო მიდის ღმერთთან.

თანატოსი-ძილის ღმერთის-ჰიპნოსის ტყუპისცალი. სიკვდილის განსახიერება და ღმერთი. თანატოსის სახეს მკვლევართა ერთი ნაწილი ფოლკლორის ნაყოფად თვლიან. თანატოს აქვს რკინის გული და ამიტომაც არავინ ებრალება. იგი ეჯავრებათ არა მარტო ადამიანებს, არამედ ღმერთებსაც, რადგანაც იგი ერთადერთი არსებაა, რომელზეც არ მოქმედებს არავითარი პატივისცემა და საჩუქრები. თანატოსი ულამაზო და გამხდარ მამაკაცად არის მითოსში წარმოდგენილი. მას ხელში უჭირავს ცელი, ადამიანთა სიცოცხლის მოსათიბავად. თანატოსი აგრეთვე კაენის შვილადაა მიჩნეული.

## კავკასიური რასა, შესაძლებლობები, გენეტიკური პოტენცია

წერილის იდეა შთამაგონა დიდი ხნის წინ ომარ კელაპტრიშვილმა.

ალბათ არ არსებობს ადამიანი, რომელსაც თავის თავის, ჯიშის და ერის გონებრუივ პოტენციალზე შესაძლებლობებზე არ ეფიქროს, ამ დროს ადამიანი იმარჯვებს ამ ამოცანის ამოხსნის სხვადასხვა მარტივ ხერხებს, ეს უმთავრესად შედარებითობის პრინციპით ხერხდება და მოაზროვნისათვის საჭიროა ზოგადი განათლების დიდი მოცულობა, რათა არსებობდეს შედარებითობის დიდი ალტერნატივა. ასევე აუცილებელია ერისთვის ნათელი და ბნელი ეპოქების გათვალისწინება, ფიზიოლოგიური და კლიმატური პირობების მხედველობაში მიღება და კიდევ უამრავი სხვა პაწაწკინტლია დეტალები, რომელთა გათვლა და ახსნა ამგვარი განსჯისას აუცილებელია. და კიდევ გენიოსთა კვლევები, კომენტარები და შესედულებები ამ საკითხებზე. ამ მხრივ მეტად დიდ ინტერესს იმსახურებს ჰეგელის მოსაზრება კავკასიურ რასაზე, სადაც ის ამბობს რომ "პროგრესი ხორციელდება კავკასიურ რასაში,მხოლოდ კავკასიურ რასაში სული ილტვის აბსოლიტური ერთიანობისაკენ თავის თავთან, შედის სრულ წინააღმდეგობაში ბუნებრივი არსებობის პირობებთან, შეიცნობს თავს აბსოლიტურ დამოუკიდებლობაში, აღწევს სრულ თვითგამორკვევას, სხლტება მუდმივი რყევიდან, ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირამდე, ახდენს ამგვარი განვითარებით თვით განსაზღვრულობას და ანხორციელებს მსოფლიო ისტორიას."

სანამ გადავიდეთ ამ შეფასების დეტალურ განმარტებაზე, უნდა ერთი სიტყვით ავხსნათ ფილოსოფიის მიზნობრივი რაობა. ფილოსოფიის მიზანია ახსნას სამყაროს განვითარების კანონზომიერებები თეორიულ ასპექტებში და ყველაფერ ამას აღწევს კონკრეტულ შემთხვევებში ყველაზე მისაღები პრაქტიკული მაგალითებით, მისი საბოლოო მიზანია მოიპოვოს სამყაროს განვითარების უზოგადესი კანონები. ამჯერად დავუბრუნდეთ ჰეგელის მოსაზრებას "პროგრესი ხორციელდება კავკასიულ რასაში", ამ წინადადებით კავკასიური რასა არის ის გენეტიკური, სულიერი და

ფიზიოლოგიური მასალა-მოცემულობა, რომელსაც გააჩნია უნარი იყოს ყველაზე დიდი რეფორმატორი საზოგადოების განვითარების ყველა დარგში, ე.ი. კავკასიელს გააჩნია პროგრესატორის ელემენტები რომლის არქონის შემთხვევაში საზოგადოების განვითარება ჩიხში შევიდოდა ანუ საზოგადოება მოიწყენდა, მოწყენას აპათია მოსდევს, აპათიის შემდეგ კი ყველაფერი ჩერდება. ამგვარი აზროვნება მაიძულებს ვიფიქრო რომ ღმერთი ყოველივეს ერთადერთი შემოქმედია. შემდგომი ფრაზა "მხოლოდ კავკასიურ რასაში სული ილტვის აბსოლიტური ერთიანობისაკენ თავის თავთან," ნიშნავს რომ იგი მიისწრაფის სულის შეცნობისაკენ ეს იგივე ღმერთთან მიახლოებაა, ასევე უნდა ითქვას რომ ჰეგელს სხვა ადგილას აქვს მსგავსი ფრაზა გამოთქმული "მხოლოდ კავკასიელს ძალუძს მიუახლოვდეს ღმერთს."

ეს ბოლო ორი უკანასკნელი ფრაზა უნდა განვიხილოთ რომ ღმერთი და სული იდენტური მცნებებია. "შედის სრულ წინააღმდეგობაში ბუნებრივი არსებობის პირობებთან, შეიცნობს თავს აბსოლიტურ დამოუკიდებლობაში, აღწევს სრულ თვითგამორკვევას." ჰეგელის ამ განსაზღვრებით კავკასიელის სული მამაცია, მაძიებლურია. იგი ამ დროს წრთვნას და გამოცდილების გზას გადის, გარკვეული მნიშვნელობა გააჩნია ბუნების გარემო ფაქტორებს, რის შემდეგ სული სხეულთან იდეალურ ჰარმონიაში შედის და იქ სადაც ჰარმონია მაღალია ყველგან წარმატებაა მოსალოდნელი, სხვათა შორის უნდა ითქვას რომ სამყაროს შექმნის ერთ-ერთი საფუძველი არის ჰარმონიულობის პრინციპი.

გონების ასეთი წიაღსვლით შეიცნობს თავს აბსოლიტურ დამოუკიდებლობაში და ენერგიის თვითრეალიზაციით ახდენს თვითგამორკვევას, ამგვარად გამუდმებული შრომა არის ის ძალა რომელითაც ადამიანს შეუძლია გააღვიძოს საკუთარ გონებაში მთვლემარე ძალები და ამ შემთხვევაში ადამიანი ჩვეულებრივზე მეტი ენერგიის გამომუშავებისის ახდენს სრულყოფას და შესაძლებელია მისმა გონებამ გენიოსით სხივით გამოაშუქოს. ე.ი. კავკასიელს შრომის შემთხვევაში დიდი შესაძლებლობა ჰქონია, კავკასიის რეგიონს რომ მეტი პროდუქტიულობით ემუშავა გენიოსთა კონვეირზე. ამის შემდეგ ჰეგელის მიხედვით კავკასიელის სული სხლტება ერთი ნაპირიდან მეორეზე ე.ი. ის ძალიან ელასტიურია, ამტანი და მაძიებლური ბუნების, განსაზღვრას თავს საზოგადოებაში განსაკუთრებული მდგომარეობით და ანხორციელებს მსოფლიო ისტორიას.

ბევრი მეცნიერი მათ შორის ფიზიოლოგი ბლუმენბახი და კაპერი გერმანელი ენათმეცნიერი ჰუმბოლდტი თვლის, რომ ევროპულ რასები კავკასიური რასისგან დაიწყო.ჰეგელი კავკასიურ რასაში არჩევს "ორ ნაწილს-წინა აზიის მცხოვრებთ და ევროპელებს. ეს დაყოფა ახლანდელ დროში ემთხვევა მაჰმადიანებად და ქრისტანებად დაყოფას, ე.ი. ახლო აღმოსავლეთის მაჰმადიანებსაც ამ რასის გარკვეულ ნაწილს მიაკუთვნებს, განსხვავებით შორეულ აზიისგან. ამგვარი განსაზღვრების გამოთქმისას ჰეგელი თავის ქალის ანთროპოლოგიურ და სხვა ფიზიოლოგიურ ანალიზებს იყენებს, რათა მოახდინოს რასების კლასიფიკაცია. ეს პრინციპი დაახლოებით ასეთია ყურის ხვრელიდან ზედა ყბისძვალამდე, ქმნის ძირითადად სწორ კუთხეს, ხოლო ცხოველებს ეს კუთხე განსაკუთრებით წამახვილებული აქვს, მაღალ განვითარებულ რასას კი კვლავ ვიმეორება რომ სწორი აქვს. მსგავსი განვითარება გააჩნიათ ქართველს, იტალიელს, ჩერქეზს. მათი თავის ქალა ზემოდან დარგვალებულია, შუბლი რამდენამდე ამობურცული. ორივე ყბის წინა კბილები პერპენდიკულარულია, კანის ფერი თეთრი, ლოყები ალისფერი."

არის სხვა დიდი მოაზროვნეებიც რომლებაც მაღალი რასიული შედგენილობის ხალხად მიაჩნდათ კავკასიელები. იმანუილ კანტი თვლიდა რომ სპარსელების და თურქების ომების წარმოების ერთ-ერთი მიზეზად კავკასიაში საკუთარი ჯიშის

გაუმჯობესობა იყო, რასაც სპარსელებმა მიაღწიეს კიდევაც.

რასოლოგი რეპლი თვლიდა რომ ქართველები უნიკალური რასაა. შუა საუკუნეების მონათა ბაზარზე მხოლოდ რასიულობის გამო ძვირად იყიდებოდნენ ქართველები, ჩერქეზები დასხვა კავკასიელები. უნებურია იბადება კითხვა, მაშინ რა არის მიზეზი კავკასიის იმ დუხჭირი მდგომარეობისა რაც თითქმის ორი ათას წელზე მეტია გრძელდება, აქ მხედველობაშია ის, რომ კავკასიის სახელმწიფოები მრავალი საუკუნეა საყრდენს ევროპის ქვეყნებში დაეძებს და არა საკუთრივ კავკასიის სახელმწიფოებში. მათში დიდი ხანია რაც მსოფლიოს ერთ-ერთმა ყველაზე იმპერიულმა ქვეყანამ მოახდინა გათიშულობა, ისე რომ ქართველების წინააღმდეგ ჯერ კავკასიური ტომები აბრძოლა, შემდეგ ქართველები დაღესტნის და კერძოდ შამილის წინააღმდეგ ბრძოლობდნენ, არის ვერსიები რომ აღა-მაჰმად-ხანმა თბილისი რუსეთის აგენტების წაქეზების გამო დააქცია, რისთვისაც ჯუჯა საჰურისმა ქრთამიც კი მიიღო რუსებისგან, რათა ქართველებს რუსეთის იმპერიაში საკუთარი კოლონიზირება რაც შეიძლება სწრაფად მოეხდინა. რაც არ უნდა ბევრი აქონ მსოფლიოს უპირველესმა აზრებმა კავკასიური გენი უნდა ითქვას, რომ ისინი თავისი ზედმეტი ინდივიდუალობით, რასაც ჩვენ ამ წერილში მაძიებლურ ბუნებას ვეძახით, კლავენ კოლექტიური და საზოგადოებრივი აზროვნების უნარს, ეს იმ ტოტის მოჭრას გავს, რომელზეც თვითონ სხედან. პირველობის ჟინით შეპყრობილი ხშირად ისინი იქცევიან მლიქვნელ და კარიერისტ ადამიანებად. თუმცა წერილის მიზანია წარმოაჩინოს კავკასიელ ხალხთა პოზიტიური ენერგია და არა ნეგატიური. რომლის ფონზე გვინდა წარმოგიდგინოთ საქართველოს ერთ-ერთი კუთხე ქიზიყ თავის გამოჩენილი შვილებით, სადაც 50 ათას მოსახლეზე 100-მდე განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი მოდის.

## ქიზიყის გამოჩენილი შვილები.

ქიზიყ კახეთის პატარა მხარეა სადაც დაახლოებით 50 ათასი კაცი თუ ცხოვრობს. საყურადღებოა რომ საქართველოს ვერცერთი კუთხე ძნელად შეედრება მას უნიჭიერესი ადამიანებით, იგი ამ მხრივ ისევე გამორჩეულია საქართველოში როგორც მსოფლიოში ფლორენცია.

*პოეტები, მწერლები და საზოგადო მოღვაწეები*

1. *სოლომონ დოდაშვილი (მეცნიერი)*
2. *იროდიონ ევდოშვილი (პოეტი)*
3. *ანტონ ნატროშვილი (სასულიერო ისტორიკოსი)*
4. *ნიკა ყიასაშვილი (ლიტერატორი, შექსპიროლოგი)*
5. *დიმიტრი მენაშვილი (პოეტი)*
6. *სიკო ფაშალოშვილი (პოეტი)*
7. *გურამ ბენაშვილი (ლიტერატურის თეორეტიკოსი)*
8. *თემურ ჩალაბაშვილი (პოეტი)*
9. *მაყვალა გონაშვილი (პოეტი)*
10. *ანზორ მაძღარაშვილი (მწერალი)*
11. *იოსებ ნონეშვილი (პოეტი)*
12. *პეტრე ლესნოვი (ბიოლოგი, ეთნოგრაფი)*
13. *სანდრო შანშიაშვილი (პოეტი)*
14. *ლოვარდ ტუხაშვილი (მწერალი, ისტორიკოსი)*
15. *გიორგი ნატროშვილი (მწერალი, კრიტიკოსი)*
16. *თამაზ ნატროშვილი (მწერალი)*
17. *ნაირა გელაშვილი (მწერალი)*
18. *სტეფანე მენთეშაშვილი (ისტორიკოსი, ეთნოგრაფი)*
19. *ჯემალ მეხრიშვილი (მწერალი ჟურნალისტი)*

20. გივი ბოსტოღანაშვილი (მწერალი ისტორიკოსი)
21. ნინო თარიშვილი (პოეტი)
22. დიმიტრი მაჩხანელი (პოეტი)
23. დალი სულაშვილი (ჟურნალისტი, მთარგმნელი)
24. ლერი ბეგიაშვილი (მწერალი)
25. ალექსანდრე ბეჟაშვილი (პოეტი)
26. ირინა ტალიაშვილი (მწერალი)
27. თემურ აბულაშვილი (პოეტი)
28. მერი ბარნაბიშვილი (პოეტი)
29. თედო ბეგიაშვილი (პოლქლორისტი)
30. დიმიტრი გონაშვილი (მწერალი)
31. გიორგი ტალიაშვილი (მწერალი)
32. ბექან ხარაზიშვილი (მწერალი, მეცნიერი იურისტი)
33. მანანა მაზიაშვილი (ჟურნალისტი)
34. ელბერდ ბატიაშვილი (ისტორიკოსი)
35. ნინო ხარაზიშვილი (ჟურნალისტი)
36. ივანე იაშმელაშვილი (სამხედრო ისტორიკოსი)
37. ილო მოსაშვილი (მწერალი დრამატურგი)
38. მინდია მოსაშვილი (მწერალი და ჟურნალისტი)
39. ილია ბეგიაშვილი (პოეტი)
40. ბერდია ბერიაშვილი (პოეტი)
41. გიო კანანელი (ცანაშვილი) (პოეტი)
42. დარეჯან ბატიაშვილი (პოეტი)
43. ბიძინა მაზიაშვილი (სპარტის დამსახურებული მოღვაწე)
44. ირაკლი მირიანაშვილი (პოეტი)
45. ელგუჯა მაღრაძე — მწერალი
46. დავით მაღრაძე — პოეტი
47. გივი კიკილაშვილი — მწერალი
48. ლამარა კიკილაშვილი — ხელოვნებათმცოდნე მწერალი
49. პაპუაშვილი თენგიზი — ისტორიკოსი
50. ფორე მოსულიშვილი — იტალიის ეროვნული გმირი
51. ანზორ აბულაშვილი — პოეტი
52. არჩილ გონაშვილი (ფილოსიკოსი)
53. არჩილ ბეგიაშვილი (ფილოსიკოსი)
54. ალექსანდრე ალადაშვილი (ექიმი)
55. ალექსანდრე გზირიშვილი (ექიმი)
56. გივი გზირიშვილი (ექიმი)
57. გივი ფაშალიშვილი (ენათმეცნიერი)
58. გივი ბეგიაშვილი (ექიმი ფსიქიატრი)
59. ავლიპ ზურაბაშვილი (ექიმი ფსიქიატრი)
60. ზიგმმუნდ ზურაბაშვილი (ექიმი ფსიქიატრი)
61. ზურაბ ზურაბაშვილი (ექიმი ფსიქიატრი)
62. დიმიტრი მაჩხანელი - კომერსანტი ქველმოქმედი
63. დავით ნატროშვილი — მათემატიკოსი

ხელოვნების მუშაკები.

მხატვრები

1. ნიკალა ფიროსმანი
2. ფარნაოზ ლაპიაშვილი

*3. მარინე თარაშვილი*
*4. დათო კრაწაშვილი*
*5. ავთანდილ პოპიაშვილი*

*მსახიობები და რეჟისორები*

*1. სანდრო ახმეტელი რეჟისორი*
*2. ვასო გოძიაშვილი მსახიობი*
*3. ნანა მამალაძე მსახიობი*
*4. სპარტაკ ბაღაშვილი მსახიობი*
*5. მზია არაბული მსახიობი*

*მომღერლები, მუსიკოსები, კომპოზიტორები*

*1. ვანო სარაჯიშვილი*
*2. სანდრო მირიანაშვილი*
*3. ჯემალ ბაღაშვილი*
*4. გიორგი ქუფარაშვილი*
*5. მანანა ახმეტელი — მუსიკათმცოდნე*
*6. ჰამლეტ გონაშვილი*
*7. მიშელ დარიალი (ნანობაშვილი)-ტენორი,მომღერალი*

## ქართული გენის იშვიათი შუქი.

სვანეთიის დაბა მესტიის ერთ ოჯახიდან იყვნენ ალპინიზმის ოთხი სპარტის დამსახურებული ოსტატები ბექნუ, მიხეილ ბესარიონის-ძე (დიდი მიშა), გაბრიელ კარლუბის-ძე და აკაკი (ხუტა) ხერგიანები. სპარტის ოსტატები ბესარიონი (დიდი მიშას მამა). რომლის ქალიშვილია მეკლდეური და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი თინიკო. აღსანიშნავია რომ ამ გვარის და ერთი ოჯახის წარმომადგენელია მწერალი მირონ ხერგიანი.

ღარიბი მთიელი კაცის პავლე რაზიკაშვილის ექვს შვილიდან რომელთა შორის ოთხი ვაჟი იყო, საქვეყნოდ აღიარებული მწერალი კლასიკოსი გამოვიდა თედო, სანდრო, ბაჩანა და ვაჟა-ფშაველა.

## საქართველოს რეკორდები ზეციურ საუფლოში.

ერთმა არცთუ ისე დიდმა 1500 კომლიანმა ქართლის სოფელმა კავთისხევმა საქართველოს მისცა ბევრი გამოჩენილი მოღვაწე. მათგან ექვსი განისვენებს საქართველოს რიგით მეორე დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა და მწერალთა პანთეონში. ესენია:

*1. ნიკა ცხვედაძე (უნივერსიტეტის აშენებელი)*
*2. გიორგი შატბერაშვილი — მწერალი და საუკეთესო მოქართულე*
*3. ეკატერინე თარხნიშვილი — ხალხური მომღერალი*
*4. მარო თარხნიშვილი — ლოტბარი და მომღერალი*
*5. თამარ თარხნიშვილი — ლოტბარი (მარო თარხნიშვილის შვილი)*
*6. ეგნატე ხრმალაშვილი — მათემატიკოსი*
*7. ომარ კელაპტრიშვილი — ლოტბარი და მუსიკოსი*

ამ სოფლის შვილი იყო გამოჩენილი მოღვაწე ფოლკლორისტი. ხელოვნებითმცოდნე ვახტანგ კოტოტეშვილი, რომელიც 1937 წელს ბოლშევიკებმა გაანადგურეს.

ამჟამად მამის საქმეს სახელოვნოდ აგრძელებს ვახტანგ კოტეტიშვილის შვილი ვახუშტი კოტეტიშვილი.

ამავე სოფლიდან არიან მოქანდაკე და მხატვარი ჯემალ ხუციშვილი, მხატვარი და საზოგადო მოღვაწე, კასპის კულტურის განყოფილების გამგე ომარ კელაპტრიშვილის ძმა გერისო კელაპტროშვილი, მათი დისშვილები მხატვრები გოჩა და გივი ალაპიშვილები. აღსანიშნავია რომ გივი ალაპიშვილის ნამუშევრები გამოფენილია ტრეტიაკოვის, ერმეტაჟის და მსოფლიოს ბევრ წამყვან საგამოფენო დარბაზებში.

# ს ა რ ჩ ე ვ ი


1. შესავალი (ზოგადი ხასიათის) ........ 3
2. შესავალი ბედისწერის შესახებ ........ 4
3. შესავალი რა და ვინ არის გენიოსი ........ 6
4. შესავალი და სუბარი მისტიკის შესახებ ........ 9
5. გენიოსთა და გამოჩენილ ადამიანთა საბედისწერო შემთხვევები, გამოჩენილი წინასწარმეტყველები, მისტიკები, მაგები, მკითხავები,.. ........
6. ბედისწერის ადგილი ფილოსოფიურ მოძღვრებაში ........ 69
7. მოკლე ლექსიკონი ბედისწერის შესახებ ........ 74
8. გამოჩენილ ადამიანთა შეხედულებები და სენტენციები ბედისწერაზე ........ 78
9. ბედისწერის ცნება ფილოსოფიურ თხზულებებში ........ 84
10. ისტორიის ანალოგები, პარადოქსები, პარალელები, დამთხვევები ........ 88
11. ბიბლიური წინასწარმეტყველება ........ 91
12. ბიბლიური პარალელები ........ 93
13. რეინკარნაცია თუ ადამიანთა გარეგნული და იდეოლოგიური დამთხვევები ........ 95
14. ეს უბრალო დამთხვევებია? თუ... ........ 101
15. დამთხვევები და მეზობელი თარიღები ერთნაირ გამოვლენებს შორის ........ 103
16. გამოჩენილი ადამიანები განსაკუთრებულ შტრიხებში ........ 104
17. გენიალურობის გამოვლენის დრო, სიცოცხლის ასაკი ........ 106
18. გამოჩენილი ადამიანთა და გენიოსთა გარეგნობა, ფიზიკური ნაკლი, შვილების რაოდენობა ........ 109
19. გადამდგარი პრეზიდენტები და ხელფასები ........ 113
20. ასტროლოგია — მეფე და პრეზიდენტები ........ 114
21. გენიოსები — გენიისა და სიგიჟის ზღვრებში ........ 114
22. გენიოსთა ადრინდელი პროფესია ........ 117
23. გენიოსები ბახუსის ტყვეობაში
24. ატმოსფერული მოვლენების ზეგავლენა გენიალურ ადამიანებზე ........ 118
25. სიყვარული და გენიოსები ........ 119
26. მემკვიდრეობითობის ზეგავლენა გენიალურობაზე ........ 125
27. რომელმა მხარემ მისცა მსოფლიოს ყველაზე მეტი გენიოსი ........ 125
28. გენერალისიმუსები ........ 126
29. გენიოსების საფლავთა ისტორია ........ 127
30. რამდენიმე სურათი შუა საუკუნეების სიკვდილით დასჯის ისტორიიდან ........ 129
31. გენიოსთა ცხედართა შურისძიება — საფლავთა სიმყუდროვის დარღვევის გამო ........ 130
32. გენიოსთა სიკვდილისწინა გადაწყვეტილებები საკუთარი გვამის მიმართ ........ 131
33. გენიოსობა და ბოროტმოქმედება ........ 132

34. გენიოსთა გენეტიკის წარმატებითი შედეგები ........ 132
35. თვითმკვლელობა გენიოსებში ........ 133
36. ქირომანტია ........ 134
37. წყევლა — მისი ისტორია და შედეგები ........ 134
38. ძილისა და სიზმრის შედეგები გენიოსებში ........ 140
39. ცხადში ახდენილი სიზმრები ........ 142
40. მზერის ხილული და უხილავი სამყარო ........ 147
41. მზერის ჩხვლეტის რამდენიმე ეპიზოდი ფერმწერთა ცხოვრებიდან ........ 149
42. შეხედულებები რეინკარნაციაზე ........ 151
43. სიკვდილი და გარდაცვალება ........ 154
44. სიკვდილის განმარტება ჰაიდეგერის მიხედვით ........ 155
45. ტანჯვის ფორმები ........ 156
46. ცოდვათა მონანიება ........ 157
47. სიკვდილის განზომილება მართლმადიდებლურ მოძღვრების მიხედვით ........ 157
48. მისტიკური შენობები, საგნები მათი რაობა ........ 159
49. პირამიდა ........ 160
50. რისთვის აშენდა პირამიდა ........ 162
51. პირამიდის ერთი საიდუმლო ........ 163
52. პირამიდის საიდუმლო სიმბოლოები ........ 163
53. პირამიდის მისტერია ........ 165
54. ძვალშესალაგი, სამარხი და სხვა ........ 165
55. ჩინური პირამიდები ........ 166
56. ორიონის პლანეტის მიერ გამოგზავნილი ქვა მისი თავგადასავალი გენიოსთა მფლობელობის დროს ........ 167
57. სფინქსი ........ 169
58. ლეგენდარული შუბი, რომლითაც ქრისტეს ფერდი განუგმირეს ........ 173
59. 13 რიცხვის შავი ძალამოსილება ........ 176
60. არდებილში ........ 177
61. ხლათი — არმენიის დედაქალაქი ........ 177
62. ბაბილონის გოდოლი ........ 177
63. კომეტა ........ 177
64. სატაძრო სიზმარი ანტიკურ სამყაროში ........ 179
65. მუსიკა მისტიკის სფეროში ........ 179
66. მეთორმეტე პლანეტა ........ 181
67. სოლომონის ტაძრის აშენების მისტიკა ........ 183
68. ფიქრები ტვინზე და მისი უბრალო ისტორია ........ 186
69. ტვინი ........ 189
70. ალბერტ აინშტაინის ტვინის თავგადასავალი ........ 189
71. ტელეპათია — ტვინის უნიკალური შესაძლებლობა ........ 191
72. მარტინ ჰაიდეგერი — სიკვდილის, შიშის და ძრწოლის შესახებ ........ 193
73. გურჯიევის შეხედულება მუსიკასა და ცეკვაზე ........ 197
74. მისტიკის თეოსოფიის და ანთროპოსოფიის კავშირები, სხვაობები ........ 198

75. კავკასიური რასა, შესაძლებლობები, გენეტიკური პოტენცია ............ 200
76. ქიზიყის გამოჩენილი შვილები ............ 202
77. ქართული გენიის იშვიათი შუქი ............ 204
78. საქართველოს რეკორდები ზეციურ საუფლოში ............ 204